


ISSN 0132-509 X

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ბავშვობა



3

1984



ენათმეცნიერება

წილიწაღი 80-60

№3

მარტი, 1984 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩინგაპაეში კლანეში	4
საკვ ცენტრალური კომიტეტის ბენეკალური მღიწვის ამხანაჲ კ. უ. ჩარნეკოს სიტუვა	6
საკვ ცენტრალური კომიტეტის კოლიტბიუროს წიჭრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომეარის ამხანაჲ ნ. ა. ტიჭონოვის სიტუვა	12
საკვ ცენტრალური კომიტეტის კოლიტბიუროს წიჭრის, საკვ ცენტრალური კომიტეტის მღიწვის ამხანაჲ მ. ს. ზორეანოვის ჯამოსკვა	14
კონსტანტინე უსტინის ქი ჩარნეკო	15
საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმალესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მინისტრთა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს	17

პროზა, პოეზია

ტბია იოსელიანი — შავი ღა ცისფერი მღინეკი. რომანი. ვეგრეკლება	21
ბალა ზალეაშვილი — ლექსები	58
მეკი გიწაქი — ლექსები	60
ღარეჯან ბატიაშვილი — ლექსები	61
რამეჲ კონიქი — აბრაქჲ. მოთბრობა	62
წუგეარ წიკეთელი — ლექსები	67
გიკი სულეკაური — ლექსები	70
წემეალ მარჩხაქი — ზებულონის უბრინქნიბა. მოთბრობა	72
ოთარ ზილიქი — ზღაბარი ცინა ღა მიწის უბეკეცინა. პოემა	130

ჩვენი მიწვინეებით

მიკონ ხეკბიანი — საღამო ივლის კარეკანიქი..	139
--	-----

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

კრანტ თამეკიანი — ნატანი ზულისა ღა მუანეთელი სიჭკობის წიხნი	148
ანდრო კარეკელაშვილი — საუკუნე, ვითარკვა წიკი...	157
მამია ხუხუნი — მამლური რუტაბი	170

წიგნების მიმოსნილვა

ღავით გოგოტური — ივრისპირელი ზარეკის ექი	174
--	-----

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

საკრედიტო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ანაშუაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე),
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, ბ. დოხანაშვილი, ბ. კალაძე,
მ. ლასურია, მ. ლეგანიძე, ე. მალაქაძე, ლ. მრეღაშვილი, ბ. ნატრო-
შვილი, რ. პატარიძე, თ. პაპორია (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარკვიანი, ნ. წუ-
ლემისკირი, თ. ზილაძე, ზ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

საქართველო
საზღვრობა



სსკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი
კონსტანტინე უსტინის ძე ჩარნაძე



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი

(1984 წლის 13 თებერვალი)

1984 წლის 13 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანხ. კ. უ. ჩერნენკომ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხსოვნას პატივი სცეს მწუხარების წუთიერი დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაცვალება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მკვნებარე პატრიოტი, ლენინელი, მშვიდობისა და კომუნისტებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის უმნიშვნელოვანეს პოსტებზე, რომლებზეც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის პარტია გზავნიდა, იგი მთელ ძალღონეს, ცოდნასა და უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, მასებთან მისი კავშირის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ი. ვ. ანდროპოვი დიდ ყურადღებას უთმობდა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შეგუშავებული ხაზის განხორციელებას, რომლის მიზანია წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, კადრების პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის განუხრელი ზრდა.

დიდი წვლილი შეიტანა ი. ვ. ანდროპოვმა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მხარდაჭერაში. მისი ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და მტკიცედ ხორციელდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსი — თერმოზიტ-

ვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, იმპერიალიზმის აგრესიული სტრატეგიის ჩაშლის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსი.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გზოვის დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ რაგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გარშემო, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს დავალებით ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ტიხონოვმა. მან წამოაყენა წინადადება სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხ. კ. უ. ჩერნენკო.

პლენუმმა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. კ. უ. ჩერნენკო. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის.

ამხ. კ. უ. ჩერნენკომ სკკ ცენტრალურ კომიტეტსა და კომუნისტურ პარტიას აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას არ დაიშურებს, რათა წარმატებით შესრულდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, უზრუნველყოფილ იქნეს მემკვიდრეობითობა იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც სკკ XXVI ყრილობამ დასახა სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ადგანან.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

კ. შარესკის ს. ხ. ხაჯა მსხრ.
სახელმწიფო რესპუბლიკის
მინისტრობა

საპოლიტიკო კომიტეტის განცხადება აბხაზი კ. უ. ჩერხენკოს სიტყვა

პოლიტიკური განცხადება

გულითად მადლობას მოვხსენებ ცენტრალური კომიტეტის წევრებს დიდი პატივისცემის — ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანად ჩემი არჩევისათვის. მე მთლიანად მაქვს შეგნებულად უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძინე. მესმის, რა დიდმნიშვნელოვანი, რა განსაკუთრებით რთული მუშაობა მოგველის. აღვთქვამ ცენტრალურ კომიტეტს, პარტიას, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას, მთელ გამოცდილებას გამოვიყენებ, რათა გაემაართო დრომა, თქვენთან ერთად განვაგრძო ჩვენი პარტიის ის პრინციპული გეზი, რომელსაც თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ორგანიზატორული ნიჭი, ნათელი შემოქმედებითი გონება, თეორიისა და პოლიტიკაში ღრმადი ცოდნის ერთგულება, ახლის მახვილი გრძობა და მსახურის ცოცხალი გამოცდილების აქტიურობის უნარი, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც უტყობა ჩვენი მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესისათვის, ჩვენი მორალისათვის, პირადი მომხიბვლელობა და თავმდაბლობა — ყოველივე ამან უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა მოუბოვა იური ვლადიმერის ძეს პარტიასა და ხალხში.

პარტია მას მუშაობის ყველაზე რთულ და პასუხისმგებ უბნებს ანდობდა. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის საუკეთესო პოლიტიკური და ადამიანური თვისებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე. იგი თავს არ ზოგავდა ცდილობდა ყოველთვის ყოფილიყო მის წინაშე დასახული ამოცანების სიმძაღვეზე.

იური ვლადიმერის ძემ მნიშვნელოვანი პირადი წვლილი შეიტანა თანამედროვე ეტაპზე პარტიის ყოველმხრივ აწინაღობა-დაწინაღობა და რეალისტური კურსის — განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის კურსის შემუშავებისათვის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიკური კოლექტიურ საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის წინამძღვრის,

1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები, რომლებიც დიდმნიშვნელოვანი ნიშნის შედეგები გახდა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. პლენუმების გადაწყვეტილებებში შემდგომი შემოქმედებითი განვითარება და დაკონკრეტება მოვა სკკპ XXVI ყრილობის პოლიტიკურმა გეზმა.

დიდ ძალასა და ენერჯიას ახშარდა ი. ვ. ანდროპოვი საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო სარბიულზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლას.

იური ვლადიმერის ძეს კარგად ესმოდა: პარტიის ავტორიტეტის წყარო ის არის, რომ თავისი ხელმძღვანელი მდგომარეობა, თავისი საბაბით ავანგარდული როლი მან ხალხისადმი თავდადებული სამსახურით, მშრომელთა ინტერესების ზუსტად გამოხატვით, მოქმედების უტყუარი მარქსისტულ-ლენინური პროგრამით მათი შეთავაზების უნარით მოიპოვა და ამითვე განამტკიცებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორეს, დროის მოთხოვნებთან და სულსიკეთებასთან მის შესაბამისობას, დამაჯერებლად ადასტურებს ის, რომ ამ პოლიტიკის მხრეაღივალდ უპერს მხარს მთელი ხალხი. პარტია მტკიცედ ადგას არჩეულ გზას — კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზას.

ასე იყო წინათ. ასე იქნება მუდამ!

მეგრამ ჩვენ ყველას გვესმის, ამზანაგებო, რომ ამ გზით სიარულისათვის მშროლოდ სურვილი არ კმარა. უნდა შეგვეძლოს არა მარტო დავსაბოთ სწორი მიზნები, არამედ შეუპოვრად ვიღვეწოდეთ კიდევ მათი მიღწევისათვის და ყოველკაცი სიმშვილეს ვქვავდეთ. რეალისტურად უნდა ვაფასებდეთ მიღწეულს, არც ვახვიადებდეთ და არც ვაწინებდეთ მას, მხოლოდ ასეთი მიდგომა ავგარბედებს თავიდან პოლიტიკაში შეცდომებს, იმის ცდუნებას, რომ სასურველი სინამდვილედ მოგვეჩვენოს, საშუალებას მოგვეცემს თვალნათლივ დავინახოთ, როგორც ლენინი ამბობდა, — „სახელდობრ რა „დავამთავრეთ“ და რა არ დავამთავრებთ“.

ხანმოკლე, გულსატენიან ხანმოკლე აღმო-
ჩნდა ამხანაგებო, იური ვლადიმერის ძე ან-
დროპოვის შრომა ჩვენი პარტიისა და სახელ-
მწიფოს სათავეში, ჩვენ ყველანი ვიჭარბობთ
უძისობას. იგი ჩვენგან წაიღია იმ დროს, როცა
დიდი და დამბნული მუშაობა გვაძლევს
ლი იმისათვის, რომ მძალადღა დავაჩქაროთ სა-
ხალხო მეურნეობის განვითარება, დაველიოთ
სიმწვლეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას შეე-
ქნა 70-80-იანი წლების მიწანაზე. მაგრამ ჩვენ
ყველამ გიცით, თუ რაოდენ ბევრი რამის გე-
კეთება შეძლო პარტიამ ამ მოკლე ხნის გან-
მავლობაში, რამდენი ახალი ნაყოფიერი რამ
იშვა და დამკვიდრა პრაქტიკულად. ვანგა-
რობთ და კოლექტიური ძალისხმევით წინ
წაწეოთ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის
ხელმძღვანელობით წამოწყებული მუშაობა.
— ამ საუკეთესო საშუალება იმისა, რომ ქე-
როვანი პარტია მივაგოთ მის ხსოვნას, უზ-
რუნველყოთ პოლიტიკაში მემკვიდრეობი-
თობა.

მემკვიდრეობითობა განყენებული ცნება
კი არა, ცოცხალი, რეალური საქმეა, მისი
ასის, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ შეუ-
ზარებლად ვიპოვოთ წინ. ამ წინსვლისას უნდა
ვეყრდნობოდეთ ყოველივე უკვე მიღწეულს;
შემოქმედებითად ვამდიდრებდეთ მას, კომუ-
ნისტების, მუშათა კლასის, მთელი ხალხის
კოლექტიურ აზრსა და ვნერგავს ვაშორდეთ
გადასაწყვეტ ამოცანებს, აწმყოსა და მშა-
ვის საკვანძო პრობლემებს, და ეს ყველა
ჩვენგანს ბევრ რამეს ავალებს.

ჩვენი პარტიის ძალაა მისი ერთიანობა,
მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულება, იმის უნა-
რის, რომ შეაიეთაროს და წარმართოს მისე-
ბის შემოქმედებითი აქტიურობა, იდეურად
და ორგანიზაციულად შეაკავშიროს ისინი ნა-
ცადი ლენინური პრინციპებისა და მეთოდების
საფუძველზე. თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ
რა უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ამ ბო-
ლო ხანს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, მი-
სი პოლიტიკური, იური ვლადიმერის ძე
ანდროპოვი, სახელმწიფო აპარატის მუშაობის,
სრულყოფას, პარტიული ხელმძღვანელობის
სტრუქტურის გაუმჯობესების საკითხებს. ერთ-
ერთი მაიგანია პარტიული კომიტეტების
ფუნქციებისა და სახელმწიფო და სამეურ-
ნეო ორგანიზების ამოცანების მკაფიო გა-
მოყენება, მათი მუშაობაში დეტალირების აღმო-
ფხვრა. ეს დიდი, პოლიტიკური მნიშვნელო-
ბის საკითხია. და გულახდილად უნდა ითქვას,
აქ ყველაფერი ჯერჯერობდა არ არის მოგა-
რებული. ზღბდა ზომები რომ მიუტოვებს, სა-
შინსტრუქციის, საწარმოების მუშაები ქე-
როვან დამოუკიდებლობას არ იხენენ, პარ-
ტიულ ორგანიზებს აკისრებენ საკითხებს,
რომლებიც თვითონ უნდა გადაწყვიტონ, სა-
მეურნეო ხელმძღვანელთა მაიგეობის პრაქ-

ტიკა ხალხის უყარგავს კადრებს, უფრო მე-
ტიცი, იგი პარტიული კომიტეტის უნდაგორკ
პოლიტიკური ხელმძღვანელების [] უნდაგნოს
როლის შესუსტების საფრთხეს შეიცავს.
პარტიული კომიტეტებისათვის შეურწნობის
გაძლიოა ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, იმ
ადამიანების გაძლიოს, რომლებიც მეურ-
ნეობას ხელმძღვანელობენ. ეს ყოველთვის
უნდა გვახსოვდეს.

ამხანაგებო თვენახვერის წინათ, ცენტ-
რალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე
ჩვენ ყოველმხრივ შეეფასეთ საქმის ვითა-
რება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გან-
ვითარების სფეროში. მიღებულ დადგენილე-
ბაში საგანგებოდ აღინიშნა, რომ ახლა მთა-
ვარია შევინარჩუნოთ დამკარებელი ტემპი,
ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის საე-
რთო განწყობილება, განუხრელად ავამალოთ
ეკონომიკისადმი პარტიული და სახელმწი-
ფო ხელმძღვანელობის დონე, უფრო აქტიუ-
რად განვაგვითაროთ პოზიტიური ტენდენციე-
ბი, სტაბილური ხასიათი მივანიჭოთ მათ.
ჩვენი უშუალო მოვალეობაა თანამიმდევრუ-
ლად შევასრულოთ პლენუმის ეს დებულე-
ბანი.

მთელი ჩვენი გამოცდილება ადასტურებს:
პარტიის ძალის უმნიშვნელოვანესი წყარო
ყოველთვის იყო, არის და იქნება მასებთან
მისი კავშირი, მილიონობით მშრომელის მო-
ქალაქობრივი აქტიურობა, წარმოების საქ-
მეებისადმი, საზოგადოებრივი ცხოვრების
პრობლემებისადმი მათი მზრუნველი მიდგომა,
კომუნისტთა პარტიის მოვლეობაა თავის
კერსს, თავის გადაწყვეტილებებს, მოქმედე-
ბას დღენადაც ამოწმებდეს, უწინარეს ყოე-
ლისა, მუშათა კლასის აზრის, მისი უდიდესი
სოციალურ-პოლიტიკური და კლასობრივი გუ-
მანის მიხედვით ვლადიმერ ილიას ძე ლენინი
მუდამ დიდად აფასებდა მუშაკის პირდაპირო-
ბას, მის ცხოვრებით დასაბუთებულ და ნათელ
მსჯელობას. ფხიზლად ადგენებდა თვალს მის
აზრს, მოვლენებისა და ადამიანების მისეულ
შეფასებას, ეძებდა და პოულობდა მათში პა-
სუსს ყველაზე საჭირობო საკითხებზე.

უფრად ილოს მუშაობა წრადან, სოციალის-
ტური მშენებლობის წინა ხაზიდან მოსული
სიტყვა, ეთათიზრებოდეს მშრომელ ადამი-
ანებს — ეს დღესაც უნდა იყოს თითოეული
კომუნისტა ხელმძღვანელის უპირველესი
მოვალეობა, უდიდესი შინაგანი მოთხოვნი-
ლება.

შეგველოს დროულად შევინშოთ და
წვახაბლისოთ ხალხის ინიციატივა, თანაც, ამ
სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით — სა-
მუშაო ადგილზე საქმისადმი უყარათაინი, შე-
მოქმედებით დამოკიდებულებით დაწყებუ-
ლი და სახელმწიფოს, საზოგადოების მარ-
თვაში აქტიური მონაწილეობით დამაყარებუ-

ლო, — ეს არის ჩვენი პროგრესის უდიდესი, შეიძლება ითქვას, უმრავლეს რეზერვი. ყოველთვის დიდ მიღწევას ჩვენი ეკონომიკა მეტნაკლებად შრომითი კოლექტივების შემოქმედებითს თოსნობას. მათს საყუარ, როგორც იტყვიან. შემხვედრ გვემებს უნდა უმადლოდეს.

უდიდეს კმაყოფილებას იწვევს ქვეყნის შრომითი კოლექტივების ფართო გამოხატულება დეკემბრის პლენუმის მოწოდებაზე — მაილწონ 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზეგვემითს გადიდებას და დამატებით 0,5 პროცენტით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. პატრიოტული აღმაშენება, ენერჯია და გერგილიანობა, რომლებითაც მშრომელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხელი მოაკიდეს ამ ამოცანის გადაწყვეტას, გვისახავს რწმენას, რომ წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

ეფიქრობ, ღირს ამ საკითხის განხილვა, რომ ამის შედეგად მიღებული მთელი სასარგებო და რესურსები — ისინი კი საკმაოდ დიდია — მოკავშირით საშუალო აღამიანების შრომისა და უოფაქობერების პირობების გაუმჯობესებას, სამედიცინო მომსახურებას, ბინების მშენებლობას. ეს საესებით შეესაბამება პარტიის პოლიტიკის უმაღლეს მიზანს — აღამიანის კეთილდღეობისათვის ყოველმხრივ ზრუნვის.

საერთოდ, ამხანაგებო, როგორც ჩანს, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მშრომელთა შემოქმედებით თოსნობანი, ნოვატორობა უკეთ წავახალისოთ მატერიალურად და მორალურად.

საშუალო წყობილებას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობა. სწორედ ეს არის მისი უდიდესი ძალა. ამიტომ აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა იმას, რომ ეს სოციალური სამართლიანობა განუხრებლად იყოს დატული ყოველდღიურ საქმეებში, იქნება ეს ხელფასის და პრემიების, ბინებისა თუ სახურების განაწილება, დაწესებულება — ერთი სიტყვით, რომ ყველაფერი სამართლიანად, ჩვენს საერთო საქმეში თათოვეული აღამიანის შრომითი წვლილის შესაბამისად კეთდებოდეს.

აქ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით შრომითს კოლექტივებზე. მათ ახლა კანონმდებლობის წესით განმტკიცებული დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. ახლა მთავარი ის

არის, რომ ეს უფლებები სრულად გამოიყენონ.

ამ ბოლო ხანს პარტიამ — სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელობის ახალი გამოცდილება შეიძინა. ჩვენ უკეთ ვიყენებ ჩვენი წყობილების უზარატესობებსა და შესაძლებლობებს. მათ, რა თქმა უნდა, განუკუთვებება მასების ორგანიზებულობა და შევინება. სწორედ ამიტომ არის, რომ დიდ უფრადლებას ვეთმობთ წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას.

ორგანიზებულობის, წესრიგის საკითხი ჩვენთვის საკვანძო, პრინციპული საკითხია. ამის თიანაზე ორი ახრი არ შეიძლება იყოს. ყოველგვარ მოდუნებას, უმასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის მარტო მატერიალური ზარალი როდი მოატყვს. ისინი სურათულ სოციალურ, ზნებრივ ზიანსაც გვაყენებენ. ეს კარგად გვესმის ჩვენ. კომუნისტებს, ესმის მილიონობით საშუალო აღამიანს. და საესებით კანონზომიერია, რომ კუნძირიტად მთელმა ხალხმა მოიწონა შრომის, საწარმოო, საგუმო და სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი.

ამ მდგომარეობაში უკვე ვაკეთებთ. და ვინ არ იცის, რა კეთილნაყოფიერი გველენა მოახდინა ამან საწარმოო საქმეებზე, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საერთოდ ხალხის გუნება-განწყობილებაზე. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, თითქოს უკვე ყველაფერი გაკეთებულაიყოს. არა, ამხანაგებო, ცხოვრება გეასწავლის, რომ ამ საქმეში მოდუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

რაც შეეხება ჩვენი ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ისინი ზუსტად განსაზღვრა პარტიამ. ინტენსიფიკაციამ, წარმოებაში შეტენიერებისა და ტექნიკის მიღწევითა დაჩქარებულმა დაწერგვამ. დიდი კომპლექსური პროგრამების განხორციელებამ — ყოველივე ამან საბოლოო ანგარიშით თვისებრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალები.

სურათულ გარდაქმნას საჭიროებს ეკონომიკის მართვის სისტემა, მთელი ჩვენი სამეურნეო მექანიზმი. ამ მხრივ მუშაობა მხოლოდ დაიწყო. იგი შეიცავს საწარმოთა უფლებების გაფართოებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ფართო მასშტაბის ეკონომიკურ ექსპერიმენტს. მიმდინარეობს მომსახურების სფეროში მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეოდების ძიება, რომელიც უმჯობესია, ბევრ სასარგებლო რამეს

მოგვემს, დაგვეხმარება გადაწყვეტოთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პრობლემა — ავამაღლოთ მთელი სახალხო მებურნეობის ეფექტიანობა.

მაგრამ, მოდით, ჩვენს თავს ვეთხოვთ: ისე ხომ არ გამოდის, რომ ზოგიერთი სამებურნეო ხელმძღვანელი ექსპერიმენტების შედეგებს ელის და ამ მოლოდინით სურს შენობის თავისი პასიურობა, ძველებურად მუშაობის ერთადერთი რა თქმა უნდა, ეკონომიკური სტრუქტურების განახლება პასუხსაგები საქმეა, აქ ურიგო არ იქნება გვახსოვდეს ძველი რწმუნული ანდაზაც: შეიღწერ გაზომე და ერთხელ გასაჭერი. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამართლებს იმას, ვისაც საერთოდ არ სურს ანგარიში გაეწიოს შეცვლილ პირობებს, ცხოვრების ახალ მოთხოვნებს.

მეტრ დამოუკიდებლობა გამოიჩინონ ყველა დონეზე, გაბედულად ეძიონ, თუ საჭიროა, გარდასაღებელი რისკიც გასწიონ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გულისთვის, — თი რას მოველოთ ჩვენი სამებურნეო კადრებისაგან.

მოგახსენებთ, რომ შარშან სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მთელი რიგი დადგენილებანი შეიმუშავეს და მიიღეს ეკონომიკის განვითარების პრინციპულ საფუძვლებზე. ამ გადაწყვეტილებებმა პარტიულ და სამებურნეო ორგანოებს მისცა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გარკვეული ბერკეტები.

დასახული ღონისძიებანი, მათ კი არა-მართო სამებურნეო, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვთ, მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ მათი შესრულება თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული მუშაკის ყოველდღიური მუშაობის მთავარი შენაარსი გახდება.

დღევანდელ ამოცანებს რომ ვწყვეტთ, ამით წინამძღვრებს ექვნიით მომავალში გაიღებოთ უფრო მაღალი მიყენების მიღწევას. იქნებ ჩვენს ხეალნდელ დღეზე, მეოთხმეტე ხუთწლედზე დეტალურად ლაპარაკი ვერ ნაადრევად კი იყოს, მაგრამ მომავალი მუშაობის მთავარი პრობლემები, მთავარი მიმართულებანი უკვე დღეს მოჩანს.

ახალი ხუთწლელი, უწინარეს ყოვლისა, წარმოებაში ღრმად თვისებრივი ცვლილებების დასაწყისი, ჩვენი სახალხო მებურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციის საქმეში გადაწყვეტი გარდატეხის ხუთწლელი უნდა გახდეს, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ-

მა ბაზამ და მართვის სისტემამ ახალი, უფრო მაღალი თვისებები უნდა შეეჭინოს, უნდა

ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს ახალ იმას, რომ უზრუნველყოთ საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირი. ეკონომიკის ვერ ავიყვანოთ თვისებრივად ახალ დონეზე, თუ არ შეეჭმინით ამისათვის საჭირო სოციალური და იდეოლოგიური წინამძღვრები. ასევე შეუძლებელია სოციალისტური შეგენის განვითარების მომწოდებელი პრობლემების გადაჭრა, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მტკიცე საძირკველს თუ არ დავეყრდენით.

ახალი სამყაროს შენება ნიშნავს დაუცხრომლად ეზრუნავდეთ ახალი სამყაროს აღამიანის ჩამოყალიბებისათვის, მისი იდეურ-ზნობრივი ზრდისათვის, როგორც მოგხსენებთ, სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილა იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები ცენტრალური კომიტეტის იჯნისის პლენუმმა. მისი მითითებების შესაბამისად პარტია ეცდება ეს მუშაობა მთლიანად შეესაბამებოდეს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის დიდი და რთული ამოცანების ხასიათს.

გავიხროთ ეს ამოცანები კომპლექსურად, დავსაბოთ მათი გადაწყვეტის ზუსტი გრძელვადიანი სტრატეგია, წარმოვიჩინოთ კომუნისტურ პერსპექტივასთან ჩვენი მიმდინარე საქმეების კავშირი — თი რა უნდა მოგვეცეს პარტიული პროგრამის ახალმა რედაქციამ. მის მომზადებას ცენტრალური კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გეგმების შემუშავებისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მსოფლიოში შექმნილი ვითარება. იგი კი, როგორც მოგხსენებთ, რთული და მოკიდებულია. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ამ პრობლემში პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სწორი კერსი საგარეო პოლიტიკის დარგში.

მტკიცე მშვიდობის, ხალხთა თვავუსფლებისა და დამოუკიდებლობის საქმისათვის ბრძოლა მუდამ იყო იური ვლადიკერის ძე ანდროპოვის ყურადღების ცენტრში. მისი ხელმძღვანელობით ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ და ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა ჩამოყალიბეს აქტიური საგარეო პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ამ კეთილშობილურ პრინციპებს, პოლიტიკა, რომლის მიზანია თავიდან



აპოლოს კაცობრიობას მსოფლიო ბირთვულ ომის საფრთხე. მშვიდობის ეს ლენინური პოლიტიკა, რომლის ძირითადი ნიშნები თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე განსაზღვრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უკანასკნელი ყრილობების გადაწყვეტილებებში, შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, არსებითად კი მსოფლიოს სხვა ხალხთა ინტერესებსაც. ჩვენ მტკიცედ ვაუხადებთ: ამ პოლიტიკას არც ერთი ნაბიჯით არ გადავუხვევთ.

საესებოთ ცხადია, ამხანაგებო, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდი იქნება მსოფლიო ასპარეზზე სოციალისტური ქვეყნების გავლენა, რამდენად აქტიურია, მიზანწრაფული და შეთანხმებული იქნება მათი მოქმედება. ჩვენი ქვეყნები უაღრესად დაინტერესებული არიან მშვიდობით. ამ მიზნის მისაღწევად ვეცდებით გავაფართოოთ თანამშრომლობა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან. უოგელმზრივ ვავითარებთ და ვაღრმავებთ რა შეკავშირებასა და თანამშრომლობას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან — ყველა სფეროში, რა თქმა უნდა, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან სფეროშიც, როგორც უკონომიკა — ამათ დიდი წვლილი შეგვიტევს ხალხთა მშვიდობის, პროგრესისა და უშიშროების საქმეში.

ჩვენ მიემართავთ მოძმე ქვეყნებს და ვაშბობთ: საბჭოთა კავშირის სახით თქვენ კვლავ გვეუღებთათ სათმედო მეგობარი და ერთგული მოკავშირე.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ბერჯი იყო და იქნება სოლიდარობა იმ ხალხებთან, რომლებშიც მოიშორებს კოლონიური დამოკიდებულების უღელი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგინეს; და განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ხალხთა მომღებელ იტერეებენ იმპერიალიზმის აგრესიულ ძალების იერიშებს, იმპერიალიზმისა, რომელიც სისხლიანი ძალადობისა და ომის ხანძრებს უაღრესად სამიშ კერებს ქმნის მსოფლიოს ზანერით, ზან შერე რაიონში. იყო ხალხთა საშარლოანი საქმის მომხრე, იღწოდვ ასეთი კერების მოსპობისათვის — ეს დღესაც ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საქობი და დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჩვენი პარტიის პრინციპული პოზიცია ამ საკითხებში ნათელი, წმინდა და კეთილშობილური, და ჩვენ მას განუხრელად დავიცავთ. ახლა, რაც შეეხება პაპიტალისტურ ქვეყ-

ნებთან ურთიერთობას. დრდმწ ლენინში გვიანდერმა სხეადსხვა ქსხლავტრებრთვე წუობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანარსებობის პრინციპი. ჩვენ მუდამ ერთგული ვართ ამ პრინციპისა. ახლა, ბირთვული იარაღისა და უზუსტესი რაკეტების საუკუნეში, იგი განსაკუთრებით სჭირდება ხალხებს. სამწუხაროდ, კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთ ხელმძღვანელს, როგორც ყველაფრადან ჩანს, ნათლად არ ესმის ეს, ან არ სურს ესმოღეს.

ჩვენ კარგად ვხედავთ, რა საფრთხეს უქმნის დღეს კაცობრიობას იმპერიალიზმის აგრესიული ძალების უფუნური ავანტიურისტული მოქმედება — და ამას საქვეყნოდ ვამბობთ, რათა მთელი დედამიწის ხალხთა უურადლება მიგაყროთ ამ საფრთხეს. ჩვენ არ გვჭირდება საშხედრო უბირატესობა, არ ვაბრებთ სხვებს ვუბარახოთ ჩვენი ნება. მაგრამ მიღწეული საშხედრო თანასწორობის დარღვევის უღელის აბავის მიცეკეთ. და და, ყველამ კარგად იცოდეს: ჩვენ კვლავც ვიზრუნებთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რომ გვქონდეს საქმარისი საშუალებანი, რომელთა მეშვეობით შეიძლება დავაცხოთ ომის მოტრფილით თავდესი ავანტიურისტები. ეს, ამხანაგებო, მშვიდობის შენარჩუნების მეტად არსებითი წანამძღვარია.

საბჭოთა კავშირის, როგორც დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს, მთლიანად აქვს შეგნებული ხალხთა წინაშე თავისი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ჩვენ მზად ვართ ყველა კონტინენტის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი, ურთიერთებლსაყრელი თანამშრომლობისათვის ჩვენ გვსურს სერიოზული, თანასწორუღლებიანი კონსტრუქციული მოლაპარაკების გზით — მშვიდობიანად გადაწყვეტიოთ ყველა სადავო საერთაშორისო პრობლემა. სსრ კავშირი მზარში ამოუღდება ყველა სახელმწიფოს, რომლებიც მზად არიან პრაქტიკული საქმეებით შეუწყონ ხელი საერთაშორისო დამახუღობის შენელებას, მსოფლიოში ნდობის ატმოსფეროს შექმნას; სხვანაირად რომ ვთქვათ, იმათ, ვინც ნამდვილად წარმართავს საქმეს არა ომის მომზადებისათვის, არამედ მშვიდობის საფუძვლების განმტკიცებისათვის. და ჩვენი აზრით, საამისოდ სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული ბერკეტი, მათ შორის, რა თქმა უნდა ისეთი, როგორიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა, რომელიც სწორედ მშვიდობის

შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით შეიქმნა.

ამხანაგებო, ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს გულწრფელად გვახარებს, რომ კაპობრაობის მშვიდობიანი მოშავლესა და პროგრესოსათვის ბრძოლაში მხარდამხარ მივაბიჭებთ მილიონობით კლასობრივ ძმებთან, მსოფლიო კომუნისტური და შუშათა მოძრაობის მრავალრიცხოვან რაზმებთან ერთად, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის მუდამ ერთგულნი, მხურვალე სიმპათიითა და ღრმა პატივისცემით ევკიდებით ჩვენი საზღვარგარეთელი ამხანაგების ბრძოლას მშრომელთა ინტერესებისა და უფლებებისათვის და ჩვენი მშვიდობიანი მოგვანია ყოველნაირად განვამტკიცებდეთ მათთან კავშირს.

აი, რა მინდოდა შეთქვა დღეს საერთაშორისო საქმეებში ჩვენი პარტიის გზის შესახებ, და დარწმუნებული ვართ, რომ მას სულითა და გულით მხურველად უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.

ამხანაგებო!

მთელ თავიანთ მიღწევებს საბჭოთა ადამიანები განუბრელად უკავშირებენ პარტიის საქმიანობას. მასების უსაზღვროდ ერთგული პარტია მასების სრული ნდობით სარგებლობს.

ეს-ეს არის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. მან კვლავ გვაჩვენა კომუნისტთა შეგნებისა და აქტიურობის მაღალი დონე. ხელმძღვანელ პოსტებზე არჩეული არიან ავტორიტეტის, გამოცდილი, მტკიცე ადამიანები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდიანები. თქვენ, ამხანაგებო, გვინდა განსაკუთრებით მოგმართოთ. ცენტრალურმა კომიტეტმა კარგად იცის, რაოდენ ფართოა თქვენი მრავალუბების, თქვენი საზრუნავის წრე. იცის, თუ რა ბევრი რამ არის თქვენზე დამოკიდებული ჩვენი მიზნანარე, უახლოესი და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური დარწმუნებულაა, რომ ყველაფერს იღონებთ, რათა უზრუნველყოთ სამრე-

წველო წარმოების ზრდის-სტაბილური ტემპი, სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულება, მსგებობის შრომითი აქტიურობის განვითარება, იმ ღონისძიებებზე კონკრეტული პროშელთა მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ამით პარტიის ავანგარდული როლის გაძლიერება.

ჩვენი პარტიაში ყოველგვარი არჩევითი პოსტი პასუხსაგები პოსტია. პარტიულ კომიტეტში არჩევა უნდა მივიჩნიოთ თავისებური ნდობის კრედიტად, რომელსაც პარტიის წევრები თავიანთ ამხანაგებს აძლევენ. და ეს ნდობა თავდადებული შრომით უნდა გავამართლოთ, ასეთია განვლილი კრებებისა და კონფერენციების მონაწილეთა განაწესი. ასლა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, ამ მომთხოვნ განაწესს პარტია ვადასცემს იმ კომუნისტებსაც, რომლებიც დეპუტატობის კანდიდატებად არიან დასახელებული და შევლენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

საბჭოთა კომუნისტების დაუშრეტელი ძალაა მათი რიგების შეკავშირება. ეს ძალა სრულად ვლინდება მაშინ, როცა როგორც ლენინი ამბობს, „ჩვენ ყველანი, პარტიის წევრნი, ვმოქმედებთ, როგორც ერთი კაცო“. სწორედ ასე ერთსულოვნად შეკავშირებულად მოქმედებს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი ბირთვი — ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბურო, ეს საშუალებას გვაძლევს ვიღებდეთ შემოწმებულ, ყოველმხრივ აწონ-დაწონილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განამტკიცებენ შუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის კავშირის, საბჭოეთის ხალხთა მშურ მეგობრობას.

ნამდვილად პარტიული, საქმიანი და შემოქმედებითი ატმოსფერო, რომლის შექმნასაც ამდენი ძალ-ღონე მოახმარა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის უცილობელი პირობა იყო და იქნება. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის შეზღვგომი ზრდის, ჩვენ წინაშე დასახული კომუნისტური აღმშენებლობის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინააღარო.



საპკ ნებართვით კომიტეტის პოლიტიკურს ნებრის, სსრ პარტიის პინისტრთა საგროს თაგვჯლოგარის აგნანგ ნ. ა. ტინონოვის სიტგვა

კინრფასო აგნანგაგორო

კომუნისტრთა პარტიამ, ჩვენთა ხალხთა, მსოფლიო კომუნისტრთა და მუშათა მოძრაობამ დიდი დანაჯლის განიცადეს. აღარ არის იერი ვლადიმერის ძე ანდროპოვი — ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამორჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პარტიოტი, მშვიდობისა და კომუნისმისათვის დატეხრომელი მებრძოლი.

მოკლე ვადის, წელწადზე კოტა მტეხნის შინძილზე ხელმძღვანელობდა იერი ვლადიმერის ძე ცენტრალურ კომიტეტს. მაგრამ ამ დროის განმავლობაში ძალზე ბეგერი რამ მოასწრო. პარტიამ, რომელიც ვანუბრეულად მისდევდა და შემოქმედებითად ამდიდრებდა XXVI ყრილობის კერსს, სკვპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.

მრავალმხრივი იყო იერი ვლადიმერის ძის მოღვაწეობა პასუხსაგებ პოსტებზე, რომლებსაც პარტია ანდობდა, იგი მთელ ძალ-ღონესა და ცოდნას ახმარდა ხალხის ინტერესების სამსახურს.

თითოეულ ჩვენგანს კარგად ახსოვს იერი ვლადიმერის ძის დრამაშინარისანი გამოსვლები სკვპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და მომდევნო პლენუმებზე, გამოსვლება, რომლებზეც ჩამოყალიბებულა სოციალისმის უბრატესობათა რეალიზაციის, კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა ვადუბრის მკაფიო პროგრამა.

იგი მარჯვედ და ენერგიულად წარმართავდა ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიკური საქმიანობას, რათა დაერაბმა კომუნისტები, ყველა მშრომელი ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის, სახალხო მებრუნებრების მართვის სრულყოფისათვის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის.

იური ვლადიმერის ძე მუდამ ყურდნობოდა

კოლექტორ გამოცდილებას, ზუსტად უღებდა ალოს საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნელებებს და დიდ პირად წვლილს მატებდა პარტიის მუშაობას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ვადიდებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ვაუმჯობესებისათვის.

იგი ვანუბრეულად იბრძოდა პარტიის მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კერსის — თერმოზიტეული ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ბრიკების მტკიცე მოგერიების კერსის თანამიმდევრული რეალიზაციისათვის.

ყველანი დრმად განვიცდიოთ დიდ უბედურებებს, რომელიც ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ეწვია, მაგრამ ლენინელ კომუნისტთა ვალია, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ, განამტკიცონ პარტიისა და ხალხის ერთიანობა.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სკვპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმო მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს პარტიის ურყვე მისწრაფებას — კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად იაროს სწორი ლენინური კერსით.

ვანუბრეულად და მიზანდასახულად განხორცილდება გეზი, რომელიც შეიმუშავეს სკვპ ისტორიულმა XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებში, გეზი, რომლის მიზანია უზრუნველყოფით წარმოების ინტენსიფიკაცია. ავამდლოთ ეკონომიკის ეფექტიანობა, დავაჩქაროთ მკონერულ-ტექნიკური პროგრესი, ვანეახორციელოთ სასურსათო პროგრამა, კიდევ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

პარტია კვლავაც განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმებრნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევ კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მჭურ მეგობრობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია

და საბჭოთა სახელმწიფო მუდამ უერთგულებენ ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეალებს, სოციალური პროგრესის იდეალებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

პოლიტიბურომ განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საკითხი და ერთსულოვნად დაამატა პლენუმს შემოვთავაზო ავირჩიოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნად ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენჩიკო.

კონსტანტინე უსტინის ძემ დიდი ცხოვრებისეული სკოლა გამოიარა. მან იცის ძველი გლეხსაყურბი და ჯარისაყურბი სამსახურები, ხოცის რაიკომის უოველდღიური მუშაობაც.

იგი შრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა პარტიული მუშაობის პასუხისაგებ უნებებს კრასნოიარსკის, პენზის, მოლდავეთის პარტიულ ორგანიზაციებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

სადაც უნდა ემუშავა კონსტანტინე უსტინის ძეს, იგი ყველგან იჩენდა თავს მასების ნიჭიერ ორგანიზატორად, მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტად, ჩვენი დიდი პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ურყევე მებრძოლად.

კომუნისტები, საბჭოთა აღმავანები კონსტანტინე უსტინის ძეს კარგად იცნობენ როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ლენინური ტაბის ისეთ ზღვამდევანელთა ერთგულ თანამსაგარეს, როგორებიც იყვნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი და იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროსა და სამდივნოში მუშაობისას კონსტანტინე უსტინის ძემ ბევრი რამ იღონა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური სტილის განვითარება-დამკვიდრებისათვის, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრივი განვითარების საკენძო საკითხთა ღრმა გაგება, რეალისტური მიდგომა მიღწეულისა თუ გადასაწყვეტი პრობლემების შეფასებისადმი, მძალი მომთხოვნელობა ყდრების მიმართ და ამასთანავე კეთილმოსურნე დამოკიდებულება მთადამი, მშრომელთა ინციპიტაციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობა.

კონსტანტინე უსტინის ძე გამოირჩევა უნარიით ფრთა შეასხას აღმავანებს თავისი უნერგიით, ნებისმიერი საქმისადმი ნოვატორული

დამოკიდებულებით, შეაკავშიროს ამხანაგებნი ერთსულოვანი კოლექტივით. — მტკარობისათვის.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მისი მუდმივი მოთხოვნელობა იქონიოს მასებთან კავშირი ურთიერთობა. მისი ყურადღება ყოველი აღმავანის ბედისადმი — იქნება ეს ნიჭიერი შექნიერი თუ წარჩინებული მეტალურგი, ჯარისკაცის დედა თუ ახალგაზრდა მწერალი.

კონსტანტინე უსტინის ძეს თვალსაჩინო როლი ეკუთვნის განვითარებულ სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემების დამუშავებაში, ხანგრძლივი პერსპექტივისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის ერთიანი კონცეფციის შექმნაში.

კონსტანტინე უსტინის ძე უაღრესად აქტიურად მონაწილეობს ჩვენი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებათა ჩამოყალიბებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობაში საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განსამტკიცებლად.

ჩვენმა სამხედრო მუშაკებმა იცინა, თუ რაოდენ ბევრს მუშაობს კონსტანტინე უსტინის ძე საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან, შეიარაღებული ძალების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვასთან, არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის იდეურ წრთობასთან.

პოლიტიბუროს სწამს, რომ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერენჩიკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე ღირსეულად გაუძღვება ჩვენი პარტიის მებრძოლ შტაბს.

კომუნისტებს, ყველა საბჭოთა აღმავანს, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, ხელთ აქვთ ზუსტი და მკაფიო სიმოქმედო პროგრამა, რომელიც პარტიის XXVI ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა შემომწვევის, ოპტიმიზმით შეპყურებენ მომავალს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული შრომით უზრუნველყოფნ ჩვენი დიდი სწომობლის შეზღვაობა იყავება.

სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნებრის, სსკპ ცენტრალური კომიტეტის პლიენის ამხანაპ მ. ს. გორბაჩოვის გაპოსკლა

ამხანაგებო! ვამთარებთ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმს, რომელიც პარტიისა და ხალხის ცხოვრების პასუხსაგებ მომენტში შეიკრიბა. პლენუმმა ერთიანობისა და დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა. პლენუმზე პარტიისა და ხალხის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით გადაწყდა ხელმძღვანელობის მემკვიდრეობითობის საკითხები.

პლენუმმა ცხადყო, რომ პარტია კვლავაც გააყვება ლენინერ კერსს, რომელიც შეიმუშავეს სკკპ XXVI ყრილობამ, ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმებმა. ამის აშკარა დადასტურება იყო ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ერთსულოვანი არჩევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვენერალური მდივნის პოსტზე.

პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკისა და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის პრობლემებზე იმ დებულებებისა და დასკვნების სრული მხარდაჭერა, რომლებიც გამოთქმულია მის გამოხვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დღევანდელ პლენუმზე.

ნება მიბოძეთ პოლიტბიუროს სახელით გამოვთქვა რწმენა, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრები, პლენუმის ყველა მონაწილე, დაბრუნდებიან რა ადგილებზე, პარტიულ ორგანიზაციებში იმოქმედებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმისათვის დამახასიათებელი ერთიანობისა და დარაზმულობის, მოპოვებულობისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

ვისურვებთ წარმატებებს მუშაობაში.
პლენუმი დახურულად ცხადდება.



სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს
სსკპ ცენტრალური კომიტეტის პლიენის
ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გაპოსკლა



კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო
დაიბადა 1911 წლის 24 სექტემბერს კრასნო-
იარსკის მხარის ნოვოსელოვის რაიონის სო-
ფელ ბოლშაია ტესში, რუსია.

1931 წლიდან არის სკკპ წევრი. განათლე-
ბა უმაღლესი — დამთავრა პედაგოგიური
ინსტიტუტი და სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტ-
თან არსებული პარტიორგანიზატორთა უმაღ-
ლესი სკოლა.

შრომითი ცხოვრება კ. უ. ჩერნენკომ ადრეუ-
ლი ასაკიდან დაიწყო, როცა მოუხამაგირედ
მუშაობდა კულაკებთან. მთელი მისი შემდგო-
მი შრომითი საქმიანობა დაკავშირებულია
ხელმძღვანელ მუშაობასთან კომკავშირულ,
შემდეგ კი პარტიულ ორგანიზებში. 1929-1930
წლებში კ. უ. ჩერნენკო იყო სრულიად საკავ-
შირო ალკკ კრასნოიარსკის მხარის ნოვოსე-
ლოვის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტა-
ციის განყოფილების გამგე. 1930 წელს მო-
ხალისედ წავიდა წითელ არმიამში. 1933 წლა-
მდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში, იყო
სასაზღვრო საგუშაგოს პარტიული ორგანიზა-
ციის მდივანი.

ჯარში სამსახურის დამთავრების შემდეგ
კ. უ. ჩერნენკო მუშაობდა კრასნოიარსკის
მხარეში: პარტიის ნოვოსელოვისა და უიარის
რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის გან-
ყოფილების გამგედ, კრასნოიარსკის მხარის
პარტიული განათლების სახლის დირექტო-
რად, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კო-
მიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყო-
ფილების გამგის მოადგილედ, პარტიის სამხა-
რეო კომიტეტის მდივანად.

1943 წლიდან კ. უ. ჩერნენკო სწავლობს
სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ
პარტიორგანიზატორთა უმაღლეს სკოლაში. სწა-
ვლის დამთავრების შემდეგ 1945 წლიდან მუ-
შაობს პარტიის პენზის საოლქო კომიტეტის
მდივანად. 1948 წელს გაგზავნეს მოლდავეთის

სს რესპუბლიკაში და დამტკიცეს მოლდავე-
თის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების
გამგედ. ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან
დიდი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარა რეს-
პუბლიკაში ეკონომიკურ და კულტურულ
შეწინებლობას, მშრომელთა კომუნისტურ აღ-
ზრდას.

1956 წელს კ. უ. ჩერნენკო დაწინაურეს
სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში სა-
მუშაოდ, სადაც იგი სათავეში ჩაუდგა სექ-
ტორს პროპაგანდის განყოფილებაში, და ამა-
ვე დროს დაამტკიცეს ჟურნალ „აგიტატორის“
სარედაქციო კოლეგიის წევრად. 1960 წლი-
დან იგი მუშაობს სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსად.
1965 წელს კ. უ. ჩერნენკო დაამტკიცეს სკკპ
ცენტრალური კომიტეტის საერთო განყო-
ფილების გამგედ. 1966-1971 წლებში იგი
სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კან-
დიდატია. პარტიის XXIV ყრილობაზე (1971
წლის მარტი) მას ირჩევენ სკკპ ცენტრალური
კომიტეტის წევრად, ხოლო 1976 წლის მარტ-
ში პარტიის XXV ყრილობის შემდეგ გამარ-
თულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმ-
ზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანად.

1977 წლიდან იგი პოლიტიბუროს წევრო-
ბის კანდიდატია, ხოლო 1978 წლიდან — სკკპ
ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევ-
რი. იგი სსრ კავშირის მე-7 — 10 მოწვევის
უმაღლესი საბჭოს და რუსეთის ხესრ მე-10
მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. კ. უ.
ჩერნენკო იყო საბჭოთა კლდეგაციის წვერი
ვერობის უშიშროებისა და თანამშრომლობის
საერთაშორისო თათბირზე (პელსინკი, 1975
წელი). მონაწილეობდა ჰენამი განაარადების
საკითხებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებაში
(1979 წელი).

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო კომუ-



ნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეა. ყველა პოსტზე, რომელიც კი პარტიას მიუნდვია მისთვის, იგი ავლენდა დიდ ორგანიზატორულ ნიჭს, პარტიულ პრინციპულობას, ლენინის დიადი საქმის, კომუნიზმის იდეალების ერთგულებას. კ. უ. ჩერნენკო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაზრდის, პარტიული და სახელმწიფო მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების აქტუალური საკითხებისადმი მიჭლენილი მთელი რიგი სამეცნიერო შრომების ავტორია. სკკმ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერნენკომ გააკეთა

შოხსენება, რომელშიც განსხვავებულია თანამედროვე პირობებში სკკმ-ის ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესების მთავარი მიმართულებანი.

სამშობლოს წინაშე დიდი დასახურებისათვის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენით, საბჭოთა კავშირის ბევრი მედლით. იგი ლენინური პრემიის ლაურეატია.

კ. უ. ჩერნენკო დაჯილდოებულია სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი ჯილდოებით.



**საკვ ცენტრალური კომიტეტის,
სსრ კავშირის უმაღლესი საჭრს პრეზიდიუმის,
სსრ კავშირის მინისტრთა საჭრს
მ ი მ ა რ ტ ვ ა
კომუნისტურ პარტიას, საჭრთა ხალხს**

ქვირფასო ამხანაგვამო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამორჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

მისი სიცოცხლე პარტიისა და ხალხის ინტერესების, ლენინის დიადი საქმის თავდადებული სამსახურის ნიმუშია. ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით შრომობდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, იგი თავის ძალღონეს, ცოდნას, უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ახმარდა პარტიის პოლიტიკის განუხრეულ განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას. დიდი პოლიტიკური ხელმძღვანელის თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა ი. ვ. ანდროპოვის მთელ მრავალმხრივ საქმიანობაში — კომკავშირულ სამუშაოებზე და კარელიაში დიდი სამამულო ომის წლების მანძილზე პარტიზანული მოძრაობის ორგანიზაციაში, პარტიული და დიპლომატიური მოღვაწეობის პასუხსაგებ უბნებზე. დიდი შრომა გასწია მან ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების განსამტკიცებლად.

ამხანაგ ანდროპოვის — ლენინური ტიპის ხელმძღვანელის უდიდესი ნიჭი და ორგანიზატორული ტალანტი მთელი ძალით გამოვლინდა საკვ ცენტრალური კომიტეტის ვენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე მუშაობისას.

სანმოკლე იყო ი. ვ. ანდროპოვის მოღვაწეობა საკვ ცენტრალური კომიტეტის მეთაურად. მაგრამ ამ დროის მანძილზე პარტიამ, რომელიც XXVI ყრილობის კურსს ადგას და შემოქმედებითად ავითარებს მას, უჭრუნველყო ქვეყნის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, მათი ურდვევი ერთიანობის განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები გახდა საკვ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1988 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმები. პლენუმების გადაწყვეტილებებში, ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში განვითარდა

კ. მარქსის სახ. ნაწ. 11/4



საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა



იური ვლადიმერის ძე ანდროკოვი

რბული და დაკონკრეტებული იყო პარტიის თანამედროვე სტრატეგია — მოწინააღმდეგე სოციალიზმის სრულყოფის სტრატეგია.

ამ პერიოდში პარტიისა და ხალხის ძალისხმევა ხმარდებოდა ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას, სახალხო მეურნეობის მართვის გაუმჯობესებას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებას, მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას.

პარტიის ღონისძიებანი ექვემდებარება ერთ მიზანს — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წრდას. ყოველივე ამაში დიდია იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის დამსახურება.

მნიშვნელოვანია ი. ვ. ანდროპოვის წვლილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივ თანამშრომლობის განვითარებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მშუათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერაში.

მისი ხელმძღვანელობით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებდნენ საერთაშორისო ანტიკაპიტალიზმის ლენინური საგარეო-პოლიტიკურ კურსს — თერმობირთვული ომის საფრთხის აღკვეთის, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების უკუგდებას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კურსს.

ამ მწუხარების დღეებში კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირავშებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გარშემო. საბჭოთა კავშირის მშრომელებს კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ ნაცად, კოლექტიურ ზედადად, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც ხალხის საარსებო ინტერესებს გამოხატავს. პარტიის ლენინური კურსი ურყევია. პარტია აღჭურვილია სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მიერ შემუშავებული მოქმედების ნათელი და მკაფიო პროგრამით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც მტკიცედ და მიზანმიმართულად განახორციელებს წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის გაძლიერების, ხალხის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის გაუმჯობესების ამაღლების გეზს. იგი განამტკიცებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ურღვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, განავითარებს სოციალისტურ დემოკრატიას, აღწრდის ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნისმის დიადი იდეალების ერთგულების სულისკვეთებით.

ახლანდელ რთულ, საშიშად გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ თანამიმდევრულად დაიცვან მშვიდობის საქმე, გამოიჩინონ მტკიცე ნებისყოფა და სიფიზღე, გადაჭრით ჩაშალონ იმპერიალიზმის ავანტიურისტული ზრახვები, განამტკიცონ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება.



ოტია იოსელიანი

შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

თავი მეთხუთმე

1.

ზამთარი რომ მიიწურა და დამბუნდა, ავთანდილ ბოკერია პოსპიტლიდან გამოწერეს და ისევ ფრონტზე გაგზავნეს.

ვარია კუდრიაშოვას მრგვალ, სხვადასხვა ფერის თვალეებში ჩანთებული ვნება ბოკერიასთანა ქალზე სულწაბულ ჭარისკაცს კი არა, მორწმუნე ბერს სულს ეშმაკისთვის მიაცოდვინებდა. თვალატარებულმა მეკუჭნავე გოგომ, საყვარელი ჭარისკაცი თოვლ-ჭყაპში, შეიღ-რვა კილომეტრზე, დაბომბილ საღვურამდე მიაცილა და შეღამებისას, ნალმით გვერდგამობდღენილ, შეისრის ბუდრუგანაში უკანასკნელად დანებდა.

შულამისას, გულატარებული ავთანდილი სახელდახელოდ აღდგენილ ლიანდაგზე ორი კინკილა ვაგონით შემოხრივინებულ ორთქლმავალს შემოახტა. ცეცხლფარეშთან, ნახშირზე დამხობილ ყუთზე ჩამოჯდა და ვარიას ცრემლებით დასველებული გულისპირის გაშრობა სცადა.

ფრონტის მიმართულებით, რკინიგზაზე სანამ გაივლებოდა, მატარებელს უნდა ეჩქარა, რომ დილას არ მოესწრო და დაგეშილ მიმინოებივით „მესე-

რებს“, ფრონტეხილი მწყერივით წინ არ გამოეგდოთ.

ავთანდილმა ვარიას გულისპირის შეშრობაც ვერ მოასწრო, რომ გზა დანალმული და დანგრეული აღმოჩნდა. ორთქლმავალმა ის ორიოდვე ვაგონი ბნელში, საღვაც სტანციის ჩიხში მიატოვა. ათიოდე, დაჭრილებიანი, დაგლეჯილი ვაგონი ფაცხა-ფუცხით მოიბა და უკან მოცოცხა.

ფრონტი საით იყო, ვინ არ იცოდა, მაგრამ მისი პოლკი სად იდგა, ვინც იმ ნაწილში იბრძოდა, ის ჭარისკაციც ვერ გეტყოდა, ჭარისკაცმა მხოლოდ ის იცის, მიწაში ჩამძვრალი თავს რომ ამორგავს და რასაც მაშინ თვალით დაინახავს. დივიზიის შტაბამდე უნდა მიედწია და მერე რაღაცას მიაკვლევდა. კაცმა არ იცის, რა სისხლის ფასად, მაგრამ რაც ავთანდილის ასეთლმა მდინარე გადალახა და მტრით გულგამოტენილი მადლობების გრებილი დაიკავა, ეტყობა, ბუდეანგრეულს ჩაციხესიმაგრების საშუალება მისცეს. რამდენადაც გიჟირს ღღედალამ ტყვიის წვიმაში ზეზეურად მთვლემარეს მოწინააღმდეგის ღვენა, იმდენად წინა ხარ. ერთი ღამის ძილს, ზოგჯერ, ათი ღამის უძილობით და ზუთჯერ მეტი მსხვერპლითაც ვერ გამოისყიდო.

გერმანელები, წინა ხაზთანაც კი, მიწურებში ღრებებს მართავენ.

„მაგი დაღუპავთ მაგათ, ვიცი მე! — ფიქრობდა დაწყვეტილ ღონდაგებში გზას ფეხით დამღვარი ბოკერია, — ქეიფი თუ უნდოდა და შნაპსი და შოკოლადი ჰქონდა, ვერ დაეტია სახლში? მე მაგი, შარშანწინ, მოსკოვთან რომ ფიცრულში გაყინული ფრიცები ვნახე, გულზე ჩამოკიდებული დაძეგლილი ავტომატებით, მაშინ ვთქვი. წასულია მაგათი საქმე, მაგრამ, ამ საღამოს მე რომ გულზე ვარია მომგლიჯა, ყველა ეს უბედურება მართო იმად ღირს? ჩემი ბიჭების სისხლზე რომ არაფერი ვთქვა? თფუი!“ — მაგრამ ავთანდილს ისიც ახსოვდა, შარშანწინ, მოსკოვთან შეკავებულმა მტერმა, შარშან ზაფხულში რა ამბავი დააწიათ — ჩრდილო კავკასია კასპიის ზღვამდე გადაბუჯა.

ტრამალის ნესტიანი, ცივი ქარი სახეში სცემდა. ამდენხანს ჰოსპიტლის და ვარიას თეთრეულში ნაფუფუნებს, მაზარის საყელომ და თვალებზე ჩამოფხატულმა ყურებიანი ქუდის საშუბლემ გერაფერი უშველა. ზურგჩანთიდან მეორე ხელი პერანგი ამოიღო და ცხვირ-პირი შეიფუთა.

ჩქარა ევლო, დაიღვებოდა, ნელა — სიცივე გათოშავდა. საშველი არ ჩანდა, მაგრამ დგომა და ცდა, რომ ხსნა თავისით მოვიდოდა — სისულელე იყო. საცაა გათენდებოდა და თუ დღე მართლა ღამეზე ბრძენია, იქნებ რაიმე ტრანსპორტს გადაყროდა.

ჭარისკაცთ სანგრებში ჯოჯოხეთურ ყოფსაც კი როგორღაც ეჩვევა და სკვარისა საღმე ერთი კვირა სული მოითქვას, თვითონაც აღარ სჯერა რასაც გაუძლო და გადაიტანა. ჰგონია, ამას მეორედ ვეღარ შესძლებს და, რაც გაეწყობა, ფეხს ითრევს. დასჯის შიში რომ წინ არ ერეკებოდეს, არავინ იცის სად ჯანდაბაში გადაიკარგებოდა. ფრონტელისათვის ჰოსპიტალიც ფუფუნებაა. ასე ნაწამები და ნავეადყოფარი ბოკერია მალე იღლება. ვარედან კი არა, შიგნიდანაც, გულ-ღვიძლი და შიგნეუ-

ლიც კი უცოდება, ფეხებს ძლივს მიანლაწუნებს. მაზარის საყელო კისერს და ყბებს უხეხავს და ტყვარი იმიტომ ეწვის, კანზე დადებული ფრონტის ქუქუცი, ქერცლი და ჯონგილე რომ მოიცოლა. ხეშეში, აქერცლილი ტყავი გადაიძრო, ძილიც ხომ, ჰოსპიტლის შემდეგ, ხელს დაგრევეს და თვალებს ზეზეურად გიხუჭავს...

ბოკერიასთანა ჭარისკაცებმა იციან, წინ ერთადერთი გზაა. „უბრძელმა რაც იკლავ, ის იხტუნა“ და ფრონტთან ბრძალი და მიღგომ-მიღგომა უარესია. წამოგავლებს ვინმე ხელს და საღმეც, სისხლის საღვრელად, მიგადენის. მე ყველა, წოდებით შენზე უფროსი, უფროსია და ბრძანების შეუსრულებლობისთვის ადგილზე გაგაციოვებს...

ტრამალის ამ მსუსხავ ქარში, ბამბის ძაფვით დაწყვეტილ ღონდაგების მიწაყრილზე ავთანდილი ვერ ჩამოჯდება და ვერც ახლომასლო, მტრითა და მოკვრით აწიოკებულ, ნანგრევებში თავშეფარებულ სოფელს ვერ მიადგება.

უნდა იარო!

ჭარისკაცმა იცის ფეხზე ძილი და სირბილისას მოშარდვა, ამიტომაცაა იგი ჭარისკაცი. ამ თვალუწვდენელ ტრამალზე, კაცისა და ბომბისაგან გადათბრილ: ბათინეთ, ფლოქვით, ფურგონით და საწევართ, მანქანითა და ტანკით გარდი-გარდმო დაჩეხილ, დაოშილ, ამობრუნებულ მიწაზე, სადაც ადამიანისა და ტექნიკის, თავშესაფრის და ნასახლარის ამდენი ნამუსრევი და ნასაღვარი ერთმანეთშია ათქვეფილი და ამზღველული, ვერავითარი გულთმისანი, დღისთავი, მხარეებს ვერ მოიწამებს. ჭარისკაცი კი მთაბინდრიებს თავის აელა-დიდებს და მიდის. ფიქრებშედეგებულს და გონებადარღუნებულს ვერც ყინვა აკავებს და ვერც ქარიშხალი, არც ტყვიის სისინი აფრთხობს, არც აფეთქების ხმა, არც დაჭრილის კენესა, არც მკვდრის უსაფლავობა. ეს ჯოჯოხეთი მისთვის ნაცნობია, ჩვეულებრივი და, როგორც საკუთარი სახლის გზას, ისე იპოვის თავის

სანგარს და შიგ ჩაწვება. მერე კი, თუ მართლა „ღმერთი არ გაწირავს, კაცსა შენგან განაწირას?..“

2.

დივიზიის შტაბში ავთანდილი არ გაჩერებულა. თავისი პოლკის ასაველდასაველი იკითხა და, მუხლებდაწყვეტილი, გულგაყინულ ჭაობებიან გზას დაადგა. ეს კი იყო, შავლეგიშვილის პოლკის ხსენებაზე, თავი უამურად გადააქნიეს, რაც ბოკერიას არ გაკვირებია.

შავლეგიშვილი უფროსობას არც მანამდე უყვარდა. მარტო ხელქვეითებთან კი არ იღირებოდა და იგინებოდა, ვერც უფროსებთან ახერხებდა ენაზე კბილის დაქერას; მაგრამ სხვამ თუ არა, ავთანდილმა იცოდა, ჭარისკაცთა ტყუილუბრალოდ ვასაწირად ენანებოდა. როგორც „კი, ბატონო“, „კი, შენი ჭირიმე“, ვერ ისწავლა, ვერც — „გაწირე და გაიმარჯვე!“ შეიგნო. თავის პოლკს ყოველ საცოდავ ჭარისკაცში ხედავდა და კრუხივით იყო მათზე გადაფოფრილი. ახლა, როცა ომის ტაქტიკიდან უკანდახევა ამოიღეს და შიდაღლები ადგილზე უნდა დაეხვრიტათ, მშიშარები გულადებად ექციათ, შავლეგიშვილის საქმე სახარბიელოდ ვერ იქნებოდა.

„ვიცი, მე მავას ახლა ძალიან ვკირღები“. — ავთანდილმა თავისი ფსიცი ნაღდად იცოდა და, უფროსებისაგან აძულებულ პოლკის მეთაურს ერთგული და ნაცადი ოფიცერი რად უღირდა, ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა.

ამ გადათხრილ, აშირხალეზულ ჭენჭყოსა და თოვლ-წყალ-ტალახში მოჩალახუნე ბოკერია იმასაც ხედავდა: მონაგონი არ იქნებოდა ის, რაც აქამდე ენახათ. აქ, ალბათ, ორმოს გათხრაც არ მოხერხდებოდა, ორმოა მებრძოლის ერთადერთი მფარველი და პატრონი. ჭარისკაცის იარაღი თოფი და ნიჩაბია. მაგრამ უთოფობა ისე თავზარდამცემი არაა ტყვიის წვიმაში, როგორც უნიჩობა. ნიჩაბი იგივე ფარი

და ჭავშანია, წაიქცევს და ხელში უჭირავს; ხელჩართულ ბრძოლაში ხომ თოფზე მოხერხებულად და მარჯვედ ხმარობს, იცავს თავს და აშავებს მტერს. ტყვიის, ბომბის და ყუმბარის თავსხმაში, თვით ღმერთმა რომ მოინდომოს, შენი გამკითხავი არაა, ერთადერთი მფარველი და მხსნელი — მოკლეტარიანი, ხელისგულის სიფართე ნიჩაბია, რომელიც გამალებით მუშაობს და „გაშენებს“ ციხე-სიმაგრეს. უნიჩობდ მიწის ზევით ამოვადებული თხუნელა ხარ, ვისაც უნდა ფეხს წამოგკრავს და გაგსრესს.

თოფი შენივე მტერია, იმისთვის უნდათ შენი მოსპობა, ხელში რომ თოფი გიჭირავს, თორემ შენთვის თავს ვინ აიტკივებდა. თოფი უნდათ გაგადღებინონ და ამიტომაა, რომ ცას და ქვეყანას თავზე გაქცევენ. თოფი კი არ გიცავს, გლუპავს. ზოგჯერ, ნიჩბის წყალობით, იმისთანა ხვრელში ხარ გასუდრული, მტერი კი არა, მოყვარე ვერ მოგაგნებს. ვაისვრი თოფს და გათავდა შენი საქმე — მტრისთვის საშიში ხარ და თანაც იცის, სადა ხარ. სანგარის რომელიმე მხარე თუ ისევ ღრმად არ გამოთხარე და კურდღელივით უკან მიწა არ მიიყარე, არტილერიას და ავიაციას გინდაც გააღერჩე, ნაღმებს, მწიფე მსხალი რომ დაგირხევი, ისე პანტაპუნტით დაგაყრიან.

ნიჩაბი რომ მუშაობს, იმედიანად ხარ; ეულს, უსახლკაროს, მტრის სამიზნედ ტრიალ მინდორზე გამოვადებულს, ქარი და ყინვა რომ გაზრობს და ცა და ქვეყანა შენს მოსასრავად ამხედრებულა, ნიჩაბი კურდღელივით გითხრის სოროს, მიძვრები შიგ და გარედან გნისაობენ ლაშებზე დუქომოდგარი ნავაზები, ხვრელის თავზე ტყვიები ბალახს თიბავენ, შენ კი ზიხარ გულაფანცქალებული ხვრელში, ხმელი პურის ქერქს ნერწყვით ასველებ და, სურავენდიანი, წინა კბილებით ლოღნი.

ნიჩაბი უსამართლოდ, უღვთოდ ნაცემი ბავშვის — დედის კალთაა, სადაც თავზე ხელს გისვამენ, ტირი და

შეურაცხოფილი გულს იოხებ. იოხებ, რაკი თავი სახლში დაიგულე, რაკი პატრონს ჩაბარდი, რაკი დამყვავებელი გაგიჩნდა და ყველასაგან მოძულებულს — მფარველი. თუ ამ წარღვნაში ვინმე კიდევ დაბოგინობს და ხვალაც დარდილის იმედი უჭიატებს, სასწაულისა კი არა — ნიჩბის იმედით.

ნიჩაბი ჯარისკაცისათვის მართო ციხე-სიმაგრის კირით ხურო კი არაა, სამზარეულო და დიასახლისია. იგია ტაფა და კეცი, ქვაბი, სუფრა, თეფში და ჯამი. ნიჩაბი რომ გაყინულ კარტოფილს, ძირხვეწებს, სიმინდს და ცხენის მძორს დაბრაწავს, ქვაბი და ჭოთანი მონაგონია. ნიჩაბს სისქვეც აქვს, რომ კერძს არ შეუღუსროს და შეითარტლოს, თან მუდამ სუფთაა, მიწით და სილით გაფერილი და გახეხილი.

ახალბედები თოფს ელოლიავენბიან, ეამაყებათ და ეიმედებათ. ნიჩაბს ამრეზით უყურებენ, რა ქნან, წესდებას რა უყონ, თორემ მხარზე თოფმოგდებულ, თავმოწონედ გაჯგიმულ ჯარისკაცს ნიჩაბს წელზე დაკიდება წელს წყვეტს — მთელ მის მხედრულ კომპწიაობას, წყალში უყრის ჰგონია. სადმე გოგოებს თუ გადაეყარა, იმის ცდაშია, ისე მიბრუნდ-მობრუნდეს, ქალიშვილებმა „მახინჯი“ — ნიჩაბიანი მხარე არ დაუნახონ. თოფს პირიჭით, გამოსაჩენ მხარეზე გადმოიტანს და არც მათარას თაკილობს, თუ შალითაშია ჩასმული. კარდალაც ნერვებს უშლის, მაგრამ ამიტომ ემადლიერება ზურგჩანთას. ქვაბუნაში ჩატენის ფეხსახვევებს ან პერანგს, რომ აღვილიც ცოტა გაუთავისუფლოს და არც იხრიგინოს. ნიჩაბი კი... როგორც შუბი ხალთაში არ დაიმალება, ისე ნიჩაბი — ჩანთაში. უნდა ჩამოიკიდო ქამარზე; იმის გარდა, რომ უშნო და ულახათოა, ქამარსაც ქვევით ქაჩავს, წელს და ტანადობას გიუშნოვებს. საწვრთნელი ვარჯიშებია და... ნიჩაბთა გაქვს ხელისგულები დაბუშტარებული და სისხლი გდის. თხრი, ავსებ და ისევ თხრი: დგომელა, დარჩილი და დაწოლილი.

გითხერის შინელს და გალაფე-გინანასტურს, ბათინკებს ძირს აფდუბინებს... სულ სხვია, თოფით, ლობურებში ხიშტით ჩხვლეტა. სროლა ხომ ყველას სჯობია. თავიდან კი გაქვს თოფის ხმის და უკუდარტყმის შიში, თორემ მერე და მერე, ნიშანს თუ ახედრებ და შეთაურმაც მოგიწონა, კიდევ გეხალისება...
 ან მაგრამ ფრონტზე... ნიჩაბი დედასავითაა, მუდამ კარგს რომ აკეთებს შენთვის და ვერ ხედავ, სანამ მის კალთას არ მოგწყვეტენ, ან არ დაკარგავ. მეომრისათვის ნიჩაბი ციხე-სიმაგრეა — სიცოცხლის იმედი და რწმენაა. თოფიანი, მაგრამ უნიჩაბო ჯარისკაცი, მგლის ხროვავში შეგდებული თხაა, — რქები აქვს, იბრძოლოს.

„აქ, ამ ქაობებში, თუ ამის საშუალება არაა! — მოკერიათ თავი უნუგეზოდ გადააქნია, — აქ თუ ორმოს ვერ გათხრი და მფარველს ვერ გაიჩენ, რა დაგიფარავს? ვინ დავისვამს ხელს, „კურღლელო“, და დუეჩამოდენილი ნაგახისგან ვინ დაგიცავს, ნიჩაბით სორო თუ ვერ გაიჩინე?“

3.

პოლკის საკომენდანტო პუნქტში ავთანდილს შავლევიშვილი არ დაუხვდა. უთუოდ განსაკუთრებული განყოფილების უფროსი იყო, რომ დაუღრინა: — „მაგი, შენ ახლა მოდი და... მე მთელ კვირაა ვეძებო!“

„გარეთ, ჩამავალი მზე კიდევ ჩანდა, მაგრამ ეს დარი იყო მიზეზი, რომ მიწურში იმისთანა შეხუთული, მყავე ნესტი ჩავუბებულებო და, სამიმოსვლო, მიხვეულ-მოხვეულ სანგრებშიც თოვლქვაპიანი ლაფი მუხლამდე იდგა. მიწურთან ისევ ის თვალებდაბრაწული სერჟანტი აყუდებულებო, წელან ავთანდილს საბუთები რომ მოთხოვა. ძველი ნაცნობივით გაუღიმა:

— ამხანაგო, უფროსო ლეიტენანტო!.. — კაცი რომ რალაც საიდუმლოს თქმას ამირებს, ისე წამოიწყო სერჟანტმა, დალაფული ფეხსაცმელი ფეხსაც-

მელს შემოჰკრა და ხელი აუღო. ბოკერიამ უსიტყვოდ მოხედა, არც ლაპარაკის თავი ჰქონდა და არც ცერემონიალის.

— გიცანითს...

„ნუთუ აქ კადევ ვინმეს ვახსოვარ, ან ძველებიდან კიდევ შემორჩნენი“ — კარგი ნაქნარი რომ დაგიხვდება და რალაცა ისევ სიკეთისაკენ წაგაქეზებს, ისეთი ნაამები გრძნობით გაუღიმა და თავი დაუქნია: რა საიდუმლო გაქვს ის თქვით.

— თქვენ იმ ასეულის მეთაურითარ იყავით... თერგის გარღვევაზე რომ თავი ისახელეთ.

ავთანდილმა მხრები აიჩეჩა: არ ვიცო, არ მახსოვსო კი არა, მერე რა გინდა, რომ ვიყავიო.

— თქვენც იყო ის გმირობა... თუმცა ამდღობელიც...

— აქაა?..

სერეანტმა მაშინვე დაუდასტურა.

— რა თქმა უნდა, ამხანაგო ლეიტენანტო... ჩვენი პოლკის და დივიზიის...

— მადლობელი ვარ...

სერეანტი დაიბნა — ასეთი ცნობისათვის ფრონტზე მადლობას არავინ იხდის და თანაც ასეთი სახელღვანი ოფიცერი, რომელსაც ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი აქვს.

მაგრამ ეს საიდუმლო არ იყო, სერეანტს, უთუოდ, სხვა ჰქონდა სათქმელი. ბოკერია მიწურს მოშორდა, მაგრამ სერეანტი გამოედევნა:

— შავლეგიშვილი მე ვიცი სადაცაა. ავთანდილმა დაპრაწულ თვალეში ჩახედა. განსაკუთრებული, საიდუმლო ნაწილის უფროსმა არ იცოდა ეს და ამ ბიჭმა, როგორ?

— სადაა?

სერეანტი ოფიცერს სათანადო მანძილზე მეტად მიუახლოვდა.

— მოწინავე ხაზზეა. ამაღამაც იქ დარჩება...

— რომელ უბანზეა?

— ასე ზუსტად...

— ამდღობელიც სად იქნება...

— იგი ისევ თქვენს ასეულშია, ახლა თუ დახვერვაზე არაა...

— კაცო, მე ჭერ მაინც შავლეგიშვილი მინდა.

— რომ გამოვიცვლები...

— არ მინდა, მივაგნებ...

პოლკის მეთაური მართლაც მოწინავე ხაზის ღრმა სანგარში აღმოჩნდა. სრულ ტყაბუქში თავფეხიანად გახვეულა, შეთხრილში შეწოლილიყო, ცარიელა მწვანე ყუთებს მოფარებული.

იქვე მყოფი წოწოლა ჯარისკაცი დაფრთხა, კერც უცხო უფროს ლეიტენანტს დაეშალა და ვერც მძინარე მეთაურს შეებდა გაღვიძება.

თუ პოლკის მეთაური წინა ხაზის სანგრებში ეგდია, სადაც ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი მტრის შემოტევა, განსაკუთრებული განყოფილებაც ვერ მოისაზრებდა. ეს ავთანდილსაც გაუკვირდა: რატომ არ იყო თავის საკომანდო პუნქტში და აქ, ყველაზე სახიფათო ზონაში რატომ ამალეზოდა? უფროსობა წინა ხაზს ყოველნაირად ერიდება, ამ ბოლო დროს კი, წესდებითაც იკრძალებოდა (თავიდან რომ მეთაურები წინ გარეკეს და ჯარი უპატრონოდ დარჩა). ამ კაცს რა ცხელი დღე ადგას, რომ თავი მტრის ხახაში შეურავდეს...

სანგარი ისე ალაფული და ათქვეფილი იყო, მუხლს ვერ ჩახრიდი. არადა, ავთანდილს საძრიაობა ალარ ჰქონდა, წოწოლა ჯარისკაცი ხედავდა სტუმრის გასაქირს, მაგრამ, ნირწამხდარს, რა ექნა არ იცოდა.

მძინარეს ფეხები შეკეცილი ჰქონდა და ნახევარი ყუთი თითქმის ცარიელი იყო. სტუმარი მაშინვე მოიხარა და ნოტიო ხვრელში შეძვრა, რაც შეეძლო, მოკრძალებულად ჩამოჭდა.

ტყაბუქის მაღალ საყელოში მაიორს ბუშტა ცხვირის მეტი არაფერი უჩანდა, მაგრამ ავთანდილს მაინც არ გაკვირვებია მისი ცნობა. ახლა, ბეწვის ქულსა და ტყაბუქის აწეულ საყელოს შორის კვირტა თვალეშიც გამოკრთა.

ახლად გაღვიძებული ერთხანს გაირინდა და ისევ „ქვეშავებში“ ჩაძვრა.

„გაუხარდა, — გაიფიქრა ბოკერიამ, — და ამ სიზარულის მონელეებისათვის დრო უნდა. მერე წამოდგება და შემოგინებს: შენი პატრონის ქვეყანაო“.

როცა ყუთებზე წამოჯდა, სტუმრისათვის აღარ შეუხედავს.

— შენი პატრონის ქვეყანა, რა გინდოდა, რომ მოეთრეოდი!

ავთანდილმა მხრები აიჩეჩა, ზუსტად არ იცოდა, პოლკის მეთაური რის თქმას აპირებდა.

— გამეცალე, ბიჭო, შენ აქედან! — ჯარისკაცს შეუღრინა. წოწოლა, ქუსლმთქცეული ბათინკებით, რომ წაჩლახუნდა, მერე დაკრა სტუქარის მხარზე ხელი.

— ვერ დატეი, სადაც ეგდე?

— ვინ დამტკედა, თვარა, კაი შენ!

— მაშინ, სადმე ტყეში გაქცეულიყავი, ხის ძირში მანძი დაჯდებოდი.

ამაჲ დიდი მიხვედრა არ უნდოდა, პოლკს უსაშველოდ უჭირდა.

— რითომ აჯობებდა, დავიჯერო?! —

— აჯობებდა, ყველგან აჯობებდა.

აქ, შენ რომ შენ ხარ... — ტყაპუჭიდან ხელის თითები გამოაჩინა და მკვეთრად გაიქინა: არაფერი გიჩხინისო.

— სადაც თქვენ, იქ მე... — სცადა ავთანდილმა ნუგეში, თუ თანაგრძნობა.

— მე ისედაც არა ვარ კარგად... ტყვიაც არ დამჭირდება. ჯერჯერობით, ღამით მანძი ყინავს, მალე წყალში ავცურდებით.

— ეტყობა მაგას, ძალიან ჰაობიანია...

— თავს ვერსად შევაფარებთ.

— ამხანაგო მაიორო, ჩვენს მტერს ჩვენზე მეტად უყვარს თავი, როგორც მე ვიცი.

— გაიხედე ერთი, თუ ზეგნები დაერქმევა და სადაც ხალხი ცხოვრობდა, მთავთ უჭირავთ. ირგვლივ კი სულ დამბალი ჰაობები.

— მაშინ რაღას ვუტეოთ, მაცოდინა, მთლად რომ წყლად იქცევა ქვეყანა?!

— ახლაც შეუტეი, თუ გინდა, ვინ გიშლის.

— სულ არაფრის სიშუალეგა არა გვაქვს?

— არაფრის, ვარდა ნებართვისა... ზირიქით, მაგის ბრძანებასაა, რომ ვემალები აქ! ერთხელ გადამცეს ტრიბუნალს...

ბოკერიამ თვალში შეხედა: მართალს ამბობ? რაღაცა ამდაცვარი, მართლა მოხდაო?

— ჰო, ჰო! არ შეევედი ბრძოლაში და იმიტომ.

— არ შეიძლებოდა, ალბათ...

— არ შეიძლებოდა, შენი პატრონის... — თავი გაიქინა, — იმათი პატრონის... არტილერია მდინარის გაღმა დაყარეს და აქიდან, მტრის მაგიერ, ჩემი წინა ხაზი დააქცია. სად შევსულიყავი?!

— გადმოტანის შეშინებიათ...

— სად შემეყვანა, რატომ არ კითხულობ?

— მერე, ტრიბუნალს რატომ, კაცო!

— ბრძანება არ შევესართლე. კომისიაში პეტროვი რომ არ ყოფილიყო, დამხვრეტდნენ. პეტროვმა იცის, რამდენზე წვდება ჩვენი ქვეშევები და საიდანაც ისროდნენ, მე არ გადამცდებოდა.

— მოხვდათ?..

— ამ ჰაობში არ შემოვიდოდი, ძალით შემომდენეს. ახლა დამდევენ, ბარემ ამომახჩონ.

სადაც, შორს, გრუხუნო ვაისმა. მიიორს არ გაუგონია.

„გადაგჩვევივარ ფრონტს, — გაიფიქრა ბოკერიამ, — რამდენადაც დიბალი ჩინისაა მეომარი, იმდენად ნაკლებად ესმის სროლის ხმა“.

— ან, შე უპატრონო, გგონია დივიზიას ზურგის უფროსი ჰყავს?

— აბა, კაცო, ვინ გამარაგებთ?

— არავინ. ის კუზმენკოა, თუ კუზმინი, გგონია რამეს მაქნისია? ლოთია, იმის პატრონის... ტრანსპორტი მაგას არ გააჩნია... იქაც ბრძოლა უნდა, იარა-

ლი რომ იშვავო. „შეტევა, შეტევაო!“ დაუყრებდით პირზე. რით შევეუტიო, ავიაცია მაგას არ გააჩნია და ტანკი. რას მოვადგარო ეს მშვიერი, უსუსური... შეესება... შეესება მომცეს... ბავშვები ჩამოიყვანეს სანგრებში, თავისივე ბლუზა-შარვლით... აქ ჩავაცვიტ ნაწილს, ზოგს ისევ დედამისის შეკერილი აცვია.

— საწვრთნელი სწავლება არ ხერხდება?

— რა ხერხდება, მავათი პატრონიცაა „ძველებს“ შარვლის ტოტებში არიან ჩაფრენილი, ხელი ვერ გავაშვებინდროვორ დაეხვებოდა. ჩაიბარე ბატალიონი, მიანიც უპატრონოდა, და შენ დიხოცე. სერკანტი და უფროსი ლეიტენანტი დამელუბა, უკან თუ ვახევივინებთ, წაბილწულს ტოვებენ ქვეყანას. ჭკუით იყავი, შე უპატრონო, შენი თავად არავინ გაგაძროს ნიფხავი...

— მაიორო...

— „მაიორო“, მაიორის პატრონის ქვეყანას!

განწირულ პოლკს და მის მეთაურს „მაიორი“, „გენერალი“ და „ამხანაგი“ არ უნდოდა. მეგობარი სჭირდებოდა, ახლობელი, ჳირისუფალი...

— გმირი... მამუჟა ამალლობელი სადა გაავთ?..

ფირუზა შავლეგიშვილი ისევ აღრიწდა:

— მაგის... შარს გადამკიდეს... რა ჳირს მაგ უბედურს... შენს ასეულშია არც ჩინის მიცემა შეიძლება, ჳარისკაცი გმირი ურჩევნიათ.

— მაგის გმირობა... თქვენ რას ფიქრობთ...

— ვინ მკითხავს, შე უპატრონო, მე! მაგი რომ თერგს გაღმა გორაკზე დროშით ხელში იდგა, გამოღმოდან არმიის სარდალი ბინოკლით მხოლოდ მაგას უცქერდა. მიანიცდამინც მაგას არ წაეკარა ტყვია... შენ იქ სულ არ ჩანდი... მიწაში ჩამარხული ძლივს გიპოვეს.

„ამ კაცს სანამ ჳარისკაცი უყვარს,

ვერც დიდ ჳილდოს ელირსება და ვერც მამაციის სახელს“ — თავადაცაა ავთანდილმა და ყუთიდან წამოღვა.

— სად მიდიხარ! — მაზარის კალთაზე ჩამოქაჩა შავლეგიშვილმა და იქვე დასვა. ფეხები კიდევ უფრო შეიკეცა, დაღაფული ჩექმებიც ტყაპუკში შეიტანა.

სანგარში ბინდი წვებოდა და ჳარს ნესტიანი, გამჟოლი სუსხი ჩამოჳკონდა.

— შენთან იყოლიე... მე მაგის ვერაფერი გავიგე. დახვერვის ბიჭები აბრიყვებენ, ეშმაკის ფეხია ის გომხეთელიანი, გმირს რომ დახვერვაში წაიყვანს, უკან მთელი ოცეული დახვევაზე უნდა გააყოლო.

— ამალლობელს, რასაც ეტყვიან...

— ჳარისკაცია, გმირია, მაგ უპატრონო... კომისარს და საიდუმლო განყოფილებას საქმე აქვთ. დივიზიის გავითი ხომ მე ჩამომისახლდა. რასაც ეკითხებიან, იმასვე პასუხობს. მომაშორე, ეს უპატრონო, აქედან... „კრასნაი ზევზადამ“ კორესპონდენტად მწერალი გამოგზავნა, ჳორივით აქიცივებდა თავს... მაგას ჳგონია გმირი აქ ხალიჩაზე მიზის... ახლა „პრავდა“ ჩამოდისო. დივიზიის შტაბი ფეხზე ღვას და ტელეფონზეა ჩამოკიდებული, თვალს ვერ მოხუჳავ...

„თურმე რამდენ რამეს ემალება ეს კაცი აქ!“ — გაიფიქრა ბოკერიამ და, წაყინული მუხლები რომ გაემართა, წამოდგომა არჩია.

— რა ვქნათ ახლა? — ისევ არ მისცა აღგომის საშუალება მეთაურმა. არც ავთანდილი იყო ის ავთანდილი, ქვიდან რომ ჳეთს აღენდა და სასოწარკვეთის დროსაც იმედის ცეცხლს ანთებდა.

4.

სანგრებში ჩამდგარი ლაფი ნაშუალამევეს ისე წაიყინა, კაცს თითქოს იმაგრებდა, მაგრამ ყოველ მეორე ნაბიჯზე ჩატყდებოდა და ფეხის ამოგლეჯა იქიდან უფრო ჳირდა, ვიდრე ტა-

ლაზიდან. ბატალიონის მიწურისაგენ მიმავალ, სიცხიან ავთანდილს თავი უსკდებოდა. ვარია კუდრიაშოვაზე ფიქრიც აღარ შეეძლო და უკან აღევნებულ მიმუჯა ამალღობელიც ზედმეტი ბარგი იყო. ვერც ერთმა ვერ განიცადა ძმასავით მეგობართან შეხვედრის სიხარული.

„ნუთუ, სანამ იცოცხლებს, ასეთი დარჩება? — ბოკერიამ ახლა აღარ იცოდა, მამუკას ბედი აწუხებდა, თუ ცნობისმოყვარეობა და საკუთარი გრძობების გახუნების და გაუფასურების შიში გაუჩნდა. ახლა შურით უყურებდა თავის თავს, როცა დაღესტნის მიკარგულ სოფელში ჰოსპიტლიდან დამრუნებულ მამუკას შეხვდა და არც კი სჭეროდა, თუ ჭარისკაცის ხელში ატყება და ბავშვივით ტარება შეიძლება.“

„ახლა რასაც ვიზამ, კუთით ვიზამ... უპატრონოდ არ დავაგდებ... ვიცი, ეს არ შეიძლება და იმიტომ...“

— წერილებს თუ წერ?

— აჰ...

ავთანდილი შეჩერდა და უკან მიბრუნდა. მამუკა პოლკის უფროსის მიწურიდან რა მანძილითაც გამოჰყვა, იმავე მანძილზე მოსდევდა. ესეც ისევე „ინსტიტუტი“ თუ „სტანდარტული“ იყო, როგორც მისი სიტყვა-პასუხი.

— წერილებს თუ წერ-მეთქი!

— გაზეთში...

— გაზეთს მოუკვდა პატრონი! — „რ“ შავლეგიშვილივით გაამაგრა და გააორკეცა — „იმანაც გამოშალაყა, მთელი დღეა.“ — სახლში თუ წერ?...“

— როცა მწერენ...

— როცა გწერენ და გეკითხებიან. პასუხობ?

— ვპასუხობ.

— როცა გეკითხებიან, კარგად ხარო?

— კარგად ვარ.

— გმირი ხარ...

— გმირი ვარ...

— ის შენი გოგო?

— თეკლა.

— ჰო, ჩამოდით, არ გწერს?

— კი, ჩამოდით... 

— მერე?

— კი, ჩამოვალ-მეთქი.

— მერე, როგორ ჩახვალ, აქ უნდა იბრძოლო.

— უნდა ვიომო და წავიდე.

— კი, მაგრამ, მამუკა, შენ კარგად ხარ?

— კი, კარგად...

ავთანდილი გზას დაადგა, მამუკა ისევე იმდენივე მანძილით ჩამორჩა.

— ძალიან „კარგად“ ხარ... — სინანულით ჩაილაპარაკა, და მაშინვე მოესმა:

— ძალიან კარგად ვარ.

„იქნებ მომეხერხებინა ექიმებისა და უფროსების დაჭერება, რომ ეს ნორმალური არაა, მაგრამ აქ ისეა გახეშებული იდამიანი, თვით შავლეგიშვილიც კი არ დამიჭერებს, ან დამიჭერებს და ამით არაფერი შეიცვლება. ჭარისკაცი რომ არაფერს უჩივის, რომელი კომისია აიტყვივებს თავს: „ძალიან კარგად მყოფი“ მებრძოლი შინ გაგზავნოს. ახლა აქ მისი ყოველი სიტყვა ოქროდ ფასობს. ჩემსას ვინ დაიჭერებს, ან ვის სცალია ამისთვის. ამ მუხლამდე ლაფში ჩაყინული ჭარისკაცები რას არ ბოდავენ და, ტვინგაციებულები, რას ტორტლავენ, ვის ეყურება. „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ — მორჩა და გათავდა. შეუძლოდა ხარ, გშია, გცივა, ტყვიოწამალი ვაკლია, ქუჭყვი ვაწუხებს, თუ ტილი გქამს... — სიცხიანი ბოკერია შეჩერდა და თავის თავს მიაყურა: ხმამალა არ ვლაპარაკობდეო. — თუ ცუდად ხარ და იძახი: ცუდად ვარო... ვინ არის აქ კარგად. თვით შავლეგიშვილიც დღეს ისე მელაპარაკა, თავის მებრძოლებზე უარესადაა. წინა ხაზზე მიდის სანგრის ძირში იმალება, რომ წინსვლის ბრძანება არ აკილონ და მერე, შეუსრულებლობისათვის, ტრიბუნალს არ გადასცენ. აღარც მშიშარა და მხდალი მეთაურის სახელს ერიდება და არც ჭარისკაცის ფეხებში ხოხვას და

ძილს. „ორჯერ შემეყვანეს ძალით ბრძოლაში უარტილეროდ, უტანკოდ, უსაფროდ და ორჯერვე ორი ასეული გაეწყვიტო“ — ტიროდა.

„მამუკას აქედან გაშვება იმიტომაც არ შეიძლება, რომ თბილისში „ის გოგო“ ვაგიყვლება და სოფელში — დედამამა. ეს მაინც დაღუპულია და ჯობია, გმირი და ჯანმრთელი ეგულებოდეთ. საბოლოოდ ვინ გადაჩემა, საკითხავია... ის — თავდაპირველი მამუკა რომ დაიღუპა, ის იყო ცოდვა-ბრალი, რომ რემ ახლა, ამისათვის, სულერთია.

— დახვერვაში რატომ დადიხარ? შენ ხომ მწვერავი არა ხარ.

— მე გმირი ვარ... — მოესმა პასუხად წინ მიმავალ ავთანდილს.

ეს არც თავის მართლება იყო, არც განდიდება და პატივმოყვარეობა. უფრო მოვალეობა, თუ თანამდებობასავით რაღაც... იქნებ არც ერთი...

— შენ მწვერავთა ოცეულის უფროსს მიპოვი და მომიყვან?

— არის, მოგიყვანო, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!

— მამუკა, მე შენთვის ამხანაგი უფროსი ლეიტენანტი ვარ?

— ბატალიონის მეთაური?

— ავთო ვარ, ბიჭო, ავთო ბოკერია, შენი ძმა და რა ღმერთი გაგიწყრა, შე უბედურო!

— ავთო ხარ, ჩემი ავთოიე, ჩემი ძმა! — მოეხვია და უეცრად ტირილი აუტყდა. — ჩემი ავთოიე, ჩემი ლადო, ჩემი ნოშრევიანი, ჩემი არკადი, ლოვა...

ცრემლები ავთანდილსაც მოერიო და მალე კოტა შეება იგრძნო, რადგან გული, ჯერ კიდევ, საგულეს დაიგულა.

5.

მწვერავთა ოცეულის უფროსი, გზონკი შეთელიანი, თავის მხრივ მართლაც იყო. ვისაც გმირობა და პატივი ჰქონდა, მეტი ბრძოლაც მართებდა. გუშინდელი ღლაპებით შევსებული მისი ოცეული მტრის ზურგში შესატრელად კი არა, უმეთაუროდ სამზარეულო ჭვავს ვერ აგნებდნენ. ბოკერიას ასეუ-

ლი ჯერ კიდევ თერგის გარღვევისას გაეყდა. ნაკლები დღე არც პოლკს დადგომა, რომელიც ბუღალაში მტრისთვის ფეხდაფეხ დაუდევნებიათ, (დაპირილება გამოღმა სოფლის სკოლის შენობაში და კოლექტივის ფარდულეებში დაუტოვებიათ). ამის შემდეგ ისეთი დიდი ბრძოლები ჰქონდა პოლკს გადატანილი, ძველი ჯარისკაცები თითხე ჩამოსათვლელიდა იყო. გოშხეთელიანს მტრის პოზიციების განლაგებას, შეიარაღებას, მტრის რაოდენობის ცოდნას და, ბოლოს და ბოლოს, „მოენეს“ თხოვდა შტაბი. შტაბს ისიც კი უნდა სცოდნოდა, მოწინააღმდეგეს გუნებაში რა ედო და სამომავლოდ რა მზაკერულ გეგმას ისახავდა.

იცოცხლე, ამის ცოდნა დიხაც კარგი იყო, მაგრამ აკაკი გოშხეთელიანის ბიჭებს მტერი ასეთი სურვილებისათვის ენას აგლეჯდა და ყურებს აპირდა! რამდენი სამ-ოთხ კაციანი მწვერავთა ჯგუფის ასავალ-დასავალი ახლაც არავინ იცოდა. შეესებას იძლეოდნენ, მაგრამ რანაირს?

მწვერავი დიდ ბრძოლებში ისევე იბრძვის, როგორც ყველა, და, ამას გარდა, არის ელცა თუ არა, ის მაინც განწირულია. აქ — სანგრებში გიჭირს თუ გილხინს, შენს „სახლში“ ხარ. მწვერავი მტერს მის „სახლში“ ებრძვის. განსაკუთრებული ოპერაციის დროს ხდება ხოლმე, რომ რაღაც ცალმხრივ საფარს წაგახმარებენ, ჯვარედინ ეცხლს მიგაშველებენ შეძრომა-გამოძრომისას, მაგრამ ეს გიხსნის, როცა „პატრონი“ გაიგებს, რომ მის „ფანჯარაში“ გადაძვერი და „შვილს“ სტაცებ? მაგრამ შტაბს სჭირდება „მოენენ“... რასაკვირველია, სასურველია მაღალი ჩინისა იყოს.

შტაბს მისი საქმე აქვს, მისცემ ნაღდ ცნობას — „მოენეს“, მოამბეს, მოპიკვიკეს და გეტყვის რა ჰქნა, რა გზას დაადგე და როგორ იბრძოლო, მაგრამ მწვერავი რა გზას დაადგეს, როცა მტრის ნაპატივებ, კარგად გაწვრთნილ ჯარისკაცს და, მით უმეტეს, ჩინოსანს

არადრის გაგონება არ უნდა, რა სკი-რდება გოშხეთელიანის პოლკის თუ დივიზიის შტაბს, ისე აქვს ფეხი კარ-ზე მისობილი და ჭყინტი, ახალბედა ბიჭები კი არა, თვით მრავალნაციადი ოცეულის მეთაურიც ვერაფერს აგები-ნებს.

და, ასეთ დროს, მტრის ზურგში „გამოსიერნების“ მართლა მსურველს თუ იშოვიდა და ისიც გმირს და რა-ინდს, გიფი იყო, არ წაეყვანა? თანაც, როცა ის თან ახლდა, მთელი პოლკის ყურადღება მასთან იყო და ყველა ია-რალი გმირის დასაცავად შეემართათ.

გოშხეთელიანი საზრიანი კაცია და უთუოდ იცის, იმ პირველი ბრძოლის თავზარდამკემი დაბომბვისას ის მში-შარა, საწყალი და კეთილი ბიჭი რომ მოკვდა და ეს დასახიჩრებული, უშიშა-რი ეილაც რომ გადაარჩა, ის მამუკა აღარაა. მაგრამ ამიტომ უარი თქვას ასეთ ნაღდ ჭარისკაცზე და ისეთი ბიჭ-ბუჭელები გაუშვას, მტრის ზურგში კი არა. დაზვერვას როგ უხსენებ, შარვალს ისველებენ? მით უმეტეს, რომ მათი წინამორბედები აღარ დაბრუნდნენ.

რა თქმა უნდა, გოშხეთელიანი ავ-თანდილივით არ იცნობდა მამუკას მა-შინდელ ცისფერ ქვეყანას... და, ძველ მზვერავს, ესლა უთხრა:

— აკაკი, ამაღლობელი აღრე ჩემი ორდინარეცი იყო და ახლაც იმაღვე რჩება.

ოცეულის მეთაურს კვიმატად ჩაე-ცინა გმირის ორდინარეცობაზე, მაგ-რამ მიხვდა, ბატალიონის ახალი მეთა-ური „მოხალისე“ მზვერავს აღარ და-ანებებდა.

— მოენის თაობაზე კი, მოდი, ერ-თად მოვიფიქროთ.

— შენს პირს შაქარი! — გულწრფე-ლად გაუხარდა გოშხეთელიანს. ბოკე-რიასთანა მეთაურის მხარში დადგომა საქმის ნახევარს ნიშნავდა.

— ბრძოლით დაზვერვაზე რას იტ-ყვი?

აკაკიმ შუბლი მოიქექა.

— როცა გამოტყდილი მზვერავები

არა გყავს და „ნადავლი“ აუცილებე-ლია...

— აუცილებელია!

— შავლეგიშვილი იზამს?

— შავლეგიშვილი თუ არ „იზამს“ და არ „შერება“, ისევე იმ ბიჭის გადასარ-ჩენად, მაგრამ უარესი კი გამოდის. მა-გი თავსაც დალუბებს და ჩვენც. მაგ კაცს უნდა გავუფრთხილოდეთ.

— რა ვქნა, ავთანდილ, დაზვერვაზე არ მიმყავს და სხვა რაღა ვუყო...

— ეს კარგია, — ჩაეცინა ბოკერიას, — მაგრამ საქმეც საქმეა.

— მე, რასაც მეტყვი, რომც არ მი-ნდოდეს, რა ჯანი მაქვს... მოკვდა ის დრო, მამარჩემი რომ გამაგზავნიდა ვე-ნახში, თოხს ბურღებში დავმალავდი და ბურთის სათამაშოდ გავრბოდი.

— მერე, რას გეუბნებოდა მამაშენი საღამოს?

— დედაჩემი იქ არ იყო?

— ჰოდა, რაკი იცი აქ არა გყავს დედა, ისიც იცოდე, შავლეგიშვილი მამასავით კაცია, თქვენთვისა აქვს მა-გას გატეხილი სახელი. ამას უნდა ვა-ფასებდეთ ჩვენ.

6.

— გუჯაბიძე, არ გადამრიო, შე კა-ცო!

გუჯაბიძეს ძველი, ნაცნობი სიწით-ლე დაეუფლა; ეგონა, ყოფილი ასმე-თაური სიხარულით აყვირდა, ბედად გადარჩენილ, თითო-ორჯოლა „ძველებ-ში“ მეკავშირე ლეიტენანტი რომ ცო-ცხალი იხილა.

— ჭერჭერობით ასე კიჲდა... — და-მორცხვებულმა, ბატალიონის მეთაურს ხელი გაუწოდა.

— რაა ასე, რაა ასე, კაცო! — ბო-კერიას გამოწვდილი ხელი არც დაუ-ნახავს, თვალებში გამჟოლად ჩააჩერ-და.

გუჯაბიძე დაიბნა და ერთი ნაბიჯით დაიხია.

— ტრიბუნალი არ გინდა, ჩემი ხე-ლით მოგიღებ ბოლოს!

— ყველა უნდა დავხოცილიყავით?..

— თავისთვის ჩაიბუზლუნა, სიწითლე ყურებზე გადაედო.

— აბა, რად გინდა, მეკავშირეს, თავი ცოცხალი...

— აეთო... — მიხვდა ნოდარ გუჯაბიძე, რამაც ვადარია ახალი მეთაური.

— აეთო არა ვარ მე!

— ამხანაგო ბატალიონის მეთაურო, დივიზიიდან პოლკის შტაბამდე ვერ ვამყარებ კავშირს, მტკაველ-მტკაველ მაქვს მავთულები გადაწებებული. ჰაობებში ჰყრია... არაფერი ისმის.

— მე უნდა მქონდეს კავშირი პოლკის მეთაურთან და ასეულებს ჩემთან, თუ, რაღა ფიქრობ, იქნებ ხმამადილი მაინც გეშოვა, ამ მიწაყარლის თავზე დავდგებოდი და ვიყუებდდი. იშოვება... ახლა ყველფერს იშოვის კაცი, კაცი, ორმოცდაერთი აღარაა.

— ჩვენამდე აღარაფერი აღწევს, გზა აღარაა და ხიდი... — ცერი და შუა თითი ლოყებზე მოიჭირა, — შიმშილით ყბა ყბაში გვაქვს გაცმული.

— უქმელობა შეიძლება, უკავშირობა — არა! — აეთანდოლმა ხმას დაუწია, — აქ ისე გაგვეუთავენ, კაცი ვერაფერს გაიგებს.

— გაიგებს, თორემ, კალთას გადაგაფარებენ... — ძიღვარტხილი გუჯაბიძე ამღვრეული დუღღუნებდა, სიწითლის მაგიერ უკვე ფითრდებოდა.

— ვინაა შენი... უფროსი გყავთ, ზევით, დივიზიაში?..

— სვირიდოვია... რა ქნას სვირიდოვმა.

— თვლები დაითხაროს... რაც უნდა ის ქნას. თვითონ გადაიკიდოს მხარზე და...

— რა გადაიკიდოს...

— რაც კავშირს სჭირდება... და არაა ჩემი საქმე მაგი!

უეცრად ჰურეებმა დაიზმუნელა და ზედიზედ იგრაილა. შეაბარბაცა მიწურნი და ზევიდან ტყაბატყუბით ჩამოიხლამა ნოყო მიწა, ძელურ ჰერზე რომ ლღვებოდა და ტალახდებოდა.

— ეე! — ნიშნისგებით წამოსცდა

მეკავშირეს, როცა კუთხეში მიყრილ მოსარგალებულ თივანზე თავმდებელი ამადლობელი წამოვარდა.

— დაეტიე, შენ, მაქ! — მამუკას უბრძანა. — რა „ეე?“ გუჯაბიძე: აბა, რა გგონია, სატელეფონო კაბელებს ჩამოგვიყრის?

— ვილაცამ ხომ უნდა ჩამოგვიყაროს?!

— არავინ, არაფერს ჩამოგვიყრის ტყვიის და ბომბის მეტს. რა გქნათ, შევეუფიროთ თავი?

— ამ ჰაობებში...

— ჰაობებია, გუჯაბიძე, რომ გიფარავს — მტერი შორიდან გიშენს და, ტანკით და მანქანით, შენთან „კავშირს“ ვერ ამყარებს. ამ ჰაობებს უშმაღლე, ამდენ ხანს რომ უკავშიროდ და უმოქმედოდ, ადგილზე ზელავთ ფიფას.

— მე, პოლკის მეთაური არა ვარ, არც ბატალიონისა...

— ვერც იქნები, გუჯაბიძე. შენი საქმისთვის ვერ მოგებამს თავი...

— იქნებ, თქვენ...

— და გიბრძანებ! დღეს... ამდამ... გამოიყენე, შენს განკარგულებაში ვინცაა, ასეულებიც მოგეყმენ მებრძოლებს და მავთულხლართის ეკლიანი მავთული რომ გააბა, დღემდე კავშირს აღადგენ.

— ეკლიანი...

— მიწაზე კი არ დაყრი — ბოძს, სარს, კეტს დაასობ და გააბამ. ეგ შენიცი. მე კავშირი მინდა! — ხელებ და ყურებჩამოყრილი მეკავშირე მიწურში მიატოვა, ამადლობელი გაიყოლა და აღაფულ, სადერეფნო სანგრით საბრძოლო, დაცვის სანგრებისაკენ გაუტია.

ორმოების კედლები შორით, ფიცრით, სარითა და ღობით გაემაგრებინათ, მაგრამ უკვე სითბოშეპარული ჰაობი გულს ირევდა და ჰუჭურტანებში მოტიროდა, ან მთელი წინალობა მოქქონდა და, სანგარში ჩამომზღვლეული, ხელახლა გასამაგრებელი ხდებოდა. დამდამობით ყინავდა და მეორე

შუადღემდე არა უშავდა. ნაშუადღევს ისევ — გაზაფხული თითქოს მიწას წიალიდანაც ამოჰქონდა და ითქვიფებოდა გაყვლილი წუმბე ნიადაგი.

— არაფერი გამოვა ასე. ეს გაზაფხული დაგვლუბავს და ამოგავადებს! — აღმოხდა ავთანდილს, როცა სანგარში ჩამოშვავებულ თონთხლო მიწაში მუხლამდე ჩადგა. ჭერ ისევ ძალიან უჭირდა დაბრუნებოდა ფრონტის გაუსაძლის ყოფას. სიციხეებსაც ამიტომ აძლევდა.

— არის, ამხანაგო ბატალიონის მეთაურო! — ჩამომზღვლეულ ლაფში გამოლაფუნდა ამბილობელი და ხელის აღებაც კი დააპირა.

— რა „არის“. ბიჭო, რას ჩმახავ. რა კითხარი ახლა მე შენ, მაგალითად, ისეთი?..

— რომ გაზაფხული დაგვლუბავს და ამოგავადებს...

— მერე? — ავთანდილი თვალბში ჩააჩერდა ერთ დროს ასე შორს, სადღაც. ვიღაცის მაკვერალ გულუბრყვილო ბიჭს, ახლა კი მასზე მოეციებინა მზერა და ბატალიონის მეთაურის მეტს ვერავის და ვერაფერს ხედავდა.

— და, ასე არაფერი გამოვა...

— მერე, შენ გმირი ხარ და გეცოდინება, კაცო, რა უნდა ვქნათ.

თითქოს თქმაც დააპირა, მაგრამ ავთანდილის ჩაცმებულმა, გამჭოლმა მზერამ, სადღაც, მის ბნელ, გაუსავის ქაოსში შეაღწია, თუ დასმულ კითხვას პასუხი ვერ უპოვია (ზრდილობიან ბავშვს უცხო ენაზე რომ ჰკითხავენ და დაიბნევა), ისე გაიშვირა ხელები სადღაც იქით, მტრის ბანაკისკენ.

ბოკერიამ უკვე გატალახიანებული ფარაჯა ამოიკალთავა, ერთხანს კბილებით უღვაში ღეჭა.

— მოდი, რა ქენი შენ, იცი? სანამ ჩვენ ერთადა ვართ...

— არის!..

— მაცალე, მამუკა! მაცალე კაცო, რომ გელაპარაკები მე შენ... არავის, არც უფროსს, არც უმცროსს, არავის

არაფერს მოუსმინე და გულგონებ, გემის?

გულგონობა

— არის, მესმის, ამხანაგო...

— არა ვარ მე „ამხანაგო“... მაგი არ იცი შენ?

— ხო, ავთო.

— ავთო ბოკერია, თავლაში რომ მიგვიყვანეს... შენ და ნოშრევიანი...

— ნოშრევიან არაძე... — წამით რაღაც მოგონებამ გაანათა მისი უაზრო თვალები.

— ჰოდა, ხომ გახსოვს, რომ დაილუბა.

— დაილუბა... — ამოიკენესა და სახე მოეძმარა. ყვრიმალთან უამური ნაქრილობევი ჩალურჭებოდა.

გამჭოლ, გრძივ სანგარში ვიღაცები მოთხლადუნობდნენ, მიწყარილების ზევით კი, ზოგჯერ მუხარადის კვინიხი ილანდებოდა.

— გასაგებია?

— არის...

— არავინ... არც პოლკის და დივიზიის მეთაური შენი უფროსი არაა, ჩემს მეტი უფროსი შენ არა გყავს, გასაგებია?

— გასაგებია, ამხ...

— ავთო ვარ მე, მამუკა, ავთო!..

— ამხანაგო ავთო...

— ავთო „კაცო, გაიგე ერთხელ და სამუდამოდ, ავთო.

— სამუდამოდ, ავთო... — გაეცინა. ღმერთო, რა საცოდავი და გულის შემძვრელი იყო ეს ღიმილი, უმწურო, უმწურო, გასაცოდავებული, არავითარი საერთო რომ არ ჰქონდა: არც გულთან. არც სიხარულთან და არც ნაღველთან. რაღაცნაირი... გულმავიწყის გაზეპირებული ღიმილი. ვითომ მლიქვნელური, მაგრამ მლიქვნელობა და სიმდაბლე რომ სჩვევია, ან ოდესმე სჩვეოდა კი არა, რაღაცნაირად — შეფარებული, ნახვისარი — გახეულ ჭვალოს ტომარაზე მელიის მწითურბეწვიანი ტყავი რომ დააკერო...

ავთანდილი ამ გაუბედურებულმა ღიმილმა ისევ შეზარა და გულთან ეგებ ერთადერთილა ძარღვი ჩააწყვიტა. უნ-

დოდა, ამ აძინძიხებულ გზას დადგომოდა, გადაკარგულიყო და სადღაც სხვაგან, მოშორებით ეობებინა გული... როგორც დაღუპულ მეგობარს გინდა გაშორდე... გაშორდე მის არამქვეყნიურობას, რაკი მისი სიცოცხლით ცოცხლობდი და მის სიკვდილთან ვერ გაძლებ. მის არყოფნას ვერ უმეგობრებ და, ცოცხალი, მის გარდაცვალებას ვერ უერთგულებ. ვერასოდეს გაიმეტებ სიამქვეყნიოდ და თუ მწარეს სინამდვილეს უნდა ამაში დაგაჭეროს და შენი თვალით გაყურებინოს, იმდენად შეურიგებელია შენთვის ძვირფასი ადამიანის სამარადეამო განშორება; გაუბრძინა ასეთ მწარე, თავზე დატეხილ უბედურებას, ყოველნაირად ცდილობ არ დაინახოს ის, რაც შენს ძალას აღემატება. ამ დროს გაქცევა ხსნაა. მკვდარი და ცოცხალი ერთად ვერ იარსებებენ.

მაგრამ, როგორც ბორკილდადებულ ხედარს ვერ გაქცევა, ისე ხუნდით ელო მამუკა ავთანდილის ერთგულებას. გარდაცვლილი უახლოესი ადამიანი რომ მხარზე მოიდო და მთელი სიცოცხლე თან ატარო, ისე, რომ მისი არც დამარხვა შეიძლებოდეს და არც სულის ჩადგმა... ისევ და ისევ მეთასვერ ნაყავდა წყალს და უბირებდა ვაცოცხლებას: „მე ავთო ვარ, ბიჭო, ავთო... ავთო ბოკერიაო...“ და, ვერც ერთხელ, ჭურში ჩაძახებულ ამოძახებულზე მეტს ვერაფერს მიადწია. დაღუპულ მამუკას საიქიოში ხმა ვერასოდეს შეაწვდინა. ვერც ლადო ცინცაძესავით მიწას მიიბარებდა და, ამნაირ მამუკას ვერც მის მშობლებთან, და ვერც უსაყვარლეს გოგოსთან გაგზავნიდა. ბოლოს და ბოლოს, ატეხავდა ერთ უბედურებას, პოლკის მეთაურს და შტაბს როგორმე დიყოლიებდა, გამოეყოთ: კომისია, სამედციონო ექსპერტი და... თუ აქ მიინც არავის ეცალა ჭეშმარიტების დასადგენად, ქვეყანა ხომ ჭერ მთლად არ დაქექულა... მაგრამ, მართლა რომ განთავისუფლონ, ვის რად უნდოდა და-

უმარხავი მკვდარი. ისევ აქ სჯობდა... ფრონტზე შეიძლება წლებით უფრო დახოცილები და არავის გაუთვინდეს. როგორც აგერ, ნეიტრალურ ზონაში, გვამები ერთმანეთზე ყრია და, სანამ ჭერ კიდევ ჰყინავს და ლეშის სუნს აქაურობა არ აუწყრალეზია, არც კი ახსოვთ. ღამით მზვერავები იმ გვამებში დაცოცავენ, მტრის თვალს და ტყვიას ემალებიან; თუ მკვდარი საჭიროა, ისევ აქ. შეტევაზე გადასულს მტერი რომ ცეცხლს დაგიშენ და მოგცელავს, მიწის გათხრამდე დახოცილთა გვამებია განწირულის ფაჩი და თავშესაფარი. ტყვიის წვიმაში თავს რომ ვერ წამოწევ, მკვდარს უბეში უძვრები და შენს მოსახვედრ ცხელ ტყვიას, ერთხელ და სამუდამოდ ვაციებული აციებ. ასეთ დროს მკვდარი, თუნდაც მტრისა, ისიც კი გიცავს და გიფარავს. აქაური ყოფა როგორც არაფრით არა ჰგავს ადამიანურ სიცოცხლეს, ისე სიკვდილი — სიკვდილს.

თუ ასეთი მამუკა ვინმეს რამედ სჭირდება, იგი ომს სჭირდება და, თუ მისი ხსნა კიდევ შეიძლება, ომში უნდა იხსნას სიკვდილით, ან სიცოცხლით. მისი აქედან გაგზავნა და თავიდან მოშორება ღალატია. იგი — ასეთი, მშობელი დედ-მამისათვისაც ზედმეტი ბარგია, ისევე, როგორც ცხოვრებისათვის. ის თვალგებრილა, საყვარელი გოგო — თეკლა, დაღესტანში რომ ჩამოვიდა, დედის გარდაცვალების მწუხარებას რომ არ დაებრმავებინა, მაშინვე მიხვდებოდა, მამუკას რაც სჭირდა.

სხვა მხრივ... ალბათ, ქალსაც შეუძლია ამ უბედურში ისევე გამოიძახოს მამაკაცი, როგორც მეთაურს — ჯარისკაცი, ან გოშხეთელიანს — მზვერავი.

რა ურთულესი მანქანაა ადამიანი! რამდენი მილიარდი კაციცაა, ალბათ, იმდენნაირია მისი სიცოცხლეს და სიკვდილიც, იმდენნაირად მრავალმხრივ შეიძლება მისი განვითარება და იმდენნაირად — გაუკუღმართება და დასახიჩრება.

„იქნებ მზვერაეთა ოცეულის უფროსიც მართალია. — ბოკერიას თავი უსკდებოდა. — ეს რომ არ წაიყვანოს, სხვა უნდა წაიყვანოს. გამოცდილი და ცეცხლში გამომწვარი მზვერავი რამდენი ჰყავს; ისეთები, მტრის ზურგში რომ შეაღწიონ, თოფშემართულ, ნაპატიებ, გერმანელს კისერში ხელი წაუჭირონ, ხელები ზურგზე გაუქრან, მხარზე მოიგდონ და შტაბს მიჰგვარონ. უწერთნელი, პირტიტველა ბიჭების შევსება დაზვერვაზე პანღურის ცემით წინ რომ გაივლო, თავს თუ არა, შარვალს ხომ მაინც მტერს დაუტოვებენ? ასეთები თვითონაც დაიღუპებიან და შენც დაგღუპავენ. ტყვია მშიშარას და ფრთხილს უფრო ადრე ჰკლავს. ლაჩარო სანამ მოკვდებოდეს შიში უღებს ბოლოს და, ზოგჯერ, გამოსავალიც რომაა, ზებრა მაინც ხელ-ფეხს უკრავს. სასიკვდილოდ ისიც ცოდვია და ესეც. მაგრამ, თუ მამუკა ასეთი დარჩება, რომ დაღუპულიყო, ათასჯერ ჯობდა — შიში აღარ იცის რაა და, დედის სიყვარულიც, თუ არ გაახსენე, არ აგონდება...

...და უცქეროდა, უცქეროდა ავთანდილი აღუფხულ წუმბეში მუხლამდე ჩამდგარ ამიღობელს, ფარაჯის ქვედა წელი რომ გაზინზლოდა და ბოლოები ლაფით გაქერქეშებოდა. ახლა ვერაფრით იხსენებდა იმ ბიჭის თვალებს, თავდაპირველად მღორე მდინარის პირას, ყოფილი ცხენსაშენის თავლაში რომ შეხვდა. მაგრამ ახსოვდა, ცოდვილივით მძიმე სევდით დაყურსული. ახლა რომ იმ ტანჯვის ნატამალი არ გააჩნია, ისეთი კამკამია და ახალშობილივით უწარსულო... სარკესავითაა — შიგ მაკერალი, მხოლოდ თავის თავს თუ დაინახავ და როგორც კი გაშორდები, უკვალოდ გაქრები. კისერი კი ნაუღლი ხაროვით დაშაშვრია და შაზარის საყელოზე ნახეხი ყბები, ქარყინვისაგან, წითლად აქერცვლია. ყურები ჩაყანგებია და ხეშეში, ბრინჯაოს ხორკლი დასდებია. სახეზეც ბრინჯაოს სხმულის პირველადი ხაო და ყალიბის

ტალი მოსდებია, ყვრიმალის ძვლებთან ოდნავ შეფერილი, ღორყინზე ნაკრილობები შემხმარი სხსხლის გათხლამნილი წვეთივით შერჩენია.

ამ ორმა წელიწადმა ბევრი ჰქნა. ეს ორი წელიწადი, ორ გრძელ სიცოცხლეს უდრიდა. ორივემ ნახა სიკვდილიც და ხელახლა დაბადებაც; მაგრამ ისეთებდა აღარ დაბადებულან, როგორებიც დაიხოცენ; სულ სხვად — ავთანდილი ხალისდაკარგულ, ხელჩაქნეულ, უნდო ჯარისკაცად იქცა, რომელსაც სამშობლო დედის სიყვარულად და ახსოვდა. ახლა ვარია კუდრიაშოვა უყვარდა და იმის დაეიწყებდასაც ცდილობდა, რაკი იცოდა, ომი ჯარისკაცს სათუთი გრძნობის ტარებას უქრძალავს. უკრძალავს მეგობარზე გადაგებასა და ლოლიავს... როცა ერთი ათეული ებარა, მაშინ ეგონათ რომ დედმამიშვილებივით შეეძლოთ ერთმანეთის ხსნა და ქირის გადაიტანა. ახლა ავთანდილს ათასი ბიჭის ბედი აბარია და ათას ვერ იტირებ და ვერ ითავცემებ... არადა, ეს აუცილებელია, — ამ ჰენჯყოში ჩაფლული პოლკი მტერმა რომ არ დაარბიოს, დღეს-ხვალ ჭაობი დაალპობს და ამოახრჩობს.

7.

ამ თვალუწიერ ჭაობებში, სადაც ტექნიკის გამოყენება უჭირს, ცოცხალ ძალას ზოგავს და ბრძოლებს თავს არიდებს, პოლკს შემოჭრა არ გაუძენილებოდა. ალბათ, ისიც იცოდნენ ეს ჭაობები რას უქადავდა. ახლა კი, ჩასანგრებულ მტერთან შაშხანით, ხიშტი, პოლკის ქვემეხითა და მომცრო ნაღმსატყორცნებით შებმა თვითმკვლელობა იყო.

ბოკერიამ წინა ხაზის იმ განლაგებისკენ გაუხვია, რომელიც მარჯვენა ფრთის კუნჭულში ჩასანგრებულოყო და სოფლის თუ ნასოფლარის ოდნავ შეფერდებულ სანახებში იჭრებოდა.

სოფელი ამ წყალმანკიან ჭაობებში ვერ გაშენდებოდა, მაგრამ არც იმას ეთქმოდა ზეგანი, სადაც ათიოდე და-

უნგრეველ ქობს ნოტიო ქარი კვამლს აგლეჯდა; ორი ამდენივე დანგრეული თუ გაუქაცრიელებული ხატა-გომურთ-ქარგვალი უკვამლოდ და უსიცოცხლოდ ელოდა მტრისა თუ მოყვრის ახალ განაჩენს.

ოცმეთაურს ფეხი დაბუეებოდა თუ მოყინული ჰქონდა, ცალ ფეხზე ძლიერ წამოიშარბა, თავზე რომ ბატალიონის ახალი მეთაური წამოადგა. მიწურში მოთბო, ნოტიო სიმყარე იდგა, საღებავიანი ფიჭვის ფიცრის ნამწვის სუნში შეზელილი. უმცროსი ლეიტენანტი, ზემდეგი და სერჟანტი რაღაცას რომ ღრღინდნენ, ხელიდანაც და პირიდანაც მაშინვე გააქრეს. ტარიანი პაპიროსის ნამწვავები ეყარა ტალახში ჩაჭიხნულ ხალაზე. თუნუქის სათლში ჩანავლებულ დადარზე, ტყვიამტრქვევის ფარის ნატეხი — სქელი ფირფიტა წაფარებინათ და უკვამლოდ ხრჩოლავდა.

კედლებიდან და კერიდან მომწვანო, მღვრიე კენჭუო ყონავდა. დასავლეთის ერთი მოთბო ქარ-წვიმა ნაფხურებდაც კი დღე-დღეზე პირამდე მყარალი წუმბით გადაალიცილიცებდა და ქარისკაცებს ზვრელებიდან ამორეჟავდა. მტერი ამას ელოდა, რომ უთავშესაფრო ქარი იოლად მოესრა, მაგრამ რაც მტრისთვის ხელსაყრელია, ის არ შეიძლება შენთვისაც გამოდგეს.

შავლეგიშვილისა კარგად ესმოდა ავთანდილს და თანაუგრძნობდა, მაგრამ მისი „კუყუმალობას თამაში“ და სასწაულების მოლოდინი მეტრისმეტი იყო. ომში რა არ ხდება. ზოგჯერ, შენიანი კი არა, მტერიც „წამოგებმარება“ და შეიძლება მთლად უსისხლოდ გადარჩე: აგერ, ერთ დამეს, შენი მომიჯნავე ნაწილები დაიწყებენ გარღვევას, წინ ჩასანგრებულ მტერს ან თავისკენ მიიქცევენ, ან ფრთას ჩამოაგლეჯენ და მის განლაგებაში შეიჭრებიან. თვითონ მოწინააღმდეგე შეიძლება გადაიფიქროს და შენზე დამიზნებული ტყვია მეზობელ პოლკს დაუშინოს. ისიც ხდება, ერთ დილას მტრის

წინა ხაზი ცარიელი დაგიხვდეს და შიგნე გადაბარგდე, წიწილას ფეხი არ მოგიტყდეს.

შავლეგიშვილი ერთის მხრივ მართალია — შტაბიდან ყოველ დაცახებებაზე რომ გატანჯული ჭარისკაცები წამოშალო და ჩასანგრებულ მტერს მიუსიო, სისხლის ფასად ერთი-ორი სანგარი დროებით გამოგლიჯო და კიდევ ერთი მედელი დაიკიდო, ცოცხალი ძალა აღარ გეყოლება და ომს კი ჭარისკაცი იგებს... როცა დივიზია ზურგს ვერ ვიმპარებს, ტყვია-წამალსა და მუტლის ამოსაყორს ვერ გაწვდის, რა თქმა უნდა, დამბაჩაზე ხელდადებულ ბრძანებასაც ვერ ბედავს, მაგრამ არც გულზე ხელდაკრეფილად ჯდომის ნებას მოცემს; მასაც საქმე აქვს და მისი საქმე — შენი ომი. გაწვება, რომ მტერს მიაწვე. მიაკლა თავი და მისი საქმე გამოჩნდეს... რა დროს, რა საათზე და წუთზე გათხარე ორმო და ჩაწევი, ეგ მარტო შენმა შტაბმა კი არა, ზევით არმიის... და უფრო ზევითაც იციან და ჰიის რუკაზე შენი თხრილის თავზე აღებენ: — „აქ რომ შავლეგიშვილი წევს, ძილში ხომ არ გაიპარაო.“

მაგრამ არც ის ვარგა, თხრილიდან თავი მართლა არ ამოსწიო და, გულ-ხელდაკრეფილი, სასწაულს ელოდო. და არც იმას მოერიდო, შტაბში მშინ-შარა და დიაცი გიძახონ, რაკი ომში „ვაჟაკი“ და „ლომგული“ მეთაურის სახელი სისხლით მოიპოვება.

სადაც არა სჯობს, კი, გაცლა სჯობს, და სადაც სიცოცხლეს გადაარჩენ — მაღვა, კუკვა, მაგრამ, კურდღლისა არ იყოს, რაც იკუყე, თუ ის გახტუნეს და, რაც დღეს უნდა გაგდენოდა, ხვალ ორი იმდენი სისხლი გაგადინეს!

აგერ, გაზაფხული რომ კარზე მოდგა და მტერი გატრუნულია, რაღა ფიქრობ, მორცხვი ენძელების თაიგულს დაგიკრეფს და სიცოცხლის განახლებას მოგილოცავს, თუ რა გგონია?

სტალინგრადის ბლოკადის წარმატებამ არ შეიძლება იმედი არ გაგიჩინოს, მაგრამ ორი წლის, ორი გაზაფხულის

და ზაფხულის მწარე გაკვეთილიც არ უნდა დაგვიწყდეს. ეს თავშესაფარები რომ წყლით გააპინდება და მერე შემოგიტევს, ამ, თვალუწიერ, ჰაობის ტბორში ცხვირი რომ ჩაყო, ტყვიაც არ გინდა, ყროლი წუმზე გაგვუდავს. ბოკერია, კოლხია, ყველა, ყველა და ჰაობისა და ჰენჰყოს ამბავი მას ჰკითხე.

— რას იღმურძლებით და რას გავს, კაცო, აქაურობა! — იკითხა წარბშეკრულმა. ათისთავს და ზემდეგს თვალეზი გადაუბრიალა, რადგან ამალლობელის მიწურიდან გატყუებას და დამართობელებას აპირებდნენ. — რად გინდა, მაგ ლემენცის ღურბინდი რომ ჩამოგიკიდიო, — შეუღრინა ოცმეთაურს, — შორს რას დაინახავ, შენ წინ ვერ იხედები, მომეცი აქ!

აკოტლებულმა უმცროსმა ლეიტენანტმა ღურბინდი მხარიღლივ ისე სწრაფად გადაიძრო, ქული ხომ გადაუვარდა და გადაუვარდა, თასმა გახეშეშებულ ყურს წამოედო და კინაღამ ააღლიტა.

მიწურში სანინსტრუქტორი შემოლაფუნდა, სრულ მახარაში გაყეყილი გოგო. ბილოტურაზე უშველებელი, საღებავცაცილი მუზარადი ჩამოემხო და საყელისა და მუზარადს შორის, ბაკანის თავშერგულ კუსავით, შიგნიდან იყურებოდა. ამ ჩაზინილ, ჩაფამულ მებრძოლებში რომ გაყინული, მსხვილულვაშებიანი, სუფთა მეთაური გამოეცხადა, რომელსაც ჯერ კიდევ პოსპიტლის სუნი და სითბო ახლდა, „ბაკანის“ საჭერტიდან ნაცრისფერი თვალეზი მიუახლოვა და ცისიერმა რომ ჩახედა, მოლილისფრო ნათელით ამოანათა.

ერთი კი უყო გულმა რეჩი ავთო ბოკერიას, მაგრამ მაშინვე მზერა მოაბრიადა. საღდა იყო ის ავთანდილი, ჯაგზე გარჩენილ ქალის თავსაფარსაც კი სიყვარულს რომ აუხსნიდა. ახლა, ამ ჰაობის მაჭლაჭუნა, კინკასავით შშიერთვალემა გოგოს, ვერაფრით ისე ვერ შეურაცხყოფდა, რომ ვეტყვა, რა მომხიბლელი ხარო. ის, ვინმე მომხიბუ-

ლელი ქალი კი არა, და იყო, დედა, თვითონ საბრალო და საწყალობელი, მოწყალებას რომ ედებოდა და გახვევს კრილობას — დაბეგვილს, დაჩეჩვილს, დაჩირქებულს, ყროლ, დამბალ ფესხახვევებს რომ გხდის და დატილიანებულ, გაზინზულულ პერანგსა და ნიფხავს შიგნით მალამოს გადებს და თვითონაც შენაირი მახარა და შენი პერანგის ცალი და ფერი პერანგი აცვიანდა.

— რა ჰირს! — თვალით ანიშნა გოგოს ოცმეთაურის აკატუბულ ფეხზე. — არ ვიცი... — თავი მუზარადის შიგნით გაიქნია და იქვე, ჩაძინძიბებულ ჩალაზე ჩაიჩოქა.

„ცრემლები მოერიო, — მიხვდა ავთანდილი, — მე ჯერ კიდევ ვგვევარკაცს და თავისი ლამაზი ქალიშვილობა გავახსენე“.

— კაი, კაი... თქვენ წამოდიო! — ზემდეგი და შემოსაძრომთან გაღენჩებული ამალლობელი გაიყოლია. თხრილის კიდეს ვითომ ბიწყად გაჰყვა, ქალმა მაინც თავისი ჰქნა და თვითონაც გაუტვირდა: ყვავი რომ ნაგავს ქექავდა და ბოლოს მალლა იწევდა, არ დამესვაროსო... მაშინვე შუა თხრილში გადადგაფუნდა.

— სანამღე უნდა ეყაროთ აქ, რას გავს ეს! — გაუწყრა ზემდეგს.

ზემდეგი ომის უფიცი ბიჭუბუქელა არ იყო და იცოდა: რაც მასზე არ იყო დამოკიდებული, პასუხი არ უნდა ეგო. ეკლებივით გაბურძგნული წითელი წვერი მოიქექა და ამღვრეულ ჰაობისფერ ცას ახედა.

— დალპებით აქ, მე რომ ვატყობ... რა გვარი ხარ, თუ გახსოვს.

— უნდილაქე ვიყავი, მგონი. — ცეცხლზე გარუჯული მუზარადის ქვეშ შეიძვრინა თითები და გახეშეშებული თმის ძირები მოიქექა.

— შენ არა გიშავს, არც ომამღე ყოფილხარ რაინდამღე.

— არა, მაგ მხრივ არა მიშავს, — ზემდეგს იუმორი არც ახლა დალატობდა, რაკი ასეთ ხუმრობაზე არ გადი-

მეგზია, თუნდაც ბატალიონის მეთაურის საამებლად.

ავთანდილს იმ ფეხაკაუჭებულ უმცროს ლეიტენანტზე უფრო მოეწონა ზემდეგი. ის ორივე ფეხზე იდგა, არც მეთაურის გამოჩენით სცემია ხამს. ჰო, შუბლზე ნაჭრილობების წვერიც უჩანს და, მიანცდამინც, არც მაღლა იჭაჩავს მუზარადს.

— არ ვინდა, მეთაურო... — ისე, ლეჭვა-ლეჭვით თქვა, — აქ ისეა საქმე, როგორც უნდა იყოს.

— არა, კაცო, ამიტომ არა.

— აგაშენა ღმერთმა, — გულს, მოეშვა ზემდეგს და რაღაცა პირში ისევ შეიყარა, შეჩერდა და მამუკასაც მუკით შეაჩეჩა.

„ჭარისკაცია, — თავი დააქნია ბოკერიამ, — მეთაურიც უნახავს, „გმირიც“, მკვდარიც და ცოცხალიც...“

— რავე ატყობ, ასე ივარგებს?

— მე ვინ მკითხავს.

— მე გეკითხები, კაცო.

— ძვირად დაგვიჯდება. — სანგრის ჩიხში ჩაკუხულ ჭარისკაცს, რომელიც მეთაურის გამოჩენისას გაკიშვას აპირებდა და ტანში გამდგარ ცივ ნესტს და შიმშილს წელი ვერ გამოგლიჯა, ხელთ ანიშნა, იყავი, ნუ იშტიმებოი.

— მე გუშინ დაგბრუნდი... — აუხსნა ბოკერიამ.

— ვიცი.

— და, რას იტყვი.

— შავლეგიშვილი ან მონღოლების სტრატეგიით აპირებს ბრძოლას, ან...

— მონღოლები ჭარს სანამ ბრძოლის წყურვილით არ გადარევდნენ, ომს არ იწყებდნენ?

— ჰო, ასე მაქვს გაგონილი.

— ან?..

— ან სუვოროვის.

— გამძლეობით და ამტანობით ეჯობნა მტრისთვის?

— ალბათ, ამიტომ გვალპობს ამ ჭაობში.

— იქნებ ესეცაა, კაცო, რა იცი შენი — შეიცადა, უკან მოთხლავს ზემდეგს და ამალობს მიხედა. — უკ-

კუო კაცი რომ არ არის შავლეგიშვილი, იცი მაგი შენ.

— ნამეტანი ვუყვარვართ.

— ესეც მართალია.

— დათვივით თუ არ დაემართა...

— ვინ ყოფილხარ, კაცო, შენი!

— რაინდაძე არც ომამდე ვიყავი...

— ახლაც არ გალიმგზია უნდილაძეს და მოხალული, მოწითალო სიმინდის მარცვალი პირში ჩაიდო. — ვერ დაგბატიყებ, პურძვირობაშიც რომ ჩამომერთვას. — ისევ ღრუბლებით ალუფხულ ცას ახედა, ყვავების მცირე გუნდი დარიალობდა საბუღარ მოუსაკლისებელი.

— მოთოვს? — იკითხა და მუზარადის კიდეს ცერი უბიძგა. შუბლზე, თმის ძირებამდე, ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა ნაჭრილობები, ალბათ ქალაც ჩატეხილი ჰქონდა, რაკი ღრმა ნაკვალავი დაჩნეოდა. — მოთოვს! — თვითონვე უპასუხა თავის თავს და მოშორებით გატუხულ ამალობელს მუკით ისევ მოხალული სიმინდი გაუწოდა. მამუკა უაზროდ გაიჭყანა და, შეციებულს, ლოყაზე გალურჯებული ნაიარევი ამოუხტა.

— ეს ბიჭი საცოდაობაა... — ისევ სხვათაშორის თქვა; ბოკერია ახლად მიხვდა; მიწურში მამუკას გახმობას რომ ცდილობდა, თურმე გამასპინძლებას უპირებდა.

— იმ შენ ოცმეთაურს რა ეცა?

— სადაა ახლა მოსაყინი ამინდები... ახალია.

— საიდან გამოიწერეთ.

— სურამში დაუშთავრები რაღაც კურსები.

— თვალიდან არ მოიშორო! ათმეთაურები?..

— არის თითო-ოროლა „ძველი“.

— ახლები შენს გვერდით დაიყენე, ძველები ფრთებზე...

8.

ღლე სულს დაფავდა, ბოკერიამ სანგრის მარჯვენა ფრთის ბოლოში რომ გააღწია. ეს ადგილი ყველაზე ახლოს

იყო სოფლის სანახებთან და ვითომ შემადღებელი დაერქმეოდა. გათოვდა, მაგრამ თხელი ფანტელები იმდენად მძიმედ ეშვებოდნენ, მოსირსილე, ნედლი ქარიც თვალში საცემად ვერ აირიბებდა.

მაზარის საყლოში რალაც კრელშალჩახვეული ჯარისკაცი გამოძვრა. ის უფრო პირბალნიან ღედაბერს ჰგავდა და თავისი სანჯარი ბატალიონის მეთაურს დაუთმო. „ოდინოჩის“ ძირზე ფიცრის, შორის თუ ჯავშნის ნამსხვრევები ეყარა, რითაც „იატაკი“ გაემაგრებინა. იქვე, თბრილის კედელზე, მიწა ჯიბესავით ამოეჩიჩქნა, რომელშიც ჰაობის ნაუფრი ბეშვი წყალი ჩაეტეოდა და კოვზით ამოღებაც მოხერხდებოდა. „წყაროს“ ქვევით სიმიანდის მოწითალო ნაქურჩლები ეყარა; ჯერჯერობით ტალახში მთლად ამოსვრილი არ იყო.

ბატალიონის მეთაურმა გულზე ჩამოკონწიანებულნი, ნადავლი ღურბინდი თვალეზე მოირგო.

მომკრო სოფელი. ნეიტრალურ ზონაში შედიოდა. ქობმახებს მარცხნივ გერმანელთა სანჯარების უსწორო მიწაყროლები გასდევდა. მარცხენა შეფენებაზე, სანამ საყანე და სავარგული იყო, მტრის თავდაცვა ჰაობებამდე ჩასდევდა. მაგრამ ქვევით და ქვევით, ჩამხმარ-ჩამხალი, თავჩაქიდებულლელიანი, გულქენწყოიანი ვრცელი ტრამალი ორივე მხარეს დაეთმო. სოფლის ახლოს, სიმიანდის ჩაფენილ-ჩათელილ ნაყანებში, რამდენადაც ვიწრო იყო ნეიტრალური ზონა, იმდენად მეტი დახოცილი ეყარა. ქვევით, ჰაობებისკენ, ვითომ უფრო მომჭირნედ, მაგრამ მსხვერპლი მაინც დიდი იყო.

— კაცო, ამოგიწვევტით ქვეყანა! — შეიცხადა ავთანდილმა.

— „საჭარიმოები“... — თქვა ზემდეგმა.

— მერე!!.

— შტაბი რომ მოაწვა და შავლევიშვილს საქმე შეუდგინეს... ტექნიკა ვერა და „საჭარიმოები“ მოაყარეს... მიუსიეს და რას გაუშვებდნენ?..

— ამის მერეა?..

— ამის მერეა, შავლევიშვილი ხან ერთი ჯარისკაცის ფეხებში გამოთხარის სოროს, და ხან მეორისაში...

ხუტორის შემოგარენი უფრო მუყაითად დაებოძათ, რაკი მტერს იქით დაეხია. აფეთქებათა ორმოები და ამონგრეული მიწა, ტოტებამტვრეული ხეები, ჩალეწილი ღობეები და ტექნიკის ნამუსრევი იქით ერთიორად მეტი ჩანდა. სახურავჩაკეული, გვერდგამობდღვნილი ქოხები მინებჩამტვრეული, დავსილი უსინათლო თვალეებით აქეთ იცქირებოდნენ და ხსნას ითხოვდნენ. ის თითო-ოროლა ქობი, რომელთა სახურავიდანაც გაცრეცილი, უნიათო კვამლი ჟონავდა, უფრო შესაბრალისნი და უმწეონნი იყვნენ, ვინემ ისინი, რომლებმაც ამ სანახებში ჩახოცილი ჯარისკაცებივით, წვალემა დაასრულეს.

შეტევას რაც უფრო დაავიანებდნენ, იმდენად გაჭირდებოდა ამ თვალეწვდენელ ჰაობზე გადასვლა და მტერიც და მოყვარეც, ფეხს სადაც მოიკიდებდა, პირს იქით იზამდა და სოფლისკენ მოაწყვდებოდა. ომს სოფელქალაქი თუ ფეხებში არ წამოედება, იქნებ გადაარჩეს კიდევ. მაგრამ გზაზე თუ რაიმე ელობება, იქვე გასრესს. ნაომარმა სოფელმა იცის ეს და მტერს და მოყვარეს ხელემაპყრობილი ემუდარება, ცეცხლი ააჩიღონ. რაკი თვითონ საუკუნეების მანძილზე ფესვი თავის წიაღში აქვს გადგმული და ნაბიჯის გადადგმა არ ძალუძს.

9.

გოშხეთელიანმა იცის: პრასი კი არაა, რომ მოკრან და ამოიყაროს. იქნებ იმაზე მეტად ფრთხილია და იმაზე მეტად უყვარს სიკოცხლე, ვინემ ჯარისკაცს აქვს ამის უფლება; მაგრამ მტრის სანჯარებსა და ზურგში მფორთხავ მზვერავს ამაზე ღალატს როგორ დასწამებ — სალსალამათი, გაჯგიმული „მოენე“ შტაბში, ღუმელსმიფიცხებულ უფროსობას ძღვნად ყოველთვის ვერ მიარ-

თვარ. მზერაგმა ცხრა დაეცლება რომ შეასრულოს, შეათედ, იცოდე დაღუ-ბულია, ან მატყლის საშოვნელად წასულს თავად გაკრევენ. მაშინ მარტო მისი კი არა, შენი საქმეც წასულია ხელიდან. შტაბი ცეცხლის ხაზიდან ზოგჯერ ათი კილომეტრითაა დაშორებული. და იძლევი ბრძანებას: მტრის ავი და კარგი კაკალ-კაკალ უნდა ვიცოდეთო. „ამხანაგო კაკო, დაავლე ხელი ქეჩოში გერმანელთა შორის საქმის უკეთეს მცოდნეს, აგერ, ამ ღუმელთან მომგვარე ისე, რომ მე ფეხს ფეხიდან არ ჩამოვიღებ და მერეც, თუ მაშინვე ყველაფერი არ დაჟჭვა, ზედ წიხლით შედექი და ცხვირ-პირიდან ძმარი აღინე, სანამ არ მოარჭულებ და თანმასავით არ გამოქნი“.

ბრძანების შეუსრულებლობა არ არსებობს, იცის ეს გომხეთელიანმა და მიღის, მაგრამ გომხეთელიანებმა სხვაზე მეტად იციან სიცოცხლისა და თავიანთი ფასი. დაახლოებით ისევე, როგორც მათმა უფროსობამ. აკაკი რომ დაზვერვიდან ვერ დაბრუნდეს, სხვა აკაკი გაიგზავნება. შტაბია ერთი და შეუცვლელი, თორემ ჯარისაკი — რამდენიც გინდა. გომხეთელიანისთვისაა გომხეთელიანი ერთადერთი და შეუცვლელი და თუ „მოენეს“ ყოველთვის არა აქვს სურვილი ქეჩოში ხელი ჩაავლონ და გამოაბუნძლონ, თუ გომხეთელიანს იქით ჩაავლებენ ქეჩოში კი არა, გულ-ღვიძლში ხელს და დედის რძეს ამოანთხევიანებენ, ყოველთვის თავს იქ არ შერგავს, საიდანაც ვერ გამოეტევა. შენ შენი საქმე იცი, მან თავისი უნდა იცოდეს.

გამოცდილი მზერაგვი მგელზე ნაგეში იმ ძაღლივითაა, ბეგრჯერ რომ ტყავი დახევიო. უნდა არ უნდა, ყური მიწაზე უდევს და სად რა თოფი და ზარბაზანი დაიყეფებს, რა სისტემის და კალიბრის, ძილშიაც ესმის. თვითმფრინავი სად გაიზუზუნებს და რა ჯიშის ჭილაგისაა, თავს არ აიღებს ისე ცნობს. მტრის წინა ხაზთან კი არა, მეორე-მესამე ეშელონში რომ მანქანა, საწვეარი

და ტანკი ათუხთუხდება, აქედან ლამითაც კი დაითვლის. შეგულებული აქვს ყოველი ხე და ჯირკი, თორმე და ღელე, ხევი და ღარტაფი ყვაევი და ყორანი კი არა, ჩიტბატონამ და წიწკანამ რომ გადაიფრინონ, ნეიტრალური ზოლი, იცის რამ დააფრთხო და ვინ აუჭმია. სოფელში რომ შეიპარება, კაცსა და ქალს კი არა, ძაღლს რა ენაზე ელაპარაკოს იცის. გამეცმს შორიდან იგუმანებს, ერთგულს ძმასავით ენდობა და, ბოლოს, თვით მტერი რომ მტერია, იმათშიაც არჩევს: ვინაა მცონარა და ძილისგუდა, ვის მოძულდა თავი და ვის „მოენატრა“ ჩვენი შტაბის თბილი ღუმელი, ტყვის უღარდელი, უხიფათო ულუფა და შორეული, მაგრამ თავისიანებთან შეხვედრის მოლოდინი.

გომხეთელიანმა იცის, რომ მასზე ბევრი რამეა დამოკიდებული. მტერს რამდენად კარგად იცნობ, იმდენად ძლიერი ხარ. რამდენადაც ზუსტად იცი მტრის აქილევსის ქუსლი, იმდენად გამარჯვებული ხარ. მაგრამ გომხეთელიანსაც აქვს თავისი სისუსტე; უფრო სწორად, როცა მტრის ზურგშია, თავიდან ფეხებამდე აქილევსის ქუსლია. ჯერ შენ მარტო გადაავლა თქვი, მერე კიდევ კბილებამდე შეიარაღებული, შოკოლადითა და შნაპსით ძალამოცემული, გაწვრთნილი გერმანელის „დაყაბულება“. დანას კი დაადებ გულზე, მაგრამ იმანაც იცის, მოკლული რომ არაფრად გარგია. მისი სიცოცხლე შენი სიცოცხლის ფასად გიღირს და ყელს მხოლოდ მაშინ თუ გამოლადრავ, როცა შენს სიცოცხლეს ემუქრება. იცის, სანამ შტაბამდე მიიყვანდე, ოქროა ხელისგულზე სატარებელი და ხელიდან ხელში საგომანები. თუ გგონია, პირს რომ აუქონავ, ბაწარს ჩაბამ და გამოგყვება. როცა შენ თვითონ, ტყვის წვიმაში მიწას გართხმული, თოვლსა და ყინვას ცხვირით ხნავ და ქვესკნელში მიძვრები, ის ზურგზე გულადმა გაწევს. ეს კია, ზურგზე გაკრულ მის ხელეშში თავი გაქვს გაყოფილი და სახსრები ეღვეურება, აწამებს და

ჩაწვართულ ფეხებს თვითონაც მიწას წაპარავს, რომ წინ წაიჩოჩოს და ტკივილი შეიმსუბუქოს. შენც ეს გინდა, რომ „წამოგეხმაროს“ და ცხედარივით ცივმა და უმოძრაომ წელში მთლიანად არ გაგწყვიტოს. აწვები წინ, მის მკლავებში თავგარგული და მხრების სახსრებში ცეცხლს უჩენ. თოკგაჭერილი მისი ხელები აგერ, გულისპირთან გაქვს და რამდენად გამძიმებს და მიწაში გტენის, იმდენად უკიდურესი ძალისხმევით უნდა იხობო, ჩქარა უნდა გაეცალო იჭაურობას, საიდანაც ეს „განძი“ მოიპარე. მისი თათმანები შენ გაცვია, მას მჩაქები და ხელის მტევენები ყინვის ორწოხებზე და წიბოებზე ესერება, სისხლის კვალს ტოვებს. თანაც, სანამ მკლავებს მოინაცვლებდე, მკერდით მის შებოქილ ხელებს აწვები და შენც გულისყაფაზის შენგრევეს გიპირებს, მაგრამ მასაც ყინულის დანებზე ათრევე და ძვლებს უმტკრევე, სანამ თქვევს შორის „ურთიერთგაგება“ არ განდღება და არ შეიგნებს, რომ უნდა ვისამველოს, რომ ეშეღავათოს — უნდა მოგეხმაროს თავის მოპარვამში; შენს ზურგზე გულალმა გაშხლართულმა, შენს მენჯთან ჩაიდებული ფეხები ისე უნდა „ამუშაოს“, რომ მუხლები არ დაგაღწვოს. ქუსლები გვერდულად უნდა დაიბჯინოს, წინაც მიაწვეს და ტანიც ამჩატოს, რომ შენს მკლავებს ორი კაცის სიმძიმით არ მოუსაფდეს და არ დავარდე. ყოველნაირად უნდა შეგიწყოს ხელი, რომ ხიფათს დროზე გადაცდეთ და ორივემ სული მოითქვათ. ცხენს თავისი ფეხები იპარავსო, რომ იტყვიან, ასეა ტყვეც. აბა, ის რომ ზურგზე გულალმა წამოწვეს და შენს გავაზე ფეხი ფეხზე გადაიდოს, ოც ნაბიჯზე ჩაემხობი მკლავებდაოსებული. მუხლი კიდევ ჰო, მუხლს თუ სხვისი არა, საკუთარი სხეულის თრევა მაინც აკისრია. მკლავებში შენი და სხვისი მძორი როგორ უნდა ზიდონ. მით უმეტეს, ტყვეს ხომ ხელები ზურგს უკან, წელთან — სიმძიმის ცენტრთან აქვს გაკრული და შიგ რომ თავს ჰყოფ, ზუ-

რგზე მოგდებული, დაოთხილს მთლიანად ბეჭებზე გაწვები, ესე იგი; მთლიანად ხელებზე გადმორდის მისი წონა და, ამ დროს, თუ ტანი არ ამჩატე, მკლავი კი არა, მგლის მუხლი ვერ გაგიძლებს...

ახლა დაზვერვის ზუსტი და უნაკლო ცნობები მართო შტაბს და სარდლობას კი არა, თვითონ ბოკერიასაც სჭირდებოდა.

— კაკო, მე რომ მიყურებ შენ, თვითონ მოვდივარ დაზვერვაზე.

გოშხეთელიანს თავი არ გადაუწევია, მხრჩოლავი ჭრაქის იქით გაჭვიშულ ბატალიონის მეთაურს ისე გახედდა: ბოკერიამ ხუმრობაც იცის, მაგრამ ახლა რა ეშმაკი შეუჯდა, ამ მძიმე ოპერაციის დროს, რა ემასხრებო.

— ?!

— კი, კაცო, რომ გეუბნები მე შენი! მზვერავი ვერც იმას ეტყობა, ღმერთი არ გაგიწყრეს, მაგი არ ქნაო და ვერც იმას, სიტყვად დაგიჭირე და რომ გატეხო, რალა კაცი დაგერქმევაო.

— ამას გარდა, ჩვენთან საიდუმლო ნაწილის გამგეც იქნება.

— მეეე?! — ყურს არ დაუჭრა ცერზე შეყენებულ ყუთზე ნახევრად ჩამომჯდარმა პაპიაშვილმა, აქამდე თავწაატეხილ ტარიან პაპირდს რომ ანერწყვავდა და აწებებდა.

— ჰო, სამშობლოს უფრო ერთგულად რომ გემსახუროთ.

— რად გინდა, ამხანაგო ბოკერია, ჩემთან ასეთი ლაპარაკი.

— ფართლავაც რომ აქ იყოს, არც ის გვაწყენდა, მაგრამ კომისრები აღარ გყავს და იმ პოლიტმოადგილეს ჯერ არც ვიცნობ.

— მე?.. — იკითხა შემოსაძრომთან ხესავით მიყუდებულმა ამაღლობელმა.

— შენ გეყოფა მზვერავობა... ჩემი მოადგილე ვინაა, რა გვარია?

— კარპოვია, — ჩაილაპარაკა ხმაგატეხილმა პაპიაშვილმა, — სანიტნაწილშია... — და მზერა ბატალიონის მეთაურს მიაცივა: გულით ამბობს ამას

ბოკერია, თუ ასეთი ხუმრობა აღრეც იცოდა და არ მახსოვსო.

— მე, მაგალითად, გოშხეთელიანს ვერ ვენდობი...

აკაკიმ საიდუმლო ნაწილის უფროსს გახელა: მართლა აქეთ ჩემზე რაიმე ეჭვები, თუ ავთანდილი მის წამოყვანას აპირებს და მე მიბრალვსო.

— რატომ, შე კაცო, თუ რაიმე იცი...

— არაფერი რომ არ ვიცი, იმიტომ მინდა ჩვენი თვლით ვნახოთ.

— მე ჩემი უფროსი მყავს. — სადაც, ნათქვამის ძირში, მუქარამაც გაქონა.

— შენმა უფროსმა იცის ამის თაობაზე. მე გოშხეთელიანზე ეჭვი მაქვს.

— ეჭვი გაქვს...

— მაგრამ ეს მე და შენ უნდა დავუმტკიცოთ.

— მე თუ ვინმე ტრიბუნალისთვის ვადამიცია, ამას კანონი აკეთებდა.

— ეჭვი კანონი არაა, კანონს მტკიცება სჭირდება.

— მერე, მე და შენ რომ წავყვეთ, დავუმტკიცებთ?

— უკეთესი, კაცო, თუ ვერაფერს დავუმტკიცებთ და ეს კაცი მართალი იქნება. მაგრამ მე მაქვს ეჭვი, კაცო, და არ ვმალავ. არც შენ ვიმალავ და არც ამ კაცს. რატომბა, რომ დღემდე კავივითაა და ტყვია არ წაჰპარებია?

— ეს, კაცმა რომ თქვას, მეც მეხება.

— შენ რატომ, კაცო, შენ დაზვერვა არა ხარ, შენ აგერ ხარ...

— მე აგერ რომ ვარ, აჭა ჩემი საქმე...

— ამის საქმე სადაა? მე ამის საქმესთან მაქვს საქმე.

— ამას მტრის ზურგში, მე — ჩვენს ზურგში!.. — ხმას აღწია პაპიაშვილმა: ვიცი, ეს გინდა რომ თქვა და, ბარემ, მე გეტყვიო.

— ეს ჩვენ ყოველდღე გვიყურებს, ვინა ვართ და რა ვართ, ერთხელ ჩვენც წავიდეთ იმ ზურგში, სადაც ამის საქმეა.

— მე არაფრის მეშინია, სხვაზე ნაკლების!..

— ვინ თქვა, კაცო! — იტყია ბოკერიამ. — სადაც ეს ყოველ კვირაში დადის, ჩვენ ერთხელ გვეშინია?! — ვინ ამბობს მაგას!

— არა, თუ ვინმეს ეეჭვება...

— მე გითხარი, ვინც მეეჭვება.

— კარგი, კარგი, ვინც რაც გინდა...

— მგონია მეც ის მინდა, რაც შენ და რაც ალბათ ყველას, ვინც ამ აქოთებულ ტენჯურში ყრია! სხვა არაფერი გვინდა აქ ჩვენ! რომ ჩალბით აქ და... ლაპარაკი და ეჭვი არ უნდა ამას... საქმე უნდა, ვიცი მე...

10.

უხვად რომ ბარდნიდა, ეს უკეთესი იყო; თუ გაგრძელდებოდა ასე, შუალამემდე ციდა თოვლს დადებდა. არც ის იქნებოდა ურიგო, თუ სიცივე კიდევ უფრო მოუტერდა და ქარიც ქარიშხლად იქცეოდა. არიალებული თოვლის ფარდა, მოწინააღმდეგეს რომ თვალებს უხვევს და სოროდან თავგამოყოფილს ცხვირში ხელს უჭერს, მტრის განლაგებაში შესაძრომად მისწრებაა. ქარბუქში რომ ისვრიან, მაინც ალალებდნენ ისვრიან, მტერი ღამით იარაღის სანიშნეს ზეირიანად ვერ არჩევს და ისვრის ისე, ლულაზე თვალგადევნებული. მართალია, მაშხალების სინათლეზე დამიზნება შეიძლება, მაგრამ სიბნელეში უეტრად ანთებულ შუქს შეჩვევა უნდა. ჩაქრება და ბრმაა, რასაც ხედავს, ვაიც აღარ ჩანს. შუშხუნა რომ ნაჭრება, სანამ მეორე აინთებოდეს, შევიძლია წამოიწიო და გაიქცე. შენ ხედავ, რაკი, სანამ შენს თავზე ანათებდა და ცეცხლს გიშენდნენ, თვალდახუტული, მიწაში თავჩარგული ელოდი სიბნელეს. ამ დროს მოწინააღმდეგე იყო თვალუბდაპრწყული, რომ დაენახე. შენ, რასაც მანამდე ხედავდი, იმას მერეც ხედავ, იმისთვის კი წყვდიადია. თუ ისევ მაშხალა არ ააგდო, სანამ სიბნელეს ხელახლა

თვალს შეაჩვენეს, მის თვალსაწიერს უნდა გაასწრო.

უკეთესია, რა თქმა უნდა, „ის კაცი“ სულ არ შეაშფოთო, თვალსა და ხელს შუა ვერცხლისწყალივით გაუქვრე, მაგრამ ეს ათასში ერთხელ თუ მოხდება, როცა მამაზეციერი შენთვის მოიცილის, ანგელოზს გამოგიგზავნის, ფრთას გადაგაფარებს და გადაგაფარებს.

ბატალიონის მეთაური თავიდან, ვითომ, შეტევით დაზვერვას აპირებდა, მერე, გაძლიერებული ჯგუფით, კარგად მოფიქრებულ ღრმა დაზვერვას. „მსხვილი ნადავლი“ მეორე-მესამე ეშელონში უნდა ეძიო. წინა ხაზებიდან რომ მტრის ჭარისკაცები გამოათრიო, არანაკლებ სახიფათოა, ვინემ მტრის ზურგიდან გენერლის გამოყვანა. გენერალს ჩინი ამძიმებს, თორემ უფრო აზიზი მკამელია და ჭარისკაცის ნახევარი წონაც არაა. ამას გარდა, სად შენი მონღოლება და სწრაფვა, როცა გენერალი გყავს მოგდებულს, და სად ტლუ, დატილიანებული, ზონზრობა მუტრუკი. შტაბში რომ მიიყვან, მადლობასაც არავინ გეტყვის, რაკი, ის უბედური, რტყმევით რომ გახეტო, მათი ნაწილები და შენაერთები რა სამერმისო გეგმებს ისახავენ, არც იცის. ის კი არა, შეტევა ერთი საათის მერე რომ იწყებოდეს, ამის თაობაზეც შეიძლება არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდეს. ას ჭარისკაც-მოენეს, ერთი უმცროსი ოფიცერი სჯობია, უმცროს ოფიცერს — ერთი უფროსი ოფიცერი.

მარტო ასეთი კაცი კელი ამინდი (კაცმა არ იცის, კიდევ როდის დადგებოდა), ვერ მიაღებინებდა ავთანლიოს ასეთ მოულოდნელ და ოპერატიულ გადაწყვეტილებას. ის და გომხეთელიანი ფრონტის ხაზს იქით დაბა-სოფლების ადგილ-სამყოფელს, მისასვლელებს, გზებს და ორღობებებს რომ ჩაკრკრტებდნენ (კაქოს გერმანული რუკებიც ჰქონდა), ამ ნეიტრალურ ხაზში გაჩრილი პატარა ხუტორის მიღმა, ვარია კუდრიაშოვას მშობლიური სოფელი აღმოჩნდა.

ვარიამ ამ სოფელთან გერმანელებს ფეხად გაასწრო (დაბალუბით ცვივოდა ცრემლები სხვადასხვა ფერის თვალებიდან, როცა ამას ჰყუებოდა). დედა და დაი აქ დარჩა.

დედა მოტეხილი იყო. მუდამ ნერვიულობამ, ქმრის დარღმა და ამ ჰობებმა დაასწულა. გულის რევმატიული დაავადება და მანკი ჰქოავდა. მორწმუნე ქალი იყო, წინ მხოლოდ ქმრის საფლავს ხედავდა და თუ მასთან განსვენება ეღირსებოდა, ეგონა, სასუფეველში მაინც ერთად იქნებოდნენ.

ლუსია ვარიაზე უფროსი იყო (მამის მისთვის ფრანგულიც კი ესწავლებინა), თეთრგვარდიელი მშობლის აზრებისა და მიზნებისა მაშინ რა გაეგებოდა, მაგრამ მამის დიდი სიყვარული და ნდობა კი დარჩენოდა. მამა მრავალტანჯული, რთული ბიოგრაფიის კაცი იყო. თეთრგვარდიელებთან მღვდლად მსახურობდა, მაგრამ ბოლომდე არც მათი სჯეროდა და არც ახალი „წითელი გვარდიისა“. ბოლოს, ჰლექმა რომ ხელი დარია, აღარაფერს ჰქონდა მისთვის აზრი. საამქვეყნო პირი არ უჩანდა და ეგონა, მომაკვდავი ვის ვკრდებო. მით უმეტეს, ანაფორა გაიძრო და გაიპარსა. თეთრი გვარდია ხომ აღარ იყო და აღარ იყო, მაგრამ ძველი ცოდვებისთვის მაინც მოაკითხეს.

კუხმა კუხშიჩმა — ამოდენა სოფელ-ქვეყნის ახალმა გამგებელმა, რევოლუციის დროს მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა თავი. ელოდა, სასწორი საით გადაიხრებოდა, და ორივეს ემალებოდა. როცა დაატყო, წითლები აღარ ხუმრობდნენ, მხარში დაუდგა. მაგრამ თავგასაწირი და ტყვიანე შეტლშესაშვერი საქმეები ჩავლილი იყო. მართალია, ვერავინ დაწამებდა, თეთრებს ლუქმას უყოფდაო, მაგრამ სისხლი არც წითლებისთვის დაუღვრია. სოფელი, იმთავითვე, მარქსისტებით და რევოლუციონერებით კი არ იყო საგსე. ვინც იყო და არ დაიღუპა, რაიონებში, ქალაქებში და ოლქებში ჰირდებოდა

ახალ მმართველობას. დაბებში და სოფლებში, თუ მოწინააღმდეგე არ იყო და შენს მხარს იჭერდა, უნდა გამოგეყენებინა.

კუზმა კუზმიჩი ვაითამეჯღომარეს, მაგრამ წარსული რომ ზურგს არ უმაგრებდა, უჭირდა; რიხი და გამბედაობა აკლდა, მოიკოჭლებდა, სოფელში რომ ჩუმად „ძალად წითელს“ ეძახოდნენ, იცოდა. კუზმას ოთხი კლასის განათლება ჰქონდა და თავიდან ამანაც უშველა, მთლად უანზანო-უწიგნური ვერ დასვეს, ახლა ნათლდებოდა ქვეყანა, მის „ნაჩაღნიკობას“ დიდი დღე არ ეწერა და ვერ აყვირდებოდა -- ჩემს დამსახურებას რა პასუხს აძლევთო. ამისთვისაც მადლობელი უნდა ყოფილიყო, ერთხანს რომ საბჭოს ბეჭედი ანდეს და ქამარზე მაუზერი დაკიდეს. ბეჭედი ხომ საპასუხისმგებლოა და მაუზერი სათარევედ მძიმე, ვისაც არ გამოუცდია, თურმე, ვერაფრით გაიგებს, ისე ძნელი შესაღვეია. ფახიფუხობდა კუზმა, აწყდებოდა ხე და ქვას, მაგრამ რაც ხელიდან გაუშვა, ველარ დაეწეოდა. ამ დროს, ბედის ღიმილივით, გამოეცხადა მღვდელი, რომელიც ეკლესიაში კი არ წირავდა და „არა კაც ჰკლავ“ ქადაგებდა. თეთრგვარდიელებს მოუძლოდა: წითელ კაც ჰკლავო. არაგინ იცოდა, რა შევბენელი წარსული ჰქონდა, რაკი იგი ამ სოფლიდან გიმნაზიაში სასწავლებლად რომ წავიდა, აგერ, ა, რევოლუციის წინ, ცოლშვილიანი და ანაფორიანი დაბრუნდა, მამისეული სახლი შეაკეთა და მეორე ქალიშვილი რომ შეეძინა აბუნტებულ სოფელს ფეხად გაასწრო. წავიდა და წავიდა, ყველას რომ ეგონა: სადღაც ჩავდა, ან საზღვარგარეთ გაიქცია, აგერ არ გამოცხადდა? იქნებ აქ საჯანშუშოდ და ძირის გამომთხრელი მუშაობისათვის დატოვეს? რაც შეეცოდა, კმაროდა! მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ ის ახლაც საშიში მტერი იქნებოდა და სახელმწიფოს მისი ხელში ჩაგდება ძვირად უღირდა. კუზმა კუზმიჩს საქმე ასეც უნდა მოეწე-

ყო, თორემ რომ ჩაველო ამ გაქრეკილი, დასნეულებული მღვდლისათვის ქეროში ხელი და მიეთრია: ერთ დროს კი, მაგრამ ახლა აღარაფერს წარმოადგენს და თავისი ფეხით მომადგაო, ამისთვის ჯინჯილებს არაგინ დაკიდებდა.

დედამ რომ ვარია აიტაცა და ოთახიდან გააქცია, ლუსია იქ არ იყო ეგონა. მაუზერის ბუდეგახსნილი კუზმა კუზმიჩი კი სიცხიანი ნამღვღლევის ფეხებთან საწოლს მოადგა და, დამნაშავეებთან, როგორც სჩვეოდა -- მრავლობითში დაცინვით ლაპარაკს შეუდგა:

— როგორ ვართ, მამაო, როგორ ვგრძნობთ თავს ამ ახალ დროებაში.

კარებზე რომ მუშტები დაცხეს, ლუსია საწოლის ქვეშ დიმილა. დედა ეძებს და ეგონა გამომტომას აპირებს -- ეს კაცი საშიში არ ყოფილა, ტყუილად ჰკილია ის უშველებელი სასროლი. უფრო ბატარა, ასეთი სასროლი ხომ მამასაც აქვს სასთუმალში და მიინც ისეთი კეთილია. სტუმარი, მალე, ალბათ, „მუსიეთი“ ლაპარაკს დაიწყებსო, რომ ეგონა, კუზმა კუზმიჩი წავიდა და კარი შიგნიდან გადაარაზა.

— გააღე კარი, კუზმა, მე არსად გამქცევი არა ვარ.

— გამქცევი არა ვართ, მაგრამ გაქცეული ვიყავით, მამაო!

მამაომ არაფერი უბასუხა, ხველამ კისერში ხელი წაუჭირა და სული ვერ მოითქვა.

— გაცვიდით, მამაო, როცა ტყეში ვესაფრდებოდით, ჩვენს თეთრ ძმებთან ერთად, და წითლების სისხლს ვსვამდით.

ლუსია მიხვდა, ეს, ალბათ, კარგს არ ნიშნავდა, მაგრამ მამა თვითონ აქცევდა პირიდან სისხლს, ბულიონს აღარ ჰკამდა და როგორ შეიძლებოდა, წითლების სისხლი დაეღია.

— მე თეოლოგი ვიყავი.

კუზმა ერთი კი შეჩქეფდა. ეს თეოლოგობა რაიმე ახალი დანაშაული არ იყოსო, მაგრამ რა იყო, ხომ უნდა გამოეძიებია.

— ესე იგი, რას ვაშაებდით, მამო?
— სახარებას, სახარებას ვკითხულობდი.

— ეს, თავისთავად, ჩვენს წინააღმდეგ.

— სახარება არავის წინააღმდეგ არაა.

— გამოდის რომ, ჩვენ — წითლებს, მოწინააღმდეგეები არ გვყოლია.

— სახარება არა, და ამას ვარდა, კუზმა, შენ რომელი წითელი ხარ?

— ხომ არ გვახსოვს, რომ თეთრი ვიყავი და სახარებას მიკითხავდი?

— არა, ცოდვას ვერ დავიდებ, მაგრამ, რაკი თეთრი არ იყავი, ეს წითელს ნიშნავს?

— აი, ახლა, რომ ვერ მოგცემთ ნებას, ღირის გამომთხრელი მუშაობა ვაწარმოოთ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ეგ ხომ ნიშნავს წითელს...

ვარია ამის თეთრეულში ჩაფლული, ავთანდილის ყურთან ტუჩმიდებული ჰყვებოდა. შეყვარებულს შეუქშენილბვით ჩამოხნელებული ჰოსპიტლის ნახევრად სარდაფ-საკუქნაოში ტოვებდა, ბოქლომს ვარედან ადებდა და ერთმანეთზე დაყრილ თეთრეულში ჩაფლულ ავთანდილს ფანჯრიდან შემოაფრინებოდა. სიცოცხლის სიყვარულით და სევდით სავსე გოგოა ვარია. შეეძლო მთელი ღამე თვალი არ მოეხუჭა, ვნების ცეცხლით თავდაფიწყებულს და დედის და დის დარდით თვალატირებულს. საოცარი გოგოა, ცრემლი თვალთაგან კი არ მოწვეთავს — ღვარად ჩამოსდის; როცა იცინოდა — მაშინაც და ვნებით გათანგულსაც თვალი სველი ჰქონდა. დის დარდი ჰკლავდა. ეჭვობდა, მარტო დედის სიყვარული არ იყო მიზეზი, რომ არ წამოვიდაო. ლუსია ფრანგულს ასწავლიდა მათივე სოფლის სკოლაში. „აქ მტერს რომ დავხვედეთ, რა გველის?“ — ჭვითინებდა ვარია; ლუსიას თავი ვადუქნევია — „კუზმა კუზმიჩი უარესს რას დავგმართებსო“. თურმე ბოლომდე სჯეროდა, რომ ავადმყოფ, სულთმობრძავ თეთრგვარდიელ მღვდელს ხელს არავინ ახლებდა, იმ „ძალად წითელს“ თავისი

ბიოგრაფიისათვის რომ არ ვაწერაო.

— იცი, რა გოგოა? — ამოიხურჩულებდა ვარია და წასკლებოდა ცრემლები.

— შენზე უკეთესი?! — არ სჯეროდა ავთანდილს.

— მე ვინა ვარ... მის ფრჩხილად არ ვღირვარ.

— მე რატომ მგონიხარ ჭვეყნის უკეთესი?

— შენ ვიყვარვარ და იმიტომ.

ავთოს ვარია მართლა უყვარდა, უყვარდა რაღაც ახალი თინით, უჩვეულო გატაცებით... გატაცება ავთანდილისთვის უცხო არ იყო, მაგრამ ამჯერად იმ შიშინანი, დაზაფრული გატაცებით, რომ იცი ხვალ მარხვა, შიმშილი დაგეწყება და დღეს აღარაფერი გაძლებს. უყვარდა უკანასკნელი სიყვარულით, კაცმა არ იცოდა ომი სანამდე გასტანდა. ამ მიმე კონტუზიას დასჭირდა ასე ხანგრძლივი მკურნალობა თორემ ჭრილობა კაცს ან მოკლავს, ან შეუხორცდება. ვინ წამოგაფენს ჰოსპიტალში და ცეცხლივით გოგოსთან თეთრეულში მთელი ღამე ვინ გაბურხალებს. აქაც ისევე გაუფასურებული იყო სიკვდილი და სიცოცხლე, როგორც ფრონტზე. დაადებდნენ ხერხს და ხელფებს ისე მოხერხავდნენ, არავინ კითხულობდა ამ დაჩეჩქელი ძელების აწყობა და გამართლება შეიძლებოდა თუ არა. ჭრიდნენ და კერავდნენ. რაც ხელთ ჰქონდათ, იმ წამალს და მალამოს ადებდნენ. რამდენჯერ სასვენოიდან დაუბრუნებიათ გონმიხდილი, მკვდრად თუ არა, მალე საიქიოში გასასტუმრებლად მიჩნეული დაჭრილი. თვით დაჭრილებზე კი იყვნენ მარჯვედ, მაშინვე სცნობდნენ, ტრიბუნალს მიუღებდნენ და ხელებს იბანდნენ. ჭრილობა პირს შეიკრავდა და მაშინვე კომისია... ფრონტი და წინა ხაზი. ისეთი უიმედო თუ იყო, ზოგჯერ ადგილიდან დაძვრაც რომ არ შეიძლებოდა, იმათ ღრმა ზურგში ისტუმრებდნენ.

ავთანდილს ახლა ისლა ახსენდება, ჰოსპიტლის კიბეზე რომ აპყავდა: გა-



შეშებული, უძრავი თვალების გახელო და ხელ-ფეხის კანკალო.

ვარიას ფეხებთან ეჭირა საკაცე. როცა წინ მიმავალი მალა ავიდა და საკაცე აიფერდა, ამ დროს რძისფერ მღვრიე ნისლში ხედავდა ქალის წითელ ტუჩებს, მომწვანო-მოლურჯო თვალებს, კორფლიან ცხვირს და ვარდისფერ ლოყებს... თითქოს ცალ-ცალკე დაცურავდნენ ამ მღვრიე ნათელში, რალაცნაირი ნახატივით, ცალი თვალი რომ აქვს და ტუჩი, მეორე თვალი კი სხვისი ან სხვა ფერის... პაქუა ცხვირი, მაგრამ უამურობისა და სიავის გამო აზნეილი კი არა, ვნებიანი და გამომწვევი — როგორ შეიძლება არ მოგწონდეთ. მაგრამ ამის ერთად შეკრება და რაიმე სურათის ან პორტრეტის შეკოწიწება არ ხერხდებოდა, ისინი დანაწევრებული და დაწალიკებული, ცურავდნენ თეთრ, მღვრიე ტბორში.

მერე ეს ყველაფერი ქვევით წავიდა, ჩაიძირა. დარჩა უსახური ნათელი, თანდათან ისიც ჩამუქდა და არარაობად იქცა.

— ღმერთო ჩემო, მეორედ რომ შენთან მოვედი, ზეწარს გიცვლიდით, შემეშინდა: შენ, ქერზე თვალშიშტერებული, არ მხედავდი და მილიმოდო. საწოლის თავზე დაეხარე და ზევიდან დაგხედე. — ახსენებდა ვარია, მაგრამ ავთანდილს ის უკვე ნაცნობი მწვანე და ცისფერი თვალები, ხორბლის მარცვლებმობნეულივით კორფლიანი ცხვირი და წითელი ტუჩები მეორედაც დანაწევრებული ახსოვს. ისე გაუგებარი და თავმოუყრელი, რომლებიც ოქროსფერ ნისლებში დაცურავდნენ.

ვარია კუდრიაშოვას სახე ორი კვირის მერე ძლივს გამოთლიანდა.

ღმერთო, როგორ მისტიროდა დას: ჩემი პაქუა ცხვირი და კორფლიანი სახე იმასთან რა სახსენებელია გერმანელები ხელიდან გამოგლეჯდნენ ერთმანეთსო...

ომები მიწისთვის, ჭამისთვის და ქალისთვის წამოიწყო ადამიანმა. იღებენ

მერე მოიგონა, ეს მეტისმეტად უხამსი ვნებები რომ შეენიღბა.

11.

ბოკერიას, ხაფანგში გაბმული მგელივით, ძილი არ წაპკარებია. თუ ფრონტზე მუღდროებაა, იქ ჯარისკაცს რა დააძინებს. ზამთარმა რომ კუდი მოიქნია და მძიმე, წყლიანი ფანტელების თვალგაუღწვევი ბუქი დატრიალებდა, ძველი და ახალი ვაჭრილი, აფეთქებული, ამოყრილი და ამონგრეული მიწა, მკვდარი და ცოცხალი ისე სქელი თეთრი საფარით შეისუღრა; თუ ამ გაზაფხულის პირზე დიდი გარღვევა უნდა მომხდარიყო (და ეს გარდაუვალი იყო), ამაღამ უნდა დაწყებულყო.

უბედურებასაც ეჩვენება ადამიანი. შავლევიშვილს ჰგონია, თავს ზევით ძალა არაა; რაც მან თერგის წყალში ფეხი ჩამოდგა, მას აქეთ მისი პოლკი წყალს მიექვს. იელიტება ჯარისკაცი, იმსხტევა იარაღი. სულ ხუთიოდე ტანკასწინა-აღმდეგო თოფი აქვთ, რითაც ერთ რკინის ურჩხულს ვერ მოიგერიებ. ნაღმსატყორცნები და მცირე კალიბრის ქვემეხებიც კი, ამ ჰენჯყოში ხელით რომ ვერ შემოათრიეს, უგზობობია და უტრანსპორტობის გამო სადღაც ას კილომეტრზე ჩამორჩა. ჩრდილო კავკასიის უზარმაზარი ტერიტორიიდან უკან დახეულ მტერს ამ ჭაობებში და ლიმიანებში მანევრირება უჭირს, თორემ უძრავი ტექნიკა დაუგროვდებოდა. ვერც აზოვისა და შავი ზღვის ვიწრო ყელში გაატევენ ამოდენა საჭურველს და არც არაინი მისცემდა ამის უფლებას. ამოდენა სამხედრო ავლა-დიდება იმიტომ არ ჩამოუზიდავთ, უკან ხელუხლებლად ჩამოგვრთიანეთო. იმ ცხელ ტყეის ერთადერთი დანიშნულება აქვს, შავლევიშვილმა და მისმა ჯარისკაცებმა უნდა გააციონ. რამდენს ეცდები და ხელოდან გამოგლიჯავ, იმდენი ნაკლები მოგხედება. რალა თქმა უნდა, ძნელია: კაცს გატენილი იარაღი რომ უჭირავს, ცოცხალი თავით რავა დაგანებებს, მაგ-

რამ სანამ ქარი, ყინვა და თოვლი „გვმარება“, სანამ გათოვილს ხელი უკანკალებს და კბილი უკანკალებს. მეტს ავადუნს, ვინემ დღე დღეზე რომ მოთბება და წელში გაიმართება. კი, ჩაწვები ამ ლაფში, და რაკი შეტევისთვის და ბრძოლისთვის ვერ გამარაგებენ, იქნებ ვერც კანონით გაგასამართლონ, მაგრამ ჩაგტოვებენ აქ და მიგცემენ პირში მოწინააღმდეგეს. ის კიდევ, რაც ამ ზამთარში უკან ირბინა, ხელს რომ მოითბობს ზურგზე ტყავს ავაბდღენის და პირს მოიწმენდს. მტერი თუ დუმს, აძა. იმიტომ კი არ აკეთებს, ეზოგები. რაღაცა უტირს და პირში წყალი აქვს ჩაგუბებული. მართალია, შენც სულა კბილით გიჭირავს და იმიტომ ხარ გასუდრული, მაგრამ „ის კაცი“ რომ ფეხს ითრევს, რაღაცას იმედოვნებს. შენ რაღას ელოდები, იმის დალხინებას, რომელიც შენ უფრო გაგიჭირებს?.. არ გიჯობს, შენსავით გაჭირებულს ეტაკო, სანამ წელში მოკაულდა და ფრჩხილით და კბილით იქნებ ყელი გამოლადრო? ის რომ გაიჭიმება, ახლოსაც რომ მიგიშვას, ყელამდე ვერ მიწვდები. ამ ბოლო დროს იარაღის საქმე ცოტათი მაინც მოგვარდა, ჯარისკაცი უთაფოდ მაინც არ რჩება. მტერთან შედარებით თანაფარდობა დარღვეული იყო და დარღვეულია, მაგრამ შენთვის, შარშანდელთან და შარშანწინდელთან შედარებით უპირატესობაა. ეს ომი იარაღის, ტექნიკის ომი, მაგრამ ამის დაჭერება და გულზე ხელების დაკრფვა სასიკეთოს არაფერს ვიქადის. მიწა, წყალი, ხე, ქვა, თოვლი და ყინვა უნდა მოიხმარო, ფრჩხილი უნდა მოუშვა, კბილი უნდა მოლესო, შიმშილით და წყურვილით უნდა გახელდე, გაცოფდე და რაკი, ხვალ დალუპება არ ავცდება, დღეს რაღაც სცადო...

ნამუაღამევს ქარი უფრო მოძლიერდა და აკვივდა. თოვლის ფანტელები დაქუცმაცდა და გახშირდა. ნოტიო ყინვამაც ისე მოუტირა, მიწურიდან თავს ვერ გამოყოფდი — ბუქი ცხვირპირში შოლტვიით გცემდა, სახელოშა,

საყელოში და გულისპირში მისირილებდა, მკერდისა და შარვლის უბეში ნაგროვებ სასიცოცხლო სითბოს იტაცებდა...

12.

ჯარისკაცს თუ მეთაური არ უყვარს და მისი არ სჯერა, ყველაფერი დალუბულია. თუ შენი არ სწამს, ხელს რომ გაიშვერ, პირს აგარიდებს და საწინააღმდეგო მიმართულებით წავა. ჯარისკაცის ბედი მეთაურის ხელშია, მაგრამ თუ შენი არ სჯერა, თავის თავზე თვეთონ მაინც უნდა იზრუნოს. რწმენას ვერც სიტყვით, ვერც დაპირებით და ჯილდოებით შექმნი, დასჯით და დამბახის ტრიალით ხომ, მით უმეტეს, შეიძლება მტრად გადაიცილო (ვითომ მტერი და დუშმანი ისედაც თავსაყრელად არ გყავდეს). ვერც მოჩვენებითი ფაფხურა და „გმირობა“ გიშველის. საქმე!.. აგერ მტერი აგერ შენ და დაამტყიცე. მე შენ გეტყვი, შემთხვევა არ გეძლევა და ფაფურაკი საძებარი გაქვს. მეც თქვენთან ვარო, რომ იძახო, და რასაც თქვენ ხედავთ მეც იმას ვუყურებო, მაშინ შენც ჯარისკაცი უნდა იყო. ეს ჩინ-მედალი კარგად გაქვს გაკრული და შენი ბრანება შეუვალია! ჰოდა, რაკი დიდკაცობა მოგინდომებია, დიდი ჭკუაც უნდა გქონდეს. აქ საკუთარი უბედურების გაგებაში რომ არაეინა, შენ ასეულების და ათასეულების ბედი ხელში რა სინდისმა ავალებინა? ხარ ტყავის ჩეჭმებში და ამურმებში გამოწყობილი. ახლო, ცინცხალი სამხრეთეც გამოგვიანეს, წელზე პისტოლეტით და რა ვიცი რა ილარა... ეს ახლა ჭირს მომარაგება და შენც შიმშილობ, თორემ, საერთოდ შენა საყვებიც სხვაა და საძილე სოროც. შენი მამბარა თივთიკის შალია და ერთი ღერი ბამბა არ ურევია. წითელკანტიანი მალალი ქუდიც ზევით-ზევით გაქაჩება, სიგრძე და სიმაღლე რომ წაგომატოს და გამოგარჩიოს. ერთადერთი ცხელი ტყვიანა, სხვაზე მეტად რომ არ უღირხარ და სიფრთხილე შენც ისევე

გმართებს, როგორც უჩინოს. მაგრამ თუ შენ მართლა იცი ხელქვეითზე მეტი და მართო საკუთარი ტყავისთვის არ იბრძვი და ჭარისკაცს იმედოდ ეგულები, ცეცხლწაკიდებულ, ხანძარში დანთქმულ სახლში შევარდება, თუ შენი სჯერა: ვაიტრუსება, ვაირუჯება, დაიფუფქება, მაგრამ მეორე მხარეს ვაეა და ამ მრავალტანჯულ გამომწვარ და გამოხარშულ სულს ვაიტანს. ჭარისკაცმა იცის: ტკივილი, წამება, გოლგოთა, ჯოჯობეთი მისი თანამგზავრია და ყველაფერი უნდა აიტანოს, რომ სული გადაიარჩინოს. სულის ვადარჩენის და ოდესმე, თუნდაც ხეიბრად, შინ დაბრუნების იმედი თუ მოუსპე, იმისთვის ჰერე სულ ერთია, შენც მტერი ხარ და მტერიც. ამ ორმოში ჩაგლეხილი უნდა დააჯერო, რომ აქ გდება ვერ გადაარჩენს, შეტევა და ტყვიის ცეცხლი კი იხსნის და, წამოგყვება. იხოებს, იფორთხებს, მიწას და ყინვას ცხვირით და კბილით გათხრის, გველის ხერელში გაძვრება, უჩინმაჩინის ქუდს დაიხურავს, დაიჭრება, დაისისხლება, ხელს ან ფეხს მთლად დატოვებს... ყველაფერს გააკეთებს, ოღონდ სულის ვადარჩენის რაღაც იმედი უნდა შერჩეს. ამის იმედს ის მეთაური უჩენს, ვინც მათთანაა და ასე სააღალბედოდ არ იშვერს ხელს და არ გააკვივის: „წინ, სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“

აქაწკაწებულმა გოშხეთელიანმა საყელოდან თავი ამოაძვრინა და ამაღლობელის ფეხებთან ჩამოჯდა, რომელიც ორი არყის ხის ნედლ მორებში ჩაკეტებულიყო და ლელის ჩალა მხოლოდ თავსასთუმლად ეშოვა.

— მაგი ვერ წამოვა, აქედანვე იცოდე შენ!

— შენ თუ მოდიხარ... — მხვერავემა კბილს კბილი დააჭირა: ვინც გინდა და რამდენიც გინდა, შენ იცი, მე ვინ მკითხავსო.

— არც არავინ...
 მხვერავე ელდანაკრავი წამოვარდა.
 — მე და შენ...
 — ჰმმ...

— მე, რომ იცოდე შენ... შენც კი ფიქრე... არაა ახლა ამის დრო, კაცო, ამინდია კარგი...

— ძალლი არ გაიგდება გარეთ.
 — ძალლი რავე გაიგდება, ვინ თქვა მაგი.
 — ამაზე უკეთესი საჩვენო ამინდი წელს აღარ დადგება.
 — წელს რა დადგება რა ვიცი, მარა...

— მე ვიცი! კი, კი, კი! გადაიცივი ეს სანიღბე რაღაცაა და წავიდეთ. ავტომატი გვეყოფა და მეც ეს, რაცა მაქვს... აქ ამაღლობელი დარჩება... იწეკი მანდა! შავლეგიშვილმა თუ დარეკოს... ტელეფონით არა, მიხვალ და გტყვი, რომ ჩვენ დახვერვაზე წავედით. სხვას არავის, არავითარი კრინტი!

— პაპიაშვილს? — ჩაერია გოშხეთელიანი.
 — მაგი აღარ მიგვყავს და მეტი რაღა უნდა.

— გული რომ დაიწყვიტოს...
 — რა ქნა, მეც ბევრ რამეზე მწყდება გული...

— არა, მერე საწყენად არ დარჩეს.
 — კაი ახლა, შენ მაგი ქენი, მაგი და რომ დაბრუნდები, მერე ილიციენე.
 — თუ მაგის გუნებაზე ვიქენით.
 — უნდა ვიქნეთ, არაა სხვა გზა რომ არ ვიქნეთ!

13.

გოშხეთელიანი წინ მიდიოდა, თითქოს გაჩეულ გზაზე, მაგრამ ზანტად, ღუნედ. ხარს რომ წინ გადენი, იცია საით წავიდეს და მიდის, მაგრამ ისიც იცის ქედის ვადამლტეტი, დამაოსებელი შრომა რომ მოელის.

ხუტორიდან რომ გაძრომა შეიძლებოდა, ვარაის სოფელი შორს არაა, მაგრამ გოშხეთელიანი არც ხუტორისაკენ მიდის, არც მარცხნივ — თვალუწიერი ჭაობისაკენ, რომელზეც ვადასვლა ახლა თავგანწირვას არ ნიშნავს. მაგრამ გზას, აღმათ, ერთი ათად გაქიმავდა. ბოკერიამ თვითონვე არ იცის

ჯერჯერობით — შეძლებს ამოდნა მანძილზე ასე უღვთოდ ჯახირს? როცა ნაფხურებიდან ამოცვენილ ფუმფულა თოვლს ქარი ნადავლივით იტაცებს და ტრამპლზე მიადგარფატებს, მით ნაკვალევს მაშინვე შლის, ასწორებს. სანამ ეს წამლევი ქარბორიო მძვინვარებს, როგორმე ნეიტრალურ ზოლს რომ გადაცდებოდნენ, ორი წუთის შემდეგ მათ ნაფხურებს კაცზე დავეშილი ნაგაზიკველარ იპოვის; მაგრამ, რალა მგელს შეუქამიხარ და რალა მგლისფერ ძაღლს, ამისთანა წარღვნაში რომ ჩაიმხლო და ქანცგაწყვეტილს წუთით ჩაგთვლიმოს, შენს თავზე თოვლის მთას დადგამს და სიეჭვოა, ოდესმე გაგვლვიძოს. ავთანდილი ჯერ იმ ზაფრა კონტუზიამ დაანგრია და დაშალა. პოსპიტალმა და ვარია კუდრიაშოვამ ნელ-ნელა სააქაოსკენ მოახედა, მაგრამ ჯარისკაცის ყოვლისამტანობა და გაუსადლისის გამძლეობა გამოეცალა. ადამიანური, ცხოვრებისეული, სიყვარულისეული დაუბრუნა, რაც მეომრისთვის ისეთივე მტერია, როგორც მოწინააღმდეგე.

გოშმთელიანი შეუმჩნეველად უმატებს ნაბიჯს. თავიდან, ისე უეცრად რომ წამოაგდეს და დროის დაუთქმელად, მოულოდნელად წინ გაიგდეს, ერთხანს იმან მოწყვიტა წელი; ახლა უფრთხება ძილი, და ამ ნემსის ყუნწში გამძრომ ქარს თანდათან უგმანავს საძრომებს. უწყობს ფეხს ამინდას, გზას, უგზობას და თუ იმწამს საფრთხეს არ ელოდება, ზეზეურად ჩათვლემს და ისე ივლის. ახლა ჩათვლემა კი არა, ქარბუქის კორიანტელი თვალებს დაგთხრის მგონია, მაგრამ ჯარისკაცი აბარისი ჯარისკაცია. ავთანდილი კი გარედან იყინება და შიგნით ოფლს ასხამს. ჯერ რა გამოიარეს და ფეხები დაუმძიმდა, აეთრევიანა. ქარ-შეაევი უტრიალებს და აწყვდება, რასაც თვითონ ჩაუსუნთქავს, ის კიდევ ერთ იმდენს ატუნის. იცის, სანახევროდ უნდა ისუნთქოს ცხვირით და, აქოშინებულის, პირს მაინც ლოქოსავით აღებს... გერმანელებს თურ-

მე თავის დროზე შევებულე, ავარაკი, ბორდელი და რა გინდა, სულ და გულ... აქ კიდევ, ფრონტზე რა აქვთ და რა არა, ეგ ვინ არ იცის. ამ დღეებში ეს შეტევა რომ გაამართლებდეს და მტერს ფაცი-ფუციტ გარეკავდნენ, მაგათ სანგრებში, მიწურებში და საწყობებში ნაალფარიტ სულს მოითქვამს ჯარისკაცი.

ამ ჭაობებში რომ ტრანსპორტი ვერ აღწევს და შავლეგიშვილის პოლკს ასე უჭირს, ერთის მხრივ, უკეთესიცაა. ვინც დაამშია და გააწამა, ჯარისკაცს თუ მაღარი ეგულება და ზედ მიუშვებ, მის სისხლს დალევს.

— გოშმთელიანის უკან გამოწვდილმა ხელმა შეაჩერა.

— ჩამორჩი, ავთანდილ, ჩამორჩი!

— ჯერ, ვითომ?..

— არა, აქ ჭაობის ტბები და ორივეს დაგვიმაგრებს?

— მთელი ღამეა ჰყინავს, ისედაც არ იყო გამლავალი.

— რა ვიცი, დღეს ჭაობს კი არა, კაცს რა უღვეს გუნებაში, იმას ვერ გავგები! — და წავიდა.

ავთანდილს კაპიუშონის გარეთ დარჩენილ სახეზე ქარი თოვლს ხოშკაკალასავით უსხაპუნებდა. ცხვირი და ლოყები წამოსივებოდა და გაბჟუებოდა, სუსხი და ლიგვი აღარ აწამებდა: გაოფლილს თავიდანვე რომ ქარი შემოიშკვრებოდა და ცივ დანასავით გასერავდა, ახლა აღარც ეს უხუთავს სულს. ფეხები, ფეხები გაუხდა ქვებივით... ეს იყო, რაც კონტუზიამ დაუტოვა, პოსპიტალში როცა იმდენად მოკეთდა, ვარისს სახე არა მარტო გამოლიანდა, მისი ზედა ტუჩის ჩაკბილულ ვარდისფურცელს ოქროს ბუსუსებიც გაუჩნდა. სახეზე ფეტვივით მოზნეულ ქორფლში, ცისფერი და მწვანე-ცისფერი, ციკქნა ტბებივით თვალები ხორბლისფერი წამწამების არილით დაიფარა. დაზაფრულს ხელ-ფეხი მაინც უძრავად ეწყო. აღარ უკანკალებდა, მაგრამ გაყრუებული ცახცახებდნენ, თრთოდნენ, თათქოს შიგ სუსტი დენი დარბოდა და კიდუ-



რებს ასხვისებდა; პატრონის ნებას არ მორჩილებდა. ბოლოს და ბოლოს, ჰოსპიტლის ლეიბმა და ვარიას საკუჭნაოს თეთრეულში კოტრიალმა უსაშველა, მაგრამ, ეტყობა ქარბუქში მუხლჩაუბრელი წოწილისთვის მაინც უვარგისა გამოდგა.

ვარიამ იცოდა რატომ ტიროდა და რატომ ულუმპავდა განშორებისას ავთანდილს გულისპიარს. ომი ჩვეულებრივს, ადამიანურს არ ჰგუობს და ზეადამიანურს — სიყვარულს შეგარჩენს? არადა, ფეხები სულაც ამ ქაობში რომ ჩატოვოს, სანამ ბედი სწყალობთ და ამინდი მრისხანებს, უნდა იარონ... „ნეტავ დედაჩემის მისამართი მიმეცა ვარიასთვის, — ინანა ავთანდილმა, — თუმცა, არც მან ინდობა, უშენოდ დედაშენი კი არა დედაჩემიც არ მინდაო. არადა, ამ დღეებში რომ ეს სოფელი ნაეარტუტად იქცეს...“ ქაობებში მტერს ვერ შემოიტყუებ, ბრძოლა იქით წარიმართება, სადაც ჯარისკაცი ფეხს მოიკიდებს. ეს ზუტორი, რომელსაც ახლა გოშხეთელიანი ხელმარჯენი ტოვებს, დღე-დღეზე მოთბება და, მხოლოდ იქ თუ გაივლის ადამიანი. ეს ჰენჭუყო შეეაკება ამ ქარყინვაშიც ანარაა სანდო. კაპას ქალს რომ სიყვარული შეებარება და დათრგუნავს, გაზაფხული ისე უღრღნის გულ-მუცელს და ალხობს. არ ენდო აკაკი — ორ კაცსაც აღარ დაიმავრებსო და უკან ჩამოიტოვა მეთაური.

ჩვიდმეტი წლის ბიჭი იყო კაკო, რომ გამოიწვიეს. გამხდარი, გალუელი, ძვალ-ტყავა. სამეთაური კურსებს სანამ დაამთავრებდა, ავადმყოფობდა. დაღესტანშიც, დიეიზის ფორმირებისას, წაკვდომამზე იყო. ფრონტზე, წყალსა და ცეცხლში გამოიჯგავა. ამ ბოლო დროს მართლა გაუტირდა ავთანდილს მისი ცნობა. ნაწყენია, მაგრამ ეს უკეთესია, მეგობარი მეთაური თავსაც ავენებს და შენც დაგლუპავს; შენ იმას ეფარები, იგი შენ და ამ დროს ორივე იწირებიან. ან, ერთ-ერთი რომ კვდება, მეორეც წასულია ხელიდან. შიშით და გინებით

უნდა გაირეკონ წინ ერთმანეთში... ამისთანა წარღვნაში კეთილმოსურნე გაბრტო როგორ გამოგახედებს. ამას რომ ტყვიის ქარიშხალი დაემატება, ჯოჯობეთი სამოთხედ მოგჩვენება და აქ აპირებ შენ სიყვარულით და ერთმანეთის ფერებით მტრის ზურგში გაძრომას და გამოძრომას?

აგერ, ლელის პირზე გამოზღვნილი ჩირგნარი უნახავს და ყურებდაცქვეტილი კურდღელივითაა იქ ჩაცუცქული და გადასახტომად შეწკიპული. იქითა მხარეს მომაკვდავი დედა რომ ეგულეზოდეს, ნაბიჯს ვერ გადადგამს, იმიტომ კი არა, სხვაზე ნაკლებად იცის შშობლის სიყვარული; არ შეიძლება ეს, ადამიანი ამას ვერ შეძლებს და იმატომ. ახლა ნახე, როგორ მისცხოს თავი ამ ლელიან-ჭაგიაზე მინამჭრულ თოვლში და მგელი რომ ტყავს ვერ გაიტანს, იქ რწყილივით გაძვრება. მოვლით ამდენი გზა გამოიარა და კიდევ გაიგრძელებს, რომ ისევ უფალით იაროს.

გოშხეთელიანის, მზეერავის პირობაზე, იქნებ ზედმეტი სიფრთხილე უყვარს და ამიტომაც, ოფლს რომ იღენს და სისხლს არა. ურჩენია, შორი გზა მოიაროს, და შინ შვიდობით დაბრუნდეს. ავთანდილი კი პირდაპირ გაჭრიდა, იქ, სადაც მტერი ნაკლებად ელოდება. რა თქმა უნდა, ეს სარისკოა, იქ ან მთლად უსისხლოდ გახვალ, ან ტყავს შემოიხეგ, მაგრამ ომში სადაა რომ სიცოცხლე სასწორზე არ იდოს და სიკვდილს არ ეთამაშებოდე.

ისე კი, რაც მართალია მართალია, გამოზღვნილია გოშხეთელიანი. ფეხს სად ადგამს იცის, მუხლიც ერჩის. ბიჭური, ცუცქურა სახე დაშაშვრია, შეცვლია, დაკაცებულა. ვითომ ისევ ჰაბუკური იერი ახლავს, მაგრამ ყბის კუნთები გაქვავებია, მაშინვე ამოუხტება, როგორც კი იძაგრება და კბილს კბილზე აჭერს. თვალები გაავებია. ძალის აღლო და გეში გასჩენია, მტრის ყველა სიროსა და ზვრელში ცხვირშენარგავს. ახლა რომ კაცი გზას იკვლევს და მხარი არ ეცვლება, ნამდვილი მზეერავია. თუმ-

ცა მზვერავი ესაა, აბა, დანომრილი ქუჩებში ფოსტალონები ატარებენ წერილებს.

„ჰო, მართლა, არ შეიძლება მამუქას გოგოს — თეკლას ჩემთვის წერილი არ მოეწერა, — გაუელვა ავთანდილს, ამ დღეებში ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, — რა უყო იმ საცოდავმა, თუ მამუქას გადასცეს. ან იქნებ შტაბში ყრია. თუმცა რად გინდა, რა უნდა მისწერო, რა იმედი უნდა მისცე, სანამ ეს ასეა. ვითომ კონტრუზიაა ასეთი რთული და განუკურნელი? რა საცოდავია ადამიანი, რანაირი უბედურება არ ემუქრება“.

სად გაქრა აკაკი? ამ ტიალ მინდორზე პირდაპირ თოვლში ჩაუყვინთავს და ქარბუქი თავზე „საბანს“ აფუთნის...

14.

გოშხეთელიანმა პირწყაინულ ტბორის თავზე, ორმტკავლიან კბოდის ძირში იმდენ ხანს იძუტგურა, სანამ ბოკერიას ოფლით გატბორილი ბრეზენტი ტანზე სუღარასავით არ შემოაცვივდა: კიდევ ორიოდე წუთი და ვეღარც მუხლს გაშლიდა და ვეღარც წელში მოიხრებოდა. ბედად ქარბუქი ქარბორბალად იქცა. დაუბერა და დაუბერა, წამოუშინა და წამოუშინა! ოთხივე მხრიდან მოწიოდა, ციდან და მიწიდან. უკვე ჩამოყრილ და ადგილმიჩნეულ თოვლს ხელახლა იღებდა, ამ ცოდვილ მიწისათვის არ ემეტებოდა და უკან უპირებდა წალებას; ეგებ ნაბომბარ, ნატყვიარ ორმოებში, ხრამებსა და თხრილებში გადაჰქონდა, ავსებდა, რომ დაქრილ, დასახიჩრებულ, ნაკემ და ნაგვემ მიწისათვის მთლიანობა და სისპეტაკე დაებრუნებინა, რომ კარზე მომდგარი პირმკინარე გაზაფხული ელდას არ სცემოდა და ქვეყნის განახლებაზე უარი არ ეთქვა.

ე, მაშინ იყო, კბოდეზე რომ შეხობდა აკაკი და თოვლის საბურველში ისე შეძვრა, როგორც ბავშვი სასთუმლიდან საფერხულში მწოლ ძმისთან გადა-

ძვრება. თავაუღებლივ მიჰყვანა ავთანდილიც ნახარავს, მეწინავეს ჩეჭმის ლანჩებზე თითქმის შუბლმიბჯენილი. ოდნავი დახანება და, კორიანტელი ისე ხარბად არიალებდა თოვლით გაჭერებულ ჰაერს, წამით რომ სულს ჩაითქვამდა, ხელიდან უცვივლებოდა და ყოველგვარ ნაკვალევს ამობუქავდა.

ალბათ კარგა ხნის გადაშულამებუელი იყო. ქანცაწყვეტილ ავთანდილს გონებაც ისე დაუოსდა, ალარც ის იყოდა, საღ მიდიოდა და რისთვის, არც ის, წინ კიდევ რამდენ ნაბიჯზე ჰქონდა ვასათრევი მოწყვეტილი სხეული. გოშხეთელიანი მიდიოდა და ჯაჭვით გამომბუღივით „მიითრედა“.

აქაურ მიწას შემალეებების ქვეშაც გული ქენჭყოთი აქვს დამძიმებული და ღრმა ღარტაფები და ხევეები არსადაა; ყოველი ჩაღრმავება ტბებად და ტბორებად დვას. როცა მეწინავე მოულოდნელად გაუჩინარდა, ავთანდილი ამით მიხვდა, რომ სანვარში გადაეარდა, თერთონაც ღრმა თოვლში ჩამხოზილ აკაკის დაეცა. ერთხანს ასე დარჩნენ; თუ სულის მოთქმა კიდევ შეეძლოთ, უნდა მოეთქვათ. მზვერავებმა იციან, თუ ალლო კარნახობთ სიბნელე და ამინდის სისასტიკე უნდა გაანაწილონ და იარაღად გამოიყენონ. ძალაც და ენერგიაც არ დაზოგონ, როცა გარემოება ამის უკიდურეს დაჭიმვას მოითხოვს. ახლა უძრავად ეგდო ბუქით შეფარებულ ორმოში თავდაღმა ჩამზღვლეული და თითქოს ამას იქით წასვლას არ აპირებდა. თითქოს არ სცოდნოდა, წინ კიდევ რომ გზა ელოდა და ძალ-ღონე ერთბაშად დახარჯა. მაგრამ ისიც იცოდა — აქ რომ თავი დაეზოგა, სადაც სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, შეიძლება ყველაფერი ოხრად დარჩენოდა.

თავი რომ წამოსწიეს, ქარი ისევე ისე დათარეშობდა, მაგრამ თოვას მოეკლო. ეს მტერს თვალში გამოახედებდა და ახლა მუხლის ჩახრა ამდენ ტანჯვა-წამებას წყალში ჩაჰყრიდა.

15.

ნამჭერმიყრილ, ზიცოცხლეჩამკვდარ ქობის კარზე მოკრძალებულ დაკაჟუნებას, ქარის ზუზუნშიც კი, მაშინვე გაეხმაურა შიშისაგან გამომშრალი ხმა; ქალისა იყო თუ კაცისა, ვერ გაარჩევდი.

— კარი არ გააღო, დედი... — აუხსნა ასევე ხლიჩინით გოშხეთელიანმა. — მასპინძელი დაიბედა: არც შენი თბილი ლოგინი გვინდა, არც ლუქმას გეცილებით, სიცოცხლით ხომ ხელშეუხებელი ხარო.

— ჰო, მაგრამ რა გინდათ... — ხმამ ფანჯრისკენ გადაინაცლა. გოშხეთელიანიც კატის ნაბიჯებით მიჰყვა. ჩექმის ქვეშ თოვლს არ დაუყვესია.

„უნდა დაენახვოს, თქვენიანება ვართო“ — რაკი საერთო ენა მოინახა, იარალი საჭირო არ იყო და ავთანდილმა ბუდეში ჩააბრუნა.

ორმაგი ფანჯრის დარბამ გაიჭრილა და ამის მერე სტუმარ-მასპინძელმა ხმას იმდენად დაუწიეს, ქარის ზუზუნში მოკერისა არაფერი ვაუგონია.

ომის ცეცხლში გამომწვარ სოფელს ფრონტის ხაზი ისევ მოადგა, ორ ცეცხლს შუა მოკცეულს კერძო დილით ეძინა, გაუხდელსა და ვასაქცევად ბოხჩაშეკრულს. მტერი თავის „სამფლობელოში“ იმას არ იგუებდს, ვინც არ სცოდავს და მას არ ერთგულებს. სული მწარეა და მეტ-ნაკლებად ყველა სცოდავს. ახლა, აგერ, განკითხვა რომ კარზე მოვადგა და მოკრძალებულად გიკაჟუნებს, კარიც არ გააღო, ნიავი არ მოგხედესო, ამისთანა მსაჯულისათვის სიმართლეს კი არა, სულს არ დაიშურებ.

ძველი ნაცნობებივით კარგა ხანს იბუტუნეს და გოშხეთელიანი ფანჯარას ფეხაკრეფით რომ მოსცილდა, მთლად საპირისპირო მხარეს წავიდა. ეზოდან ეზოში გადაძვრნენ. ხეების ძირებში თოვლშეყინული ტოტების წყარუნმა და ლობეების ხლიჩინმა ხმაწართმეული ძაღლებიც კი გამოადვიდა. მეწინავე ყანების მიწანაზე და ბალ-ბოსტნებზე ერთხანს თამამად მილასლასებდა და სახ-

ლებისა თუ ქობმანებეს სოლუეტებს მარჯვნივ იტოვებდა. მჭერს კრთხაშად შეუხვია, ვიწრო ორლობეს შესდია. სოფლის პირობაზე საკმაოდ ფართო შარავზა გადაჭრა, სადაც ისევ აღავლდა ძალლი, მაგრამ ყური არ შეუბერტყია, ისეთივე ვიწრო ორლობეში შეეარდა; სახლების კონტურებს ითვისდა თუ იმახსოვრებდა და ბოლოს, ცალფა, ვიწრო კუტიკართან ჩაიხარა, ლაფათინებში ხელი შეჰყო. გააღო, მაგრამ გვერდი რომ უბიძგა, ძველი, მონჯღრეული კარის ზედა თავი გადაიფლაშა, ზედ მიყრილმა თოვლმა ქვევით არ გაუშვა. გვერდულად შეძრა. ავთანდილიც ასევე აბირებდა გატევას, მაგრამ გაუჭირდა, გადაღვერილი თასმები გატყაცუნდა. კარი შებორძიკდა თუ არა, კაკომ შიგნიდან კაკით ჩაეკტა. ჩაბუქულ ლობეს გაჰყვა, ხის ძირებში გაძვრა და რალად ფიცრულს მიადგა. ფიცრულსაც შუამღე შეინდა შეკიდებული ბუქის ფარდა. ზევიდან კარის ჭრის ჩამოადევნა დანის პირი, მერე ქვევიდან ზევით ააყოლა და რკინა რკინაზე გააღრჭილა. ბეჭით უბიძგა და შეაღო. ქარმა შესაწრო და შიგ თხა თუ ცხვარი აბეტელდა. ავთანდილმა რომ ცხვირი შეჰყო სითბოში, შეზელილი წუნწუხის მძაფრი, წანწალა სიმყარაღე დაეტაკა, თავებოუ დაეხვა და კედელზე ზურგიით მიყრდნობილი ჩაიკეცა. კარი მის ყურის ძირთან ჩირაზა და საალიონედ შერძისფერებულ თეთრი სამყაროდან სულის შემგუბებელ, დამარტყიანებელ, თბილ ლუსკუმ ბნელში აღმოჩნდნენ.

— ჰე, აწი შენ იცი... — ჩაესმა გონმიხდილ ავთანდილს და გოშხეთელიანი მოჭრილ ხესავით დაშვავდა. თხის პეტელი, ბაკუნი, ზრუტუნი, ქათმების კუთვა-შეკვირვება და ქოთქოთი ერთმანეთში აირია, მაგრამ აღარც ერთს არაფრის ვაგონება არ შეეძლო.

16.

ავთანდილმა ვერ აიღო წელი, თორემ კაკო, ფუნით და თიხით გალესილ კედელში ჩატანებულ მტკაველა სარკმელ-

ში შემოჭრილ დიღის ნათელს როგორ-
დაც აჰყვია. შარვალზე და ქურთუქზე
თივის, ბზის და ნაკელის ბლღვირ-
აიყოლია, თხა აბაკუნდა; შიშნეულად
დაიფთხვინა, მოიბღუნკა და მოშარდა.
უკანა ფეხებითან ოზზივარი დააყენა,
თორემ გომურში დაგუბებულ მწყლარ-
ტე, ფუთფუთა სიმყარალეს ვერაფერი
შემატა. კაციანი აქეთა ბნელ კუთხეში
მიბმული ძროხის ზრტუტუნმა შეაწყვე-
ტინა. მსხვილფეხა რქოსნის უპირატე-
სობა სცნო თუ თავისი უმწეობა, მი-
ტრიალდა, რქა კედელს გაუხახუნა და
სარკმელთან ატუხულ კაცს ბეცად გა-
მოხედა.

„ესე იგი, საქონელი ჰყოლიათ. — ჩა-
ფიქრდა ავთანდილი — თხაც გყავს...
ამას მტერი არ შეგარჩენს, თუ შენთან.
ასე ვთქვით... კარგად არაა განწყობილი
და ძროხა მისთვის არ იწველება. დევ-
ნილი, რებრესირებული ოჯახი იყო, ლა-
მაზი ქალიშვილის პატრონი. სოფელი
ისე მოულოდნელად არ მოქცეულა ალ-
ყაში, ვინმეს თავის შველა თუ უნდოდა
არ ეშველა. გამქცევი თვით ამ სახლი-
დანაც კი გაიქცა... ესე იგი, კეთილგან-
წყობისათვის საფუძველი არსებობდა...“

— რა ვქნათ?.. — თავი მოაბრუნა
გოშხეთელიანმა, თოვლისა და დღის სი-
ნათლუზე ნაყურები, ვერაფერს არჩე-
და.

— რა ვიცი, კაცო... — ავთანდილმა
იცოდა, წელს რომ ვერ წამოსწევდა
და არც უცდია, — რა ამბავია?..

— არაფერი, სოფელიან... სად მომიყ-
ვანე მაინც, თუ იცი?

— ცოლოურობაა აქ ჩემი... —

— ტყუილა იკატრიალუ იმდენხანა
ქოსპიტალში... იმ კონტუზიამ არ გაგია-
რა? — მზვერავი ზემრობის გუნებაზე
არ იყო.. იცის, მტრის ზურგში რა ძვი-
რი ჯდება ყოველი წუთი და ზედმეტი
სიტყვაც კი.

— იმ კონტუზიას უნდა ვუმადლო,
კაცო, რომ ამ ოჯახს დამამოყვრა.

— ფერენს, ეს შობელძალი! —
გოშხეთელიანს ეჭვი არ ეპარებოდა,
ავთანდილს მასზე მეტად რომ უჭირდა

და, ამდენად, უკეთესად იცოდა, სად
იყენენ და რა ელოდებოდა. წინეული იმი-
ტომ წამოაგდო და ჯოჯოხეთის გზაზე
ათრია და ეთრია, რომ მტრის ზურგში
ამ აქოთებულ ბოსელში იმასხარაოს?
არადა, ეს ცოლოურობა რა იყო თუ
მართლა არ შეურეკა?

— ჰე, „კაცო“, თქვი, აქ რა დაქარგე
და რას მაძებნინებ?!

— მოყვრებში მოგიყვანე, კაცო! —
წამოდგომა რომ ვერ შეძლო, დაოთხი-
ლი წამოვიდა ფანჯრისაკენ, რაც ზოგაზე
მწოლარე პირუტყვმა იუცხოვა და რა-
მოვარდა, ბრაგა-ბრუგი ატეხა და თხაც
განწირული აპეტელდა.

მურიაანი მინის მიღმა თოვლი ყვითე-
ლი და ჭუჭყიანი ჩანდა. ხეებზე შევი-
ნული ძველი თოვლი წუხანდელ ქარ-
ბუქს ტოტებიდან ჩამოებერტყა, გან-
შტოებებში და ჭიკაყვებში შერჩენო-
და აბედა სოკოსავით. სახლის უკანა
მხარე მთლიანად ჩანდა მითოვლილი
კიბით და აივნით. სახლი თავის დრო-
ზე კარგად გაემართათ და უკანა მხრი-
თაც ფანჯრები ხის ჩუქურთმებით და
დარაბებით გაეწყოთ. ავთანდილს გუ-
ლი ჩაწყდა: ამ დარაბებს, ერთ დროს,
ვარია აღებდა და იმ ფანჯრებიდან იც-
ქირებოდა. ახლაც რომ მომხდარიყო
სასწაული...

— კაცო, რას უყურებ, გამაგებინა
ერთი! — აღიჩინდა გოშხეთელიანი.
უკვე ისიც აღიზიანებდა, რომ ამდენ
ხანს ბატალიონის მეთაურის ბრმა ია-
რალი იყო. როცა აქ, თვითონ იყო მე-
თაურიც და ბატონ-პატრონიც. მან
იცოდა ყველა ზერელი, გასაძრომი და
თუ აქედან თავის დაღწევა შეიძლებო-
და — თავდასაღწევიც: აქედან ვინმე
უნდა გაეყვანათ, თუ მართლა ცოლო-
ურობის მოსანახულებლად ათრია ამ
შეთე ბოკერიაში?

— მაცა, კაცო, თვალს ვახარებ. —
ჩაილაპარაკა მინაზე თვალმიციებულმა.

„მართლა შეიშალა ეს მკვდარძალი!
— გუნება მოეშხამა აკაცის. — მაგარი
მებრძოლი იყო... მაგრად დანგრეულა.
იმიტომაც ეგდო იმდენხანს საავადმყო-

ფოში. გარეგნულად ვითომ არა უშავს, მაგრამ ასე ერთი შეხედვით ამოღლებულიც არაა ხეიბარი. არც მე, მაგრამ ვარ ის, ვინც ვიყავი? მტრის ცეცხლის ხაზში გავეძვრებოდი და მის ზურგში გავიჭიპანებდი კი არა, ორი წლის წინ, სადაღაც რომ ქვემეხი დაიყვებოდა, შარვლის ღილებს ვიხსნიდი..."

— ეჰ, რა გითხრა იცი?... დაიქცა იმის ოჯახი...

— ვისი, კაცო, ჰკუა ხომ არ დაკარგე! — გოშხეთელიანმა ხელიც კი წამოსწია, რომ გულისპირში ცემოდა და შეენჯღრია, მაგრამ დაფიქრებულ, დამშრებულ მეთაურს სახეზე რომ შეხედა, მკლავი ჩამოუვარდა და ესლა პკითხა — რა გჭირს, არ იტყვი?

— რა, კაცო, კაცო, და ჩემია ეს ყველაფერი.

— ჰო?...

— ჩემი, საკუთრად ჩემი...

— შენ გჭონდეს, თუ გინდა, მაგრამ ახლა ამის დროა? — გოშხეთელიანს სიმწრისაგან სახე დაემანჯა — მტრის ზურგში შეშლილი მეთაური კი არა, ბრძენიც როგორი ტვირთია!

— თუ გინდა კი არა, ჩემია. მთლად თუ არა, ნახევარი მაინც...

„ახლა ნახევარზე ჩამოვიდა, სიგიჟე სიგიჟეა, გინდა კანტუზია უძახე შენ და გინდა შიზოფრენია“.

— არტომ ნახევარი და არა მთლიანად?

— იმიტომ, რომ ჩემს სიდედრს ორი ქალიშვილი ჰყავს.

„არ გინდა აქედან ამის შეკოკილი თრევა? — დაცეცხლა გოშხეთელიანს, — ეს სიდედრი მაინც რას დაიჩემა?“

— სიდედრი:..

— ე, ჩემი სიდედრი! — მიაფოფინდა მინას და შუბლით კინადამ გაიტანა.

„ახლავე შეგკონო თუ სანამ ყვირილს არ მორთავს ვაცალო?..“

— დამანახე ერთი...

— ე, უყურე, კაცო, შენი თვალით დაინახე, რა დარბაისელი ქალია, მარფა ხარიტონოვანა.



აივანზე, ცოცხით და დაქანდაკით, მართლა იდგა ფაშფაშა დედაბერი. იქნებ დარბაისელიც, მაგრამ ამისი გოშხეთელიანს ახლა არაფერი გაეგებოდა.

ბოსელში საქონელი აზრუტუნდა, სახლის აივანზე თოვლის ვადმოსაყრელად აქანდაზი რომ აფხაკუნდა.

— კი, შენი სიდედრია, — დაყაბულდა აკაკი, — მაგრამ მის ქალიშვილთან ჯვრისწერა როდის მოასწარი.

— ახლა, კაცო. ჯვარს ვინ იწერს...

— კარგი, არც მთავს დავეძებ, ახლარა ვქნათ.

— მოვა აქ და გვითხოთ.

— ვის, შენ „სიდედრს“?

— ჰო, კაცო, მოვა... საქონელს მიხედვა ხომ უნდა?

— ჩვენ რომ მიგვეხედა? მოყვრისას ვართ, მტრისას ხომ არა... — უღიმილოდ, მწარედ იხუმრა გოშხეთელიანმა.

— მაგიც შეიძლებაოდა...

„მთლად წავიდა, ეს შობელძალი, ხელიდან. ხუმრობა ამის მოგონილი იყო...“

— მერე, „სიდედრი“ მოვიტაცოთ?

— მოიცა, რაღაცას ნუ სულელობ!

— გაწყრა მეთაური და ტყავის ქურთუკზე ბზე, თივა და ნაკელის მტვერი ჩამოიფერთხა, გულისპირი შეიხსნა, ქამარი და აშურმები შეისწორა.

ამ ამბავმა ვერ დააიხმედა კაკო — „ყველა გიჟი შიშველი კი არ დარბის“.

— ე, აქეთ მოდის და!.. — აკაკი ფანჯარასთან, კუთხეში აიტუზა. ქათქათა თოვლს თვალშეჩვეული შემოსული, იქაც ვერ დაინახავდა. ავთანდილი ისე დადგა, „სიდედრი“ რომ შემოაღებდა კარს, უკან დარჩებოდა.

გარეთ რომ თოვლზე თეჭურები აქრაჰუნდა, აქედან დამფრთხალმა თხამ და ძროხამ შებღავლეს. პატრონი თითქოს შეჩქვიფდა და ერთხანს შეყოვნდა, მერე საკეტი ნაჩქარევად გააჩხაკუნა და კარი ყურთამდე მოფელა, რომ მეტი სინათლე შემოეშვა და კარგად დაენახა, რაც მის პირუტყვს აშფოთებდა.

შალმოფუთნული, ავადმყოფურად ხორცსავეს ქალი გადმოკარკლული, თხის ბეცი თვალებით იხედებოდა სიბნელეში, მაგრამ შიში არ ეტყობოდა. რაღაცას კი ელოდა, მაგრამ, იმაზე უარესს არა, რაც უკვე ენახა, რაც კიდევ მრავლად იყო მოსალოდნელი და ვეღარსად გაეჭკეოდა. ერთხანს უცქირა დაგმანულ უკანა კარს და თოვლით გაბუმბლული თექიანი ფეხი ზღურბლზე გადმოდგა. თხამ, რაკი პატრონი ახლოს დაიგულა, ბაწრის გასაწყვეტად ოთხივე ფეხი წინ მიასო და ისე განწირულად აბეტელდა, თითქოს საბელი კისერში ჰქონდა წაჭერილი.

— ეს შენაა, ჩემო ლამაზო, რომ ასე მიჯავრდები? — წვერცანცარას მიამუთრა, საოცრად ალერსიანი ხმით დაუყვავა, — შევეცოდე, დამავიანდა, მაგრამ, ჩემო ჰკვიანო, ხომ უნდა ვადამეხვეტა აივანი და კიბეც ხომ... — ზურგზე ხელი სათუთად გადაუსვა და კუდუსუნზე უბიძგა, წინ რომ წაეწია და ბაწარზე ასე დაკიშული არ მდგარიყო. — არ შეიძლება, ჩემო კარგო, ჩემო ჰკუთის კოლოფო, ჩემო...

გომურში ნელ-ნელა ჩამოხენელდა.

— რაო, ისევ ის დალოცვილი ქარი ამოტყდა?! — გაუყვირდა, რაკი კარი თავისით არასოდეს იხურებოდა. ამ დროს გაისმა ბოკერიას ისეთი ათრთოლებული ხმა, აკაკის მისგან მსგავსი არაფერი სმენია.

— დედა, მარტა ხარიტონოვნა!..

გოშხეთელიანს თმა ყალყზე დაუდგა: აი, ახლა იკვირებს ქალი, ახლა შეყრის ქვეყანასო, და ნახტომისთვის მოემზადა, რომ პირი აეკრა.

— აქ ვინმე ჩვენინანია?.. — იკითხა ქალმა მას შემდეგ, რაღაცის გაფიქრება რომ მოასწრო.

— დიახ, ეს ჩვენა ვართ, მარტა ხარიტონოვნა, ჩვენები... ჩვენები...

ქალი ვითომ გაახარა ამ ცნობამ, მაგრამ მაშინვე შეაძრწუნა კიდევ და არც თუ უფერული სახე ჩაეტეტკა, ნიორწყალი გადაესხა.

— ესე იგი, ჩვენები... უკვე?

— ჰო, აქვე ვართ, ყურის მძარში...

— და ავთანდილმა ნახიჯი გადმოდგა.

— მერედა ჩვენ... ჩვენთან რატომ...

— კი არ იკითხა, ამოიკვნესა.

— ჩვენ, მარტა ხარიტონოვნა... —

ქალს სახელით და მამის სახელით მიმართვა არამცთუ აკვირვებდა, თითქოს აშოშმინებდა და გოშხეთელიანი გაოცდა: ამ კანტუზიან ბოკერიას ნათელი ხილვები ხომ არ დაეწყო.

— თქვენ ისიც იცით, მე...

— ვიცით, მარტა ხარიტონოვნა, ჩვენ... მე ვარიასაგან...

— ვარია?! ჩემი ვარია?!

— თქვენ წარმოიდგინეთ, მე და ვარია... დედა...

სიხარულით აკანკალებული დედაბერი წინ ატუზულ ავთანდილს ერთი მოხვევა კინლამ მოეხვია, მაგრამ... მისი ქალიშვილის სახელი ხომ შეიძლებოდა შემთხვევით სცოდნოდათ.

— ვარია?... სადა... ცოცხალია?..

— კარგადაა, კარგადაა, დედა! — გაიბადრა ავთანდილი.

— ჯარშია? თქვენთანაა? არა, თუ ცოცხალია... ცოცხალი თუა, შენ მარტო ეს მითხარი. — ავთანდილს მკლავებზე გაუბედავად აცახცახებული ხელებიც კი შეახო.

— დედა, მარტა ხარიტონოვნა, რას ჰქვია ცოცხალია, გადსარევიდაა ვარია... არც ფრონტზეა, ზურგშია, ჰოსპიტალშია...

— დაჭრილია?!

— არა, დედა, არა, პირიქით...

— პირიქით, როგორ...

— პირიქით, სხვებს მკურნალობს, დაჭრილებს, ავადმყოფებს...

დედამ უკან დაიწია და ლოყაზე ხელი შემოიკრა.

— ვარია როდის იყო მკურნალი?!

— არა, მეკუპნავედ მუშაობს... და ამას გარდა, ყველაფერში მხარში უდგას ექიმებს... დაჭრილების მალამოა... მეც! მეც, მაგალითად...

— ჩემი ვარია? ჩემი? ჩემი?..

— თქვენი ვარია დანილოვნა... კუ-

დრიაშოვა... გადასაჩრევი გოგო... თქვენი ჭაგრით აღარაა, ცრემლები...

— ჩემი ვარია!.. — დედის რაღაცა უნდოდა, დედა რაღაცას ეძებდა ხელჩასაპიდს, რაღაცას სარწმუნოს, რომ ეს მართალი ყოფილიყო, ეს ჭარისკაცი ყოფილიყო მისი შვილის გადარჩენის მახარობელი და ხელებს ხან მისკენ იშვერდა და გულში ჩაკვრას ებირებოდა, ხანაც იხევდა და ხელებს უკან ძალისძალათი მალავდა.

— შენი ვარია, დედიკო, ჩვენი... — ჭალს მრავალმნიშვნელოვნად ჩააცქერდა, — ცისფერი და მწვანე... მწვანე-ცისფერი თვალები...

— შეილო! — წამოიკვილა საცოდავმა ბედნიერებისაგან და მახარობელი აფუებულ მკერდში ისეთი აღერსითა და გულითადობით ჩაიკრა, ოდესმე რომ ეღირსებოდეს და თავის სოფელ-ქვეყანას დაუბრუნდეს, აეთანდილი ამაზე დიდ სიხარულს ვერც თავის დედის ჩაუტანდა.

17.

— თქვენი პატრონის ქვეყანა... თქვენი!.. — იგინებოდა ნამებე შევლევშილი და მთელი თავით მაღალ, ზორზობა, ჩაჩინ-მედლებულ ტყვეს ისე შეჩერებოდა, თითქოს დაყვავებებს უბირებდა და შენდობას სთხოვდა, ასეთი „საბატიო“ კაცი რომ „შეაწუხეს“ — ხელები შეუქრეს და პირში ალიკაპი ჩათხარეს.

ათანდილისკენ არ იხედებოდა, გომხეთელიანს უწევდა თავს და გაბუებულ ცხვირს მუჭით ისარგალებდა — „ემუქრებოდა“ ცხვირს ამოგინაყუო! ესე იგი, მადლობას და ჭილდოზე წარდგენას ჰპირდებოდა. ჭანცგაწყვეტილ მზევრავს ეს „მუქარა“ და „ლანძღვა“ ამავრებდა, იქვე, პოლკის მეთაურის წინ რომ არ ჩაკეცილიყო.

— დაეგდე! — უღრიალა ბოლოს და ხელი ჰკრა, თავის ტყაბუქგადაგებულ მორზე მიაწვინა. — გამოკიმულა აქ, ვირიშვილი...

„ილანძღვოდა“, „ჩაქვანდა“ უხეფდა“ და ბოკერიას ზედაც არ უცქეროდა — „ემდურდა“, ხელების ფშვნიტით დაბორიალებდა. მიწურის წყალჩამოტირებულ ნედლ ძელურს მიყუდებული ამალღობელის წინ შეჩერდა.

მამუჯა მაშინვე გამოეკიმა:

— არის, ამხანაგო პოლკის მეთაური!

— არის, არის!.. — თავი დაუქნია, გულისპირში მოსწია და კედელს მოაცილა; გმირის ზურგზე სინესტეს მახარა გაეუღინთა. ისევე ტყაბუქზე გამხლართულ კაკოს მიუტრიალდა.

— გმირი არ წაიყვანე...

მზევრავს არც წამოდგომის თავი ჰქონდა, არც ახსნა-განმარტების. ხელი ბატალიონის მეთაურისკენ გაიშვირა: მე მკითხავდა ვინ წამეყვანა და მომეყვანა? ყველაფერი მაგის „ბრალიათ“.

გერმანელი ბედს შერიგებულს უფრო ჰგავდა, ვინემ გაბოროტებულს. თავის ახალ „მბრძანებელს“ მეტ ყურადღებას უთმობდა, ვინემ იმაზე ფიქრს და ჭავრს, ვინც სამუდამოდ დაჰკარგა. ბრძენის გულგრილობით იმის შეცნობას და გამოყენებას ებირებოდა, რაც ბედმა არგუნა და, ამ უბედურებაში რაც არ სჭირდა, უარესის თავზე დატეხვას არ აპირებდა.

შავლევშილი, ბოლოს და ბოლოს, მაინც ბოკერიას მიადგა.

— რა ვუყოთ, ამ შობელმალს!.. ამასა... — ხმამალა დაიწყო და ჩურჩულით დაასრულა, რაკი ახლალა შენიშნა, რომ დაძვალრბილებულ, ფერდაკარგულ ბატალიონის მეთაურს ორი ღერი ფიცრის ნარზე როგორც კი თავი დაეგულეებინა, მკვდარივით ჩასძინებოდა.

— მოუკლავს თავი, ამის პატრონის ქვეყანა!.. — ჩაიღრინა და დაბნეული გამობრუნდა; თითქოს არ სცოდნოდა, ამ „მსუქანი მოენეს“ დივიზიის შტაბში გადაგზავნის მომხრე იქნებოდა თუ არა აეთანდილი.

18.

მეორე დილითვე დათბა. გაზაფხული მიწურების და სანგრების პირზე იყო მომდგარი და შავლეგიშვილის შიშინი და ლანძღვა-გინება უკან ვერ დაიხვეწებდა. მოსახლენი უნდა მომხდარიყო, დასაღვრელი სისხლი უნდა დაღვრილიყო. გასაწყვეტი ჯარისკაცი უნდა გაწყვეტილიყო და ბუნების განახლებას ამ თოთო, კუინტი ბიკების უმრავლესობა ვერ უნდა დასწრებოდა. დათბობას ამ ჭაობებში არ უნდა მოესწრო, რომ სამიდან ერთი მაინც გადარჩენილიყო. მტრის დღე-დღეზე გამანადგურებელ შემოტევის უკეთეს პოზიციებზე უნდა დახვედროდნენ (უკეთესს იმით, რომ წელამდე წყალში არ მდგარიყვნენ და მიწის საფარიც სანატრელი არ ჰქონოდათ).

დივიზიაც და ფრონტის სარდლობაც მოწონებით შეხვდა ამ „გონიერულ“, (ასე უთქვამს სარდალს და შავლეგიშვილს შერიგებული დივიზიის უფროსი, იყო საჭირო თუ არა, იმეორებდა) „გონიერული“ შეტევის წამოწყებას. ვითომ არც ტყვია-წამალი დაიშურეს და არც სურსათი, რისი შემოზიდვაც კი მოხერხდა უმანქანოდ და უტრანსპორტოდ ამ გულგამომპალ ჭაობში. (უმისაბმელო მუხლუბობებიანი საწვევარებიც კი ვერაფერს გახდნენ).

მართალია, ლხობაშეპარული ჭაობი არც მტერს მისცემდა მძიმე სატანკო და ჯავშნიანი იარაღების მოქნილად და უნარბიანად გამოყენების საშუალებას; მაგრამ იმ სოფლის და სოფლის იქითა შემადლებებამდე, სადაც მტერი ბუდობდა, სისხლისღვრით რომ როგორმე მიგელწია, იქ ომის ყველანაირ მანქანას აამოქმედებდა. ადგილიდან დაძვრის შანსი მაინც იყო. ეს ჯარისკაცს ძალას ჰმატებს. მებრძოლს თავისი ხელით გათხრელი თავშესაფრის დატოვება ვერ უნდა, თუ ხედავს, რომ სანგრის თავზე ტყვია ცრის და ფოლადის ურჩხულბებიც გზას უღობავენ. ამის წინააღმდეგ იგი უძლურია და თავის „ციხე-სიმაგრეს“ ვერ ვლევს.

არსებობს ბრძოლის უნარი, თმის წაფრა, ვახელება, ისტერია, — თქვიშკოზი. ნადირს ძაღლის და მონადირის მანამ ეშინია და ემალება, სანამ ბუნაგშია. კვამლით და ცეცხლით თუ ვარგით გამოდენი — მძვინვარეა. უფრო ინსტინქტით, ან, მთლად უარესი, ბრმად მოქმედებს და მრავალნაცად მონადირესაც გაუჭირდება იმის წინასწარ ცოდნა, რას ჩაიდენს, თუ თავშესაფარი აღარსად ეგულება.

ადამიანში სისხლისღვრა პირველადი, ველური, ცხოველურია და თუ განსაჯე, გაიზარე და ქუთა დაატანე, არანაირი გამართლება არ გააჩნია. როცა ის ჰკლავს, ითიშება, აზროვნებისაგან — ადამიანისაგან და მძვინვარეა.

ამ გულგაწყალბულ ჭაობში შეტევის წამოწყებას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მტერი თავის მძიმე საომარი საქურველით ვერ შესძლებდა წინ წამოსვლას. იქ უნდა დაეცადა, სადაც მიწაზე მყარად იდგა. ამასობაში შემტევი ბუნაგს ტოვებს და მტრის წინაშე პირისპირ რჩება — ესპობა თავშესაფრის იმედი (ცალი თვალი რომ შიგ შესაძრომოდ უჭირავს და მის ბრძოლისუნარიანობას ადამბლავებს). ორივე თვალით დაეძებს სამსხვერპლოს და ესხმის თავს ველური ვახელებით. ამის ცოდნა და გამოყენებაა კარგი მეთაურის საქმე. ამიტომაც, შავლეგიშვილს მშიშარა და უნიათო მეთაურად რომ თვლიან: რაკი ამ მაზარებში გამოკონილ ბიჭ-ბუტკალებს ბუნაგიდან არ აშლის და პირზე რძეშეშრობელ სალახანებს კაცის სისხლს არ ასმევს.

ავთანდილმა იცოდა ეს, (მან ახლა, საუბედუროდ, ბევრი რამ იცოდა), მაგრამ დღეს, ამ ლლაპების ბუნაგიდან გამოუდგებლობა და თავზე ხელის დაფარება, ხვალ მტერს რძესავით შეასმევდა მათ სისხლს. დღეს მათი დაუზოგველობა, ხელად ქცევა და სისხლისმსმელობა იყო მათივე ხსნა და ამ ბოროტებით ბოროტების დათრგუნვა. საიდუმლო ნაწილებში ტყუილა არ იყო ბრძანება: მხდალები შეტევის წინ, აღ-

ვიღებე დაეხერხათ და დამსჯელ ბატალიონებს უკან დახეულთათვის გზა ჩაეკეტათ. რამდენად ამბზრზენია ასეთი განკარგულება, იმდენად მცოდნე, რკინის ხელითაა დაწერილი. ამდენს აღარავინ ულოლიავენს შავლეგიშვილს.

შავლეგიშვილს ბრიგადის უფროსის — კლიმენტი პეტროვის იმედი აქვს. სწამს მისი სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის, მაგრამ ავიწყდება, რომ კლიმენტი თავის თავთანაა პეტროვი და ომისთვის ისიც ჯარისკაცია. რაც პეტროვმა იცის, იმ ბრძანების დამწერმაც იცის: რომ შიში ბუნებრივია, აღამიანის თვისებაა და არა დანაშაული, მაგრამ თვისება რომაა, დამახასიათებელი და არა გამონაკლისი, უბედურებაც ესაა და შიშის შიშით დათრგუნვაც ამიტომ დასჭირდა. მან ისიც იცის — შიში სიყვარულს შეიქმს. ბოკერიას ეს „აკადემია“ რომ არ „დაემთავრებინა“, იქნებ თავის სიცოცხლეში ვერ მიმხვდარიყო ამას. ახლა იმაზე მეტი იცის, რაც ძველმა ჯარისკაცმა შავლეგიშვილმა და მისმა მფარველმა პეტროვმა. და ამ სამეცდრო-სასიცოცხლო შეტევის წინ თავის ბატალიონში (და მისი დაეინებით მთელ პოლკშიც) მშიშარები, ძვალგაუმაგრებელი ღლაპები და გამოუცდელი უნდილები ეფრეიტორებად, პროპაგანდისტებად და ათმეთაურებად „დააწინაურა“ — საპირავეი ქურდს ჩააბარა. ამ მშიერ-მწყურვალ, გასაცოდავებულ ლაწირაკებს საწვრთნელად ხუთ ვერსზე დაათრევს გათოშულ ჭაობებში და საფლობებში. არც ტყვია-წამალს ზოგავს, როცა ბრძოლაში თითო გასროლა ოქროს ფა-

სად ღირს; წელში გაწყვეტილებს სიკვდილი ენატრებათ. შიშის ზარი სცემთ ბატალიონის მეთაურის გამოჩენაზე — იმას ბისტოლეტის ბუდე მუდამ გახსნილი აქვს. ამაღლობელსაც კი, რომელსაც ასე მფარველობს და გვერდიდან არ იშორებს, მათ თვალწინ ორმოში და ხრამში, თხრილში, წუმპეში და წყვარამში სამაგალითოდ ჩაგზავნის. ჩაგზავნის და ჩაპყვება, რომ ამ უდღეურებს დაანახვოს რა უშეღავათა ომი და მათგან მძვინვარე მხეცი შექმნას, რაკი ამნაირი, როგორც ის დედამ შვა, განწირულია. იქნებ არც ისაა ხსნა, ცხვრისგან მგელი შექმნა; რაკი მგელი კი შექმენი, მაგრამ ცხვარი მოჰკალი. მართალია, მგელს მიუმატე და ცხვარს დააკელი, მაგრამ ომიც ესაა. იმიტომაა ომი მასიური მკვლელობა და არა დაღუპულთა დაღუპვა და გადარჩენილთა გადარჩენა. ყოველ შემთხვევაში შავლეგიშვილი მათ ერთიანად ცხვრად დაღუპავს. ავთანდილმა შეიძლება ზოგიერთი მგლად გადაარჩინოს და მისაგებელიც მიაგოს იმათ, ვინც მათი მგლად ქცევა გარდაუვალი გაუხადა, ვინც მამუკაში მამუკა მოჰკლა, ვინც ლაღო ცინცაძის ღიმილი და ვიშნევსკის მზე ჩააქრო.

შურისძიება, რა თქმა უნდა, არაა ღმთიური, მაგრამ ომში არც შენდობისათვის დაგისვამენ თავზე ხელს. აქ შემნდობს და მიმტევებელს უფრო ადრე უყრიან იმ ალაღ გულში ტყვიას და ხიშტს, ვინემ შურისმაძიებელს და გულგაქვავებულს. და რაკი მგლის სიცოცხლეც სიცოცხლედ ითვლება, ერთადერთი ხსნა მიინც მგლად ქცევაა.

გელა შალვაშვილი

გაუხუნარი სურათი

ამონათდება და ყოფას, გიღიაღებს,
ჩავა და — მწუხრდები სულამდის,
ასე მეორდება წელი მირიადი —
ერთი და იგივე სურათი.
ამოციმციმდება, ამოოქროვდება, —
გაგაცამტვერდება წყლულეში,
გულზე დაკიდული ტყდება

ბოქლომები —

მტკიცედ ნაჭედი და უღევი.
ამოვარდისფრდება მთელი სიღიაღით,
ღიმილი მხურვალე სჩვევია,
ელი, ეგებები წელი მირიადი —
ათიათასერთგზის შენთანს.
ამოგიზგიზდება, ყოფას გიღიაღებს
და გაგამზიანებს სულამდის,
ასე მეორდება წელი მირიადი,
ეს... გაუხუნარი სურათი.

და ნუ მკარნახობ

ჩემი ზაფხული უკვე გავიდა
და შემოდგომაც ლამის გავიდეს,
შე კი ყველაფერს ვიწყებ თავიდან,
ანუ: მწალია, ვიწყო თავიდან.
ჩემი ზაფხული უკვე გავიდა,
კითხვებს კი, როგორც მარადი ბავშვი,
ვახვავებ: რა სჯობს, გასელა თავიდან,
თუ — ჩაღრმავება საკუთარ თავში.
ო, უხილაგო, დიდება შენდა,
დედამიწაზე მამყოფებ ვიდრე,
მაცხოვრე ჩემი ბედით და ხვედრით
და ნუ მკარნახობ ამნაირ კითხვებს.

მაღალთ სჭირდებათ...



ახლა მარტო ვარ, ახლა ვარ მარტო,
 აღარ ვიქნები მარტო ხვალიდან,
 ო, მარტოობავ, ერთგულო ლანდო,
 გვიან დაგიწყებ ძებნას თავიდან.
 არ გაგიფრთხილდი, ჩემო ერთგულო,
 ვერ გაგიფრთხილდი და მაბატიე...
 იქით ვისწრაფვი, სადაც მეგულების —
 ხალხი, კორები და სიმარტივე.
 რადგან ხვედრი ხარ დიდთა,

მაღალთა, —

მე ვერ შევიშენე, ვერ გიპატრონე...
 მაღალთ სჭირდებათ, მათ ვერ დალაღეს
 მარტოსულობა და სიმარტოვე.

ასე ვატაროთ

წინ გზაა და ავი დარი,
 წინ უცნობი მღვიმეა...
 შენი ხვედრი მძიმე არი?
 იქნებ სხვისიც მძიმეა.
 ვიცნობ ერთგულს შენს მტერს —
 სევდას,

ვიცი, არსად გასვენებს,
 იგი მრავალს სხვასაც სდევდა
 და ერთგულად ასევე.
 ეამი დარიც უნდა თმენით,
 რწმენით გამოადარო...
 მე ჩემი და შენ კი შენი
 ტვირთი ასე ვატაროთ!



მერი ბინაძე

გვირილა

ფართოდ გაუღია მზისფერი თვალები,
ხამლად ერთი პეშვი მიწა უკმარია,
არავინ არ ეძებს,

არავის არ ელის,
კორღზე მარტოღმარტო
დგას და... უხარია...

• • •

ღეღი, ფანჯარა დატოვე ღია,
ღეღი, კარები დატოვე ღია,
ფანჯრიდან ჩიტები შემოფრინდება,
შემოგოგდება კარიდან ია,
გზა აერევა კია-მაიას,
შინ შემოყვება მზესა და ნიაგს.

ღეღი, კარები დატოვე ღია,
თორემ აბა რა გაზაფხულია...
იქნებ წამოვდგე, ღეღი, ნელ-ნელა
და საცეკვოდ გაფევე პეპელას.

ღეღი, ოთახი დატოვე ღია...

• • •

ზეცა მიწაზე ჩამოღვრილი
ფეხთ მიფენია,
ქვეყნად რამდენიც ფანჯარაა,
მზეც იმდენია...

ქარები ღრუბლებს მთებს გადაღმა
მაიკენებენ,
ფხვიერ მიწიდან
ქრიაშულით ამოშლილან კიანჭველები...

• • •

მისტვის თუ ახელს თვალს ჩიტისთვალა,
რომ ქართულ მინდვრებს სანთლად
შემორჩეს?
ფრთა გაუშლია თეთრგულა მერცხალს
და გზას მოიკვლევს საქართველოსკენ...

შეყოფილება

კაკაბეთი მომთვალეთ,
შაშვიმა კაკაბს რომ აჯობა,
ოქროს შტვერში მრფხრთქალე,
ვენახებო, გამარჯობა!

ვით ცას ორფრთა ცისარტყელა,
ისე შვენის ზვრები მინავს,
მიწა, როგორც იაფ-ნანა
მზის ბულულებს დაუწამავს.

სინე
ღმრთ

კარდენახმა თბილი სუნთქვა
ალაზანზე დაიგულა,
რწმენა მოამაყე სულთა
ღალანებდა თაიგულად.

ბარჯისხევის წყალი შეესვი,
დამათრო და ვგულადდები,
დგას კახურის მაკრის ეშხი
და მაყრულის გუმბათები!

მოთმინება

მე ერთხელ კიდევ მეყო მოთმინა,
კვლავ ჩავათავე ერთი ფსალმუნი,
დღე მზის სიციხადით გაიბოხება
და გამჟღავნდება კვლავ დაფარული.

გამოვეკიდე ისევ წვრილმანებს,
რალაც მთავარი ფვალთაგან ამცდა,
და სანთელივით თვალმოწვიმარეს
კვლავ გულგრილობა მზარაჲდა კაცთა.

უნაყავდი წყალს და ვტკებნიდი მიწას,
ჩამოვიშორე ნისლი და ყინელდი,
ქროდა და წვიმდა, ქროდა და წვიმდა,
მაგრამ არ მოვეკვდი ქარ-წვიმის შიშით...

მივყარ-მოვყარე ეს ჩალა-ბულაღი,
თუმც თავზე მაღვას მოთმინის ჭვარი,
ვნახე სიზმარი მე ყველა ჭურის,
მაგრამ არ ახდა ერთი სიზმარიც...

ეყოფა ჩემს სულს განებვიერება,
დღეიდან ჭარი დაგლეჯს ყველაფერს,
და თუ მაღალმა ღმერთმა ინება,
ჭვირბენ აღმართს ნისლით შენაფერს.

გადამედება სიცილი სხვისგან —
ძალდატანების მშრალი ქაოსი,
აიკუწება ცა მისხალ-მისხალ,
მეც გამომცდიან ძნელი გამოცდით.

წამოვაყენებ წაქცეულ მესერს,
წინ უთვალავი დილაა ჩვილი,
ნეტავი მეყოს, ნეტავი შემრჩეს
ეს მოთმინება და ბრძოლის ყინი!

სიწმინდის ფონებს მოხაზულს სირმით
შემორჩათ ცთომა ნელი ოქტავის,
ლამაზი, როგორც ნახტომი ირმის,
და მკაცრი, როგორც ბედი მოკვდავის...

ცნობილ მწერალს, რამაზ კობიძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ამ შესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და ღიად შემოქმედებით გამარჯვებებს.

აბარაკზე

მოთხრობა

ქალაქური შესახედაობის, გემოვნებით ჩაცმული, წარმოსადები ახალგაზრდა იმ სკამზე — ჩვეულებრივ ბალის სკამზე — თითქმის მთელი საათი გაუძნრევლად იჯდა. აქ, ამ აგარაკზე, ასეთ სკამებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით — ბაღებშიც, პარკშიც, სადგურის ბაქანზეც, საზაფხულო ესტრადასთანაც და ბულვარის გაყოლებითაც. ოღონდ, სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, აქ ეს სკამები რატომღაც ყვითლადაა შეღებილი. ეს არის და ეს. მეტი განსხვავება არაფერია. ჰოდა, აი, ასეთ, ყვითლად შეღებილ ბალის სკამზე ის ახალგაზრდა ბარე ერთ საათს გაუძნრევლად იჯდა. იჯდა, ცოტა არ იყოს, უჩვეულო პოზაში: მარჯვენა ხელი სკამის ზურგზე ჰქონდა გადადებული, სკამის ზურგს თვითონ მკერდით ეყრდნობოდა, თავი ჩაეკიდა და შუბლი იმ მოხრილი მარცხენის იდაყვზე დაებჯინა. და ასე — მთელი ერთი საათი. არც თავი აუწევია და არც განძრეულა.

ჭერ ვიფიქრე, წუხანდელი ნაბახუცი იქნება: თავი, ალბათ, ტყვიასავითა აქვს დამძიმებული და ამიტომაც ვეღარ ინძრევია-მეთქი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, — თავი არ აუწევია, ისე, მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეზე მოიხსია. სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ეს

კოლოფი მხოლოდ მარცხენა ხელით ისე ოსტატურად გახსნა, რომ მარჯვენა არც კი მიუშველებია, და ერთი სიგარეტი ამოაძვრინა. თავი მაშინ-ღა ასწია, სიგარეტი პირში ჩაიღო და ჯიბეზე ისევ მარცხენა ხელი მოაფათურა. ასანთს ეძებდა. მაგრამ ჯიბეში ასანთი არ აღმოაჩნდა. მაშინ თავი კიდევ უფრო ასწია და მიიხედ-მოიხედა. ახლო-მახლო არავინ არაფერს ეწეოდა, რაკი ამაში დარწმუნდა, სიგარეტის კოლოფი სკამზე დააგდო და ისევ უწინდელი პოზა მიიღო — თავი ჩაჰკიდა და შუბლით მოხრილი მარჯვენის იდაყვს დაეყრდნო. ძალიან ბუნებრივი, მოზომილი და ძალდაუტანებელი მოძრაობები ჰქონდა. გამოხედვაც — ჩვეულებრივი და მშვიდი. ამან მიმახვედრა, რომ ნაბახუსევი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმდენ ხანს ისე გაუძნრევლად რატომ იჯდა?

ეგ ახალგაზრდა კაცი მანამდეც ხშირად შემინიშნავს. დღისით სად იყო ხოლმე და რას აკეთებდა, არ ვიცი. მაგრამ შებინდებისას ბულვარში ტანადი, მოხდენილი, ახალგაზრდა ქალის თანხლებით გამოისიერიებდა ხოლმე. იმსიგარძე ბულვარს ისე ჩაისიერიებდნენ, რომ ერთმანეთს ერთხელაც არ შეესიტყვებოდნენ. ასე იქცევია ადამიანები, რომელნიც ერთმანეთს ძალი-

ან ახლოს იცნობენ და ერთმანეთის აზრებისა თუ განწყობილების გამოსაცნობად სიტყვები აღარც კი სჭირდებათ. ბულგარის ბოლოში, მოედანთან, სადაც ფარდულეებში ხილული, ნაყინი და გამაგრილებელი წყლები იყიდება და მუდამ ბევრი ხალხი ირევა, ერთხანს გაჩერდებოდნენ ხოლმე. ამ დროს ქალი ვაჟს უთუოდ ხელზე ეყრდნობოდა. ასე იდგნენ ხოლმე, მაგრამ ყიდვით არასოდეს არაფერი უყიდიათ — გული, ალბათ, არც იმ ხილულისკენ უწევდათ, არც ნაყინისკენ და არც წყლებისკენ. მერე ისევ უკან ამოისეირნებდნენ ხოლმე, ოღონდ ახლა ქალს ვაჟისთვის უთუოდ ხელმკლავი ჰქონდა გაეთებული. ბულგარს აუჩქარებლადვე აივლიდნენ და პარკში მოზიზიზიმე ხალხს შეერეოდნენ. ალბათ, ან რომელიმე სანატორიუმში ისვენებდნენ, ან ბინა სადმე პარკის ახლო-მახლო ჰქონდათ დაქირავებული.

უერთმანეთოდ ეს წყვილი ერთხელაც არსად შეხვედრია. ახლა კი, სწორედ შებინდებისას, როცა მუდამ ერთად სეირნობდნენ, ვაჟი მარტოკა იჯდა იმ ყვითელ სკამზე. ქალი კი არსად ჩანდა.

აგარაკი — აგარაკია. აქ არც უნდა გაგვიკვირდეთ, თუ სწორედ ის წყვილი, თქვენ პირველი დანახვისას ცოლ-ქმრად რომ მიიჩნიეთ, — არ უნდა გაგვიკვირდეთ, თუ ერთ მშვენიერ დღეს გამოირკვევა, რომ ეს წყვილი ცოლი და ქმარი სულაც არ ყოფილა. ერთმანეთს კი სრულიად უსიტყვოდ იმიტომ უგებენ, რომ ძალიან ბევრი წყვილია ამ ქვეყნად, ვისაც საამისოდ მამაში ხელის მოწერა, წლობით ერთად ცხოვრება და უამრავი მარილის ერთად შექმა სულაც არა სჭირდება. ასეთ წყვილებს ზოგი მეგობრებს უწოდებს, ზოგი — შეყვარებულებს, ზოგი რას და ზოგი რას. მე კი თავს შევიკავებ და ამ ჩემს წყვილს არაფერსაც არ ვუწოდებ. ერთმანეთისთვის ვინ და რანი იყვნენ, ეს თავის დროზე თვითონ მკითხველმა დაასკვნას.

მე საქმე არაფერი მქონდა, სანატორიუმში რამდენიმე დღის¹ ჩამოსტელი ვიყავი. ჯერ არც მკურნალთა² მქონდა დაწყებული, და არც ვინმე ისეთი გამომჩენია, ვინც ჩემს ფიქრებსა და განწყობილებებს უსიტყვოდ გაიგებდა. ჩემს სკამზე — ისეთსავე ყვითელ და საზურგეჩაზრილ სკამზე გულზელდაკრეფილი ვიჯექი და იმ ვაჟს გავცქეროდი.

იმას მალე შეეტყო, რომ უსიგარეტობა აღარ შეეძლო. წელში გაიმართა, მიმოიხედა და რაკი საბოლოოდ დარწმუნდა, ცეცხლს ახლო-მახლო ვერავისთან ვიშოვნიო, წამოდგა და ქვევით მოედანზე ჩამწკრივებული ფარდულეებისაკენ გაემართა. მე თვალს ვადევნებდი. შუა ფარდულეში შევიდა, კარგა ხანს დაჰყო და როცა გამოვიდა, პირში უკვე ანთებული სიგარეტი ედო. სიგარეტის წვეთი ისევ სკამისაკენ წამოვიდა. მაგრამ იმ სამიოდე წუთში, სანამ ეს ყველაფერი მოხდებოდა, სკამი უკვე ვილაც ახალგაზრდა, პატარა ბავშვიანმა ქალმა დაიკავა. ქალი სკამის კიდეზე ჩამოჯდა, ბავშვი გვერდზე — სკამის შუაგულზე ჩამოსვა, ხელჩანთიდან ფორთოხალი ამოიღო და გაფცქვნას შეუდგა. თან ბავშვს ღიმილით რალაცას ეუბნებოდა. ბავშვს — ყვითელკბიან, ქერა, ჩაპუტკუნებულ გოგონას ფიქრალაც არ მოსვლია, დედის ღიმილზე ღიმილითვე ებასუხნა... ხმაამოუღებლად უსმენდა და, წარბებშექმუხვნილს, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს დედის ნათქვამი არც კი სჯერაო. ეს კი იყო, რომ ერთი-ორჯერ მაინც ძალიან სერიოზულად თავი დაუქნია. მერე გაფცქვნილი ფორთოხლის ნახევარი გამოართვა და ჭამას შეუდგა. ის ახალგაზრდა ვაჟი თავზე სწორედ ამ მომენტში წამოადგათ. დედა-შვილის დანახვაზე მიიხედ-მოიხედო; მაგრამ თავისუფალი სკამი არსად იყო. მაშინ ახალგაზრდა სკამის მეორე ნაპირზე ჩამოჯდა, ქალს თავისი სიგარეტი დაანახვა და რალაც უთხრა. ალბათ, მოწვევის ნებართვა ითხოვა. ქალ-

მა სასწრაფოდ რამდენჯერმე თავი დაუქნია და ისევ თავის ბავშვს მიუბრუნდა. ბავშვს ფორთოხლის ნახევარი უკვე შეეჭამა და დედას ხმაამოუღებლად წვენით მოსვრილი ხელები გაუწოდა, გამიწმინდევ. დედამ ხელჩანთიდან სუფთა, მაქმანიანი ცხვირსახოცი ამოიღო, ბავშვს ხელები გაუწმინდა და ფორთოხლის მეორე ნახევარი მისცა. ბავშვმა ეს ნახევარიც ძალიან მალე შეჭამა და დედას ხმაამოუღებლად ისევ წვენით მოსვრილი ხელები გაუწოდა. დედამ ხელები ისევ იმ ცხვირსახოცით გაუწმინდა და თან დიმილით რაღაცას ეუბნებოდა. ბავშვს პასუხად არც ახლა გაუღიმია, ძალიან სერიოზული ვინმე იყო. ხელები გაუსუფთავეს თუ არა, სკამიდან ჩამოხტა, იქვე ჩაუტყდა და რაღაც მეტად მწიშენლოვან მოვლენას, რაიც მიწაზე ხდებოდა, მთელი თავისი არსებით ჩაუკვირდა.

წელან ვითხარით, აგარაკი — აგარაკია-მეთქი. იმ ახლაგაზრდა ვაჟს ახლა თავისუფლად შეეძლო, ქალს გამოლაპარაკებოდა. ამისთვის მას არც სხვა ვინმე დაძრაბავდა და არც თვითონ ის ქალი. საქმეს ბავშვიც აადვილებდა. ვაჟს შეეძლო, ჭერ ბავშვს მიაღერებოდა და დედისაკენ მიმავალი გზა ამწაირად გაეკვალა. ან, პირიქით, პირდაპირ დედისთვის მიემართა და ბავშვზე რაიმე ეკითხა (რა ჰქვია? რამდენი წლისაა? ღმერთო, რა უშუალო და როგორი მომხიბლავია... და ასე შემდეგ...) ამ დალოცვილ ქალაქში ამნაირად ბევრი ნაცნობობა და მეგობრობაც კი დაწყებულა, ხოლო ამ მარტივი, მაგრამ უტყუარი ხერხების მარაგი ყოველ თანამედროვე ახალგაზრდას საკმარისად გააჩნია. მაგრამ ეს ვაჟი სრულიადაც არ ამტკავებდა არც იმის სურვილს, რომ ბავშვს მიაღერებოდა და არც იმისას, რომ დედას გამოლაპარაკებოდა. მან ის სიგარეტი ბოლომდე მშვიდად მოსწია, წამოდგა და ნამწვავი იქვე მდგარ ურნაში ჩააგდო. ისევ სკამს მიუბრუნდა. ოღონდ

ეს იყო, წელანდელ პოზაში ჯღომა ახლა, ბავშვიანი ქალის გვერდით. უკვე უხერხულად მიიჩნია. სკამზე ისე დაჯდა, როგორც ყოველი ნორმალური ადამიანი ჯდება — სკამის ზურგს მიეყრდნო, მარჯვენა ხელი იდაყვი იმავე ზურგს ჩამოსდო, ხოლო მარცხენა ხელით მარცხენა მუხლს დაეყრდნო. ეს იყო და ეს. ქალისაკენ, მგონი, არც კი გაუხედავს.

მალე გამოირკვა, რომ შეცდომა სწორედ აქ დაუშვა.

ასეთი გულგრილობა თვითონ ქალს არ ესიაშოვნა. მე არ გეუბნებით, ის ვაჟი ქალს უკვე გულში ჰქონდა-მეთქი ჩავარდნილი. არა. ვინ იცის, ვაჟი მართლაც რომ გამოლაპარაკებოდა, ქალს, იქნებ, სწორედ იმ თავაზიანობით ეპასუხა, რომელიც მყისვე მიგახვედრებთ ყურადღებისათვის მაღლობელი ვარ, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ თავს დამანებებთ და თქვენს საქმეს ეწევითო. მაგრამ ამ ქალს, ჭერ ერთი, თან ბავშვიც ახლდა, მართლაც ძალიან მომხიბლავი არსება. არ შეიძლებოდა, იმ ბავშვისთვის ყურადღება არ მიგეჭკინათ. ესეც არ იყო, თვითონ ქალიც ლამაზი იყო, მოხდენილი, გემოვნებით ჩაცმული. უშუველია, რომ კაცები მას მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით ეტყეოდნენ. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ვაჟის უყურადღებობა მან აშკარად იუცხოვა. თითქოს წარბებიც კი შეიკრა. მაგრამ შეეცადა, არაფერი შეტყობოდა. ხელჩანთა სკამზე დასდო, გულხელი დაიკრიფა (ლამაზი, მზენაკრავი მკლავები ჰქონდა), ვაჟს ერთი აღმატერი, დამცინავი მზერა შეავლო და მერე მოსეირნე ხალხს დაუწყო ყურება. მხოლოდ ძალიან დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა, რომ განაწყინებული და შეურაცხყოფილიც კი ბრძანდებოდა. მაგრამ არ იკითხავთ, ეს ყველაფერი ამ ლამაზ ქალს რარიგ უხდებოდა?

ვაჟი კი თავისთვის იჯდა. არც ქალს და არც მის გოგონას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ალბათ, თავის

გულისწორზე ფიქრობდა, მას ელოდებოდა. უნდა გავუგოთ. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მისი ასეთი საქციელი მე დიდად აღარც კი მომწონდა. კი, ბატონო, ცოლისა თუ სატრფოს ერთგულება დიდებული საქმეა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყოველი კომპლიმენტი თუ გასაუბრება უსათუოდ პაემანითა და რომანით უნდა დამთავრდეს? ვაჟკაცს ამ ქვეყნად ბევრი ისეთი რამ ევალება, რასაც ვერც ერთ დაწერილს კანონში ვერ ამოიკითხავთ. თუ შენს გვერდით ახალგაზრდა, მოხდენილი ქალი ზის, და მის ფერხთით მომხიბლავი, ჩაბუტკუნებული, ასეთი სერიოზული გოგონა თამაშობს, და ეს ყველაფერი იქითკენ მოგიწოდებს, რომ ამ ქალს რამდენიმე თავაზიანი სიტყვა უთხრა, შენ, ვაჟკაცს, ეს რამდენიმე თავაზიანი სიტყვა რატომ უნდა დაგეწინოს?

მაგრამ ეს ახალგაზრდა, ეტყობა, ამ საკითხზე სულ სხვა აზრისა იყო. ქალთან გალაპარაკება ფიქრადაც არ მოსვლია. ცოტა ხნის შემდეგ საათზე დაიხედა, აუჩქარებლად წამოდგა და იქვე, შორიახლოს მდგარ გახუთებინო-კიოსკისაკენ წავიდა. კიოსკი უკვე დაკეტული იყო. ახალგაზრდა ფანჯარასთან გაჩერდა და შეიგნითა თაროებსა და დახლზე დასტა-დასტად დაწყობილ გაზეთებს თვალიერება დაუწყო. მაგრამ გარედან რა უნდა წაეკითხა? გამობრუნდა, აუჩქარებელი ნაბიჯით ისევ სკამთან მივიდა და ჩამოჯდა. ამჯერად ქალს რაღაც ერთი სიტყვა უთხრა. მაგრამ, ალბათ, ის სიტყვა იმდენად უმნიშვნელო და ნეიტრალური იყო, რომ ქალმა პასუხით კი უპასუხა, მაგრამ სიბრაზისაგან სახეზე სიწითლეც კი მოერია. ქალი ჯერ იყო და გვერდით მიბრუნებას აპირებდა, მაგრამ ეს გადაიფიქრა. დაიხარა და ბავშვს საკმაოდ მკაცრი ტონით რაღაც შენიშვნა მისცა. ბავშვმა თავი ასწია და დედის გაკვირვებული მიაჩერდა. ალბათ, ასეთ სიმკაცრეს მიუჩვეველი იყო. ქალმა ამას ყურადღება არ მიაქცია, ისევ

გულზელი დაიკრიფა და შეეცადა, გულგრილი გამომეტყველებას მიეღო.

ბავშვი ისევ მიწაზე ჩაუტყდა.

ვაჟი, ეტყობოდა, სულაც ვერ მიხვდა, თუ ეს პატარა ინციდენტი რა მიზეზმა გამოიწვია. ან, იქნებ, მიხვდა კიდეც. ღმერთმა უწყის. ეს კი იყო, რომ ვაჟმა გადაწყვიტა, ბავშვს უნდა გამოველაპარაკო და ვაგრძნობინო, რომ მას დედა სულაც არ გაჯავრებია, მკაცრი კილოთი კი მხოლოდ იმიტომ დელაპარაკა, რომ საერთოდ ასეა მიღებული — უფროსები ბავშვებს ზოგჯერ მკაცრად უნდა დაელაპარაკონ, რათა ბავშვებს არაფერი შეეშალოთ და მუდამ იცოდნენ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენო. იმიტომ დაიხარა და ბავშვს ალერსიანი ღმომილით რაღაც საკმაოდ გრძელი ფრაზა უთხრა.

მაგრამ გვიან-ლა იყო.

ბავშვმა თავი ასწია და ძიას თვალებში მიაჩერდა. ძიას ნათქვამი ან სულ ვერ გაიგო, ან არაფრად ჩააგდო. ან, იქნებ, ისიც კი იფიქრა, ჩემსა და დედაჩემს შორის შუამავალი რა საჭიროაო. მზერა დედასაც შეაგლო და ისევ მიწაზე მიმდინარე მოვლენებს ჩაუფაციცდა.

დედა კი უფრო თავშეუთავებელი გამოდგა. მან მტკიცედ გადაწყვიტა, ეს ტლანქი, უხეში ახალგაზრდა, წელან ყურადღებაც რომ არ მომამქცია და ახლა ჩემი გულის მოგებას ამ ეშმაკური გზით — ბავშვის მონადირებით ცდილობს, — ეს ტლანქი და უხეში ახალგაზრდა, ჩემი ხმის გაგონებასაც ვერ ელირსებაო. მუხლებზე კაბა გაისწორა, — თუმცა ეს საჭირო სულაც არ იყო, ვაჟს გვერდიც კი შეაქცია, გულზელი დაიკრიფა და ისევ მოსეირნე ხალხს მიაჩერდა. ასეთი გამომეტყველება ჰქონდა: კარგი ბიჭია და ვინმე გამოლაპარაკებას გამიბედავსო.

ახალგაზრდამ ეს ყველაფერი დაინახა. ალბათ, თუ ყველაფერს ვერა, ზოგ რამეს მაინც მიხვდა. ოღნავ შეამჩნევად მხრები აიჩეჩა. მაგრამ უცბად ვერ მოიხარა, რა ექნა, ან ქალი-

სათვის რა ეთქვა. მხრები ერთხელაც აიჩეჩა და ის იყო, ქალისთვის რაღაც უნდა ეთქვა, რომ სკამიდან ათიოდე ნაბიჯზე... თავისი ცოლი დაინახა: ქალი ერთ ადგილზე გაქვავებულიყო და იმას, რაც სკამზე ზდებოდა, ელდანიაციში მისჩერებოდა.

ვერც გაამტყუნებდით: ქმარი (თუ ვინც იყო) ვიღაც ახალგაზრდა ლამაზ ქალს მისჯდომოდა და რაღაცას ეუბნებოდა, თუ თქმას უპირებდა, იმ ქალს კი ისეთი მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს აფრთხილებს, გირჩევთ, ახლავე თავი დამანებოთ, თორემ საქმე ცუდად წაგივათ.

ცოლი ადგილიდან მოწყდა და უკან მოუხედავად, პირდაპირ ტყვიასავით გაქანდა ბარკის გასასვლელისაკენ. ფერწასული სახე სწორედ შეშლილს მიუ-

გავდა. ვაჟი წამოიჭრა და „ლეილა, ლეილა“ ძახილით უკან დაედევნა. ხალხში შეერივნენ და ვეღარც კი დავინახე, დაეწია თუ არა. ამ ქალმა კი, ბავშვიანმა, მათ რატომღაც ზიზღით სავეს მზერა გააყოლა. ხელჩანთას სკამზე სრულიად უაზროდ ადგილი მოუნაცვლა. მერე, ალბათ, იფიქრა, ბავშვს წედან სულ ტყუილად გავუჭავრდიო და ის დანაშაული ახლა უნდა გამოვისყიდო. თავი ოდნავ დახარა და ბავშვს საკმაოდ გულგრილი კილოთი რაღაც უთხრა: ბავშვმა ერთი კი ამოხედა და ისევ მიწას ჩაუკირკიტდა. ცოტა ხნის შემდეგ ქალი წამოდგა. ისევ ის მრისხანე, უკარება გამომეტყველება ჰქონდა, ბავშვს ხელები გაუწმინდა, ხელი მოჰკიდა და ქვევით, მაღაზიებისკენ წაიყვანა.

აპრილთან შეხვედრა სამადლოზე

აპრილმა ისევ გადმოანათა
ციხფერ ბურუსში ჩაფლულ სამადლოს,
თითქოს დაღალა მარტის კამათმა
და კვლავ სურვილი უნდა გამანდოს!

ყოჩივარდებით კობტად მოჩითულ
ფერდობთან მხედება თრობის საათი
და გაზაფხული ახლად მოჩიტულ
ბავშვივით მოჰყავს აპრილს ტაბით!

ვხვდები გაზაფხულს აწეულ კიჭით
და ბეთანიის სუნთქვა ჩამესმის,
ამ ორიოდ ნახტომის იქით
სამფლობელია უზენაესის!

მთებზე ღიმილით მორბის აპრილი,
ქარში მოუჩანს თეთრი მუხლები,
და ქალწულივით მხრებზე დაყრილი
თმები მეხება ჭერ ხელუხლები!

მადლობელი ვარ, ჩემო იღბალო,
რასაც მომასწარ განმეორებით,
და ისევ მინდა გადავიბლაგო
ხარირემივით ეს მთაგორები!

თუ ბეწვის ხიდებს კიდევ გავივლი,
აპრილო, ჩემი ბედის სადარო,
მინდა მოგხვიო ხელი ქალივით
და სივრცეები შემოგატარო!

რომ დაკარგული ის სიკბაბუკე,
გავიმეორო, თუნდაც დროებით,
განგებავ, კიდევ ბევრჯერ მაჩუქე
ჩემი ცხოვრების სამადლოები!

და მიინც რაქან

საქართველოს
საბჭოთაო

ვღგავარ დიდგორის გმირთა მინდორთან,
წარსულის ფერებს აჩენს ბუნება,
თქვენ არ გინდოდათ,
თქვენ არ გინდოდათ
ჩემი ზარების აგუგუნება!
მხოლოდ გასრესა ჩემი გეწადათ,
გვერდით არავინ მყავდა მშველელად,
ცეცხლი და ღველფი რასაც ვერ წვავდა
გსურდათ აყრა და გადაშენება!
ათიც და ასიც მოსულა ერთზე,
მიწას ოქროსებრ ვზომავდით მისხლით,
და ხმლებისაგან დაჩეხილ მკერდზე
არ შემშრობია არასდროს სისხლი!
ვღგავარ დიდგორის გმირთა მინდორთან,
ძველი ნაჩეხი ადევს ბუნებას,
ასე სუყველას როგორ გინდოდათ
ჩემი მოსვრა და განადგურება?!
მიინც მოვედი,
მიინც გავძელი,
წინ უფრო მეტი მიცდის სავალი,
დიდი ვაება და განსაცდელი
შეცვლილა ნათლით და მომავალით!
ვღგავარ დიდგორის გმირთა მინდორთან,
ქამი ტყვიელთა დგას განქარვების,
თქვენ არ გინდოდათ,
თქვენ არ გინდოდათ
და მიინც რეკენ ჩემი ზარები!

ნაჰკისი

დგას ვით ლამაზი ქალი სარკის წინ
და კვლავ შეპყრებს აპრილი ზეცას,
თბილისის ჰერზე ლურჯი წაგვისი
ნისლის დაცრეცილ ბოლოებს კეცავს!

გამოზატხულის ველური ქინით
ავსილი ფიქრი დაეძებს ახალს
და გახურებულს ნაცნობი ლხინით
წარსული წლების მინდება ნახვა!

დაბლა ქალაქი ივსება მწვანით,
თითქოს განვება აესებს კალათას
და შევებასავით დამიდგა წამი
საკუთარ თავთან არ შეკამათა!

მარადიული თიშავს დროებითს,
 ისევ ედება ზეცას ცხრაფერი
 და მიხარია მიტომ მოვედი,
 რომ ცხადად მეგრძნო ეს ყველაფერი!

საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ძარი

მეოთხე დღეა თბილისის ქუჩებს მძაფრი შხუილით უბერავს ქარი,
 იგი დაგმანულ სახლშიც შემოდის, არ დარჩენია მცირედი ბზარი.
 არწევს და არწევს ხეებს, მავთულებს, მოდის შორიდან, მოდის ზუზუნებს,
 სადღაც შეყუჟავს სახურავებთან ბელურებს ჩუმებს და მობუზულებს.
 კორიანტელით ავსებულ ქუჩას ვეღარ ვცნობ თითქოს მეცვალა მხარი,
 ქარია, ქარი, ამხელა ქუჩებს დაეპატრონა თებერვლის ქარი!
 მეოთხე დღეა... და საღამოთი უცებ ვიგრძენი სიჩუმის განცდა,
 ეს იმას გავდა როცა სუფრაზე სიმღერის ხმები მიწყდება კაცთა!
 დიდხანს ველოდე, აღარ გაისმა ამ უსხეულო წარღვნის შხუილი,
 აღარ მესმოდა: ქარში ნუ გახვალ, ქარს გაუფრთხილდი, ქარში ნუ ივლი,
 მე კი ისევე მინდოდა ქარი, ზამთრის სიჩუმის დამანგრეველი,
 რომელიც ახლა სხვაგან გაფრინდა და მქუხარებით მორათო ტყე, ველი!
 ასე მგონია რაღაც დავკარგე, არ ირხეოდა სიჩუმე მდგარი,
 არ დაყვებოდა თბილისის ქუჩებს მაღალ მთებიდან მოჭრილი ქარი!
 იდგა სიჩუმე, იდგა დუმილი, ძნელია ხშირად გაძლება რომლის
 და ფოთოლივით მოფარფატებდა გამოფიტული ქარებით თოვლი!

გივი სულაბაური

დაბადების დღე

მრჩევლებითა და მასწავლებლებით
სავსეა ქუჩა, რესტორანი,
სახლი, თეატრი...
მხოლოდ მე ვარ ჭიუტი და უმეცარი,
რადგან დღეის სწორ
დღეს დავიბადე
დიდი ხნის წინათ,
ველურ წარსულში.
ვეხუტებოდი
ახლადშობილ,
ჩვილ დედამიწას
და ჩემს პირდაპირ
ზღვაში ჩამავალ
გაგარვარებულ,
ახალგაზრდა მზეს
შევეყურებდი.
დროის და სივრცის
ღია მაქვს კარი,
მოდიტ,
მირჩიეთ,
დამარიგეთ,
ანდა მასწავლეთ
ხუკეთესად როგორ ვიცხოვრო.

• • •

ეზოში წვავენ
შარშანდელ ფოთოლს
და მკვრივი კვამლი
თეთრი და მწარე
იღწევს ოთახში
სადაც შენ გმინავს...
რომ ჰგაბასენოს

რაც იყო უკვე,
აღარ არის და
არასოდეს განმეორდება.
ეზოში წვავენ
შარშანდელ ფოთოლს
და ფოთლის ფერფლი
ჭარს ელოდება.



• • •

ღამე საერთოა.
ჩემი წილი ამ ღამისა
შკვე გავიდა.
ბნელეთიდანაც გამომაძევეს.
ახლა მე თვითონ უნდა ვიპოვნო
ადგილი

სადაც იტანჯებიან
ჯოჯობებიდან განდევნილები.
ხოლო ვნება და ნერვები
ძუძუს წოვევ დაავადებას,
რომელსაც ჰქვია —
„ტკბილი სიცოცხლე“.

• • •

მე ვიპოვნე ნალი.
წამოვიღე და
ოთახის კარს მივაჭედე.
ეხლა ეს ბინა
დაჭედულია ამ ოთახით.
სახლი — ბინით,
ხოლო ქალაქი
ამ სახლით და ა. შ.
მე კი ვწევარ და
ვუყურებ,
როგორ მოძრაობენ
ღრუბლები და
ფრინველები.

• • •

ერთ დროს ერთმანეთს ვგავდით,
მეგობარო.
წავიდა ის დრო.
ის დრო წავიდა.
შორიდან ისმის მატარებელი...
გახსოვს ოდესღაც
აქ იყო ქარი: —
ღრუბლებისაკენ
გაწვდილ ხეებს

ირეკლავდნენ
ფანჯრის მინები.
აქ იყო წვიმა: —
და წინებზე
ცახცახებდა
ელვის პროფილი.
დღეს კი იყო მზე,
რომელიც უკვე აღარა ჩანს —
ზღვაში ჩავიდა.

— — —



ჴაბაღ ძარჩხაძე

ჴაბულონის შურიძიება

(წიგნიდან: „ჴაბულონი: შურიძიება. სიხვარული. სიკვდილი“)

მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ხანგრძლივი ხეტიალითა და უთვალავი ფათერაკით დაღლილ-დაქანცული როგორც იქნა გასცდა ვიწროსა და ბნელ, შმორის სუნიტ გაქღენთილ ხვრელს და კაშკაშა სინათლეში მოხვდა, ჴებულონმა დაინახა ცისფერი სიკვდილი, რომელიც აყვავებული ნუშისა და ტყემლის თეთრ ტევრს გამოეყო, ჴრელ მინდორზე დაეშვა და მისკენ გამოეშურა. ყვავილები რომ არ გაეთელა, შიშველ ფეხებს მიწას არ აკარებდა, ისე მსუბუქად მოდიოდა, როგორც სიზმარში, და დამათრობელი ღიმილით იღიმებოდა. ასე ახლო ჴებულონს სიკვდილი არასოდეს ენახა. მართალია თითქმის მთელი ცხოვრება მის გვერდით გაატარა, მუდამ ირგვლივ უტრიალებდა, როგორც ფარვანა აღს, საცა არ უნდა ყოფილიყო, ყველგან და ყოველთვის გრძნობდა მის საშიშსა და მომნუსხველ სუნთქვას, მაგრამ პირისპირ არასოდეს შეყრია. ახლა კი თვალებში შეჴყურებდნენ ერთმანეთს და მათს მზერას ველარაფერი გათიშავდა, რადგან შერწყმის სურვილი ორთავეს გარდაუვალი ძალით ეწეოდა ერთმანეთისკენ. ჴებულონი ნეტარებით გრძნობდა, რომ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და მისი გზა საბოლოოდ შეუერთდებოდა სიკვდილის გზას, ისე რბილად შეუერ-

თდებოდა, ისე მშვიდად, ისე მკვიდრად და ჴუსტად — პირი პირზე, ნაქდევნი ნაქდევნზე, წიბო წიბოზე — თითქოს მშობელმა დაკარგული შვილი იპოვაო. სულ ახლო რომ მოვიდა, სიკვდილი ერთბაშად შედგა და გაშეშდა. ახლა სამყაროში მხოლოდ მისი ღიმილი მოძრაობდა. ღიმილი უსხეულო და უხილავ სხივებად იღვრებოდა ჴებულონის ირგვლივ და ჴებულონს, რომელიც ნელ-ნელა იხსნებოდა მასში, ისღა უკვირდა, რომ სიკვდილს ცისფერი წამოსასხამი ესხა, ცისფერ პირბადე ეფარა და ცისფერი პირბადის უკან თეთრ სახეზე სათნოების უცხო ნათელი გადასდიოდა. ამის დანახვაზე ჴებულონმა გაიფიქრა, ეგებ ყველას თავისი საკუთარი სიკვდილი ჴყავს და, ჟამი რომ დაჴკარავს, ის საკუთარი სიკვდილი ეწვევაო. სხეულში ანთებული შუქი სწრაფად იზრდებოდა, ყველა კუთხე-კუნჭულში შედიოდა, ყველა კუთხე-კუნჭულს სინათლედ აჴცევდა და გარედან დაფრჴვეული ღიმილისაკენ მიისწრაფოდა, რათა მათი შერწყმით სამყაროში განუყოფელი სიმშვიდე დამკვიდრებულიყო. ჴებულონისა და სიკვდილის გზები ახლა საღდაც ძალიან მაღლა, ცის თალთან ეკიდა ერთიმეორის პირისპირ. მათ შორის ნაპრაილი იყო დარჩენილი. ჴებულონმა ამ

ნაპრალოდან გადაიხედა და ქვემოთ, შორს, ძალიან შორს დაინახა ურიცხვი წვრილი ნაკადულით დასერილი ამწვანებული ზერები. ნაკადულები კლაკნით მოედინებოდნენ, ყოველი მათგანი თავის ვიწრო კალაპოტს მიუყვებოდა და ბოლოს, დასალიერთან, იქ, სადაც თვალი ძლივსღა წვდებოდა, ცისფერ ზღვაში ინთქმებოდა. ზებულონმა თავისი ნაკადული იცნო და მიხვდა, რომ ეს მიწა და ეს ზერები მისი სამკვიდრებელი იყო, მისი საკუთრება, მისი სამყოფი და სამყოფელი. ზებულონი თავის ნაკადულს დააკვირდა. ნაკადული კლდის ნაეურად დაიბადა, კლდის დაწეს ცრემლივით ჩამოედინა, მიწას რომ მიაღწია, ძალა მოიცა და ჩუხჩუხით წამოვიდა, მერე ანახდა ფლატეს მიაღდა, ფლატეში გადაეშვა და ერთბაშად კალაპოტს შეიცვალა. ამის დანახვაზე ზებულონს გულმა რეჩხი უყო და სქელი, მღვრიე ნისლიდან მეხსიერებაში შორეული განცდა ამოტივტივდა, უცხო, უსახელო, აუხსნელი განცდა, რომელიც ოდესღაც, ზებულონისა და ზებულონის გათიშვის ეამს ყრუ კედლისა და დახშული ჭიშკრის მიღმა დარჩა და, თუმცა მისი ბუნდოვანი აჩრდილი მთელი სიციცხლე თან დასდევდა და ზოგჯერ შორეული მოგონების ტკბილ და ტკივილიან სევდად შეახსენებდა თავს, იგი დიდი ხანია უკვე სამუდამოდ დაკარგული ეგონა. ახლა კედელი მოირღვა, დახშული ჭიშკარი გაიღო და ზებულონმა, თითქოს ცხოვრების დოლაბი ხელახლა დატრიალდაო, უეცრად დიდი სიციხადით იხილა ყოველივე...

ზებულონი, ცალთვალა ისახარის ვაჟი, წყაროსთვალში დაიბადა, წყაროსთვალში გაიზარდა და, თვრამეტი წლისა ისე შეიქნა, იქიდან ფეხი არ მოუცვლია.

წყაროსთვალი პატარა სოფელი იყო. იგი ზებულონის მამას, ისახარს, და ზებულონის ორ ბიძას, ანანიასა და გაბრიელს ეკუთვნოდა. ანანიას, ძმებში

ყველაზე უფროსს, თეთრი თმა ჰქონდა, გრძელი თეთრი წველი, დიხვი მიმოხრა და ბოხი ხმა. ალქაჩარებელი, დაკვირვებული ლაპარაკი იცოდა, სოფელში დარბაისელ და ჰკუთის საკითხავ კაცად ითვლებოდა და, თუ რამე გადასაწყვეტი იყო, მის უნებურად არ გადაწყდებოდა. სამაგიეროდ ისახარი, ანანიას მომდევნო და ზებულონის მამა, ორივე ძმაზე უფრო ბრვე იყო, უფრო წარმოსადეგი და უკეთესი მეომარი. ბრძოლაში ბევრი ვერ დაუდებდა ტოლს, გულადი იყო, უშიშარი, საცა ყველაზე მეტი ხიფათი ეგულებოდა, სწორედ იქ გადაეშვებოდა თავისი ცხენით. ამ მეტისმეტი სიმამაცის გამო ერთ ბრძოლაში მარცხენა თვალი კი დაკარგა, მაგრამ ზებულონის აზრით თეთრად გადაკრული ლიბრი მის აღნაგობას კიდევ უფრო ვაჟკაცურ იერს ანიჭებდა.

ზებულონი მშობლების ერთადერთი შვილი იყო. დანარჩენი ოთხი, რომლებიც ზებულონის შემდეგ ეყოლათ, დაბადების პირველსავე კვირას დაიხოცნენ. ცოლ-ქმარსაც სხვა რა გზა ჰქონდა, განგების ნებას დამორჩილდნენ და ბედს შეუთრგდნენ. იმაზეც მადლობას სწირავდნენ გამჩენს, რომ ეს ერთი შვილი მაინც ეზრდებოდათ, ნაშრომ-ნადაგი ოხრად არ დარჩებოდათ, გვარს გამგრძელებელი ეყოლებოდა და ადგილ-მამულს პატრონი, და თუ თვითონ ვერ გამრავლდნენ, მათი მონაგარი გამრავლდებოდა და ცხოვრების მდინარეც წასწა და რაგზე იღუნდა.

ბავშვობაში ზებულონი არასოდეს დაფიქრებულა იმაზე, უყვარდა თუ არა თავისი სოფელი. რომ დაფიქრებულყო, გადაწყვეტილად მაინც ვერაფერს იტყოდა, რადგან სხვა სოფელი არ ენახა და შედარების საშუალება არ ჰქონდა. მართალია მერე, მეცხრამეტე გაზაფხული რომ წარდგინასავით მოვარდა და ყველაფერი უღმობლად ქვეშ დაიტან, ფეხი აიღვა, მრავალი სოფელი მისაარა, მრავალი ქალაქი,

მრავალი კუთხე და მრავალი მხარე, მაგრამ ეს უკვე სხვა ზებულონი იყო და იმ ძველი, ყრუ კედლისა და დახშული კიშკრის მიღმა დარჩენილი ზებულონის გულის ნადები აღარ ესმოდა. უცხო ადგილას მყოფს ზოგჯერ უეცარი ხილვა შეატყებდა, თითქოს მშობლიურმა სოფელმა მოულოდნელი დესპანი აწვიო, გონების თვალწინ წამით რაღაც იელვებდა — ან თეთრი ლოდი აჭაფებულ მდინარეში, ან მუხის მსხვილი ფესვი, მიწიდან ამოზნექილი, კანდამსკდარი და უცნაურად დაგრეხილი, ან სახურავის საყრდენი ბოძი აივნის კუთხეში, რომელსაც ნაჯახის ნაჭდევი აჩნდა, ძველი, ფერგადანული, ღრმა ნაჭდევი — მაგრამ ეს ხილვა ისეთი ხანმოკლე იყო, რომ ზებულონი იმასაც კი ვერ ატყობდა, მის მიერ სხეულში წამით გამოწვეული განცდა ტკივილი იყო თუ სიხარული. მერე კი ავიწყდებოდა, რადგან ფიჭრისთვის არ ეცალა.

ერთი მაინც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: სოფელში ზოგი რამ სიამოვნებას ჰგვრიდა. მაგალითად ცივ მდინარეში ბანაობა, ტყეში ხეტიალი და მელიის ხერელის ძებნა, ნაწვიმარზე ტალახში ფეხშიშველა სიარული, განსაკუთრებით კი მუხნარში ასვლა, სადაც ერთხელ თვითონაც მუხად იქცა და მთელი სიმწვავეით იგრძნო მუხის ძალაცა და უძლურებაც. მუხნარი მდინარის გაღმა იყო, დამრეც ფერდობს რომ აათავებდა. მცირე მოვაკებულ ადგილას შვიდი უზარასანაო მუხა იდგა. თითქოს მუხები საგანგებო განმარტობებულანო, სხვა არა ხე ანლომაზლო არ ჰკუანებდა. მუხნარს იქით ოციოდ ნაბიჯზე ისევ ფერდობი გრძელდებოდა და მხოლოდ მერე იწყებოდა ტყე. ზებულონი აქ ხშირად ამოდიოდა. ხან ფერდობის პირას ჩამოჯდებოდა და მდინარესა, და სოფელს გადასცქეროდა, ხან გაშლილი მკლავებით მუხებს ტანის სისქეს უმოწმებდა, ხანაც რომელიმე მუხის ძირას გულადმა დაწვებოდა და ქვემოდან ისა და ზე-

მოდან ცა მუხის ხშირი ტოტებითა და ფოთლებით ერთმანეთისაგან გაყოფილები ერთმანეთს მალულად უთვალთვალვებდნენ. ერთხელაც მუხების შუა დაღვა, ფეხები რაც შეეძლო ღონიერად დააბჯინა მიწას, ხელები მალა შემართა, თვალეები დახუჭა და წარმოიდგინა, ვითომ თვითონაც მუხა იყო. დიდხანს იდგა ასე, თვალდახუჭული და გატრუნული. მანამ იდგა, სანამ მუხად არ იქცა და არ მიხვდა რა დიდებული რამ ყოფილა მუხა, რა მძლავრი, რა მშვიდი, რა ღონიერი. საკუთარ სიძლიერეში ღრმად დარწმუნებული, იგი დინჯად და უშფოთველად, ამაყი მოთმინებით იტანდა ყოველგვარ გასაჭირს: პაპანაჭება სიცხესა და დამაზრობელ ყინვას, ქარიშხალსა და სეტყვას, გვალვასა და წყალიდობას. ფესვები მკვიდრად, იმედიანად ედგა მიწაში, განიერი ტოტები ვეება მკლავებივით გადაეშალა და შეუპოვარი მოლოდინით შესცქეროდა ცას, თითქოს იცოდა, რომ, რასაც მოელოდა, ის მისი და მარტოოდენ მისი ზვედრი იყო, არა წიფლის, არა ფიჭვის, არა ნაძვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მუხის... ამის წარმოდგენაზე ზებულონის სულში თბილად ჩაედგარა ის უცხო და უსახელო, აუხსნელი განცდა, რომელიც სხვა დროსაც, სხვა გარემოებაშიც, სხვა მიზეზთა გამოც უგრძენია, რომელიც მუდამ უეცარი ნეტარებათ აბრუებდა ხოლმე და რომელიც მერე, როცა სხვა ზებულონად იქცა, სამუდამოდ დაკარგა. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ეს ნეტარი განცდა უკვალოდ გაქრა და მის ადგილას ერთბაშად შიშისა და გაუვალი უმწევობის გულის შემკუმშველი ზვირთი შემოვარდა. და ზებულონმა უეცრად იგრძნო: მუხის სიამაყე მოჩვენებითი ყოფილა, მუხის ძალა უქმი ყოფილა, მუხის მოთმინება უძლური და შემგუებელი ყოფილა. მუხა მიწის ტყვე იყო მიწა ბორკილებით შემოკვროდა ფესვებზე და გასაქანს არ აძლევდა. მუხას მოძრაობა უნდოდა და დაბმული იყო. საცა დაი-

ბადა, იქ უნდა მომკვდარიყო და უცხო მინდორთა სილამაზეს ვერასოდეს იხილავდა. მუხა განწირული იყო და მის ფუტურთო სიამაყეს არავითარი ფასი არა ჰქონდა. ზებულონი შეერთა, ხელეები ჩამოაყარა, ფეხები მიწას მოწევიბა, სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ მოძრაობის ილაჯი შერჩენილი ჰქონდა, შიშმა გაუარა. ცოტა ხნის შემდეგ, უკვე საბოლოოდ დამშვიდებულს, ისევ მონატრა იმ შიშისა და უმწეობის განცდა, უკანვე დაბრუნდა, ფეხები ისევ ისე მყარად დააბჯინა მიწას, ხელეები ისევ ისე მაღლა შემართა, თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, ვითომ დაუძლეველი ძალით იყო მიკრული ამ ადვილს, აქედან ფეხს ვერ მოიცივლიდა. მთელი სიცოცხლე აქ უნდა ყოფილიყო, აქ უნდა მომკვდარიყო და ვერასოდეს ნახავდა შორეულსა და წარმტაც მხარეებს, რომლებზედაც არაერთხელ უოცნებია. შიშისა და უილაჯობის გრძნობა მალე მართლა დაეუფლა, მაგრამ ამ გრძნობას წელანდელი სიმწვავე და სიმპურვალე აღარ ახლდა. ახლა იგი ბუნდოვანი იყო, ბლაგვი და თამაშს ჰგავდა. ამის შემდეგ ზებულონს ეს ცდა არაერთხელ გაუმეორებია, მაგრამ იმ პირველი შიშის დილა და გაუგებრად საამო ტკივილი აღარასოდეს უგრძნვია.

თანატოლებში თამაშს მუდამ მარტო ყოფნა ერჩივნა. ჭერ ერთი, ტანად იმთავითვე ძალიან დიდი იყო, მისი კბილა გოგო-ბიჭები მხრებამდე ძლივსა წვდებოდნენ და მათთან ისე ჩანდა, წიწილებში რომ ბოჩოლა გაერიოს. ამას თავადაც გრძნობდა, თავისი ვეება სხეული თვითონვე ეჩოთირებოდა და ამხანაგებთან თამაში ეუხერხულეზოდა, თუმცა, რაკი ამ უხერხულობისაც რცხვენოდა, თავი ისე ეჭირა, ვითომ კი არ ეუხერხულეზოდა, არამედ ეთავილებოდა. გარდა ამისა — და მთავარი სწორედ ეს არის — როცა სხვებთან იყო, უნდოდა თუ არ უნდოდა,

ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ისინი იქცეოდნენ, ის თამაში ეთამაშა, რასაც ისინი თამაშობდნენ, იმაზე ელაპარაკა, რაზედაც ისინი ლაპარაკობდნენ. ამას კი ვერ იტანდა. ჭიუტი ხასიათი ჰქონდა და სხვების კუთაზე სიარული არ შეეძლო. მარტობას რასჯობდა! არხინად რომ მიაბიჯებდა თავისთვის აჭრელეზულ მინდორზე და იმაზე ფიქრობდა, თუ რატომა აქვთ ყვავილებს სხვადასხვა ფერი, გული სიხარულით ეცებოდა მიუხედავად იმისა, რომ პასუხს ვერ პოულობდა. ან ზაფხულის ღამეში ბალახში გულაღმა მწოლარე მოკრიალებულ ცას რომ მიანერდებოდა და ამოად ეთათბირებოდა საკუთარ თავს იმის გამო, თუ ეს ამოდენა ვარსკვლავი დილით სად მიდის, ღამით საიდან მოდის, რატომ ხდება, რომ ზოგი მათგანი მოულოდნელად მოწყდება, მთელ ცას გადაიჭროლებს და სადღაც ისე უეცრად გაქრება, თითქოს არც არასოდეს ყოფილიყოს. „როდესაც ერთხელ ყური მოკრა, ალიონზე, სინათლისა და სიბნელის შეხვედრის ეამს, მტინარე წამით შედგებოდა, ამ უჩვეულო რამ ამბის სანახავად სამჭერ უთენია გაიპარა სახლიდან. მართალია ვერც ერთხელ დაშვარი მდინარე ვერ ნახა, მაგრამ ნახვის მოლოდინი სამივეჯერ ისეთი ტკივილი იყო, ისეთი ამაფორიაქებელი და ერუანტელისმომგვრელი, რომლის მსგავსსაც ტოლ-ამხანაგებში ყოფნა ვერასოდეს მიანიჭებდა.

როცა ბავშვები ცოტა წამოიზარდნენ, ზებულონს გულმა ერთი გაწევა მინც გაუწია მათკენ. ეს ის ღრო იყო, გოგო-ბიჭები რომ უეცრად დაშორიშორდნენ, მათ შუა გამოუცნობი ზღუდე აღიმართა, უცნაური, საშიში და გადაულახავი. ბიჭებმა იგრძნეს, რომ რალაც ვეება საიდუმლოს მიაღწენ და ნელ-ნელა მიანებეს თავი ლაბტის თამაშს, ბავშვურ ბლადუნსა და მინდორში სულელური ჭყვილით ერთმანეთის დვენას. საიდუმლოს ამოხსნა ყოვლად აუცილებელი ჩანდა და ისი-

ნიც ამის შემდეგ გაუგებარი ერთ-
ტელით ატანილები, ხან მდინარის პი-
რას, ხან ყანაში, ხან ტყეში, ერთად
შეკრებილები, მტკიცედ შენივთულები
და ერთიანი, უცხო და მხურვალე ბან-
გით გაბრუნებულები მოგუდული ჩურ-
ჩულით ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ
რა არის ქალი, რისგანაა, რომ გოგო,
რომელსაც გუშინ ბიჭისგან ჯერ კიდევ
ვერადრით ვერ ასხვავებდა, დღეს უე-
ცრად სხვა ჯიშად იქცა, მკერდი სხვა-
ნაირად ამოებურცა, თეძოები სხვანაი-
რად მოუმრგვალდა, ხმა სხვანაირად
გაუნახდა და გაუშორებულდა, და მისი
კანკები, რომლებიც გუშინ ჩვეულებ-
რივი იყო და შენი კანკებისაგან არ გა-
ნირჩეოდა, ერთბაშად რალაც ისეთი
უცნაური ძალითა და მომწესხველო-
ბით დაიტენა, ისეთი ფერი მიეცა და
ისეთი სუნი ავარდა, რომ მის დანახ-
ვაზე გონება ბინდით გვესება და თვა-
ლი ნისლით. აი, ამ დროს გაუწია გუ-
ლმა ზებულონს ბიჭებისაკენ, რადგან
ეს დიდი საიდუმლო მასაც ტანჯავდა
და აწვალებდა. მაგრამ მალე დაინახა,
რომ შემცდარა. რამდენჯერაც კი გაე-
რა ბიჭების გუნდში და მათი საუბა-
რი მოისმინა, იმდენჯერ სირცხვილის
ზიზნარევი გრძნობა გამოყვა. ზებუ-
ლონისთვის ქალის იღუმალება უცხო
და ხელუხლებელი რამ იყო, მართალია
ტკბილი და ერთნაირი სიმომგვრელი,
მაგრამ ამავე დროს უხილავი და არა-
მიწიერი, ბიჭები კი მხოლოდ იმას ცდი-
ლობდნენ, ეს შორეული სილამაზე რო-
გორბე ხელით შეეპყროთ, მიწაზე ჩა-
მოეთრიათ და უწმინაური მახვილსიტყ-
ვაობით დაემდობებინათ და მტკერში
ამოეთხვარათ.

და ზებულონი კვლავ განმარტოვდა.
მარტოობა შვება და ნუტეში იყო, სა-
კუთარი თავი კი საუკეთესო მეგობარი
და გულის მესაიდუმლე.

თუმცა ზებულონის მარტოობას
მთლად მარტოობაც არ ერქვა, რადგან
თავის ორ უერთგულეს მეგობარს,
ბროლასა და ლომიას, გვერდიდან თი-
თქმის არასოდეს იშორებდა. ბროლა

და ლომია, როდესაც ერთმა მოხუცმა
მწყემსმა მთიდან ჩამოუყვანა, პაწაწ-
კინტელები და საცოდნეები მოუყვანენ,
თვალები ჯერაც არ ახელოდათ, შესაბ-
რალისად წკაფწკაფებდნენ და ძლივს
დაბაჯბაჯებდნენ. ზებულონმა მათი მო-
ვლა-პატრონობა თვითონვე ითავა, ახ-
ლო არავინ გააყარა და, ცოტა რომ წა-
მოიზარდნენ, წვრთნა დაუწყო. ლეკვე-
ბის ღელაცა და მამაც წმინდა სისხლის
ნაგაზები იყვნენ და თვითონაც რალა
თქმა უნდა ნაგაზები უნდა გამოსული-
ვნენ — შეუბოვრები, მებრძოლები,
აგები. მაგრამ ზებულონი უჯაბით და
თავისნათქვამა იყო და ლეკვებს მწვე-
რებად და მეძებრებად დაზარდა დაუ-
პირა. ბევრი უშალეს, ცალკე მამამ, ცა-
ლკე მეზობლებმა, ცალკე გამოცდილმა
მონადირეებმა და გამოცდილმა მწყემ-
სებმა, ან შენ რას წვალობ, ან მაგ სა-
წყალ ძაღლებს რას აწვალე, სად გა-
გონილა ნაგაზი მეძებრად იქცესო, მა-
გრამ არ დაიშალა და, რაკი სოფელში
მოსვენებას არ აძლევდნენ, ლეკვები
ზემთ მიჰყავდა ხოლმე, ტყეში, და იქ
გეშავდა თავის კქუაზე. ამასობაში ხა-
ნი გამოხდა. ჯიშმა და სისხლმა ცხადია
თავისი ქნა და ბროლა და ლომია ისეთი
ნაგაზები დადგენ, თვლი უკეთესს ვერ
ნახავდა — ვეებერთელები, ბომბორე-
ბი, კვიანები, ლონივრები და ერთგუ-
ლები. სიმამაცზე და გულადობაზე
ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ ამა-
ვე დროს მთელი სოფლის განსაცვიფ-
რებლად თავისი ქნა ზებულონის გულ-
მოდგინებაში და მოთმინებაშიც: ეს მო-
ზგრის ტოლა ნაგაზები, რომლებიც
არაერთხელ მგლების მთელ ხროვას
შებშიან და გაუფანტავთ კიდევ, ისე
გაერთხმობდნენ ბალახებში, მელიის
სოროს მახლობლად, ისე გაშემდებო-
დნენ და გაიტვრინებოდნენ და ისე გა-
ფაციციებით ელოდნენ — ზოგჯერ დი-
ლიდან შუადღემდე — საკბილოს გა-
მოჩენას, თითქოს სწორედ ეს ყოფი-
ლიყოს მამაპაპითგან შემკვიდრებით
ნაანდერძევი ხელობა. ნადირის სუნს
შორიდანვე იკრავდნენ, კვალს ფრთხი-

ლად და უჩუბრად მიჰყვებოდნენ, ჯაგებსა და ბუჩქნარს ისე გაივლიდნენ, ფოთოლს არ შეატაკებდნენ, პატრონის ყველა სიტყვა და ყველა ნიშანი ესმოდათ და უყრყმანოდ და მორჩილად ასრულებდნენ; ხან მიწაზე გაწვებოდნენ და ფორთხვით მიიწვედნენ წინ, ხან გაწოლილები გაშეშდებოდნენ, გაინაბებოდნენ და ახალი ბრძანების მოლოდინში ლამის სუნთქვას შეიკრავდნენ. ერთი სიტყვით ნაგაზებიც იყვნენ და მეძებრებიც, ბრძოლაც იცოდნენ და ეშმაკობაც, ღონეც ჰქონდათ და ხერხიც.

ღრო ნელა მიდიოდა, უჩუბრად, მშვიდად, ვერც კი შეატყობდით მიდიოდა თუ არა, სანამ ქამმა არ დაჰკრა და ის დიდი და საბედისწერო გაზაფხული, ზებულონივე შურისძიების ღრმა ისრით დაღარული და ამავე ღროს არა-ამქვეყნიურად ლამაზი, როგორც თეთრი ქალწული ჩამავალი მზის მეწამული სხივებით აელვარებულ ოქროსფერ კუბოში, ყრუ და გაუვალ კედლად არ აღიმართა ზებულონსა და ზებულონს შორის და კედლის გარეთ მყოფი ზებულონი ისე დაუნდობლად არ გათიშა კედლის შიგნით დარჩენილი ზებულონისაგან, რომ მათ შორის ყველა დამაკავშირებელი ძაფი გაწყდა და ყველა მსგავსება წაიშალა, რის გამოც ნეტარი და დამთრობელი განცდა, უცხო, უსახელო, აუხსნელი, რომელსაც მაშინ მიწისა და ცის სუნი ასდიოდა, სამუდამოდ გაქრა და აღარასოდეს დაბრუნებულა.

იმ წელიწადს ძალიან თბილი გაზაფხული იდგა. თბილი და წვიმიანი. დღე ისე არ გავიდოდა, კოკისპირული წვიმა არ წამოსულიყო. უეცრად, მოულოდნელად წამოუშენდა, გეგონებოდათ წარღვნა დაიწყო, და თვალის დახამხამებაში მიწას ძირისძირობამდე დააღბობდა. მერე ისევ ისე უეცრად გადაიკარგებოდა, ღრუბლები მიიწ-მოიწვოდნენ, გამეჩხერებოდნენ, შეთხელებოდნენ და სამხრეთის ცაზე ზღაბრული შვილდევით დაეკიდებოდა ნა-

ირფერად აბრწყვილებული ცისარტყელა. ცოტა ხნის შემდეგ მზე კვლავ ძალას მოიციმდა და ქვეყანას შრცინარე პირით დახედავდა, ცხელ სხივებში გახვეულ მიწას ოხშივარი აუვილოდა და თან, რაც კი წვიმამ დანამა, დააღბო, დაასველა, ყველაფრის სუნს აიყოლიებდა. სოფლად ეს უფრო ნუშის სუნი იყო, ზემოთ კი, ტყეში, იელისა და წიფლის. მზის სხივები, წვიმის ურიცხვი წვეთებიდან არეკლილი, თავისივე სიმზურვალისაგან აგარდნილ ორთქლში აცახცახდებოდნენ და მინდვრებსა და ფერდობებს ისეთ უცხო ფერებად მოეფინებოდნენ, დარდიანიც რომ ყოფილიყავით, გული მიაწეც სიხარულით შეგიტოკდებოდათ და საამოდ ავიფორიაქდებოდათ.

ასეთ ღროს ზებულონს რბილ ტალახში ფეხშიშველა სიარული უყვარდა. ნელთბილი და თოთო მიწა რომ ნესტიანი ენით მოელამუნებოდა და ტერფებზე საამო არტახებდად შემოეკვროდა, ის უცხო და უსახელო, აუხსნელი განცდა გულში ნიაღვარივით შემოვარდებოდა, მერე ყოველ მხარეს გაიფანტებოდა, სისხლს შეერეოდა და მთელ სხეულს ტბილი, მომთენთავი ნეტარებით ავსებდა. ზებულონი ნელა, გარინდებით დადიოდა და ყოველ ნაბიჯს ყურადღებით აკვირდებოდა. ჭერ ქუსლი შეეხებოდა დამბალ მიწას და ნელა დაიწყებდა შიგ ჩაძირვას, მერე ტალახის სქელი ფაფა კოჭისძირებს შემოედებოდა, ფეხისგულებს ამოეკვროდა, თითებსა და თითებს შუა კლავებით ამოყელყელავდებოდა და ბოლოს მთელი ტერფი, ფეხისგულიდან კოჭამდე, საამოდ რომ ჩაეფლობოდა ნელთბილ მიწაში, ზებულონი ნეტარებისაგან ზოგჯერ თვალებსაც ხუტავდა. გუბურას რომ წააწყდებოდა, ტალახიდან ამოვიდოდა, მზით გამთბარ წყალში ფეხებს სათითაოდ ჩაჰყოფდა და კარგად გააალღალღებდა, რათა მერე ყველაფერი თავიდან დაეწყო.

ზებულონმა არ იცოდა, რასაც თვითონ განიცდიდა, იმას განიცდიდნენ.

თუ არა სხვებიც, ის კი იცოდა, რომ ნაწილობრივ შიშველი ფეხებით ტალახის ზელა ყველა ბავშვის საყვარელი გასართობი იყო. ოღონდ ესაა, სხვა ბავშვებმა ეს გასართობი, როგორც კი წამოიზარდნენ, მაშინვე მიატოვეს. უცხო თვალის დასანახავად ზებულონმაც მიატოვა. მას შემდეგ, რაც თოთხმეტი წლისა შეიქნა, პატარა უკვე აღარ ეთქმოდა და ტალახის ზელასა და მუხად ქცევას აღარაფერ მოუწონებდა. დაღვაჟამი, როცა იმ მთავარი საქმისთვის უნდა მოეკიდა ხელი, რასაც მისგან დრო და ქვეყანა ითხოვდა.

დრო ავი იყო, ქვეყანა გვერანებულა. ყოველი მხრიდან ურჯულოებით გარშემორტყმული პატარა კუთხე გაფრთხილებით იბრძოდა თავისუფლების შესანარჩუნებლად. უცხო თვალისთვის ასეთი უიმედო ბრძოლა იქნებ ღიმილის მომგვრელი უგუნურობა იყოს, მაგრამ ქართველებს მაშინ დანებება არ უყვარდათ, სახელს ზომავს მეტ ფასს ადებდნენ და უმაღლეს ხმაღს შეუშვერდნენ კისერს, ვიდრე უღელს. მართალია დროდადრო გონიერი კაცებიც გამოჩნდებოდნენ და ირწმუნებოდნენ, უთანასწორო ბრძოლას დამორჩილება სჯობს, რადგან მონა აღრე თუ გვიან თავს გაითავისუფლებს, მკვდარს კი აღარაფერი ეშველებაო, მაგრამ მათი ქადაგება უნაყოფო იყო და ბოლოს და ბოლოს იძულებული ხდებოდნენ თვითონაც ხმლები აეღესათ და ომში წასულიყვნენ. მტერი კი ქართველობას ნაირ-ნაირი ჰყავდა და ნაირ-ნაირი ხერხებით ცდილობდა მის მოსპობას. ზოგი დიდი, კარგად გაწყობილი ლაშქრით მოდიოდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაექრო ქართველის სახსენებელი, ზოგი წვრილ-წვრილ, მუხანათურ თავდასხმას ამკობინებდა, ზოგიც მეგობრობას ეფიცებოდა, მკერდზე მჭილებს იბრაგუნებდა და ცდილობდა გულში ჩაეკრა, რათა ასე გულში ჩაერული მოეხრჩო.

რაკი ქართველები მორჩილებას ვერ ურიგდებოდნენ და ქვეყანა მუდამ სი-

კვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იყო, აქაური ყმაწვილები, ბიჭობის ვადა რომ გაუვიდოდათ, უბრალო კაცებად კი არ იქცეოდნენ, როგორც ეს შედარებით უფრო დაწყყნარებულ ქვეყნებში ხდებოდა, არამედ მეომრებად, რომლებსაც მაშინაც კი, როცა ომი არ იყო და გუთანს ეკიდნენ, რათა მოესწროთ და ოჯახისთვის ცოტაოდენი სარჩო-საბადებელი გაეჩინათ, წელზე ხმალი ერთყაით, მხარზე თოფი ეკიდათ და მინდვრის თავსა და ბოლოში მეთვალყურეები ეყენათ, მტერი რომ მოულოდნელად არ დასცემოდათ. ზებულონიც რაღა თქმა უნდა საერთო გზას გვერდს ვერ აუვლიდა. ამ დროისთვის ჩინებულად იცოდა ცხენის ხედნა, ხარ-ურმის ვაძლოლა, ძაღლების წვრთნა, ხენათესვა, ნადირობა, ფუტკრის მოშენება, ხეხილის დამყნობა და გახარება, და ყველა ეს საქმე გულით უყვარდა, მაგრამ რაკი საქიროება მოითხოვდა, ომის სამზადისსაც ჩვეული მუყაითობით მიჰყო ხელი და, ჩვიდმეტი წლისა რომ შეიქნა, უკვე გაწვრთნილი მეომარი იყო, ხმალსაც კარგად ხმარობდა, შუბსაც და თოფსაც. ცხენზე ჯდომა და მიუვალ ადგილებში ჰენება ხომ უამისოდაც იცოდა და იცოდა. ერთი სიტყვით ყოველმხრივ მზად იყო და, თუმცა ჯერ არ დაეძახნათ, თავის წარმოდგენაში უკვე მრავალი ზრძოლა გადაეხადა. გონების თვალთ ყველაფერს უაღრესად ცხადად და მკაფიოდ ხედავდა: ცხენდაცხენ რომ მოულოდნელად მტრის რაზმის შუაგულში გადავარდებოდა და თან ერთს ომახიანად დაძახებდა, დაბნეული და დაფეთებული მოწინააღმდეგე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. ზებულონი ყოველით მისდევდა. ბოლოს გაქცეულებს ერთი კაცი ჩამორჩებოდა. ჩამორჩებოდა, ჩამორჩებოდა, ჩამორჩებოდა და, როდესაც იგრძნობდა, გამოსავალი აღარ ჰქონდა, შედგებოდა, აიწურებოდა, კისერს მხრებში ჩარგავდა, თვალებს დახუჭავდა და ხელებს თავზე წაიფარებდა. ზებულონი მშვენივრად იცოდა, თუ რა

უნდა მომხდარიყო ამის შემდეგ: ხმა-
ლი მთელი ძალით უნდა მოეჭნია, ში-
შით წამხდარი მოწინააღმდეგე შუაში
გაეპო და დანარჩენებს დადევნებოდა,
რათა ამბის მიმტანი არავინ გაეშვა. მა-
გრამ ის მკათი და ცხადლივი წარმო-
დგენა, რომელიც აქამდე წინ მიუძღო-
და, აქ ერთბაშად წყდებოდა. გონება
უარს ამბობდა რაიმე დაენახა ამის შე-
მდეგ და ზებულონს შეშინებული მო-
წინააღმდეგის მოკვლა ვერაფრით ვერ
მოეხერხებინა. ასეთ გაუბედაობას თავს
ქალაქუნობად უთვლიდა და ყველაფერს
თავიდან იწყებდა, მაგრამ ამ ადგილს
რომ მიაღწევდა, წარმოსახვა კვლავ
ოჩანი ცხენივით გაჭიქდებოდა, ერთ
ადგილას დადგებოდა და ზებულონი,
თუმცა საკუთარ თავთანაც უჭირდა
ამის გამხელა, იძულებული ხდებოდა
მოკვლის ამბავი გამოეტოვებინა, შე-
შინებული მოწინააღმდეგისათვის გვე-
რდი აეჭკია და ისე დადევნებოდა გაქ-
ცულებს.

სოფელში კი უკვე კარგი მეომრის
სახელი ჰქონდა დავარდნილი. მისი მე-
ომრობისა ჯერ არაფერი იცოდნენ, მა-
გრამ ტანად უკვე ვეება იყო, განიერი
ბეჭები ჰქონდა და, ქურანაზე ამხედ-
რებულს რომ დაინახავდნენ, მოწონებით
იქნევდნენ თავს. ხოლო შემოდგომაზე
რომ ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლისამ მსუ-
ბუქად და ლალად აიტაცა საჭილდო
ქვა, რომელიც იმდენ ხანს იღო უქმად
სასაფლაოს პირას, რომ მისი ამწევი
ძველ თქმულებებსა და გადმოცემებ-
საც კი არავინ შემოენახა, სოფელი სა-
ბოლოოდ დარწმუნდა, რომ სახელოვანი
მეომარი და საიმედო ქომავი ეზრ-
დებოდა.

ზებულონმა უამისოდაც მშვენივრად
იცოდა, რომ დიდი ღონის პატრონი
იყო, მაგრამ თანასოფლელებისაგან გან-
სხვავებით ეს ამბავი არათუ სიამოვნე-
ბას არ ანიჭებდა, არამედ ცოტა
ეუხერხულებოდა კიდევ. ღონეცა და
ტანიც. განსაკუთრებით ტანი, რომე-
ლიც ისე დაჰქონდა, თითქოს რაღაც
უსიამო ტვირთი ძალად აჰკიდესო.

ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და შე-
უკრავი სხეული რაღაც გიუგებრად
იყო აჩონჩხილი და მოძრაობისას ისე
ყანყალებდა, გვეგონებოდათ საცაა და-
იშლებო. კიდურები მკვიდრად ვერ
ასხდნენ სახსრებში და, ხელს რომ აიჭ-
ნებდა, ეს აქნეული ხელი ერთი მტკა-
ველით იმაზე შორს მიდიოდა, ვიდრე
განზრახული ჰქონდა. ზებულონი ყო-
ველივე ამას კარგად გრძნობდა და,
როცა ცდილობდა საკუთარი თავი სხვი-
სი თვლით დაენახა, სასაცილო ეჩვე-
ნებოდა და არაფრად ექაშნიკებოდა.

იმ ზამთარს თვრამეტისა შესრულდა,
ხოლო გაზაფხულის დამდეგს სოფელ
წყაროსთვალში იოველ ბატონიშვილი
ჩამოვიდა.

აქამდე ზებულონის წარმოდგენაში
იოველ ბატონიშვილი უფრო ზღაპრუ-
ლი ქაბუკი იყო, ვიდრე ნამდვილი,
ხორცშესხმული ადამიანი. არა მარტო
იმიტომ, რომ სოფელში მის შესახებ
საკვირველსა და დაუჯერებელ ამბებს
ყვებოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ
ამ საკვირველსა და დაუჯერებელ ამ-
ბებს ზღაპრებივით ყვებოდნენ. ნაშე-
მოდგომეგს, როდესაც მოსავალი უკვე
აღებული და დაბინავებული იყო და
ომის მაცნეც არსად ჩანდა, ღვითთ ნა-
წყალობევი ამ დროებითი, ხანმოკლე
მყუდროებისა და სიმშვიდის დროს ჩა-
მოსხდებოდნენ დიდი კოცონის პირას
სოფლის მოხუცები, რომელთაც, ნიავ-
ზე მოლიცილიც ალის შუქი რომ გადა-
ურბენდა და ჩამოწოლილი ბინდიდან
წამით გამოჰყოფდა, თავდაც იღუმა-
ლი სახეები ჰქონდათ, და, ერთი რომ
მოათავებდა ზღაპარს, რომელშიაც ძალ-
გულოვანმა ქაბუქმა ცხრათავიანი ღვევი
ყელამდე ჩაფლა მიწაში, ახლა სხვა
დაიწყებდა: „ერთხელ თურმე იოველ
ბატონიშვილი...“, ისე თითქოს ისიც
ზღაპარს ყვებოდა. ცოტა რომ წამოი-
ზარდა, ზებულონი მიხვდა, რომ იოველ
ბატონიშვილი შესაძლოა უჩვეულო,
მაგრამ ნამდვილი ადამიანი იყო, და შე-
ძრწუნებული მთელი არსებით აუჯან-
ყდა ამ აზრს, რადგან გრძნობდა, რომ

ნამდვილი იოველ ბატონიშვილი ვერ შეითავსებდა თავის საკვირველ თავგადასავალს და ამის გამო საყვარელი ზღაპარიც გაიძარცვებოდა და გაღატაკდებოდა. სხვა რომელიმე ზღაპარს იქნებ იოლადაც შეღეოდა, მაგრამ იოველ ბატონიშვილის ზღაპრის ხელყოფას ვერ შეურიგდებოდა. იგი ერთადერთი იყო, გამორჩეული, ყველასაგან განსხვავებული და განსხვავებულად ამიღლებული. დანარჩენი ზღაპრები ასე თუ ისე ერთმანეთს ჰგავდნენ: მძლეობამძლე ჰაბუკი ფათერაყებით აღსავსე თავგადასავლის შემდეგ, ყველა ღვეს რომ დაამარცხებდა და ყველა დაბრკოლებას გადალახავდა, მზეთუნახავს ირთავდა ცოლად, ხელმწიფედ ჯდებოდა და „ცხოვრობდა ტკბილად და ბედნიერად“. ამ დასასრულს რომ ისმენდა, ზებულონს ისეთი გრძნობა უჩნდებოდა, თითქოს სული გავზარა და შიგ სიყვარულე შეეპარა. ამგვარი დასასრული მართლა დასასრული იყო, ყველაფრის დასასრული, რადგან, როცა მზეთუნახავს შეირთავ, ხელმწიფედ დაჯდები და ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობ, მეტი რაღა უნდა მოხდეს! ან თავიდან უნდა დაიწყო ცხოვრება, ან არადა სიკვდილამდე იყო ასე, ტკბილად და ბედნიერად. იოველ ბატონიშვილის ზღაპარს კი დასასრული არ ჰქონდა. იოველ ბატონიშვილის ზღაპარი სულ სხვა იყო. თუ დანარჩენი ზღაპრის გმირები თავიანთ თავგადასავალს იმით ამთავრებდნენ, რომ ხელმწიფეები ხდებოდნენ, იოველ ბატონიშვილმა თავისი საკვირველი თავგადასავალი იმით დაიწყო, რომ ხელმწიფობაზე უარი თქვა. ასეთი რამ ზებულონს არც ერთ ზღაპარში არ გავგონა, რადგან ზღაპარი არსებითად ყოველთვის ხელმწიფობისაკენ მიმავალი გზაა, ხელმწიფობაზე უარის თქმა კი იმდენად საოცარი და გაუგონარი ამბავია, კაცი ზღაპარშიაც ვერ დაიჭრებ. იოველ ბატონიშვილმა კი უარი თქვა. მან, მეფის უფროსმა ვაჟმა და ტახტის მემკვიდრემ, მამის სიკვდილის შემდეგ მეფობაზე

უარი თქვა და გვირგვინი მომდევნო ძმას დაულოცა. და თუმცა ექსპედიციის ზღაპარადაც დაუჭრებდნენ, უმჯობესი კაცის ადგილი მხოლოდ ზღაპარშია, ჰაბუკებთან და მზეჰაბუკებთან, ღვეებთან და გველეშაპებთან, ფასკუნჯებთან და კუდიან ღედბრებთან. მას შემდეგ, რაც ტახტზე უარი თქვა, იოველ ბატონიშვილი თურმე ერთ ხანს თავის საუფლისწულო მამულში ცხოვრობდა, მეტი კი გულანაბადი აიკრა და სამოგზაუროდ წავიდა. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მრავალი ქვეყანა შემოიარა. საცა კი ბრძენსა და ნასწავლ კაცს გადაეყრებოდა, შეგირდად უღებებოდა და მანამ რჩებოდა მასთან, სანამ ყველაფერს არ ისწავლიდა, რაც კი ოსტატმა იცოდა. თხუთმეტი წელი იარა ქვეყნიდან ქვეყანაში, სახელმწიფოდან სახელმწიფოში, და თხუთმეტი წლის შემდეგ, ბრძენი და ყოველმხრივ განსწავლული, სამშობლოში დაბრუნდა. ამბობდნენ, მრავალი ხალხის ენა იცისო. ეს რომ ზებულონმა გაიგო, ძალიან გაუკვირდა, რადგან მისთვის ქვეყნად ერთი ენა არსებობდა და ყოველი კაცი, ვინც არ უნდა ყოფილიყო და სადაც არ უნდა ეცხოვრა, ქართულად ლაპარაკობდა. ან კი როგორ შეიძლებოდა ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა სახელი ჰქონოდა! მაგალითად, მიწას თუ „მიწა“ არ უწოდებ და სხვა რამე უწოდებ. ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი მიწა მიწა კი არ იქნება, არამედ სხვა რამე. მეტი და მეტი რაღაცას თითქოს მიხვდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაერკვა. იოველ ბატონიშვილი კი ზღაპარულზე უფრო ზღაპრული ჰაბუკი და იღუმბალი ძაღლების ბატონი იყო. სამშობლოში დაბრუნებულმა თურმე თავის მამულში მალალი მთის წვერზე საყდარი ააგო და შიგ სასწავლებელი გამართა, რათა ახლა თავად მოეწვია შეგირდები და, რაც იცოდა, მათთვის ესწავლებინა. ასეთი ზღაპარი იოლად არ დასრულდებოდა, რადგან მასში არ იყო „ტკბილი და ბედნიერი“ ცხოვრება, რომელიც აღარ იცვლება და რო-

მლის იქით არაფერი აღარაა. სხვებს, ვინც შავად გატრუნულ ღამეში მოგიზგიზე კოცონის პირას მასთან ერთად ისმენდნენ ზღაპრებს, მუხლმავარი და მკლავმავარი კაბუკები ეჩრჩინათ, ცხრათავიან დევებსა და შავ-შავ გველშაბებს რომ ჭიანჭველებივით ჟღერდნენ, ზებულონის გული კი იოველ ბატონიშვილის ზღაპარს ეკუთვნოდა, რადგან იოველ ბატონიშვილის თავგადასავალში უხილავი და უჩინო, მაგრამ ყველაფერს აღმატებული ძალა ებუღებოდა, რომლის ვეება, ყოვლისმომცველი ილუმინაციის წინაშე ყველა სხვა ძალა უფერული, უქმი და წარმავალი ჩანდა. იოველ ბატონიშვილმა უარი თქვა იმ ტახტზე, რომლისკენაც ხერხით, ღონითა და ხმლით იკაფავდნენ გზას ტალიკ-ტალიკი მზეკაბუკები, და სულ სხვა ტახტზე დაჯდა. ეს ტახტი სადღაც ზემოთ იდგა, ღრუბლებში. შესაძლებელია ეს საერთოდ ღრუბლის ტახტი იყო და ამ ტახტიდან იოველ ბატონიშვილი, ღამის უსხეულო და უხილავი, ყველაფერს მკაფიოდ ხედავდა, ყველაფერი, ზღაპარიცა და სინამდვილეც, ისე ედო წინ, როგორც ხელისგულზე, და მისი ძალა, ილუმალი, ჯადოქრული, სასწაულებრივი, — რაც უფრო იხარჯებოდა, მით უფრო იზრდებოდა. როდესაც ზებულონის აღგზნებული გონება საღამო ხანს მოსმენილ ზღაპრებს ძილის წინ ოცნების რაშით დაედევნებოდა ხოლმე, გეზს ყოველთვის იოველ ბატონიშვილის უცხოლანური გაიცისკროვნებული ზღაპრისკენ იღებდა, ოღონდ ცდილობდა შორიდან ეცქირა, შიგ კი რაც შეიძლება იშვიათად შეჭრილიყო, რათა ზედმეტად არ შეჩეოდა, არ გაშინაურებოდა და ამით არ გაეუფერებინა, არ გაეუხეშებინა, უბრალო და ყოველდღიურ სახმარად არ ექცია. მაგრამ როცა ოცნება ლავამს გადაღრღნიდა და თავისუფლებას მოიპოვებდა, კაბუკი ზებულონი გულანაბადს აიკრავდა, დედ-მამას გამოეთხოვებოდა და გზას გაუდგებოდა. ივლიდა ზებულონი, ივლიდა, ბევრს

ივლიდა თუ ცოტას ივლიდა, მრავალ გზაჯვარედინს რომ გასცდებოდა და მრავალ უცხო და უცნაურ ქვეყანას მოიხილავდა, ბოლოს ერთ დაბურულ ტყეში შუქს შენიშნავდა და იმ შუქისკენ გასწევდა. ახლო რომ მივიდოდა, დაინახავდა, რომ ტყეში თურმე საყდარი დგას და ის შუქი საყდარიდან გამოდის. „ეჰეი, მასპინძელო, სტუმარი არ გინდაო?“ — დაიძახებდა ზებულონი. კარი ჭრილით გაიღებოდა და ზღუბლზე იოველ ბატონიშვილი გამოჩნდებოდა, რომელსაც ბუნდოვანი და გაურკვეველი შესახედაობა ჰქონდა, რადგან გონებამ მისი გარეგნობა ვერაფრით ვერ გამოკვეთა და ვერანაირ ყალიბში ვერ მოაქცია. „მოზრძანდი, კაბუკო, სტუმარი ღვთისააო, — ეტყოდა იოველ ბატონიშვილი ტკბილზე ტკბილი ხმით. მერე დიდ, თვალუწვდენელ დარბაზში შეუძღვებოდა, დაკვირვებით აათვალ-ჩათვალეიერებდა და ჰკითხავდა, — ვინა ხარ და რისთვის მოსულხარო?“ „მე ზებულონი ვარ, ცალთვალა ისახარის ვაჟიო, — მიუგებდა ზებულონი, — ისეთ ოსტატს ვეძებ, რომ აღამიანის საიდუმლო იცოდეს. შეგირდად მინდა დაეუღღე. ბროლასა და ლომის ენა კი ვისწავლე, ყოველდღე ველაპარაკები და ვიცი, რა უჭირთ და რა უღზინთ, მუხების ენაც გავიგე და, ნიავი რომ დაუბერავს, მესმის როგორ უყვებიან ერთმანეთს თავთავიანთ ამბავს, მიწას რომ ყურს დავადებ, მიწის ლაპარაკს ვისმენ, ღრუბლების თავგადასავალი როცა მინდა გავიგო, წვიმას სახეს მიეუშვერ და წვიმის წვეთები წვრილად მიამბობენ ყველაფერს. მაგრამ ყოველივე ეს უქმი და უსარგებლოა, რადგან კაცის საიდუმლო ვერ გავიგე. მთელი ქვეყანა მოვიარე და ისეთი ოსტატი ვერსად ვიპოვე, კაცის საიდუმლო იცოდეს. და აჰა, შენთან მოვედი. შენ ყველა ბრძენზე ბრძენი ხარ და ყველა სწავლულზე სწავლული. მიმიღე შეგირდად. მიმიღე და რაც გინდა მთხოვე. თუნდა სული

მთხოვე, არ დაგიჰერ, ოღონდ უარს ნუ მეტყვი...“

ზებულონი კეთილსინდისიერად, ნებისყოფის დიდი დაძაბვით ცდილობდა ოცნების თავაწყვეტილი რაში ისევ აელაგმა, რადგან ბუნდოვანი, მაგრამ უტყუარი გუშანით გრძობდა, რომ ეს სანუგეარი ოცნება, ბანგივით დამთრობელი და ნეტარების თბილ ბურანში გამხვევი, შეიძლებოდა ისე შემოპაროდა და შემოჩვეოდა, ბოლოს ტკბილ და ბედნიერ ცხოვრებად ქცეულიყო და ჭერ კიდევ დაუწყებელი ზღაპარი უსახელოდ დაესრულებინა. იოველ ბატონიშვილის საკვირველი თავგადასავალი ცალკე, განსაკუთრებულ სკივრში იყო მოთავსებული; თავდახურული და საიდუმლო ადგილას გადანახული. ამ სკივრის გაღება და იოველ ბატონიშვილის გამომხმობა, როგორც საჭირო სალამურის დაკვრა, მხოლოდ უკიდურესი განსაცდელის ეამს შეიძლებოდა, მხოლოდ მაშინ, როდესაც იმედის ბორბალი ბედუქუდმა დაუტრიალდებოდა, როდესაც იმის საშიშროება შეიქმნებოდა, რომ სულის ზხარიდან შემოპარულ სიცარიელეს ყოველივე განედევნა და ყველაფრის ადგილი თვითონ დაეკავებინა.

ზებულონი ასეც იქცეოდა. მაგრამ მოულოდნელად ისეთი რამ მოხდა, არათუ არავინ მოელოდა, თვით ოცნებასაც კი ფიქრად არ მოუვიდოდა: იოველ ბატონიშვილი წყაროსთვალში ჩამოვიდა. იოველ ბატონიშვილი წყაროსთვალში ჩამოვიდა და თავისი მშვენიერი ზღაპრის ბროლის კოშკს საკუთარი ხელით გამოაცალა საყრდენი და საძირკველი.

შუა მარტი იდგა. სოფელში თოვლი უკვე აღარ იყო. ფერდობებზეც კი მხოლოდ აქა-იქ შერჩენილიყო თეთრი ლაქები. შუადღე უკვე კარგახნის გადასული იყო, როცა ზებულონმა ტყავის მოზრდილი აბგა მხარზე გადაიკიდა და აივანზე გამოვიდა. მან დილით ტყეში ხაფანგები დააგო და ახლა სანახავად აპირებდა წასვლას. პატრონის

დანახვაზე ბროლა და ლომია კისრისტეხით გამოეჩანენ, კიბის ძირას ჩაცუცქდნენ და მოუთმენლად შემოაცქერდნენ. თუმცა კარგად იცოდნენ, რომ დილით დაგებული ხაფანგები ნაშუადღევს უნდა შემოწმებულიყო, ისიც იცოდნენ, რომ აღამიანი მთლად სანდო არ არის. მართალია ზებულონის მხარზე გადადებული ნაცნობი აბგა წასვლის საკმაო საბუთი იყო, მაგრამ, გული რომ საგულეს ჰქონოდათ, მიინც ის ერჩივნათ, დროზე გადგომოდნენ გზას.

ზებულონმა კიბე ჩაირბინა და ძაღლებს ხელი თავზე გადაუსვა. მათაც ესამოვნათ, გაინაბენ და მეტი იმედი მიეცათ.

ის იყო, უნდა ეთქვა წავიდეთო და უკვე ბირიც კი გაალო, რომ ცხენის ფლოკების ხმა, რომელიც აქამდეც ისმოდა, მაგრამ ისმოდა შორიდან და ყრუდ, ისე რომ ყურადღებას მაინცადამაინც არ იქცევდა, უეცრად მკაფიოდ, სულ ახლოდან მოისმა. ზებულონმა სიტყვა გაწყვიტა და იქითკენ მიტრიალდა, საიდანაც ხმა მოდიოდა. იმავე წუთს მხედარიც გამოჩნდა, რომელმაც ქენებით ამოათავა აღმართი. მხედარი გამართული იჯდა თეთრ ცხენზე, ახალგაზრდა იყო და ძალიან ლამაზი. მოკლე ქერა თმა ჰქონდა, მოკლე ქერა წვერი და ცისფერი თვალები. სწორნაკეთებიან მშვილ სახეზე გულდია და კეთილი გამომეტყველება ეფინა. თეთრი, თხელი ქულაჯა და მაღალი ჩექმები ეცვა. მხარზე თოფი ეკიდა, წელზე ვერცხლის ბალთიანი ქაშარი ერტყა, ცალ მხარეს ხმალი მოუჩანდა, მეორე მხარეს ხანჯალი. ერტსაც და მეორესაც ვერცხლით მოჰედილი ტარი ჰქონდა.

უცნობის დანახვაზე ძაღლები დაიძვარნენ, ყურები დაიკვიტეს და, მხედარი რომ ჰიშკარს მოუახლოვდა, ნახტომისთვის აიზიდნენ, მაგრამ ზებულონმა მოასწრო, თითო ხელი ორთავეს ჭეჩოში წაავლო, მძლავრად მოსწია და ისინიც წინ გაგარდნის მაგივრად უკანა თათებზე დადგნენ და ასე კაცე-

ბევით გამართულები გაშეშდნენ პატრონის მარჯვნივ და მარცხნივ. იმავე წამს მხედარმაც ალვირი მოზიდა და მისი ცხენი ზედ ჭიშკართან ყალყზე შედგა. წინა თათები სახსრებში მოეხარა და ფლოკებებს ისე აცეცებდა, თიკოს საყრდენს ეძებსო.

სოფელში უცხო კაცის გამოჩენა უმთავრესად იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა მტრის თავდასხმას მოელოდა და მეფე ქულზე კაცს ეძახდა. ზებულონი იდგა და უცნობს უყურებდა. უცნობმა მოზიდული სადავე ისევ მიუშვა და, ცხენი რომ ფეხებით კვლავ მიწას შეეხო, ღობის ზემოდან შეეხიანა:

— აზნაური ისახარი აქ ცხოვრობს?

— დიად, ბატონო, — მიუგო ზებულონმა.

— აბა ერთი, დაუძახე, შენს გახარებას, სიტყვა რამ უნდა ვუთხრა.

— წყნარად იყავით, — ხმადაბლა მიმართა ზებულონმა ძაღლებს და ხელები გაუშვა. ძაღლები ჩაუტყდნენ, ყურები დაუშვეს და ახლა ცნობისმოყვარედ მიაჩერდნენ მხედარს. ზებულონი კი, სანამ მამას დაუძახებდა, ჭერ უცნობისკენ წავიდა და ჭიშკარი გაულო, — მობრძანდი, ბატონო!

მამის დაძახება აღარ დასჭირვებია. ისახარი თავად გამოჩნდა აივანზე, ხელი მოიჩრდილა და, უცხო კაცი რომ დაინახა, კიბე ჩქარი ნაბიჯით ჩამოთარა-სტუმარი მკვირცხლად და მოხდენილად ჩამოხტა ცხენიდან, მარჯვენა ხელი მკერდზე მიიღო და მასპინძელს თავი დაუქრა.

— დღეგრძელობა და გამარჯვება, ისახარ ბატონო!

— ღმერთმა გაგიმარჯოს! — მიუგო ისახარმა, — შინ მობრძანდი, სტუმარო.

— შინ შემოსასვლელად არა მცალია. მაცნედა ვარ გამოგზავნილი. შენთან იოველ ბატონიშვილი მობრძანდება.

ზებულონმა პირი დაალო და ასე გაშეშდა. ისახარიც დაიბნა.

— იოველ ბატონიშვილი?!

— საცაა სოფელს მოაღწევს, — თქვა უცნობმა, მოვახსენებ, შინ დამხვდა და

მაღე წინ შემოგეგებება-მეთქი ამ სიტყვებით ისევ ისე მკვირცხლად და მოხდენილად მოახტა ცხენს, სულაგამი მოზიდა, ყალყზე შეაყენა, ასე ყალყზე შეყენებულა მიატრიალა და გაქურდა.

ისახარი და ზებულონი კარგად გამოეწყვნენ, საუკეთესო ცხენებზე შესხდნენ და სოფლის ბოლოს მიეგებნენ დიდებულ სტუმარს. ზებულონი დღე-ღამე გულ-ძალუმად უცემდა, გონებაზე ჯანლი შემოპკვროდა და ვერა აზრი, ვერა ფიქრი, ვერა ვარაუდი, რასაც კი ეს მოულოდნელი და ზარდამცემი ამბავი ბადებდა — როცა სანუგვარმა ზღაპარმა, უპირველესმა და უსათუთესმა, ზღაპრული ზღუდე ასე უეცრად გამოარღვია და მთიდან მოწყვეტილი ზევივით დაეშვა უხეშა და უღიმღამო სინამდვილეში — ამ ჯანღს ვერ არღვევდა, რომ გონების არეში შეედწია და იქ დინჯად და საქმიანად განსცილიყო. ზებულონმა ეს არ იცოდა. ეგონა ყველაფერს მკაფიოდ ხედავდა, ყველაფერს ნათლად აღიქვამდა და ყველაფერს სალადა სჯიდა. მხოლოდ გვიან, მერაღე და მესამე დღეს, მიხვდა, რომ თურმე ვერაფერსაც ვერ ხედავდა, ვერაფერსაც ვერ აღიქვამდა და ვერაფერსაც ვერ სჯიდა. რასაც აკეთებდა, აზრმიუცემლად აკეთებდა, ისე რომ მოჯაღობული გონება მის საქციელში სრულებით არ მონაწილეობდა, რადგან ოცნებითა და წარმოდგენებით გაქლენთილი და ვაბრუებული ვერასგზით ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ უპირველესი და უსაყვარლესი ზღაპრის საარაკო გმირმა, დიდმა უფლისწულმა და ოქროსქოჩრიანმა ჭაბუკმა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ზღაპრის ზღურბლს გადმოაბიჯა და სოფელ წყაროსთვალში სინამდვილედ იქცა.

მამა-შვილმა რომ სოფლის საზღვარს მიიღწია, მოსახვევში იოველ ბატონიშვილი და მისი მხლებლებიც გამოჩნდნენ. ყველანი თეთრ ცხენებზე ისხდნენ. იოველ ბატონიშვილი წინ მოდიოდა, დანარჩენები უკან მოყვებოდნენ. მათ დანახვაზე ისახარი

და ზებულონი ჩამოქვეითდნენ და დარჩენილი გზა ფეხით გაიარეს. როცა სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს გაუპირასპირდნენ, იოველ ბატონიშვილაც ჩამოქვეითდა. ამალამაც წამსვე მის საქციელს მიბაძა.

ზებულონის მხედველობის არედან ყველაფერი გაქრა და მხოლოდ იოველ ბატონიშვილი დარჩა. აქეთ ზებულონი იდგა, იქით იოველ ბატონიშვილი, მათ შორის ვიწრო ზოლად გადიოდა სოფლის უჩინარი საზღვარი. ზებულონი იოველ ბატონიშვილს მისჩერებოდა. იოველ ბატონიშვილი ზღაპრის გმირს არ ჰგავდა. შუა ტანის კაცი იყო, გამხდარი და ასაკში შესული. ჰალარაშერეული თმა თხემზე პირწმინდად გასცვენოდა. წვერ-ულვაშა სულ მთლად თეთრი ჰქონდა, შუბლი ფართე, წარბები სწორი, ცხვირი მაღალი და თხელი. ტანთ რუხი ფერის გრძელი, ანაფორის მაგვარი რალაც კაბა ეცვა, იმდაგვარი, სოფლის მოხუცი მღვდელი რომ იცმევდა. ერთადერთი, რაც ზღაპრის ნიშანს ჯერ კიდევ ინარჩუნებდა, თვალები იყო, თაფლისფერი თვალები, თან თბილი და ლმობიერი, თან სევდიანი და მწუხარი, თან რალაც შორეულად და ღრმად ფიქრიანი. როდესაც იოველ ბატონიშვილმა ეს თვალები ზებულონს მიაპყრო, ზებულონს მოეჩვენა, თითქოს მას კი არ უყურებდა, არამედ მისი სხეულის მიღმა სულ სხვა რამეს აკვირდებოდა და ისეთ საფიქრალს ფიქრობდა, რასაც ვერავინ გაიგებდა. ვერავინ მიწვდებოდა, ვერავინ ამოხსნიდა და რაც რალაცნაირ დამთრგუნველ მოწიწებას იწვევდა. და ეს თვალები, ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა იოველ ბატონიშვილმა გაიღიმა, ღიმილიც, ალმაცერი და ცოტა ნაღვლიანი, მაგრამ ამავე დროს გულლია და კეთილმოსურნე. ზებულონის ძირმორყეულ ზღაპარს ბურჯებად შეუდგნენ. და ზებულონს გულზე მოეშვა. თუმცა იმასაც გრძობდა, რომ ეს დროებითი საყრდენი იყო და საძირკველმორღვეული ზღაპრის სიმძიმეს დიდხანს ვერ გაუძლებდა.

რა უნდოდა იოველ ბატონიშვილს ამ მიყრუებულ სოფელში, ძნელი სათქმელი იყო. მასპინძლად რომ ისახარი აირჩია, ეს რასაკვირველია სრულგებობაც არ ნიშნავდა, რომ მასთან რამე საქმე ჰქონდა. უბრალოდ სოფელ წყაროსთვალში ისახარის ოჯახი ერთადერთი იყო, ვისაც ამ საერთო გაჭირვების უამს ასე თუ ისე შეეძლო სტუმრისთვის მასპინძლობა გაეწია. დაღბინებული ცხოვრება მაშინ არათუ პატარა აზნაურებს, დიდ-დიდ თავადებსაც არა ჰქონდათ მაგრამ წყაროსთვალში თუ ვინმე ცხოვრობდა, ისევე ისახარი ცხოვრობდა და იმანაც ღარიბი კაცის კვალობაზე რიგიანი სუფრა გაუშალა მოულოდნელ სტუმრებს.

დიდი ბატონიშვილის ჩამოსვლა რომ შეიტყო, მთელი სოფელი ისახარიანთ ეზოს მოაწყდა. ისახარმა ერთი დაპირება დააპირა დალილი სტუმარი ზედმეტი არამკითხეებისაგან დაეცვა, მაგრამ ბატონიშვილმა თავად ინება ხალხთან საუბარი. უფრო ახალგაზრდებთან ისაუბრა. ზებულონი საკუთარი აღზნებული გონების ბუღში იყო გახვეული და იმ საუბრიდან მეხსიერებაში ბევრი არაფერი შემორჩა. მხოლოდ ის ახსოვდა კარგად, რომ ზოგჯერ, როცა ეჩვენებოდა, თითქოს იოველ ბატონიშვილი მასზე მეტად მის ბიძაშვილებს აქცევდა ყურადღებას, ყელში ჯორგალი ეცობოდა და თვალზე ღამის ცრემლი მოსდგომოდა.

იოველ ბატონიშვილმა ვახშმად ცოტა ჰამა და ცოტა სხვა. მისი მხლებლებიც ასევე ცოტა-ცოტას ჰამდნენ. ისახარი შეწუხებული იყო, რადგან სტუმრების თავშეკავებას თავისი სიღარიბით ხსნიდა. ზებულონს კი ეს წყნარი, უხმაურო და გვირგვინად ხანმოკლე კახშიმი კიდევ ერთი ძლიერი აღელვების მიზეზად ექცა.

იოველ ბატონიშვილის მხლებლებში ორი ერთნაირი კაცი ერიო. ერთნაირი ტანსაცმელი ეცვათ და ცოტათი მღვდლებს ჰგავდნენ, ეს იყო მხოლოდ, რომ წვერი ჰქონდათ ძალიან მოკლე

შეკრეპილი. მთელი ვახშმის განმავლო-
ბაში ხმა არც ერთს არ ამოუღია. იოველ
ბატონიშვილს მხარამარცხნივ ესხდნენ
და ზოგჯერ იოველ ბატონიშვილი რა-
ღაცას გადაულაპარაკებდა ხმადაბლა,
ისე რომ მისი ხმა ზებულონის ყურამ-
დე არ აღწევდა, რაზედაც ისინი თავს
დაუქნევდნენ ხოლმე. ვახშამს რომ მო-
რჩნენ, იოველ ბატონიშვილი იმ კაცებს
მიუბრუნდა, თითი ზებულონისკენ გა-
მოიშვირა და ამჯერად უკვე ხმამაღლა
და მკაფიოდ რაღაც უთხრა- რა უთხრა,
ზებულონმა ვერ გაიგო. სანამ მიხვდე-
ბოდა რატომ ვერ გაიგო, კაცებმა იოვე-
ლ ბატონიშვილს თავი დაუქნიეს და
თვითონაც რაღაც თქვეს. ხმამაღლა,
მკაფიოდ და გაუგებრად. და ზებულონი
მიხვდა: ეს უცხოთა ენა იყო და ეს კა-
ცები უცხო კაცები იყვნენ, ზებულონმა
პირი დააღო და იგრძნო, რომ ვაწითლ-
და. ყველა ბგერა, რომლებიც იოველ
ბატონიშვილმა და უცხო კაცებმა წარ-
მოთქვეს, ნაცნობი და ჩვეულებრივი
იყო, მაგრამ ეს ბგერები, თითქოს ალ-
ღებულზე აჰყარესო, ისე იყვნენ ერთმი-
ნეთში არეულ-დარეული, სრულიად
უაზრო, გაუგებარ სიტყვებს ქმნიდნენ.
რაც იოველ ბატონიშვილი ნახა, მას შე-
მდეგ ზებულონს არც ერთხელ არ გახ-
სენებია, რომ მან უცხოთა ენა იცოდა,
და ახლა, ამ გაუგებარმა სიტყვებმა
რომ დაიფიქრებელი კვლავ მოაგონეს,
მოეჩვენა თითქოს ეს ამბავი კიდევ ერთ
ბურჯად შეუდგა დასაქცევად გამზადე-
ბულ ზღაპარს.

მაგრამ მთავარი ამბავი, რომელმაც
ზებულონი საბოლოოდ დაარწმუნა,
რომ სოფელ წყაროსთვალში მოულოდ-
ნელი ვაცხალებით იოველ ბატონიშვი-
ლის ზღაპართა: ზღაპარი არათუ არ დაინ-
გრა და უღიმღამო სინამდვილედ არ იქ-
ცა, არამედ პირიქით, ზებულონის მწი-
რი და უსახური სინამდვილე გააზღაპ-
რა, ჯადოსნურ ვარსად შემოეკრა ირგე-
ლოვ, თავის უსხეულო წიაღში გახსნა
და თავის საარაკო საბრძანებელში მი-
იწვია, მეორე დღეს მოხდა.

ღამით, დაწოლის წინ, მამამ დაუბა-

რა, დილაადრიან მდინარეზე ჩადი და
სტუმრებს- კალმახი მოართვიღ, აჩქრემ
ზებულონი უთენია ვდგა- ეტყობ რომ
გამოვიდა, ბინდი სულ ახალი შემღვრეუ-
ლი იყო. ბატონის ფეხის ხმაზე ბროლა
და ლომია სადგომიდან გამოცვივდნენ
და მკერდზე აეტორღიანენ.

— აქ დამელოდეთ, — დაუბარა ზე-
ბულონმა და თავზე და დრუნჩზე ხელ-
ები მიუსვ-მოუსვა, რაზედაც ძაღლებს
სიამოვნების მოკლე და ხმამაღალ
წყმუტუნე აღმოხდათ, — ბადეს ავიღებ
და წყალზე წავიდეთ, — და როცა ძაღ-
ლები ჩაცუტყვნენ და მორჩილად, თუ-
მცადა მოუთმენლად, დაუწყეს ლოდა-
ნი, ეზოს ბოლოსკენ გასწია, ალაგეზე
გადააბიჯა, პატარა, ფიცრულ შენობაში
შევიდა, რომელიც ოდესღაც სამზადი
იყო, ახლა კა ხაფანგების, ბადეების.
სადურგლო იარაღებისა და სხვა ასე-
თი რამე-რუმეების შესანახად იყენებ-
დნენ, კედელზე გაკიდული ბაღე ჩამო-
იღო, ტყავის აბგაში ჩადო და ისევ გა-
რეთ გამოვიდა. ბროლა და ლომია მო-
უთმენლობისაგან ოდნავ თრთოდნენ.

— დილა მშვიდობისა, ჰაბუკო! —
მოისმა უცებ.

ზებულონმა გაიხედა და იოველ ბა-
ტონიშვილი დაინახა. იოველ ბატონიშ-
ვილს შოლიფად ეცვა და მკერდი მოღე-
დილი ჰქონდა. ეტყობოდა წყაროზე
ყოფილიყო და იქიდან მორდიოდა.

— დილა მშვიდობისა, ბატონო, —
ძლივს ამოილულულა პასუხად ზებუ-
ლონმა, რომელიც მოულოდნელობისა-
გან ადგილზე გაშეშდა.

- ამ უთენია საით გაგიწევია?
- სათევეზაოდ გეახლები, ბატონო.
- კალმახზე?
- დიად, ბატონო.

— კაი საქმეა, — ნელა, გაქიანურებ-
ით თქვა იოველ ბატონიშვილმა და მო-
წონების ნიშნად თავიც დაიქნია, — მე
და ჩემმა ღმერთმა კაი საქმეა, — აქ ერ-
თი გამომცდრლად შეხედა ზებულონს,
ცოტა ხანს უუურა, მერე თვლები ოდ-
ნავ მოქუტა, თითქოს გუნებაში რაღა-

ცას წყვეტსო, და უეცრად უთხრა, — მეც წამიყვანე.

ზებულონი გაწითლდა ვერ გაეგო, მართლა ეუბნებოდა სტუმარი, თუ ეს უმრებოდა. ალბათ ეს უმრებოდა, თორემ ეს ამოდენა კაცი ასე ბავშვივით როგორ შეეხვეწებოდა, წამიყვანეო. ყოველი შემთხვევისთვის მაინც მიუგო:

— თუკი ინებებ, ბატონო...

— რატომაც არ ვინებებ! — გაეხარდა იოველ ბატონიშვილს და ზებულონი მიხვდა, რომ სტუმარი არ ესუბრებოდა.

ბროლა და ლომია ცოტა არ იყოს გაკვირვებულები დარჩნენ, ერთხანს ამრეზითაც კი უყურებდნენ უცხო სტუმარს, მაგრამ მერე და მერე მიეჩვივნენ და გაუშინაურდნენ.

დასაწყისში ზებულონი აფორიაქებული იყო, იოველ ბატონიშვილის მხერას რომ გრძობდა, დელავდა და ბადეს ისე ვერ ისროდა, როგორც ჩვეოდა. მაგრამ, ბროლასა და ლომიასი არ იყოს, მალე მაეჩვია, მდელავარება დაოკა და საქმეც კარგად წაუვიდა. იოველ ბატონიშვილი თავადაც ჩინებული მეზადური გამოდგა. მართალია ცოტა სხვაგვარად ტყორცნიდა — ერთ წვერს რომ ჩვეულებრივ კბილებში მოქცეოდა, ორ წვერს ხელის გულზეზე თავისუფლად გადაიფენდა, ისე რომ თითებს არ უჭერდა — მაგრამ კარგად, ერთიანი მოძრაობით გაუჭნევდა, ხელებიც, თავიცა და ტანიც ერთად შეტრიალდებოდა და ბადეც ბოლომდე იშლებოდა, მრგვალი, თანაბრად დაეფინებოდა წყალს და ლამაზად იძირებოდა. აფართოვებულ კალმახს რომ დაინახავდა, იოველ ბატონიშვილი ბავშვივით ხარობდა, ხოლო მის ნატყორცს რომ პირველად ამოყვებოდა, ისე აცმუვდა, ზებულონს სულ ცოდვილო, წაშით მოეჩვენა, თითქოს დიდ ბატონიშვილთან კი არა თავის კბილა სოფელს ბიჭთან ერთად თევზაობდა.

ერთ ზღაპრად ისიც ემართა, რომ ზებულონმა, ისახარის ვაჟმა, რომელსაც თვრამეტა წელი ისე შეუსრულდა,

თავის ერთ გოჯა სოფელს არ გასცილებოდა, რიგრაქზე დიდი იოველ ბატონიშვილი მდინარეზე საფეხჯაოდ წამიყვანა, მაგრამ განგებამ ეს არ აკმაბრა, განგებამ გადაწყვიტა, თვრამეტი წლიდან მოყოლებული ზებულონის ცხოვრება მოულოდნელობათა ერთი დაუსრულებელი რიგი ყოფილიყო.

ნასაუზმევს ზებულონმა იოველ ბატონიშვილისა და ისახარის საუბარი მოისმინა-

მზე უკვე ირი შუბის ტარზე იყო წამოსული და სხივებსაც ძალა და სიმხურვალე მისცემოდა. ზებულონი ფიცრულის წინ დაბალ სკამზე იჯდა და ბადეს კემსავდა. ფიცრულს წნული ღობე გასდევდა და მთავარი ეზოსგან ჰყოფდა. ცოტა ხნის შემდეგ მუშაობაში გართულს ფეხის ხმა მოესმა, თავი ასწია, ღობის ქუქრუტანიდან გაიხედა და დაინახა იოველ ბატონიშვილი და ისახარი, რომლებიც სახლიდან გამოვიდნენ და აქეთ გამოემართენ. წინ იოველ ბატონიშვილი მოდიოდა, უკან, საპატიო მანძილზე, ისახარი მოსდევდა. ღობის გადაღმა განიერა ტირიფის ძირას ხის მერხი იდგა. იოველ ბატონიშვილი იმ მერხზე დაჯდა. ისახარი მკერდზე ხელბრდაკრეფილი შორიახლო მორიდებით შეჩერდა-

— დაჯექა, ისახარ, — მოისმა იოველ ბატონიშვილის ხმა, — სალაპარაკო მაქვს შენთან.

ისახარი შეყოყმანდა. ზოლოს უხერხულად ჩამოჯდა მერხის კიდეში და თქვა:

— მიბრძანე, დიდო ბატონიშვილო.

აქ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. იოველ ბატონიშვილი შორეულ სივრცის ვაკეკეროდა, ეტყობოდა თავის ფიქრებში ჩაფლულიყო და მასპინძელი სულ გადავიწყებოდა. ისახარი მოწიწებით ელოდა. იოველ ბატონიშვილმა როდის-როდის ამოიღო ხმა, სივრცისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე თქვა:

— კარგი ვაჟი გაგიზრდია, ისახარ, დინჯი და გონიერი.

ზებულონი გაკვირვებისაგან ლამის

შებტა. სიღინჯე კიდევ ჰო, მაგრამ ზებულონის გონიერება რა სათქმელი იყო? სათევზაოდ რომ იყვნენ, თევზაობაზე ისაუბრეს, ბადის მოქსოვაზე, მოსავალზე. მერე იოველ ბატონიშვილს ძაღლების საქციელი გაუკვირდა და ზებულონმა ის ამბავი უამბო, სოფლის ჯიბრზე რომ ნავაზები მწვევრებად დაზარდა, რაზედაც იოველ ბატონიშვილმა გულიანად იცინა ეს იყო და ეს.

— აბა რა მოგახსენო, დიდო ბატონიშვილო, — მიუგო ისახარმა, — ჯანი არ აკლია და გარჯა არ ეზარება. ე დალოცვილი შაჟი ხომ მეტს არასა გვთხოვს. უპატრონებ, ვიპატრონებს. ჩვენი გონიერებაც ეს არი და ყოფაცა.

— ზემოდან რომ ამოდენა ცა დაგუქერის? — დაფიქრებით ჰკითხა იოველ ბატონიშვილმა.

— მაგას რაზედ ბრძანებ, დიდო ბატონიშვილო? — ვერ გაიგო ისახარმა, — ცასთან ჩვენ რა ხელი გვაქვს, ან ცის ამბავს ვინა გვეკითხავს! როცა განგებინებებს, მაშინ მოწვიმს და როცა განგება ინებებს, მაშინ გადაიღებს. განა არა, ვლოცულობთ კიდევ, თუ მაგაზედ ბრძანებ, მაგრამ ემ ლოცვაშია ც რომ არა ყრია რა!

— არა, ჩემო ისახარ, მაგას არ გეუბნები, სხვა რამეს ვამბობ. მე თხუთმეტწელი ვიხეტიალე უცხოთა ქვეყნებში. მამაჩემი რომ მიიცივალა, ღმერთო, სასუფეველი დაუმეკიდრე, იოველ ბატონიშვილმა ნელა გადაისახა პირჯვარი, — უფლის ანგელოზი გამომეცხადა და მიბრძანა ტახტზე უარი მეთქვა. მეფობა შენი ხელობა არ არისო, მითხრა, წადი და იარე, უცხო მხარეები მოიხილე. ქვეყნიერების ოთხივე კუთხე მოვლევულისყურა გაიმახვილე, რასაც ნახავ და გაიგონებ, კარგად დაუკვირდი, გულისგულში შეუთვი და აზრის საცერში გაცერი. თუ ისე მოიქცევი, როგორც დაგარიგე, თხუთმეტი წლის შემდეგ მიჩვენები, თუ რა ყოფილა შენი საქმე და რით შეგიძლია შენს ქვეყანას არგოო. მეც ავდექი და წავედი. სულ იმის მეცადინეობაში ვყავი არა გამომჩინოდა

რა, ყველაფერს გულმოდგინედ ვაკვირდებოდი, ყველაფერს მგჯობდა. გსწავლობდი და თხუთმეტი წლის ხეტიალის შემდეგ, როცა იმედი გადამეწურა და თითქოს საბალოოდ დავრწმუნდი, რომ ამოდ დავშვები და უფლის ანგელოზსაც ამოდ ქაუნდა ჩემი იმედი, უეცრად ცა გამეხსნა და ცხადად დავინახე, რომ უკვე რა ხანია არც ერთ ქვეყანაში, ამ ჩვენი ბედუქუღმართი საქართველოს გარდა ხალაი მარტო მიწის შემყურე აღარაა. ეს რომ გამეგო, სწორედ ამიტომ გამგზავნა თურმე უფლის ანგელოზმა. ჩვენ ხმალს ვიქნევთ და მიწას ჩავექვით. იქ კი, ჩემო ისახარ, იმაზედ ფიქრობენ, თუ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ, რა გვინდა, რას ვაკეთებთ, რა არის ჩვენი ყოფი, რის მაქნისია ეს ამოდენა ხალხი, ჭიანჭველებივით რომ დაფუთფუთებს დედამიწის ზურგზე. მალე ხმლისა და შუბის ომი დამთავრდება, ისახარ, და გონების ომი დაიწყება, წიგნიერების ომი დაიწყება, სწავლისა და განათლების ომი. უცხო ქვეყნებში მეომრები უკვე ბრძენთა ფერხითი ყრთან იარაღს და სწავლულებს შეკირდებად ებარებიან. სანამ მტერი ხმლითა და მკლავით გეიტევს, ჩვენც ხმლითა და მკლავით ვეგებებით და ავად თუ კარგად ჩვენს მიწაწყალს ვიცავთ. თუმც კი სისხლი ძლიერ გვდის, მაინც სისხლისგან არ დავცლილვართ, დედამიწის გულზე ჯერ კიდევ სწერიდა ქართველის სახელი. მაგრამ წინ უფრო მძიმე განსაცდელი გველის. როცა გონების დიდი ომი დაიწყება და ურიცხვი მტერი წიგნითა და ცოდნით შემოგეიტევს, მაშინ დაგვიდგება ძნელებედობის უამი. თუ ახალი იარაღი არ ავიხსით და ძველებურად ხმალი ვიქნევთ, ჩვენი ხმალი ჰაერს გაჰკვეთს, მტერს კი ვერას დააკლებს, მტერი სწავლითა და განათლებით გაგვექლავს და გაგვაცამტვერებს. აი, მაშინ კი უძველად მოვისპობით, მაშინ კი უძველად გაქრება ჩვენი სახსენებელი და ოდესმე, როდესაც ქვეყნიერებას საერთო სიყვარულის წმინდა ნათელი დაეფინება, ვინ

იცის, ერთი სულიერიც აღარ იყოს, ვისაც უხსოვება, რომ ოდესღაც დედამიწაზე ქართველი კაციც ბოგინობდა.

— მაგას ნუ იტყვი, დიღო ბატონიშვილო, შენი სახელის ჭირიმე, — პირვეარი გადაიწერა ისახარმა.

— რომ არა ვთქვა, ვითომ ამით საქმეს ეშველება? — დრო-ჟამი გზასა ჰგავს, მიდის, მიდის, მიდის და მერე კეცრად საითკენღაც მოუხვევს. ოღონდ გზა ჩანს, დრო-ჟამი კი უხილავია და, თუ სიბრძნის შეუცდომელმა აღლომ მისი მოახლოება არ გამცნო, მთავარ გზას ასკედები და ან ხევში გადაიჩეხები, ან ტყეში დაიკარგები. მაღლი უფვალს, ვინც გონების თვალი გამინათა და ის დიდი მოსახვევი დამანახავა, ქვეყნიერება რომ ამჟამად მისდგომია. დამანახავა და მიმახვედრა, ჩემო ისახარ, რომ ჩვენი ვადარჩენის ერთადერთი ღონე ის არის, მთელ * საქართველოში სწავლა-განათლების კელაბრები ავაწითოთ. შენ გაგებული გექნება, რომ ჩემს მამულში სასწავლებელი გავმართო და შეგირდების წვრთნას შევეუდექი. აქ რომ ორი უცხოელი მახლავს, ეგენი გამოჩენილი ოსტატები არიან, ლათინთა ენის ჩინებული მკოდნენი, ფილოსოფოსთა სიბრძნის მფლობელნი და მნათობთა სობოლის მჩხრეკავნი. მაღე კიდევ სამი ოსტატი ჩამომივა და მიისის დამდეგს ახალ სასწავლებელს გავმართავ. ახლა სოფელ-სოფელ დავდივარ და შეგარდებს ვაგროვებ. ჯერ ქართულ წერა-კითხვას ვასწავლი, რომ წმინდა წიგნისა და ვეფხისტყაოსნის წაკითხვა შეძლოს, მერე სხვაც იქნება — აქ იოველ ბატონიშვილი გაჩუმიდა, ცოტა ხნის შემდეგ კი თავი მოაბრუნა, ისახარს ყურადღებით დააკვირდა და ჰკითხა: — შეილა რამდენი გყავს, ისახარ?

— ეგ ერთი მყავს, დიღო ბატონიშვილო.

— რატომ? — გაუკვირდა იოველ ბატონიშვილს.

— ასე ინება უფალმა, კურთხეულ იყოს მისი სახელი, ამ ბიჭის შემდეგ

ოთხი კიდევ გვეყოლა, მაგრამ არ შეგვჩრახა.

აქ კვლავ სიჩუმე ჩამოვიარდა და ორთავებმ, იოველ ბატონიშვილმაცა და ისახარმაც თავთავიანთ საფიქრალს მისცეს თავი. დუმილი იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ ზებულონმა გადაწყვიტა, საუბარო მოათავესო, და კვლავ ბადის კემსვას მიჰყო ხელი. მაგრამ ამ დროს ისევ გაისმა იოველ ბატონიშვილის ხმა:

— ისახარ!

— მიბრძანე, დიღო ბატონიშვილო, შენი ჭირიმე. — სწრაფად გამოეპასუხა ისახარი.

— ისეთ ჯაბუკებს ვარჩევ შეგირდებად, რომ მეუ ოსტატებად გამოდგნენ. შენი ვაჟი მომეწონა ძალიან.

ზებულონის გულმა ძალუმი ხმა გამოსცა და ისე შეხტა, ლამის ბუდიდან ამოვიარდა. ზებულონი რაღაც ძალამ ადგილზე გააშეშა. ბადის ერთი ბოლო და საკემსი ლარი ისე ჩაებლუჯა, თითქოს ვინმე წართმევას უბირებდა, სახეზე აღმური აუვიდა, პირი ოდნავ გაიღო და იჭდა ასე ლენჩივით. ყურებში უცხო ზუზუნი ედგა.

ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ისახარის ხმამ არ გამოაფხიზლა. ისახარის ხმაში შიში იყო.

— მაგას ნუ ინებებ, დიღო ბატონიშვილო, აქი მოგახსენე, ეგ ერთი მყავს და მთელი ოჯახი მაგის მოიმედე ვართ. ეგაა ჩვენი პატრონი და დამმარხავი...

— რამ შეგაშინა, ჩემო ისახარ, — დაუყვავა იოველ ბატონიშვილმა, — შენ თუ უარს იქნები, განა დაგამალებ! მაგრამ, სანამ მაგ უარს გადაჰრით მეტყოდე, კარვად დაფიქრდი და აწონდაწონე. იცოდე, მხარი თუ არ მივეციკი ერთმანეთს და ხელი ხელში არ ჩავკიდეთ, იმ მთავარ მოსახვევს გავცდებით და ქვეყნიერება უჩვენოდ განაგრძობს გზას. ნათლის დიდ ზეიმს, რომელიც ოდესმე უამქველად დადგება, ქართველობა, ვერ დაესწრება. განა სამუდამოდ ვართმევ შეილს. ორი წლით წავეყვან. შენ ჩან-ლონით სავსე კაცი ხარ, ორ წელიწადს ოჯახსაც იოლად მოუვლი, ყმასაც

და მამულსაც. განა ისეთი რა უნდა გაგიკრიდეს?! ორი წლის მერე დაგიბრუნდება. მეომარიც იქნება, მიწისმუშაც და სწავლულიც. თავად შემოიკრებს ამ შენს პატარა წყაროსთვალში ორიოდე მოწაფეს, წერა-კითხვას ასწავლის, ანგარიშს, მიწის ზომავს. ისეთ რამეებზე დააფრქვებს, რაზედაც არასოდეს უფიქრით. ცუდია განა?

— აბა რა მოგახსენო, დიდო ბატონიშვილო, როცა შენ უკეთ იცი. მაგრამ ჩემი მოკლე ჰუთით, რაც მეტი საფიქრალი აქვს კაცსა, სატანჯველიც მეტი აქვს. დღემდე მიწაა ჩვენი საფიქრალ და მტერია ჩვენი საგონებელი. ღვთის მადლით ერთსაც ვწვდებით და მეორესაც. გავწვდებით კია ამაზე მეტს?

— მართალი ხარ, ჩემო ისახარ: რაც მეტია საფიქრალი, სატანჯველიც მეტია. მაგრამ ერთი ესეც მითხარი, ვინ შესულა ისე ნათელში, რომ სატანჯველი არ გაეგლო! უნდა დაეიტანჯოთ, ისახარ ძალიან უნდა დაეიტანჯოთ. ბედნიერ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, იქნებ მე და შენ ხელიც ჩაგვეჭნია და გვეთქვა: რაღა ჩვენ, სხვამ იფიქროს და სხვამ იმტეროს თავი! მაგრამ ვაი რომ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ყველამ თუ არ ვიფიქრეთ და ყველამ თუ არ ვიზრუნეთ, მუდამ ბნელ ხაროში ვისხდებით და მზის სინათლეზე ვერასოდეს ამოვალთ.

„ჰო“ უთხარ, მამა, — ცხარედ და გულმხურვალედ ლოცულობდა ვილაც ზებულონის არსებაში, — „ჰო“ თქვი, ისახარ!“

ზებულონი ისევ ისე იჯდა, გაშეშებული და გაბევებული. ბადის ბოლო და საკემსი ლარი ძველებურად მაგრად ჩაებლუჯა ხელებში და პირი ოდნავ გაეღო. სახიდან ავარდნილი აღმური მძიმე ბურუსად შემოიკვროდა ირგვლივ და აზრს სამართაბას არ აძლევდა. ხოლო მის არსებაში მის უნებურად ვილაც ცხარედ და გულმხურვალედ ლოცულობდა: „ჰო“ უთხარ, მამა, „ჰო“ თქვი, ისახარ!“

ისახარი ღუმდა. თავი ჩაქქინდრა, კეპად ჩასცქეროდა მიწას. მაშინ იოველ

ბატონიშვილმა მხარზე ხელი დაადო და ტკბილად უთხრა:

— შეილი შენია, ჩემო ისახარ, და ნებაც შენია. ნუ გეშინია, არც ვაგიწყრები და არც დავრძახავ. მაგრამ დღის რომ ყველამ მართო ჩვენ-ჩვენ ოჯახებზე ვიზრუნოთ და ის ძაღვები, მამა-პაპას რომ ფაქიზად დაურთავს და რუღუნებით შემოუვლია ირგვლივ ყველა ჩვენთაგანისთვის. რათა ქართველობა ერთხმა და ერთ პირ ყოფილიყო. ჩვენი უკეთობითა და პოთავისეობით ისევ დავწყვიტოთ, დრო არ გვაპატიებს. დრო ჩვენი მთავარი მოკეთება და ჩვენი მთავარი მტერიც. ვისაც ყველაფრის უფლება აქვს, კადეც ვაგიწყრება და კადეც დავგძრახავს. ხოლო შთამომავლობა, ჩვენი უგუნურობით გულგაქვავებულმა, ვაითუ ზიზდიც არ გვაღიროსოს, ისე გულგრილად გადაუაროს ჩვენს გაპარტახებულ საფლავებს, თითქოს არასოდეს ვყოფილვართ და არასოდეს არაფერი გვტკენია...

კვლავ სიჩუმე ჩამოვიარდა. ხოლო ზებულონის არსებაში და ზებულონის უნებურად წელანდელივით თრთოდა ვილაც და ცხარედ და გულმხურვალედ ლოცულობდა: „ჰო“ უთხარ, მამა, — „ჰო“ თქვი, ისახარ!“

ბოლოს ისახარმა თავი აიღო. მუხლებზე დაწყობილი დიდი ხელები ცოტათი უკანკალებდა.

— მე ერთი უბირი კაცი ვარ, დიდო ბატონიშვილო, სად ჩემი მოკლე ჰუთი და სად შენი მაღალი გონება! შენა ხარ საქრისტიანო საქართველოს პატრონა და მზრუნველი და შენ უკეთ იცი, რა არგებს ამ დასწეულბულ ქვეყანას. როგორც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი, — დიმი დროს, როდესაც სიხარულის ელდით დარეტიანებული ზებულონის გული ისე ფართქალებდა, როგორც ამ დღით იოველ ბატონიშვილის ბადეს მოყოლილი კალმახი, ისახარმა განაგრძო, — ოღონდ ერთსა გთხოვ, დიდო ბატონიშვილო: სანამ საბოლოო პასუხს მოგახსენებდე, დედაკაცსაც დავეკითხები. ამ ერთი ბიჭის შემყურეა, მზე და მთვარე

მაგაზედ ამოსდის. ემანდ... რა ვიცი, შენი კირიძე, ქალია და ქალის გული შეილისთვის სხვანაირადა ძგერს...

— დაეკითხე, ისახარ მე არც გაძალებ და არც ვაჩქარებ. ხვალ დილით გავეჩვენჯარ იბ. ვააწყავეტ მანამ, ხომ კარგი, არადა წინ დრო კიდევ ბევრია, იფიქრე, აწონ-დაწონე. თუ დასტურს იტყვი, მაისის დამდეგს გამომიგზავნე, თუ უარს იქნები, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს.

იოველ ბატონიშვილი და ისახარი კიდევ დიდხანს დუმდნენ ტირიფის ძირას. მერე ხმაც ამოიღეს, ისაუბრეს კიდევ, მაგრამ იმ მთავარ საგანზე კრინტი არც ერთს აღარ დაუძრავს.

ზებულონმა სცადა ბადის ემსება გაეგრძო, მაგრამ არა გამოუვიდა რა. ხელები აღარ ემორჩილებოდა, სხეულიც ერთ ადგილას ველარ ისვენებდა. და მოძრაობას რთხოვდა. მაშინ ბადე შიგადა და მთავარ ეზოში გადავიდა. იქაც ვერ გაძლო. უცნაური რამ ემართებოდა: უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა და საქმესაც გულს ვერ უღებდა. მთელი ტანი უხურდა და საღამომდე დაკარგული ბატკანივით დაბორიალობდა. რაღაც უნდოდა და რა უნდოდა ვერ გაეგო. აზრს ერთ ადგილას თავს ვერ უყრიდა. ისე იყო, თითქოს დღეს გაჩენილიყო და ამ სამყაროს ვერ ვერ შეთვისებოდა, რაც ირგვლივ ხდებოდა, ერთმანეთთან ვერ დაეკავშირებინა და ერთ ძაფზე ვერ აესხა, ყველაფერი ხელიდან უსხლტებოდა, ყველაფერი ისე იყო, თითქოს იყო და არც იყო. ის მცირეოდენი აზრი, რომელიც ჭერ კიდევ შემორჩენოდა, ორი საგნისკენ ჰქონდა მიპყრობილი: ერთი ის იყო, რომ ცდილობდა მამა მხედველობიდან არ დაეკარგა, რათა, თუკი იგი დედის დღესვე დაეთათბირებოდა, ეს ამბავი არ გამოჰპარვოდა, რადგან მშობლების თათბირს საბოლოოდ უნდა გაცეა პასუხი დიდსა და მძიმე კითხვაზე: წყაროსთვალის მწირი და უდიდლამო სინამდვილე, თუ იოველ ბატონიშვილის ზღაპართლაპარაკი. დედა სათნო და დამყოლი იყო და, რაკი ისახარის სიჭიჭტე

გატყდა, თავიდან ზებულონს სხვა აღარაფერი ედარდებოდა, მაგრამ მერე, მამის ნათქვამი რომ გაანსენდა, ქალის გული შეილისთვის სხვანაირადა ძგერსო, ამ ნათქვამმა დააეჭვა და შეშინდა, ვაითუ დედის დიდი სიყვარულით უნებურად გადაეჭრა შეილისთვის ზღაპრისკენ მიმავალი გზა. მეორე საგანი, რომელიც ჭერ კიდევ ბეჭუტავდა მღელვარებისაგან დაბინდულ გონებაში, იმ ორ უცხო კაცს ეხებოდა, იოველ ბატონიშვილს რომ ოსტატებად მოეწვია. ზებულონი მათ შორიახლო უტრიალებდა და ცდილობდა მათი ხმა გაეგონა, უცხო სიტყვებს დაკვირვებოდა და იქნებ გამოერკვია კიდევ, რა იყო ამ ჩვეულებრივი, ნაცნობი ბგერებისაგან შედგენილი უცხო სიტყვების უცხოობის მიზეზი, რა იდუმალი ძალა განასხვავებდა მათ ნათელი და მშობლიური ქართული სიტყვებისაგან. მაგრამ იმ დღეს არც უცხო კაცებს უთქვამთ უცხო სიტყვები და არც მამა დათათბირებია დედას, ან, თუ უცხო კაცებმა უცხო სიტყვები თქვეს და მამა დედას დაეთათბირა, ზებულონს ეს ამბავი არ შეუტყვია.

გვიან ღამით, როდესაც სტუმრები მათთვის მიჩენილ ოთახებში ავიდნენ მოსასვენებლად, ისახარმა შეილი იხმო.

ისახარი დაბალ, სამფეხა ჯორკოზე იჯდა ბუხრის პირას, იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, ნიკაბი და ლოყები ხელებშუა მოექცია და კუშტიად ჩასტკეროდა გაციებულ ნიკარს. ზებულონი წყნარად, უხმებურად შევიდა, მკერდზე ხელებდაკრებილი შორიახლო შეჩერდა და ლოდინი დაუწყო. იცოდა, ისახარს მისი შესვლა არ გამოჰპარვია, მაგრამ როგორც ჩვეოდა, სანამ სათქმელს იტყოდა, ჭერ თავის გულში უნდა კარგად აეწონ-დაეწონა. ზებულონი დიდხანს ელოდა. ბოლოს ისახარმა, ისე რომ არ შერხეულა და არ მოუხედავს, ნელა, დადუქრებით, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, თქვა:

— დიდმა ბატონიშვილმა შენი თავი მთხოვა.

„დედას როდისღა დაეკითხა? აკი

მთელი დღე თვალყურს ვადევნებდი, ნუთუ მაინც გამომეპარა?“ — გაკვირვებით გაიფიქრა ზებულონმა, შერე ერთი ღრმად ჩაისუნთქა და მიუგო:

— რისთვის, ბატონო?

ისახარმა მკვეთრი მოძრაობით ასწია თავი, ერთბაშად მთელი ტანით შემოტრიალდა და შეიღს თვალი თვალში გაუყარა. ერთხანს გამომცდელად უყურა ბოლოს ჰკითხა:

— შენ რა იცი?

ზებულონმა თავი დახარა.

— ბადეს გკემსავდი ღობის გადაღმა და უნებურად მოვისმინე.

მაშინ ისახარმა თავი ნელა მიაბრუნა და მხერა ისევ გაციებულ ნაცარს მიაბყრო.

— უკეთესი. ბევრი ლაპარაკი აღარ დაგვირდებია აბა, რას იტყვი?

— მე რა... როგორც მიბრძანებ, ისე იქნება.

— მე რომ არა გიბრძანო რა, მაშინ რაღას იტყვი?

— როგორც დედა ინებებს, ისე მოვიქცევი, ბატონო.

— საბოლოო პასუხი რომ ორთავემ შენზე მოვაგდოთ? დიდ ბატონიშვილს მართალია დასტური მივცი, მაგრამ, სანამ საბოლოო სიტყვას ვეტყვოდი, შენთან დათათბირების უფლება გამოვთხოვე...

— ჩემთან?

— დედაკაცს დავეკითხები-მეთქი, ვუთხარი- იმას ხომ ვერ ვეტყვოდი, ბიჭს დავეკითხები-მეთქი! მაგრამ უკვე დიდა ხარ და შენი გადასაწყვეტი შენვე უნდა გადაწყვიტო. ეგეც არ იყოს, ემაგ საქმისა მე ბევრი არა გამეგება რა. განა არა, ვიცი, რომ ნასწავლი სჯობს უსწავლელსა, ოღონდ მე იმას ვფიქრობ, სანამ კაცი სწავლობს, ემანდ ისეთი არაფერი დაუჩლუნგდეს, რაც სწავლაზე მეტად სჭირდება ოჯახსაც და ქვეყანასაც. ამიტომ, შენ როგორც გიჯობს, ისე ექნათ. თუ წასვლა გინდა, ჩვენი დარდნუ ექველება. ორი წელიწადი აბა რა ისეთი დროა, ჯანი წამერთვას და საქმეს ვერ გავუძლვე, თუ არ გინდა და უარს

მოვახსენებ დიდ ბატონიშვილს არ მეწყინებაო, მიბრძანა. აბა, რას იტყვი?

— დედას ვკითხოთ, ბატონო.

— ვკითხე ძალას ნურაფერზე დავატანო, მითხრა, როგორც გული ეტყვის და ჰქუა გაუჭრის, ისე ქნასო.

— რაკი ეგერა, ბატონო, — ზებულონი მღელვარებისაგან ოღნავ კანკალეზდა და ხმას ძლივს იმორჩილებდა, — წასვლა მიჩვევია, თუ არ მიწყენ.

სიჩუმე ჩამოვარდა რაკი სათქმელი თქვა, ზებულონს მღელვარებამ თითქოს გაუარა, სამაგიეროდ ერთიანად მოდუნდა, მოეშვა, ნუხლთ მოეკეთა. ისახარ გაუნძრევლად იჭდა და გაციებულ ნაცარს ჩასცქეროდა. ბოლოს წამოდგა, შემოტრიალდა, მარცხენა ხელი მარჯვენა მხარზე დაადო შეიღს და სახეში შეხედა. ორთავენი დიდები იყვნენ, მაგრამ ზებულონი უფრო დიდი იყო.

— წადი, — ახლა ხმაც მშვიდი ჰქონდა და გამომეტყველებაც, — ოღონდ სახლსა და ოჯახს ნუ დაიფიწყებ.

ყველაფერა განგების ნებაა. აბა რას იფიქრებდა ზებულონი, ერთი ტლუ ბიჭი, რომ ოცნების დიდი ზღაპარი, შორეული და მიუწვდომელი, ამ მიყრუებულ წყაროსთვალში ამოაკითხავდა და იღუმალებით მოჩუქურთმებულ თავის ჭადოსნურ კარს ყურთამდე გაუღებდა?

როდესაც ისახარმა საბოლოო გადაწყვეტილება მოახსენა, იოველ ბატონიშვილს ეს ამბავი დიდად ეამა და წასვლის წინ იმის ნიშნად რომ ეს ორი საკვირველი დღე სიზმარი და მოლანდებარ ყოფილა, ზებულონს სქელ ტყავში ჩასმული, პატარა, წვრილად ნაწერი წმინდა სახარება აჩუქა, რომელშიაც, როგორც შემდეგ გამოირკვა (ზებულონს სული მისდიოდა და ხელები უკანკალეზდა, მაგრამ მაშინვე გახსნა ვერ გაბედა), რამდენიმე ფერადი ნახატიც იყო.

ზებულონი მაისის დამდეგს უნდა ხლებოდა იოველ ბატონიშვილს, მანამ კი წინ მღელვარებითა და მოლოდინით აღესავეს მრავალი გრძელი დღე იღო, რომლებიც ნელა, ზოზონით გადიოდ-

ნენ, თუმცა ზებულონი მათ მაინც სიყვარულით ელოლაივებოდა, რადგან ყოველი მათგანი იმ მთავარ დღეს აახლოებდა, როცა სოფელი წყაროსთვალა უკან უნდა მოეტოვებინა და შორეულსა და უცნობ გზას დასდგომოდა. დროდადრო, თუმცაღა იშვიათად, თითქოს შამობდა ქაღალქობას ძალა არ დაეკარგა. გულისკანკალით გადაშლიდა იოველ ბატონიშვილის ნაჩუქარ წმინდა წიგნს, მოწინააღმდეგეობით გააყოლებდა თითს უცნობ ასოებს და ტანში საამო ერქანტილი უვლიდა. მერე ნახატებს დაუწყებდა თვალღერებას. ნახატებზე, როგორც დედა და მამა ვარაუდობდნენ, გამოსახული უნდა ყოფილიყვნენ უფლისწმინდა მოცაქეულები.

საიდუმლო სკივრს, რომელშიაც იოველ ბატონიშვილის დიდი ზღაპარი ჰყავდა მოთავსებული, ძველებურად აღარ ერიდებოდა, რადგან ახლა თავდაც ამ სკივრში გრძნობდა თავს, ამ ზღაპრის მონაწილე და დიდი მზეკაბუქის თანამგზავრი იყო. როდესაც იოველ ბატონიშვილს პირველად შეხვდა და დაინახა, რომ იგი ზღაპრის გმირს არა ჰგავდა, გულში მწარედ ჩაწყდა რაღაც. ახლა მაშინდელი განცდა სიცილად არ ჰყოფნიდა, რადგან იცოდა, რომ იოველ ბატონიშვილი სწორედ ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც იყო. ჩვეულებრივი ზღაპრის გმირები ჩვეულებრივ დევებს ებრძვიან, იოველ ბატონიშვილი კი სულ სხვა დევებს ებრძოდა. განა ჩვეულებრივმა მზეკაბუქმა შეიძლება იცოდეს, რომ ჩვენი გადაარჩენის ერთადერთი ღონე ის არის, რომ მთელ საქართველოში სწავლა-განათლებილ კელაპტრები ავანთოთ?

ის გაზაფხული მშვიდობიანი გამოდგა, მთელი მარტი და აპრილი ისე მიილია, ომის მაცნე არსაიდან გამოჩენილა. თავად წყაროსთვალი მიუვალ აღავას იყო ვიწრო ხეობაში და ძნელად რომ მტერი ჰოულოდნელად დასცემოდა. ქვემოდან მოსულ მტერს, სანამ აქამდე მოაღწევდა, მთელი საერისთავო უნდა გამოეყო, მთელ საერისთავო

კი აბა, ასე უბრძოლველად და დაუბრალებლად ვინ გამოატარებდა? რა უნდა უმრავლეს არ უნდა შემოსულიყო, სახელდახელო ჯარის შეგროვება ყოველთვის ესწრებოდა, რათა პირველი ბრძოლა ბარადვე, განაპირა ადგილებში გადაეხადათ და, სანამ გზირები სოფლებს დაივილიდნენ და ქულზე კაცს შეაგროვებდნენ, მტერი შეეკავებინათ. ზედა მხრიდან წყაროსთვალს გაუვალი ტყეები და ციკაბო მთები იფარავდა. სულ ზემოთ, ყველაზე მაღალი მთის წვერზე ერთი ვიწრო ყელი კი იყო, მაგრამ აქედან მხოლოდ მსუბუქად შეიარაღებული და კლდე-ღრეში სიარულს ნაჩვევი კაცი თუ გადმოვიდოდა. მთის გადაღმა ურჯულოთა დიდი ტომი ცხოვრობდა, რომელიც თარეშითა და ძარცვა-გლეჯით ირჩენდა თავს, მაგრამ წყაროსთვალზე დაიქნა დიდ ვერაფერ სარგებელს მოუტანდა, რადგან ამ ძნელად სავალ გზაზე ვერც საჭონელს წაასხამდა და ვერც ალაფს წაიღებდა.

თუმცა სიფრთხილეს მაინც თავი არა სტკივა და წყაროსთვალელები ომისათვის მუდამ მზად იყვნენ. იმ გაზაფხულზეც მოსახნავი კი მოხნეს და დასათესი დათესეს, მაგრამ ამ საყვარელ საქმეს გული და სული ბოლომდე მაინც ვერ ჩაატანეს, რადგან იძულებული იყვნენ ხმალი ალგისილი ჰქონოდათ, თოფი გაწმენდილი, თვალი და ყური გამახვილებული.

ზებულონმა მთელი გაზაფხული მუყაითად და გულიანად იშრომა. წვრილ-წვრილი აზნაურები ყმა გლეხებთან ერთად მუშაობას არასოდეს თაკილობდნენ. ზებულონს კი გარდა იმისა, რომ შრომისმოყვარე იყო, სხვა მიზეზიც ჰქონდა: მუშაობაში გართულს მომავალ გამგზავრებაზე ფიქრი გულიდან გადავარდებოდა ხოლმე და მოლოდინის აფორიაქებას უფრო იოლად იტანდა. დღე ასე გადიოდა, საღამოობით კი კარგად. ჯანსაღად დალილი ზოგჯერ იოველ ბატონიშვილის წმინდა ნაჩუქარს რომ გადაშლიდა, ან უბრალოდ ხელს დაადებდა და თვალს დახუქავდა, ნათლად ხე-



დავდა თავის მომავალ ცხოვრებას, რომელიც უკვე მართო ზღაპარი კი არა, აცხადებულა ზღაპარი იყო. იოველ ბატონიშვილმა, ყველაზე მაღალი, ყველაზე მიუწევდომელი ზღაპრის უფალმა, ზებულონს დინჯი და გონიერი ვაჟი უწოდა და ბიძაშვილებისგან გამოარჩია, თუმცა ორი მათგანი ზებულონზე გაცილებით უფროსი იყო და მოწიფულ კაცებად ითვლებოდნენ. მაშინ ზებულონს გაუყვირდა, ნეტა რა გონიერება შემაჩინია იოველ ბატონიშვილმაო, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი ცხადი შეიქნა. განა ზებულონი არ იყო, ვინც დამიბალახებში გულაღმა გაწოლილი მოწმენდილ ცას უთვალთვალებდა და ვარსკვლავებზე ფიქრობდა? ხოლო, რაკი ვარსკვლავებზე ფიქრობდა, მაშასადამე „ვარსკვლავთა სრბოლის მჩხრეკავი“ იყო; იოველ ბატონიშვილისათანა ბრძენსა და ნასწავლ კაცს აბა ეს როგორ გამოეპარებოდა! მართალია „ლათინთენისა“ ჯერ არა გაეგებოდა რა, „ფილოსოფოსთა სიბრძნე“ კი საერთოდ არ იცოდა თუ რას ნიშნავდა; მაგრამ ვინც ვარსკვლავთა სრბოლის მჩხრეკავია, განა დანარჩენისაც ის უკეთ არ გაართმევს თავს? ამაში ზებულონს ეჭვი აღარ ეპარებოდა. გონების თვალით ცხადად ხედავდა, როგორ ეახლებოდა ლამაზად გამოწყობილი და საყვარელ ქურანაზე ამხედრებული იოველ ბატონიშვილს თეთრ საყდარში და იქ მათელ, სუფთა სენაკებში სხვა მის მსგავს დინჯ და გონიერ შეგირდებთან ერთად სიბრძნის უღრმეს წყაროს დაეწაფებოდა. გუნებაში უკვე კითხულობდა წმინდა სახარებასა და ვეფხისტყაოსანს და გულს სიხარულით უჩქროლავდა. ზოგჯერ ნაცნობსა და მახლობელ სიტყვებს თითოთითო ბგერას აცლიდა და მერე ამ ბგერებისაგან იმის მსგავს უცნაურ სიტყვებს ქმნიდა, ერთხელ რომ იოველ ბატონიშვილის მხლებელთაგან გაიგონა. ოღონდ ახლა ეს სიტყვები გასაგები იყო და მათი მეშვეობით ზებულონი დინჯად ესაუბრებოდა დანარჩენ შეგირდებს. მერე ხანი რომ გამოხდებოდა,

ნასწავლი, დაბრძენებულ, უცხოთაგნების მცოდნე, ფილოსოფოსთა მწიგნობრის მფლობელი, მნათობთა სრბოლის საუკეთესო მჩხრეკავი, მშობლიურ სოფელში ბრუნდებოდა, თავად შემოიკრებდა ცოდნის მოწყურებულ შეგირდებს, ყველაფერს ასწავლიდა რაც კი იცოდა, და, აბა, წყაროსთვალში სწავლა-განათლების კელაპტარი ინთებოდა ზებულონის წარმოდგენაში იგი მუდამ სოფლის პატარა ეკლესიის გუმბათზე იდგა. ყელყელაობდა იქ, თეთრი ეკლესიის თავზე თეთრი კელაპტარი, აღი მზესავით ბღვრიალუბდა და მთელ სოფელს დაჰნათობდა.

აქამდე წყაროსთვალს წერა-კითხვის მცოდნე არავინ ჰყავდა სანამ პატარა იყო, ზებულონს მოხუცი მღვდელი ეგონა გამონაკლისი, მაგრამ მალე მიხვდა, რომ თურმე ისიც უმეცარი ყოფილა, ყასიდად ედო წინ გადაშლილ ლოცვანი და ყასიდად აყოლებდა თითს. თორემ, რაც ზეპირად იცოდა, მხოლოდ იმას ლაპარაკობდა, ოღონდ მრევლის თვალის ასახვევად ისე ბუტბუტებდა, ვერა გაეგოთ რა და ვერ მიმხედარიყვნენ, რომ მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებდა.

ამ დროს დედ-მამა და მათთან ერთად მთელი წყაროსთვალი ზებულონის გამგზავრების თადარიგს იჭერდა. ყველა ცდილობდა ჩარეულიყო, ყველა, ვინც კი მეზობელ სოფელში მაინც იყო ნამყოფი, თავის მოგზაურობას იგონებდა. ვისაც არაად უმოგზაურია, ფარხმალს არც ის ყრიდა და ურცხვად ტყუოდა, ვითომ ემოგზაუროს, და თუ ვინმე ტყუილში დაიჭერდა და ამხელდა, მართალი კაცივით ჭავრობდა და იბუტებოდა. განსაკუთრებული ფასი — და ეს საესებით ბუნებარევიცაა— იმით დაიდეს, ვინც ქალაქში იყო ნამყოფი. ქალაქში ნამყოფი კაცი რომ ლაპარაკს დაიწყებდა ძალუენებურად ყველა ჩუმდებოდა, ისიც ამით სარგებლობდა და, რაც შეეძლო, აჭიანურებდა და აჭიანურებდა. და თუ ვინმე მაინც გაბედავდა და სიტყვას ჩართავდა, ნევალი კაცი მეტიჩარას ერთს

დამკინავად გადახედავდა, მერე დანარჩენებს მიუბრუნდებოდა, ხელებს გაშლიდა და იტყოდა: „ჭმარი ომში იყო და ცოლი ამბავს ახედვრებდაო!“ და მტინიარასაც წამსვე აჩუმებდნენ.

საბოლოოდ ზებულონს ღია შინდისფერი შარვალი და ახალუხი შეუქარეს, მუქი შინდისფერი ჩოხა და მალაყელიანი წაღები. ჩოხა-ახალუხი და წაღები ზებულონმა მხოლოდ ერთხელ, გასასინჯად ჩაიცვა, მერე კი ფაქიზად დაკეცეს და სკივრში შეინახეს, რათა მისის თვის პირველ დღეს, დილაუთენია ხელახლა ჩაეცვა. საყვარელ ქურანზე ამხედრებულ იყო, ასე უცხოოდ გამოწყობილს მთელი სოფლის თვალწინ ჩაეგლო და შორეულ გზას დასდგომოდა.

ამასობაში მხოლოდინის ვადაც მიიღია. დადგა აპრილის ბოლო დღე, ხვალ ზებულონი წყაროსთვალიდან უნდა წასულიყო და იოველ ბატონიშვილს ხლებოდა.

დილით, როგორც ამ გაზაფხულს ჩვეოდა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ერთხანს იწვიმა, მერე უეცრად გადიკარა, ღრუბლები გაიფანტა და სამხრეთით ცისარტყელას ვეებერთელა ბრჭყვიალა რკალი გამოჩნდა ბოლო ხანებში, რაც უფრო ახლოვდებოდა წასვლის დრო, ზებულონის მღელვარება და აფორიაქება თანდათან იზრდებოდა. ახლა კი უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ხუმრობა ხომ არ იყო, უკვე მხოლოდ ერთი, ერთადერთი დღე ამორებდა იმ ტრუანტელისმომგვრელ წუთს, როცა სანუქვარ ზღაპარში უნდა შეედგა ფენი! მაგრამ დღევანდელ აფორიაქებას სხვა რაღაცაც ახლდა თან: ზებულონს დილიდანვე უცნაური სევდა შემოაწვია. რომელიც ზოგჯერ, უფრო იმ წუთებში, როცა გონებაში ხვალინდელი გამგზავრების სურათი შემოიბარებოდა, გულზე მწარედ მიწნინდა და მერე მთელ სხეულში რაღაც გაუგებარ უსასოებად ეღვრებოდა.

ზებულონი ბევრს ეცადა რამე საქმე გამოეჩახა და გული გადაეყოლებინა, მაგრამ ვერას გახდა, ვერაფერი მოუ-

ხერხა ამ მძიმე და გულწინამძველ სევდას, რომელსაც ყოველივე ამოიქცა და ამოეჭოლა. მაშინ ბროლასა და ლომის დაუსტივინა და მათთან ერთად ტყეში წავიდა.

ზაფხულიკით ცხელი დღე იდგა. საცა კი მცხუნვარე მზის სხივები წვდებოდა. მიწა ისე გამშრალიყო, წვიმის კვალაც კი აღარსად ჩანდა. სამაგიეროდ, სოფელს რომ გასცდა და წისქვილისკენ მიმავალ საურმე გზას დაუყვა, რომელიც ორსვე მხარეს ჩამწყრივებულ მალაქ-მალაქ იფნებსა და ცაცხვებს ისე გადაეხურათ, არათუ სიმხურვალე, სინათლეც კი ძლივს ატანდა, წვიმისაგან დამბალ მიწას მზის გამოჩენისა არა დასტყობოდა რა. ზებულონმა ფეხთ ვიხიდა და ნელთბილ ტალახში შეაბიჯა. ტალახი კოჭებამდე წვდებოდა. ზებულონი ნელა მიაბიჯებდა და გრძობდა, რომ გაუსაძლისი სევდა თანდათან ღღეჭებოდა და იფანტებოდა. აქ სოფლის გზაზე, ადვილი შესაძლებელი იყო ვინმეს გადაჰყოლოდა: ან წისქვილიდან მომავალი შეჭფეთებოდა, ან წისქვილს მიმავალი წამოსწოდა, მაგრამ ზებულონი ახლა ამას არ დაგიდედათ. ვინ იცის, ხვალ რომ წავიდოდა, კვლავ როდისღა დაბრუნდებოდა. და თუკი თოთო ტალახში სიარული ცოტათი შინც შეუმსუბუქებდა განშორების სევდას, ვისაც რა უნდოდა ის ეფიქრა მის ბავშვურსა და მჩატე საქციელზე.

ცოტა ხანს ასე იარა, მერე საურმე გზიდან გადაუხვია, ვიწრო ბილიკს გაუყვა. ბოლოს ყანა-ყანა დაეშვა და ზემოთ, წისქვილიდან კარგა მოშორებით მიადგა მდინარეს. გაღმა რომ გავიდა. ფეხთ ისევე ჩაიკცა, ფერდობს ირიბად აუყვა და მალე მუხების ნაცნობ კორომს მიაღწია. მუხებთან შეისვენა. გულადმა დაწვა და ლურჯ ცას გაუმტერა თვალი. მერე წამოიწია, მსხვილ ფესვზე ჩამოჭდა და ახლა სოფელს უქცირა, მაგრამ დიდხანს ვერც აქ გაძლო. სევდა თავისას არ იშლიდა, სულს უღრღნიდა და ერთ ადვალას არ სსვენებდა. ზებულონი წამოდგა, ტყეში შევიდა და მდი-

ნარის გასწვრივ გაუყვა ფერდობს. მალე მაღალ ტყეს გასცა და ჯაგებში შევიდა. აქაურობას, ისევე როგორც სოფლის მთელ შემოგარენს, თავისი ხუთი თითოვით იცნობდა. მალე ჯაგნარს გააღწევდა და მცირე მდელზე გავიდოდა სწორედ იმ ადგილას, სადაც, მდინარის გაღმა, სოფელი თავდებოდა. მდელის იქით კვლავ ტყე იწყებოდა. მალე მართლაც თხილის ხშირი ბუჩქების ბოლო ტოტები გადასწია და მზით გაჩახახებულ მდელზე აღმოჩნდა. გაღმა ფერდობზე შეფეწილი მშობლიური სოფელი აქედან ხელისაგულივით მოჩანდა.

ზებულონმა სოფელს გახედა, მაგრამ წამსვე მოწყვიტა თვალი, რადგან მისი ყურადღება უცერად ისეთმა სანახაობამ მიიპყრო, რომ მშობლიური სოფელი გონებიდან ერთბაშად ამოუვარდა: ქვემოთ, მდინარეში, საბანაო მორევის პირას, ვეებერთელა თეთრ ლოდზე შიშველი გოგო იწვა და თეთრი სხეული მზისთვის მიეფიცებინა. ზებულონი ადგილზე გაშეშდა და ტანში ცხელმა ქრუანტიელმა დაუარა. მდინარე გვარიანად შორს იყო, მაგრამ ზებულონს მახვილი თვალი ჰქონდა და გოგო მაშინვე იცნო. ისახარის გლეხის, დარჩოს, უმცროსი ქალი იყო, თინია. ამან ზებულონი მთლად გააშტერა. თინიას ყოველდღე ხედავდა, მაგრამ არასოდეს ყურადღება არ მიუქცევია, არასოდეს მასზე თვალი არ შეჩერებია. ან კი რა თვალის შესაჩერებელი იყო მუდამ აბრანძული, მუდამ გაბურძნული და პირდაუბანელი თინია! რას წარმოიდგენდა ზებულონი, მისი დაკონკილ-დაბეძვილი კაბის ქვეშ თუ ასეთი საუნჯე იმალებოდა, ბროლივით ქათამთა და მხესავით ხელუხლებელი იწვა თეთრ ქვაზე თეთრი თინია, როგორც სანყაროს ამოუხსნელი საიდუმლო, თავისი დაბინდული ბზინვარება მზისთვის გადაეშალა და მზეს ეუბნებოდა, შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეთ. თინია გულაღმა იწვა, მშვიდად იწვა, ლაღად, რადგან არ ეგონა მზის გარდა კიდევ თუ ვინმე უყურებდა.

ზებულონს შერცხვამ, თვალი ააჩიდა

და გზა განაგრძო, მაგრამ თვალი ქუთრდ იყო და მალე ისევ ქვემოთ გაეშტერა თინიას მკლავები მაღლა შეეყარა, ხელები თავქვეშ ამოეწყო, ფეხები ოდნავ გადაეშალა და მზის სხივებში ნებივრად ბანაობდა. ზებულონი თავის თავს შემოსწყრა და უფრო მტკიცედ განაგრძო გზა. მდელი გადაიარა, ტყის პირს მიაღმა და ის იყო ტყეში უნდა შესულიყო, მაგრამ ფეხები აღარ დაემორჩილა და აფორიაქებული ადგილზე გაშეშდა. იმის გაფიქრებაზე, რომ ერთი ნაბიჯი და განგების მიერ მოვლენილ თეთრ სასწაულს ხშირა ტყე დაფარავდა, გული მძლავრად შეუტოკდა, თავს ველარ მონერია და ერთხელაც მიიხედა. თინია ლოდზე აღარ იწვა, ახლა მორევი იდგა ზებულონის ქვეშ ზურგშექცევით და წყალზემოდ მხოლოდ შიშველი მხრები და სველი თმა მოუჩანდა. ზებულონმა ტყეში შეაბიჯა.

კიდევ დიდხანს იარა მდინარის აღმა ტყე-ტყე, მერე თავქვე დაეშვა, უკანვე გადაჭრა მდინარე და ახლა იმ მთას შეუყვა, რომლის ძირშიც სოფელი იყო შეფენილი.

ბროლასა და ლომიას ცოტა არ იყო უყვირდით პატრონის ჯიუტი დუმლი. ერთი-ორჯერ შეჰყევდეს კიდევ კითხვის კილოთი, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს და ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქნენ ვითარებას შეჰყუებოდნენ.

ბევრი იარა ზებულონმა თუ ცოტა, იმ მთას წვერზე მოექცა. მწვერვალი შიშველი და ქვიანი იყო; სოფელს ბორცვი ეფარებოდა და აქედან არ ჩანდა, სამაგიეროდ სოფლის გადაღმა ჩანდა ბარად მიმავალი გზა, რომელიც მდინარეს გვერდავკვრდ მიუყვებოდა და რომელსაც ხვალ დილით ზებულონი უნდა დადგომოდა. უკან, ღრმა ხევში, მთა ციკაბოდ ეშვებოდა. ხევგაღმა, მთელ სიგრძეზე, დაბურული და ბნელი გაუვალი ტყით შემოსილი მაღალი ქედი გადაჰიმულიყო. ქედის შუაში, იმ ადგილის თავზე, სადაც მდინარეს სათავე ჰქონდა, პატარა ვიწრო ყელი იყო. სწორედ ეს ყელი აკავშირებდა აქაურობას

ქედს გადადგმა მცხოვრებ ურჯულოთა სოფლებთან. მარჯვე კაცი, თუ ძალიან მოიწადინებდა, სხვაგანაც გადმოლაზავდა ქედს, მაგრამ დიდ ხიფათშიც ჩაიგდებდა თავს, რადგან, თუნდაც ნადირს გადაარჩენოდა, ძალიან ძნელი იყო ამ უდაბურ და უკიდევანო ტყეებში გზა გამოეგნო.

შუაღლე კარგახნის გადასული იყო. ზებულონი გულდამი იწვა მალალი მთის შიშველ მწვერვალზე და ყურადღებით ადევნებდა თვალს ღრუბლის პატარა ფთილას, რომელიც შორიდან წამოვიდა, დასალიერტიდან, სადაც ცა მიწას უერთდებოდა. ნელა, ტატიტ, მაგრამ მტკიცედ და კიუტად მოიწვედა წინ. სოფელს გადმოუარა, ზებულონს გაუპირდაპირდა და დიდი ქედისკენ განაგრძო გზა. ღრუბელი ცის პირას მიუხვეებოდა და ვერც უღრანი ტყე აბრკოლებდა, ვერც ფრიალო კლდეები.

უეცრად, სრულ სიჩუმეში, სოფლის მხრიდან მონაბერ ნიავს რაღაც ხმა შემოჰყვა, შორეული, სუსტი, ძლივს გასაგონი ხმა. ზებულონმა იგი ქალის კვილს მიამგვანა, მაგრამ არ დაიჯერა, იფიქრა, ღრუბლის ცქერაში ვართულის მოეჩვენა, თორემ ამ სიშორეს ადამიანის ხმა როგორ მოაღწევდაო, და ის იყო უნდა უარყო კიდეც ეს უგუნური ვარაუდი, რომ ბროლა და ლომია, რომლებიც მზის გულზე იწვნენ და ნებებერად თვლემდნენ. უცებ წინა თათებზე წამოიწივნენ, თავები მაღლა ასწიეს. კისრები წაიკრძალებს და ერთი გულშემზარავად დაიყმუფლეს. ზებულონი შეკრთა, წამოჯდა და სმენად იქცა. ძალღების ყმული ნელ-ნელა გაიფანტა სივრცეში და მიწყდა. ირგვლივ ისევ სიჩუმე ჩამოწვა. ის შორეული ხმა აღარ გამეორებულა, ბროლა და ლომია ჩაკუტქულები, წინა თათებზე დაყრდნობილები და ყურღბდაქცეტილები, სოფლისკენ პირმიკუტელები განაბულიყვნენ, თითქოს ისინიც ყურს უგდებენ და იმ უცნაური ხმის გამეორებას ელიანო. მეორე უეცრად წელანდელზე უფრო გაა-

მულად და უფრო საწყალობლად დაიყმუფლეს.

„რაღაც ამბავია!“ — გაიფიქრა ზებულონმა და ზეზე წამოვიარდა. იმავე წამს ძაღლებიც წამოცვიდნენ, აქეთ-იქით ამოუდგნენ პატრონს და სახეში შემოაქცერდნენ, თითქოს პასუხს მისგან მოელონო. ზებულონმა ერთხელ კიდეც მიუგლო ყური. ჩქამი არსაიდან ისმოდა. მხოლოდ შაშვი ჭახჭახებდა სადღაც ქვემოთ ტყეში. ძაღლები მოუთმენლად შესცქეროდნენ პატრონს. მაშინ ზებულონი ადგილს მოწყდა და სწრაფად დაეშვა ქვემოთ. ძაღლებიც უკან დაედევნენ. ფერდობი ციცაბო იყო, ძნელი საევალი, მაგრამ ზებულონი ახლა ამას ყურადღებას არ აქცევდა და თითქმის სირბილით მიდიოდა. რა მიიარბენებდა არ იცოდა. მხოლოდ მერე, ძალიან გვიან, როცა ყველაფერი ცხადი შეიქნა, მიხვდა, რომ, რაწამს ის ხმა შემოესმა, რაღაც ავი წინააგრძნობა ელდასავით ეცა და გულზე მარწუხებდა შემოეკლო.

ერთხანს ასე ირბინა. ყოველ წამს მოსალოდნელი იყო, რომ თავს ვერ შეიმაგრებდა და ფერდობზე ქვასავით დაგორდებოდა. საბედნიეროდ მალე მოარბეს დასაცურებელ ღარს მიადგა, მზინვე დაუფიქრებლად იმ ღარში ჩახტა და სრიალით დაეშვა. ძაღლები ღარის ნაპირებს მისდევდნენ აქეთ-იქით.

როგორც იქნა ფერდობი ჩაათავა და იმ პატარა პორცზე ავიდა, რომელიც მთის წვერიდან სოფელს ფარავდა. ახლა სოფელი ისევ გამოჩნდა. თავიდან ზებულონმა საეკვო ვერაფერი შეამჩნია და ნაბიჯს ცოტა მოუნელა. მაგრამ მალე ისევ შეუქანდა გული: ქვემოთ, სოფლის თავში, ხუთი თუ ექვსი მხედარი შენიშნა. მხედრები გაშმაგებული მოაქუნებდნენ ცხენებს ზემოთ, სოფლის ბოლოსკენ. „მტერი!“ — გაუფლვა თავში ზებულონს და ისევ აუჩქარა ნაბიჯს. მხედრები ხან გზისპირა ხეებსა და პატარ-პატარა ბორცვებს მოუფარებოდნენ, ხან ისევ გამოჩნდებოდნენ, მაღე სოფელს გამოსცდნენ. ზებულონმა ვერაფერი გაიგო. „სად მიდიან?“ — გაი-

ფიქრა განცვიფრებულმა. აქეთ სოფელი აღარ იყო. მხოლოდ დარბაზივითების გაურანდავი ფიცრებით ნაგები და გაუთლელ, უსწორმასწორო ბოძებზე შემდგარი პატარა, უსახური ქოხი იდგათუ მტერი იყო, სოფელს რად გამოსცდებოდა და ზემოთ რად წამოვიდოდა, თუ შინაურები იყვნენ, დარბაზივითბთან რა საქმე უნდა ჰქონოდათ?

ზებულონი სირბილით წავიდა, მოკლეზე იარა და მალე ზემოდან მიადგა სოფელს. მხედრები აღარ ჩანდნენ. სამაგიეროდ ახლა ხალხი დაინახა და ამ სანახაობამ კიდევ უფრო შეაშფოთა: ხალხი სახლებიდან გამოსულიყო და გაჩქარებით მიდიოდა სადღაც. სახეები ამ სიშორიდან არ ჩანდა, მაგრამ მოძრაობაზე ეტყობოდათ, რომ შეშინებულები თუ აღელვებულები იყვნენ. ზებულონმა გზა განაგრძო. რამდენიმე ეზოს ისე ჩაუარა, კაცივინი არ შეხვედრია. ბოლოს, მისი სახლი რომ გამოჩნდა, მოწყვეტით შედგა და გულგვიძში შიშმა ხანჯალივით გაუარა. ის ხალხი, წედან რომ განქარებით სადღაც მიდიოდა, ყველა მისი სახლისკენ მისწრაფოდა. ეზო თითქმის სავსე იყო, გარეთაც ბლომად ხალხი იდგა. ყველანი გაცხარებით იქნევდნენ ხელებს და გაცხარებით რაღაცას ლაპარაკობდნენ. სიტყვების გარჩევა ძნელი იყო. ეზოს გარეთ მდგომთ რომ ზემოდან მომავალი ზებულონი დაინახეს, თითქოს ვიღაცის უხმო ბრძანებას დაემორჩილნენო, ერთბაშად გაშეშდნენ ხელების ქნევაც შეწყვიტეს და ლაპარაკიც. მერე მიიწმოიწიეს და ზებულონს გზა მისცეს. რაღაცნაირი სახეები ჰქონდათ, ვერ გაიგებდით — შეშინებულნი, დამწუხრებულნი, განრისხებულნი... ზებულონს მუხლები მოეკვეთა. წამით თვითონაც აღვიღზე გაშეშდა, მერე თავს ძალა დაატანა და უფრო გაუგებრობით, ვიდრე შიშით გულშეძრულმა ნელა გაიარა მისკენ მოპყრობილი უცნაურად გამომზიარალი თვლების ტყე. უნდოდა პირველივე შემხედრისთვის ეკითხა, რა მოხდომ, მაგრამ ვერ გაბედა. კიშკარში რომ შედი-

ოდა, უკნიდან ქალის ბებრული ჩიფჩიფა, ნამტირლვეი ხმა შემოესმა.

— უნდა გამაგრდე, შეილო.

ზებულონს მიხედვა უნდოდა, მაგრამ ვერ მიიხედა.

ეზოში რომ შევიდა, ახლა ეზოში მყოფნი დადუმდნენ და გაშეშდნენ. ზებულონმა ნათესავები დაინახა. ვაბრიელის ორი ვაჟი, ზებულონის ტოლა ბიჭები, სწორედ კიბესთან იდგნენ. ზებულონმა ახლა კი გაბედა და ბიჭებს სახეში შეხედა, მაგრამ მათ თვალი აარიდეს, თავი ჩალუნეს და მიწას ჩააცქერდნენ. ეზოშიც და ეზოს გარეთაც საშინელი დუმილი იდგა. ზებულონმა კიბე სწრაფად აიარა. სრულ სიჩუმეში საფეხურების კრაქუნნი კენესასავით ისმოდა და გულში გაუგებარ ბალომად ეღვრებოდა. ყელში მძიმე გორგალი ჰქონდა მოწოლილი. აივანზე შავად შემოსილი რამდენიმე ქალი იდგა. „დედა!“ — გაუელვა თავში ზებულონს და კარი შეილო.

დედა ტახტზე იწვა. სასთუმალი ორი ბალიშით აემალღებინათ და ამის გამო ისობით თავე და მხრები ისე ჰქონდა წამოწეული, თითქოს კი არ იწვა, არამედ იჯდა. სილურჯეშეპარული, დანაკლებული ხელები ტახტის კიდებზე ეწყო აქეთიქით. სახე მიტკალივით თეთრი ჰქონდა. უტყვი თვლები გაშტერებით მიეპყრო კერისათვის. თავით სამ ქალი უჯდა. ტახტის აქეთა მხარეს მგადა იჯდა, მოხუცი მოახლე, და ხელი მკლავში ჩაევილო, ტახტის იქითა მხარეს ანანიას და ვაბრიელის ცოლები ისხდნენ, ძალო მათიკო და ძალო გაიანე, და თითო ხელი წყუხარედ შემოედოთ ლოყაზე. ფეხის ხმაზე ყველამ მოიხედა. მაგდა მთელი ტანით შემოტრიალდა სკამზე, ოღონდ ასე, რომ მწოლიარისათვის: ხელი არ გაუშვია. ძალო მათიკომ და ძალო გაიანემ, რომლებიც კარისკენ პირით ისხდნენ, თავები ასწიეს. დედამ ოდნავ, სულ ოდნავ მოაბრუნა სახე და ცერად გამოიხედა. ზებულონი რომ დაინახა, ერთბაშად თვალგაშტერებით უყურა, თან ისეთი მზერა ჰქონდა, ვერ გაი-

გებდით, იცნო შვილი თუ ვერა, მერე სახე ისევ მიაბარუნა, უტყვი თვალები კვლავ ჰერს მიაპყრო, ბოლოს, ხანგრძლივი, მძიმე დუმილის შემდეგ როგორც იქნა დაილაპარაკა, დაილაპარაკა უცნაური, რალაქნაირად გაშიშვლებული ხმით, რომელსაც არც კილო ჰქონდა. არც ფერი, არც არავითარი გრძნობა ახლდა, თითქოს ადამიანის გულიდან კი არ მოდიოდა, არამედ ამოუფესები სიცარიელიდან ისმოდა და სამარისებურ სიჩუმეში ქვებივით ცვიოდა:

— ხვალ დიდი ბატონიშვილი მიგელის... მაგრამ აბა როგორღა წახვალ ამ შავი ღღის შემსწრე. ოხრად დაგრჩა ახალი ჩოხა...

ქვის სიტყვები ყრუდ ცვიოდა ზებულონის ირგვლივ და ზებულონს ამ ხმის გაგონებაზე გული უცივდებოდა. მაგრამ უეცრად სრულდებოდა რომ აღარ მოელოდა, დედას ტირილი აუვარდა და წახსვე მის ხმაშიც ერთბაშად გამოჩნდა გაუქარებელი მწუხარების ის უსასაო, მდუღარე, გულისმომკვლელი კილო, რომელიც ერთადერთი ნიშანია იმისა, რომ ადამიანს გულში ნუგეშის სხივე ჩაუდგა და სიცოცხლის მძლავრმა ანდამატმა კვლავ ამ ქვეყნისკენ აქნევიან პირი.

— რა დავაშავე, ლმერთო, ასეთი! ოთხი შვილი ისე წამგვარე, თვალის ახელა არ დააცალე არც ერთს. ასეთი რა ცოდვა გვაწევს, რომ ამოდენა უბედურება არ გვაქმარე! რატომ დაგვლუბე, ლმერთო, რატომ! ეგებ შენ იცოდე, შვილო, ეგებ შენ იცოდე, ზებულონ, რა ცოდვა მიგვიძღვის ასეთი, რომ შენდობას ვერ ველორსეთ! ოთხი და-ძმა ხომ წაგართვა რით ვერ იკმარა, რომ ახლა მამაც გამოგაცალა ხელიდან!

ეს ბოლო სიტყვები, რომლებმაც აქამდე ბურუსივით შემოკარულ, დამთრუნველ, რალაქ ველურ გაუგებრობას ბოლოს და ბოლოს ფარდა ჩამოგლიჯა. ზებულონს ტვინში ბურღივით დაუტრიალდა, მერე ქვემოთ დაეშვა, სისოწარმკვეთი ტკივილით გაარღვია მთელი სხეული და გზაზე სიცარიელის მშრალი

ხერელი დატოვა. იმავე წამს ბუნების შემათვისებელმა ძალებმა, უცნობმა და უხილავმა, რომლებიც სიცარიელის ვერ ეგუებიან, ამ სიცარიელის განსაღვენად ზებულონის სხეული მძლავრად შექუშეს, შეკრეს, თითქოს დაწინებეს და ზებულონმა უეცრად რალაქ უცხო სიმყარე იგრძნო, რალაქ უცხო სიმყარე რომელიც გაუგებარი და ბუნდოვანი მსგავსებით თითქოს მტკიცე გადაწყვეტილებას ჰკავდა, ოღონდ რისი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო, ზებულონმა არ იცოდა. ზებულონი მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ სხეულის უეცარ გარდაქმნას აზრი კვალში ვერ მისდევდა და მათ შორის არსებული ბუნების შესატყვისი და ჩვეული თანხმობა თვალდათვალ ირღვეოდა.

სანამ გონება საბოლოოდ გაართმევდა თავს დედის ნათქვამს და თან გაურკვეველად და თითქოს მოუქნელად ფიქრობდა იმაზე, რომ, რაკი ისახარი მოკვდა, მამასადავე სადღაც უნდა ყოფილიყო დასვენებული, ზებულონმა რამდენიმე ნაბიჯი წაღვა წინ, ტახტთან ცალ მუხლზე დაიჩოქა და დედის ხელი აიღო. ხელი ყინულივით ცვი იყო, ამიტომ ზებულონმა იგი ერთხანს გააჩერა თავის ხელებში, რათა ცოტა გაეთბო, მერე ტუჩებთან მიიტანა, ფრთხილად ეამბორა, წამოდგა და იმ დროს, როდესაც ძალი მათიყო და ძალო გაიანე ტახტზე დაიხარნენ, რათა აქვითინებული დედა დაემშვიდებინათ, ხოლო მაგდა მათ აჩერებდა, დააცალეთ, ჰა, იტიროს, ცრემლი შხამს გამოიტანს და ცოტა გულზე მოფონებო, უხმოდ გავიდა ოთახიდან.

გამოვიდა თუ არა აივანზე, ეზოში მოგროვილი ხალხი, თითქოს გადაარაქებული ყოფილიყოს, წამსვე მისკენ მოტრიალდა და ურიცხვი თვალი მოაპყრო. მწუხარე, შეშფოთებულ და ჯიუტად მდუმარე სახეებზე ისეთი რამ ეწერათ, თითქოს რალაქის ითხოვდნენ, ხოლო ამ მოთხოვნის უკან, ვინცობისაა ზებულონს მის შესრულებაზე უარი ეთქვა, შეგუბებული და შეკავებული რისხვა იღვა. „ის ცხენოსნები სად“

მიდიოდნენ? — გაიფიქრა ზებულონმა და ამ ფიქრთან ერთად გონებაში არეულად, შეშფოთებით და თითქოს ცოტა მალულადაც ტრიალებდა გაუბედვი კითხვა იმის შესახებ, თუ სად უნდა ყოფილიყო ისახარი დასვენებული. მერე ბროლა და ლომია გაახსენდა, თვალთ დაუწყყო ძებნა ეზოში და, რომ ვერ იპოვა, ახლა ის გაიფიქრა, იქნებ სიზმარში ვარ, ან არადა ყველაფერი ეს მელანდებოა.

ამ დროს ეზოს გადაღმა ჩოჩქოლი ატყდა. ხალხი ერთბაშად ამოძრავდა და აყაყანდა. ჩოჩქოლზე ეზოში მყოფთაც მთაშორეს თვალი ზებულონს და ჭიშკრისკენ მიტრიალდნენ. „ბროლა და ლომია რაღა იქნენ?“ — გაიფიქრა ზებულონმა და იპაე წამს ქვემოდან მომავალი ორი კაცი დაინახა, რომელთაც ზურგზე ტომრები ეკიდათ. ხალხი სწორედ მათ მისჩერებოდა.

ერთი მათგანი დარჩო იყო, ისახარის გლეხი. მის დანახვაზე გონების თვალწინ, საღდაც შორეულ სივრცეში, წამიძპერში დაეკიდა თეთრი ლოდი, რომელზედაც თავქვეშ ამოწყობილი ხელებითა და ოდნავ განზე გადაყრილი ფეხებით იწვა შიშველი, თეთრი თინია და მზის ოქროსფერ სხივებში ბანაობდა. ხილვა ვაჩენისთანავე გაჭრა.

მეორე ტომრიანი კაცი დარჩოს უფროსი ვაჟი იყო. მამა-შვილს ერთნაირი ტანსაცმელი ეცვათ, თმა ერთნაირად ჰქონდათ შეულზე ჩამოშლილი, კეფაზე ერთნაირი ბრგვალი ქუდები ედოთ, ერთნაირი ტომრები ეკიდათ და სიმძიმის ქვეშ წარბილები ერთნაირად მძიმე ნაბიჯით მოაბიჯებდნენ აღმართში. ხალხმა გაუგებარი მოწიწებით დაიხია უკან და მომავალი გზა მისცა. ვილაცამ ჭიშკარიც გაულო. შუა ეზოს რომ მოაღწიეს, ტომრიანი კაცები შედგნენ, თითქოს ტვირთის ჩამოღებაც დააპირეს, მაგრამ მერე შეეყოყმანდნენ და კითხვის თვალი მოავლეს ირგვლივ.

— აქეთ, აქეთ! — გაისმა ამ დროს. ზებულონმა მიიხედა და თეთრწვერა და თეთრთმანი ძია ანანია რომ დაინა-

ხა, გაციებულ გულში თითქოს სიბნობის ბატარა სხივი ჩაელვარა.

— აქეთ, აქეთ! — გაიმეორა ანანიამ, ხალხს გამოეყო და დარჩოსა და მის ვაჟს ფიცრულისკენ მიუთითა. მერე, როცა დარჩო და მისი ვაჟი ალაგზე გადავიდნენ და ტომრები მთავარი ეზოს გადაღმა გადაიტანეს, ხალხი დაკვირვებით მოათვალიერა, ორი შუახნის კაცი აარჩია, მოუხმო და უთხრა, — მიეხმარეთ.

ზებულონი აივნიდან ჩამოვიდა და ჯერ კიდევ გაბრუებული და ბურუსით გარშემორტყმული თავადაც ფიცრულისკენ გაემართა, მაგრამ, სანამ ალაგეს მიაღწევდა, ანანია წინ გადაუდგა. ანანია მთელი თავით დაბალი იყო.

— ნუ, შვალო... — უთხრა მან, მხრებში ხელი ჩაავლო, თვლებში შეხედა, მერე სახე მკერდზე მიადო და ატირდა.

ზებულონიც ატირდა. ზღუქუნებდა და ბეჭები უთრთოდა.

— იქ შენ ჯერ არა გესაქმებდა რა, — თქვა ანანიამ, — ჯერ გასაკეთებელი გააკეთონ და მერე მიხვალ. თავად დაგვიძახებენ, როცა დრო მოვა. აბა, დაწყნარდი და გამაჰკრდი.

ზებულონს ბარემ თვითონაც უნდოდა დაწყნარებულიყო, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. თვალი ცრემლით ჰქონდა საგსე, ზღუქუნებდა და ვერაფერს ხედავდა. ანანიას ცალი ხელი მკლავში ჩაეგლო მისთვის, მეორე ბეჭზე ედო და ცდილობდა დაემშვიდებინა. ირგვლივ სიჩუმე იყო. ხალხი გაშეშებული და ხმაგაქმენდილი იდგა.

რამდენი ხანი გავიდა, ზებულონს არ გაუგია. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა როცა ფიცრულის კარი ჭრილით გაიღო და კაცები გამოვიდნენ.

ოთხივე ფერდაკარგული იყო და უღონო, გასავათებული სახეები ჰქონდათ. დარჩოს ვაჟს ხელში ცარიელი ტომრები ეჭირა.

— ეგ არის, ბატონო, — დაიძახა დარჩომ, — შორჩია.

— მივიდეთ, შვილო, — ანანიამ ზებ-

ულონს ბეჭზე ხელი მოუთათუნა და წინ გაუძღვა.

დარჩომ ფიცრულის კარი გააღო და ორთავენი გაატარა, მერე ქუდი მოიხადა და თავადაც შეჰყვა. დანარჩენი კაცები გარეთ დარჩნენ.

ფიცრული მოესუფთავებინათ და მიელაგებინათ. მთელი ხარა-ხურა ერთ კუთხეში მიეწყოთ, საიდანღაც ხის ტახტი მოეტანათ და კედელთან დაედგათ. ტახტზე სქელი ფარდაგი ეფინა, ფარდაზე რალაც იდო, რასაც ზემოდან თეთრი სუღარა ჰქონდა გადაფარებული.

— გადაჰადე! — უბრძანა ანანიამ დარჩოს.

დარჩო ტახტის თავთან დაიხარა, სუღარას აქეთ-იქით სივანეზე მოჰკიდა ხელები, ასწია და ნელ-ნელა გადააქცალა.

ზებულონს საკუთარი ხმა შემოესმა, შემზარავი, ველური, დაუნაწევრებელი ბგერა, და ხელები სახეზე აიფარა. მერე, როცა ბუნების შემათვისებელმა ძალებმა კიდევ უფრო, უკვე ზღვრამდე შეკრეს და შეამჰიდროვეს მისი სხეული და იქიდან ყველაფერი გამოდევნეს, რაც მყარი და კირკაჭი არ იყო, ხელები უკანვე ჩამოიღო და თვალი გაახილა. ანანია ტირიდა. დარჩოც ტირიდა. ზებულონს არ უტირია. მისი შენივთულა, დაწნეხილი სხეულიდან ცრემლი ვეღარ გამოიწურა.

ტახტზე ისახარი იწვა. დარჩოსა და მის კაცებს ყველაფერი ეღონათ, რაც კი შეეძლოთ, ნაწილები თავთავიანთ ადგილას მიედგათ ერთიერთმანეთზე, მაგრამ ისახარი გამთელება შეუძლებელი გამოდგა. თუმცა ორად გაჩეხილი თავი პირი პირზე კი მიედოთ, მაგრამ შუაში მაინც ნაპრალი დარჩენილიყო. ჯანსაღი თვალის ადგილას ღრმა სორილა იყო, მხოლოდ მეთრე ლიბრგადაკრული თვალისთვის არ ეხლოთ ხელი მკვლელებს. ილიებში სოკვეთილი მკლავები მერე კიდევ ორ ადგილას გადაეკრათ, იდაყვებთან და მარჯვებთან. ტანი სულ ერთიანად დაფლეთილი იყო და

სხეულის ნაფლეთებს ძლივს ფარავდა ტანსაცმლის ნაფლეთები. ფეხები ბარძაყებთან გადაეკრათ და შერე რამდენიმე ნაპრადა აეკებათ. ისახარის ნეშტს მარცხენა ფეხის ტერფი აკლდა.

ზებულონის დაწნეხილ სხეულში არაფერი არ მოძრაობდა. და ზებულონს საღდაც გარეთ, სხეულს გარეთ, გრძნობდა უცნაურ, გაუგებარ სიმშვიდეს, რომელიც თავადაც სხეულს ჰგავდა, რადგან სხეულივით დაწნეხილი, მკვრივი და თითქოს ნივთიერი იყო. ზებულონს უკვირდა და არ სჯეროდა ამ სიმშვიდის, სანამ საკუთარი ხმა არ მოესმა და არ დარწმუნდა, რომ ეს ხმაც მშვიდი, მკვრივი და ნივთიერი იყო.

— დარჩო, თქვა ზებულონმა, — მამაჩემს ცალი ტერფი აკლია.

ანანიამ ერთბაშად შეწყვიტა ტირილი და ზებულონს მოხედა. მზერაში გაკვირვება, მოულოდნელი მოწინება და ბუნდოვანი შიში ედგა.

დარჩო მწუხარედ და უხერხულად კმუჭნიდა ქუდს ორივე ხელით.

— ვერ ვიპოვეთ, შენი ჰირიმი, — მიუთხო ბოლოს, — ყველგან ვეძიეთ, წყალშიაც და ნაპირზედაც, მაგრამ ვერსად მივაგენით.

სიჩუმე ჩამოვარდა. ანანია და დარჩო ახლა უბოძდ მისჩერებოდნენ ზებულონს.

— კარგი, — თქვა მაშინ ზებულონმა — გადააფარე სუღარა. — და როცა დარჩომ ბრძანება შეასრულა, ბიძას მიუბრუნდა, — კინა, ძია ანანიამ?

— დართაშვილებმა, შვილო, — მიუთხო ანანიამ, — ეეჰ, ისახარო, ისახარო... სულელი იავორა შესწრებია, ყველაფერი თავისი ავალით უნახავს.

„მამ ის ცხენოსნები დართაშვილებთან მიდიოდნენ!..“ — გაიფიქრა ზებულონმა. იმავე წამს იოველ ბატონიშვილი გაახსენდა. მერე შეტრიალდა და ფიცრულიდან გავიდა.

ანანია და დარჩოც უკან მიჰყვნენ. ღობის გადაღმა, მთავარ ეზოში თავმოყრილი ხალხი აქეთ იყურებოდა. ზებულონი რომ გამოვიდა, ყველამ მას მი-

აპყრო მზერა. ახლა ამ მზერაში მოლოდინი იყო.

— დარჩო, — უთხრა ზებულონმა, — იაგორა მიხმე.

— ახლავე, შენი ჰირიმიე, — მიუგო დარჩომ და ხალხს შეერია.

წუთის შემდეგ ხალხი მიიწ-მოიწია და სულელი იაგორა გამოჩნდა. მსუქან სხეულზე უზვად მოდებული ქონი ერთნაირად უთიმთიმებდა, თვალები გადმოკარკლულა ჰქონდა, დიდრონი ლაშები გადმობრუნებული, პირზე დუქი მოსდებოდა. როგორც ყოველთვის ბრწყინვალე, კმაყოფილი ღიმილით იღიმებოდა. თუმცა ახლა მის ღიმილს მიზეზიც ჰქონდა: მთელი სოფლის თანდასწრებით ბატონებნათვის ისეთი რამ უნდა მოეთხორო, რაც მხოლოდ მან ნახა, მხოლოდ მან იცოდა და მაშასადამე მხოლოდ მისი საკუთრება იყო.

— იაგორა, — უთხრა ანანიამ, როცა სულელმა იაგორამ ალაგეს გადმოაბიჯა, — უამბე ბატონიშვილს, რაც ნახე და რაც გაიგონე.

...დაროაშვილები წლინახევრის წინ გამოჩნდნენ წყაროსთვალში. საიდან მოვიდნენ, არავინ იცოდა. ამბობდნენ, ეგენი დაროაშვილები არც კი არიანო, ბატონის გამოქექენქ, საიდანღაც და სხვისი ვეგრაით შემოადარეს თავი აქაბასო. სამინი ძმანი იყვნენ, ორი ცოლშვილიანი და ერთი უცოლშვილო. სამივეს გაბრტყელებული თავი ჰქონდა, ვიწრო, ბალნიანი შუბლი, უქმური სახე და უნდო გამოქეტყველება. ლაპარაკისას მოსაუბრეს თვალს არ უსწორებდნენ. ჩამოვიდნენ თუ არა, მაშინვე ზებულონის მამა-ბიძებს ეახლენ და სოფელში დასახლების ნება ითხოვეს. არც ანანიას, არც ისახარსა და არც გაბრიელს მათი ქუში სახეები და მგლუ.ი გამოხედვა არ მოეწონათ, მაგრამ თხოვნაზე აბა უარს როგორ ეტყოდნენ. დასტურიც მისცეს, დაუყვავეს კადეც და ადგილიც მიუჩინეს. დასტურსა და დაყვავებას დაროაშვილები გულგრილად, შუბლგაუხსნელად შეხვდნენ, მიჩენილი ადგილი კი არ ინდომეს და სოფლიდან

მოშორებით, ტყის პირას ამჯობინეს დასახლება. მალე მართლაც დასახლდნენ, მაგრამ ისეთი უგემური, სახეცლდახლო ქობი აიგეს, რომ წყაროსთვალელებმა იფიქრეს, ალბათ ზვალ-ზეგ ისევ აყრასა და წასვლას აპირებენო. წასვლით არ წასულან, დარჩნენ და ცოლშვილიან ძმებს იქ თითო ბავშვიც გაუჩნდათ, ეს იყო მხოლოდ, რომ სოფელთან მეზობლობა და ურთიერთობა თითქმის არ ჰქონდათ. ქალები საერთოდ არ გამოდიოდნენ სახლიდან და სოფელში ბევრს ისინი თვალათ არ უნახავს. ქვემოთ კაცებიც იშვიათად ჩამოდიოდნენ, ისიც მაშინ, თუ რამე აუცილებელი საქმე გამოუჩნდებოდათ. წყაროსთვალელები მალე შეეგუენ დაროაშვილების განკერძოებულობასა და უცნაურობას და ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ ერთ დღეს, ზამთარში, სოფელში ცხვარი დაიკარგა და პატრონმა ეჭვი დაროაშვილებზე მიიტანა. დაროაშვილებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ისეთი ამბით აღშფოთდნენ, რომ ცხვრის პატრონმა იფიქრა: ალბათ ცილს ვწამებო, და თავი მიანება. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი ცხვარი დაიკარგა. სოფელმა ისევ დაროაშვილებზე იეჭვა, მით უმეტეს, რომ მათ აქ ჩამოსახლებამდე წყაროსთვალში ქურდობა რა იყო, არ იცოდნენ, მაგრამ ცარიელი ეჭვი რას უშველიდა, როცა საბუთი არა ჰქონდათ რა. დაროაშვილებს კი თავი ისე ეკირათ, აშკარა იყო, უსაბუთოდ ბუზს არ აიფრენდნენ. ამგვარად მეროდეც შერჩათ. მაგრამ ნათქვამია, კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო, და აკი ბოლოს გაეზნენ კიდევ. უმცროს ძმა დაროაშვილს, სწორედ იმას, რომელიც უცოლშვილო იყო ისახარის ერთმა გლეხმა იმ დროს წაასწრო, როცა მოპარული ცხვარი ტომარაში ჩაესვა და გაქცევას აპირებდა. პატრონის გამოჩენაზე ცხვარი ტომრიანად დააგდო თურმე და მოკურცხლა. ის გლეხი დადევნებია და, თუმცა ვერ დაუჭერია, ისე აშკარად უცენია, რომ თვით შუბლისძარღვაწვეტილ დაროაშვილებსაც კი ვეღარ დაუფიცი-

ათ. მაშინ ისახარს, როგორც თავისი გლახის პატრონსა და დამცველს, ქურდი დაუბარებია და ხალხის თანდასწრებით დამუქრებია, სოფელში რომ ამის შემდეგ თმის ერთი ბეწვი მაინც დაიკარგოს, მოედანზე გამოგიყვან და შენს თავს საჭაროდ გაეაწყობლინებო. დარო-აშვილს, რომელიც მთელი საუბრის განმავლობაში დაბლვერილი ერთთავად განზე იყურებოდა, ღრჯოდ და გაუგებრად ჩაულაპარაკებია რაღაც და წასულა. ამის შემდეგ სოფელში მართლა მოისპო ქურდობა და წყაროსთვალელებმაც ეს უსიამოვნო ამბავი დაივიწყეს. ვინ იფიქრებდა თუ გულრძოდ დაროაშვილებს ბოღმა ჩახვეული ჰქონდათ და შემთხვევას ელოდნენ, რომ ამოენთხიათ რაღაც იმ დღეს მოხდა, სოფელში სულელი იაგორასაგან შეიტყო. სულელი იაგორა ტყეში ყოფილიყო, მდინარის ზემოთ, და იქიდან დაენახა ყოველივე. რაზე წალაპარაკდნენ ისახარი და უმცროსი ძმა დაროაშვილი, არ გაუგია, ხმაური რომ შემოსმია და მიუხედავს, დაუნახავს, რომ დაროაშვილს ბარისთვის დაუვლია ხელი და ისახარზე გაწეულა. ისახარს, რომელიც ჩვეულებისამებრ უიარაღოდ, მარტო ხანჯლის ამარა იყო, მოქნეული ბარი ცალი ხელით მოუგერიებია, მეორეთი ხანჯალი დაუძვრია და დაროაშვილისთვის ყური ჩამოუთლია, თან უთქვამს, ახლავე აქედან დამეკარგე, თორემ უარესს დაგმართებო. დაროაშვილს ისევე ბარისთვის დაუვლია ხელი და ღრიალით გაქანებულა ისახარისაკენ. ისახარს წედანდელივით აუცდენია მოქნეული ბარი, ახლა ბარძაყში უტაკებია ხანჯალი და, როცა უმცროსი ძმა დაროაშვილი ძირს დაცემულა, ხანჯალი გაუწმენდია, ქარქაშში ჩაუგია, მერე პირი დაროაშვილების სახლისკენ უქნია და დაუძახნია: „ეპეი, დაროაშვილებო!“ ძახილზე დაპრილის ერთ-ერთ რძალს გამოუხედავს. „თქვენს კაცებს დაუძახე, — უთქვამს ისახარს, — ეს ლეკვი მომაშორონ აქედან!“ უფროსი ძმები დაროაშვილები კი თურმე ამ დროს შინ კი არა, საღდაც ქვემოთ ყო

ფილან, ხმაურზე წამოსულან და... რა დაუნახავთ მიწაზე მოფარებულნი სისხლში მოთხვრილი ძმა და იქვე მდგარი ისახარი, ჩუმად წამოპარვიან უქნიდან, ჭერ ერთ მათგანს თავში ჩაურტყამს და მერე წაქცეულს ორთავენი ნაჭახებით დარევიან...

...იაგორამ მოყოლა დაამთავრა, გაჩუმდა და გადმოკარკლული თვალებითა და კმაყოფილი ღიმილით ხან ზებულონს მისჩერებოდა, ხან ანანიას.

— კარგი, იაგორა, — უთხრა ზებულონმა, — წადი. მაღლობელი ვარ შენი.

იაგორა შეტრიალდა და ნასიამოვნებში, რწევა-რწევით და მსუქანი სხეულის თიმთიმით ამაყად შეერია ხალხს.

სიჩუმე ანანიამ დაარღვია.

— ახლა მთავარი ისაა, ყოველივე სრულად ვაზღვევიანოთ მაგ წუნკლებს, რომ საწყალი ისახარის სულმა იმ ქვეყნად მოსვენებით იცხოვროს. ეეკ, ისახარო, ისახარო...

ამ დროს გარეთ კვლავ ატყდა ჩორქოლი მერე ვიღაცის ხმა მოისმა:

— მოდიან!

ის იყო, ეზოში მყოფი ხალხი შეტრიალდა, რომ მხედრებმაც გაჭაფული ცხენები ჰიშკართან მოაგდეს და სწრაფად ჩამოქვეითდნენ. ექვსნი იყვნენ: გაბრიელი, ზებულონის უმცროსი ბიძა, ანანიას ორივე ვაჟი და სამიც ახალგაზრდა გლეხი. ყველანი თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი.

ბიძა და ბიძაშვილები მაშინვე ანანიასა და ზებულონისაკენ გამოემუხრენ, გლეხები იქვე დარჩნენ, ჰიშკართან, და ირგვლივ შემოხვეულ ცნობისმოყვარე ხალხს ხელებით ქნევითა და აღელვებულ ხმით დაუწყეს რაღაცის მოყოლა.

გაბრიელმა და ანანიას ვაჟებმა ზებულონს აკოცეს, მხარზე გაამხნეველად, თუმცაღა გაუბედავად, მოუთათუნეს ხელი და იტირეს. მერე გაბრიელი ანანიას მიუბრუნდა, რომელიც მოთმინებით ელოდა:

— ვერ მივუსწარი. დედაწულიანად აყრილან და გადახევეწილან.

— ცხენები?
 — ცხენების წყევანა ვერ გაუბედნი-
 ათ. სამივე თავლაში ება.
 — იქ ხომ არ დატოვეთ?
 — არა. წამოვიყვანეთ.
 — ვიწროები თუ გასინჯეთ მთებში?
 — გავსინჯეთ. იქით არ უვლიათ. ან
 კი როგორ წავეიდოდნენ, მსუბუქად მა-
 ვალ კაცს უჭირს იქ გადასვლა, ამით კი
 ერთი დაპირილი ჰყავთ, ორი ქალი ახლ-
 ავთ და სამივე ჩველი ბავშვი.
 — სხვა გზა რომ არ ექნებათ, მაინც
 მანდღდან გადასვლას ეცდებიან.
 სიჩუმე ჩამოვარდა. მერე გაბრიელმა
 იკითხა:
 — ახლა რა ვქნათ, ანანიავ?
 — რაზედ ამბობ?
 — ამოდენა ტყეში სად ვიპოვოთ?
 ანანია დაფიქრდა.
 — მაგაზედ თქვენ ნუ ზრუნავთ, —
 ჩაერთა ამ დროს ზებულონი, — მაგ სა-
 ქმეს მე მოკვუვლო.
 — როგორ? — იკითხა გაბრიელმა.
 ანანია უხმოდ მოსჩერებოდა.
 — მე ვიცი, — თქვა ზებულონმა, —
 თქვენ მხოლოდ ქვემოთ გასაქცევი გზა
 არ მისცეთ, ვინიცობისაა აქეთ დააპირ-
 ონ გაპარვა.
 ამ სიტყვებით ზებულონი მთავარ ეზ-
 ოში გადავიდა, სწრაფი ნაბიჯით აიარა
 კიბე. თან ხალხის მზერა მიაცილებდა.
 ზებულონმა თავისი ოთახიდან თოფ-იარა-
 რალი გამოიტანა, კიბე ისევ ისე სწრაფი
 ნაბიჯით ჩამოათავა, თავლაში შევიდა,
 ქურანა გამოიყვანა, მერე ხმადაბლა და-
 წისტვინა და, ბროლაცა და ლომიაც რომ
 წამსვე მასთან გაჩნდნენ, ბიძებს მიუბ-
 რუნდა:
 — აქაურობა თქვენთვის ჩამიბარებია.
 მე თუ დროით ვერ მოვბრუნდე, ვინა-
 ლო ისახარს ისე აუფოთ წესი, როგორც
 მის კაცობას შეპფერის. დედას მიმიხე-
 დეთ, თავს არა აუტეხოს რა.
 — ჩვენც მოვდივართ! — თქვეს ბი-
 ძაშვილებმა.
 — არა! — მტკიცედ მიუგო ზებუ-
 ლონმა, — ნარტო უნდა წავიდე.
 — ხომ არ გაგიყდი! — გაუწყრა გა-

ბრიელი, — მარტო წასვლა როგორ იქ-
 ნება!
 — ჩემი საქმისა მე ვეცდები, ვაბრი-
 ელ, — იმავე კილოთი თქვა ზებულო-
 ნმა.
 — შენ მაინც უთხარ, ანანიავ! — არ
 ცხრებოდა გაბრიელი, — იმ ცოფიან
 მგლებთან ერთი კაცი რას გახდება.
 ანანიამ, რომელიც მთელი ამ ხნის გა-
 ნმავლობაში თვალმოუშორებლივ უყუ-
 რებდა ზებულონს, წყნარად თქვა:
 — წადი, შვილო. მართალ საქმეს
 ღმერთი მიუძღვის წინ, — ამ სიტყვებ-
 ით ნელა, დინჯად გადასახა პირჯვარი,
 მერე ძმას მიუბრუნდა, — იქნებ ეგრე
 სჯობდეს, გაბრიელო, თავისი სანთელი
 ყველამ თვითონ უნდა აანთოს.
 ზებულონი ცხენს მოახტა. ხალხმა
 გზა მისცა. ბროლა და ლომია უკან აე-
 დევნენ: ის იყო, ეზოს გარეთ შეგრო-
 ვილ ხალხსაც გასცდა, რომ სულ ბოლო-
 ში უცებ დარჩოს თინიას მოჰკრა თვა-
 ლი და ცხენი მოწყვეტით შეაყენა. მე-
 რე, სანამ ცხენს ქუსლს ჰკრავდა და
 გზას განაგრძობდა, წამით შედეგლო-
 ბის არედან ყველაფერი გაქრა და მხო-
 ლოდ თინია დარჩა, აბრანძული, გაბურ-
 ძგნული, ცხვირმოუხოცავი (მერე, ზებ-
 ულონი რომ დაბრუნდა და წყაროსთ-
 ვალში სიმშვიდე ჩამოვარდა, თინია
 თურმე იგონებდა, რომ შემომხვდა, ში-
 შისგან ლამის გული გამეპარაო, ისე მი-
 ყურებდა, თუ არ შემქამდა, არ მეგო-
 ნაო).
 ზებულონი სოფელს გასცდა და გეზ-
 დაროაშვილების ქოხისკენ აიღო. მალე
 მორღვეულ ქიშკარაში შეაგდო ცხენი და
 სახლის წინ ჩამოხტა. ქოხის კარი ღია
 დახვდა. ზებულონი შევიდა და იქაურო-
 ბა მოათვალიერა. იგი, ისევე როგორც
 წყაროსთვალელთა დიდი უმრავლესობა,
 დაროაშვილებთან ნამყოფი არ იყო.
 სახლი ერთი დიდი ოთახისგან შედ-
 გებოდა. კედლები ფარდალალა ჰქონდა,
 ჰერი აუფიცრავი, იქ მხოლოდ მოშვე-
 ლი, ჰვარტლისაგან გამურული კოჭები
 იყო. უსწორმასწოროდ დაწყობილი,
 ალაგ-ალაგ აყარლი ყავრის სახურავიც

ფარღალა იყო და ნაბრალეებიდან აქ-
იქ ცა მოჩანდა. ჩამქრალ შუაცეცხლში.
სამფეხა სადგარზე, თუჯის შავი, გამუ-
რული ქვაბი იდგა. ერთ კედელთან ორ,
ერთმანეთზე მიტყუებულ განიერ ტახ-
ტზე აბურღული ლოგინი ეყარა. ცალ
კუთხეში ფეჭილის კოდი იყო, მეორეში
— თავახლილი, ცარიელი სკივრი. შუა-
ცეცხლთან, ტახტების მოპირდაპირე
მხარეს, დაბალი, გრძელი ტახლა და
რამდენიმე ჭრკო იდგა.

ზებულონმა ყველაფერი ყურადღე-
ბით მოათვალიერა. მერე ძაღლებს გას-
ძახა:

— ბროლა! ლომია!

ძაღლები მაშინვე შემოცვივდნენ და
კართან შეჩერდნენ.

— აქ მოდიო! — ზებულონმა ისინი
აბურღულ ლოგინთან მიიყვანა, — გე-
ში! — უთხრა და მერე სამჭერ კიდეც
გაუმეორა მკაფიოდ და ბრძანების კი-
ლოთი, — გეში! გეში! გეში!

ძაღლებმა ქშიტინით მოყნოსეს იქა-
ურობა და, რომ მოათავეს, მოლოდი-
ნით მიაჩერდნენ პატრონს. მაშინ ზებუ-
ლონი ეზოში გამოვიდა, ცხენს მოახტა,
ეზოს გასცდა და ძაღლებს უბრძანა:

— კვალი! კვალი, კვალი, კვალი!

ძაღლები ჭერ ადგილზე დატრიალდ-
ნენ, ერთი პირობა ეზოში შებრუნებაც
დააპირეს, მაგრამ, ზებულონი რომ გა-
უჯავრდა, მანდ არა, აქეთ, აქეთო, ისევ
გადაიფიქრეს, მიწაზე დრუნჩდადებუ-
ლებმა ერთხანს კიდევ იწრიალეს ად-
გილზე და ბოლოს მიაგნეს იმ კვალს,
რომელსაც დაროაშვილები დადგომოდ-
ნენ. კვალი ტყის პირს მისდევდა, მდი-
ნარემდე აღწევდა და მერე აღმა მიდი-
ოდა კალაპოტის გასწვრივ.

მდინარის პირას ზებულონი ჩამო-
ქვეითდა. ცხენდაცხენ სიარული უკვე
სახიფათო იყო, რადგან ამხედრებული
კაცი ლტოლვილებს შეიძლებოდა მო-
რდინავე შეენიშნათ. გარდა ამისა, მალე
ისეთი ადგილები დაიწყებოდა, სადაც
ცხენი, სულ ერთია, ვერ ივლიდა.

ამიტომ ქურანას კისერზე სიყვარუ-

ლით მოუთათუნა ხელი, სახე დრუნჩ-
თან მიუტანა და ჩურჩულით უთხრა:

— შინ წადი, ქურანა, მისახართან
ქურანავ. ისახარი, ქურანავ, ისახარი...

ქურანამ წყნარად დაიფრუტუნა, თა-
ვი დააქნია, შეტრიალდა და ნელი ნაბი-
ჯით გაუდგა გზას შინისაკენ.

ზებულონმა და მისმა ძაღლებმა დიდ-
ხანს იარეს და გვარიანი მანძილიც გან-
ვლეს. რამდენჯერმე კვალი ლამის და-
კარგეს. პირველად რომ გაქრა კვალი,
ზებულონი საგონებელში ჩავარდა. იმ
ადგილას, საცა კვალი შეწყდა, მდინა-
რის პირას, კარგა დიდ მონაკვეთზე, გა-
უვალი ჭაგები იყო და ზებულონმაც
ბუნებრივია ივარაუდა, რომ გაქცეულე-
ბი ჭაგებს შემოუვლიდნენ და ისე განაგ-
რობდნენ გზას, მაგრამ როდესაც ძაღ-
ლებმა, რომლებიც ამ ვარაუდის შესა-
მოწმებლად გაგზავნა, უხალისოდ მიე-
ნოს-მოყნოსეს იქაურობა და ისევ უკან
დაბრუნდნენ, ცოტა არ იყოს შეშფოთ-
და და დაიბნა. ჭაგები კარგად მოათვა-
ლიერა, ფიქრი დაიწყო და მკირე ხნის
შემდეგ მიხვდა, რომ გაქცეულებმა ჭა-
გებს მეორე მხრიდან, წყალდაწყალ, შე-
მოუარეს. ასეც აღმოჩნდა. გასცდნენ
თუ არა ჭაგებს, ძაღლებმა ისევ მიაგ-
ნეს კვალს. მერე კიდევ რამდენჯერმე
გამეორდა იგივე. ბოლოს კვალი მართ-
ლა გაქრა. აქ ჭაგები აღარ იყო და
ლტოლვილებს შემოსავლელი არაფერი
ჰქონდათ. „გაღმა გავიდოდნენ“, — გაი-
ფიქრა ზებულონმა. მართლაც, გავიდ-
ნენ თუ არა მეორე ნაპირზე, მაშინვე
ისევ წააწყდნენ კვალს. მაგრამ ზებუ-
ლონის გასაკვირველად კვალი ქვემოთ
მიდიოდა.

ზებულონი სახტად დარჩა. რატომ
უნდა დაბრუნებულ იყვნენ დაროაშვი-
ლები უკან? მართალია მდინარიდან გა-
დახვევასა და ულრან ტყეში შესვლას
ნადირისა და გზის დაბნევის შიშით
აღბათ ვერ გაბედავდნენ, მდინარის ნა-
პირები კი, რაც ზემოთ მიიწვედი კაცი,
უფრო და უფრო ძნელი სავალი ხდე-
ბოდა, მით უმეტეს იმათთვის, ვისაც
დაპირილი კაცი და ჩვილი ბავშვები ახ-

ლდა თან, მაგრამ განა უკან დაბრუნება, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეიძლება მდევარს გადაპყროდნენ, ნაკლებ სახიფათო იყო? ან კი ქვემოთ სად უნდა წასულიყვნენ, სად უნდა შეეფარებინათ თავი? იქნებ აღმა სიარული ველარ შეიძლეს და სასოწარკვეთილებმა გადაწყვიტეს როგორმე სოფელი გადაეტყრათ და ბარად გაქცეულიყვნენ? მაგრამ სრულ ჰკუთხე მყოფი კაცი ასეთი უგუნური ნაბიჯის გადადგმას ვერ გაბედავდა, თუ სხვა გამოსავალს ვერ იპოვიდა, ერთი ორი დღე მიანიც შეიცდოდა, სადმე ახლო-მახლო შეაფარებდა თავს, ფრთხილად და დაკვირვებით შეამოწმებდა, სად როგორ იყო გზები შეკრული და გამაგრებული და, გაქცევის გეგმასაც რომ შეძლებისდაგვარად ლარზე და ხაზზე ააწყობდა, მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდოდა სამალავიდან და შეეცდებოდა სოფლის გავლით გაპარულიყო.

ასე იყო თუ ისე, კვალი თავქვე ეშვებოდა და ზებულონს სხვა არაფერი დაარჩენოდა გარდა იმისა, რომ უკან გაპყლოდა ძაღლებს, რომლებიც ფრთხილად, უხმაურად, ყნოსევა-ყნოსევით, მაგრამ დაბეჭითებით დაუყვნენ თავდაღმართს, და ის გზა, რაც ერთხელ უკვე გამოიარა, ხელახლა გაევილო. ზებულონს წამით არ მოშორებია უამური გრძნობა იმისა, რომ ჰკუთხე ატყუებდნენ, მაგრამ რა ექნა: მთელი თავისი გეგმა ბროლასა და ლომიას ალლოსა და გეშზე ჰქონდა დამყარებული და ართუ ვარაუდით, თუნდაც დანამდვილებით სცოდნოდა, რომ უკან დაბრუნება შეუძლო იყო, მიანიც უნდა დაბრუნებულყო, რადგან ერთადერთი ძაფი, რომელსაც, ადრე თუ გვიან დაროაშვილების ადგილსამყოფელთან შეეძლო მიეყვანა, კვალი იყო.

„სულ ერთია, ვერსად წამიხვალთ! — გაუელვებდა დროდადრო ფიქრი, — ქვესენელში რომ ჩაძვრეთ, იქაც გიპოვით!“ ეს არ იყო ისეთი ფიქრი, კაცი რომ თავის გასამხნეველად გამოიწვევს, რადგან გრძნობს შეცდომა მოსდის და

ეშინია იმედი არ დაკარგოს. არა, ეს ფიქრი დაფუძნებული იყო მტკიცე, გარდაუვალ რწმენაზე, რომელიც ზებულონს იმ წამს დაეუფლა, რა წამსაც ფიცრულში, ხის ტახტზე, დაკეპილი ისახარი იხილა. მაშინ ზებულონმა ცხადად იგრძნო, როგორ გარდაიქმნა ერთბაშად, მოულოდნელად, უცნაურად. ჩამოუყალიბებელი და შეუკრავი სხეული უეცრად ჩამოყალიბდა და შეიკრა. ისახარს მარცხენა ფეხის ტერფი აკლდა და ამის გამო ზებულონი ერთიანად დაიძაბა, შენიეთდა, თითქოს ერთ წერტილად იქცა და იმგვარი გახდა, წინ ვერა ძალა ვერ დაუდგებოდა. გამოხედვაც შეეცვალა, თავის დაქერაც, ღვთამაც, სიარულიც, რაღაც დატრიალდა მის არსებაში ისეთი, რომ დაროაშვილები შურისძიებას ვერ გაექცეოდნენ. და ახლა, როცა გრძნობდა, რომ შეცდომას უშვებდა, ისიც იცოდა, ეს შეცდომა დროებითი იყო და საბოლოო ჯამში არაფერი შეიცვლებოდა. თუმცა შეცდომას მიანიც წუხდა და ბრაზი მოსდიოდა, რადგან იმასაც ვერ შერიგებოდა, რომ მტერს თუნდაც დროებით ეჯობა.

რაც უფრო ქვემოთ მიიწევდნენ, მით უფრო იზრდებოდა ბუნდოვანი გრძნობა იმისა, რომ ჰკუთხე ტყუევდებოდა. ბოლოს ყველაფერი ნათელი შეიქნა: იმ ადგილს რომ მიაღწიეს, სადაც დაროაშვილების სახლიდან წამოსული, მდინარის გაღმა ნაპირს ზემოთ აუყუვა, კვალი ისევ გაქრა. ძაღლები აოაილზე დატრიალდნენ, ერთი უხელოლად ყნოსეს ჰრელი ყვავილებით დაფარული ნაპირი, მეტე შეჩერდნენ და ცოტა გაკვირვებულნი ზებულონს შემოაკვირდნენ. ზებულონმა სიბრაზისაგან კბილები გააღრჭიალა. აკი გრძნობდა! მიანიც მოატყუეს!

ბროლასა და ლომიას ამბავი მთელმა სოფელმა იცოდა და ეჭვი არაა დაროაშვილებსაც გაგებული ექნებოდათ. ამ ტყე-ღრეებში, სადაც უამრავი თავშესაფარი ადგილი იყო ისეთი, რომ, თუ შემთხვევით თავს არ წავადგებოდა,

კაციშვილი ვერ გიპოვიდა, მღევარს აღვილად დაემალეობოდნენ. სამაგიეროდ ძალღები იყენენ საშაში და დარო-აშვილებმაც იმათეთვე დაიჭირეს საიმისო თადარიგი, რომ ძალღებისთვის კვალი აებნათ.

ზებულონმა როგორც იქნა სიბრაზე მოთოკა და ვითარებას დინჯად და მშვიდად დაუფიქრდა. დაროაშვილების საქციელი უაზრო და უგუნური ჩანდა. კვალს მაინც ვერ წაშლიდნენ. თუ უკან დაბრუნდნენ და, ამ ადგილს რომ მოაღწიეს, ისევ აღმა წავიდნენ, რათა მღევარი დაებნათ და დრო მოეგოთ, ამით რა სარგებელს ნახავენ? თვითონ ხომ უფრო მეტ დროს დაქარგავენ დაჭირილი მშისა და ჩვილი ბავშვების პატრონები! ესეც არ იყო, ხომ შეიძლებოდა მღევარი მალევე დადევნებოდა და უკან მობრუნებულებს გზაში შეფეთებოდათ! ზებულონი დაძაბული ფიქრობდა, მაგრამ დაროაშვილების საქციელის აზრს ვერასგზით ვერ მიმხვდარიყო. იქნებ დაროაშვილების უკან დაბრუნება ფანდი კი არ იყო, არამედ რაღაც ფათერაკი შეემთხვათ და გზა ვედარ განაგრძეს? მაგრამ ასეთი რა უნდა შემთხვეოდათ, ან უკან დაბრუნება რას უშველიდა? ეზოში და ბაღში ხომ ვერ დაიმალეობოდნენ! არა, უკან მობრუნება ცხადი უგუნურება უნდა ყოფილიყო.

ზებულონმა ძალღებს ნიშანი მისცა და ისევ ზემოთ წავიდა. ამჯერად წინ თვითონ მიდ...

მზე მთის უკან ჩაეშვა და პაერში დამცხრალი, მოწითალო სხივებიც დაარჩა. მერე ისინიც გაქრნენ. ზებულონი, რამდენადაც ამის საშუალებას კლდიანი და ჭაგებიანი ნაპირი იძლეოდა, ჩქარი ნაბიჯით მიიწევედა წინ.

მალე ბინდი ჩამოწვა და, თუმცა ზებულონი მდინარის კალაპოტსაც და ნაპირებსაც სოფლიდან მოყოლებული სათავემდგ თავისი ხუთი თითივით იცნობდა, სიარული მაინც გაძნელდა. გარდა ამისა, ბინდმა თან რაღაც უსიამო სიჩუმე მოიყოლა. ირგვლივ ისეთი დუ-

მილი ჩამოწვა, თითქოს რაღაცეი ქვეყნად ცოცხალი სულგებნიც კცელებო ერთბაშად მომკვდარიყოს. ზებულონი და მისი ძალღები ისედაც ნიავეით უჩუმრად დადიოდნენ, ახლა კი, ეს უჩვეულო სიჩუმე რომ იგრძნო, ზებულონი კიდევ უფრო გაფრთხილდა და ძალღებსაც სიფრთხილე უბრძანა.

ბოლოს, როგორც იქნა, ისევ მიადგნენ იმ ადგილს, საიდანაც უკან მობრუნდნენ. ზებულონი შეჩერდა და დასასვენებლად და ახალი გეგმის დასაწყობად წყლის პირას ქვაზე ჩამოჯდა. ძალღებიც იქვე, მის გვერდით ჩაცუქდნენ.

მთვარე ამოვიდა. მდინარე ვერცხლისფრად ალაპაპდა. წყლიდან ამოშვერილმა დიდრონმა თეთრმა ლოდებმაც ფერი იცვალეს. ისევ თეთრები კი იყვნენ, მაგრამ ახლა მათ სითეთრეს იღუმალი, ზღაპრული იერი მიეცა.

ზებულონი დაძაბული ფიქრობდა. კვალი მდინარის ორსავე მხარეს ამ ადგილას ქრებოდა. მამასადამე ლტოლვილები მდინარეში შევიდნენ და წყალდაწყალ განაგრძეს გზა. მაგრამ წყალდაწყალ შორს ვერ წავიდოდნენ. მდინარის ფსკერი ლიბი ქვებით იყო მოფენილი, კალაპოტი ზოგან ძლიერ ვიწროვდებოდა და დინება ისე ჩქარი იყო, მის ვადასალახავად ხელცარიელსა და მარჯვე კაცსაც დიდი ვეჯკაცობა მართებდა, ზოგან ბუნებრივი, ღრმა მორევეები იყო, რომლებსაც კარგი მოცურავეებიც კი უფრთხოდნენ, ზოგან მდინარის მთელ სიგანეზე კლდის მაღალი კედელი იყო გადაჭიმული, წყალ კლდის შუა დარჩენილ ვიწროში მოქუბდა და კედელზე ჩანჩქერად გადმოდიოდა; თუკი ლტოლვილები ასეთ კლდეებს საერთოდ გადალახავდნენ, ეჭვი არ იყო, ძალიან დიდ დროს მოანდომებდნენ. ამიტომ ზებულონის ვარაუდით დაროაშვილები შორს წასვლას ვერ მოასწრებდნენ, სადმე ახლო უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო თუ ისევ ნაპირზე ამოვიდნენ და ისე განაგრძეს გზა კვალსაც დატოვებდნენ და პოვნაც აღარ გა-

პირდებოდა. მამასადამე ცოტა დასვენება და ძალის მოკრებაც შეიძლებოდა. მთავარია წვიმა არ წამოსულიყო.

რაკი დასვენება გადაწყვიტა, ზებულონს სოფელი და ისახარი გაახსენდა, ოღონდ ისე კი, რომ დაროაშვილები გაიშინებოდნენ არ ამოვარდნიო. ისახარი ხის ტახტზე იწვა და მარცხენა ფეხის ტერფი აკლდა, დაროაშვილები კი წყალდაწყალ მიიწევდნენ აღმა და წყალში და ოფლში გაწუწულები რის ვიავგლახით მიათრევდნენ დაპრილ ძმასა და ჩვილ ბავშვებს.

სად წავლენ! წყალდაწყალ სიარული ძნელია და სახიფათო. ან კი სადამდე უნდა იარონ! როდისმე ხომ ამოვლენ წყლიდან და, რაკი ამოვლენ, კვალსაც დატოვებენ. ისახარი ტომრებით ამოიტანეს და ძველ ფიცრულში, ხის ტახტზე ნაწილ-ნაწილ დაალაგეს. დაროსა და მის ვაჟს ბევრი უძებნიათ მარცხენა ფეხის ტერფი, მაგრამ ვერ უპოვიათ. ფიცრულში სანამ უნდა იწვეს? ასე ტახტიანად გადაიტანენ მთავარ სახლში თუ... ისახარი ფიცხი კაცი იყო. გაბრიელიც ფიცხი კაცი იყო. მხოლოდ ანანია იყო დინჯი, მშვიდი, დარბაისელი, და სოფელში ჰქუდადამჯდარი კაცის სახელი ჰქონდა დაგდებული. არა, დაროაშვილები განა სულ ვერ მოიგებდნენ დროს, მოიგებდნენ, მაგრამ ცოტას. მოგებით იმიტომ მოიგებდნენ, რომ აქედან დაპრილიან-ქალებიან-ბავშვებიანად კი არ დაბრუნდებოდნენ უკან, მარტო კაცები დაბრუნდებოდნენ, ანდა სულაც ერთ-ერთი მათგანი, რომელიც უფრო ფეხმარია, ჩაირბენდა და ამოიარბენდა, რათა მდევრისთვის გზა აებნია. სულ ერთია, შორს მაინც ვერ წავლენ...

უცებ ზებულონმა ხელი მოწყვეტით იტყვიცა შუბლში და ზეზე წამოვარდა. ამის შემხედვარე ძაღლებიც წამოცვივდნენ და ყურები დაეჭებინეს.

თითქოს ელვამ დაკვესაო, უეცრად, მყისიერად გაუნათდა გონება და ერთბაშად მიხვდა ყველაფერს. აი, თურმე როგორ მოატყუეს ცბიერმა და მზა-

ვარმა დაროაშვილებმა! თავი კაცი ეგონა და ბავშვივით კი წამოვარდა ანკესზე!

შარისქივა

— ჩქარა! წავიდეთ! — აღლვებულნი ჩურჩულთ უბრძანა ძაღლებს, — ლომია, გადაღმა იქით! იქით! შენ აქეთ, ბროლა! კვალი! კვალი! კვალი — და ძაღლებმა რომ დრუნჩები მიწაზე დასდეს და გზას გაუდგნენ, თავადაც უკან გაჰყავა.

სახეზე აღმური ასდიოდა, მთელი სხეული უხურდა და შუბლზე სიმწრისა და სირცხვილის ოფლს ასხამდა. კბილებს აღრპილებდა და თავის გულს ასკდებოდა, რომ ასე მიამიტურად გაება მახეში და, ვინ იცის, რამდენი დრო მოაგებინა გატყულებს. ახლა, როცა ყველაფერი დღესავით ნათელი იყო, ვერაფრით ვერ აეხსნა, თავიდანვე როგორ ვერ მიხვდა, რომ დაროაშვილებს უკან დაბრუნება არც უფიქრიათ. თავიდანვე ორად გაიყვნენ და ერთმა ნაწილმა ერთ ნაპირზე იარა, მეორემ მეორე ნაპირზე. ზებულონმა კი, ბრიყვმა, ბატმა, დოყლაბამ, ორი გზა ტყუილად გაიარა იქით-აქეთ და მჭეჭნის დრო დაკარგა.

„მაინც ვიპოვით! — უხმოდ ბრდღვინავდა ზებულონი და სიბრაზისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა, — ვერსად წამიხვალთ! არ შეგარჩენთ ისახარის სისხლს!“

დაკარგულ დროსა და ჩადენილ შეცდომას ახლა აღარაფერი ეშველებოდა. ახლა მთავარი იყო დამშვიდებულიყო, რომ მლელვარებისაგან ერთ შეცდომაზე მეორეც არ დაემატებინა.

მაღე მართლაც ცოტა დამშვიდდა. ფრთხილად მისდევდა ძაღლებს უკან და მთვარის შუქს ერიდებოდა.

კვალი კი არა და არ ჩანდა. დილით, როდესაც აღმოსავლეთით მზე ამოიწვერა და ის საკვირველი დღე გათენდა, ლამაზად გამოწყობილი და ქურანაზე ამხედრებული რომ იოველ ბატონიშვილთან უნდა გამგზავრებულყო, მდინარის სათავეს მიადწია.

მდინარე აქ პაწაწკინტელა ნაკადულად ამოჩუხჩუხებდა მიწიდან.

ღაროაშვილების კვალი არსად იყო.

აქ ზებულონმა ლამის იმედი დაკარგა, მაგრამ მალე იოველ ბატონიშვილი გონებიდან ამოვარდა და კვლავ ისახარი გაახსენდა. ისახარის დანახვაზე ზებულონმა მაშინ ერთი უნებურად შეპყვირა. თუმცა კი არ შეპყვირა, უფრო სიმწრით დაიზმუვლა. უცხო დიდიზმუვლა, დაჭრილი ნადირივით, მაგრამ იმ ზმუილმა მთელი მისი არსება ამოწმინდა, ეკვიც ამოიტანა, უნდობლობაც, ყოყმანიც, ყველაფერი, რასაც კი შეეძლო წმინდა შურისძიების გარდაუვლად რწმენა შეერყია. და თუმცა ზებულონმა მაშინ ეს ჭერ კიდევ არ იცოდა, სწორედ იმ წამს გადაწყვიტა, რომ მარტო უნდა დადევნებოდა ღაროაშვილებს, რათა თავისი სანთელი თვითონ აენტო.

ზებულონმა შეისვენა, ბროლა და ლომიაც დაასვენა და მერე ისევ ძებნა განაგრძო. ამჯერად ძაღლები მდინარის ორსავე მხარეს ნაპირიდან კარგა მოშორებით დააყენა. თუ ღაროაშვილები რაღაც მანქანებით წყლიდან ისე ამოვიდნენ, რომ ნაპირზე კვალი არ დეტოვოს, ფრთებს ხომ ვერ გამოისახამდნენ, ამოდენა მანძილზე სადმე ხოშ მანც უნდა დაედგათ ფეხი!

ძალიან ნელა მიიწევდნენ წინ. ჭერ ერთი, დღე იყო და სიფრთხილე მართებდათ, რომ ლტოლვილებს, ვინიცობისაა სადმე ახლო-მახლო ყოფილიყვნენ, თვალი არ მოეკრათ. გარდა ამისა, დროდადრო, სადაც კი ადგილი საეჭვო მოეჩვენებოდა, ზებულონი, რომელიც ხან ერთ ნაპირს მიუყვებოდა, ხან მეორეს და ხანაც წყალდაწყვალ მიდიოდა, რათა ორთავენი, ბროლაცა და ლომიაც, შეძლებისდაგვარად მხედველობის არეში ჰყოლოდა, ძაღლებს აჩერებდა და მთელ მიდამოს უფრო დიდ სივრცეზე და უფრო წვრილად ასინჯვინებდა.

გულში ღმერთს შესთხოვდა, წვიმა

არ წამოსულიყო და გაქციულებს კვალი არ გადაერეცხა.

წვიმა მართლა არ წამოსულა. მთელ ამ გაზაფხულზე ეს ერთადერთი დღე იყო, რომელიც ასე მშრალად დღამდა, და თუმცა ეს ამბავი ზებულონს კარგად ენიშნა, კარგი ნიშანი საქმეს ვერ წაადგა, რადგან საღამოს, როცა კიდევ ერთხელ მიაღწია იმ ადგილს, საიდანაც გუშინ ძებნა დაიწყო, ღაროაშვილებისა კვლავ არა იცოდა რა.

ახლა კი გულში შიში შემოეპარა. დიდხანს იჯდა გაუწმარეულად, თვალგაშტერებით ჩასცქეროდა ლამის ბინდში გახვეულ სივრცეს და არ იცოდა რა ელონა. ერთადერთი კვალი, რომელიც ძაღლებმა იპოვეს, გრძელი თოკივით შემოხვეოდა მდინარეს და მერე სულ ამ თოკზე ტრიალებდა, სხვაგან აღარსად მიდიოდა, აქ, ამ ადგილას, ღაროაშვილები ორად გაიყვნენ, ორსავე ნაპირს აღმა აუყვნენ, დიდხანს იარეს, მერე კვლავ შეერთდნენ მდინარეში და გაქრნენ. თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, უკვალოდ გაქრნენ.

ზებულონს ეკვი მაინც არ ეპარებოდა, რომ სწორად მოიქცა, როცა მარტო წამოსვლა გადაწყვიტა. აქი ანაინაც ხელადვე მიხვდა, რომ ზებულონი მარტო უნდა წასულიყო. და განა მარტო ანაინა! ყველა ამას მოითხოვდა ზებულონისაგან: ნათესავებიც, ახლობლებიც, მეზობლებიც, ყმებიც... დედას რომ გამოეთხოვდა და აივანზე გამოვიდა, და მერეც, ისახარი რომ ნახა აკეპილი და თავზარდაცემული გამოსცდა ფიცრულს, ყველანი მას შემოსცქეროდნენ. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა და მთელი სოფელი მას მოსჩერებოდა. ყველას ერთნაირი გამომეტყველება ჰქონდა და ყველას კუშტი მოლოდინი ეწერა სახეზე. ვისაც მამა მოუქლეს, შურიც მანვე უნდა იძიოს, თავისი სანთელი ზებულონმა თვითონ უნდა აანთოს, რათა ისახარი იმ ქვეყნად მშვიდად იყოს და მისი სული ავმა სიზმრებმა არ შეაფოთოს. სახეზე ყველას კუშტი მოლოდინი ეწერა, მოლოდინის

უკან შიში ჩანდა, შიში იმისა, რომ ვაითუ შეილი ლაჩარი გამომდგარიყო და მამის სსხლი ვერ აედო, ზოლო შიშის უკან ფართული რისხვა იდგა იმ შემთხვევისათვის, თუ ეს შიში გამართლდებოდა.

ზებულონის რწმენა მტკიცე იყო. ანანიას რწმენაც მტკიცე იყო.

მაგრამ ზებულონი ახლა საგონებელში ჩაეარდნილი იჯდა მდინარის პირას და არ იცოდა რა ექნა. ისახარს მარცხენა ფეხის ტერფი აკლდა და ასე დასახიჩრებული, ასე დახეიბრებული მიუვიდა მამა-პაპას, ზებულონი კი ორი დღეა ამაოდ ეძებდა მკვლელების კვალს.

სოფელში დაბრუნებაზე, რაღა თქმა უნდა, ფიქრიც არ შეიძლებოდა. სოფელი მისგან სამართლის აღსრულებას მოელოდა და აბა როგორ შეეძლო ასეთი მოლოდინი გაემტყუნებინა და ხელცარიელი დაბრუნებულიყო. იქნებ პირში არც არავის რამე ეთქვა, ეგებ დაემშვიდებინათ კიდევ, რა შენი ბრაღია, ამოდენა ტყეში რომ კაცი დაიმალება, როგორ უნდა იპოვო, სამაგიეროდ, ზურგს შეაქცევდა თუ არა, ვინც წამის წინ ამშვიდებდა, ახლა ზიზღით გვერდზე გადაფურთხებდა, ფუი შენს ვაჟაკობას, კაცი გქვია და მამის სსხლი კი ვერ აგიღია, სოფელში მაინც რა პირით გამოჩნდიო! და თუნდაც ზურგს უკანაც არა ეთქვათ რა, თავის თავს საღა გაეჭეოდა! იმის გახსენებაზე, რომ ისახარის ამღვრეული და აფორიაქებული სული მანამ ვერ მოისვენებდა, სანამ დარაშვილები ცოცხლები და საღსალამათები იყვნენ, ყელში ბოლმა აწვეებოდა და გულში ბალღამი უტრიალებდა. არა, დაბრუნება არ შეიძლებოდა. არც წყაროსთვალში და არც საღმე სხვაგან. ან უნდა ეპოვა მკვლელები, ან არადა მათ ძებნაში თვითონაც ამ ტყე-ღრეში ამოხდომოდა სული.

ლტოლვილების კვალი რომ ყულფივით ჰქონდა შემოკრული მდინარეს, თითქოს იმის მანიშნებელი უნდა ყო-

ფილიყო, რომ შორს არ წასულან, საღმე ახლომახლო იმალდებიან, თუკი რაღაც ჯადო არ იხმარეს და ისე არ გაქრნენ.

ბევრი ფიქრის შემდეგ ზებულონმა გადაწყვიტა მეორე დღეს, დილაღრიან, კიდევ ერთხელ კარგად მოეჩხრიკა მდინარისპირა ადგილები, ყველა ბუჩქი, ყველა ჩირგვი, ყველა გასაძრომ-გამოსაძრომი, და თუ გაქცეულთა ასავალ-დასავალს ვერსად წააწყდებოდა, ტყეში შესულიყო და ალალებდნე გაეგარძელებინა ძებნა.

უცერად წვიმამ წამოუშინა. ზებულონს არც გაუგია, როდის მოიდრუბლა. ერთბაშად მოიხსნა ცამ პირი და თავსხმა დაიწყო. ზებულონს სიმწრისგან ლამის ტირილი აუვარდა. თუკი საღმე კიდევ იყო შემორჩენილი კვალი, ახლა ისიც წაიშლებოდა და მდევარიც და დევნილებიც განგების იმედზელა რჩებოდნენ.

დაიწყო თუ არა წვიმა, ძაღლები მამინვე წამოკვივდნენ და იქვე ნაშალი კლდის ქიმს შეეფარნენ. ქიმი სახურავივით იყო ზემოდან გადმოფარებული და წვიმა ვერ ატანდა. ძაღლები მშრალზე დაწვენენ და თავები წინა თათებზე დაიწყეს. ზებულონი ფიქრებში იყო გართული და, კარგად რომ დასველდა, მერეღა მოიფიქრა, თავდაც კლდის ქიმს შეფარებოდა. ადიდებული მდინარე მრისხანედ ხმაურობდა. დროდადრო ისმოდა, როგორ ააგორებდა ქვებზე და ერთმანეთს ახლიდა. ციდან ღვართქაფი მოდიოდა და ირგვლივ უკუნი სიბნელე იწვა. ზებულონი, ერთიანად სველი, კლდის ძირას იჯდა ბროლასა და ლომის შუა და ქუშად გასცქეროდა შავ სივრცეს.

ბოლოს, როგორც იქნა, წვიმამ გადაიღო. იმავე წამს ცაც მოიწმინდა და მბეჭუტავი ვარსკვლავები გამოჩნდა. ხვალის გეგმა ზებულონს უკვე დაწყობილი ჰქონდა. მართალია ეს გეგმა მთლად საიმედოდ უკვე აღარ ეჩვენებოდა, მაგრამ რწმენა იმისა, რომ აღრე თუ გვიან გაქცეულებს იპოვიდა, ჭერ

კიდევ არ დაეკარგა. ახლა საჭირო იყო ამილამდელი ღამე საღამო გაეთია, რომ ცოტა სული მოეთქვა და თვალი მოეტყუებინა, თორემ ორი ღლის ამოა წაწალმა ძალა გამოაცალა. ძალღებსაც დასვენება სჭირდებოდა.

იოველ ბატონიშვილი კი ალბათ უკვე აღარ მიელოდა...

ზემოთ, მდინარის მახლობლად, ერთი გამოქვაბული ეგულებოდა, რომელიც შარშან შემთხვევით აღმოაჩინა. გამოქვაბული, დაროაშვილების კვალი რომ წყდებოდა, იმ ადგილის ზემოთ იყო მდინარისგან ცოტა მოშორებით.

ზებულონს უცებ გულში ექვმა გაქრა: იქ ხომ არ იმალებიან?

გამოქვაბული შამბნართა და ჭაგებით დაფარული და თითქმის მიუდგომელი იყო. თუ წინასწარ არ იცოდნენ მისი ადგილსამყოფელი, ასე გზადგაზა, თანაც მდევრის შიში რომ ფეხდაფეხ მოსდევდათ, ლტოლვილები ვერ მიაგნებდნენ; სამაგიეროდ, თუ წინასწარ იცოდნენ, უკეთეს სამალავს ვერც კი იხატებდნენ. ერთადერთი მისადგომი მდინარიდან ჰქონდა. ბექობ ნაპირზე რომ ახვიდოდით, დამრეც ფერდობს აყვეებოდით, ოციოდ ნაბიჯს გაივლიდით და შამბნართი დაფარულ ბორცვს მიაღებოდით. სწორედ ამ ბორცვის ქვეშ იყო გამოქვაბული. ხელმარჯვნივ, მცირე მანძილზე თუ გააღწევდით შამბნარს, გამოქვაბულის ვიწრო, ქვევრის ყელივით მრგვალი შესასვლელიც გამოჩნდებოდა. შესასვლელი იმდენად ვიწრო იყო, რომ ზებულონი, როცა ჩადიოდა, მხრებით ნაპირებს ეხებოდა. კედლები, კერი და ძირი ერთიანი კლდისა ჰქონდა. ყველა დანარჩენი მხრიდან გამოქვაბული მიუდგომელი იყო, რადგან ჭაგები, შამბი და ეკალბარდები დიდ მანძილზე ფარავდა.

სამალავად მართლაც რომ კარგი იყო, მაგრამ ზებულონმა სამაჯერ გამოიარა აქ მდინარის პირი და არც ერთხელ ძალღებს გამოქვაბულისკენ მიმავალ გზაზე კვალი არ შეუშინებიათ. ზებულონმა მოულოდნელად გაჩენილი ეჭვი

იქვე უკუაგლო და იმ გამოქვაბულში ღამის გათევა გადაწყვიტა.

გამოქვაბულს რომ ვიუპირდაპირდა, მაინც შორიდან შემოვლა ამჯობინა. აქვე რომ ასულიყო მდინარისპირა ბექობზე და პირდაპირ გამოქვაბულისაკენ მიმავალ ფერდობს აყოლოდა, მცირე მანძილი მოტიტვლებულ მინდორზე უნდა ეგლო და, თუმცა საექვო იყო შამბნარსა და ხშირ, მაღალ ჭაგებს შუა მოქცეული გამოქვაბულის პირიდან ვინმე დაენახა, მაინც სიფრთხილე ამჯობინა, რადგან თუ ლტოლვილები მართლა აქ იმალებოდნენ, მაშინ იქნებ მეთვალყურე დარაჯიცი ყოლოდათ საგანგებოდ დაყენებული. ამიტომ ზებულონმა ცოტა კიდევ იარა აღმა და, ის მოტიტვლებული მინდორი რომ უკან მოიტოვა, მერედა ავიდა ნაპირზე. აქ თხილისა და იელის ბურქნარი იყო. ტიტველი მინდორი მარჯვნივ დარჩა. ზებულონი ბურქებს ფრთხილად აუყვა და ფერდობი აიარა. შამბნარს რომ მიადწია, შეჩერდა, გაიტრუნა და სმენად იქცა. ჩამიჩუმე არსაიდან ისმოდა. მაშინ ოთხზე დადგა და უჩუმრად შეძგრა შამბნარში. ბროლა და ლომია ასევე უჩუმრად მოსდევდნენ გვერდით. ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ, ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდნენ და აყურადებდნენ. გზას ხშირი, სქელი ეკალბარდები ულობავდათ და, თუმცა ზებულონი ხანჯლით ფრთხილად კრიდა ეკლებს და გზას შეძლებს დაგვარად იკვალავდა, სახე და ხელები მაინც გვარიანად დაეკაწრა. ადრე ამ მხრიდან გამოქვაბულამდე მისვლა არასოდეს უცდია, ყოველთვის მინდორ-მინდორ აღიოდა ხოლმე, ამიტომ მხოლოდ გუმანით გრძნობდა, სად უნდა ყოფილიყო გამოქვაბული და რა მანძილი დარჩა გასავლელი.

კარგბანს იარეს ასე. ცა უკვე სულ ერთიანად მოწმენდილი იყო, მაგრამ ვარსკვლავები მკრთალად ბქუტავდნენ და ირგვლივ სიხნულე იწვა. უეცრად ძალღები მოწყვეტით შეჩერდნენ. ზებულონმა იგრძნო, რომ დაიძვარნენ და

ტანზე ბალანი აეშალათ. წამსვე თვითონაც შეჩერდა და გაინაბა. ჩქამი არსაიდან ისმოდა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა, მაგრამ ძაღლების დაცქვეტილი ყურები იმას მანიშნებელი იყო, რომ რაღაც საეპიკურძნეს. ნადირის სუნი თუ იკრესო, გაიფიქრა ზებულონმა, რომელსაც არა სჯეროდა, რომ დაროაშვილებს შეიძლებოდა ეს სამალავი სკოდნოდათ, ან შემთხვევით ეპოვნათ. კარგახანს იდგა ასე ოთხზე, გაშეშებული და სუნთქვაშეკრული, ბოლოს, რაკი სიჩუმე მეტად აღარ დარღვეულა, ძაღლებს დრუნჩებზე ხელეები მიუსუ-მოუსვა, ანიშნა აქ დარჩითო, თვითონ კი მუცელზე გაწვა და ხოხვით განაგრძო გზა.

ამ მხრიდან შამბნარი ზედ გამოქვაბულის პირამდე გრძელდებოდა და მხოლოდ იქით, გადაღმა, შესასვლელთან იყო პაწაწკინტელა მინდორი. ზებულონი გრძობდა, რომ გამოქვაბულის ყელი უკვე სულ ახლო იყო, ალბათ ორიოდ ნაბიჯი თუ აშორებდა. უცებ ღამის ვრილმა, სუსტმა ნიავმა რაღაც ხმა მოიტანა. ზებულონი გაშეშდა და სუნთქვა შეიკრა. ხმა აღარ გამეორებულა. კარგახანს რომ ამოდ იყა მიყურადებული, იფიქრა, მომეჩვენაო. ცოტა კიდევ გახოხდა წინ და მიწაზე განრახმულმა ოღნავ ასწია თავი. მაცყლის ხშირი, სქელი ბარდები მიღმა ბუნდოვანდ გამოჩნდა გამოქვაბულის ვიწრო, შავი ხერელი და ხვრელის ირგვლივ პაწაწკინტელა მინდორი. ზებულონი სმენად იქცა. თუმცა გამოქვაბული ღრმა იყო, თუ ლტოლვილები მართლა იქ იძალებოდნენ, მათი ხმა მაინც ამოაღწევდა მიწის ზემოთ. რაღაც თქმა უნდა, ეცდებოდნენ არ ელაპარაკათ, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, ან ბავშვს არ წამოეტირა, ან დაჭრილს არ დაეკვნესა!

ზებულონი დიდხანს ელოდა. გამოქვაბული დუმდა. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. მაშინ ოღნავ უკან გახოხდა და ძაღლებს ხმადებლა დაუწრუჟუნა. ბროლა და ლომია უხმაუროდ მოვიდ-

ნენ, წელანდელზე მეტად დაიძაბნენ და ბალანი სულ ერთიანად აეშალათ. ზებულონმა ახლა აქ დასტოვა ძაღლები, კვლავ წინ გახოხდა, საცა წელან იყო, ისევ იქამდე მივიდა და გაიტრუნა. რაკი ძაღლებმა სუნი აიღეს, ახლა ლოდინის მეტი სხვა არაფერი დარჩენოდა. დილამდე რომ დასჭირვებოდა შამბებში გაუნძრევლად წოლა, დილამდე გაუნძრევლად უნდა წოლილიყო.

ხანი რომ გამოხდა, ნიავმა ისევ მოიტანა რაღაც ხმა. რისი ხმა იყო, ზებულონი ვერ მიხვდა, მაგრამ ამჯერად ხმა მალევე გამეორდა, თანაც უფრო მკაფიოდ, ცოტაც და ხმა ფრთხილ, უჩუმარ ნაბიჯებად იქცა. ზებულონს გულმა ისეთი ბავა-ბუგი დაუწყო, შეეშინდა, თავი არ გავცეო. ნაბიჯების ხმა გამოქვაბულიდან მოდიოდა. ზებულონი უკანასკნელ ზღვრამდე იყო დაძაბული და გაფაციცებული.

მალე გამოქვაბულის ვიწრო ყელიდან შავი ლანდი ამოძვრა. ლანდი მხრებამდე ამოიწია, ხელებით მიწას დაეყრდნო, თავი უკანვე, გამოქვაბულისკენ მიაბრუნა და სუსტი, ძლივს გასაგონი ჩურჩულით თქვა:

— ამო, ნუ გეშინია.

ხმა ქალისა იყო.

ეს რომ თქვა, ლანდი მთლიანად ამოვიდა გამოქვაბულიდან. ოღონდ გამართვით არ გამართულა, იქვე მიწაზე დაჯდა და მიიხედ-მოიხედა.

მალე მეორე ლანდმაც ამოყო თავი და ჩურჩულით იკითხა:

— მშვიდობაა?

ესეც ქალის ხმა იყო.

— მშვიდობაა, მშვიდობა, — მიუგო პირველმა, — მშვიდობა არ მისცეს ღმერთმა დაროაშვილებს ჩვენი გამწარებისთვის. ამო.

მერე ლანდი ამოვიდა და პირველს მიუჯდა გვერდით. გამოქვაბულის შესასვლელისკენ ზურგშექცევით ისხდნენ, ღამის სიბნელეში ბუნდოვან აჩრდილებად ჩანდნენ და, ხმა რომ არ გაეგონა, ზებულონი ვერც კი ვაარჩევდა ქალები იყვნენ თუ კაცები.

— ამა, აქ არავინ გვისმენს, ეხლა მითხარ, თუ რა იცი. — თქვა პირველმა ლანდმა.

— ბალახებია, ჭა, — უხალისოდ მიუხედავად მეთრე, — ხუთიოდ სხვადასხვა ბალახია. დედაჩემისგან მისწავლია. იმ ბალახების წენითა კეთდება, — აქ ცოტა ხანს გაჩუმდა, თითქოს რაღაცის გუნებაში სწონისო, მერე განაგრძო, — მაგრამ ჭერ შენ მითხარ, მართლა ეგრე თქვა შენმა კაცმა?

— ეგრე თქვა, მაშ!

— რაო?

— ესე და ესეო, ჩვენათ ტყეზე ერთი გზა ვიცით, სხვამ არავინ იცისო. ახლა ის გზა კარგად უნდა გავსინჯოთ და, ე ბიჭო რომ გამომჯობინდება, იმ გზით უნდა წავიდეთო. სანამ არ გამომჯობინდება, ვერ წავალთ, იმიტო რო ძნელი ნაგალიაო, ძალიან ძნელი სავალიაო, ბალღებს კი როგორმე გადავიყვანდით, მაგრამ ამ დაქრილ ბიჭს იმ კლდე-ღრეში ვერ ვათრევთ, სადმე ხელში ჩაგვაკვდებაო.

— მაშ, ეგრე თქვა?

— ეგრე თქვა. სიტყვისიტყვით ეგრე თქვა: ბალღებს როგორმე გადავიყვანდითო.

აქ ლანდები გაჩუმდნენ და ერთხანს ასე ისხდნენ. მერე ისევ პირველმა ამოიღო ხმა:

— ახლა რაღას იტყვი?

მერე დაფიქრდა. ბოლოს ყოყმანით თქვა:

— მაშ რა ვქნათ, ჭა...

— ის უნდა ვქნათ, რომ ჩვენი შვილები ვიხსნათ! — პირველმა გაცხარებისაგან ხმასაც კი აუწია, — მაგათ რო ჰკითხო, მინამ იმ ბიჭს ფეხზე არ დააყენებენ, აქ აპირებენ დარჩენას. შენი მტერი დადგეს ფეხზე, ეგ ფეხზე დადგება. ვერა ხედავ, სიციხისაგან აღმური ასდის და ჭერაც გრძობაზე არ მოსულა! ვიდრე მაგას რამე ეშველება, ამ ჭურღმულში, მდევარმაც რომ ვერ მოგვაგნოს, მალე ისეც ამოგვხდება სული. — პირველი ლანდის ხმაში უკვე სიმკაცრე და მბრძანებლური კილო

ერია, — აქ ვიპოვით სადმე იმ შენს ბალახებს, თუ შორს მოგვიჩვენებ წასვლა?

— აგე, ყველა აქ არის, — მეორე ლანდი ისევ უხალისოდ ლაპარაკობდა, — გუშინვე შევნიშნე, მაგრამა...

— რალა მაგრამა, ჭალო, ხელი მოგვმართვია და ეგ არის!

— ღეთის გაჩენილია, რაც არ უნდა იყოს...

— ღეთის გაჩენილი! — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა პირველმა, — განა არ იცი, დაროაშვილების გაჩენაში ღმერთი არ ურევია. ეგენი სულ ეშმაკებისა და ჭაჭების ჩამომავალნი არიან.

— სუ, ჭა, ღმერთს ნუ სცოდავ!

— ღმერთი და ხატი კი გასწყრომი ჩვენს ამომგდებლებსა და დამქცევრებს! შენ მაგათ კიდე არ იცნობ. მამა-პაპაც ეგრე ღეთის პირიდან გავარდნილი ჰყავდათ. ჰეე, ვინ იცის მაგათ ხელში რალა არ გადამიტანია... განა მე ისეთი ოჯახიშვილი ვიყავ, ტყე-ტყე წაწალში დამელამებიანა ჩემი ყმაწვილ-ქალობა! შენ კიდე, ღეთის გაჩენილო, გაიძახი. ღეთის გაჩენილი ჩვენი შვილები არიან და ამათ უნდა ვუშველოთ. განა ღმერთს ეამება, რომ ერთ დაქრილსა და ისედაც მომაკვდავ კაცს უმანკო ბალღები ვანაცვალოთ!..

ცაზე ვარსკვლავები ოდნავ ბუტბუტავდა. ძირს სიბნელე იწვა. დაროაშვილების ორი რძალი ორი შავი აჩრდილივით იჭდა გამოქვამულის ბნელი ხერხელის პირას და დაქრილი მახლის ბედს წყვეტდა.

რა ვიცი, ჭა, რა ვიცი! — მცირე დუმილის შემდეგ თქვა მეორე ლანდმა.

— რა უნდა იცოდე! აღეჭ და დაქრიოფე! მიაგნებ სიბნელეში?

— როგორ არა, ხელითა ვცნობ... მაგრამ... იქნებ ხვალამდე მოგვეცადა?

— ამაღამ რომ დაბრუნდნენ?

— ღმერთო, შემიხდე და მამატიე, — სასოებით თქვა მეორე ლანდმა, ჭერ წამოიწია, მერე მუხლებზე დადგა, ასე მუხლებზე მდგარმა ხელების ფათურით შემოიარა ის პაწაწიანტელა მინდორი

და მალე უქანვე დაბრუნდა. — აჰა ეს არის, — უთხრა პირველ ლანდს და ჩაბლუჭული ბალახები გაუწოდა.

— ხომ იცი, როგორ უნდა?

— უნდა დავნაყოთ.

— გიხმარია?

— მე არა, მაგრამ დედაჩემისგან გამოგონია... წვენი უნდა გამოვჭაჩოთ და

ტრილობაში... — აქ ცოტა ენა დაება, — ისე, რომა... სისხლში რომ გაიხსნას.

— მაშ, ჩავიდეთ და დავნაყოთ. —

ამ სიტყვებით პირველმა ლანდმა ბალახები გამოართვა და მერე ორთავენი გამოქვაბულში ჩაძვრნენ.

ზებულონი გაოგნებული იყო. თავში გაუგებრად უტრიალებდა აბურღული ფიქრები, გონების თვალწინ კი ერთდროულად ხედავდა აკვილ ისახარსა და დაჭრილ დაროაშვილს, რომელიც მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი.

იწვა ასე შამბნარში პირკვედამხოზბილი, შავ სიბნელეში მჭიდროდ გამოხვეული, სუნთქვაშეკრული და გატრუნული. არაფერზე არ ფიქრობდა, თავში აზრი არ უქაჰანებდა, იწვა გაუნძრევლად და რატომ იწვა, ან რას ელოდა, თავადაც არ იცოდა.

ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ასე, უცერად რომ გამოქვაბულიდან ამოვარდნილ ყრუ ღმუილს არ შეეკრთო. ღმუილი შემზარავი იყო და სასიკვდილოდ დაჭრილი ნადირის ხმას ჰგავდა. ერთი გაისმა საბრალობლად, სასოწარკვეთით, უიმედოდ, და მყისვე მიწყდა.

ღმუილზე ბროლა და ლომია ელვის უსწრაფესად, მაგრამ სრულიად უჩუმრად და უხმაურად, ზებულონის გვერდით გაჩნდნენ. თან გაკვირვებულები ჩანდნენ, თან დაბნეულები, თან საბრძოლველად გამზადებულები. და ორთავე — ზებულონი ვერ მიხვდა შიშის გამო თუ სხვა რაიმე მიზეზით — ერთიანად ცახცახებდა. ზებულონი ისე იყო არაქათგამოცლილი, დიდი ჯაფა დაადგა, რომ ხელები ოდნავ აეწია, რათა ძაღლებისთვის თავზე გადაესვა და დაემშვიდებინა. მერე ხელები ისევ ჩა-

მოჰყარა და კიდევ დიდხანს იწვა მოშვეებული და გასავათებული. ისე რომ განძრევის სახსარი არა ჰქონდა.

დაროაშვილების რძლებმა თავიანთი განაჩენი აღასრულეს.

ზებულონს როდის-როდის დაუბრუნდა საძრაობის უნარი, წამოიწია, წამოჯდა და, გონებაც რომ დაეწმინდა, წამსვე ძველებურად აივსო ძალითა და ღონით, რადგან მიხვდა, რომ შურისგების ჯამი მოახლოებული იყო.

გამოქვაბულიდან ჩამოჩუმბი აღარ ისმოდა. ზებულონი წამოდგა, ძაღლებთან ერთად შამბნარიდან გამოვიდა და მდინარეზე დაბრუნდა. ახლა მთავარი იყო ძმები დაროაშვილების გამოჩენა არ გამოპარვოდა.

დაროაშვილები ან გაღმა მხრიდან უნდა მოსულიყვნენ ტყე-ტყე, ან მდინარეს უნდა ჩამოჰყოლოდნენ. ზებულონმა ტყის პირი ბროლას ჩააბარა, მდინარის გზა კი ლომიას, თან აუხსნა, რომ, როგორც კი სუნს იკრავდნენ, წამსვე მასთან გაჩენილიყვნენ. ძაღლებმა პატრონის ნათქვამი გაიგეს და სადარაჯოდ წავიდნენ, მაგრამ დილა ისე გათენდა, დაროაშვილები არ გამოჩენილან. ბროლა და ლომია მთელი ღამე ფხიზლად დარაჯობდნენ, ზებულონი კი მთელი ღამე წყალში დადიოდა და რაღაცას ეძებდა. კაცს რომ არ სცოდნოდა, გულში რა განზრახვა ედო და ისე ელევნებინა თვალი მისი საქციელისთვის, იფიქრებდა, ალბათ შეიშალაო და რას სჩადის თავად არ იცისო. ხან აღმა აუყვებოდა მდინარეს, ხან დაღმა დაუყვებოდა, ხელის ფათურით ეძებდა წყალში ქვებს, ზოგს, შეეხებოდა თუ არა, მაშინვე თავს მიანებებდა, ზოგს ძირს მოუსინჯავდა, წყლიდანაც კი ამოსწევდა, ხელებს ყოველი მხრიდან დაკვირვებით მოუსვამდა და მერე შიატოვებდა, ზოგს კიდევ უფრო დიდხანს სინჯავდა და მტკავლით ზომავდა. თითქმის მთელი ღამე ასე იარა გამოთენიის ხანს ერთ დიდ, თეთრ ღოდთან ხანგრძლივად შეჩერდა, ყოველი მხრიდან გასინჯა, რამდენჯერმე გადა-

მტკავლა, ბოლოს ორივე ხელი ქვემო-დან ამოსდო, ფსკერს ოდნავ ააცილა, მაგრამ წყლიდან არ ამოუღია, უფრო მსუბუქი რომ ყოფილიყო, ასე წყალ-წყალ წამოიღო, იმ ადგილას მიიტანა, სადაც გამოქვაბულისკენ ყველაზე მო-კლე გზა მიდიოდა და აქ ისევ წყალში ჩადო, ოღონდ, სანამ თავს მიანებებ-და, ორჯერ კიდევ გულმოდგინედ გა-ზომა.

ქვა თეთრი იყო, თავწვეტიანი და ბოლოვანიერი, და ვეება, ზღაპრულ კვერცხს ჰგავდა. იმოდენა იყო, სხვა, ზებულონის ადგილას, წყალ-წყალ ტა-რებასაც ვერ შეძლებდა.

ზებულონმა ქვა აქ დატოვა, თვითონ ზემოთ აუყვა მდინარეს, თხილისა და იელის ბუჩქნარში შეძვრა და გათენე-ბამდე იქ დარჩა.

დღე შამბნარში გაატარა და შუად-ლისას, წვიმა რომ წამოვიდა, კარგადაც დასველდა, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოუტვლია, თან გამოქვაბულს უთ-ვალთვალეზდა და თან იმ გზას, საიდანაც დაროაშვილების გამოჩენა იყო მო-სალოდნელი, თუმცაღა ეჭვი ეპარებო-და, რომ დაროაშვილებს დღის სინათ-ლეზე ტყიდან გამოსვლა გაეზღდათ.

დაროაშვილები მესამე დამეს დაბ-რუნდნენ.

შუალამე გადასული იყო. ძაღლები თავიანთ სადარაჯოზე იდგნენ, ზებუ-ლონი კვლავ თხილისა და იელის ბუჩქე-ბში იჯდა ისეთ ადგილას, საიდანაც მდი-ნარიდან გამოქვაბულისაკენ მიმავალი მიწდორი კარგად ჩანდა.

უეცრად აღღვებულნი და აფო-რიანებულნი ლომია მოვარდა, პა-ტრონს გაეხახუნა, დრუნჩით ხე-ლები მოუძებნა და ენა აუსვა, მერე ყურებდაცკვეტილი და დაძაგრული წინ დაუდგა და თვალბში შემოაცქერდა.

დაროაშვილები წყალდაწყალ მოდი-ოდნენ!

ზებულონი სწრაფად წამოდგა. შესა-ძლოა დაროაშვილებს ვერც გაეზღდათ შიშველი მინდვრით ასვლა და სწორედ ამ ბუჩქებს ამოპყლოდნენ; ამიტომ

ლომიასთან ერთად შამბნარში შეძვრა და ძველ ადგილას ჩასაფრდა, გამოქვა-ბულის შესასვლელთან, იქ, სადაც პი-რველად აღმოაჩინა ლტოლვილები. აქე-დან გამოქვაბულის პირიც ჩანდა და მი-ნდორიც. ბროლას დარდი არ ჰქონდა. ბროლა ტყის მხარეს დაარჯობდა და, თუ მაინც აიღებდა სუნს, უგრძობლად გამოსხლტებოდა და ჩუმად მოძებნიდა პატრონს.

კარგახანს დასჭირდა ლოდინი. ეტყო-ბოდა ფრთხილად მოდიოდნენ, ნელა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდნენ. ჯერ ერთი მოკუზული ლანდი გამო-ჩნდა, მერე მეორე. ხელში ორთავეს თითქოს რაღაც ეჭირათ და ამან ზებუ-ლონი გააკვირვა. ჯერ ვერ გაიგო, თუ რა უნდა ყოფილიყო, მერე კი, როდესაც წინ მომავალმა ლანდმა ის რაღაც საგა-ნი წყალსა და ბეჭობს შორის გასდო, მიხვდა: ფიცარი იყო. გრძელი, განიერი ფიცარი. სანამ ზებულონი რამეს მოისა-ზრებდა, ლანდები იმ ფიცარზე შედგნენ. წამოვიდნენ, მერე წინ მეორე ფიცარი დაიგეს, ზედ გადმოვიდნენ, მიბრუნდნენ ის პირველი აიღეს და, მეორე რომ გა-მოიარეს, ახლა ისევ პირველი დაიგეს.

აი, თურმე რატომ არ დაუტოვებიათ კვალი! აი, თურმე როგორ აუბნიეს გზა ძაღლებს!

ზებულონმა ახალა დააფასა დაროა-შვილების მთელი ვერაჯობა და მოხერ-ხებულობა. გამოქვაბული ხომ სცოდნი-ათ და სცოდნიათ, ქედზე გადასასვლე-ლი ისეთი გზაც სცოდნიათ რომელიც არც წყაროსთვალელებმა იცოდნენ და არც ქედს გადაღმა მცხოვრებმა ურჯუ-ლოებმა. ახლა კიდევ ეს ფიცრებიც, კვა-ლის დასაფარავად მოგონილი! ვინ იცის, ეგებ მართლა ეშმაკებისა და ქაჯების ჩამომავალნი არიან!

ამსობაში ფიცარ-ფიცარ მომავალმა დაროაშვილებმა მინდორი ამოათავეს, გამოქვაბულში ჩავიდნენ და ფიცრებიც თან ჩაიტანეს. ზებულონი ლომიას მიუ-ბრუნდა:

— ბროლა მოძებნე! ბროლა, ბროლა, ბროლა! — უთხრა ჩურჩულით.

ლომია უხმეუროდ გაქრა. ზებულონი კიდევ უფრო ახლო მიიწია, გამოქვაბულის პირს მიადგა და ყური მიუვლო. ნაბიჯების ხმა მიწყდა. მერე რალაც სხვა, გაურკვეველი ხმა მოისმა, მერე, მცირე დუმილის შემდეგ, ჩოჩქოლი ატყდა, თითქოს რამდენიმე კაცი ერთად ალაპარაკდა, მერე ისევ დუმილი და ბოლოს მკაფიოდ გაისმა კაცის ხმა: „მოკალით ხომ!“ ხმას არც სიბრაზე ეტყობოდა, არც გამწარება, არაფერი, უბრალოდ გაისმა: „მოკალით ხომ!“ და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ზებულონი კიდევ დიდხანს იყო მიყურადებელი, მაგრამ გამოქვაბულში დუმილი არ დარღვეულა. ამასობაში ძაღლებიც მოვიდნენ. ზებულონი უკან გახიზნა, ძაღლებს ხელები დრუნჩებზე მოუსვა, ანიშნა, აქ დარჩითო, თავად შამხნარიდან გავიდა და მინდორს ჩაუყვა. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და სიფრთხილეს აღარ იცავდა.

ისახარის ამღვრელი სული უკვე გრძნობდა სიმშვიდის მოახლოებას.

ზებულონი მდინარეზე ჩავიდა წყალში შევიდა, წინასწარ მომზადებულ და საგულდაგულოდ დაზომილ თეთრ ლოდს ქვემოდან ამოსდო ორივე ხელი, ასწია, წყლიდან ამოიღო და ნაპირისაკენ მძიმედ, ნელ-ნელა წავიდა. მალე ნაპირი რის ვაივავლაბით აიარა, ბეჭობზე შეჩერდა, ლოდი ძირს დადო, წამით შეისვენა, ამოისუნთქა, მერე ისევ შეუყო ქვემოდან ორივე ხელი, ასწია და ფერღობს შეუყვა. ლოდი მუცელს ქვემოთ, ბარძაყებთან ეჭირა, სიმძიმისაგან წელში წახრილიყო თავიც ჩაელუნა, წონასწორობა რომ არ დაეკარგა, ფეხები გან-გან დაჰქონდა და მოკლე ნაბიჯებით მიდიოდა. მარცხენა ფეხს რომ ასწევდა, ლოდის სიმძიმე მარჯვნივ ხრიდა, მარჯვენა ფეხს რომ ასწევდა, მარცხნივ ხრიდა. მიდიოდა ასე მოკუზული და თავჩაღუნული მთელი ტანის რხევით და ტერითის სიმძიმის გამო ყოველ ნაბიჯზე ოდნავ გაღებულ პირიდან ხმადაბალი, მაგრამ გაურკვეველი, დაუნაწევრებელი ბგერები ამოსდიოდა. ამ სიბნელეში რომ შორიდან შეგეხებათ, იფიქ-

რებდით ფერღობზე რალაც უცხო ნადირი მიბობდაესო.

მინდორი გალია, შამხნარის ვიწრო ზოლი გადაჭევა და, გამოქვაბულისპირა მცირე მდელაზე რომ გავიდა, ბროლამ და ლომიამ საფარი მიატოვეს, წინ შემოეგებნენ და გაკვირვებით მოახერდნენ. ზებულონს ძაღლებისთვის ყურადღება არ მიუტყვევია, არც კი შეუნიშნავს, რადგან ახლა წარმოუდგენელი სიმძიმის მეტს ველარას გრძნობდა. არც არაფერი ესმოდა, ვერც ვერაფერს ხედავდა. ლოდი ისეთი იყო, მდინარიდან გამოქვაბულამდე ოთხი მაგარი ვაჟაკი ვერ ამოიტანდა.

ის მცირე მდელიც გაიარა, გამოქვაბულს მიადგა, ფეხები კიდევ უფრო გაშალა, ძაბრივით ამოღრმავებული შესასვლელის აქეთ-იქით დააბჯინა, ჩაიკუზა, ლოდი ამოატრიალა, ისე რომ წვეტი ქვემოთ მოუქცია, და გამოქვაბულის ყელში ჩაუშვა. ლოდი სამ მეოთხედზე ჩავიდა, მერე გამოქვაბულის კლდოვან პირზე ერთი უამხურად დაიხრიალა და ყელს მჭიდროდ დაეცო.

ძაღლებმა დაიწყავეწყავეს და დამფრთხალები უკან გადახტნენ. გამოქვაბულიდან ყრუ, გაურკვეველი ხმა მოისმა.

იმე წამს ზებულონს მოეჩვენა, თითქოს გონებას სქელი, მღვრიე ნისლი გადაეცალა და უეცრად ყოველივე საკვირველი, არაადამიანური სიცხადით გამოჩნდა, გამოქვაბულის ყელიც, შიგ ჩამხობილი თეთრი ლოდიც, ჭაგნარიც, მთელი ის ხუთი დღეც, რაც შინიდან წამოსული დაროაშვილების კვალს დაეძებდა, უცნაურად განათდა ყოველივე, თითქოს მზემ დანარჩენ სამყაროს ზურგი შეაქცია და მთელი თავისი ძალა ზებულონისკენ მიმართა. ამ დიდმა სინათლემ სხეულში ისეთი ტკივილით გაუბრა, ზებულონს ფიქრის დრო რომ ჰქონოდა, გაუკვირდებოდა, ცოცხალი როგორ გადავრჩიო. მაგრამ ფიქრის დრო არ დარჩა. გონებაში მხოლოდ ერთმა აზრმა დაკვესა და ისიც ელვის უსწრაფესად ჩაქრა: რომც მოეწადინებინა,

ლოდს უკან ველარ ამოიღებდა, რადგან გამოქვაბულის ყელს ირგვლივ ძაბრის-მაგვარი ღრმული ერთყა და, ლოდს რომ მოსკიდებოდა, ამ ღრმულში ისე უნდა ჩაკიდებულყო, როგორც თონეში.

მაგრამ ამ ტყვიასავით სწრაფმა აზრმა წამსვე გადაიარა, მწუხარე ხმებიც — ლოდის, ძაღლების, გამოქვაბულის — მიწყდა და კვლავ მღვრიე ნისლი ჩამოწვა.

ზებულონმა ერთი ღრმად ამოისუნთქა, ბალახში ჩაჯდა, ხელები შემოკეცილ მუხლებზე შემოიკლიო, ზედ ნიკაპი ჩამოსდო და უტყვი თვალებით მიჩერდა შავ სივრცეს.

სხეულში სიცარიელეს გრძნობდა. უკვე მებუთე ღამე იყო თვალზე რუღი არ მიჰკარებოდა. ახლა კიდევ ამოდენა ლოდი ათრია.

მაღე გამოქვაბული ხელახლა აგუგუნდა. შორეული, მოგუდული ხმები ერთმანეთში ირეოდა. სიტყვებს ვერ გააჩვენდით, ხმებს მხოლოდ განწირული უილაჯობა და გარდაუვალი სიკვდილის დამზადრავი შიში ეტყობოდა.

ბროლა და ლომია მოშორებით ისხდნენ, მოუსვენრად წრიალებდნენ, ცახცახებდნენ და დროდადრო საწყალობლად წკმუტუნებდნენ.

გამოქვაბულში ხან სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ხანაც ყრუ, დახშული, გულისშემძვრელი გოდება ისმოდა.

ხმა რომ მიწყდებოდა, ბროლა და ლომია წამოდგებოდნენ, გაუბედავად მიუახლოვდებოდნენ გამოქვაბულის შესასვლელს, სარკველს ყნოსვა-ყნოსვით შემოუვლიდნენ, მერე ყრუ გოდება რომ ისევ გაისმოდა, შემკრთალები უკან გამობრუნდებოდნენ და კვლავ მოშორებით დასხდებოდნენ.

დიღბანს გრძელდებოდა ასე. ბოლოს ცა მოულოდნელად მოიქუფრა და ერთბაშად ისეთი დელგმა ატყდა, გეგონებოდათ ზეციერმა მდინარეებმა ნაპირები წალეკეს და მრისხანე ღრიალით დეღამიწაზე გადმოეშვნენო. მერე უცებ სიბნელე ელვის რკალმა გაკვეთა

და ცაზე ტალღა-ტალღა გადაიარა გრუხუნმა. ერთს მეორე მოყვა და მალე გამაყრუებელი ჰეჰა-ჰუხილი დაიწყო. წამი-წამ ელავდა, წამი-წამ ქუხდა, წვიმა ნიაღვარივით ასხამდა, ირგვლივ მღვრიე ნისლი იწვა, ცა ისე ბობოქრობდა და ისე დგანდგარებდა, იფიქრბდით ქვეყნიერების აღსასრული დამდგარაო.

ზებულონი გაუნძრევლად იჯდა. წვიმა გამეტებით სცემდა და სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა. დიდხანს იჯდა ასე. ბოლოს, როდის-როდის, წამოდგა. ფერდობზე წვიმის წყალი მღვრიე ნაკადულებად მოედინებოდა. ამის დანახვაზე ზებულონს თვალი გაუშტერდა. ერთხანს უაზროდ უყურებდა, მერე ხანჯალი ამოიღო, მიწის ჩიჩქნას შეუდგა, დიდხანს იმუშავა მუყაითად, საბოლოოდ ნაკადულებს კალაპოტი შეუცვალა და გამოქვაბულის ძაბრში მიუშვა. მერე იდგა და უყურებდა. წყალი სარკველის ირგვლივ ძაბრში ტრიალებდა, ნაბრალს პოულობდა და გამოქვაბულში ჩადიოდა.

გამოქვაბულიდან აღარაფერი ისმოდა. ეგებ ისმოდა კიდევ, მაგრამ ირგვლივ ისეთი ქარტახილი იდგა, ყველა სხვა ხმას ახშობდა. ზებულონმა მხოლოდ ერთხელ გაიგონა: „ზებულონი! ზებულონი!“ მაგრამ ეს კაცის ხმას არ ჰგავდა და საერთოდ ძნელი სათქმელი იყო, მართლა გაიგონა თუ მოეჩვენა.

დილით ქვეყნიერება დაწყნარდა, წვიმამ გადაიღო, ცაზე მზე გადმოდგა და ზებულონის ნამუშავეს გადმოხედა.

ზებულონი ახლა ისევ ბალახში იჯდა. ისე უაზროდ და უგრძობლად იჯდა, რომ გვეითხათ, დაბეჯითებით ვერც კი გეტყოდათ, იმ დროს საერთოდ იყო თუ არა.

დღე როგორ მიილია, არ გაუგია. როცა საკუთარი თავის შეგრძნების ნიჭი დაუბრუნდა, მზე უკვე დასავლეთით იყო გადახრილი.

ძლივძლივობით, გაჭირვებით წამოდგა. ერთბაშად იგრძნო საოცარი, არაადამიანური სისუსტე და დაღლილობა.



სახსრები ტეხდა, დათეთქვილ სხეულში ძაღლის ნატამალი აღარ შემორჩენოდა. თკალით ბროლასა და ლომიას დაუწყყო ძებნა, მაგრამ ვერსად დაინახა. მაშინ ნელა, ლასლასით დაეშვა ქვემოთ. მუხლები ეკეცებოდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე საშინელ ტკივილს გრძნობდა. თავდაღმართი რომ ჩაიარა და მდინარის ბექობს მიადგა, მეტი ველარ შეძლო და დასასვენებლად დაჯდა. უფრო თავი მოიტყუა, ვიდრე დაისვენა, რადგან, ზეზე რომ წამოდგა, სახსრები ისევ ისე ტეხდა და მუხლებიც ისევ ისე ჰქონდა მოკვეთილი. მაშინ წასვლა გადაწყვიტა და ძაღლებს ჩუმად დაუწრუბუნა. იმავე წამს გაახსენდა, რომ საშიში უკვე აღარაფერი იყო, და ხმამაღლა დაუძახა. ძაღლები არსად ჩანდნენ. ერთი კი გაუკვირდა, რა იქნენო, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, იფიქრა, ეგებ უკვე წავიდნენ, თუ არადა სადმე ახლო-მახლო იქნებიან და გზაში წამომეწყვიტაინო.

დაროაშვილების ნამოსახლარს რომ მიადგნა, შემოაღამდა კიდეც. აქ ცოტა ხანს შეჩერდა. კარგად არ იცოდა, მაგრამ რაღაც გუშანით გრძნობდა, რომ იმაზე ყოყმანობდა, შესულიყო თუ არა. ბოლოს გადაწყვიტა არ შესულიყო, სახლს გვერდი აუქცია და გზა განაგრძო. ორღობესთან მარჯვნივ აუხვია, ზემოდან შემოუარა სოფელს და ცაცხვებით შემოზღუდულ სასაფლაოს მიადგა. შეიძლება ისახარი ჭერ არც კი იყო დასაფლავებული, თანაც უკვე ბნელოდა და ახალი და ძველი საფლავები ძნელი გასარჩევი იყო. მაინც დაუწყყო ძებნა. მალე წააწყდა კიდეც სველი, მაგრამ ჭერ კიდევ ფხვიერი, ახლადდაყრილი მიწის ზეინს. შეჩერდა და პარჯვარი გადაიწერა. ერთხანს იდგა და უყურებდა. მოეჩვენა, თითქოს იმ ადგილას, საცა ისახარს მარცხენა ფეხის ტერფი უნდა ჰქონოდა, საფლავის ყორე ჩაზნექილი იყო.

სასაფლაოდან გამოსულმა სახლს ისე მიადგნა, გზად არავინ შეხვედრია. ეზოს რომ მიადგა და კიშკარი შეაღო, მიხვ-

და, რომ ბროლა და ლტყვეჯვრაც არ დაბრუნებულყვენ. **გაგალონის**

სამი დღე და სამი ღამე ზებულონს გადაბმულად ეძინა. ეძინა ღრმად, აუზღვრევლად, თითქოს ყოველივე ამქვეყნიურს გარიდებულყო სადღაც შორეთში იმყოფებოდა, სხეული წყნარ ნეტარებაში გახსნილყო, ირგვლივ სიმშვიდის თბილი, ფაფუკი საბანი ეხვია და, მისი ტბილი ძილი რომ დრომდე და ვადამდე არაფერს აემღვრია და აეფორიაქებინა, დარაჯად თავად ძილის მეუფე ედგა. ამ სამი დღის განმავლობაში მართალია ათასში ერთხელ, როცა დარაჯს თვითონ წამოეპარებოდა თვლემა, სიზმრის მავნე ეშმაკი დროს იხეტოებდა, უჩუმრად გახსლტებოდა და ზებულონის მიმქრალ ცნობაში წამით ლანდებივით გაივლებდნენ დაროაშვილების ბალები, მაგრამ ძილის მეუფე სწრაფადვე გამოფხიზლდებოდა, სიზმრის მავნე ეშმაკს დაიქერდა, გარეთ გასვამდა და ზებულონიც კვლავ საამო მოთენთილობაში გაიბნეოდა. ზოგჯერ ზებულონს ვიღაც ეძახდა: ზებულონი ზებულონი! მაგრამ ეს დაროაშვილების ხმა არ იყო, უფრო თითქოს დედის ხმას ჰგავდა, თუმცა ზებულონი კარგად ვერც არჩევდა, მართლა ესმოდა თუ ეჩვენებოდა.

სამი დღე-ღამე იძინა და მერე გაიღვიძა. გაღვიძებულმა პირველად ბროლა და ლომია მოიკითხა და, რა გაიგო ჭერაც არ დაბრუნებულანო, შეწუხდა. ნეტა რა იქნენ? სად უნდა წასულიყვენ ან რა უნდა დამართოდათ?

მაგრამ ძაღლების დაკარგვა მალე გულიდან გადაეარდა, რადგან სხვა უფრო შემამფოთებელი ამბავი შეიტყუო: დედა თავის ოთახში ჩაკეტილიყო და არც თავად გარეთ გამოდიოდა, არც არავის შიგ უშვებდა. მხოლოდ მავდა შედიოდა დღეში ერთხელ, მზის ჩასვლის ეამს, და სპილენძის პატარა სურით წყალი შეჰქონდა. საკმელს დედა ახლო არ იკარებდა და მხოლოდ წყლით

თუ გაისვებოდა პირს ხანდახან. თუ-
რმე ერთთავად მუხლმოყრილი იდგა
მაცხოვრის ხატის წინ და დღედაღამ
გულმხურვალედ ლოცულობდა. დედა
რომ ღეთისმოსავი იყო, ეს ზებულონმა
კარგად იცოდა, მაგრამ ისიც იცოდა,
რომ დედისთვის მთავარი სალოცავი
ოჯახი იყო და, არჩევანზე რომ მიმდ-
გარიყო საქმე, ეტყეოდა არაა ოჯახს აირ-
ჩევდა და ღმერთს გასწირავდა, რადგან
ღმერთი არსებითად ოჯახისთვის სჭირ-
დებოდა. ამიტომ ზებულონს ვერ გაე-
გო ეს თავგადაკლული ლოცვა და მარ-
ხულობა. როცა თავისი გაკვირვება მაგ-
დას გაუზიარა, ამ უკანასკნელმა მწყრა-
ლად და, როგორც ზებულონს მოეჩვენ-
ნა, ზიზღით მიუგო, ღმერთს ცოდვების
შენდობას ვეფერებო. ზებულონი წა-
მოენტო და ძლივს შეიკავა თავი, რომ
მოხუცისთვის უკადრისი სიტყვა არ
ეთქვა. რაც კი რამ ქვეყნად ნათელი,
წმინდა, სპეტაკი და შეუბღალავი არ-
სებობდა, ყველაფერი დედაში ეგულე-
ბოდა. მას ისეთი რა ცოდვა უნდა
ჰქონოდა, რომ ლოცვაში დამეგები ეტე-
ხა? ზებულონი მთელი დღე გულამღვ-
რეული დადიოდა, გრძობდა, რომ ეს
გულამღვრეულობა მართო მაგდას ნათ-
ქვამით არ ყოფილა გამოწვეული, რა-
ლაც სხვა მიზეზიც არსებობდა. რა იყო
ეს სხვა მიზეზი, არ იცოდა, მაგრამ გა-
უაზრებელი და იღუმალი შიში ჰქონდა
მისი და ამის გამო კიდევ მეტად ემღვ-
რეოდა გუნება. რამდენჯერმე მიადგა
დედის ოთახს და ისევ უკან გამობრუნ-
და. იქნებ აკრძალვა მასზე არ ვრცე-
ლდებოდა? თუკი მოახლეს ჰქონდა შეს-
ვლის უფლება, ვითომ შვილს რატომ
არ უნდა ჰქონოდა? მით უმეტეს, რომ
ზებულონს ახლა — თუმცა თავს ანგა-
რიშს ვერ აძლევდა და არ იცოდა რა-
ტომ — როგორც პაერი ისე სჭირდებ-
ოდა დედის დანახვა. მხოლოდ დანა-
ხვა, მეტი არაფერი. მაგრამ ვერ გაბე-
და შესვლა. იცოდა, დედა არ დატუქ-
სავდა და მაინც ვერ გაბედა. მაშინ შე-
ეცადა გონების თვალწინ მაინც წარ-
მოედგინა დედის სახე, მაგრამ ვერა-

ფერს გახდა. ყველა მცდელობა ამო-
იყო. ზოგჯერ შორეულ, მღვრიე სივრ-
ცეში თითქოს რაღაც ამოძრავდებოდა,
სახედ შენივთდებოდა და ნელა წამო-
ვიდოდა წინ, რათა ნისლოვან სივრცეს
გამოსცდენოდა და სინათლეზე გამო-
სულიყო, მაგრამ ბოლო წამს ისევ ნა-
წილებად იშლებოდა და ბურუსში იხ-
სნებოდა. ზებულონი შიშმა აიტანა.
ერთი პირობა გადაწყვიტა თავისი სუ-
რვილი მაგდას პირით შეეთვალა და
ნახვის ნება ეთხოვა, მაგრამ ვერც ეს
გაბედა. გრძობდა, რომ მაგდა შუამავ-
ლობაზეც ცივ უარს ეტყოდა.

სოფელი ზებულონს მღუმარე მოწი-
წებით შეხვდა. საიდან ან ვისგან გაი-
გეს, თუ როგორ დამთავრდა დარბაზ-
ვილების დედის ამბავი, არავინ იცის
(ზებულონისთვის კაციშვილს არაფერი
უკითხავს), მაგრამ, ყველაფერი რომ
გაიგეს, ეს აშკარა იყო. ბიძებმა და ბი-
ძაშვილებმა უსიტყვოდ, ოღონდ, რო-
გორც ზებულონს მოეჩვენა, ცოტა შემ-
კრთალებმა მოუთათუნეს მხარზე ხე-
ლი და მაშინვე გაეცალნენ. მოხუცი
გლეხები ორღობეში ქუდს უხდიდნენ
და მდაბლად უკრავდნენ თავს. სადმე,
რომელიმე მეზობლის ეზოს წინ თავ-
შეყრილი და ხმამაღლა მოყაყანე ხა-
ლხი მის გამოჩენაზე სწრაფად დადუმ-
დებოდა, გაისუსებოდა, ასე მღუმარედ
გააყოლებდა თვალს და მხოლოდ მას
შემდეგ, რაც კარგა შორს გაიგუ-
ლებდა, განაგრძობდა შეწყვეტილ
ლაპარაკს. თუ მოწიწებაში პატივის-
ცემა ურევია, წყაროსთვალელთა მოწი-
წებაში შიში ერია. ერთხელ, როდესაც
გზად დარჩოს თინია შემოეფეთა, ეს
შიში ზებულონმა თვალნათლივაც ნა-
ხა. თინიას მხარზე ფიჩხის კონა გაედო
და შინ მიჰქონდა. ზებულონის დანახ-
ვაზე წამით მონუსხულივით გაშეშდა
ადგილზე, მერე უცებ ფიჩხის კონა
ძირს დაადგო და კისრისტებით დაეშვა
ფერდობზე. ზებულონმა განცვიფრე-
ბით გააყოლა თვალი, თინია კი დიდი
ხნის შემდეგ, როცა ეს ამბავი უკვე
მოძველებული იყო და მშვიდად შეიძი-

ლებოდა მისი გახსენება, ყვებოდა, იგრეთი თვალებით შემომხედა, რომ არ გავტყუულიყავ, იქავ კატასავით წამახრჩობდაო, და თუ დედაკაცები ჩააცივდებოდნენ, რათა, ქა, რას გერჩოდაო, პასუხობდა, წამახრჩობდა კია და, რას მერჩოდა, აბა მე რა ვიციო.

აი, მაგდას კი არც შიში ჰქონდა, არც მოწიწება, ისე იქცეოდა, თითქოს ზებულონს სულაც ვერ ამჩნევდა, ხოლო თუ ზოგჯერ აუცილებელი საქმის გამო ერთი-ორ სიტყვას გამოიმეტებდა, ამ ორ სიტყვას ისე ვადმოუგდებდა, როგორც მათხოვარს პურის ნატეხს. მისი გულისხმიერება და სინაზე არც აღრე გაუგია ვინმეს, თავისი ქალბატონის მეტი ქვეყნად არავინ უყვარდა და ზებულონი ისე გაიზარდა, მისგან ერთი თბილი სიტყვა არ დამახსოვრებია, მაგრამ ახლა მის ქცევაში, გამოხედვაში, ხმის კილოში, მიმოხევაში, უკვე არა მარტო სიცივე და გულგრილობა, არამედ სიძულვილიც მოჩანდა, რაც აქამდე ზებულონს არასოდეს შეუძინებია.

ძაღვები არა და არ დაბრუნდნენ.

ხანი რომ გამოხდა, მაგდამ თანდათან უკლო დედასთან სიარულს. ბოლოს სამ დღეში ერთხელ შედიოდა. წყალი აღარ შეჰქონდა, დედამ ყველაფერზე უარი თქვა. ამან ზებულონი ძალიან შეაშინა, ერთხელაც გამბედაობა მოიკრიბა და მაგდას ჰკითხა, დედა რასა იქსო. რას უნდა იქმოდეს, ლოცულობს და მარხულობს, სანამ ძალა ეყოფაო, მწყარალად მიუგლო მაგდამ. ზებულონმა უიმედოდ, მაგრამ მაინც ამოილულულა, შევალ და მოვინახულებო. მაშინ მაგდამ ხმაში კიდევ მეტი სუსხი გამოუტრია და ისეთი კილოთი, თითქოს თვითონ ყოფილიყოს ბატონი და ყმას ელაპარაკებოდეს, უთხრა, თუ დასკირდები, თავად დაგიძახებსო, და ზებულონმა უკვე ვეღარ გაბედა შეპასუხება.

ზებულონს ცალკე ბროლასა და ლომიას ამბავი აწუხებდა. რაკი არ იქნა და ძაღვები არ გამოჩნდნენ, ერთ დღეს ადგა და მდინარეს აღმა შეუყვა. თან

ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს ძაღვების მოძებნა ტყუილად. მხოცხებაბა, სინამდვილეში სხვა რამ საქმეზე მიდიოდა. დაროაშვილების კარმიდამოს რომ გაუსწორდა, იქ სახლის ნაცვლად ნაცრისა და ნახშირის გროვა დახვდა. ვინ გადაწვა, ან როდის გადაწვეს, არ გაუგია, მაგრამ ამ სურათის დანახვაზე გაფითრდა და ერთხანს დარეტიანებული იდგა. მერე ისევ გზა განაგრძო. იმ ადგილს რომ მიატანა, სადაც მდინარის ზემოთ გამოქვაბული იყო, შეჩერდა. შეჩერდა, იწრიალა, იყუყმანა, ბოლოს ნაპირზე ავიდა და ფერლობს აუყვა. გამოქვაბულს რომ მიუახლოვდა, უცებ მოწყვეტილ შედგა. გამოქვაბულის ამოქოლილ შესასვლელთან ბროლა და ლომია ჩაუტყუელიყო. რას აკეთებდნენ, ზებულონმა ვერ გაარკვია, რადგან იმავე წამს ძაღვებმაც შენიშნეს პატრონი. ერთი მოხედეს, რაღაც უცხო, უცნაური ხმა ამოუშვეს — ზებულონი ვერ მიხვდა, შიშისა იყო, სიავისა, სასოწარკვეთისა თუ ყველაფერ ამის ერთად — ისკუპეს და ეკალბარდებში ფაცხა-ფუცხით მოუსკეს.

— ბროლა! ლომია! — გასძახა ზებულონმა, მაგრამ ძაღვები უკანმოუხედავად გარბოდნენ და მალე თვალს მიეფარნენ.

დედამ ორმოცი დღე იმარხულა და მოკვდა. საღამო ხანს მოკვდა, შებინდებისას. კრინტი არ დაუძრავს, ერთი კენესა არ წამოცდენია, ლოცვით დალოლიდა და ლოცვითვე დაამებული მისი სული წყნარად, უშფოთველად, უხმაუროდ გაეყარა ხორცს და ჩამოწოლილ ბინდს შეერია.

სანამ მოკვდებოდა, მაგდას პირით ზებულონი იხმო. მაგდამ ბოლო ხანებში ისევ მოუხშირა ქალბატონთან სიარულს. მართალია წყალი აღარ შეჰქონდა, მაგრამ შესვლით ყოველდღე შედიოდა, ხანდახან დღეში ორჯერაც. იმ დილითაც შევიდა და, როცა უკან გამობრუნდა, ზებულონს, თითქოს მაწანწალა ძაღვს უჯავრდებო, ისეთი ხმით უთხრა, დედაშენი გეძახისო. ზე-

ბულონი შეერთა, აფორიაქდა, გულის-
ცემა გაუხშირდა. ისე ღელავდა, გეგო-
ნებობდათ მისი ბედი და უბედობა ამ
წუთზე ეკიდა.

უკანასკნელად დედა მაშინ ნახა, რო-
ცა დაროაშვილების დევნას მორჩა და
შინ დაბრუნდა. თუმცა იმ ნახვას ნახვა
არც ეთქმოდა. მაშინ დალილი-დაქან-
ცული, მშვირ-მწყურვალნი, ხუთი ღამის
უძილო, ღელვისაგან გამოფიტული და
საკუთარი ნამოქმედადით შექრული
უაზროდ მილასლასებდა სოფლისაკენ,
ტყვიადტყველ ფეხებს ძლივს მიათ-
რევდა და, თუ მაინც მიდიოდა, მხო-
ლოდ იმის წყალობით, რომ რაღაც იღუ-
მალი ძალა, რომელიც გაუგებრად, მა-
გრამ მტკიცედ და გარდაუვალად ეწე-
ოდა მშობლიური სახლისაკენ, თოკი-
ვით ჰქონდა გამობმული. სანამ სო-
ფელს მიუახლოვდებოდა, ის იღუმალი
ძალა ედგა მუხლებში საყრდენად, ის
ამხნევებდა და მას მიჰყავდა. მაგრამ
სოფელი რომ გამოჩნდა, იღუმალი ძა-
ლა, თითქოს თავისი საქმე უკვე მოა-
თავაო, მსწრაფლად გაქრა. სამაგიეროდ
ბუხრებიდან ამომავალი კვამლის სით-
ბო რაღაც მანქანებით მოწვდა, მთელ
სხეულში ჩაედგარა და მთელი სხეული
გაუღლინა, მოუღუნა, ტბილ ძილ-
ბურღინად შემოეკრა გარს. ირგვლივ,
როგორც სიზმარში, ყველაფერი არა-
მყარი და არამდგრადი ვახდა, ყველა-
ფერი გაურკვეველად იზილებოდა და
ითქვიფებოდა ერთმანეთში და ცნობა-
წართმეულმა აღარც კი იცოდა ამის
შემდეგ როგორ მიდიოდა, ან საერთოდ
მიდიოდა თუ არა. კიშკარი რომ შეა-
ლო და ეზოში შევიდა, შესაძლებელია
უკვე ეძინა კიდევ. ბუნდოვნად გაარ-
ჩია შუქი პირველ სართულზე რომე-
ლიღაც ოთახში და იქითკენ გაემართა.
ოთახში დედა და მამა დახვდა. დედა
მალა სკამზე იჯდა, მამა კი პატარა
ჯორჯოზე მის გვერდით. ყველაფერი
ისე ჩანდა, როგორც სიზმარში. ზებუ-
ლონის დანახვებზე მამამ ერთი შეკი-
ვლა, ზეზე წამოვიარდა და მერე, სანამ
ზებულონს მესხიერება და ცნობა შე-

მორჩა, შიშისაგან თუ გაკვირვებისაგან
გაფართოებული თვალდებინარე მო-
რჩებია. დედაც წამოადგა და ისიც ზე-
ბულონს შემოაცქერდა. როგორი სა-
ხე ჰქონდა დედას, ზებულონს არ და-
ამახსოვრდა, რადგან მის ნახვერად მძი-
ნარე, გაბრუებულ გონებას ეჩვენებო-
და, თითქოს ეს დედა კი არ იყო, არა-
მედ დედის შორეული, ბუნდოვანი მო-
გონება. ერთადერთი ის ახსოვს, რომ
დედა დაკვირვებით უყურებდა, მისი
მზერა ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დადიოდა ზე-
ბულონის სახეზე, თითქოს იქ რაღაც
დაკარგვია და მის პოვნას ღამობსო.
მერე ყველაფერი, დედაც, მამაც,
მთელი ოთახიც დიდი სისწრაფით და-
ტრიალდა და ზებულონს არ გაუგია,
როდის დაწვა და დაიძინა.

და აი, ბოლოს და ბოლოს, დედამ
მოუხმო.

ზებულონმა ფრთხილად, გაუბედავად,
ცოტა შიშითაც კი შეალო კარი.

დედა იწვა, საბანი ეხურა და მხო-
ლოდ სახე უჩანდა. თუკი სახე შეიძ-
ლება ერჭვას იმას, რაც ზებულონს
თვალწინ წარმოუდგა: ნაკეთები სრუ-
ლებით აღარ აჩნდა. ყველაფერი —
ლოყებიც, შუბლიც, ტუჩებიც, ნიკა-
პიც, ყელიც — ისე იყო შეშუპებული
და დასიებული, რომ ერთმანეთისაგან
აღარ გამოირჩეოდა. იღო მალა ბა-
ლიშზე უს შემზარავად გაერთიანებული
სახე და მოლურჯო ფერი გადაკარავდა.
თვალეები, დედის წყნარი, სათნო თვა-
ლები ამ ერთიანი ხორციის გროვავში
სადღაც შორს ჩაქარგულიყო და ორ
ვიწრო, ბნელ, უაზრო ნაპრაღად ჩა-
ნდა. ზებულონს გული შეეკუმშა და
ამ საშინელ სანახაობას სწრაფად აარი-
და თვალი. იდგა და კედელს შესცქე-
როდა. თვალებს კიდევ ერთხელ უნდო-
დათ ნანახი შეემოწმებინათ, რათა სა-
ბოლოოდ დარწმუნებულიყვნენ, რომ
ეს მართლა სახე იყო, და ტახტისკენ
გაურბოდა, ზებულონი კი შეშინებული
უკან ეწეოდა, თან გონებაში არეულად
უტრიალებდა შიში, ვაითუ დედას შე-
ენიშნა, რომ შვილი თვალს არიდებდა,

და სწყენოდა. მაგრამ დედას არაფერი შეუნიშნავს, ან თუ შენიშნა, არა სწყენია. როცა ხანგრძლივი ღუმლის შემდეგ ხმა ამოიღო, ეს ხმა თუმცა სუსტი იყო და ისე ისმოდა, გვეგონებოდათ სადღაც ღრმა და ვიწრო ხერელიდან მოდისო, სრულიად მშვიდად ეღერდა და წყენისა და წყრომის არაფერი ეტყობოდა. მეტიც, ზებულონს მოეჩვენა, თითქოს ის სითბო და სათნოება, რაც აქამდე დედის თვალებში ეგულებოდა, ახლა ამ სუსტ, შორეულ ხმამ ჩასახლებულიყო.

— მეტს ვეღარ ვიცოცხლებ, შვილო, და ჩემი იმედი ნულა გაქნება. დღეს უკანასკნელი დღეა. უნდა წავიდე... მაშინ უნდა მივხედო... — დედა ნელა ლაპარაკობდა და შიგადაშიგ ისვენებდა, რათა სული მოეთქვა, — რაც შემეძლო, ვევედრე და ვემუდარე ღმერთს, ყველა ცოდვა ჩემთვის მოემადლებინა, რომ ჩემი სული შენი სანაცვლო ყოფილიყო, მაგრამ არაფერი მითხრა და არ ვიცი, შეისმინა თუ არა ჩემი ვედრება...

დედა გაჩუმდა. ეტყობა დაიღალა. ამდენი მარხულობით ძალაწარმთეულისათვის, რაც ილაპარაკა, ისიც ბევრი იყო. ზებულონი მაინც ელოდა, მაგრამ დედას ხმა აღარ ამოუღია. მალე ჩაეძინა კიდევ. მისი მშვიდი სუნთქვა რომ მოესმა, ზებულონი მიტრიალდა და, რაკი იმის შიში აღარ ჰქონდა, რომ, რასაც ამ სანახაობის გამო იგრძნობდა, დედა ყველაფერს მის სახეზე წაიკითხავდა, უფრო გაბედულად დახედა. ერთხანს უყურა შიშითა და ძრწოლით, მერე ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან და კარი გაიხურა.

სალამოს დედა უხმაუროდ, მშვიდად, უთქმელად გაეირინა ამა ქვეყანას.

კვირის თავზე მაგდა წავიდა.

ზებულონს თვითონვე უნდოდა დაეთხოვა ეს შავი საფრთხობელა, მისი დანახვა აღიზიანებდა და მისი ხმის გაგონება გულ-მუცელს უმღვრევდა, რადგან ასე ეგონა, დედის სიკვდილში მთავარი ბრალი მას მიუძღოდა, მაგ-

რამ თქმა ვერ გაუბედა. მაგდა, ვერ კიდევ ბავშვი, ზებულონის ბაბის მოყვანა და მას შემდეგ აქ იყო, აქ დაბერდა, აქაურობას არასოდეს მოშორებია და ოჯახის წევრად ითვლებოდა. მაგრამ ახლა, როცა ზებულონის მეტი აღარავინ დარჩა, გაცლა გადაწყვიტა. ჩემს ძმასთან წავალო, თქვა, სანამ ვიცოცხლებ, სახლსა და შვილიშვილებს მივუხედავ, როცა მოგვედები, ის დამსაფლავებს, აქ მაინც აღარაფრის მაქნისი ვარო.

მაშინ ზებულონმა შინაყმებიც დაითხოვა და სულ მარტო დარჩა. სოფელში კვლავ ძველებური მოწიწებით ხვდებოდნენ, ოლონდ ის შიში, რაც ამ მოწიწებაში ერია, თანდათან იზრდებოდა. ეს ამბავი ზებულონს უკვე აღარ აკვირვებდა და აღარ ეუტხოებოდა. თვითონაც გრძნობდა თავის უპირატესობას და დარწმუნებული იყო, რომ სოფელს დილაღ უნდა ჰქონოდა მისი შიში და რიდი. თუმცა ერთი კი აღიზიანებდა: სოფელს რატომღაც ეჩვენებოდა, რომ ზებულონი შეიძლებოდა უმიზეზოდ გამწყარალოყო და განრისხებულყო, და ამით შეშინებული ასე სამარცხვინო პირმოთნობით აჩვენებდა თავის მოწიწებას. აღიზიანებდა ჯერ ერთი იმის გამო, რომ ამ შიშისა და პირმოთნობის უკან ბუნდოვნად ხედავდა რაღაც სხვა ძალას, რისთვისაც სახელი ვერ დაერქმია, მაგრამ რაც შიშზე უარესი იყო და პირმოთნობაზეც, და მორაეც, ზოგჯერ თვითონაც ეჩვენებოდა, თითქოს მართლა შეეძლო უმიზეზოდ გამწყარალოყო და განრისხებულყო.

ლამამობით დაროაშვილების ხმა ესმოდა და გაოფლილი იღვიძებდა. ასეთ დროს ადგებოდა, აივანზე გამოვიდოდა, კუთხეში დაჭდებოდა მოაჯირთან, მთელი ღამე გაუნძრევლად იჯდა აქ და მხოლოდ აღიონზე, როცა მზის პირველი სხივები სიბნელეს გაკვეთავდა, ისევე წებობდა. მზის ამოსვლის შემდეგ დაროაშვილები აღარ ესიზმრებოდა.

ღაროაშვილები გამოქვაბულში ისხდნენ ხოლმე და თეთრი სარკველიდან, რომელიც, თუ თვალგაშტერებით დიდხანს დააკვირდებოდა, გამჭვირვალე ხდებოდა, ლანდებივით ჩანდნენ. ვიცით, ზებულონი ხარ, ცალთვალა ისახარის ვაჟი. გმირი ყოფილხარ და გიჯობნია კიდევ; ოღონდაც აქედან გამოგვიშვი და სიკვდილამდე შენი ყურმოჭრილი ყმები ვიჭნებითო, — მუხლმოყრილი ემუღარებოდნენ ღაროაშვილები. ზებულოს გული ეთუთქებოდა, მათს ტანჯვას რომ უყურებდა, არადა, რომც მოეწადინებინა, ლოდის უკანვე ამოღება შეუძლებელი იყო რადგან გამოქვაბულის ყელს ირგვლივ ძაბრისმაგვარი ღრმული ერტყა და, ლოდს რომ მოსკიდებოდა, ამ ღრმულში ისე უნდა ჩაიკიდებულაყო, როგორც თონეში. ამიტომ გაცლას აპირებდა, მაგრამ ფეხები ისეთი ძალით მიკვროდნენ მიწას, ძვრას ვერ უშვებოდა.

ზოგჯერ ისახარი ესიზმრებოდა. ისახარი, ვიწრო სამარეში მკიდროდ ჩაჭედული და ასე გაშეშებული, იღლებოდა, სხეული უბუტდებოდა და შეწუხებულ: შერხევასა და გვერდზე გადაბრუნებას დააპირებდა, მაგრამ, რაკი ნაწილ-ნაწილ ეწყო საფლავში, ერთიანად გადაბრუნებას ვერ ახერხებდა, ზოგი ნაწილი ბრუნდებოდა, ზოგიც გადაუბრუნებელი რჩებოდა. ამის დანახვაზე ზებულონი შეშინებული და გულამოგარდნილი იღვიძებდა.

ბოლოს და ბოლოს იმას მიეჩვია, რომ დღე ეძინა და ღამე ფხიზლობდა. შინიდან უკვე თითქმის აღარ გამოდიოდა. შინაც არაფერს აკეთებდა. თითქოს გვაშში სიზარმაციის ჭინკა შეძრომოდეს, თითის განძრევა ეზარებოდა. სახლი დაკარი ბედის ანაბარა დააგდო, ყანა და ვენახი ყმების ანაბარა. სოფელში ხმა დაირხა, ღამღამობით ქაჯები და ავი სულელები დაუდიანო, და წყაროსთვალელთა მოწიწება სულ მთლად შიშად იქცა. ხალხი შორიდანვე უქცევდა გვერდს მის სახლს და ჭიშკართან ჩავლას კაი ვაჟაკებიც ერიდებოდნენ.

ქაჯები და ავი სულელები არ დაუდიოდნენ, მაგრამ იმას კი ეგრძნობდა; რომ თანდათან სხვა კაცი გახლდა. კი სარკველი დაიჭმნა და იმისგან კი არ აღმოცენდა, რაც აქამდე არსებობდა, როგორც ფესვიდან აღმოცენდება მცენარე, არამედ სულ მოწყდა ფესვს და ცალკე მცენარედ იქცა. სამაგიეროდ სულში დარჩა იმ ფესვის მარადიული, მტკივნეული, მახრჩობელა ნატვრა. ხანდახან, როცა სევდა და წუხილი პირთამდე აავსებდა და აწრიალებული ადგილს ვერ პოულობდა, გონების თვალთ წარმოიდგენდა დაკარგულ ფესვს, ძველ ზებულოს, უმანკოს, უბრალოს, უცოდველს, ვისაც თოთო ტალახში სიარული გულში თბილ ნეტარებად ეღვრებოდა, ვინც მელიებს განაბული დარაჯობდა სორიებთან, ვინც მუხების კორამში მუხად იქცეოდა და მიუვალ კლდე-ღრეხებში ლალად დააქროლებდა ერთგულ ქურანას. წარმოიდგენდა და გულმდღულარე, ღამის ცრემლმორეული, სასოებით მისწრაფოდა მასთან შესაერთებლად რასაც უტხო, დაუნდობელმა ძალამ გულგრილად მოგლიჯა და მოაშორა, გულგრილად და რაღაც შეუძლებლად, ადამიანს რომ მისივე ჩრდილი მოაშორო, ისე. მისწრაფოდა, მთელი არსებით მისწრაფოდა, მაგრამ შეერთება შეუძლებელი იყო, რადგან შუაში მტკიცე, ყრუ, თუმცაღა უსაგნო და უხილავი, კედელი იდგა.

რაკი ყოველგვარ საქმეზე გული აიყარა და ღამეც დაძინება ვერ გაებდა, საფიქრალად დრო ბევრი ჰქონდა და ისიც ფიქრობდა. იჯდა აივნის კუთხეში ან კიბის საფეხურზე და გათენებამდე ფიქრობდა. ცხადი იყო, რომ რაღაც გაწყდა და რაღაც მოშორდა, რაღაც დაიკარგა და ისე შორს დარჩა, ვერა საშუალებით ვეღარ მიწვდენოდა, მაგრამ ის კი აღარ იცოდა, კერძოდ რა დაიკარგა, რით განსხვავდებოდა ახალი ძველისაგან. განა ზებულონი ისევ ზებულონი არ იყო? განა იგივე ვგარი არ ჰქონდა, იგივე სახელი, იმავე სოფელში არ ცხოვრობდა, იმავე ხალხში? მამ რა მოწყდა? რა

დაიკარგა? ზებულონი ბეგრს ფიქრობდა ამაზე, თავს იმტერვდა, მაგრამ ეს უცნაური გამოცანა ვერ გამოეცნო. ერთადერთი, რასაც თითქოსდა ეკვმიუტანელად გრძნობდა, ის იყო, რომ ყოველივეს როგორღაც ბუნდოვნად აღიქვამდა. თვალითაც, ყურითაც, წარმოდგენითაც, აზრითაც. მკვეთრი და ცინცხალი ფერები უცნაურად გახუნებულიყო და გაცრეცილიყო, მკლერი და მკაფიი ბგერები მოგუდულიყო და მოყრუებულიყო, ყოველივეს თხელი ლიბრი გადაჰკეროდა და აზრიც ბურუსში გახვეულიყო. ზებულონი ზებულონი იყო და ზებულონიც აღარ იყო. ახლა წარმოუდგენელი ჩანდა, ნელთბილ, თოთო ტალახში ევლო, ან ფერდობიდან სოფლისთვის ეცქირა, ან მუხების კორომში მუხად ქცეულიყო, ან გულადმა გამოტრის ტოტებსა და ფოთლებს შორის ცისთვის ეთვალთვალა და ის უმიზეზო თრთოლვა ეგრძნო, რაც არაერთხელ უგრძნებია.

უფრო ხშირად ის აგონდებოდა, რაც დროით ყველაზე ახლო იყო: იმ უკანასკნელ მშვიდობიან დღეს რომ მდინარეში თეთრი თინია იხილა თეთრ ლოდზე და ამის გამო სირცხვილით აიღეწა იმ დროს თავადაც ეთაკილა თავისი საქციელი, ახლა კი როცა ყველაფერი ეს დაიკარგა და გადაულახავი ზღუდის იქით მოექცა, ზებულონი ტკივილით გრძნობდა, რომ მაშინდელმა ბავშვურმა სირცხვილმა და გაწითლებამ თურმე ისეთივე სიხარული მოჰგვარა, როგორსაც რბილ ტალახში სიარული გვრიდა, მუხების კორომში ყოფნა, ტყე-ტყე ხეტიალი, ბროლასა და ლომიასთან ერთად მელიების დევნა...

ყველაფერი უხილავი ღობის მიღმა დარჩა.

ზებულონი იტანჯებოდა და ლამებდს თეთრად ათენებდა, სოფელს კი ეგონა, ჭაჭები და ავი სულები დაუდიან და რაღაც ბოროტ გეგმებს აწყობენო.

მაღე სოფელს ეს აზრი კიდევ უფრო განუმტკიცდა და ერთ ადგილით ზებულონი ანანიამ შინ მოაკითხა.

ახალი გათენებული იყო, ზებულონი ის-ის იყო დაწვა და დაიძინა. *ქომ. უკე. ცრად ხმა ჩაესმა: „ზებულონი! ზებულონი!“*

თავისი სახელი ძილში სხვა დროსაც არაერთხელ გაუგონია. ვინ ეძახდა, არ იცოდა. ხან დარაოშვილების ხმას ამგვანებდა, ხან დედისას, ხანაც ისახარისას. მაგრამ ასეთი რამ ყოველთვის ღამით ხდებოდა. მზის ამოსვლის შემდეგ აღარავინ აწუხებდა.

თვალი ძალისძალად გაახილა და გაკვირვებულმა მიუგდო ყური. ძახილი მაღე ისევ განმეორდა და ზებულონი მიხვდა, რომ ვიღაც მართლა ეძახდა. სწრაფად ჩაიყვა და თვალების ფშვნიტით აივანზე გავიდა.

ქიშკართან ანანია იღვა.

ზებულონი გაუკვირდა. რა ხანია მის ეზოს უკვე აღარავინ გაჰკარებია სწრაფად დაეშვა კიბეზე და ბიძას შორიდანვე შეეხმინა:

- ხომ მშვიდობაა, ძია ანანია?
- ცოტა რამ სალაპარაკო მაქვს შენთან, — მიუგო ანანიამ.

ზებულონიმა ქიშკარი გაუღო.

- მობრძანდი.

ანანია თითქოს შეკრთა.

- არა, არა. მაღევე უნდა გავბრუნდე.

ანანიას რაღაც უცნაური გამომეტყველება ედო — თან ღრმავაროვანი, თან კუშტი, თან საწყალობელი — და ზებულონი უეცრად ძალიან გაუკვირდა, რომ იგი სოფელში ყველაზე გონიერ და ჰკუის საკითხავ კაცად ითვლებოდა.

რაკი ბიძა არ შემოვიდა, თავად გასცდა ქიშკარს.

- რა მოხდა, ძია ანანია?
- სოფელმა გამომგზავნა შენთან, — ახლა მარტო საწყალობელი გამომეტყველება დარჩა, ღრმავაროვნება სულ წაეშალა, — ე შენი ძალღები მთლად გაველტურებულან, ხალხსაც აღარ ეპუებიან. ამ წინებებზე ორჯერ ბატკანი მოტაცეს მწყემსებს, წუხელ კიდე ბევა-

ანთ ბაღლი დაუგლუჯნიათ. ისეთია, ან გადაჩრება, ან ვერა.

„ნუთუ იმისთვის გამოგზავნეს, და-
ნოცვის ნება მიეცე?“ — გაუკვირდა
ზებულონს, მერე მხრები აიჩეჩა და
უთხრა:

— დაეზოცათ.

— საქმეც ეგაა, ვერ მოიხელთეს. გა-
ნა იოლია! ძაღლები კი არა ნამდვილი
ქაჩები ყოფილან!

ანანია გაჩუმდა. ზებულონი მიუხვდა,
წამით სხეულში რაღაცამ მტკივნეულად
გაუარა და თვალები დახუჭა. მერე სა-
ხეში შეხედა ბიძას, თვალი გაუსწორა
და მშვიდად უთხრა:

— კარგი, ძია ანანია, თავად დაეზო-
ცა.

ანანია წაივიდა.

ზებულონმა თოფი და ბარი ილო,
სოფელს გასცდა და მდინარეს აღმა
აუყვა.

ბროლა და ლომია მისი გაზრდილები
იყვნენ და მასზე უკეთ ვინ იცოდა, რომ
სოფლის მონადირეებს ხელში იოლად
არ ჩაუვარდებოდნენ. სამაგიეროდ გამ-
ზრდელს ვერსად გაეჭკოდნენ, მით
უფრო, რომ გამზრდელმა ისიც იცოდა,
სად უნდა ექებნა.

გეზი პირდაპირ გამოქვაბულისაკენ
აიღო. ოღონდ, რაკი ნიავეი მდინარის
მხრიდან ქროდა, სუნნი რომ არ ეკრათ,
აღრვევ გადაუხვია. ტყე-ტყე იარა და
გამოქვაბულს ზემოდან, მდინარის სა-
პირისპირო მხრიდან მიაღდა.

უჩუმრად სიარულიც ზებულონისგან
ჰქონდათ ნასწავლი და ამ საქმეში შეგი-
რდებს ოსტატი ჯობნიდა. ისეთი უხმა-
ურო სიარული იცოდა, რომ, როდესაც
სოფელში მის ეშმაკეულობაზე დაიწყო
ლაპარაკი, ესეც ხელზე დაიხვიეს, ამბო-
ბდნენ, თუ წმინდა სულია მაშე ეს დევი-
ვით კაცი ისე როგორ დადის, რომ ნა-
დირი, მინამ თავზე არ წამოაღდება, ვე-
რაფერსა გრძნობსო.

ზებულონმა ბევრი იარა ჯაგებში ხან
ოთხზე, ხან მუცელზე ხოხვით და ბო-
ლოს, როცა ისეთ ადგილს მიაღწია, სა-
იდანაც გამოქვაბულის შესასვლელი

უნდა გამოჩენილიყო, თავი ფრთხილად
ასწია და გაიხედა.

ბროლა და ლომია გამოქვაბულის ბი-
რას იწუნენ. თავები ზემოთ, ზებულო-
ნის მხარეს მოეჭკიათ. ბროლას ავი, ქუ-
რუხი სახე ჰქონდა, ლომია კი ისე იყუ-
რებოდა სევდიანი, შესაბრალისი თვა-
ლებით, თითქოს რაღაც ღრმა საფიქრ-
ალს მისცემოდა, რის გამოც ზებულონს
წამით მოეჩვენა, რომ იგი ძია ანანიას
ჩამოჰგავდა. ამის გაფიქრებაზე კიდევ
ერთხელ გაუელვა გაკვირვების კითხ-
ვამ, რომელაც ადრე არც ზებულონსა
და არც სხვა ვინმეს სოფელ წყაროს
თვალში თავში არ გაჰაჰანებია: რატომ
ითვლებოდა ძია ანანია ყველაზე უფრო
გონიერ და ჰკუთის საკითხავ კაცად?

ზებულონმა ფრთხილად განაგრძო
გზა. როცა ისეთ მანძილზე მიუახლოვ-
და, რომ მეტი მიახლოება უკვე საშიში
იყო, შეჩერდა და თოფი მხრიდან ჩა-
მოიღო. თავისდა მოულოდნელად უეც-
რად იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ პირვე-
ლად რომლისთვის ესროლა ამან დააბ-
ნია. აქამდე აზრად არ მოსვლია, რომ
შეიძლებოდა ასეთი არჩევანის წინაშე
დამდგარიყო. სანამ დაბნეულობა გაუ-
ვლიდა, საიდანღაც სულ სხვა კითხვა
ამოუტივტივდა, რომელსაც პირველ კი-
თხვასთან საერთო არაფერი ჰქონდა: ნე-
ტა დაროაშვილების ბაღლები ქალები
იყვნენ თუ ვაყები? შუბლი ოფლით და-
ეცვარა, ხოლო გონება მის დაუკითხა-
ვად შეეცადა თვალნათლივ წარმოედ-
გინა დაროაშვილების ბაღლები და ამ
გზით გაერკვია, ქალები იყვნენ თუ ვა-
ყები. ზებულონმა თვალი დახუჭა, დაი-
ძაბა და მტკივნეული ფიქრი როგორც
იქნა მოიშორა. მერე თვალი ისევ გაახი-
ლა და თოფი თავში დაუმინჯა ბროლას.
დაუშვა თუ არა სასხლეტი, ელვის სის-
წრაფით ზეზე წამოვარდა და ძაღლები-
სკენ გაექანა, რომ დრო მოეგო და, სა-
ნამ ლომია გონს მოვიდოდა და სასროლ
მანძილზე გასცდებოდა, თოფის ხელ-
ხლა გატენა მოესწრო. ლომიამ თავადვე
შეუწყო ხელი. სროლის ხმაზე ერთი
ადგილზე შეხტა, მაგრამ, სანამ გაიჭკე-

ოდა, დაბნეულობის გამო თუ სხვა რაიმე მიზეზით, ჯერ აფართხალეზულ ბროლას დახედა და ერთი დაყნოსა კიდევ. მხოლოდ ამის შემდეგ გაიქცა. ზებულონი მისდევდა და გზადგზა თოფს ტენიდა. როცა გატენა ლომია ჯერ კიდევ ახლო იყო. აქ უცნაური რამ მოხდა. ძაღლმა ეტყობა იგრძნო გარდაუვალი სიკვდილი, გაქცევის ნაცვლად შეჩერდა, უკან მოტრიალდა, მიწას განერთხო და საწყალობელი წკმუტუნით ზებულონისკენ ხოხვით წაბოვიდა. ზებულონიც შედგა. ლომია სულ ახლო მოვიდა და ორიდგი ნაბიჯზე შეჩერდა. ახლა იგი იწვა, უეჭველი სიკვდილის შიშით დაზაფრული ერთიანად ცახცახებდა და გულის შემძრავად გოდებდა. ადამიანივით მოთქვამდა და ადამიანივით ტიროდა. ზებულონმა იგრძნო, რომ საცა იყო თვალში ცრემლი მოადგებოდა. და სანამ თვალში ცრემლი მოადგებოდა, თოფი ლომიასაც ბროლასავით თავში დაუმიზნა.

როცა ლომიამ უკანასკნელად გაიბრძოლა და ფართხალი შეწყვიტა, ზებულონმა იგი ხელში აიყვანა, წამოიყვანა და ბროლას გვერდით დააწვინა გამოქვაბულის წინ. მერე ბარი აიღო, საფლავი გაჭრა, ორთავენი შიგ ჩაუშვა, მიწა დააყარა და ზემოდან ქვის დაბალი ყორე დაადგა.

უკანმობრუნებული, სოფელს რომ მიუახლოვდა, ერთბაშად მიხვდა, რომ წყაროსთვალელები არა ცდებოდნენ, მას მართლა შეეძლო უმიზეზოდ განრისხებულები და თავისი ღრჯო და უმისამართო ჯავრი რომელიმე უდანაშაულო მეზობელზე ამოეყარა. ამას ბუნდოვნად აღრეც ეჭვობდა, მაგრამ ახლა, მკაფიოდ რომ იგრძნო, გაუქვირდა და ცოტა შეეშინდა კიდევ.

სოფელში ორი გასროლა ყველამ გაიგონა და მიხვდნენ, რომ პატრონმა თავისი გაველურებული ძაღლები დახოცა. და ახლა, სოფელ-სოფელ რომ მიდიოდა და ამჩნევდა, რომ თუ ვინმე გარეთ იყო, მის დანახვაზე სასწრაფოდ სახლში იმალებოდა, ზებულონს ბრაზი

აბრაზობდა და ყველა ეზიზღებოდა, ნათესავეებიც, მეზობლებიც, შორეულებიც, ახლობლებიც...

იმ საღამოს, კარგა შებინდებულზე-როცა ზებულონი კიბის ძირას იჯდა და იმაზე ფიქრობდა, თუ როდის გათენდებოდა, რომ დაწოლილიყო და დაეძინა, ჭიშკართან დარჩოს თინიამ ჩამოიარა. დილით ანანია იმიტომ მოვიდა, რომ პირველი კაცი იყო სოფელში და აბა პირველ კაცს შუამაგლობაზე უარი როგორ ეთქვა სოფლისათვის, თორემ ზედ ეტყობოდა, როგორ უქირდა ეს შუამაგლობა, სხვა კი რა ხანია ზებულონის კარმიდამოს ახლო არავინ გაჰკარებია.

ფეხის ხმაზე ზებულონმა გაკვირვებით ასწია თავი, თვითონაც ვერ მიხვდა, ამ სიბნელეში როგორ იცნო. ეტყობა უფრო იგრძნო, რომ თინია იყო, ვიდრე იცნო. თინია ლომის პირს მიჰყვებოდა და ნელა, ლანდივით მიიძურწებოდა.

— თინია! — გასძახა ზებულონმა.

თინია შეკრთა და ადგილზე გაშეშდა. მოტრიალებით არ მოტრიალებულა. საცა მიუსწრო ზებულონის ხმამ, იქ გაშეშდა და აღარ განძრებულა.

ზებულონი წამოდგა, ჭიშკართან მივიდა და გაალო. ერთხანს უხმოდ უყურა, მერე უთხრა:

— აბა აქ მოდი!

თინია წამით შეყოყმანდა. მერე უხმოდ მოტრიალდა და თავჩაქინდრული ნელი ნაბიჯით შემოვიდა ეზოში. შემოვიდა და გაჩერდა. თავი არ აუწევია.

— აქ რას აკეთებ? — მკაცრად ჰკითხა ზებულონმა.

თინიას ხმა არ ამოუღია. იღგა თავჩაღუნული და არ იძვროდა. ფეხშიშველა იყო და ძველი, დაკერებული კაბა ეცვა; რომელიც კოჭებამდე დასთრევდა.

— არ გესმის, რომ გელაპარაკები?! თინია ჩუმად იღგა. ეს იყო მხოლოდ, რომ მთელი სხეული უთრთოდა, სწრაფად სუნთქავდა და შვიგადაშიგ გაცივებულებით სრუტუნებდა.

მაშინ ზებულონმა უთხრა:

— შინ შედი!

თინია მიტრიალდა და ისევ ისე უხ-

მოდ და მორჩილად, ისევ ისე თავჩაქინდრული წავიდა იქით, საითაც ზებულონმა მიუთითა. შინ რომ შევიდა, ახლა იქ გაჩერდა. სხეული უფრო მეტად უთრთოდა.

— გაიხადე! — უბრძანა ზებულონმა და თავადვე დაუწყო გახდა.

თინიას არც ახლა ამოუღია ხმა. არც წინააღმდეგობა გაუწევია. ზებულონის ბრძანებაზე მაშინვე შეუდგა გახდას. ტახტზეც, სანამ იწვა, უხმოდ იწვა, ეს იყო მხოლოდ, რომ შვიდადაშიგ გაციებულევით სრუტუნებდა.

როცა დრო მოვიდა და ზებულონმა უბრძანა, ახლა ჩაიცივი და წადიო, არც მაშინ დაუძრავს კრინტი, ისევ ისე მუნჯევით ჩაიცივა და ოთახიდან გავიდა. და მხოლოდ ეზოში უცებ შეჩერდა, სანახევროდ მოტრიალდა ზებულონისაკენ, ერთი ქვემოდან ამოხედა, ისე რომ თავი არ აუწევია, და წიკვინა ხმით თქვა:

— ხვალაც?

— რაო? — ვერ გაიგო ზებულონმა.

— ხვალაც მოვიდე?

ზებულონმა შეხედა.

— არა! — უთხრა მკაცრად, — აღარ მოხვდები! — მერე, თინია რომ რაღაც უნებური და გაუგებარი მოძრაობით შეიშმულა, უფრო რბილად დაუმატა, — ხვალ მე აქ აღარ ვიქნები.

აქ თინიამ მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად ასწია თავი. ერთი შეხედა, წამსვე ისევ ჩაღუნა, გატრიალდა, და უხმოდ წავიდა.

იმ დამეს ზებულონი კიდევ ერთხელ დაჩქუნდა, რომ უკან მიმავალი გზა. სადაც თეთრი თინია დაჩაჩა, თეთრი ზებულონი და თეთრი ზღაპარი, მოჭრილი ჰქონდა, და წყაროსთვლიდან წასვლა გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილებამ იოველ ბატონიშვილი მოაგონა. მაშინ ზედა სართულზე ავიდა, იმ სკივრს მიადგა, რომელშიაც წმინდა სახარება ჰქონდა შენახული, და თავი ახადა. ერთხანს უყურა წიგნს, ამოღებაც დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და სკივრს ისევ დაახურა თავი. მერე უცებ იმედიანად გაი-

ფიქრა: «ეგებ მიმიღოს, იოველ ბატონიშვილმა, ეგებ ჩერ კიდევ შეიძლება ჩარხის წაღმა დატრიალება...» ეს რომ გაიფიქრა იმედზე იმედი მოემატა რადგან იოველ ბატონიშვილი იყო ერთადერთი კაცი, ვისაც მხოლოდ ძველ, დაკარგულ, დახშული კარიბჭის მიღმა დარჩენილ ზებულონთან ჰქონდა კავშირი, მაშასადამე ის ერთადერთი კაცი იოველ ბატონიშვილი იყო, ვისაც შეეძლო ზებულონი ქვლავ ზებულონთან მიეყვანა.

გამთენიისას ახალი ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა, ქურანა შეკაზმა, ზედ ხურჯინი გადაკიდა, რომელშიაც კოტაოდენი საგზალი, ფული და იოველ ბატონიშვილის დანატოვარი წმინდა სახარება ელო. შექდა და ისე, რომ არც არავინ უნახავს და არც არავის გამოშვებობებია, გზას გაუდგა.

ორი დღე იარა და ბოლოს მიადგა იმ მთას, რომლის წვერზეც იოველ ბატონიშვილს საყდარი აევო და შიგ სასწავლებელი გაემართა.

პირველი დამე ერთი გლეხის ოჯახში გაათია. მასპინძელი უცხო სტუმარს გულლიად შეხვდა და დარბი კაცის კვლობაზე კარგი მასპინძლობაც გაუწია. არ უკითხავს, ვინა ხარ, რა კაცი ხარ, საიდან მოდიხარ და საით მიდიხარო. ზებულონსაც არაფერი უთქვამს. ან კი რას ეტყობა! ის რომ ეთქვა, ასე და ასეა ჩემი საქმე, ზებულონი ვარ, ცალთვალა ისახარის ვაჟი, მამაჩემი აპრილის დამლევეს დაროაშვილებმა ნაჯახით აკებეს, ეს რომ სოფელმა შეიტყო, დიდიანპატარიანად სახლებიდან გამოეფინა, კუშტი მოლოდინითა და შეფარული რისხევით უხმოდ მოითხოვა მამის სისხლი ამელო, მეც ავდექი და დაროაშვილები დედაბუღიანად ერთბენელ, ბინძურ გამოქვამლში გამოვებჩე, მერე, როცა დედაც ამ ამბავს გადაჰყვა, საყვარელი ძაღლები საკუთარი ხელით დავხოცე და სულ მარტო დავრჩი გაუგებარი, უღამური და გაუვალი ქვეყნიერების პირისპირ, გადაე-

წყვიტე იოველ ბატონიშვილთან წავსულიყავი, რადგან იოველ ბატონიშვილია უკანასკნელი იმედი, მხოლოდ მას შეუძლია აღამიანის საიდუმლო ამიხსნას და უზილავი ღობის გადაღმა დარჩენილი უზრუნველი ზებულონი მაპოვნინოს, ხოლო თუ ეს იმედიც ხელიდან გამოეცალა, მაშინ კი საბოლოოდ გაწყდება ყველა ძაფი და ხიდან მოწყვეტილი ფოთოლივით ქარების სათამაშო გავხდებიო, ვინ იცის, იმ გლუხს არც შეეშვა სახლში.

მეორე დამე იოველ ბატონიშვილის მთის მახლობლად, პატარა მდელივით გაათია. ბოლო მოსახვევს რომ გასცდა და მთის პირდაპირ გავიდა, ქვეყანაზე უკვე ბინდი იწვა. მთა ბუნდოვნად და შავად მოჩანდა, როგორც ვეება, მძინარე ნადირი. ზებულონმა გადაწყვიტა, დამე აქ გაეთია და დილაადრიან გაეგრძელებინა გზა. ცეცხლი არ დაუნთია, მოლზე ნაბადი გაიგო, გულადმა დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიწყო და ვარსკვლავიან ცას მიაჩერდა, როგორც ჩვეოდა ოდესღაც. დიდი, დიდი ხნის წინ. ახლა, როცა სახუკარი მიზანი აქვე ეგულებოდა, გვერდით, სიხარულის ნაცვლად გულში საიდანღაც ბასრი, დაუნდობელი ეჭვი შემოჰქვრა და ორი დღის წინანდელ გაბედულ იმედს, ეგებ ჭერ კიდევ შეიძლებოდეს ჩარხის წაღმა დატრიალებო, საშიში და მწუხარე ჩრდილი მიადგა. ზებულონი გამხელას ვერ ბედავდა, თორემ ეს ეჭვი მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან, როცა იოველ ბატონიშვილთან წამოსვლა გადაწყვიტა, ვილაც, ვინც მისი არსების განუყოფელი ნაწილი იყო, ამ გადაწყვეტილებას იმთავითვე ეურჩებოდა. მართლაცდა, როგორ გაებედი იოველ ბატონიშვილთან მისვლა? ან რომ გაეხდებოდა, რა ეთქვა? ან რომ ეთქვა, ისეთი სიტყვები სად გამოეძებნა, რომლებითაც ამის თქმა შეიძლებოდა? ვანა ყოველივე იმის შემდეგ, რაც გამოიარა, კიდევ მიიღებდა იოველ ბატონიშვილი? ეს ამბავი რომ უკვე მომხდარი ყოფილიყო, როცა იოველ ბატონიშვილი წყაროსთვალში ჩამოვიდა, მაინც ზებულონს

გამოარჩევდა მისი ბიძაშვილებსაგან, მაინც ზებულონისკენ გამოემხროდა თითს და უცხო კაცებს უცხოთა ენაზე ეტყოდა, აი, ეს არის ის, ვინც ოსტატად გამოდგება და წყაროსთვალში სწავლავანათლების კელაპატარს აანთებსო? ვანა ზებულონი ისევ ზებულონი იყო?

ნალევივით მწარე ეჭვი ავის მომსწავებლად დაძვრებოდა ზებულონის გულგვამში და რაღაცას ეძებდა, ხოლო შიშის მწუხარე ჩრდილი გაფაციცებით ადევნებდა თვალს და გულისკანკალით ელოდა, იპოვიდა თუ არა ეჭვი იმას, რასაც ეძებდა. ზებულონი ცდილობდა სხვა რამეზე ეფიქრა და, როცა უკიდურესად დაიძაბებოდა, ახერხებდა კიდევ, მაგრამ საქმარისი იყო ყურადღება ოდნავ მოდუნებოდა, რომ ფიქრის თვალი კვლავ მტანჯველი ეჭვისკენ გაურბოდა.

ალიონზე ერთი ჩათვლემა, ჩათვლემა და სიზმარი ნახა: ვითომ დილა უკვე გათენდა, ქურანას მოახტა და იოველ ბატონიშვილის მთას შეუყვია. გზას ორსავე მხარეს ხშირი და დაბურული, მაღალი ტყე მისდევდა და ისე ციოდა, ზებულონი სიცივისაგან კბილს კბილზე აცივინებდა. ბევრი იარა თუ ცოტა, ის მთა აათავა და თეთრი საყდარიც გამოჩნდა. ზებულონი ჩამოქვეითდა, ქურანა ხის ტოტს გამოაბა და იქ დატოვა. ბროლაცა და ლომიაც, რომლებიც უცებ საიდანღაც გაჩნდნენ, ქურანასთან დარჩნენ. უკანა თათებზე ჩაუტყქდნენ, ენები გადმოჰყარეს და ქელვა დაიწყეს. ზებულონი საყდრისკენ გაემართა. საყდარს ირგვლივ თეთრი გავანი ერთყა და შუაში მაღალი, ფართო კარიბჭე ჰქონდა დატანებული. კარიბჭის წინ მცველი იდგა და ხელში ოქროს ბუნიკიანი შუბი ეჭირა. ზებულონი ერთხანს ვამტერებული მიხერებოდა მცველს. მერე მოეჩვენა, თითქოს იგი ადრეც ენახა. მცველს თეთრი ქულაჯა და მაღალყელიანი, წვრილკვინტიანი ჩექმები ეცვა. ჩალისფერი თმა ჰქონდა, ჩალისფერი მოკლე წვერი და ღრმა, ცისფერი თვალები. ლა-

მაზი იყო, ახოვანი, სახე ისე უბრწყინავდა, ირგვლივ მზესავით სხივებს აფრქვევდა. და ზებულონმა იცინო: ეს ის კაცი იყო, რომელმაც იოველ ბატონიშვილის წყაროსთვალში ჩამობრძანების ამბავი მოუტანა ისახარს. მაშინ ზებულონმა გაბედა და ახლო მივიდა. ის იყო, უნდა მისალმებოდა კიდევ, რომ კარიბჭის მცველი თავალშეხშინა: „ვინა ხარ და რა საქმეზე მოსულხარა?“ კარიბჭის მცველს პირი არ გაუღია, ისე დაილაპარაკა, სიტყვები კი მაინც მკაფიოდ გაისმა. ამან ზებულონი გააკვირვა და წამით დააბნია. მერე, დაბნეულობამ რომ გაუარა, მიუგო: „ზებულონი ვახლავარ, აზნაურ ისახარის ვაჟი, იოველ ბატონიშვილის სახახავად მოვედიო“. მცველმა ისე შემოხედა, ზებულონს მოეჩვენა, თითქოს მისმა მზერამ ტვინი გაუხვრიტა, მერე ისევ ისე ტუჩმოკუმულმა უთხრა: „არა, შენ ზებულონი არა ხარო“. ზებულონი შეწუხდა. „როგორ არა, ბატონო, ზებულონი ვარ, ნუთუ არ გახსოვს, იოველ ბატონიშვილთან ერთად რომ წყაროსთვალში ჩამობრ...“ „შენ ზებულონი არა ხარო!“ მკაცრად შეაწყვეტინა მცველმა, თვალები ზეცისკენ აღაპყრო და მწუხარე ხმით თქვა: „ამ ავაზაკს კაბუკი ზებულონი მოუკლავს და გაუძარცვავს, სახელიც კი წაუტომევიო“. ზებულონს ცრემლი მოერიო, მუხლებზე დაეცა და სასოებით შეპლალა: „ზებულონი ვარ, ბატონო, აბა კარგად დამაკვირდიო!“ მცველმა ცას მოწყვიტა მზეარა და კვლავ ზებულონს მიაპყრო. თვალბეჭში რისხვა ედგა. ერთხანს ასე უყურა, მერე უეცრად ხელი მოწყვეტით აიქნია და გაშლილი ხელისგული ზებულონს გამოუშვირა. ზებულონმა მცველის ხელისგულს დახედა და გააცია. სხეულში მომაკვდინებელმა ტკივილმა დაუარა და ერთბაშად მიხვდა, — მ კარიბჭის მცველი მისგან იოველ ბატონიშვილის ნაბოძებ წმინდა წიგნს ითხოვდა. თავზარდაცემულმა ერთი კი მიმოიხედა, მაგრამ ხსნა არსაით იყო; მაშინ აკანკალებული

ხელი ტყავის აბჯაში ჩაჭყო, წიგნი ამოიღო, ცრემლმორეულმა სხეულითა და სასოებით დახედა და ჩეღლა გაუწოდა. და სწორედ იმ დროს, როცა მცველს წიგნი უნდა ჩამოერთმია, გამოეღვიძა. უეცრად გამოეღვიძა, მყისიერად, თითქოს ძილიდან კი არა ბნელი ხართდან ამოვარდაო.

გული ისე უცემდა, გულისცემისაგან სხეულიც კი უთრთოდა. უანგარიშოდ მოაფათურა ხელები, ხურჯინს მიწვდა და გარედან მოსინჯა ის ადგილი, სადაც წიგნი იდო. მერე ნაბაღზე წამოჯდა, ორივე ხელი სახეზე აიფარა და, სანამ სიზმრის ცივი ჩვენება გაიღო და და გაქრებოდა, ასე გაუნძრევლად იჯდა. ბოლოს ხელები ჩამოიღო, თვალი გაახილა, წამოდგა და მიიხედ-მოიხედა. სიბნელეს სინათლე შემოპარვოდა და ბინდი უკვე შემღვრეულიყო. ტყით შემოსილი მთა თანდითან კარგავდა მძინარე ნადირის სახეს და თავის ნამდვილ სახეს იღებდა. ზემოთ, სულ ბოლოში, გეგონებოდათ წვერი ვიღაცის საგანგებოდ გადაუჭრიაო, მთა ვრცელი ვაკით ბოლოვდებოდა. ვაკის შუაგულში, თითქოს ახლა, ამ წუთას, ზებულონის თვალწინ იგებო, დილის მღვრიე ბურუსიდან ნაბიჯ-ნაბიჯ გამოდიოდა თეთრი საყდარი. ჭერ უსხეულო ფერი გამოჩნდა, რომელიც ირჩეოდა და ციმციმებდა, მერე ნელ-ნელა სახეც მიეცა და ბოლოს ვაცრეცილ ბინდში მთელი საყდარი ჩამოიქნა და გამოიკვეთა. რაც უფრო მეტად იკრებდა ძალას ნათელი დილა, საყდარიც მით უფრო მეტად და მეტად თეთრდებოდა. ბოლოს, კბატათა თოვლივით რომ აელვარდა, მზეც ამოვიდა და ზემოდან მეწამული სხივები გადმოაყარა. საყდარისა და მზის ფერი ერთმანეთს შეერია, ერთმანეთში გაზავდა, რაღაც უცნაურ, თვალთ უნახავ და ენით გამოუთქმელ ფერად იქცა და ამ საკვირველ ფერში გახვეული საყდარი ისე ალივლივდა და ისე აცახცახდა, დაბეჭითებით ვერც იტყოდით, მართლა იყო თუ არ იყო. ზებულონი მოქალაქეობული იდგა და

უცხო სანახაობას თვალს ვერ აშორებდა. უყურებდა და, რაც უფრო მეტ ხანს უყურებდა, მით უფრო ცხადად გრძნობდა, რომ ეკვის ქია, რომელიც კვლავ გაიკლანა და აფუთფუთდა, თანდათან უახლოვდებოდა იმას, რასაც ეძებდა. ბოლოს მიაგნო კიდევ. ზებულონი მიხვდა, რომ იოველ ბატონიშვილის სანახავედ წამოსვლა იმ უგუნური ბაღის გულადობას ჰგავდა, რომელიც, სანამ დღეა და ქვეყნიერებას მზე დაჰნათის, მტკიცედ გადაწყვეტს ღამით მარტოდმარტო წავიდეს უღრან ტყეში, რადგან დღისით გონებას არ ძალუძს მკაფიოდ და ცხადლივ წარმოიდგინოს, თუ რა ბნელი და საშიშია ღამე.

მთის ძირას, ხეებში, სქელი ნისლი იწვია. ნისლი ზანტად ირხეოდა და ნელ-ნელა მიიწვედა ზემოთ.

ახლა ზებულონმა უკვე იცოდა, რომ იოველ ბატონიშვილთან მისვლას ვერ გაბედვდა, რადგან იოველ ბატონიშვილს მასთან არა ესაქმებოდა რა. იოველ ბატონიშვილმა სხვა ზებულონი გამოარჩა: ბიძაშვილებში, სხვა ზებულონზე უთხრა უცხო კაცებს უცხოთა ენაზე, აი ეს გახდება ოსტატი და ეს აანთებს წყაროსთვალში სწავლა-განათლების კელაპტარსო, სხვა ზებულონი მიიწვია თავის სასწავლებელში. მაგრამ ის ზებულონი უკვე აღარ არსებობდა, ის ზებულონი დაროაშვილებმა მოჰკლეს, რათა თავიანთი ზებულონი გაედვიძებინათ. ახლა სწორედ ეს ზებულონი, დაროაშვილების ზებულონი, იღვა აქ და დაროაშვილების ზებულონს ჰქონდა გული სავესე მძიმე, აუტანელი ნაღველით.

ნისლს მთის შუა წელამდე მიედწვია. ზებულონი გაუნძრევლად იდგა და იცოდა და არც იცოდა, რომ ახლა გაურკვეველი და უაზრო მოლოდინით იმას ელოდა, ბოლომდე ავიდოდა და საყდარსაც დაფარავდა თუ არა ნისლი. ზებუ-

ლონის არსების რომელიღაც ნაწილზე ეს იცოდა, მაგრამ ამ ცოდნას ჯერ ვინაობა ვერ ეპოვა, ამიტომ მან, რასაც მთლიანი ზებულონი ერქვა, თან იცოდა და თან არ იცოდა, თუ რატომ იდგა, რატომ შესცქეროდა მღვრივ ნისლს ასე გულისფანცქალით და რას ელოდა მისი უაზრო, უკანასკნელი მოლოდინი.

ნისლი კი მაღლა და მაღლა მიიწვედა. ბოლოს მთას ასცდა, საყდარს მიაღწია, საყდარის ფუძეს შემოეკრა და ხარბოვბივით იწყო აზიდვა კედლების ირგვლივ. თანაბრად, ერთიანი მოძრაობით მიიწვედა მაღლა, ამიტომ შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ნისლი უძრავად იწვა და საყდარი იძირებოდა შიგნელ-ნელა.

მაღე საყდარი მთლიანად ჩაიძირა. ახლა იგი ნისლში ბუნდოვანი ლანდივით ჩანდა, დატეხილი და სახედაკარგული; ისე ჩანდა, როგორც შორეულში, რომლის ზედაპირსაც ნიავე არხვეს.

მერე ნისლი შესქელდა, შედედდა და საყდარი სულ გაქრა. უკვე აღარც მთა ჩანდა, აღარც საყდარი. ახლა ზებულონის წინ მიწიდან ცამდე მხოლოდ სქელი, მკვრივი, გაუმკვირვალე კედელი აღმართულიყო. ზებულონს თვალში ცრემლი ედგა და ხედვას უშლიდა. ამიტომ, ვინ იცის, ნისლის ეს ვეება კედელი, რომელიც ყველაფერს ფარავდა, მის თვალში იყო და არა გარეთ.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მღვრივ, გაუვალ ნისლს მზერა მოწყვიტა, მოტრიალდა, ქურანას, ერთადერთ სულიერს, რომელიც ამ ქვეყნად ჯერ კიდევ შემორჩენოდა, ხელები კისერზე მოჰხვია და ორი წვეთი ცრემლი, თითქოს მიწისთვის არ ემეტებოდაო, მას დააწურა ქურანამ თავი ოდნავ შეარხია და ხმადაბლა დაიფრუტუნა. დიდრონ, სევდიან თვალებში მასაც ცრემლი ედგა...

...ცოტა ხნის შემდეგ ზებულონი კვლავ საყვარელ ქურანაზე იჯდა და ალაღბედზე მიუყვებოდა ვიწრო გზას, რომელიც არავინ იცის, თუ საით მიდიოდა.

მთარ ჟღერდა

ზღაპარი ცისა და მიწის შუაგულში

1.

ჯარჯი, ფიცები აბრაშით,
ყველგან, მზის და მთვარის გარდა,
საით სად არ დაფრინავდა,
ბოლოს მოხვდა ზღაპარშიც.
არაგვს გაღმა-გამოღმა
სასწაულის დაფ-ნადარამ
უშურველნი გაახარა,
მოშურნალნი დაბოღმა.
დღისით გზაზე ვერგამვლელს
მან მოგვარა საფიქრალი;
ხმა დაყარეს: ნატურისთვალნი
მოპარაო გველთაგველს...
გზა-გზა ჭორი მისდევდა
და ფრინველთა წია-წია;
ბოლოს მოყმის დიდებამ
ხელმწიფემდე მიადწია.
მეფეს არ გაუყვირდა:
„გაპყროლია პაპის გზა-კვალს“ —
თქვა და ხმა ჩაუყვინდა
ყველა იცილ-მაცილ შზაკვარს.
არაგვს გაღმა-გამოღმა
სასწაულის დაფ-ნადარამ
მოშურნალნი დაბოღმა,
უშურველნი გაახარა.
ოლონდ ერთი ქალწული
ცას უჭვრეტდა მოწყენილი,
ჯავრით ჩამოქანცული,
ბადრი მთვარის მლოცველივით.
დარდი კლავდა ჭაბუკის
და ბანდა სევდა სისხლში,
მას კაი ყმის დაღუპვის

დღენიდაგ ლევდა შიში.
ასცქეროდა მზექალა
ცას დიდრონი ღრმა თვალებით;
რამდენ ღამეს ეთვალა
გადათვლილი ვარსკვლავები?

• • •

მოყმემ ცხენი ალაღა
ყველა ქვეყნის იალაღზე,
აბალახა, ანახვა
ცის და მიწის სილამაზე;
მხარე მოვლეს ზღაპრული, —
ცეცხლის ღმერთთაცს სადაც ევლო, —
კლდეზე ჯაჭვით დაკრული
ამირანის საქართველო.
მათ წინ შავი ღრუბელი
რისხვით ბევრჯერ გაიშლართა,
კვეთდნენ ქედმოუხრელნი
ტალღებს გრიგალ-ქარიშხალთა.
ცხენს და მხედარს წამითაც
არ აფრთხოზდა წყალდიდობა,
წაყვებოდნენ, სითაც
გაზაფხული წავიდოდა.

2.

ბიჭს არ ყავდა არავინ,
ას ოცი წლის პაპის გარდა,
შინ ვინც იწვა საპყარი,
ვინც სიცოცხლე დაიდარდა.
გახვეული ნაბადში
ვერ იძვროდა ველარსაით,
სდუმდა იგი, ქარქაშში
ჩამწყვდეული ელვასავით.

იწვა შვილი გრიგალთა,
დაღვარული მალულ ცრემლად,
ვინც ადრევე გრგვინავდა
ჯაჭვთა მსხვრევის მათწყებლად.
ვინც გვალვიან ამინდში
ზვრების მოვლას ივალებდა
და ზღაპრული ხალიჩით
ღრუბლებს მოაგრილებდა.
არ ფიქრობდა სახელზე
მბრძანებელი ცის ლაყვარლის,
რწყავდა ბაღებს, ნათესებს
მიმწუხრიდან რიყრაყამდის.
რადგან არც მას მოსწონდა
ხვედრი მშვიდად გარდაცვლილთა —
ცის ვეება კოცონთან
ახლო მისვლა გადასწყვიტა...
მზეს აეჭრა გიჟივით,
მაგრამ ცეცხლმა დააბრმავა
და შავ ზღვაში შიშინით
სტყორცნა ბედის ანაბარა.
დარჩა — ძლისგადარჩენილს —
გამლებს ზეცის კარიბჭისას —
გარუჭული ნაჭერი
იმ ზღაპრული ხალიჩისა.
ოლონდ, დამწვარ ბერიკაცს
არ ელოდა შინ შიმშილი —
ჭიშით, ცაში ფრენითაც
დაემგვანა შვილიშვილი.
მოყმე მოხუცს სწამლობდა,
მიფრინავდა ცხრა მთას იქით,
უკვდავების წყაროს წყალს
უზიდავდა პაპას ტიკით.

3.

ჭარჭი, ფიცხი აბრაშით,
ყველგან, მზის და მთვარის გარდა,
ისე, როგორც ზღაპარში,
საით სად არ დაფრინავდა.
ყოველ კვირას საგზალი
შორს მიჰქონდა მას ხურჩინით
და ყვავ-ყორნებს თავზარით
აფეთებდა ფასკუნჭივით.
არა, თავგასართობად
ზამთარ-ზაფხულ ქვეყნის ხარჭით
კი არ დანავარდობდა
უღარდელად ჩვენი ჭარჭი...
თან მიჰქონდა მალულად
ბლომად პური, ხორცეული,

ხევი — მათი მამულის
ოფლით, სისხლით მოწეულს,
უქმად არ ირჩებოდა
და არც სხვებთან სადიდგულოდ;
ორთაშორის რჩებოდა
მისი დიდი საიდუმლო.
მოყმე, როგორც მომველელი,
სარჩოს ვისაც უზიდავდა —
იყო დაუნდობელი
მტერი სულით კუზიანთა.
ვინ უწყოდა — რა დარდი,
რა ვარამი კლავდა მხედარს!
ცაში რაშით ნაგარდი
ბევრმა ბრიყვმა დააყვედრა.
მოყმე ღვარძლსაც იმკიდა,
რაშით ბევრი გააცოფა,
ავად გადაიკიდა
მთელი სოფლის თავაკობა.
ვინ არ ეცილებოდა,
ბევრი შეედავა კიდევც...
გულში ეცინებოდა
მოშურნალობა გადამკიდეს.
ჯავრი ბევრმა მოჰგვარა,
რამის მოუნდომეს წაგვრა,
ბევრმა ეწადა მოპარვა,
ბევრმა იჩალიჩა, მაგრამ...
ერთმა თავადშვილმა
სხვებზე მეტად გააწვალა —
მის იშვითა ჭიშთან
ცხენს კაცობა ანაცვლა.

4.

ქროდა მოყმე ამაყად,
სანამ მისი ცოდვით სავსე
არაკაცი არ ნახა
გაწოლილი სოფლის გზაზე.
გადმოეშვა რაშიდან
და მხედარმა თავდაბრილმა
მტირალს კითხა — რა სჭირდა.
რა ფათერაკს გადაყრია?
მოყმეს თავადიშვილი
თხოვნის ღირსად კი არა თელის,
ეტყვის: „ალბათ, მიშველი
ყაჩაღთავან იავარქმინის!“
ცხენზე შესვა ბალღივით
და მან — ხანკლით ასაქნელმა —
ცაში ფრენით დაღლილი
ჭარჭი ლამის გადათელა,

რაში ფაფარაყარილი
 ელვის უშალ გააგელვა,
 როგორც ალი სახმლის
 ანათებდა ნალთა ელვა.
 ეჭდა სწორი კაცივით
 სხვის ცხენს სხვისი ცოდვით სავსე...
 და როდესაც დაცივით
 გამოხედა შორით გზაზე,
 მოყმეს ოხვრით აღმოხდა:
 „რაც დამმართე — არ წამოგცდეს!
 დღეს ჩვენს შორის რაც მოხდა —
 არსად არ თქვა არასოდეს!
 რაც ჰქმენ — ღმერთმა დასწყევლოს! —
 კაციშვილმა არ უწყოდეს,
 თორემ გზაზე წაქცეულს
 ხელს არავინ გაუწოდებს!“
 თქვა და დარჩა მას რაში,
 გაჩენილა ვინც უღირსად,
 ვის თვალშიაც აბრაში
 აქიხენდა მიმწუხრისას.

5.

ყურს უგდებდა ჩვენი ჯარჯი
 პაპას — ჭირში განსწავლულს:
 — ნურსად წახვალ, დღე შინ დარჩი
 და იხილავ სასწაულს.
 ის თავლაში წაგვიღო აბრაშს
 მორთავს ძალზე მდიდრულად,
 შენს უნაგირ-ალვირ-ავეანდს
 გადმოგიყრის დიდგულად“...
 პაპამ სიტყვის დამთავრება
 ძლივს მოასწრო, როდესაც
 სასწაულად მათ კარებთან
 ნაცნობი ხმა მოესმათ.
 წყვილი ცხენით არაკაცი
 იდგა იქვე, ჩინართან,
 მისი რაში თვალწარმტაცი
 ჯარჯის აბრაშს ჩრდილავდა.
 შემოესმა ხმა ცხენწაგვირის,
 მოლოდინით განაბულს:
 „შენს დამქნა, ძველ უნაგირს
 ვატან ჩემს რაშს არაბულს!
 შერცხენილი თუ მექვს პირი —
 ღმერთი ვანა შემარჩენს?
 ჩემს ცხენს შენი უნაგირით
 შენ გიტოვებ, შენ დაგჩრქვ!“ —
 დამნაშავემ ალაღ-მართალს
 ბოლოს თხოვნაც შებედა:

„რაც დამმართე — არსად გამთქვა,
 არ მიჩვილო მეფესთან“
 დასჯის შიშით თავადიშვილს
 გული დაუჩიავდა,
 თორემ სვინდისს ანგარიშში
 არ აგდებდა ჩირადაც.
 არაბული რაში ჩრდილში
 რომ დატოვა ჩინართან,
 კაცი — არაკაცის ჭიშის —
 უცხად გაუჩინარდა.

6.

მოყმე არამზადის ნათქვამს
 მოხუცს როცა გაუმხელს,
 თვალეზბდაშრეტლი პაპა
 ბადიშს თვალეზბს აუხელს:
 „რაც დაქარგე — ნუ დასტირი“ —
 თქვა მან და არხენიანდ
 ჯარჯის ძველი უნაგირი
 წამსვე გაარღვევინა.
 მერე — ხედვაგაყინულმა
 სარჩულს სტაცა მარჯვენა
 და როგორც ბრმას — თვალხილულმა
 საიდუმლო აჩვენა.
 „მოუარე ამ ქონებას,
 როგორც შენსავ თვალისჩინს,
 იმ ცხენს ცაში აქროლებდა
 ნაშთი ზღაპრულ ხალიჩის.
 ეგლა შემრჩა ნათელივით,
 აღარ ვნალვლობ არაფერს:
 უნაგირში ჩაფენილი
 ჩვარი მზემდე აგაფრენს,
 ეგ ნაჭერი აქცევს რაშად
 ოჩანს, ბებრეკს უფარგისს...
 ჯარჯი დასტყეს: „ვაშა!...
 ვაშა, ზღაპრულ უნაგირს!“
 ბადიშს ეტყვის პაპა მეცრად:
 „ქმაწვილივით ნუ ბლავი!
 არსად გასცე, არ თქვა არსად
 ჩვენი გვარის მულამი!
 არა მყავხარ მებადური —
 ოქროს თევზის დამჭერი,
 დაგჩრა სხვისი ბედაური
 და ხალიჩის ნაჭერი.
 დახვალ ქვეყნად გლეხის ბიჭი
 და ვთხოვ — აღარასოდეს
 არ გადადგა ერთი ბიჭი,
 ვინც ხარ, რო არ გახსოვდეს.

როცა მთაში საიდუმლოდ
სარჩო მიგაქვს ჭენებით,
ჭვემთხე ხალხი არ გეგონოს
გროვა კიანჭველების.
ის, ვინც შენი პეწიანი
რამით იფრენს ცოტა ხანს,
ვერ მოასწრებს ჭეციანი
გულის დროზე მოფხანას.
როცა იგი ხრამ-ნაბრალებს
ველარ გადახატება,
სულ თავისთავს დააბრალებს —
უამნაჭროდ რაც ხდება.
დაჩვეული მზისკენ აჭრას
ერთხანს იფრენს ის რაში,
მერე წამოიწყებს ჩაქჩაქს,
მალე, ორ-სამ კვირაში.
რომ ბაძავენ თავდადებულთ
მარტო თავის საჭებად,
ჭვემძროშებად დაბადებულთ
ცაში რა ესაქმებათ?
თუ ამცნობენ ოხერ-ობროდს
შენს ამ რაშით ქროლებას,
თავის ცხენში მოგცემს ოქროს,
დათმობს დიდძალ ქონებას.
გამოართვი ან წაგლიჯე
განძი მაძლარ არიფებს!
რასაც წაჭგერი, ამას გირჩევ —
დაურიგე ღარიბებს.

7.

აღრე თავგადაბდილ ამბავს
გაიხსენებს საბუარი:
„ჭაბუკს როცა დამიზღვავდა
ხვათი — თავზესაყარი,
როცა ბალი ამიყვავდა,
ამიშენდა სახლ-კარი,
ყოველ კვირას ამირანთან
რო მიმქონდა სამხარი,
მაშინ ერთ გლეხს ხარი ჰყავდა,
ხარი იყო, რა ხარი!
რქები ება აღესილი,
როგორც წყვილი ლახვარი,
კალო — მისი ვალეწილი —
იყო თვალგასახარი,
ხალხს ეგონა დამეწყარილი
მიწა — მისი ნახნავი.
რკინის ჯაჭვთა დამლეწელი
სად მენახა სხვა ხარი?

სამთაქალის ვალმა მხარეს
შინ დამიხვდა ის გლეხი,
მასპინძელი გავახარე,
ცქაფი, როგორც კლდის ვეფხი.
მის ძველ ჭოხთან ხარი ება
ამირანმთისოდენა...
რატომ ვიციოთ ღარიბებში
ეგრე თავგამოდება?...
დაფაცურდა... არ გამიშვა
ოცი ყანწის დამცლელმა,
ჭვეყნის ხალხი დაბატიეა
ჩემდა პატივსაცემად.
არ მჩვეოდა ბობოქრობა,
არ ვიყავი მკვებხარა, —
ჯიბეში რაც უქრო მქონდა,
მწადდა იქ დამეყარა.
ის თუ ვაჭარს არა ჰგავდა,
არც მე გვავდი მეფეაშეს,
ის რო ვახშმად მაჭარს სვამდა,
მე მისხამდა ზედაშეს.
დილის ხაშზე ვკითხე: „მაგ ხარს
თუ გაყიდი?... მითხარი!“
თქვა მან: „არა ვყიდი, რახან
წუხელ დავკალ ის ხარი!“
გაოგნებულს ხმა ჩამიწყდა,
სიმწრის ელდამ დამსუსხა,
სად ვიყავი — დამავიწყა
მისმა სიტყვა-პასუხმა.
ბოლოს, როცა შევაძლიე
ქისა — სავსე ოქროთი,
ძლივს გავუსხლტი ჩემს მასპინძელს,
ხალიჩით გამოეჭროლდი.
გამატანეს ზღვა საგზალი
კლდეს მიჯაჭველ მოყვასთან.
მთვარე, როგორც პატარძალი,
ფრენა-ფრენით მომყავდა.
ვლილინებდი ჩემთვის ცაში,
როგორც მთვრალი ნათლია:
„არყის ქვებით ცხელი ხაში
ღმერთკაცისთვის მადლია“...
ღრუბლებს მიღმა მიმალული
ღვინომ გამახალისა,
აღარ მკლავდა სიბრაალული
წუხელ დაკლულ ხარისა.
მას ძალუძდა, თუ ძალუძდა
რვალის თვალთა დაწყვეტა;
ხორცი მისი უკვდავს, თუმცა,
არც სადილად აწყენდა.

8.

ჯარჯის აბა რა უჭირდა!..
 მოუმრავლდა მუშტარი,
 შინ სტუმარი გაუზშირდა
 და უსტარზე — უსტარი;
 გარს ეხვიენენ დიდოენი,
 ძურძუქნი და არაბნი,
 სპარსელნი თუ ინდოენი,
 ელინნი თუ ალბანნი.
 მის ხალიფნი, ხელმწიფენი
 სთხოვდნენ, როგორც ხიზანნი:
 „გამიეტე ერთი ცხენი,
 ათას ოქროს გიგზავნი“.
 ყოვლით მაძლარ გვამთაც მაშინ
 ერთი რალაც ეწადათ,
 ღმერთთან მისვლა მალლა — ცაში
 ერთხელ მაინც ეცადათ.
 ჯარჯის ქოხთან გაისმოდა
 დღედაღამ თქარათქური,
 ზარ-გნიასი მალემსრბოლთა
 და ზრინვა ქალაქური.
 რაშს იცვლიდა ყოველ თვეში
 ძმა ორბთა და არწივთა,
 ოქრო-ვერცხლი, როგორც თქეში,
 ჭაბუკს თავზე აწვიმდა.
 ის იძენდა მათ მამულებს,
 ვინც ყიდიდა მთა და ბარს,
 უმიწოებს სავარგულებს
 უზომავდა თანაბრად.
 შემართული შურისგებად,
 მდიდრებს რასაც ართმევდა —
 მშინერ-მწყურვალთ ურიაგებდა
 დასაზრდელად მართვეთა.

9.

რახან პაპას უყვარდა —
 ერთ ბედნიერ ღამით ჯარჯიმ
 ჩუმად გადაუხადა
 გლენს დაკლული ხარის ხარჯი,
 თან მის ბადიშს ეშხიანს
 უძღვნა კაბა შეიდიშის,
 უთხრა: „შენით შევშლილვარ
 მოშურნალი შენი ჯიშის.
 გარბის უკვე ცხრა წელი,
 ვერ დაგვიდგა ჟამი მოცლის...“

ისლის ძველი საბძელი
 მოწმე გახდა მათი კოცნის.
 ის ჩურჩული და ხვევნი
 იყო ერთად დალოცვილი,
 როგორც ერთურთს დაყვება
 შემოდგომა და ქორწილი.
 ოლონდ, ჯერ გზა წინ არის —
 კარგად უწყის მზექალამაც;
 ექვნის ტკბილი წკრიალი
 საღ მიუძღვის გრძელ ქარავანს...
 რაშზე შესვამს ქალიშვილს
 და ქალ-ვაჟი შევარდნებად
 ღრუბელთა და ქარიშხლის
 სამეფოში შევარდება.
 რალაც სასწაულებრივს
 ჰკავდა ორთა ამხედრება,
 მათ ზეძალა ბუნების
 ბნელ მყოფადში ახედებდა.
 და თავდავიწყებამდის
 ეამს მისდევდნენ თავაწყვეტილს.
 სვამდა ჟამთაშფერალი
 ღვინოსა და მრავალწერტილს...

10.

მოყმე როცა დააკრავდა
 ზურგზე ზღაპრულ უნაგირს,
 ჰუნე იგი აღარ ჰკავდა
 ჯაგლაგსა და უვარგის;
 ექდა ჯარჯი ერთ თვეს ფიცხელ
 მდევარს მთათა, მინდორთა,
 ალავერდით მერე იმ ცხენს
 სხვასთან გადავიდოდა.
 წვრთნიდა მოყმე განურჩევლივ
 ყველა ოჩანს და ნალირსს,
 რადგან ცხენი გაუწვრთნელი
 ჩალის ღერად არა ღირს.
 ლაფშებს იგი ოთხი კვირით
 ცაში დაასახლებდა
 და ზღაპრული უნაგირით
 წვრთნიდა ვასასაღებლად.
 დაფრინავდნენ ეს ცხენები
 კიდე ორ თუ სამ კვირას,
 მერე, მხედროს შემრცხველები
 ძირს ეყარნენ საკვირლად.
 გზა-გზა, როგორც მაწანწალა,
 ძრწოდა თავადიშვილიც,
 ლაფშა სამჯერ გადაცვალა —
 ცოლ-შვილს კლავდა შიმშილით;

ბოლოს ჰაბუკს აუხირდა,
ვერ ცნო სიბრძნე მარადი:
ას სიცოცხლედ არ უღირდა
ცაში ერთხელ ნავარდი?
გულში ბოდმაჩაგუბულმა,
თავმოკრილმა მთა-ბარში,
ღვარძლით გზა-კვალ აბურდულმა
ისევე სცადა ფარფაში,
ჯარჯის შურიტ გაგუდულმა
ისევე სთხოვა სხვა რაში;
რახანია დაუბრუნა
პატრონს ფიცხი აბრაში.
მოყმემ ვინც კი შეარჩია
მით მხარეში მდიდარი,
არცერთს აღარ შეარჩინა
დავლა არავითარი.
ქროდნენ ჯარჯის გაბედნილი
მამუტაკა თუ ჯიმბირი,
გულარლო თუ ჯაფიერი,
საფერზე თუ ჯინიბი;
არ უჭირდა ფრენა ცაში
ურას, უხედნს, მარჯაფას;
ცხენი კი არ ცვლიდა მაშინ
მარტო აეტომანქანას!
ცვლიდა ცხენი, ხართან ერთად,
თვითმფრინავს და ელმავალს,
ყველა ორფეხს ახარებდა
და იხდიდა ყველას ვალს.
თუ ამღვრეულ ცაში ახლა
ძლივს დაფრინავს ფრინველი,
თანამგზავრებს მალლა-მალლა
აჰყავთ დასალიერი,
ჯერ არასდროს არ უნახავთ
ჩვენი ცა ცარიელი,
სადაც ჯარჯის პაპა ვახლდათ
კოსმონავტი პირველი.

11.

გადაუფრენს ბნელ ნაპრალებს
რიბირაბოს მკრთალ ბინდში
და კვლავ პაპის ძველ ნაკვალევს
დაადგება ბადიში.
კრთება მოყმე, თითქოს გულში
უჩხვლიტაო ეკალმა:
„აქეთ გამოფრენას გუშინ
რად მიშლიდა მზექალა?
წარბებსშუა დარდის ნუერი
რისთვის ამოერკალა?“ —

გაიფიქრა და ბინდ-ბუნდში
თითქოს კოტმა შეკნაფეჟა,
ლურჯ კლდეკართან უჯავრდებდა
დამფრთხალ აბრაშს, როდესაც
ჯარჯის სისხლი უჯანყდება,
თითქოს იყი მოესვას —
ყიფიალეთში რჯულძაღლებმა
რო ასმიეს ოდესლაც;
ემაგრება ყურადღება,
ექვე მსკვალავს მოყმესაც —
პა, საცაა ყურშას ყეფა
ახლო უნდა მოესმას.
მაგრამ სიმწრის ოფლი ასხამს,
ცივი, წყაროს წყალივით,
მხედარს, ნაცნობ ყეფის ნაცვლად,
ხმა შეზარავს წწაივლის.
მან დალანდა იმ წამს, იქვე:
ფერდში ისარგაჩრილი
ძაღლი იწვა კლდისქვეშ, პირქვე,
სასიკვდილოდ დაჭრილი.
შედგა ჯარჯი თავდახრილი
და მოძულეს გულწვრილთა,
გასისხლული ბალახივით
სახე წამოუწითლდა.
თქვა ჰაბუკმა, როცა დაჭრილს
ამოსწვდა ისარი:
„ვინც შენ მიგცა ამ გასაჭირს,
ძაღლი სწორედ ის არი.
უტყვის და კეთილს ვინც გერჩოდა —
კაცსაც არ დაინანებს,
ზურგზე მისი მძიმე ოდვა
გვაწევს ადამიანებს“.
დაუჩოქებს მოყმე ყურშას,
ეტყვის ღამეთუელი:
„პოი, ეგრე რომელ გულშავს
ჰყავებარ გამეტებული?
ღმერთაკაცს კირში შენ უვლიდი,
შენ უფრთხობდი შავ ღორებს,
ჯაქვებს ლოკვით შენ ულევდი,
შენ უქშევდი ყვაე-ყორნებს.
რაა მისთვის უკვდავება,
გარდა ვაგლაზ-ვარამის?..
ტანჯვას მარტო უმკლავდება,
არ ენდობა არავის.
ვინც ის კლდეზე მიაჯაჰვა —
ყველა კაცი შეზარდა,
ლეთისგან დასჯილს ვინღა დარჩა,
ჩემო ყურშავ, ჩვენს გარდა?“

პატრონს შენსას დახსნა ხალხის
 ძლევის ცეცხლით უნდოდა;
 შენს გასისხლულ ბაღნად არ ღირს
 ჭგრო უჭიგრო უნდოთა“.
 მოყმემ პირუტყვის თავზე ხელი
 გადაუსვა და როცა
 დააწვეთა ცხარე ცრემლი,
 სიკვდილის წინ დალოცა.
 ჭარჯის ფერხითთ იწვა ძალი
 პაპამისის ძმაკაცის,
 ხმაჩაწყვეტილს, სისხლად დაღვრილს
 თქმა ეწადა რაღაცის...
 გადმოავლო ყურშამ ენა,
 ძლივსღა დაიწკავეწკაო
 უწყალო და უსამველო
 საწუთროზე გამწყარალმა.
 უცებ დატყდა ცაში ელვა
 და ღრიალმა საზარმა —
 მიწისძვრაზე საშინელმა —
 მთები შეშანზარა.

12.

გრგვინვა ატყდა კბოღეს იქით,
 რა მხრიდანაც წყალობად
 წყალს ზიდავდა მოყმე ტიკით
 უკვდავების წყაროდან.
 კლდიდან წერილად გადმოწვიმდა
 ხვრეპდა მას ამირანი,
 არწყულებდა წყარო წმინდა —
 ტინის კამარიანი.
 ასხურებდა ბროლებს ღმერთკაცს,
 მერე წყალი ლიკლიკით
 ხევს ერთვოდა, როგორც გრძელ გზას—
 ერთი ციდა ბილიკი.
 ვერ ნახავდი ახლო-მახლო
 ვერც მხეცს, ვერც ადამიანს,
 რადგან ის კლდე „სამოსახლოდ“
 ღმერთმა მისცა ამირანს.
 დაგრებოდა უდრეკ ტანზე
 ჭაქვი უზარმაზარი
 და ეკიდა ბუმბერაზი
 სიპ კლდეს, როგორც ხანძარი.
 ახლა როცა გაფრენოდა
 ცხრადლიანი ღრმა ძილი,
 ღმერთკაცს ფერხითთ გაჰყენოდა
 მღუმარება ხანგრძლივი.
 კლდის ტყვემ, როცა გადაფარა
 ყვავ-ყორნების ნაბადმა,

თვალი ტყისკენ გააპარა,
 ძალი ვერსად დაღანდა
 ყურში არც ჭაქვის უღრმედა,
 არც უქმევედა ყვავ-ყორნებს,
 ტახების ხმა გულს უკლავდა —
 კლდის ძრო ჰგავდა საღორეს.
 წყაროს ძარღვი უკვდავების
 ამღვრეოდა სისხლივით,
 ხრო ვეება მცურავების
 მოზოხავდა სისინით.
 „ჩიქთა, ვეფხვთა დამფრთხოებელმა,
 ვინც მე ფარად მეფარა,
 ყველა კაცზე ახლობელმა
 მიღალატა მყეფარმა?
 წუხელ დამესიზმრა, თითქოს
 ვიყავ ბორკილაყრილი,
 ჩემი ყურში მომკვდარიყო —
 რკინის ლოკვით დაღლილი“ —
 ამირანმა თქვა და ყელში
 სიმწრის გორგალდაცმულმა
 მოსვა წყაროს წყალი პეშვით,
 ბოღმა ვერ დაარწყულა.
 და, პა, სწორედ აი ამდროს
 ძაღლმაც დაიწკავეწკავა,
 კენეაით უხმო თავის პატრონს
 საწუთროზე გამწყარალმა.
 „ყურში!.. ყურში!“ ამირანის
 გრგვინვას აპყვა მთა-ბარი,
 აგრუხუნდა დარიალი —
 ვეფხვთა თავშესაფარი.
 ჭაქვთა ცემით დაბურღელი—
 პიტალო კლდე ატირდა,
 ატყდა ზრინვა და ღმუილი
 დაფეთებულ ნადირთა.
 ბუმბერაზის აფეთქებამ,
 როგორც ნისლით ნაბლანდი,
 მიმოფანტა ნაფლეთებდა
 ყვავ-ყორნების ნაბადი.
 გველებს ხრო წამში გაქრა,
 წარღვნივით წარეცხილივით,
 ბნელ ხვრელებში ჩაიკლაკნა
 განწირულის წივილით.
 „ყურში!.. ყურში!“ — გასძახოდა
 ამირანი კლდე-ღრეებს,
 ღვეებს ძილი გასტეხოდა,
 როგორც ღამის მეხრეებს.
 ის წყალი კი ისევ ურჩად,
 წვრილად მოწანწყარობდა.

ჯარჯიმ მისვენა ყურშა
 უკვდავების წყაროსთან;
 მერე პირუტყვის სამი ნამი
 წყაროს წყალი აკურა,
 შესძრა კბოლდე ამირანის
 ლოცვამ მამაპაპურმა.
 როცა მათი ნახვით დაცხრა,
 გადმოხედა მალიდან,
 „რაც მესიზმრა, თქვა ღმერთკაცმა,
 სანახევროდ აღმიხდა“.
 გაახილა ყურშამ თვალი
 და გადამჩინეს შეპყეფა:
 კვლავ ეწადა გულმართალი
 მოყმის ხელის შეხება.

13.

„შენებრ გმირად დაბადებულს —
 ერთდროს ძმობდი პაპაჩემს,
 მერე — მის ძეს — თავდადებულს,
 სხვას არავის დანარჩენს.
 ეხლა ჩემი ჭერი არის,
 რადგან მე ვარ იმ სისხლის,
 სასახელოდ ჩვენი გვარის,
 ამ ჭაჭვთაგან ვინც გიხსნის“. —
 თქვა და ხურჯინს ახსნა თვალი,
 კლდის ტყვე რომ დააპუროს,
 მოყმე მერე დასწვდა მაღვით
 რკინის მარწუხს და უროს.
 რა იხილა, არ ეამა,
 რისხვით კი არ აგრგვინდა,
 ჯარჯის კითხა ამირანმა:
 „მე რკინები რად გინდა?
 ყურს რომ მოკრავს ღმერთი რაყუნს,
 მოგკლავს, როგორც მამაშენს,
 შენებრ ჩემი დახსნის ნატრულს,
 ღვთის ცეცხლთან მოთამაშეს.
 შეგანარცხებს ტინის კედელს,
 როგორც შენს გმირ წინაპარს,
 მეც ამ ოხერ-ტიალ კლდეზე
 უფრო მაგრად მიმაკრავს!“
 ღმერთკაცს დინჯად ეტყვის ჯარჯი:
 „შენი ტანჯვით ცოდვილი
 რომ გალღვება ცეცხლში ჭაჭვი,
 დარბილდება ცომივით,
 ოღონდ დაგწვავს ცხელი რვალი,
 არ დაშვრები ამოად,
 რახან უკვდავების წყალი
 გე'ხურება მაღამოდ.

ჩუმად, ჩქამსაც არ გაიტუნს,
 ისე აგხსნი მეგ ჭაჭვეზს;
 აბა ზეცა რას გაიგებს,
 თუ გაუძლებ სატანჯველს?
 გაგამწარებს ალი, გმირო,
 ფეხზე დაგეგრაგნება,
 მაგრამ კი არ დაიგმინო,
 თორემ დაგვსჯის განგება!“
 ხმა აღმოხდა შვებით ღმერთკაცს:
 „პეი, ჯარჯი ლომთაძევე,
 ბალღმაც უწყის, ხელში მეტყრა
 ცეცხლი, ღმერთს რო მოვტაცე.
 ცეცხლი ცოცხალს ვერ შემაკრთობს,
 ცეცხლთან შიში ვის შვენის?
 ცეცხლის გამო კლდეზე გაკრულს
 ისევე ცეცხლი მიშველის?
 თავზე ბევრჯერ მეხდაცემულს
 ბევრჯერ მწვავედა ხანძარი,
 ბევრჯერ დაეხვდი ელვას წყეულს
 და ხმა როდის დაეძარი?
 ქარს მიჰქონდა გაფანტული
 ჩემი თმების ნაცარი,
 ვარ სალ კლდეზე აღმართული
 მოთმინების ტაძარი.
 მე შევცოდე!.. სხვა რა მექნა?
 ცეცხლი როგორ დაგენთოთ?
 თვალ-ბორბალის რვალ სარტყელად
 რკინა როგორ გაგედნოთ?
 ბნელი ღამის გამნათებლად
 კერა როგორ გაგეთბოთ?
 მე დამსაჯა მამა-ღმერთმა
 ყველას სამაგალითოდ!
 მომცა სული უკვდავისა
 და კლდესავით სხეული;
 ის მარისხავს მუღამ რისხვას
 ხალხზე განრისხებულს...
 თავად მითხრა: ამირანო,
 შენებრ სიბრძნე ვის ეთქმის?
 კირში შევლა არ ივალო
 ვინც არა გწამს — ისეთის,
 არ იქნება არ ინანო
 გულჭრელობა მიღეთის,
 კაცნი ჭერ არ არიანო
 ღირსნი შენი სიკეთის“.
 და მან ბოლოს უთხრა ჯარჯის:
 „მე ვისთვისაც ვეწამე,
 ვინც აქარეებს ჩემს გასაჭირს,
 შენ ხარ ეხლა მესამე;

ვერ ძალუძდათ შესნა ჯაჭვის,
იმედს გამოვესალმე,
მჯერა — შენი ხერხი ვასჭრის,
ჯარჯი, შენი კვნესამე.

14.

კვესით აკვამლებულ აბედს
სულს კარგახანს უბერავს,
ბოლოს მოყმე ცეცხლს დაანთებს,
რვალს გაულლობს ბუმბერაზს,
ჯაჭვს მარწუხით ჩუმად ახსნის
ტანჯულ ღმერთკაცს და წამსვე
ცის და მიწის შუაკაცი
წყალს აქივლებს დამწვარზე.
პაერს ხარბად ჩაისუნთქავს
უბორკილო უკვდავი,
იღარ ბოჭავს თავისუფალს
ჯაჭვი — სულთამხუთავი.
ძირს ჩამოვა გოლიათი
და მღალ კლდეს ახედავს,
ტანზე ღრუბლად ორთქლი ასდის
ცეცხლის პირველ გამხედნავს.
უროს იგი დასცემს რვალზე,
დაცალეწავს და დაშლის,
ხელს გადახვევს ჯარჯის მხარზე,
ეტყვის, როგორც მამა — შეილს:
თავზე რისხვა დაატყდებათ,
ვერ წამივლენ ვერსაით,
ვიღრე ყველა არ გახდება
უბოროტო, შენსავით.
ის ვინც შურმა გადარია,
ვინც ლაჩრულად ისევ კრთის,
მათთვის მართლაც არამია
მადლი ჩემი სიკეთის.
მათ, ჩვენს ო... აირვინ შეცვლის,
ვინც დღეს კაცად არა გწამს,
ვინც აპირებს ჩემი ცეცხლიც.
დედამიწის გადაწვას.
წუთისოფლად ბევრი მწყევლის,
მეც ბევრს გადავეკიდე...
ჩემი ძალის, ჩემი რწმენის

შენ ყოფილხარ მემკვიდრე,
ძე არა მყავს, თქვა მან მშვიდად,
თუმცა მავან-მავანი
ხალხში ამირანაშვილად
თავს ასაღებს მრავალი.
ღმერთის ნულარ გეშინია
გმირთა გმირად გაჩენილს,
რადგან ღმერთი ჩვენშივეა,
როცა კაცი კაცს შევლის".
გაიღვიძებს ამირანი,
გამოანთებს ბროლ-კბილებს,
ათას ღვევის ჯანიანი
ცაში აპყრის ბორკილებს.
ჯარჯი ღმერთკაცს გადამალავს
ერთ დიდ გამოქვამულში,
პაპის ძმობილს ალაღ-მართალს
ზღაპრულ სუფრას გაუშლის,
მოუყვება, მასთან დაფქვავს,
რაც სათქმელი აქვს გულში,
ეტყვის ქვეყნის ათას ვარამს —
ხელს აწმყოში რაც უშლის.

* * *

კლდის ვეებაკარიანი
მღვიმე ყვინთავს ღრუბლებში,
სადაც იცდის ამირანი —
კაცთა მოდგმის ნუგეში.
ბუმბერაზი ძალებს იკრებს,
არ გამოდის ჯერ გარეთ,
ომის ღმერთზე მწარე ფიჭვრებს
არ აქუხებს მკეჭარედ.
მას დაარჯობს ყურშა ღამით,
ყედს ძველკბილებმოცვლილი,
ვიღრე დასქექს ბუკ-ნადარის
პანგი ძლევაშოსილი,
გამარჯვება უამრავი,
მერე — ჯარჯის ქორწილი;
მეც იქ მნახავთ, თუ არავინ
მოვა ლექსდალოცვილი,
წიგნი თუ არ უარყავით —
არმალანად მოძღვნილი.

სადამდე ივლის ქარაზანი?..

ერთმა ჩემმა ამხანაგმა-კოლეგამ ამას წინათ მიაშბო მეტად გულსატკენი ამბავი, თავის მშობლიურ სოფელთან რომ იყო დაკავშირებული. უფრო სწორად ეს საუბარი ჩემმა „კლიაუზნიკურმა“ შეკითხვამ გამოიწვია — ამდენ გამომუშავებას რას უშვრებით-მეთქი, ხუმრობით ვუთხარი თანამოსაუბრეს — ჩვენთან სვანეთში სუსტი მეურნეობებია, ანაზღაურებაც, ბუნებრივია, ნაკლებია, პირადი მეურნეობიდან კი კარტოფილს თუ გაყიდის გლეხი, კარტოფილით გამდიდრებული კი არავინ მინახავს-მეთქი...

იგი დამემოწმა, ჩვენთან ფული, იცოცხლე, იშოვა ხალხმაო, მანდარინი, ციტრუსები, ჩაი ყველაფერი ფულია, სიმდიდრეა, სახლებს იშენებენ, მანქანებს ყიდულობენ, მერე კი... — შეყოყმანდა იგი.

— ჰო, ვერე რაღა... — ჩავეძიე ცნობისმოყვარეობით აღესილი, — თქვი, ბარეღამ...

არც აპირებდა დამაღვას, ეტყობა, აწუხებდა ეგ ამბავი და ცნობისმოყვარე თანამოსაუბრე რომ შეხვდა შეიძლება კიდევაც გაუხარდა. მცირედი დუმილის მერე გუდას პირი მოხსნა:

— შემდეგ, ჩემო ბატონო, იწყება უთავბოლობა. როცა ყველაფერ აუცილებელს მიაღწევს და გაინაღდებს ზოგი-

ერთი, მერმე დაუკრეფავში მოიწადინებს ხოლმე გადაძვრომას. ჩნდება ჰობი მიულწეველის მიღწევისა, სურვილი ათასნაირი საწადლის აღსრულებისა. ხშირად ეს თამაში უზნეობაშიც გადადის.

„თხა თხაზე ნაკლებიო“, — და ბევრმა მოიწადინა გამდიდრება. საშუალო მდგომარეობას არ უნდათ დასჯერდნენ, ქონება სურთ დააქუჩონ. მათი აზრით, ბევრი ფული უკვე ყველაფერია, უღრტვიწველი ცხოვრებაც, შვილების ბედნიერი მომავალიც.

ტკბილმოუბარ ბერიკაცებს დანატრებული პოეტის წუხილისა არ იყოს, ჩვენს თაობაში, თუ იგი სიბერეს შეესწრო, კეთილი მოხუცი სანთლით საძებარი შეიქმნება... ეს მავანთა თავაშვებულობა უკვე ხასიათში გადადის, ფსიქოლოგიაში გადაიზრდება და სახეზე ეხატება ადამიანს. ერთი სიტყვით, იგი კარგავს ჩვეულ პროფილს, სიღარბის-ლეს და სიმშვიდეს, უღრტვიწველობას, რაღაც ცბიერების განსახიერებად იქცევა, ცხოველური მოუსვენრობა და მტაცებლური სიხარბე ეუფლება. ჰო და, აბა, კეთილი, ჰადაროსანი მოხუცები საიდანა მოვლენ? აი, სოფლად ამ კატეგორიის ერთ ნაწილს რომ ნაკლები გასაქანი ჰქონდეს ყველა უბანზე და მათ მიმართ ამ ბოლო დროს განხორციელებული მორალური ბლოკადის ცხოველყოფილობა კიდევ უფრო

ხელშესახები იყოს, მაშინ ყველა მორალურ-ზნეობრივი კაპიტალის დაგროვებას შეეცდებოდა. ეცოდინებოდა, რომ სხვანაირად ფონს ვერ გავიდოდა.

ზოგიერთმა ამითმა შემხედვებარემ კი სუსტი ნებისყოფა რომ აღმოაჩნდათ, სინდის-ნამუსზე ჩაიქნია ხელი. ერთი ნაწილი კიდევ ინერტულად მისჩერებია ამ მავანთა საქმიანობას შორიდან, გაზრდილ შესაწყევრებსა და მისატანებს, ამ ქონებიერთა მიერ თავის გამოსაჩენად აწუღულ „ტაქსაციებს“ ვეღარ აუღდის... არა და ნათესაობა სხვა რაღაა თუ არა მხარში დგომა, ერთგულება; ის ძველებური მხარში დგომა არ გვეგონოთ, რაც გქონდა იმით რომ მიხვიდოდი, მიუსამძიმრებდი თუ მიულოცავდი.

ახლა მარულაა გაჩაღებული, შორეულ ფუღიან ნაცნობს შეუძლია წაშში ჩამოგაშოროს ნათესავი. იმდენს მიუტანს, რომ შენი ძღვენი წვეთად დაჩნდება იმის მირთმეულთან. მერმე სხვაც მიუტანს, გაჩაღდება შეჯიბრი, სოფელში ხმა დაირხევა, რა ხელგაშლილი ვინმეაო. იმაზე რომ ასე იტყვიან, შენზე პირიქით იტყვიან. ასე რომ თანდათან გაგვივარდება ხელმოჭერილისა და „ძუნწკარაბეტას“ სახელი. ასეთი კი აღარავის უნდისარ. ის კი არა, ასეთებს რომ ჩაუვარდენ ხელში, რომც იმსახურებდე, შეიძლება არც დაგაწინაურონ, ბუნებრივია, არც კეთილად მოგიხსენიებენ. და ათასი სხვა კიდევ... იქნები ვერე, სანამ ზემოდან არ შემოგეშველებიან...

ნათესავებს ვინღა ჩივა, შეიძლება ისე მოხდეს, რომ შეილებიც შემოგწყყნენ — მალე ისინიც იგრძნობენ ამ გულგრილ დამოკიდებულებას, უყურადღებობას და განმარტობას, ხელმოკლეობასაც, ჰო და თუ კი სიღარბისლე არ ეყოთ, შესაძლოა, ცთუნებად წასძლიოთ და შემოგოციინონ — სხვებს ქარვასლები უშენებიათ და ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა ეგეთით.

ყველაზე დიდი უბედურება სწორედ ეს გახლავთ, შეილებიც მდურება შობლებიისადმი. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს იშვიათი შემთხვევა მგონია, თქმით შეიძლება ბევრმა თქვას ვერე, მაგრამ საბოლოო ჯამში მიანიც გონიერება იმარჯვებს ხოლმე — ამ კატეგორიის ახალგაზრდების გზიდან გადაცდენა ძნელია, მხედველობაში მაქვს პატიოსანი ოჯახისშვილების კატეგორია.

მერმე ხდება, რომ მონამახს მონამახისას მიაგებენ, კეისარს კიდევ კეისარისას, ცხოვრებისეული საწოკნაოსაბოლავებელი სიმართლის მხარეს დაიხრება და ბედი ვაუღიომებს ამ ჩრდილში მოქცეულს... ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე არ იყოს, მაშინ ხომ ცხოვრება საერთოდ დაკარგავდა ყოველგვარ ინტერესს...

აქვე უნდა ითქვას, რომ შრომელი, პატიოსანი ადამიანის მაცოცხლებელი რწმენის განმტკიცებისათვის ამ ბოლო ათწლეულში მართლაც წარმოუდგენლად ბევრი ვაკეთდა და ეს მონამოვარი სიკეთის რწმენისა ყველაზე ძვირფასი საგანძური მგონია ჩვენი საზოგადოებისათვის.

მე ვიტყოდი, ხელთუქმნელი საგანძური.

— შენ რომ გთხოვონ ახლა, მეურნეობის დირექტორისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის კანდიდატურები დაგვისახელო, — ვკითხვ ბოლოს ამხანაგს, — ვის წარუდგენდი?

მან მომიგო:

— ათას ვინმეს წარუდგენდი. ასეთებს რა გამოლევს ჩვენს მთასა და ბარში და ჩვენს რაიონშიაც, რა თქმა უნდა, ღმერთმა ნურც გამოლიოს ისინი...

მიუხედავად ასეთი ოპტიმისტური ფინალისა კოლეგის ნათქვამი მეტად დამაფიქრებლად მეჩვენა.

მართლაც და ბევრ ვინმეს ავიწყდება ჭეშმარიტება — „ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო“, ქართული ანდაზა რომ ჰლაღებს. არამი ლუკმა არავის შერგებია.

მართლაცდა, რაღაც მაგიური მნიშვნელობაა თითქოს ჩადებული ამ ნათქვამში — იშვიათად დარჩენილა ადამიანი არამი ლუკმა რომ არ წამწარებოდა. ბუნება თუ სამართალი რაღაც ფორმით თავისას მიუზღავს ხოლმე. ამისი მაგალითები უამრავია და ჩვენი ცხოვრებისათვის იმდენად ნიშანდობლივია, რომ შორს წასვლა აღარ გვჭირდება. აი, ვიღაც ხელოვანი, ასჯერ ნასამართლევი, მაგრამ ყოვლისშემძლე შშობლებისა და ბიძების მიერ იმდენჯერვე ხელდაფარებული, დედისნებიერა თავგასული და უტიფარი ხორცმეტი გაჩერებაზე უცნობ მოქალაქეს დანითა კლავს — პაპიროსი არ მომაწვიანო. და ეს მოქალაქე, ამ ხელოვანისა და არამზადის ყოვლად უდანაშაულო მსხვერპლი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ექიმი ანდა ხელოვანი აღმოჩნდება ვინმე;

სხვები ჯგუფურად იმუშავენ ძარცვის გეგმებს, „აუთოვებენ“ ოჯახის უფროსს და ასეთი წამებით ხდიან სულს უდანაშაულო ადამიანს, სხვები კიდევ ნაჩუქარ მანქანებს დააქროლებენ, ცა ქუდად არ მიიჩნიათ, დედამიწა—ქალმანად. მათ ჯერ კაპიკის ღირებულებისა არაფერი შეუქმნიათ და ფულებს დაუნანებლად ხარჯავენ. ამას კი მოსდევს აგარია, ტრაგიკული აღსასრული... ისინიც, ის მკვლელებიცა და მტაცებლებიც და ეს დარღვიანდებიც თავის უსახურ აღსასრულსაც მალე პოვებენ ხოლმე... ბოლოს ვინ რჩება მოგებული? მშობლები? თვითონ? საზოგადოება? ადგილის დედა? ასე რომ ელოდა მის დავაჟაცებს? არც ერთი და არც მეორე. არამად მოტანილმა ოჯახი დაამხო, მიწის პირისაგან აღგავა, ბოროტება და სიკვდილი დაავანა ჰერქვეშ. ყველაფერი სწორედ მშობლებიდან მომდინარეობს, მათი ცხოვრების წესის ნაყოფია. უცნაური ის არის, რომ მაინც არ უნდათ ეს გაიგონ.

საქმოსანმა სადღაც გულის სიღრმეში მშვენიერად უწყის, რომ არა-

მი ფული სიკეთეს არ მოუტანს, მაგრამ ცთუნებას შაინც ვერ სძალავს. შედავთს უკეთებს თავის თავს — ღმერთი მოწყალეა, რამდენი შეიბრალა, იქნებაც მეც მომიტევოსო. მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ ღმერთი აქ არაფერ შეუშია, ჭრუღობასა და საქმოსნობას თავისი ლოგია გააჩნია, როგორც ყველა მოვლენა, იგიც თავის მიკროკლიმატს ბადებს ოჯახში და გარეთაც, ადამიანთა ურთიერთობებში და ამ მიკროსამყაროში ვინც კი მოხედება, დიდი იქნება თუ პატარა, გნებავთ სულაც უგონთური ბავშვი იყოს იგი, მაინც იწამლება, ქვეშეცნეულად იმუხტება უქნარობის და ხორცმეტობის გადამდები ბაცილით, ისევე, როგორც მარანში, ღვინის გამაბრუნებელ სუნს ეჩვევა თანდათანობით ადამიანი, მოზარდიც ყველა თვისებას იმუშავენს ამ ჯადოსნურ სამყაროში და ასე შემუშნეულად, მზამზარეულად ბოროტმოქმედად ევლინება ქვეყანას, საზოგადოებას.

ყველაზე დიდი სკოლა ოჯახი გახლავთო, — ნათქვამი ამ შემთხვევაშიაც დასტურდება, ბოროტმოქმედთა სკოლა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს, უსაქმურობისა და მუქთახორობის და აქიდან გამომდინარე, ყველა სიავის უპირველესი სკოლა მემანური ოჯახური გარემო, არაქანსალი შინაური მიკროკლიმატი და ქუჩაა. ამიტომაც არის, რომ გვიკვირს, ამდენი უსაქმური საიდანო.

იქნებ ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი ახალგაზრდობის, შესაძლოა არც თუ დიდი, მაგრამ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის „აცვნილობისა“, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი? იქნებ გამდიდრების აგიოტაჟი და მავან უფროსთა მიერ გაჩაღებული ეს საქმოსნური მარულაც არის ერთ-ერთი მიზეზთაგანი ახალგაზრდობის მართალი ცხოვრების გზიდან გადაცდომისა?

ყველაფერი ეს დემოგრაფიას ეხმურება. მართლაცდა, რა ბედენაა ქვეყ-

ნისათვის, არსებობდნენ და სინამდვილეში არაფერს წარმოადგენდნენ? ახალგაზრდობის წილით—მოსახლეობის რიცხვში რომ ითვლებიან და სინამდვილეში ზიანის მტერი არაფერი მოაქვთ, სხვებისას ვკარბობთ. სამწუხაროდ, რომ ვკარბობთ და მეტიც. ამ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სწორედ რომ არამწარმოებელი ვახლავთ ყველა მნიშვნელობით, ნაყოფიერების თვალსაზრისითაც კი: ჩვენში ახლადდაქორწინებული ახალგაზრდობის 16 პროცენტი უშვილოა. აქედან 40 პროცენტი მამაკაცების მიზეზით! ეს მოვლენა იმდენად სიმპტომატური და მნიშვნელოვანია თავისი არსით, რომ უორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუხქციის კვლევით ინსტიტუტთან საგანგებოდ ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც მამაკაცების უშვილობას სწავლობს. ხოლო რაც შეეხება ალკოჰოლისტიების ფსიქიურად დაავადებულთა შვილებს, მათი 75 პროცენტი მახინჯია.

როგორია საქართველოში განქორწინებათა სტატისტიკა?

ზემოთ ერთგან უკვე გვქონდა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ კიდევ ერთხელ დაეძინეთ, რომ მისი მაჩვენებელი — ყოველ ას ახალდაქორწინებულზე 14-17 პროცენტი ერთობ მალალია, და ამ „დამსახურებაში“ კვლავ თავისი ლომის წილი უდევთ იმ „დედაკოს ბიჭებს“ არამწარმოებელთა ბანაკიდან... და ეს მაშინ, როცა ჩვენს მეზობელ სომხეთში „ნედელიაში“ გამოქვეყნებული წერილის მიხედვით ახლადდაქორწინებულთა ყოველ ას წყვილზე მოდის ოჯახის დანგრევის მხოლოდ 10 შემთხვევა და რაც მთავარია, ამაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი, სხვა რეგიონებისა და დიდი ქალაქების საპირისპიროდ, აქ ეს მოვლენა ზრდის ტენდენციით არ ხასიათდება, იგი ერთ დობეზეა გაჩერებული.

რახან სომხეთზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა აღინიშნოს, რომ აქ მეტად იშვიათია ოჯახები, სადაც

ბავშვები უმამოდ იზრდებიან. ყოველ ას ოჯახზე საშუალოდ ექვს-რვა ბავშვს ჰყავს მხოლოდ ერთი მშობელი, მეტწილ შემთხვევაში ეს არის დედა, დაქვრივებული, ანდა ქმრისაგან მიტოვებული. საერთო-საქვეშაო საშუალო მაჩვენებელი კი ვახლავთ ყოველ ას ოჯახზე 12-15 შემთხვევა. ერთილი შერთი შეიძლება განიმსჭვალო მეზობლებისადმი, როცა ვაიგებ, რომ სომხეთში, და კერძოდ კი ერევანში არც ერთი გამოსაფხიზლებელი არ ვაჩნიათ, როცა თბილისში, თუ არ ვცდები, 10 ასეთი დაწესებულება ფუნქციონირებს. და საერთოდაც, როცა შეცნიერები, დემოგრაფები და სოციოლოგები აღნიშნავენ ხოლმე, ქრისტიანული რელიგიის უარყოფით გავლენას პოპულაციაზე, და მუსულმანურ სარწმუნოებას მიიჩნევენ შუა აზიისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში გამრავლების მაღალი მაჩვენებლების ერთ-ერთ მიზეზად და ქრისტიანულს კი მოსახლეობის აღწარმოების შენელების საფუძვლად ჩვენი ქვეყნის დანარჩენ ნაწილში, სომხეთის მაგალითზე ეს მოსაზრება ნამდვილად არ დასტურდება. ქრისტიანობა მოსახლეობის მატების მაღალ ტემპებს ამ რესპუბლიკაში ნამდვილად არ აფერხებს, ყოველშემთხვევაში, ფაქტები საპირისპიროს უფრო მეტყველებენ. აქ, ალბათ, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად (განათლების დონე, ტრადიციები, შრომითი მოსაქმეობის ხასიათი, ურბანიზაცია, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, ქალთა ენანსიბაიის გავლენა) ერთ-ერთ ქვეშეცნულ და უჩინარ ფაქტორს წარმოადგენს მცირერიცხოვანი ერებისათვის დამახასიათებელი საკუთარი მეობის თვითდამკვიდრებისა და გადარჩენისათვის ბრძოლის ნიშანდობლივი მომენტი, მსოფლიო ისტორიის ავანსცენაზე საკუთარი მისიის ისტორიულ-ფილოსოფიური განვკრეტა და ფხიზელი ანგარიშიანობა, მომავლისადმი სამზადისი და ამ რწმენის რელიგიის რანგში აყვანა.

თუ მრავალრიცხოვან ერებში პოპულაციის საკითხები თვითდინებაზეა მიშვებული, და მათ ამისი უფლება აქვთ კიდევაც. მცირერიცხოვან ეროვნებებში მოვლენებისადმი ბრმად მიყოლა ყოვლად გაუმართლებლად გვეჩვენება. ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანებს შორის სომხები მართლაც რომ დამსახურებული ჩემპიონები არიან.

რატომ ჩამოვრჩით ასე კატასტროფულად მეზობლებს? როგორ მოხდა, რომ ერთნაირ პირობებში ისინი გადაჭარბებით ასრულებენ მოსახლეობის აღწარმოების „გეგმებს“ და ჩვენ კი, შემხვედრ ვალდებულებებზე რომ არაფერი ვთქვათ, — ამ უზენაეს „დაარგში“ გეგმა-მინიმუმსაც კი ვერ ვასრულებთ?

შედარებისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე რესპუბლიკის საშუალო წლიური მატების ცხრილი პროცენტებში შესაბამისად 1911-1965; 1966-1970; 1971-1975; 1976-1979 წლების მიხედვით:

სსრ კავშირი	1,4	0,98	0,95	0,85
უზბეკეთის სსრ	3,58	3,16	3,15	2,67
საქართველოს სსრ	1,46	0,97	0,80	0,61
აზერბაიჯანის სსრ	3,15	2,41	1,86	1,80
სომხეთის სსრ	3,28	2,61	2,29	1,90

მაგრამ, როგორც ზემოთაც ითქვა, სამწუხაროდ, არც ეს მიმხრავალი ციფრი — 0,61-ია ჩვენთვის გულმისანდობელი. მოგეხსენებათ, ჩვენი რესპუბლიკა მრავალეროვნულია თავისი მოსახლეობით. და თითქმის ყველა ეს ეროვნებანი პარადოქსია, მაგრამ თვითდამკვიდრებისა და გამრავლების საკითხში ერთობ შორს გვისწრებენ „ტემპერამენტით სახელგანთქმულ ქართველებს“. აქ კი, სამწუხაროდ, მნიშვნელობას კარგავს წინაპართა ბრძნული ნათქვამი — ყველა ზუმრობა ნახევრად სიმართლის შემცველიაო. კიდევ ერთხელ მოვუხმოთ ფაქტებს: ქართველების საშუალო წლიური მატება 1000 კაცზე შეადგენს 3,5 და 3,6 7 — 8 ადამიანს, საქართველოში

მცხოვრები აზერბაიჯანელებსა კი — 22,2 ადამიანს, ბარაქელს მათთან.

ქართველი კაცი არასოდეს არ ყოფილა ბუნებით ეგოისტი და ოდენ თავისკენ მიმთლელი, სხვათა სიკეთისა ზედა მოშურნე და ვინმესადმი ბოროტმზრახველი, და არც მალთუსიანი ელობის მიმდევარი ყოფილა როდესმე. ყოველთვის ღრმადა სჯეროდა, რომ ადამიანთა ბებრუხუნა დედამიწაზე ყველა მშვენიერად დაეტეოდა, ყველას ეყოფოდა სივრცეცა და სარჩო-საბადებელიც, ოღონდ კი მშვიდობა, ურთიერთდობა და სიყვარული ყოფილიყო ქვეყნად. და, აი, აღსრულდა უდიადესი ნატვრა ჩვენი წინაპრებისა — მშვიდობიანობა დამკვიდრდა დედამიწაზე; დაღვა ის დრო, როცა იმედიანი მომავლის ზღურბლზე წუთშესვენების ეამს, დემოგრაფიული მონაცემების მოზაიკიდან გამომდინარე, რამდენიმე მწარე შეკითხვა დავესვათ საკუთარ თავს — თუ კი ყველა ეტევა ამ ცოდვილ დედამიწაზე, თუ კი შენი მისია კაცთმოყვარეობისა და სტუმართმასპინძლობისა, სიკეთისა და სხვათა მხარში დგომისა პატიოსნად აღასრულე, ვალმოხდილი მოხვედი დღევანდლამდე, და ასეთივე რწმენით მიემართები მომავლისაკენაც, რატომ უნდა მოხდეს ისე, რომ წინაპართა სისხლით მორწყულ ანაგულ მიწებს ახლა სხვა დაეპატრონოს, ის, ოდესღაც შენი შეფარებული და მისი გაპირვების ეამს შენს მიერ იმედიან ფრთებქვეშ შეყუთებული, გეგბავთ, თუნდაც არასისხლისმიერი მოყვასი შენი? ბაღ-ვენახები, სამოსახლონი, ეკლესიები და სასაფლაოები, ქართულწარწერიანი ლოდებით მოფენილი ძვალთსაღაგები რად უნდა დაარჩინო ალაღბებდნე?

მით უფრო კიდევაც, რომ შენზე არანაკლები მიწების პატრონია, საარსებო გასაქანიც შენზე არანაკლები გააჩნია და ეს „დაპატრონება“ რაიმე სხვა აუცილებლობითაც არ არის გამოწვეული?

რატომ, რატომ?!
ნუთუ ძველი ოლთისის, ოშქისა და

ხახულის, ბანასა და იშხანის არტანუჯისა და ერუშეთის, პერეთისა და ჭანეთის მშობლიური, აწ მინავლელი ჩქამის მონატრების მწარე ხეივანი უნდა განვუმზადოთ დროთა განმავლობაში დღემდე რალა მანქანებითა და განგების ნებით შემორჩენილ „ღვთისგან წილხვედრილ“ მიწებს? და განა ვინმე გვედავება და გვართმევს, განა ხელჩართულ ბრძოლაში გვმარცხებენ და იმაზე გვარგავთ საუკეთესოსა და მამაბაპურ ალაგებს?

ჩვენივე უღარდებობის წყალობით, და კიდევ ათას სხვადასხვა ყოვლად უნაყოფო, მოგონილ მიზეზთა გამო გვეცლება ხელიდან. ეს ჩვენივე გამოკვებილი და ნასაზრდოები თათქარიძისეული განცხრომილება, დარეჯანისეული სიზანტე, უადგილო ყოყლოჩინობა გვემტერება პირველ რიგში... ამ ვითარებაში როდენ დროულია ის ცხოველმყოფელი საქმიანობა, რომელსაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ეწევა დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. არადა, წარმოდგინეთ, ეს სიბერწის ფითრი ამჟამად ისეთი კუთხითაც შემოგვიჩნდა, კაცი რომ ვერ წარმოდგენდა — ქვეყნის შუაგულში სცადა წამოპოტივება. სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი დიდი ხნის შემოქმინებული იყო, შუაგული თითქოს ბოლო დრომდე მაგრობდა, ყოვლისწამლევად ტალღებს ძველებურად უმკლავდებოდა, და აი, დღეს აქაც გაისმა დადასისი ავსულისა: „პაიდანშერშალუ ამხვეტბი, პაიდანშერშალუ ამხვეტბი!“ — პაიდანშერბივით გადაშენებულხარო! — დადადებს უჩინარი ავსული და მისი ეს დადადისი უკვალოდ როდი ქრება. მაგრამ კვლავაც ემოციური კაცის მკერდზე მუშტების პროვინციულურ ბრაგუნს რომ არ დაემსგავსოს ჩვენი სასოწარკვეთილი ოხვრა და ვიში ისევ სტატისტიკას მიემართოთ, სტატისტიკას, აქ ყველაზე მშრალსა და უტყუარ მსაჯულს, იგი გვეუბნება, რომ „მომავალში მოსალოდნელია დემოგრაფიული სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესება. რესპუბლიკის შიგნით მოსახლეობის მი-

გრაცია მიგვანიშნებს, რომ თანდათანობით გაუარესდება მოსახლეობის განსახლება, რომელიც უმთავრესად გამოიხატება მთიან და მთისწინა რეგიონებში მოსახლეობის მკვეთრი შემცირებით. დემოგრაფიული პროგნოზების მიხედვით, 1990 წლისათვის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1980 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირდება საქართველოს 21 რაიონში, ხოლო 2000 წლისთვის — 42 რაიონში, ამასთან შრომისუნარიანი მოსახლეობა მომავალ ათწლეულში შემცირდება რესპუბლიკის 35 რაიონში“ („გულახდილი დიალოგი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1981 წ.).

აქ გვეუბნებიან, მიგრაციის გამოც სამწუხაროდ, მთლად ასე როდია, მართოდენ მიგრაცია რომ იყოს ამ დაცარიელების მიზეზი, კიდევ რა უშავდა!..

ყოველივე ამის გამო უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. კიდევ ერთხელ გავისხენოთ მაჩვენებლები — „მინუს 10“, „მინუს 4“, „მინუს 4,5“, „პლუს 1,9“, რომლებიც შესაბამისად ამბროლაურის, ცაგერის, ონისა და ყაზბეგის რაიონებში ყოველ ათას სულზე მოსახლეობის ყოველწლიურ მატებას, სინამდვილეში კი კლებას გვიჩვენებენ.

უმრავლესობის აზრით მოსახლეობის აღწარმოების დონე სტაბილური რომ იყოს ამისათვის საჭიროა თითოეული ოჯახის შეიღობა რაოდენობა 2,6 — 3 სულს შეადგენდეს. ასეთი აუცილებლობა გამოწვეულია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ოპტიმალური დონის განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის შრომით რესურსების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. ერთი სიტყვით, ოჯახზე 2,6 — 3 სულის ნამატი, ეს გახლავთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეალური, გნებათ, ზომიერი

ვარიანტისათვის გაანგარიშებული მო-
ნაცემები.

ხოლო რაც შეეხება მწერალ გურამ
ფანჯიკიძის საინტერესო წერილში აღ-
ძრულ საკითხს, ქართველი მოსახლეო-
ბის აღწარმოების ისეთი რეგიონე-
ბის დონეზე წარმართვისათვის, რო-
გორიცაა შუა აზიის რესპუბლიკები,
აზერბაიჯანი და სომხეთი, ეს „იდეა-
ლური“, გნებავთ ასე ვუწოდოთ, „ზო-
მიერი“ მაჩვენებელი — 2,6—3 სული
ოჯახზე, ნამდვილად არაა საკმარისი.

თვითდამკვიდრების გლობალური
ამოცანიდან გამომდინარე ჩვენს წინა-
შე მართლაც მრავალთაგან განსხვავე-
ბული და მეტად სერიოზული პრობ-
ლემა დგება — მხარი ვუსწოროთ მე-
ზობელი მოძმე რესპუბლიკების მიღწე-
ვებს აღწარმოების სფეროში. ასეთ ვი-
თარებაში ჩვენთვის საერთო-საკავში-
რო საშუალო მაჩვენებლების გამოდე-
ვნება და მასთან შეფარდებით ვითომ
მცირე გარღვევით თავის დამშვიდება,
რალა თქმა უნდა, თავის მოტყუებაა და
მეტე არაფერი, მით უმეტეს, რომ ასე-
ვე დგას საკითხი, ეგრეთ წოდებული,
მეორე ზონის, ესე იგი, დაბალი შო-
ბადობის რეგიონში შემავალი რესპუბ-
ლიკებისა და მათ შორის რუსეთის სა-
ბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის
წინაშეც (ამაზე ზემოთაც გვქონდა სა-
უბარი). ასე, რომ თუ ამჟამად ჩვენი
რესპუბლიკის მოსახლეობის მატე-
ბის დონე რამდენადმე აღემატება
ზოგიერთი ზემოთ ნაგულისხმევი რეს-
პუბლიკის მაჩვენებელს, ამავე დროს
იგი სამჭერ და მეტად ჩამორჩება ისე-
თი მოკავშირე რესპუბლიკებისას, რო-
გორიცაა უზბეკეთი, ყაზახეთი, ტაჯიკე-
თი, თურქმენეთი, ორჯერ — აზერბაი-
ჯანისა და სომხეთის მატების დონეს.

სწორედ ამ ვითარებიდან გამომდი-
ნარე გურამ ფანჯიკიძისეული ინტერ-
პრეტაცია აღნიშნული საკითხისა და-
ვას არ იწვევს. ერთი სიტყვით,
ჩვენს წინაშე მეტად სპეციფიური და
რთული ამოცანა დგას, თავისი არსით
იგი ეხმიანება „ადამიანთა მიწაზე“ ის-

ტორიულად კუთვნილი ადგილისა და
მეობის ღირსეულად შენარჩუნების
გლობალურ მიზანს.

დრო მართლაც დაუნდობელი სტი-
ლისტია — უღმობლად ხეწავს და
კვეცავს დემოგრაფიულ სიკარილეებს,
შეაქვს საკუთარი სწორებანი, ვადახა-
ზულს ავსებს ახალი სიტყვებით, სას-
კენი ნიშნებით.

მსოფლიო მოსახლეობას, მილიარდი
რომ ვამხდარიყო, დასჭირდა 1000 წე-
ლი, ორ მილიარდს — მხოლოდ 100
წელი, სამ მილიარდს — სულ 30 წე-
ლი! ამჟამად დაიწყო მეოთხე ფაზა.
2000 წლისათვის მსოფლიოს მოსახ-
ლეობა ექვს მილიარდს მიაღწევს. ესე-
იგი, ორი მილიარდ ორასიათასით გაი-
ზრდება. კვლავ თავის მაგიდას მიუჯ-
დება უზენაესი და შეუვალე მსაჯული
— სტილისტი, მსოფლიოს რუქას დაა-
ჩერდება და კალამომარჯვებული გაა-
ღვენებს თვალს მოვლენათა მსგულეო-
ბას, ვინ — წინა და ვინ — უკანა, ვინ
— მეტი და ვინ — ნაკლები! ამ ორ-
წინადადებაშია გამოხატული მისი სა-
მოქმედო კრედო. ხარისხი აღარ ინტე-
რესებს, ინტენსიას რატომღაც შემო-
სწყრომია, აკადემიკოსები, საზოგადო
მოღვაწეები, კულტურისა და ხელოვ-
ნების ცნობილი წარმომადგენლები რა-
ტომღაც ნაკლებადედარდება, ექსტენ-
სია, რიცხობრიობაა მთავარი და ამოსავა-
ლი მიზნის, დემოგრაფიული ასპექტით,
აღბათ, მართალიც ვახლავთ, პირობითად
რაოდენობრიობა თავისთავში მოიცავს
თვისობრიობასაც. ეს საყოველთაოდ
აღიარებული ჭეშმარიტებაა. ყოველშე-
მთხვევაში, ჰუმანისტურ საზოგადოებ-
ში საკითხი ასე დგას: ადამიანი რომ
გაჩნდება, მიწა უნდა მიეზომოს და ბინა
მიეცეს. ბუნებრივია, ათწვილიანი ოჯახ-
ერთშეილიანზე გაცილებით მეტ საცხოვ-
რებელ ფართობსა და მიწის სავარგუ-
ლებს დაიკავებს, მიწას მუპატრონე სჭირ-
დება. დღეს მისი მოცდენის უფლება
არავის არ გააჩნია. მიწა დღეს კვლავ
ერთადერთი უზენაესი ნუგეშია კაცთა
მოდგმისათვის, მართლა დედა-მიწა!

700 წლის შემდეგ 1 კვადრატულ მეტრ ფართობზე თითო ადამიანი მოვა. მოსახლეობის სტაბილურ ზღვრად მიჩნეულია 12 მილიარდი კაცი. ამჟამად თუ ხმელეთის მხოლოდ 7%-ია გამოყენებული სავარგულებად, მომავალში გაიზრდება 25%-მდე. ოკეანეც უნდა აითვისოს ადამიანმა, ჯიშთა გამოყენითაც პროდუქტიულობა გაიზარდოს 50%-მდე. აი, რა გზით წარიმართება პერსპექტივაში დემოგრაფიულ-სამეურნეო სფეროში ინტეგრაცია — ინტენსიფიკაციის მსოფლიო პროცესი. არავინ დაგირჩენს აუთენტიკურ კვადრატულ მეტრებსაც კი. ჩვენი ახლად შექმნილი კოოპერაციული მებაღეობის წესდებისა არ იყო, თუ კი დროზე არ დაამუშავე მიჩენილი ნაკვეთი და სოფლის მეურნეობის პროდუქტების რაოდენ წილი არ შექმენი ჯერ გაგაფრთხილებენ და შემდგომად სამართლიანად ჩამოგართმევენ და სხვას გადასცემენ. განსხვავება ისაა, რომ აქ ეს ორგანიზაციული წესით ხდება, იქ კი ბუნებრივად, თანდათანობით, ლამის ერთი თაობისათვის ძნელად შესამჩნევი, მაგრამ ისტორიის პრიზმაში ადვილად აღსაქმელი ტემპით.

მაშ, როგორ ხედები შენ ამ მოვლენას?

რა დროს ამეებზე ფიქრია, როცა ორმოცი ათასი ატომური მუხტია დაღერილი ქვეყანაზე! — იტყვის მავანი საქმის გამაიოლებელი და ამით ყველა თავსატეივარს უღარდულობის ლარში მიუშვებს. მაგრამ იგი ხომ გამორჩევით არ არის დამიზნებული ვინმესადმი. საშიშროება საერთოა, და თუ სხვები მაინც იკლიან სამომავლო საშუალისისათვის, შენაც უნდა გამოიბერტყო ყურები. სხვათა შორის, ღმერთმა გვაშოროს და რამე რომ მოხდეს ეს ექსტენსიურობა იქაც გამოვადგება. ომის ბედს ჯარისკაცებიც წყვეტენ. ერთი სვანური თქმისა არ იყოს — შედგარდი ილე ლარიდ ი მერდადიი! — საჭიროების უამს დავიხოცნოთ, მაგრამ არ ამოეწყუდეთო! წამსვლელთან ერთად დამრჩომიც სჭირდება

ქვეყანას, გვარის გამგრძელებელი, ჯიშ-ჯილაგის შემნახველი, ყველაწიარ ომში გადარჩენის მანსაჩიყვტელთვის მეტია დივიზიისათვის, ვიდრე ათეული-სათვის.

არის კიდევ მრავალი სხვა ასპექტი, სადაც სხვა კუთხითაც იხატება ჩვენი სიხანტე და მოუქნელობა გამრავლების საკითხში, რის ფონზედაც საოცარ ჯანსაღ ფერებში იკვეთება მეზობელი ხალხების შესაშურისი ცხოვრებისეული აქტიურობა, საზოგადოებრივი ენერგიულობა; კვლავ მივმართოთ ფაქტებს: საქართველოში 1959 წელს მოითვლებოდა 930 ათასი ოჯახი, 1970-ში — 1.074. ხოლო 1979-ში კი — 1.151 ათასი ოჯახი, შესაბამისად აზერბაიჯანში იყო 771—956 და 1.103 ათასი ოჯახი, ხოლო სომხეთის რესპუბლიკაში — 350—476—609 ათასი ოჯახი. ახლა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მოსახლეობის შესაბამისობა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. საქართველოს მოსახლეობა 1950 წელს შეადგენდა 3.494 ათას ადამიანს. 1980-ში — 5.041; აქედან ქართველები შეადგენენ 1979 წლის მონაცემებით — მხოლოდ 3.571 ათასს;

1950 წლისათვის აზერბაიჯანის მოსახლეობა შეადგენდა — 2.859 ათასს, 1980-ში კი 6.112 ათასს მიღწია, სომხეთში შესაბამისად — 1.374-სა და 3.074-ს, ოჯახების მატება საქართველოში — 1959-1979 წლებში შეადგეს, 23,7%-ს, აზერბაიჯანში — 43%-ს, სომხეთში 74%-ს... მაგრამ მატება მატებად და ოჯახების რაოდენობის მხრივ ჩვენი რესპუბლიკა 1979 წლის მონაცემების მიხედვით მაინც უსწრებს დასახელებულ რესპუბლიკებს, სომხეთისას, დაახლოებით, ორჯერაც კი. მაშ, რა გამოდის? პასუხი მეტად მარტივია — მათი ოჯახები გაცილებით მრავალრიცხოვანია, და აქედან გამომდინარე მტკიცე და ძლიერია. სწორედ ეს მომენტი მქონდა მხედველობაში, როცა ვამბობდი, ტრეპერამენტთან ერთად რეპუტაცია ხომ არ შევლახეთ-მეთქი.

აღნიშნულ რესპუბლიკებში საკავში-

რო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ნაკლებია აგრეთვე „შერეული“ ქორწინების შემთხვევები, რაც ერთგვარად, ალბათ, ჩვენი ხალხისათვის გამოჩნეულად ნიშანდობლივ ინტერნაციონალურ ბუნებაზე და ასევე რესპუბლიკაში მაცხოვრებელთა ეროვნულ მრავალფეროვნებაზე მიგვიანშენებს. ყოველ ათას კაცზე საქართველოში 1979 წელს მოდიოდა 48 ასეთი ოჯახი, აზერბაიჯანში — 17, ხოლო სომხეთში — 22.

მივუბრუნდეთ კვლავ მცირეშვილიანი ოჯახის პრობლემას, რომელიც ასეა დამახასიათებელი ჩვენი რესპუბლიკისათვის. ამ მოვლენას გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, ერის სიმცირეზე რომ მტკიცებებს, გააჩნია მრავალი სხვა უარყოფითი მხარეც — ასეთი ოჯახები არც თუ იშვიათად ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი, ევრეთწოდებულები, „დედეკოს ბიჭების“, ნებიერა და ხშირ შემთხვევაში ეგონისტური ბუნების, თავკერძა და ამპარტავანი ახალგაზრდების საბუღარს წარმოადგენენ.

ყველა შეთანხმებულია იმ საკითხში, რომ დედისერთა შვილებს მრავალშვილიან ოჯახებში აღზრდილ თანატოლებთან შედარებით ნაკლებად ახასიათებთ საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა, პატრიოტიზმი, მეგობრობის გრძნობა და ყველა სხვა ადამიანური თვისება, რის ნაკლებობასაც დღეს ასე მწვავედ განიცდის ჩვენი საზოგადოება.

ამ მოვლენის თაობაზე ხატოვნად წერდა ამას წინათ პროფესორი გელა ბანძელაძე — „სასურველია, რომ ბავშვი არ აკლდეს ადამიანური განცდის არავითარი ელემენტი, ასეთი განცდის ელემენტია, მაგალითად, დაძმობის განცდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოჯახში უნდა აღვზარდოთ სულ მცირე ორი ვაჟი და ორი გოგო, რომ ყოველ მათგანს ჰყავდეს დაც და ძმაც“.

როგორ მიმდინარეობს დედისერთების განძარცვა „ადამიანური ელემენტებისაგან“ მიემართოთ კვლავ გრესას: — „გენეტიკოსები ამტკიცებენ, რომ პირველი ბავშვი ოჯახში, როგორც წესი, ნაკლებამტანი და ნაკლებსიცოცხლისუნარიანია, ვიდრე მომდევნო ბავშვი. როცა ოჯახში ერთი იზრდება და ისიც, ღმერთმა დაგვიფაროს, სუსტი ბავშვი, უფროსებს უნებლიედ ებადებათ სურვილი დაიფარონ იგი ყოველგვარი საფრთხისაგან, უწყვერ ყოველწუთიერ მფარველობას, ესარჩლებიან. ყველაფერი ეს თითქოს წვრილმანია, მაგრამ ბოლოს მთავრდება იმით, რომ უმაღლეს სასწავლებლებსაც მშობლები ირჩევენ უკვე სრულწლოვანი შვილისათვის...“

სწორედ ამიტომ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს — „ერთი შვილი არა შვილი, ორი შვილი — ვითომ შვილი, სამი შვილი — კიდევ შვილიო...“ დიდი პედაგოგი მაკარენკო მიუთითებდა, რომ „მშობელმა, რომელსაც მეორე შვილი არ უჩნდება, აუცილებლად სხვისი უნდა იშვილოსო“ — იმდენად მნიშვნელოვან ფაქტორად მაჩინდა მოზარდის სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის მრავალშვილიანობა.

იქნებ სწორედ ამ „ავადობის“ გამოც იყოს ჩვენს რესპუბლიკაში თვალშისაცემად მოხშირებული დანაშაულობანი? უდარდელი ცხოვრება ეგოიზმსა და უპასუხისმგებლობას ბადებს, ფული და ძვირფასი ნივთები, ასევე მრავალრიცხოვანი შეძლებული ძიების, ბებიების, ბაბუებისა და, რაღა თქმა უნდა, ერთადერთ ნუგეშზე გადაფოფრილი მშობლების წრესგადასული მზრუნველობა მოზარდს რეალისტურ თვალსაწიერს უბინდავს, მასში ჩნდება თანატოლებისადმი ქედმაღლური, ამპარტავნული დამოკიდებულების გრძნობა, რაც შემდგომში კიდევ უფრო ღრმავდება.



კრანტ თამრაზიანი

ნატკენი გულისა და მჯანათელი სიზმრების ფიგნი

საწლი ჭერ ისეე თბილია, ადამიანი კი აღარ არის. ღამისებრანგაიანი ფეხშიშველა ბავშვი დედას დაეძებს. უხამართლობის იდუშალ ხელს მამის შუშვედ დედაც წაუყვანია, უმარწილის თვალბეზი შიში ჩამდგარა... ბედისწერის უღმობილობა თავზარს სცემს, ამიერიდან მისი ბედდარი ობლობაა... ამ უმამისეხ წუთების სურათი საშუალოდ ცოცხლობს უმარწილის მოგონებებში, სიზმრებშია ვრძნობს დედის ბედების მოფერებას, მისი სხეულის სითბოს, მერე და მერე დაბეწვილი სტრაქონებით არაერთხელ განსაუდება მისი ნაწარმოებების ფურცლებზე როგორც დაკარგული სიხარულისა და დედური სიყვარულის მელოდია... უფრო გვიან კი, წლების შედეგად ტელევიზორის გერანიდან გაუფრებთ მუხთალი ბედისწერით გატანჯული უმარწილი... ის უკვე გამოჩენილი მწერალია, თავის საავტორო საღამოზე და მშვიდად, საკუთარ ფიქრებში ჩაძირული, გულწრფელად ვიზიარებთ გულის ნადებს, რომ ადამიანობის უმაღლესი მოწოდებაა სიყვარულის ნიჭი, ღრმა, ორიგინალური სიმბოლოებით გინერავთ საზიარო სიყვარულის ყოვლისშემძლეობას, ერთმანეთის ახლობლობის იდეალს, რომ ვარდაცვლილი ადამიანების სიყვარულისაგან ენერგია ემატება წებს, ზოლი გაუცხოება და მოძულეობა უდიდეს ტრაგედიებს იწვევს ადამიანთა ცხოვრებაში... ამ ასექტებში გესაუბრებათ და ეს სულაც არ არის ჩვეულებრივი ლიტერატურული კოაქიობა, არც მწერლობაში გავარჯიშებული კალმისანის განსჯა, რომელიც მსმენელს წამიერად ათრობს. გამოფხიზლებისას კი ავიწყდება, არამედ ხალხის ცხოვრების ქურაში წლების

მანძილზე გამოტარებული უტყუარი სიმართლე და პირადი ბედისწერით მწერლის არსებაში ჩაკერულ-ჩადღაბებული ფიქრების ზაც-ნობიერება... მგონი რაღაც წინააღმდეგობაა ამ სტატიის დასაწყისისა და საავტორო საღამოზე გაცნობიერებულ სულიერი სინათლით აღსავსე ღრმა, ცხოვრებისეულ ფილოსოფიას შორის. ერთი შეხედვით, მართლაც, ახე ჩანს. მაგრამ იგივე ბედისწერა ხომ სტოვებს იდუშალ კარს? ხომ იძლევა ერთგვარ კომპენსაციას, ვერც რაგად საჭიროს მწერლისათვის?!

ეს მწერალია ნოდარ ღუმბაძე, თანამედროვე ქართველი პროზაიკი, რომლის ნაწარმოებები უკვე კარგა ხანია ცნობილია ღრმად კვაყანაში და უცხოეთში, რომელიც გულითადად უყვართ და აფასებენ სომხეთში. ამიტომ მინდა მის შესახებ საუბარი სათავიდან — ცხოვრებიდან დაიწყო და რაგინდ იგი, ე. წ. ცხოვრება, ლიტერატურათმცოდნეობის მხრივ სპეკულაციისა და ზედაპირული შეხედავის საგნად იყოს გადაქცეული, შე მაინც სათავიდან ვიწყებ. ცხრა წლის ობოლი ბავშვი 1987 წლიდან ცხოვრობს გურიაში, ბებიათთან. აქ, ღამაზ გურიაში, გულეითი მშრომელი ადამიანების მამაპაპური მზრუნველობითა და ალერსით უმარწილი ძლიერ და სუვარელ ადამიანად ყალიბდება. მისთვის ღმერთის მოუმადღებია მგრძნობიარე გული, ცხოვრებისეული სინამდვილის აქწმა და მზურვალე სიყვარულის ძალა. თავიანი ყოველდღიურ საქმეს გადაგებული ადამიანები უმარწილს თბილ ატმოსფეროს უქმნიან, ადლი ოფლით მონაგარ ღუმბაძის უზიარებენ, ტრადიციულად თბის რძით მკურნალობენ, მწყემსური საუკველდღეო ადამ-წესებით ფიზიკურად

*წერილი ქ. ერევანში ახლანან გამოცემული წიგნის "მარადისობის კანონის" წინასიტყვაობაა.

აკეთებენ და, რაც მოეთარია, დედურ რძენავით მიცემული სულიერი საზრდოით შორს ინახავენ ღვარძლისაგან, ხმწარისაგან, სიძულვილად, საგან.

როგორც მისი ნაწარმოებებიდან ცხადდებოდა, ნოდურ დღეობაქს ზავშობიდანვე დაკვირვებდა ვასილკარის სიუყარული კვენიხადაში, ზუნებისადაში, ფრინველებისადაში, ცხოველებებისადაში, ერთი სიტყვით, შთელი სამყაროსადაში. ვასილკარის მგარძობიარე უოფილა ყველა ერის შეილთა მიმართ, დღეობადადა, წინასწარს შეუგონებლად, ნათელმზობილად გრძობით ზუყარებია ყველა კეთილსინდისიერი ადამიანი, განურჩევლად ვერტომოსისა და სოციალურის მდგომარეობისა. ამ ვაგვით იგი არსებობდა ძლიან ახლოს ღვარ და სულიერად ენათესავება მშობლიურ საქართველოს გამოჩენილ ადამიანებს, რომლებიც წინაობრიობის სიწინდის პურაქებს მეტწილად ხალხსა და ზუნებაში ეძებდნენ. ზებდა ზოლმე, წყენა, სედა ზოგჯერ ადამიანს მოწუხებს თავის ვარგეობსა და უსიხობებს. მაგრამ ზირად პირიქითაც ზებდა, უთარაგებს მგარძობელობას, უფაქიზები თბადი გრძობებით ავსებს, მატებს ხილვადობას, უფრო ახლოვებს სინამდვილესთან, ღრმად უცნობიერებს ადამიანის სიღამაზის ფაქს. ნოდურ დღეობაქს, რომლის გულმე ვადაუფლია დაუფიყარა სულიერ ძრწოლის დამაგრეველ ტკივილებს, საერთო-სახალხო დიდი ვაზბაყდელები სტიქიონიდან გამარწყებული გამოვლის, საქუთარ თავში აღმოაჩენს ტირითა ძღველის ენარგვას... და აი მხნედ მოაბეჭებს იგი ცხოვრების დიდ გზაზე და თან მოაქვს მორალური სიფაქიზის დაუფახებელი სიმდიდრე, დაჯიარისტებული მხიარული და სედიანი სტრატეგებით, ნიჭიერი ყმაწვილი დღითა დღე იზრდება, ზებდა ხალხის წინაობრივი ტრადიციებს მეტკიდრე, მის გულში ღრმად იღვამს ფხვებს ზუნებისა და უოფიერების სიღამაზის მსახურის კულტი.

პირველ ნახივებს სიტყვაკაზმულ მწერლობაში სწორედ ისევე დგამს, როგორც შეგარდებს სწვეით — წერს საყარულს კარნებით, ვაუწიარინლა ხელით, ზოგჯერ დიმილისმიგვრელა შედარებებით. მაგრამ უკვე ლამარაკობს სიღამაზის ეწით, გულის სახელო, ნიჭი ვადაღვა ახანება, იხეწება, თანდათან აქცევა ცხოვრებისეული არსებობის საყრდენად. ეს მეტად მნიშვნელოვანია... მეტე გურიას სოფელ ხიდასთავის დამწუხრებული ადამიანები თვითანი შედის სიცილითა და რწმენით აგზანთან თხილისში.

ღუშბაქს ლიტერატურაში პროფესიული დამსტატების სკოლა არ ვაუფლია, მან დაუმთავრებია თბაღლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. სწორედ აქ, სტუდენტობის წლებში დაუწვია სერიოზული ცდები მწერლობაში, ქერ ისევ სტუდენტო უო-

ფილა, რომ გამოუქვეყნებია სახავეუო ლექსები, ზავშეებს უყვართ სიყვით სავზე მისი ნაწარმოებები. მაგრამ ნოდურის მოწოდება სწვეით, ნიჭი დაუოკებელი შემარბებით ილტვის პროზის თანრებისაყენ. თითქმის იმავე პერიოდში აუშორისტული უფრანლის „ნინავის“ ინციდატული დასტამბული მოთარბებების კრებულები: „უფრადღება ვიწუვით წერტნის“ (1957), „გლადიატორი“ (1959), „სოფლის ბიჭი“ (1960), „უხეტად რვა საათზე“, „სახარბი ღმერთთან“ (1966). ამ წიგნებში ვაცნობიერებელია აუშორისტის იშვიათი ნიჭი, რომელიც ხანდახან ვერ თავსდება იუმორის ჩარჩოებში და მძფრ სატირაში ვადიარდება ზოლმე.

რაც დრო მიდის, მით უფრო იფურჩქნება ნოდურ დღეობაქს ნიჭი და სახავეუო პოეტრი, მძფრბი სატირაკოსი, ნაწი აუმორისტბი სულ მალე გველანება ფსიქოლოგიურა ძიებებით და მუხტულ, ნათელმზობილად უმეჭმედად, რომელსაც წარსაბილი ხელწიფება აგრეთვე ადამიანების შინაგანი დრამის წარმოსახვის ასპარეზიც, ვაზმარებული — „მე ზებია, ილკო დილარონის“ (1959) შუშდებ, რომელიც ვასილკარის გურული ცხოვრებისეული თბილი კოლორიტი გამოარჩევა, წერს ახალ რომანს — „მე ვებდა უმეს“, ახალგაზრდა კაცის შინაგან საყაროს ჩამოყალიბების შესახებ. ეს ნაწარმოებები მნიშვნელოვანი ეტაპია მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის მაგისტრალურ გზაზე.

ზედავად გამოქვეყნებული ზემოდასახელებული ნაწარმოებებით ნოდურ დღეობაქს მშობლიურ ლიტერატურაში მოქიროდა მდიდარი ცხოვრებისეული სიმართლე, სხედავა ახლო წარსლის ლიტერატურულ სქემებს და დაწინაურებას და, თავის თაბაბთან ერთად, ადამიანი ისევ ახუავდა მისთვის კუთვნილი ღირსებების სიმდიდრეზე, ზოლო სიტყვაკაზმულ ლიტერატურას აძიდებდა ხალხის ცხოვრების ღრმა შრეების სსსახველი ნაწარმოებებით. რა თქმა უნდა, იოლა არ იქნებოდა მისი სამწერლო გზა, — ყველგან და უოველთვის გამოჩნდებთან ისეთი ადამიანება, უწმინდურობის მხილბაში რეალისტური ზელოვნებაში, მეტადვე აუმორისტულ თანრში, ერთველ ფახეულღობა უცხოთა თვალში რადაც ჩრდილის მიყენებას რომ ზედავენ ხოლმე, და წინაობრივი ბიყიერების სამწიფე გამოტანასა და მხილბებას ან დღეობს, ანდა მიჩქამლვას აქობიებენ. ჩვენი ნაღამადიანი — ვამოჩენილი პოეტი და მზურავლი პუბლიცისტი ასეთ დღეობს ბრმა და მავნებლურ სიყვარულად თვლიდა, რადგან მხოლოდ ქანსად და უოველყოფილ ხალხს შეუძლია ქონდეს მართალი ლიტერატურა, რომელიც ფიოკრიტიკითა და მანიყერებათა მხილბებით ეზმარება თავის ხალხს ცხოვრების გაღამაზებასა და უწმინდები წინაობრივი ტრადიციების დაცვაში ისევე, რო-

გორც მხოლოდ მაგარ კაცს შეხწევს გამოვლანობა დასკვნის სხვეებისა და თავის საკუთარ ნაყლს, დაქტებს... ნოღარ დუმბაძის ფხიწელი და გაბედული ნიჭი აინუნში არ აგდებს მერხანთა ოხვრატელური წუწუნ-ჩივილს და ხალხის განსად სულზე ნაზირაბი ბოროტის დაუნდობლად ამორახებს წუნსა და შორაკობას.

ამიტომ იყო, რომ ჩვენთანაც დიდი გამოხმარება მპოვა მისმა ერთ-ერთმა საუცეთესო ნაწარმოებში — „ეთორმა ბაიარაღებმა“, რომელიც შეგანიშნავდა დამგმული სექტატელი, სოხურმა ტელევიზიამაც გააცნო თავის ფართო აუდიტორიას. რამ შაყრო მქითხველისა და მაჟურებლის ყურადღება? უპირველესად — უმეტესმა საკაზმნარტემა იფორმა, მაჟურებრბათა დანახვისა და რელიგიურად წარმოსახვის ნიჭმა, უბამისის, სიხარბის, ეგოიზმის, საქმისა და მოვადობისადმი უხელგულო დამოკიდებულებების უღრმესა სიძულვილმა, ციბის ერთი საქნის ატმოსფეროში ოსტატის ვაჟფული ბეღლი გამოქნადკებულ ცოცხალ ხასიათითან — დამანავედ და უღანაშულო აღმთაინებთან ერთად, საქნის მიღმა მიმდინარე ცხოვრების წესობრივმა პროცესებმა, იმ უკუღმართობამ, რომელიც თან სდევს ზოღმე მორალური საყრდენების არქვას, აგრეთვე — მწერლის ღირიზითი ვანუღმითიღმა იფორმა და სატირამ, რომელიც მსუბუქა ხედალანობით ავსებს საქნის ატმოსფეროს, დღეს უკვე სადავო არ არის, რომ დუმბაძისხეული გამანადგურებელი დავიწვას ადრესათა მეტწალად ოხვრატელია, ამიტომ სრულიად ბუნებრივია პირფოტენელი სამსაყაროს ტონალიზმა, მის კალამს რომ თან ახლავს ნეგატიური მოკვლენების მხილვის დროს, მაგრამ როღესაც უბრუნდება ხალხის ცხოვრებას, მწერლის პირქუშ სახეს ნათელი იფორმება, სატირის რაღაც სობობით ავსება, სიტყვები ღმობიერებას იძენენ, ებიზოლი ცხოვრებისეული მოტევიებით იზუბტება. მწერლის იფორმის ეს თავისებურება ვანსაკუთრებთი საყნარობა რომანში „მე, მისი, ილიაკო და ილიაიონი“. მის გმირებს, მის ცალთაღებებს ცხოვრების მძიმე ტვირთი აწიბნებთ, მაგრამ მოზრდილი ბავშვებავით ეჩიღებთან ამ ტვირთს, გულითადად იცილიან, თავსაც იმორახებუნ და ერთმანეთსაც კეთილმოსურნითა დასცილიან იმ ზომამდე, რომ მსუბუქა და უღარდელი გერქენებთი მათი უღა და გაიწყდებთი, რომ სწორედ სიცილითა და ერთმანეთის ქილიკობით იტანენ ცხოვრების სიმწარეს, სიღუბერეს, შინაგანი სერაოზულობით ინახვენ იმ ტრადიციულ ღირსებებს, საყ ამაღლებს ადამანის, რადგან მათში ცოცხლობს დიდი სინდისი, მშობლური ხალხის დამახასიათებელი რაინული სული.

სიტყვები და წერილიზით გამოსვლებში ნოღარ დუმბაძე უკველთების წინა პლანზე აყენებს ლიტერატურის მაღალ დანიშნულებას, მისი ახ-

რით, მწერლის უპირველესი ამოცანა თავისი ხალხის წინორიკი სიხუფთავეზე წარუნვა. ამის დასტურის არა მარტო მისი რუმინისსტუდი ნაწარმოებები, არამედ უკველდღერტა უკოფაციოკრებოღან აღებული სურათები. ნ. დუმბაძე ღლითი დღე უღრმავდება სულის საიდუმლოებათა ამხსნის ეფას. ასე ჩნდება მწერლის შემოქმედებაში შემადრუნებელი ნაწარმოებები, რომლებშიც სულის დრამა გახსნილი („ღედა“, „უბადური“, „ნუ გახადიქმებთ“, „ჩაღლი“, „ქაღლაქში მიმინოს რა უნდა“, „სისხლი“). მათში მათად აღმოცენობა ქართული ერთვნილი კოღარაკი, სტილი და ეპოვრებისხეული ფსიქოლოგიის შტრიხები. სანიშნულად ვაიბხროთ მოიხრობა „ნუ გახადიქმებთ“. ამ ნაწარმოებში სახიერად ამოკითხება, როგორ გრმონბს მწერალი თავისი ხალხის სულიერ აღნაგობას, გღრეცაცის ყრუას, ზუღბს, სინდისს. აი, ერთი მეტად დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელიც ღრმად გააბედებს ქართული სულის მოძრაობის საიდუმლოებაში: თავისი ნახევრად შიშველი დიაკო — ნათელი რომ შემოსოს, მას ზაზარში გასაყოღად მიჰყავს ერთადერთი ძროხა. მიჰყავს და თან მძიმე ფიქრები არ შორდება. ზაზარში მუიღველი მალე გამოჩნდება, მორიგდებიან, მაგრამ უკუარო ფულს უცხად უკან დაუბრუნებს, ვერ გაიმეტებს ძროხას, რომელიც არაშადა მუიღველმა იმტომ შეძინა, რომ სტუმარებს დაუღლას. ყმაწვილის სუფთა სინდისი პროტისტს ცხადებს — ძროხა მისთვის ახლოებელი ადამანივით იყო, ოჯახის წევრი იყო, მასთან გაუტარებიათ ცხოვრების მძიმე წლები, და ბავშვები, ძროხასთან ერთად, ბრუნდებოდა სოფელში... დამწვიღებული სინდისით. მის მოთხრობებსა და რომანებში არა ერთი და ორა მკითხველი ამფორაქებული, დამადინებული და დამაფიქრებელი ასეთი ეპიზოდები.

თამაშად შეიღებია იფორმა, რომ ნ. დუმბაძის შემოქმედებაში უმთავრესია მაღალი წესობრიობის საწყისისა და იღველების მსატვრული გარდაბახვა, რომელთა დამკვიდრებას მწერალი მძიმე შემოქმედებითი ტკივლებით აღწევს. წინა პერიოდში გაბატონებულ სქემებსა და შიშველ განწყას აგი უპირისპირებს მსატვრული გარდასახვის საწყისს, უკველითის ღანარაკობს ფსიქოლოგის ენით, გმირის ხახიითისა და სურათის ცხოვრებისეული ენით, ვანდაც იმ იდერთი მონაპოვრების ენითაც, რომელიც თან მოატან მონიანი წლების პროზამ, რადგან, როგორც ცღეხი ცხადყოფენ, უნიჭო კალამი მხოლოდ პუბრალიკებს, ავულგარებს დღე იღებებს. ამ მრწამხით მონაპოვებული მწერალი ნოღარ დუმბაძე მიგნებულად პოულობს გამომსახველობის ასულ-ახალ ფორმებს, უფრო სწორად. კიდევ უფრო ავღენს თავისი ნიჭის შესაძლებლობებს, რომლითაც მდიდარი იყო მისი ადრინდელი ნაწარმოებები, ამასთან ერთად, შეინახება ვაცნობიერებული ტალანტის ენახველებული ყურადღება და შინა-

განა მილიანობით გამოჩენული ლიტერატურული სიხალღეებისაკენ დაუბრუნებელი წყაროება. ამიტომ მის ახალ ნაწარმოებებში შეტანილია ერთად საქმიანობებ პოეტია და მოაზროვნე, აუზრახი და ფსიქოლოგი, დამკვირვებელი და ანალიტიკოსი. ესე იგი, სრულ მილიანობაშია ღრმად და ეკონი, სიცილი და დაცინვა, დამკვირვებელი თვალი და ფილოსოფიური განსჯა, ღრამა და ფიქრები. მწერალი ისწრაფვას შექმნას სიციცდლის შინაგანი და გარეგანი მოძრაობის, წინობობისა და მტკრთაღლის სულიერი კავშირის, თანამედროვე დრამატული მოვლენებისა და ცხოვრებისეული კონფლიქტების მხატვრული ისტორია, ესე იგი, ნიჭი გაფურჩქნის წვნიტშია. ამ სიტყვების დაწერის უფლებას გვაძლევს რომანი „მარადისობის კანიონი“, რომელიც შეესაბამება თარგმანით წარუდგინა სიმებს მკითხველს ახალგაზრდა ქართველოლოგმა ჰრანკ ბიარშიანმა.

ამ რომანის გამოსვლა დიდი მოვლენა იყო მიწოდ საბჭოთა მწერლობაში. თანრის განვითარების კუთხიდან თუ შევხედავთ რომანს, წიგნიერთი ნიშნებით იგი შეიძლება შევადაროთ ჩინგის ათმთავრის — „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფილზე“. ორივე ისტორიულდებნი მოვლენაა, ორივე ერთნდული ავტორის ნახელავია და, რაც უმთავრესია, ორივეს თვითმყოფადმა ნიშნა რაღაც ძირითადი სახელე მოიტანა ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის აღმავლობაში, გააფართოვა თანამედროვე რომანის აღქმის შესაძლებლობები და შინაგანი შრები. იყო დრო, როდესაც მოდაში შემოვიდა ეპიკური თანრებზე თავდასხმის მცდელობა, მტკაღრე პოემა და რომანი გახდა მყაცრი ვაქიქების საგანი — ეს თანრები სულს დაუთავს და დღითი დღე ახლოვდება მათი კადმოს პრცეცხლო მავრამ არ გამარსდლა ამ თანრების მოქმლეთა ვარაუდებმა; ჩვენი ქვეყნის ლიტერატურამ ცხადმყო, რომ რომანი ვითარდება თავისი გზით, ითავებს ახლახალ სარეჟებებს, მდიდრდება, სისხლსავებ ზებემა, რომ ვაწწრულთა მხოლოდის ლიტერატურა, რომელიც გვარდს უვლიან რთულ ცხოვრებისეულ მოვლენებს, აღმაშინის სულის მოძრაობას, ურთიერთობის უაღრესად გართულებულ კავშირებს. ამ ორ რომანში სანიორად ამოიცნობა ეპიკურის სივრცობრივი გაფართობება და მისი შემადგენელი ნაწილების განახლება. ძალემაიდ ივრწინობა ღირწმნიც, ღრმა დრამატისმიც, პუბლიცისტური სუნთქვაც და ფილოსოფიურობაც, ბასრი რეალისში ორგანულად უთავსდება ფანტასტიკურს, ცხოვრებისეულ ნეგატიურ მოვლენებზე ამოწრდელ სურათებს კი ასევე ორგანულად ერწმების სიმბოლოება, თავწარდამციმ დრამატულ ეპიკოდებში კი თამამად გაისხის წინეობობის სიწმინდის მქადაგებელი მოქალაქის ხმა... და ისევე ძალისხმევას ახვევს რომანის ნიშანთიხეხებათა

შესახებ ბ. ბელანკის უკვდავი სიტყვებით: „რომანი პოეზიის უველზე ვრცელი და ვრცელსმტკიცელო გვარია, მასში ნიჭი უსახვროდ თავისუფლად გრძნობს თავს და ისევე თავისუფლად იერთებს პოეზიის სხვა გვარეულობებში“. თუ თანრი უკიდევანო ასპარეზს უწლის ტლანტის მანსადაზე, უსახვრო ყოფილა, ავრთოვე, თანრის შესაძლებლობანი და ამიტომაც, შეიძლება ითქვას, მარადულოც.

თუმცა ამ რომანებში არის სტილისტური და თქმისმთერი განსხვავება, ავტორებს მხედველობაში აქვთ სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენები — დუშხაქეთან შინც ავტორისეული ჩარევა უფრო დღლა, თითქმის ძირითადია, ათმთავრი კე თავისთავის გაქწობიერებას შორეული შევტრავით ცდილობს, ესე იგი, მოციშულ მასალაში უფრო ობიექტურია. მიუხედავად ამისა, ორივე რომანში მჭეტეარე წყალქვეშა მდინარების საშუალებით, იქმნება თავისებური შენადელი, რომელშიც საუკუნის არსებითი მოვლენება ფსიქოლოგიურ ასექტებშია გახსნილი და თუ ათმთავრი ერთ დღეში ათავსებს მთელი საუკუნის ტიკივლებსა და სიბრწინისეულ მოვლენებს. ესე იგი, ერთი დღის მონავეთში გამოაქვს საწველო წინეობრივი და პოლიტიკური ბზარების სურათები და ამ გზით მქმნის თავისებურ ფილოსოფიას, შინაროულს ომის, უბედურებათა წინააღმდეგ მიწის, ზუნეობრივი ფესვის, წრეული მოვრენებების სახელით — წ. დუშხაქეთ თავს უყრის და ყურადღების ცენტრში აქცევს უმარვე წინეობრივ და ცხოვრებისეულ მოვლენებს, დრამატულ სიტუაციებს, ნათელ სიწმტებს, გადატანალი წამებისა და ტიკივლების მოვრენებს, შირალურ კატასტროფებს და ყოველგვან მას სკეადლ-სიციცდლის წღეარზე შუოლო ინდივიდის გაბზარულ გულზე გამოტარებულს გეთავაზობს. ესე იგი, სუბიექტური კოლორითი შეფერილი რომანით აცწობიერებს მასშტაბურად ყოფიერების სიღრმისეულ შრეებს და თანამედროვე აღმაშენების მოურჩიერად სულიერი ტიკივლებს. აქ, რა თქმა უნდა, უველოფერი იმაზე იყო დამოკლებული რა ტიკითის წიღვა შეერლო შემოქმედი აღმაშინის, სიციცდლის ბოლო მიწანზე მდგარი კაცის სულს და, მართლაც, საკვარცულ და ვასიოკარ გულს... ღრმასა და ფართის, აჩაჩეულებრივად ნახსა და ძლიერს. რომანის სიუეტური ქსოვილი იძერწება წწირედ გულის ვარშემორა ბადების გულის ინფარქტის რა წინეობრივი და ფსიკიკური შმთე ტიკივლები იწვევენ მას... აქედ ძირი და ფესვი ბოჭაროფიულია, ისევე ბოჭორიც დუშხაქეთის სხვა ნაწარმოებებში. მწერალს ორჩერე ვაღუტანია ინფარქტი, ორჩერე ვაულომავს ივგრე-განთ შავთი, ორჩერე ვაყოფილა ამ ავაღყოფობის თანამგვარის კოშმარია. ამიტომ ზუნეობრივი, რომ რომანის მხატვრულ ქსოვილში ქარბად გვხვდება სახედისწერი ალაქითი, საგანგაშო წუთები და, რაც უთავარია,

ფინაქური კი არა, სულიერი ტკივილები, სულიერი ბზარები.

ტლანტის აქვს უნიკალური გამოჭრების ენერჯია, საკუთარი მარჯამის გამოანთების წუთები, მაგნიტური მიმზიდველობის ძალა, რითაც აღწევს ცხოვრებისეული და სულიერი მოვლენების კონცენტრაციასა და სიზარტო შეთავსებას. ისე წუთგამიგებო, თითქოს გადამწყვეტი რთული მშობლად გულის ინფარქტს შეუხრულებია. ქვეყნიერებაზე ბევრ ადამიანს გამოუვლია მისი სიმწარე, მაგრამ არც ღრმა სულიერი ტკივილები გადაუტანია და არც დიდი შემოქმედებითი აღმშენებლის თვდად უქცევია იგი. დიდად ნიჭიერი და ღრმა სულიერი აქვით გამოჩნდილი ადამიანის ზედღრმა თავისებური მდგომარეობა, რომელიც კიდევ უფრო უმეაფრდება წარმოსახვის ფსიქოლოგიური ტონუსი და მისი სინათლის შემოქმედებითი ცხოვრებაზე თავლის ვადამლების სურვალი, საყვარელ ადამიანებზე, მწარე და სევდიან დღეებზე მოგონებები და შემდეგ თავსადაბლილი ამბების გარეთ გამოტანის ფიქარი.

წოდარ დუმბაძის შემოქმედებაში უფროდ ახე გაუღვივია წარსულს და შერა, უკვე სულ სხვა სტაქიაში, ზედსადა განცდილი ჩაეღვი ცხოვრება მესხიერებაში შემოინახული უსიამო მოგონებებით, სიზმრებით, უძმიმეხი განცდებით, რომლებიც უაღრესად დაძაბული ტონალობით წარმოაჩენენ ჩვენს წინაშე ერთი ადამიანის ცხოვრების მრავალმხრივობის უნიკალურ მახასიათებლებს. ისტორიის მხატვრული მონასწეობით გაყოცლებულ რთულ სულიერ სამყაროს თანამედროვე ადამიანისა — შთელი კაცობრიობის არსებობის მოსუენარ მხატვრულ დაკავშირებულ თავისი მშობლიური საქართველოს ცხოვრების ამაღლებულ შტრახებს. უფროდ აქედან მოსდევს რომანის ცხოვრებისეული მასალის გამოჩრდილი ფერადოვნება, სინედლე და ფსიქოლოგიურ ატახებში შეკვრა-შემოქმედროების ძალა.

ამავე ძირ-ფესვეზე ბუნებრივად მიმდინარეობს ფილოსოფიური ხაზობი კაცობრიობის ბედნიერებაზე და სილამაზის ნარკულიანი გზების შესახებ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ შთელი რომანი ერთი დიდა ტრავლის იტორიაა — ერთი დიდსულკანა ადამიანის თავგადასავლით გამოხატული, იგი ბუნებრივად იერთებს რა ჩაეღვი ამბების მრავალ შენკადს, რომელიც თავიანთი თითოეული, ცალკე ადგილები, მიწოდებულ დრამას წარმოადგენს, მოღის და თან შთაქვს დიდი ამაფოქმედი ძალა, სიზმრებითა და უაღრესად ღამუტრული განცდებით გაყოცლებული ერთი ადამიანის ცხოვრების უნიკალურ, უფრო სწორად, შთელი თაობის განვლილი გზის ისტორია.

ჩაეღვი განცდები და მოგონებები თან

სდევენ ავტორის სიზმარ-ცხადში, მაგრამ მთავარი ტკივილების საგანგაშო წუთებშიც რომ ესტუმრებიან, ახალი კრილობის შემგრძნებით წარმოიღვენს საბედისწერო განხორცხას დედას. თან... ეს წუთები წარუშლილ კვალს სტოვეებს უსაწილობის ნორჩ გულზე. ათი წლის მოზარდის სულში ჩნდება პირველი კრილობა, პირველი ნაიარტი... და ერთი ადამიანის მტკივნეული დრამა პარალელს ზადებს მშინა წლების შემზარავ ამბებზე, უსამართლო დევნის, წამებისა და მძიმე დანაკარგების შესახებ და ციხე-სტელიებით გატანული ადამიანის სულის სარკვეთ კვლავ ირელება ჩაეღვი გზა: ამა, ხალხის უსამართლო წამება იქამდე მისულა, რომ, ადამიანის ზრდისთან ერთად, მოგონებაც შეუხორცვებელ კრილობასავით გარბედა. შერე მოღის სტუდენტობის წლები, მძიმე, წყნით აღსავსე, მაგრამ ასაკიათვის დამახასიათებელი ნათელი დღეებით გასხვიონებული. და ასეთ ატმოსფეროში კვლავ ისხებმა ერთი ახალი შემზარავი დრამა, რომელსაც ფსიქოლოგიური რომანისათვის ნიშანდობლივი სიმძაფრე აქვს: იგი გვედინება რომანის გაყოცლებულ ეპიზოდად ანუ ნაწარმოების სიუჟეტის რთულ ჭკვეში ჩართულ თვითმყოფელ მხატვრულ ერთეულად — ვერც მარჯო... ბედისწერის, ცრუმორწმუნეობისა და ეგოიზმის მსხვერპლი. გუშინდელი კვლავი გოგონა, რომელსაც გაერთეული ამბების უცხოვრია, ასევე დარჩენილი ღამაში, უბედურა, უმწაქო. და, იციო, რა არის გასაოცარი? დაღუბული სილამაზის მიუხედავად, მის ბოლომდე შეუნარჩუნებია ქვეყნისა და დედას მშენიით სანუყვარი ვერული ბიჭების სიუჟარული, ამიტომაც არის, რომ, მძიმე პირობებში მყოფი, ვერც შთერი ბიჭები მარჯოს დაკრძალვას თავისებურ სახალხო-სამგლოვიარო პრუცხიან აქცევან — ისინი ხომ შინა სწარმდებენ ახალჩეულებზე კვალ, უფრო სწორად, ბედისწერისაგან გათვლილ სილამაზეს, რომლის სტუდენტობის ცხოვრების უმაღლესი ტკივილების ერთი ისეთი ნიშანთაგანი იყო, ადამიანებში იღვწამლ მხატვრულ ძრწოლას რომ ადვილებს სილამაზის სიკვდილი!

სწორედ აქ საქობია ვისაუბროთ დუმბაძის ტლანტისა და ტექნიკური მხედის ერთი მხტად გამოჩნეული თავისებურების შესახებ. შთელი მის რთულ შემოქმედებას და კერძოდ ამ რომანის წითელი ზოლივით განცდებს სილამაზისეული დანაკარგების თემა. უფრო სწორად, რომანი უვლდგან ბუნებრივად ჩნდება და ვითარდება სულიერი და ფიზიკური სილამაზის ნარკულიანი გზებისა და დანაკარგების პრობლემა, რომელიც საკაცობრიო უღვწალობის სქენს ნაწარმოებს. ადამიანების ცხოვრება დაახლოებისა და გაუცხოების მარადიული დანება, ამ დროს ნიადაგ ფათერაკი ემუქრება სილამაზეს, მორალურ ღირსებებს და, ბუნებრივია, ადგილი აქვს გაუთავებელ ბრძოლას სი-

ლამაზის ბურჯების დასცავად. ამ ვაგებთ რაღაც ნათესაურს ვედავ კართველი მწერლის წოდარ ღუმუხადისა და უდაროდ ტრაგედულად დაღუპული ჩვენი ახელ ზაქუციის შემადრწუნებელ ნაზ გრძობებსა და უნებურად და ქვეცნობურად დახადებულ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას შორის. აქნებ ამის მიზეზი სამიბნელია იმ სიღრმისეულ ფესვებში, რომლითაც ეს ორი დიდმეტყველანი მწერალი დაკავშირებულია ბრძნულ ხალხურ ძირებთან. ან ერთგვაროვანია ორთვეს განწყობილება, ხასიათი, რეალობის აღქმის ტონული, ანდა — ორთვეს ნაწარმოებში გამოარჩევა რა უნაწილი პოეტური მგრძობილებითი, ორთვესთან მრდუმად ანთია არც თუ უკვლად ენარისათვის ეგრე რიგად აუცილებელი პოეტური კოცონი? ვინ იცის!

წოდარ ღუმუხადის რომანის სიუჟეტური ხაზრდენა ხავედმოყოფის სამსაწოდანი პალატა და სამი ავადმყოფის ბედნიერება. მათი განცდები არსებითად თათათვის თავგადასავლის პერიპეტების მოცუვენ, მაგრამ ძალდაუტანებლად თავებენ, აგრეთვე, ვარე სამყაროდან გამოყოფილ ამებეს აწმუხს, წარსულისა და, წარსოდავით, მომავლის შესახებ. რითაც დრამატული ეპიზოდებით დამუხტულ სიტუაციებს ჰქმნიან. რომანში ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდია მარამის ისტორია. აი, კიდევ ერთი ცოდან მოწვეტილი და ძირს დანარცხებული ვარსკლავი, კიდევ ერთი გათელილი სილამაზე, ტლანქი ვარემოს კიდევ ერთი მხვერპლი, რომლის უმწველილობა ცივგომბორის ტყეში გადარჯულ ხეზე ჩამოხრჩიათ. წოდარს სწამს ადამიანის მორალური ძალა და სილამაზე, ეგვიპე არ ეპარება, რომ ადამიანში ცხოვრობს რაღაც მარადიული მზიური სილამაზე, ამამადლებელი, განმწმენდელი, შიის მტუხვარე ენერგიით სავსე ძალა. სილამაზისა და სინათლის ამ მარადიული ძალის სიმბოლური ხატია რომანის გმირის შეხვედრა მარამთან, შიის ვაბრწინებულ თოვლიან მინდორში... მარამის ისტორიაა რომ ვეცნობით, ასე გვგონია, ამ ვატანჯულ და ამორალური ეკლბით დახერხლ გზებამოვილი ქალღმის კლავ გაუღვიძარა დარინდელ ქალწულბნობე სუნთქვას, ასეც ას უმანყო, ბავშვიით უდარდელი ქალიშვილია. ასეთივე ნაზა, დახვეწილი სახეა თამარიც, რომელიც ლამის ჩაუღამოს ვარემოს სიბინძურებ... და უმწველის ვუღლი უფრო დრმად იდგამს ფესვს იმე ლამაზი, უმანყო გლორანს ბედის ვამო და ათე რუმიად ვატაცებს თამარს პირქუში ვარემოდან. ნაზი და ამადლებელი, ძრწოდის მოგვერელია ლამაზი სულის ადამიანების ვაწორება. ბაჩანა თითქოს შორადანაც ბედებს ქალიშვილის მსხვილ ცრმებებს, თითქოს კი არა, ცხადვე ბედებს თამარის ცრმებებით სავსე ცისფერ თვალებს. და ეს ნამდვილად ასეა.

პოლ ლაფარგი შეინწავს, პოეტბ თუ ფილოსოფობი არ არის, მაშ, ხელისხანი ყოფილაო.

ეს სიტყვები კრცოდებია მთელ ლიტერატურაზე, განსაკუთრებით კი პროსაზე. მაგრამ, ფილოსოფიასთან ერთად, არ შეიძლება პოეტურობის დაეწეება, აქობებს ასე ვთქვათ — ვაჭარს თავის შინაგან ნიშან-თვისებებთან ერთად — აღწერა, თხრობა, დაკვირება — უნდა მკონდეს, აგრეთვე, ორი კომპონენტი: მხატვრის ცოცხალი ნერვი-პოეტობა და ცხოვრებისეული მასალის ჩათვლისა და მოძრაობაზე ფილოსოფიური მსჯავრის გამოტანის ძალა. წოდარ ღუმუხადისთან ეს ორი კომპონენტიც თვალსაჩინოა. რომანის განსაკუთრებით მძაფრ ეპიზოდებში სახებრად ამოცნობს, როგორც ორგანულად ერწყმის თხრობას ეს ნიშნები. ამ აზრის დასტურად რომანი მრავალ ფაქტს იძლევა: ავიღოთ ბულიკა (ავთანდილი, დრმა ცხოვრებისეული სიბრძნის შარავანდედით მოსილი უბრალო ადამიანი. იგი ერთი ნათელი გულითადა, დაუშრეტელი იუმორით, სავარაუდოთა და სიცოცხლით აღხავს ადამიანია. გუშინდელი ინფარქტი ავიწმდება, ცოლს მავრში აიტაცებს და იბაბის: მორჩა, ვათავდა ჩემი ინფარქტი, სიცოცხლეს ვაუშარქოსო... მაგრამ დღეს...

რომანის ცხოვრებისეული მასალის დინებაში შევადრეო მკვედებენ ფანტასტიკური და სიმბოლური ელემენტები და ბუნებრივად ერწყმინან ძირითად თხრობას. ფენაური, მძიმე და სხაფენილია არაჩვეულებრივი სიშრები, ვანუყრელად თან რომ სდევს გულის შეტყეების საგანგაშო წუთები და სიკვდილის აჩრდილის მოლანდებები, რომანს ამადლებენ თავისებური ფილოსოფიური ნაწოდებით იმის ნათესაუყოფად, რომ ადამიანი მჭიდრო კავშირშია ბუნებასთან, ბედისწერასთან, სამყაროსთან, მიწიერ ცხოვრებასა და ამქვეყნურ სილამაზესთან. შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, ტლანქი ავანებულია და, შინაგანი მხნობით ძალმობილი, ვანადილებს ადამიანური სილამაზის არს. ვავიხხნეთ ერთი ფენაური ფანტასტიკური სიშარბი, რომელიც წინ უძღვივს ბულიკას სიკვდილს მზე უნარმარა ვერცხლის სარციტელის ახვენი, მძიმედ სუნთქვას, ემშოდებება სიცოცხლის, სასოფლმად მარადიულიანი მუინვარცხერი უდევს, შვიდფეროვანი ცისარტყელით შუბლშერული. თავზე სამად სამი ქირისუფალი უდგას — ბაჩანა, მამა იორამი, ბულიკა — და ცაში ბელაყარობილი ევერტიანი მნათობს — არ მიატკოს ადამიანები, არ უღალატოს მათ.

მზე იტანქება ქვეყნიერების ტკავილებსაგან, რადგან ქვეყნიერებაა მისი გული. მზე სიყვარულისაგან ვარდაცვლილ ადამიანთა აწთებულ ვულია, მზე მათი სულით სარდრობის. მაგრამ — უნდა რომდენი ზანია დედამიწაზე სიძულელით მტეი ადამიანი კვდება, ვიდრე ხეყვარულით, დედამიწაზე დაიშრბა წყარო ჩემი მაცოცხლებელი სიყვარულია, დადა ვამი ჩემი ვარდაცვალებისა. ვაცოცხლებით სიყვარული

დედამიწაზე როგორც თუ შევიძლიათ და შე
 ადგებები კვლავ შევდრებით... დამიბრუნეთ
 სივრცეზე ჩემი, დედამიწაზე სიყვარულით აღ-
 მოცუნებული... დამიბრუნეთ სიყვარული და შე
 კვლავ დავიბრუნდებით თქვენ...“ და უფრად
 ხულია — ნათელი და სხივფენილი სული —
 მკერდზე დაეშობა ჭერ კადღე იხვე თბილ მზეს,
 გალღვდა მომავლადე მზის მკერდზე და მზე-
 სთან ერთად შეეცურებდა ცისარტყვას შვიდ-
 ფერკვან შარავანდედში. მზის დიდი შავი დი-
 სკო თანდათან წათდება, პატარა დისკო კი, რა-
 გორც ახულიკას ბედის ვარსკვლავი, ცას მოწ-
 უდება და დედამიწაზე ეცემა.

და ხმაურით, ნება-ნება
 ძირს დავცა ანთებული ვარსკვლავი...

ღარღინად მოხტევაშ ავ. ისაკიანის სტრიქო-
 ნი. მოსიყვარული გულით დიდი შეხობტე სე-
 ვლიანად დასტარას საშუაოს უბრწყინვალეს
 ქმნილების, აღმანიების—მზეების—სიკვდილს.

სად მოენახო მეგობარი,
 გულს ღარდს რო გვიანდობს..
 რახანია აღარ ჩანან,
 — რად ჩამქრალან მზეები?..

დედამიწაზე არ ყოფილა დიდი მწერალი, რა-
 მელსაც თავიებურად არ ეგრძნო აღმანიან
 მარტოობას, დაუსრულებელი გაუცხოების თა-
 ვარდამცემი ტკივილების ტრაგეში. უგრძ-
 ნით და გაუშარქენათ. იმდეთ აღსავე შეი-
 სიტყვება აღმანიებს მუდამ მატებდა ენერჯიას.
 რადგან მარადიული სიყვარულით ერთმანეთის
 მხარში დგომისაკენ, ერთმანეთის ახლობლობი-
 საკენ მოუწოდებდნენ ისინი. ღრმად მოაზრო-
 ნე ქართველი მწერალიც ამ ცხოვრებისეულ-
 თვლსოფის მჭადკებელია და თავის წიგნში
 ახლებურად ავითარებს რა ამ თემას, წინეობრი-
 ვი საურდენების განმტკიცებით, ცდილობს სი-
 ყვარულის შარავანდედში გაახვიოს ჩამქრალი
 და ჩუმიქრალი მზეების ქვეყანა.

მეტიც, ამავე ცხოვრებისეული ფილო-
 სოფის იმპულსებით. ჰქმნის ხინამდე-
 ლიდან აღებული პორტრეტების მეორე რიგს.
 აქ მისი მწერა პირქუშია, შაკირი, და-
 უნდობელი, მრისხანე. რადგან ანაბრუნე
 გამოყავს მარადიული ბიწიერებით დაღდასმული
 ტანება, რომელთაც თანამედროვეთა იერა და-
 პკრავთ, მაგრამ ავებედით წისარაფან, აიტირ-
 მაც არ აზურება რეალისტი მწერალი მათარას.
 საიდან მოდის ეს ავებელი უწეობა, ვახუცის
 გულზე იმ თავითვე რომ დაურწევით ბედისწე-
 რას წარუშეული ქრალიობა? ამანაგა დრო უხე-
 ლთია, კარაიერისათვის ზურგში „ხაურტუამს“
 ძმაცაცისათვის. სატირული გაზეთის ფიზიკლი
 რედაქტორი ვერ უძლებს ამ დარტყმას, ზურ-
 გიდან სათავეს იღებს მწვევი ტკივილი, გული

ვერ უძლებს ვერაგულ დარტყმას, მაიმუნი კი
 აღამაინური მოკრძალებით წედის. აღმანიების
 ქვეყანაში, ლიტერატურულ ატმოსფეროში, მე-
 რე აღმანიანს როლს თამაშობს და უწმინდე-
 რობა, ტალანტის დაუძინებელი მტერი, შმაშ
 ანთებს...

ღვთისმოსოში მამა იორანი შიშველ განაცდის
 წარსულიდან ჩვენადელ მოღწეული ვახტანგ მე-
 ფის დის კოთენილი ჭერის ქურდობას. მერე შა-
 შაო ამ განძს „გამორჩეული კაცის“ პანაშვიდეზე
 ნახავს... უსიკცხვილოდ გალდია განსვენებული
 „დიდი კაცის მეუღლეს მომწველებელ მკერდ-
 ზე მოხუცის გული ვერ იტანს ამ უმსგავსოებას.
 საავადყოფოში კი მის ხანაზად მოდის საზო-
 ნელი, უსახო კაცი, რომელიც მუქარას უტო-
 ვებს მამოს... და მამო არ ამხელს მიყვრლებუ-
 ლი „დიდი კაცის“ სახელს...

სე ენაცვლება ერთმანეთს პორტრეტები და
 შეშთხვევები. ბეწვეულის საწარმოო კომპანია-
 ტის მმართველი, ფუნისაგან გასულიადებული,
 ქონში შეეცურებული, თაღების ბრალით. მე-
 დიდურად ეახლება ბაჩანას. სატირაციოსი ქედს
 არ იხრის მის წინაშე, ცინიზმის წინაშე. მაგ-
 რამ მმართველი ვიდაც ვიდაცეების დახმარებით
 პოულროსს გამოსავალს და თავსეაფარას. თაღ-
 ლითობა ათასგვარად იცდის ფერს, ათას ბე-
 რელს პოულროსს, დამსახურებულ სასქელს
 თავს არიდებს, და ამის გამო გული ახალ-ახალ
 დარტყმებს იღებს.

მიუხედავად ამისა, მწერალი მაინც უამებოდ
 არ უყურებს ცხოვრების მდინარებას და რთუ-
 ლი მოვლენების წიაღში მალდდება, თანდათან
 ენერჯიას იკრებს ქირაშხალგამოვლილი ძლიერი
 კაცი, მოკლავს და კომუნისტბ, ბძრძლა, კიდე-
 ლი კი გზადგანა განადიდებენ სინდისს, რწმე-
 ნას, ხალხის წინეობრივ საურდენებს და ძლიერ
 პაროვნებას, მათი მხარდაჭერით, თავისთან ერ-
 თად მოაქვს კრილიბებთ დაკოილი ფართო
 და მოაზროვნე გული. შთამბეჭდვითა პარტიის
 რაიკომის ბიუროსსა და პარტიის მიღების ეი-
 ზოდი. როდესაც ბაჩანას პარტიაში იღებენ,
 სხვებთან ერთად, ისიც ხმას აძლევს თავისთავს,
 ეს დედალი ბერკის მთქმელია, უპირველეს ყო-
 ველსა. იმისა, რამ ბაჩანას ღრმად სწამს არჩეუ-
 ლი გზა, სინდისი და კრალიობებით დამოწმებუ-
 ლი სიზარტელი.

უამრავი ამგვარი შენკადებისაგან წარმო-
 ქმნება და ძალს იხვევს რომინის მდინარება
 და კადვე უფრო სახიერად წარმოჩინდება მზის,
 კრალიობებით დასერალი გულის, სინაოლისა და
 სულის თება, რომელშიც მორგანაზებელ როლს
 ასრულებს ცხოვრებისეული და პირადული
 საურდენა. მაგრამ არის, აკრეთვე, ერთი დიდი
 ხალხური საიდუმლო, არამარდაპირ რომ ცო-
 ვრებს მწერალში, მის შემოქმედებაში, პირი-
 ვნებაში. ხალხის ცხოვრებაში ძნელია მოიძებნოს
 უფრო გავრცელებული ემოციური და იდუმალი
 სიტყვები, ვიდრე მწეს, გული და სიყვარულია.

ხალხურ ლექსს ხაუტუნების მანძილზე დაუსრულებლად უღაპარაკია გულის ენით, გულის შესახებ, უმღერია პატარა და დიდი ტკივილების გამო, მაგრამ ამ სიმღერას მუდამ თან ხლებია ცხაობის უძირო, მარადიული კრალბობებით დახერხილი და მარადიული განახლების შემწე გულის დიდება... ნიჭიერი პროზაიკოსი თავის სულში დაატარებს ამ მრავალხაუტუნთან სიმღერებს — უწმინდეს ზნეობაზე და პატრურ მემკვიდრეობას, რომელიც იღვწავს სიმშველსა და ხარბდოს აძლევს ახალი ყიდაის კაცის სულიერი ცხოვრებას, განცდებს და წამებს, ტკივილების, სიზმრებისა და გამარჯვებების რთულ სტიქიონში ბუნებრივად მბადებს ამ ფილოზოფურ მოტავს, რომელიც დამკვიდრებელ სასუსს აძლევს ჩვენი ზნეობრივი სისუფთავის ახალ მიწნებსა და ცხოვრების უადრესად ამაღლვებელ პრობლემებზე.

ღრმად მოაზროვნე მწერალი აწვავს მხატვრული ეპიკოდებიდან გამომდინარე ასე, ქტებს და მქმნის უფოდ ახალ სურათს იმ კანონის გასაყნობერებლად, რომელიც მის ვერსს აღმოუჩენია. ეს კანონი უხეილში ახალი მორალური მოტავის ძალას ახვეებს და მოწოდებულა შეუხსნებურის ტვიტორი ასედაც დამხმობულ სულს, ადამიანებს ახლოებს ერთმანეთთან და მიმართულია მარტოობის წინააღმდეგ. ამ კანონის აზრი იმაში მდგობარეობს, პაკეცულში პროფესორი, რომ... ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელა უნდა შევაშვადო და ვეცადოთ, როგორმე უცდავყო ერთმანეთის სული; თქვენი ჩემი, მე სხვისა, სხვამ სხვისა და ახე დაუსახამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...
 ამ უადრესად ღრმამოაზრებანი ტირანის შესახებ მსკლამიანას არ შეიძლება დავიფიქროთ ღვე ტოლსტოის გენიოსური ზნეობრივი ანდერძი, რომელსაც დიდი მწერალი პიერ ბერუოვს ათქმევინებს: „მთელი ჩემი ფიტის არსი ის არის, რომ თუკ ვყვლა უზენო ადამიანებს ერთმანეთთან კავშირში არაან და ძალას ქმნიან, აბა, ყველა პატროსანი ადამიანებიც ასევე უნდა მოატყვნენ“. ამ ანდერძის აზრი მზნავით ნათელია: უზენო ადამიანების ერთად თაუშეტიამ და ერთობლივად კაცობრიობის მარტონული ცხოვრებას ადრდევის ცდამ ბუნებრივად უნდა დახადოს უკუქმედება — უწმინდურობის წინააღმდეგ პატროსანი ადამიანების კოლექტიური ბძილის ცხოვრებისეული აუცილებლობა.

დღმზაძის გულის კარნახით დაწერილი ღრმად დამაფიქრებელი სტიქიონების კითხვისას უნებურად მგონდება ვამან ტვიტონის სიტყვები, რომლებიც ჩვენი წმუტონის ვარიერაზე უთქვამს. ნაწილი რიკოსი ხაუტუნის შემწარავ

მოკლენებს და ზნეობრივ ბედუქულობრობას მარტობით ხსენდა: „ყვალა ადამიანი ცოცხალი, სიყვარული დაორგუნვილია“. „მარტონა ვეცოდალე უმძიმესი წუხილია. სოციალიზმი ბოლოს მოუღებს მარტობას“ — და თავისი დიდი ტალანტით უმღეროდა რა განმარტოებელი სულების ტკივილს, ოცნებობდა მათ გულითად ახლობლობაზე...

სავსებით ბუნებრივია, რომ დღევანდელი ნამდვილი ტალანტიც ასევე ღრმად განიცდის ამ მუღმეც ნაკლს და ახლებურად განაჯრძობს ბრძოლას იმ ნეგატიურ მოკლენებთან, ხელს რომ უშლიან ადამიანების საზარო თანადგობას, ერთმანეთთან გულითადი დასალოების მიმართებას და განადიდებს კაცთა სულიერი შეკავშირების იდეას, რომელიც ნამდვილად მოიცავს ადამიანის ბედნიერებასა და კაცური არსებობას აზრს, რომელიც უხსოვარი დროიდან კაცობრიობის ჩაუქრობელი ოცნება და წინსვლის ვარანაა.

ამ შემეჯამებელი ბრძნული ტირანით ეყრება რომანის სიუჟეტური ქსოვილი და ნაწარმოები მთავარდება წარმტაცი სურათით: ორ თვის საავდმყოლოში ყოფნის შემდეგ, სიკვდილის მარწუხებისაგან გათავისუფლებული ბარანა შიბაქებს პლესნოვის არსისქეტზე, სიციხულ მისთვის ჩვეული მომზახველიობით გრძელდება, ადამიანი ახლად იწყებს ხარბულს, საერთო რიბიდან ამოვარდნილი გული თანდათან ვარდება საგულეში, ბოლოს და ბოლოს, ეჩვევა ცხოვრებისეულ რიტმს. ბარანა ქვედა ტაქსში და თავისით პოულობს გზას მარიაშისაქენ, ახლადდამადებული ხილამაზისაქენ... ამ ბედალითა და სხვა შენაკადებით მდიდარი რომანი ეღერს როგორც სილამაზას, სიყვარულსა და გულის შეღლიდა...

ამწუთებში, იღვწავს იმზულებით, მოგონებებში იღვიბებენ ჩემი ბავშობისა და ურშობის შთაბეჭდილებები, პირველი ქართული წიგნიბიდან რომ გამოწყობილია. მშინი წლები იყო, ადრეული სკოლას წლები. ვასოცარო გატაკებით ვცთხულობდათ ახალ წიგნებს, რომლებშიც გვხვებოდა, აგრეთვე, ქართული მწერლების ნაწარმოებები. მგონდება, როგორი აღწენბული ვიყავით დ. კონჭაძის „სურამის ციხის“ — ბატონშობის მარწუხების წინააღმდეგ აშხედრებული უბედური ადამიანების შეუღლამაზებელი თავდასავლის, შერი, მშობლიური მწერლების გვერდით, მ. ქავთიშვილის „არსენა მარახდლის“, — პატროსანი, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ადამიანების შესახებ დაწერილი ეპოეების მთავარი შუქვე კოხვის დრის. ჩემში დღესაც ცოცხლობენ იმ წლებში გამოცემული ქართული ლიტერატურის ანთოლოგიადან გამოყოფილი ღამაში შთაბეჭდილებები, თითქმის ახლაც ყურში ჩამქმის ურშობის გულში ჩამწვდომი სიტყვები, მგონდება, ახლგამოცემული „მწუ-

ხისტყაოსნის" წარმტავი სტრიქონებით იყო შარავანდედშობილი ჩვენი პირველი სატრფიალო წერილები. მერე და მერე, როცა ასაკი მომემატა, ბევრი კარგი წიგნი წავეითებე და უფროსი დრამად გავიცანი ქართული ლიტერატურის საგანძურები. მაგრამ გაუბუნარი და განუმეორებელი დარჩა ბავშვობისა და ყრობის წლებიდან გამოყოფილი შთაბეჭდილებანი, ისევე როგორც ის წლებია გაუბუნარი და განუმეორებელი. ამით ის მინდა ვთქვა, რომ არაფერი არ ჩაივლის შერუნაშავად — ხალაშაზეც ეს მაგნიტური თვისება აქვს, რომ შას ძალა შესწევს შეარბიოს გულის სიმები, აღჭარავს სისხლი... კარგი წიგნები უვლია ხალხს, უვლია ადამიანს მატებენ ენერჯიას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაშიც ჩადუღებულია მაგნიტური მიმზიდველობის ძალა, ამიტომ ისიც უკველთვის იქნება ახალაბალი თაობების სულიერი ნამოყალიბების დაუსრტეტილი საზრდო.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების შესახებ შემაქმებელი სიტყვისათვის მინდა მოვიშველიო დიდი ოვანეს თუმანიანი. ჩვენი სატყუნის გარიტარაზე, როდესაც ქვეყანი საგანგაშო მოვლენებით იყო შებოჭილი, იგი საგანგებოდ შეებო ლიტერატურის დანიშნულებას: არა და არა ლიტერატურა თავისი არსით სარკე არ არის მხოლოდ, და თუ მაინც სარკეა, უფროდ — ქაღალსურა სარკე. მისი მოწოდებაა გამოხატოს არა მარტო ცხოვრება, როგორც იგი ნამდვილად არის, არამედ, ამასთან ერთად, გაახსავსნოს და გაათბოს ადამიანის ცხოვრება,

გარდაქმნას ადამიანი, აღუდგინოს „ის დიდი და უმწვენიერესი გამოსაჭედება“ რამელიც ღმერთის უბოძებია მისთვის. ბუნებრივადვე წმინდა და უსპეტაკესი ელემენტებით შექმნიხარს". უველია ხალხის ეროვნული ხელოვნება ამ გზით მიდის და ისწრაფვის უმაღლესი მიზნისაკენ — ადამიანისა და გულის სრულყოფისაკენ. ქართული ლიტერატურაც იმ გზით მიდიოდა მარადიულად თავისი ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლებით. ამ დიდი ტრადიციების დიარსებული შემყიდრვა ნოდარ დუმბაძე, რომელსაც მომადლებული აქვს მხილველს, განმსჭედილსა და სიყვარულის დიდი ნაჭი. ჩვენამდე მოდრეულ ცნობებსა და ნაწარმოებებში გაცნობიერებული მისი ბოგრაფია გვარწმუნებს, რომ დიდ ტალანტს ბევრი კრილობა დარჩევია, მძიმე გზა გამოუვლია, მაგრამ შიანც ბოლომდე უბრძოლია სინდისის, სულისა და სიყვარულისათვის, რომ მთელი მისი შემოქმედება იმ შტა. მე გჯის. მგზნებაზე სიყვარულისა და სულიერ მანკიერებასთან ბრძოლის ისტორიაა.

ამიტომ გულწრფელად მსურს, რომ მოძმე ქართულ ლიტერატურაში მუდამ ენოს მისი მზე, მუდამ ძგერდეს ნოდარ დუმბაძის ბრძნული, მოსუნენარი, კრილობებით დახერილი გული. რომლის სწველი სანათილ და მხრტალებია ჩვენამდეც აღწევს, მშობლიური სიყვარულით მისდამი დაკავშირებულ სომეხ ჰეობველებამდე, მარადისობის კანონმა კი, რომლითაც გაფდენოლია მთელი მისი არსება, დაე, კვლავაც დაიპყროს ახალაბალი ნაპირები...

სომხურიდან თარგმნა ბრნილ დამთითანმა

ბიბლიოთეკა
 ს. თ. ბერიძის
 სახელობის
 ბიბლიოთეკა
 ქ. თბილისი
 კვ. 10
 ბიბლიოთეკის
 მისამართი
 თბილისი, კვ. 10
 ბიბლიოთეკის
 მისამართი
 თბილისი, კვ. 10

ბიბლიოთეკა
 ს. თ. ბერიძის
 სახელობის
 ბიბლიოთეკა
 ქ. თბილისი
 კვ. 10
 ბიბლიოთეკის
 მისამართი
 თბილისი, კვ. 10
 ბიბლიოთეკის
 მისამართი
 თბილისი, კვ. 10



ანდრე კარბელაშვილი

საუკუნე, ვითარცა წამი...

„დღეს, სხვა რომ არა ვთქვათ, მიამიტობა იქნება ვიფიქროთ, თითქოს მთელი მეცნიერული ტექნიკური პრობლემების გადაჭრას შეეძლებოდა მარტოოდენ ჩვენი ძალებით, ჩვენი მეცნიერების საფუძველზე. ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევიარაღდეთ და რაც უფროსად საჭიროა, დროულად შევიარაღდეთ ყოველივე იმ სიახლითა და ყველაზე ძვირფასით, რასაც სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერება და ტექნიკა ქმნიან“.

0. ა. შვიპარდნაძე

თბილი და უღრუბლო დღე იყო, როცა ამასწინათ მოსკოვიდან თვითმფრინავით ჩამოსულ უნგრელ ინჟინრებს იოქეფ შტეტაკს და ენდრედი ტიბორს დავხვდით აეროპორტში.

პირდაპირ გორში გადავწყვიტეთ აეროპორტიდან წასვლა, რადგან უნგრელებს შევატყვევით იჩქაროდნენ ბუდაპეშტიდან გორში მიღებული მონუპოლიზების დამონტაჟებას და არც ჩვენ ვიუავით გულგრილი ამ საქმისაღმე. მართლაც, სანტერესო იყო, როგორ იმუშავებდა ტექნიკური სიახლე — ტელეფონის ხაზის „დამაგრებლებელი“, რომელიც პირველი იყო არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

გზაში სტუმრები უურადადებით ათვალიერებდნენ ისტორიულ ადგილებს და სხვადასხვა შევითხვებით მოგვმართავდნენ.

იკოვოს რომ გავცდით და ტირიფონის ველზე გავდით, მე ხელმარტყევთ, შორს მთაზე წამოსკუბულ ციხეზე მივუთითე.

— ამ ციხეს, ცხვილოს ციხეს ეძახიან; ერთ დროს იქ თავს აფარებდნენ ქართველები, როცა შტერი ამ ადგილებს აღწევდა. ლეგენდოდ მოვიდა ამბავი, გორში რომ ცეცხლს დაანთებდნენ, ამ ციხეზე იგებდნენ შტრის შემოსევას. იოქეფს გაეცინა.

— მო, თავისებური ოპტაური ტელეგრაფი მოუწყვიათ.

— ცხვილის ციხეში წყალიც ბლომად ჰქონ

ნიათ და თევზიც. შტერი ვერაფერს აკლებდა სიმაგრეს.

— ეს უკვე გორის რაიონია?
— არა, ახლა მალე შევალთ ამ რაიონის ტერიტორიაზე.

და ლაპარაკი გორის რაიონზე ჩამოვარდა. ჩვენ ავუხსენით უნგრელებს, რომ ეს რაიონი რესპუბლიკის უმთავრესი მუხილობის რეგიონია. აქ ბევრი სოფელია განთქმული თავისი შრომითი წარმატებებით. აი, მაგალითად, სოფელი ტუვაივი. მეთექვსმეტე წელს კოლმეურნეობის შემოსავლმა ფიქსირებულად 15,5 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც 5,8 ათასი მანეთით შტერი იყო დაგეგმილზე და 12 მილიონი მანეთით და შტეად აღემატებოდა გასულ ხუთწელში მიღებულ შემოსავალს. ხეხილის ბაღების ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ მიაღწია 125 ცენტნერს გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერის ნაკვალად; მარცვლეულია — 40 ცენტნერს, მათინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 24 ცენტნერი. 1972 წელს კოლმეურნეობამ აწარმოვა 728 ტონა ხილი, ათი წლის შემდეგ კი 5701 ტონა, რვაჯერ მეტი. ათი წლის მანძილზე კაცადღის ანაზღაურება 3 მანეთი და 12 კაპიოდან 13 მანეთამდე გადიდა. მარტო შარშან 80-მა ტუვაიველმა იხემა ახალმოსახლეობა, სოფელში აშენდა უნივერსალი, 500 ტონა ტყვადონის მაცივარი, მეცხოველეობის ფერმა, მოაასფალტდა სოფლის გზები, ახლა შენდება

მომადგენელი სკოლა, უბნის საავადმყოფო, სახავშეო ბაღი, სპორტული კომპლექსი, პოლიკლინიკა, აფთიაქი, ახალი მაცხვარი, რომლის ტყვადობა უკვე 8000 ტონა იქნება.

ლაპარაკში დრო სწრაფად გავიდა და მალე გორის შვედეთი.

— გორის სახელი ბევრჯერ გავვიგია და აი, ახლა კი უკვე აქა ვარო... — დაფიქრებით სთქვა ენდრედი ტიხორმა.

აგროსამრეწველო გაერთიანების სამმართველოს შენობას მივადექით. სწორედ აქ, პირველ საბრუნველ ინახებოდა ბუნებრივად მიღებული მოწყობილობა, რომელიც უნგრელებს უნდა დაემონტაჟებინათ. თუ რომელი პუნქტების შორის იმუშავებდა ტელეფონის ზანის „დამაგრებლებელი“ ჭირ გაღაწყვიტელი არ იყო, მაგრამ უნგრელებმა პირველად სამამულლო აპარატურის დათვალიერება მოინდომეს.

პირველ საბრუნველ პატარა ოთახში შევედით კავშირგაბმულობის ინჟინრის ამირან ახალბედიშვილის ოთახებში.

— რა, — ხელი დააღო იოფეფმა ერთ შეფუთულ უფოს — ახალი ჩვენი გადაწყვიტა, აი, ესეუ ჩვენი ანტენა. მოდიო, საქმის შეფუთვით, გავსნაო უფოები.

დატრიალდენ უნგრელები. გაშალეს დოკუმენტაცია, საწოში ხელსაწყოთი შეამოწმეს ელექტროლი სქემები და უვლავრითი კმაყოფილები დარჩნენ.

ჩვენ ლაპარაკში ოთახში უცნობი დაბალი ტანის კაცი შემოვიდა. ამირანი გულთბილად მიესალმა.

— გაიცანით, ეს ტყვიანის კოლმურნეობის თავმჯდომარე რომინზონ ჩხლაძეა. იცოდა, რომ ჩამოხვდოდით და აქ გელავდებოდათ.

— ტყვიანის? — გავირვებით შემოგვხედა იოფეფმა — თქვენ რომ გვიამბობდით იმ კოლმურნეობისა?

— დიახ, იმ კოლმურნეობისა...

რომინზონ ჩხლაძემ რამდენიმე შეკითხვა მისცა უნგრელებს და მივხვდით, რომ ახალი აპარატურით დიდად დაანტერესებული უფოელია. რა მანძილზე იმუშავებს, როგორი იქნება სმენადობა, ძნელი ხომ არ იქნება მისი მომსახურებობა.

შერე კი მოულოდნელად პირდაპირ ვვითხარა:

— ძალიან კარგი იქნება ტელეფონის „დამგრებლებელი“ ჩვენი კოლმურნეობისთვის გამოვიყენოთ, რას იტყვიან?

უველამ ერთმანეთს გადახედეთ. არ ვიცოდით, რა გვეპასუხა. მართლაც, ეს საკითხი ხომ აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელობას უნდა გადაეწყვიტა.

მივხვებდა რომინზონ ჩხლაძე. გაიღიმა.

— შე უკვე მქონდა ლაპარაკი ხელმძღვანელებთან. ისინი თანახმანი არიან.

რომ იტყვიან, „საქმე ჩაწყობილი“ მქონია, — ვაფიქრეთ და უნგრელებს ვუთხარა:

— არც ჩვენი ვიყენებთ წინააღმდეგე თუ კი პირველ ექსპერიმენტს სწორედ ტყვიანში მოვაწყობთ, ხომ ასეა?

ორივე ინჟინერი მაშინვე დაგვეთანხმა.

აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებს ადგალზე არ აღმოჩნდნენ და ჩვენც გადაწყვიტეთ მეორე დღეს შევედგომოდით აპარატურის მონტაჟს.

გორის სასტუმრო „ინტურისტში“ დავბინავდით.

და სწორედ აქ, უნგრელ სტუმრებთან და რომინზონ ჩხლაძესთან ერთად საუბარში შეგავიხსენე, რომ აპარატურა, რომელიც ახლა გორში იყო, პირველად ბუნებრივში ვნახე.

* * *

კ. მარქის საბრუნველო საქარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტში გაზეთ „დროების“ 1882 წლის ნომრებს ვათვალიერებდი. საქართველოში კავშირგაბმულობის ინტორიდან საინტერესო ინფორმაციებს ვეძებდი.

და აი, მოულოდნელად გაზეთის ერთ ნომერში პარიზიდან თბილისში გამოგზავნილ წერილს მივაკვირე უზრაველმა. ვინმე გოგამ გურული აღწერდა 1881 წელს პარიზში გამართულ საერთაშორისო ელექტრულ გამოფენას და დაწვრთვებით უამბობდა მკითხველს გამოფენის ერთ შენობაში მოწყობილ სატელეფონო ტრანსლიაციანზე. ეს იურ იმ დროისთვის ნამდვილი სენსაცია.

პარიზიდან გოგამ გურული იწერებოდა:

„უველი არ მითქმის, რომ მკითხველს არ ვაუწყებარო ის ღრმა და ჭრავ წაუშლილი შეათვლილმა, რომელიც მოახდინა, როგორც ჩემზედ, აგრეთვე უველი იმითზედ ვინც კი ტელეფონით მოისმინა პარიზის სამრეწველო დარბაზში ელექტრონული გამოფენის დროს, გალობა გამოჩენილას აქტიორების და აქტიორებისა, რომელზედ პარიზის დიდ რაერაში გალობდნენ. ამ ორს შენობას შუა უნდა იყოს ოთხი თუ ხუთი ვერსა“.

შემდეგ გურული განაგრძობდა:

„ოპერის მსახსმენად გამოფენის დარბაზში მიჩენილი იყო ოთხი ოთახი მშვენიერად მოართული და დიდრონი ნახებით მოფენილი, რომ მაშინების ხეუილს და მნახველების ხმაურობას არ დაეშალა ტელეფონით გალობის მსახსენა. თითოეულს ოთახი ირგვლივ ოთხივე კედლებზედ მოკედლები იყო 20 წყველი კაჭვი და ამაზედ იკიდა ოცი წყველი ტელეფონი. ოთახის შუა ადგილას იდგა სტოლი და მასზედ იდგა ტელეფონი ბატონი ზედამხედველისთვის, რასაკვირველია, უველია ეს ტელეფონები შერათებულნი იყო ოპერის-სცენის წინ მდებარე მიკროფონიან ტელეფონებთან.“

ოპერაში წარმოდგენა იწყებოდა მ სათვლელ და მისი სქენა შეიძლება მხოლოდ თერთმეტ სათაბდრედ, რადგან დარბაზი იმ დროს იხურებოდა. ამ დღეს, როცა ოპერაში თამაშობა უნდა ყოფილიყო, აუარბენი ხალხი აწუდებოდა გამოფენის დარბაზს გალობის მოსასმენად".

გოგია გურულის ამ საინტერესო წერილის გაცნობის შემდეგ ორი კითხვა დაგვიბოდა: ვინ იყო პარიზში სატელეფონო ტრანსლაციის ავტორი და როგორ მოხდა გოგია გურული პარიზში?

პირველ კითხვაზე მალე შევითვით პასუხი. პარიზში მსოფლიოში პირველი სატელეფონო ტრანსლაცია (დღევანდელი სადღეობის რადიოაპარატების) განხორციელდა გამოჩენილმა უნგრელმა გამომგონებელმა ტივადარ პუშკაშმა, რომლის სახელი დღეს მოიხსენება ედისონის, ბელლის, ამპერის, სიმენსის, აივონის, მორსის, გვარდუციის, ზელდინგის და სხვა ცნობილი ნიჭიერი ადამიანის გვერდით.

ტივადარ პუშკაშმა (1844-1898) ორი მნიშვნელოვანი გამოგონებით გაითქვა სახელი მსოფლიოში, კერძოდ, შინ შექმნა — სადენიანი მაუწყებლობა — დღევანდელი რადიოს, ტელევიზიისა და რადიოტრანსლაციის კსელის წინამორბედი და ტელეფონის სადგური — ტელეფონების კომუნიკაცია. ამ გამოგონებებმა ავტოსი დიდება და სახელი მოუტანა, ხოლო კავშირგაბმულობის ტექნიკას — შემდგომი განვითარების იმპულსი მისცა.

როგორც კი 1876 წელს მსოფლიოში პირველი ტელეფონები გამოჩნდა, უნგრელ გამოგონებელს აზრი დაებოდა სადენიანი მაუწყებლობის შექმნა. 1880 წელს ამერიკაში მოყოფს ტივადარ პუშკაშმა თავისი აზრი მაშინ უცვლელ სახელგანთქმულ თომას ალვა ედისონს გაუზიარა: — ხომ არ შეიძლება ტელეფონი გამოვიყენოთ არა მარტო სალაპარაკოდ, არამედ უცანასკნელი ამბებისა და მუსიკის გადასაცემად? წარმოადგინეთ, რა სახისაოვნო იქნებოდა ყველასათვის სახილდანი გამოუსვლელად შედგენის ოპერის მოსმენა!

ედისონმა გულმანად გაიციინა პუშკაშის „ფაბრიკატურ“ იდეაზე. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი ახალგაზრდა მეგობრის „მოლაპარაკე“ გაზეთი პრაქტიკულად ვერ განხორციელდებოდა.

ედისონის ავტორიტეტმა ჩვენმა ვერ შეუძლია პუშკაშს. და აი, 1881 წელს პარიზში საერთაშორისო ელექტრულ გამოფენაზე მან პირველად მოახდინა მსოფლიოში სატელეფონო ტრანსლაცია, რომლის მოწმე გახდა სწორედ გოგია გურული.

შემდგომ, უნგრელმა გამომგონებელმა დაამუშავა ელექტრული სქემები, რომლებიც საშუალება იძლეოდნენ ათასობით აბონენტებამდე იხე გადაეციათ ერთ ადგილიდან ტექსტი ან

სიმღერა, რომ ბგერები ნორმალური და გასაგები ყოფილიყო. ტელეფონით ამხენის გადაცემაზე პუშკაშმა აიღო პატენტი ედისონის მთელ კონტინენტზე და აგრეთვე ამერიკის კონტინენტის ზოგიერთ ქვეყანაში.

პუშკაშის პირველი ადგილობრივი მაუწყებლობის ქსელი ზუდავეშტში ამუშავდა 1898 წლის 15 თებერვალს. მოსახლეობა ისმენდა არა მარტო ახალ ამბებს, არამედ მსატრულ გადაცემებსაც, რისთვისაც საეციალური რედაქცია შეიქმნა.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას უნგრელი გამომგონებლის მიერ ტელეფონის პირველი სადგურის დამუშავებაზე და მის გამოფენაზე მთელ მსოფლიოში, მაგრამ დავუბრუნდეთ გოგია გურულს.

საიდან მოხდა საფრანგეთში ქართველი კაცო, რომელიც უნგრული სატელეფონო ტრანსლაციის მოწმე გახდა 1881 წელს საერთაშორისო ელექტრულ გამოფენაზე?

ამ კითხვაზე პასუხი ისევ გაზეთმა „დროებაში“ გაგვცა. 1885 წლის 4 ივლისს გაზეთში დაბეჭდილი იყო პარიზიდან მიღებული წერილი, რომელშიც ქართველი სტუდენტები გულისტყვილიყო აცნობებდნენ მშობლიურ მხარეს ისდლორე წეროძის გარდაცვალებას.

„უზომოდ შეგაწუხა და დაგვაობლა აქ მოსწავლე ქართველები ჩვენი სასახლეო მეგობრის ისდლორე წეროძის სიყვდილმა.. განსვენებულისათვის ცდა იყო სამშობლოსათვის გამოსადეგი კაცი გამზადარიყო, მაგრამ არ დაცადა. ის იყო საუცხოოდ მოწადებული სასარგებლო შრომისათვის“, — იწერებოდნენ ქართველი სტუდენტები.

სტუდენტბო პარიზიდან აგრეთვე იტყობენებოდნენ — „ისდლორე წეროძე ეკუთვნოდა დალოცვილის საქართველოს კუთხე — გურიას. როგორც დედლის შვილი ის სწავლობდა პირველად ჭუთისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის ვათავების შემდეგ გადავიდა ამავე ქალაქის გიმნაზიაში. შეასრულა ეს სასწავლებელი თუ არა, იგი შევიდა კივის სავეტერინარო მეცნიერების ინსტიტუტში, რომელიც გაათავა მაგისტრის წოდებთ. სამხაზროსი გამწესებული იყო პეტერბურგის მაზრაში, ხან რუსეთ-ისმალეთის ომის დროს ჯარში, წეროძე ასრულებდა ვეტერინარული ექიმის მოვალეობას, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა ისდლორე წეროძე ამ ასპარეზზე, მისი სურვილი იყო, რომ თავისი ენერჯია და ცოდნა დამოუკიდებელი ასპარეზისათვის უფრო სასარგებლოდ მოეხმარა, ამ განზრახვით მან დაიჭირა მისადები გამოცდები პეტერბურგის საექიმო აკადემიაში და გადამოვიდა ისევ კიევში, საექიმო ნაწილში. ეს ნაწილი დიდი ხნის წინათ ექმებოდა მას შესრულებული და დღეს იქნება სამშობლოში ყოფილიყო, რომ სულმთავლურ გადაცემის წყალობით იძლეებოდა შეიქნა

მეტროპოლითა ყოველივე მისი ნაჭირნახულები და წახსულიყო საზღვარგარეთ. პარიზში ისიდორეს მოკლულა ახალი ბრძოლა და გაბრუნება, მაგრამ ამახ იგი არ შეუშინდა, მოჰკლდა ხელი ეპიმინის ფიზიკის საუბრეთის სახელმძღვანელოს და ვადმოთარგმნა კიდევაც ქართულად ილექტრონული ვანუთლები, ვისაც კი წაუცთხავს დიდ ინტერესს აღუძრავდა 1852-მ წ. „დროებაში“ პარიზის ილექტრონული მისოფლიო გამოყენის შესახებ გოგაი გურულის ნაწერი, ეს გოგაი იყო საზარლო ისიდორე წერამე... მადე შეითვისა მან ფრანგული ენა, დაიჭირა მშვენივრად ერთი-მეორეზედ გადასასვლელი გამოცდები პარიზის საქიმო აკადემიაში და თითქმის გათავებული ქონდა ეს სასწავლებელი, მას, რომ ამ დროს უძვრად წამოეწია ამხანაგთაგან დაუფიქსარ შეგობარს ისიდორეს ქლეკი, ამ უსაშველო სენმა გზა გადაუღობა ისიდორეს და დღეს კიდევ წაგვარობა ხელიდან საუცხოვო, ნიჭით სავსე ამხანაგა.

სამძიმოა შეგობარისათვის, შეგობარსა რომ ნარხვიდეს და უფროვე სამძიმოა როცა სამშობლო ქვეყნიდან შორს, დიდ მანძილზე აბარებ უცნო შავს მიწას ამ შეგობარს.

ქართველმა სტუდენტებმა პარიზიდან გამოგზავნილ წერილს ეპიგრაფად წაუმიძვარეს სიტყვები: „სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფერხი სადით ძირსა!..“

ახე ვახდა ცნობილი, რომ გოგაი გურული — ეს ისიდორე წერამის ფსევდონიმი იყო.

დაახ, სწორედ ისიდორე წერამე ვახლდათ აღფრთოვანებული გამოჩენილი უნგრული გამოგონებლის ტ. პუშკარის მიერ 1851 წელს პარიზში მოწოდებული სატელეფონო ტრანსლაციით. მისი სურვილი იყო საქართველოშიც დაწერგილიყო ტექნიკური სიახლე (მართლაც, ტელეფონით ოპერის ტრანსლაციის პირველი ცდა თბილისში 1893 წელს განხორციელდა).

* * *

უნგრეთის კავშირგაბმულობის ტექნიკის საქციონერო სავაჭრო ორგანიზაცია „ბუდაპეშტის“ დიდი გამოყენა მოაწყო კიევში, რომლის დასათვლიერებლად შეიღონებოთ ჩვედით ინიერარ არჩილ ურუარაშვილთან და ნუგზარ ბეკარიშვილთან ერთად.

ურარმაზარ საგამოყენო დარბაზს რომ მიუვახლოვდით, მაშინვე თვალში მოგვხვდა კარების გვერდით აღმართული დიდი სურათი.

— ეს ხომ ტივიდარ პუშკარია? — ვაფიქსირვეთ და ფეხს ავუქჩარეთ.

სამიუენი ერთხანს პატივისცემით შევიტყუროდით სიმპატური უნგრულის მეთვთველ სახეს და ვუფიქრობდით, რომ იქნებ 1851 წელს პარიზის საერთაშორისო გამოყენაზე მას პირადადაც კი შეხვდა ისიდორე წერამე.

უცარიინის სავაჭრო პალატის დიდ დარბაზ-

ში ფართოდ იყო გამოყენილი უნგრეთში დამზადებული საქალათაშორისო სატელეფონო კავშირის აპარატურა, კორდინატული სისტემის ავტომატური ტელეფონის სადგურები, ტელეფონის კაბელების წნევის ქვეშ დასაყენებელი მოწყობილობები, საზომი ხელსაწყოები, რადიოსარელეო ხაზები და რადიოსადგურები.

სავსებით ცხადია, გამოყენაზე საბჭოთა კავშირის მრავალი კუთხიდან ჩამოსულ დამთავლიერებლებთან ერთად ჩვენც ინტერესით ვეცნობოდით უნგრეთიდან აქ ჩამოტანილ ტექნიკას. როცა რომელიმე მათგანზე დაამტებით ცნობების მიღება გვჭირდებოდა, მაშინვე მივმართავდი უნგრელ ინჟინრებს, რომლებიც თითქმის ყველა სტრუქტურის მორიგეობდნენ. მათ ძალზე კარგად იცოდნენ რუსული ენა.

— საინტერესოა, — ვუთხარი ჩემს გვერდით მდგომ არჩილ ურუარაშვილს — რადიოსარელეო აპარატურა თუ იგზავნება ექსპორტის სახით ჩვენს ქვეყანაში?

— არ მოგახსენო, — დილილით მომივიტარჩილმა და მიხედ-მოხებმა. ამ დროს, თითქმის განგებო, უნგრელი ინჟინერი მოგვამოლოვდა და ხომ არაფერი გნებავთ? — გვკითხა.

ეს იყო სიმპატიური, თმაშევერცხლილი შუახანის კაცი, რომელმაც, როგორც ვამოიკრევა, შესანიშნავად იცოდა უნგრეთის კავშირგაბმულობის ისტორია. სხვანაირად არც შეიძლებაოდა, იანოშ პონგრაცი „ბუდაპეშტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

იანოში ძალზე დანიტერესდა როცა შეიტყო, რომ საქართველოში „ბუდაპეშტის“ მიერ დამზადებული ავტომატური ტელეფონის სადგურები მოშობენ, კერძოდ კი კორდინატული ტიპის ავტომატური ტელეფონის სადგურებია დამონტაჟებული ქედამი, აბაშაში, ნატანოში, დიდ ქიხაიში, მაგრამ ამ ტელეფონის სადგურების გარდა ჩვენს რესპუბლიკაში ექსპლუატაციაშია გადაცემული სხვა დანიშნულების აპარატურაც.

თელავსა და ახმეტას, გურჯაანსა და სიღნაღს, რუსთავსა და გარდაბანს შორის დადგმული უნგრული აპარატურა, რომელიც ერთდროულად სამი სატელეფონო ლაპარაკისა და 4 დეკემბის გადაცემის საშუალებას ოძლევდა.

კიდევ უფრო „შრომისუნარიანია“ უნგრული აპარატურა მარნეულში, ბოლნისში, წალკაში, ბოგოლოვკაში. ერთ სპაერო ხაზში ერთდროულად 12 აბონენტი ლაპარაკობს.

მერე იანოშ პონგრაცის ლაპარაკი ჩამოვუგდეთ ტივიდარ პუშკარსზე. ვუთხარით, რომ მის გამოგონებულ დაწვრილებით წერდა 1852 წელს თბილისში გამომავალი ქართული გაზეთი „დროება“. ჩვენს ნაშრომს დიდი დანიტე-

რეხებით უმხენდა. მერე, ერთ წუთს გვხოვდა დაჯვრება და თვითონ საღვად წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ იგი ორ უნგრულ ინჟინერთან ერთად ჩვენიან მოვიდა. როგორც კი ერთმანეთს გავეცანათ, მათ შევითხვები მოგვცეს „დროებაში“ დაბეჭდილ წერილზე და მერე გვხოვებს გამოყენის დირექტორის ოთახში მივსულიყავით.

— წამობრძანდათ, უფრო მოხერხებულ ატმოსფეროში გავაგრძელოთ საუბარი.

და მართლაც შეგობრული საუბარი გაიმართა გემოვნებით გაწუხილ ოთახში. დაბალ მაგიდაზე მადე გაჩნდა უნგრული კონიაკი, კოფე, ტაბლეტული.

უნგრულმა გვითხრეს, რომ კარგად იცინ მისი ზინის საქართველოში ყოფნის ამბავი და მისდამი ქართველი ხალხის დიდი პატივისცემა.

— თბილისში მისი ზინის სახელობის ქუჩაა, — შენიშნა ლაპარაკში ნუგზარ ბეჟარისშვილმა.

— მისი ზინის გარდა საქართველო დაათვალიერა ივერი ზინიც, მისმა ნათესავმა — დაუპრატო ნუგზარის ნათესავს.

— ეს არ ვიცოდათ, — გაივირვებს უნგრულმა და ძალზე დაინტერესდნენ ამით.

ძალზე მოკლედ ვუამბეთ ყველაფერი.

მაგრამ ჩვენს მკითხველს ეს გვიანდა უფრო დაწვრილებით შევახსენოთ ივერი ზინის საქართველოში ჩამოსვლის ამბავი.

ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოშვებული გაზეთი „ივერია“ 1895 წლის 30 აპრილს (№ 97) მკითხველებს აუწყებდა უნგრეთის სამხრეთიო ექსპედიციის კავასიაში მომავალ ჩამოსვლას. „კამერგერს ავსტრია-უნგრეთის ტახტისა, გრ. ზინს გაზეთ „პარლამენტის“ სიტყვით, კავასიაში მოგზაურობა ვანუზრახავს, რისთვისაც შეუდგენია მცენიერთა ექსპედიციი. ახრი მოგზაურობისა ის არის, რომ გამოიკვლიოს ტომთა შორის, რომელთა აქვთ ნათესაობა მადიარებთან. ექსპედიცია ნახევარწელიწადს იმოქმედებს. ხარკი რიცხვით 15.000 ფლორინი, რომელიც მოგზაურობის დროს მოუხდებთ, გრადს თვით უყისრია“, — წერდა ილიასეული „ივერია“.

და მართლაც, იმავე წლის ივნისის ბოლოს თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის ექსპედიცია. უნგრელი ამ ქვეყნს სათავეში ედგა ივერი ზინი, რომელიც „ივერიის“ ცნობით იყო „ავსტრია-უნგრეთის ტახტის კამერგერი“, ზოლო გაზეთ „ნოვოე ობოზრენიის“ გამოქმნით „ავსტრიის იმპერატორის კამერგერი და ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი“.

1895 წლის 4 ივლისს ექსპედიცია თბილისიდან საქართველოს სხვადასხვა რაიონში გაემგზავრა.

აი როგორ წერდა ამაზე გაზეთი „ივერია“ 1895 წლის 5 ივლისს (№ 140): „გუშინ, 4 ივლისს, გაემგზავრა თბილისიდან უნგრეთის

ექსპედიცია, რომელსაც აწარმოებდა გემოცილია, ხალ და რა ნიშნები დაუტოვებია უნგრეთის ერს ხალხთა ვადამდებებს დრასს საქართველოზე. ექსპედიციის შემადგენელთა ზინის ხარკით. ამ ექსპედიციაში მონაწილეობას იღებენ თვით ზინი, კლავუზენბურგის უნივერსიტეტის პროფ. სადეცკი, აბბატია-არბე-ოლოგი შორიცი ვოშენსკი, პროფესორ-ლინგვისტი გაბ. ვალენტი, მიუნხენის მხატვარი კარლ ვუტტი თარქიმანი იაკ ჩილინგარიანი და პეტრევი პალი. ექსპედიცია ყოფილა ჩრდილოეთ კავასიაში, უაბარდოსა და ნაღრიკში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა წყნევეულებში აღმოუჩენია ამ ერის ნათესაობა უნგრულეთთან. ყველაზე მტკად ექსპედიციის ყურადღება მიუპყრია ზუნძაქს, სადაც რამდენიმე ნივთიც კი უპოვიათ ისეთი, რომლებიც ნამდვილად ამტკიცებენ უნგრულითა აქ ყოფნას. დარუბანდში ექსპედიციის ისტორიული საბუთებიც — კი მოუწახავს, რომლებიც ეუთუნთან მეთხებ საუფუნ. აქვთ; ამ საბუთების მოწმობის ეს ადგილი უნგრელებს 1.100 ვიჯე. რკროთი მიუყენილით სპარსელებისათვის“.

თბილისიდან გორში მიმავალი გ. ზინის ექსპედიცია შეჩერებულა ზედიურეთში, გიორგი ფანეს ძე ციციშვილის ოჯახში. ამას თავისი განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა, რაზედაც „ივერია“ თავის მკითხველებს აცნობებდა 1895 წლის 25 აგვისტოს (№ 182) ნომერში.

აი, რას წერდა გაზეთი:

„უნგრეთის საარხეოლოგიო კომისია, რომლის თავმჯდომარედ უნგრეთის არისტოკრატი და დიდი შეძლებული გრაფი ზინი არის არჩეული, ჩამოვიდა, როგორც მოვიხსენიეთ ამის წინად, კავასიაში, იმ ახრით, რომ ძველი უნგრეთის ხალხის თაოსნულად რაიმე ნაშთი იპოვოს.“

სხვათა შორის, როდესაც გრადს გაუგონია, რომ ქართლში ცხოვრობენ თავადნი ციციშვილები და ეს გვარი თავის გვართან შეუდარებია, მოუხურებია მათი ნახვა და გაცნობა. მთელი კომისია გამგზავრებულა და მისულა თავადნი ციციშვილებში. რასაკვირველია, ქართველურის პურ-მარლით, დარბახსლობით და სტუმართ-მოყვარეობით მიიგებებიან ამ კომისიის მთელი გვარეულობა ციციშვილთა. გრაფი ზინი ისეთ აღტაცებაში მოვიდა დიდებული მასპინძლობით და ძველებურის მოღბენითა და დროის გატარებთ, რომ სამავიეროდ მიიწვია მთელი გვარი უნგრეთში მომავალ არხეოლოგების კრებაზედ, თავისის ხარკით.

ერთი რამ ძალიან ეუცხოვით უნგრელებს: მათ თან წადევნათ თარქიმნები, მაგრამ ესენი სრულიად აღარ დასტარებიათ, რადგან რამოდენიმე მანდილოსანი, ქართლად ჩაცმული, კარგის ფრანგულის ენით მოლაპარაკე ყოფილა თვით თავად ციციშვილებში. გრაფი თითქმის გამოანათესავებია; „თქვენ უსათუოდ უნგ-

რღვედა უნდა იყოთო, ან მე ქართველი ვყოფილვარ ოდესმეო. უსათუოდ უნდა შეწყვიტო ჩემს სამშობლოში და ვეცდები მავიერი პატავისცემა იქ გადავიხადოთო”.

—ყოველივე ამან მოკლედ ნამშობლის შემდეგ ზღუდ უფრო გულწრფელი და მეგობრული საუბარი გავრძელდა ჩვენს შორის.

და ბოლოს, როცა მათ საყმოდ ბევრი გამოფენის ექსპონატების პარასპექტები გადმოგვცეს, ლაიოშ პონგრაცი შეშეკითხა:

— ხომ არ ისურვებდით, რომ ჩვენთან, ბუდაპეშტში კავშირგაბმულობის მუზეუმისათვის მოკლედ მოგვეწრათ ისილორე წერაძის პუბლიკაციის შესახებ? ეს ხომ მუზეუმისთვის ძალზე საინტერესო იქნება, მითუმეტეს, მუზეუმში ტივადარ პუშკაშის ნამუშევრებს ცალკე ოთახი აქვს გამოყოფილი.

როცა დავეთანხმე, მუზეუმის მისამართი დამიწერა, თანაც კიდევ ერთი შეკითხვა მომცა.

— და კიდევ: უარს ხომ არ იტყვოდით თუ „ბუდაპეშტი“ მოწვევას გამოგიგზავნიდათ? ჩამოვლოდით ბუდაპეშტში და სიამოვნებით დაგაფაღიერებინებდით ჩვენს ქარხნებს.

— ბუდაპეშტში არ ვყოფილვარ, თქვენი კავშირგაბმულობის ქარხნების დათვალიერებაც დიდად საინტერესო იქნებოდა.

ჩვენ ძალზე კმაყოფილი დავარჩით უნგრელი კოლეგების გაცნობით. მართლაც შთაბეჭდილი იყო არა მარტო მოწინავე ტექნიკის დათვალიერება, არამედ საუბარი იმ აღმანიანებთან, რომლებიც მათ შესანიშნავად იცნობდნენ.

ლაიოშ პონგრაცმა მანაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. მას მოსკოვში რამდენიმე წელი უცხოვრია; როგორც გაერთიანების წარმომადგენელს, შესანიშნავად შეუსწავლია რუსული ენა. ჩემმა ქალიშვილმარუსული ჩემზე უკეთესად იცის და ხშირად შენიშვნებს მაქვებსო, — გვითხრა ხუმრობით.

მაღე თბილისიდან ბუდაპეშტის მუზეუმში წერილი გავგზავნი და ამის შესახებ ლაიოშ პონგრაცს ვაცნობ.

და აი, ჩემდა მოულოდნელად წერილი მივაღებ ბუდაპეშტიდან უნგრეთის კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მინისტრის დერდ ჩანადისგან. წერილიდან ერთად ეურნალი „ფოტოჩა“ იდო კონვერტში.

მინისტრი დერდ ჩანადი მწერდა: „ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო შემეტყო, რომ თქვენი კვლევის შედეგად დაწერეთ წერილი ჩვენი სახელგანთი თანამშრომლის ტივადარ პუშკაშის შესახებ, რაზეც ქართული ვაჭრები წერდა 1882 წელს. გისურვებს თქვენ დიდ წარმატებებს შემდგომ მუშაობაში, კარგ ჯანმრთელობას და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში. მეგობრული საღმით დოქტორი, პარფესორი, ინჟინერი დერდ ჩანადი“.

როგორც მინისტრი მწერდა, თანდართულ უნგრულ ეურნალში მუზეუმში გავგზავნილი ჩე-

მი წერილი იყო გამოქვეყნებული. მართლაც, ძალზე სასიამოვნო იყო ასეთი ურადლება!

მითუმეტეს, უნგრეთში კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მინისტრისაგან, რომელიც უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, კოშტის სახელმის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი იყო.

* * *

კუბის გარეშე ფრთხილი კაცები ვაისმა. კარი გავადეს.

ვაგონს ვამცილებელს ხალაოი გამოეცვა. სახეზე ოფიციალური იერი შეცვლოდა. კეთილად გვიღიმიდა.

— რაშია საქმე?

— რამდენიმე წუთში ჩოში ექნებით. იქ უკვე უნგრეთი იწყება. თუ გნებავთ, სადგურზე გაისიერეთ, თუ არა და თვალური ადვენეთ, როგორ გამოუცვლიან ვაგონებს ბორბლებს. ღმერთმანი, საინტერესოა, როგორც გუნებოთ.

ზრდელობიანად დავგეშვიდობა.

და აი, მატარებელი გაჩერდა.

ჩოში... ეს სახელი ბევრმა იცის, ვინაც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში უმოგზაურია. სახელოა და უნგრეთის რკინიგზის ლიანდაგების ერთნაირი სიგანე არ აქვთ. ამიტომ ჩოში ვაგონები უნდა შეაყენონ ვიწრო ლიანდაგისთვის გამოსადეგ ბორბლებზე და ისე განაგრძოს მატარებელმა გზა ბუდაპეშტისკენ.

სულ რაღაც 30-40 წუთი დასჭირდა რომ მატარებლისთვის ბორბლები გამოეცვალათ. რამდენჯერმე შეინძრა ვაგონი და მატარებელმა ნელა დასტოვა ჩოშის სადგური.

ფანქარასთან მდგომი თავად არ ვაცილებთ ჩვენს წინ წამდაუწუმ გამოჩენილ ბაქნებს და გვსიამოვნებს წესრიგი, რაც თვალში გვხვდება.

ვერსად შენიშნავთ აწეწილ-დაწეწილ ნარჩენებს გზის პირას. უვალაუტრი დელაგებულა. არხად მოსჩანს ნაგავი და უსუფთაობა. სამშენებლო მასალა, თუ სხვადასხვა ტვირთი, — უველას თვისი ადგილი აქვს მიჩენილი. ქარის ვერ დანიანავთ სადგურებს ახლოს. და არც მთელი გზის პირას, რომელიც სულ უფრო გვახლოვებდა ბუდაპეშტთან.

მატარებელი უნგრეთის დელაქალაქის აღმოსავლეთ ვაგონში შევიდა. ღამის შ საათი იყო თბილისის დროით.

ლაიოშ პონგრაცი თავისი „გოგულოთ“ დაგვხვდა. როგორც კი მანქანაში ჩავქვეით, წინ მოწყობილ სარკმელთან მატარა წიგნი ამოიღო.

— აი, ეს რუსული წიგნია — „უნგრეთი“. წაიკითხეთ, სპირობა ორიენტაციისათვის. რაკოცის პარასპექტუ მღებარე ოტდენის „საბადამუგის“ შეიქმნე სართლის ნომერში განვაგრძეთ ინჟინერთან საუბარი.

ფანჯრიდან ხელისგულივით მოხანს თვალში ვახვეული ბუღაქუშტი. პრასპექტზე ათასდროს რეკლამები ანთა, თუშყა უკვე გვიან არის და ქალაქს სძინავს.

როცა დილით შეხვედრან შევლამარაკეთ, ლაიოში გულთბილად დაგვეშვიდობა და წავიდა.

მისი ნაშუაარი წიგნი გადავთვალადერთო. ყურადღება მიიქცევა თავმა, რომელსაც წარწერა აქვს: „მოკლე ცნობარი უნგრეთის ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილ მოღვაწეებზე“.

ფერენც ლისტა, შანდორ ფეტინი, მისია ზიჩი... ტყეადარ პუშკაიში

ამიტომ იყო, უნგრეთში ჩახვლის მეორე დღესვე გადავწყვიტეთ დავეთვადიერებინა მსოფლიოში ცნობილი უნგრეთის კავშირგაბმულობის მუზეუმი, რომლის დირექტორს დოქტორ ვაიდა ენდრეს თბილისიდან მიმოწერით ვიცნობდით.

ოტელ „საბაღვაიდან“ ბუღაქუშტის კავშირგაბმულობის მუზეუმამდე რაღაც 10 წუთის სავალა და ხელე მალე პირდაღ ვავყავით მისი დირექტორი.

ვაიდე ენდრემ რუსული ენა არ იცის — თავსუფლად ფლობს ინგლისურს და გერმანულს, ამიტომ ჩვენთან შეხვედრისთვის მიეწვია თავისი თანამშრომელი ხალმონ ბერტოლანი. მაგრამ უცვლელგვარი თარგმანის გარეშე გასაგები იყო თუ რა გულთბილი სიყვარულია ამ ადამიანში უცვლელი იმისადმი, რაც კავშირგაბმულობის ისტორიას შეეხებოდა.

ამაზე კარგად შეტყვევებულია მისი ფართე კაბინეტის წევრები, სხვს თარგობა, ცალკეული მოდულები და მკეცებები, რომლებიც ფოსტისა და ელექტროკავშირგაბმულობის განვითარების ცალკეულ ეპიზოდებს ასახავდნენ. თითქმის აქ დადგმული ძველბურთი მდიდრული ავეციც სახლოო სახეს აძლევდა კაბინეტის პატრონის ხასიათსა და განწყობილებას.

— დოქტორ ვაიდა ენდრეს ძალზე აინტერესებს ცნობები ისიდორე წეროძის შესახებ. საიდან აღმოჩნდა ეს ქართველი კაცი პარიზში, როცა აქ პუშკაიში თავის გამოგონების დემონსტრაციას ახდენდა მსოფლიო ელექტროტექნიკური გამოფენაზე? — გვეითებმა ხალმონ ბერტოლანი.

დაწვრილებით ვუამბობთ ისიდორე წეროძეზე და ჭუთისზე, სადაც ვიმანაა დაამთავრა ისიდორე წეროძე.

ჩვენ მასპინძელს ვუამბეთ, რომ ქართული პრესა ყურადღებით ადევნებდა თვალს დიდი უნგრელი გამოგონებლის წარმატებებს და აქვეყნებდა საინტერესო ინფორმაციებს, თუ როგორ ინერგებოდა მსოფლიოში პუშკაიშის გამოგონება.

„ცნობის ფურცელმა“ 1901 წლის 28 აგვის-

ტოს მკითხველებს მოუხბრო ბუღაქუშტის პუშკაიშის პირველ სატელეფონო ტრანსლაციონზე.

ვაიდა ენდრემ განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა „ცნობის ფურცლის“ ინფორმაციის სრული თარგმანი, მაგრამ კიდევ უფრო გაუვივრდა როცა შეიტყო, რომ პუშკაიშის მსოფლიოში პირველი სატელეფონო ტრანსლაციონ პეტერბურგში გაიმორგეს 1882 წელს, რაცე თბილისში გამოავალი ვაზეთი „კავკაზი“ 1882 წლის 18 თებერვალს იუწყებოდა.

— როდის განხორციელდა პეტერბურგში ასეთი ტრანსლაცია?

— 1882 წლის 21 იანვარს.

— ეს იყო ოპერა „ლისი“ გადაცემა სპეციალურად მოწყობილ დარბაზში, სადაც ტელეფონით ერთდროულად 15 კაცი ისმენდა მუხეკას. დარბაზში შესვლა 1 მანეთი ღირდა, რაც იმ დროისთვის საკმაოდ ძვირი იყო.

ვაიდა ენდრემ ოთახში შემოსწრებულ მუზეუმის თანამშრომლებს გადახედა და გავივრებოთ ვაშლა ხედილი.

— თითქმის ყველა ცნობა ამოცწრეთ რადიომაუწყებლობის წინამორბედზე და აი, ახლა სრულებით უცნობი რამ გვესმის. მართლაც, არ ვიცოდით, რომ პუშკაიშის გამოგონება უკვე ერთი წლის შემდეგ პეტერბურგში გაიმორგეს.

— ამის გარდა, 1888 წელს მოეწყო ოპერადან ტელეფონებით ტრანსლაცია თბილისში, — დავუმატეთ ჩვენ.

ვაიდა ენდრე რამდენჯერმე გამოვლამარაკა თანამშრომლებს, მერე ვვიხბრა, რომ მუზეუმისათვის, და, სერთოდ, უნგრეთის კავშირგაბმულობის განვითარების ისტორიისათვის აღნიშნული ფაქტები უცნობია.

მერე მასპინძელმა მუზეუმის ექსპონატის დოთვალბრება შემოგვთავაზა.

— თუ ჩვენ რომელიმე ექსპონატს სათუთად ვუფრთხილდებით და უჭირფხსებს რელიკვიად მივანჩია, სწორედ ეს რადიოვადამცემა — სიამაჟით გვცობსა დირექტორმა და ერთ შეველადიოსადღურთან მივავყვანა.

აი, რა გამოიკვია ვაინდრე ენდრესთან საუბარში:

1919 წლის 22 მარტს საღამოს 5 საათზე ბუღაქუშტი სწორედ ამ რადიოსადღურათ დაუყავშირდა მოსკოვის და სოხოვა რადიოტელეგრაფთან გამოქმანათ ვ. ი. ლენინი. 20 წუთის შემდეგ მოსკოვმა უბასუხა: „პარატთან ლენინა“. სივრცე ბუღაქუშტიდან მოსკოვამდე გაკვეთა რადიოსიგნალბენმა, რომელიც იტყობინებოდნენ: „გუშინ ღამით უნგრეთის პროლეტარიატმა ხელთ იგდო სახელმწიფო ძალაუფლება, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და მოგვალბებოთ თქვენ როგორც სერბთაშობის პროლეტარიატის ბუღაქუშტი.“

სწორედ ამ დღეს მოსკოვში მიმდინარებო-

და რკპ (ბ) VIII სურდობის ხელშია. დარბაზში ჩქარი ნახაილ შევიდა ვ. ი. ლენინი. პრეზიდიუმის წევრებს რაღაც გადაუწერწყლდა. თავმჯდომარემ შეწვევით სხდომა და სრულობას აცნობა ახალი ამბავი — ში მარტს ბუდაპეშტში მოხდა პროლეტარული რევოლუცია. დღეგატები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ამ ცნობას. დარბაზში გაისმა „ინტერნაციონალი“.

თავმჯდომარემ სრულობაზე შეიტანა წინადადება: „ამხანაგებო, პროლედიუმი წინადადებას იძლევა დაეუღლოს ამხანაგ ლენინს გაუფხავნოს რადიოთი მისალმება უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკას“.

მავე საღამოს ზოდინის რადიოსადგურიდან ბუდაპეშტში გაიგზავნა ვ. ი. ლენინისა და სრულობის მისალმებელი რადიოდეკლამაციები უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობისადმი.

„აქ ლენინია. გულწრფელი საღამო უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას და განსაკუთრებით ამხანაგ ბელა კუნს“ — ასე იწყებოდა ვ. ი. ლენინის მისალმება.

უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნამ განაპირობა რევოლუციური რუსეთის მხარდაჭერა. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. ჩიჩერინმა რადიოთი დაუდასტურა ბელა კუნს საბჭოეთისათვის შუაგულ ევროპაში მოკავშირის არსებობის უდიდესი მნიშვნელობა.

ყოველდღიურად იზრდებოდა რადიოთი ინფორმაციების ვაცელა მოსკოვსა და ბუდაპეშტს შორის. რადიოტელეგრაფით უნგრელ კომუნისტებთან საუბრობდნენ ვ. ი. ლენინი, ვ. ჩიჩერინი, ა. ლუნინარსკი.

ჩვენ გულმოდგინეთ ვთავადაირებდით ისტორიულ რადიოსადგურს ბუდაპეშტის მუზეუმში. მისი მიღებები დიდხანია აღარ ანათებენ, ელექტრულ წრედში არ „მოგზაურობენ“ ელექტრომაგნიტური და აღარ გაისმის მისი ხმა ბუდაპეშტიდან მოსკოვში, მაგრამ რაოდენ ახლომდებარე იგი რაცა იცო, რომ ვლადიმერ ილიას ძე დებუშებს ღებულაობდა ამ რადიომიღებებთან.

ვაიდა ენდრემ ფრთხილად გადაუსვა ხელი რადიომიღებებს კორპუსს. რაოდენ დიდი სითბო იგრძნობოდა ამ მოძრაობაში.

— მაშინლაც საამაურო ექსპონატი გქონათ, — ვუთხარით მასპინძელს და განვაგრძეთ მუზეუმის დოკუმენტაცია.

მუზეუმის ძალზე საინტერესოა თოშას აღვა ელემენტის მემორია ტ. პუშკაშის ოჯახის წევრებისადმი. აი, თ. ელისონის ფოტოსურათი, რომელზეც ამერიკელ გამომგონებელს საკუთარი ხელით გაუკეთებია წარწერა:

„ტ. პუშკაში იყო პირველი აღმართი მსოფლიოში, რომელმაც წამოაყენა ტელეფონების სადგურის შექმნის იდეა“.

დარბაზებში გამოფენილი პირველი ტელეფონი, ან პირველი ტელეგრაფის აპარატი შევიძლიათ ჩართოთ და დარწმუნდეთ, რა რადიო გზა გაწვდოთ კავშირგაბმულობის ტექნიკაში მისი შექმნიდან დღემდე.

მაგრამ აქ გამოფენილი ექსპონატები განა მარტო ამაზე შეტყუებდნენ?

ყველა დამთვალიერებელი რწმუნდება იმაშიც, რომ ტექნიკის განვითარებას არა აქვს საზღვარი. დღევანდელი ბუდაპეშტის მრავალათასიანი სატელეფონო ქსელი მომავალში შეიძლება ისეთივე უცნაური გვეჩვენოს, როგორც ამ მუზეუმში გამოფენილი ბელლას პირველი ტელეფონის აპარატი.

გვიანობამდე გვმასპინძლობდა ვაიდა ენდრე.

* * *

საღამოს ოტელის ნომერში ტელეფონმა დარკვა.

ალბათ ვიდაცას შეეშალა, თორემ ამა ვინ უნდა დარკოს, როცა ლაიონს დილით უნდა შეხვდეთ, — გავიფიქრეთ და ტელეფონზე მაშინვე პასუხი არ გავცეთ. მაგრამ ზარის ისევ წყაროებსდა. უფროშია ავიღეთ.

— გამარჯობათ, როგორა ხართ ბუდაპეშტში? — გაისმა ძილში რუსულად, მცირეოდენი უნგრული აქცენტი რომ დაჰკრავდა.

— გზაღობთ, ვან ლაპარაკობს? — შე ხორვატი ვარ, ერთ წუთს ვერ გავიხსენეთ.

— იო, თბილისელ ნაცოვს ასე იგიწყებთ? — კი მაგრამ, განა თქვენ უკვე ჩამოხვედით თბილისიდან?

— როგორც ხედავთ, დღეს. ზომ მოგვეწონათ ჩვენი ქალაქი?

— ძალიან, შეტის-შეტად.

— მაშ, რაკა ასეა, გუნდა თქვენი შეგზურები ცოთო ბუდაპეშტში, უნდა შევხვდეთ.

— სიამოვნებით.

— ზუსტად ერთ საათში სასტუმროს ჰოლში დაგველოდებით. ჭერჭერობით.

უფროშია დაჰყოფი გავკარგებულმა.

ჭერ ერთი, თბილისიდან დღეს ჩამოსულმა ხორვატმა ასე სწრაფად როგორც მოგვანრო ბუდაპეშტში და, მეორედ, ეს ზომ ძალზე დიდა უფრადღება იყო მის მხრივ. წარმოუდგენლად სასიამოვნო გრძნობით განვიმსჭვალე ამ უნგრელი ინჟინრის მიმართ. თითქოს მთლიანად გაქრა დაღლილობა. უანჭარასთან მივდიე და ქალაქს ვავხედე. თურმე რამდენი კეთილი აღმართი ცხოვრობს ბუდაპეშტში!

და ისევ ტელეფონის ზარის ხმა.

აღარ დავფიქრებულვართ, მაშინვე მიეწყდით უფროში.

— იო, საღამო! — ეს ვინ უნდა იყოს?

— ვერ მიცანით, მე ტოტი ვარ... თბილისიდან თქვენი ნაცრობი.

— გამარჯობა, — მაშინვე მიფუტე, მაგრამ ვერ წარმოვადგინე რომელი იყო იმ უნგრელ მკვლელებიდან, თბილისში რომ გავიცანი.

— მე ტოტი ვარ... მაღალი.

— სასიამოვნოა, მეგობარო, მაგრამ დღეს ჩამოხვედით და დღევანდელი ვინ ხართ?

— აბა, როგორ, „საქართველოში უფროსი ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა, გავაადრებულად ნუ ჩავგითვლით. ერთი სიტყვით, მინდა ვინაზღუდოთ, რას იტყვიან?

იმ დღეს კიდევ ერთმა თბილისელმა ნაცრობმა დავეცინა. მხოლოდ ეს უფრო გვიან იყო. თურმე, ის მიუღწევადი იყო ერთად მოსულიყო სასტუმროში, მაგრამ არ დავხვდი. რას დავხვდებოდი ორი უნგრელის ხელში „ჩაჯადნილი“. მესამე უნგრელ ინჟინერს, რომელიც ცოლთან ერთად სასტუმროში მოსულიყო, ბარათი დატოვებინა მორიგესთან და მეორე დღეს მის ოჯახში შეხვედრას გვთავაზობდა.

უნგრელი ინჟინერთა ჯგუფი თბილისში გაიქცა იმ უნგრეთში გამოგზავრების წინა დღეებში, ისინი თბილისში ჩამოვიდნენ სოციალისტური ქვეყნების მკაცრი მითითების თაობაზე, რომელიც თბილისის პიონერთა სახელში გაიშარა.

როგორც ცნობილია, სოციალისტური ქვეყნების კავშირგაბმულობის მუშაებში ბევრს მუშაობენ, რათა შეიქმნას კავშირგაბმულობის ერთიანი სისტემა, რომელიც საშუალებას შექმნის უფრო მოხერხებული და სწრაფი კავშირი დაშვარდეს მოსოვსა და ბერლინს, პრადსა და სოფიას, ბუდაპეშტსა და ვარშავას, სოციალისტური ქვეყნების ყველა დიდ ქალაქებს შორის.

მაგრამ კავშირგაბმულობის მუშაებს უფრო მეტი აქვს პერსპექტივაში დასახული. მართლაც, თანამედროვე კავშირგაბმულობის ტექნიკა უკვე ჰქმნის იმის საფუძველს, რომ შეიქმნას ერთიანი ავტომატური სატელეფონო ქსელები არა მარტო ცალკეულ ქვეყნებში, არამედ კონტინენტებსა და მატერიალებზე, ზოლი უფრო შორეულ მომავალში — ჩვენს პლანეტაზე.

ამ და სხვა საკითხების გადასაწყვეტად ხშირად ხვდებიან სოციალისტური ქვეყნების კავშირგაბმულობის დელეგაციები და სწორედ ასეთი შეხვედრა მოხდა თბილისში. აი, ახლა კი თბილისიდან დაბრუნებულმა უნგრელებმა ბუდაპეშტში მომავალი.

მათთან ერთად მომხიდა ბუდაპეშტის დოკუმენტები. ბუდაპეშტში ჩასულ ყოველ სტუმარს თვალს სჭირს ქალაქის ხალაზე, მისი ჰაერითა ისტორიული რელიქვიები, დუნაი, დუნაის ქუჩები და შოქლები, წერსკაი და სისუფასვე, გემოვნებით გაფორმებული მაღა-

ზის ვიტრინები და აქაურთა სტუმართმოყვარეობა.

ბუდაპეშტის ქუჩებსა და პროსპექტებზე შეიძლება ბევრი იარათ. მაგრამ არ დაბნევიან, თუნდაც აქ პირველად იყოთ ჩამოსული. ეს იმიტომ, რომ ყველა გზებს ბუდაპეშტში მიუყვებათ ყველაზე გრძელი მთავარი „უჩინაკი“ — დუნაისკენ.

დღეს ყველას, ვინც კი ცოტახნით მაინც ეწვევა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქს, არ შეიძლება წარუშლელი შთაბეჭდილება არ დარჩეს ამ ქალაქზე და ყველაზე მეტად კი მის მაცხოვრებლებზე, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მოწინავედ გახდეს „დუნაის ბრლიანიტი“ — ბუდაპეშტი.

ისევ, როგორც მხოლოდ იმ დიდი ქალაქის სატელეფონო ქსელები, ბუდაპეშტის სატელეფონო ქსელიც რაიონირებული საცანო სადგურებისაგან შედგება. ქალაქის მ მილიონზე მეტ მაცხოვრებელს ემსახურება მის ამათ ტელეფონის აპარატი. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ბუდაპეშტელზე მოდის 24,8 ტელეფონი. შედარებისათვის შეიძლება ითქვას, სოფიაში 100 მაცხოვრებელზე მოდის 19,2 ვარშავაში — 22,8, ბელგრადში — 21,8 ტელეფონი. რაც ყველაზე მეტად შეიქმნება სატელეფონო ქსელში, ეს არის ავტომატური ტელეფონის სადგურების მაღალ დონეზე მომსახურება. ამან განაპირობა ტელეფონების კარგად მუშაობა ქალაქში. მრავალჭერ მოგვიხდა ტელეფონით სარგებლობა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ შეეროდა არ მომხდარიყო.

რასაკვირველია, პირველ რიგში, ამის მიზეზია სახადგურო მოწყობილობის დროული პროფილაქტიკა და რემონტი, ძალზე მტკიცე კონტროლი დაწესებული სადგურების პროფილაქტიკის გეგმების შესრულებაზე.

— დამით ელექტრომექანიკოსები არც ერთ ხელსაწყოს არ სტოვებენ გაუსინჯავს, რათა დღისით ბუდაპეშტელები „არ შეაწუხოს“ დაწინაურებული ხელსაწყო, — ვვობრა სადგურის ინჟინერმა.

— ელექტრომექანიკოსებს რა განათლება აქვთ?

— თითქმის ყველას აქვს დამთავრებული ბუდაპეშტის ტ. პუშკასის საბელოვის კავშირგაბმულობის ტექნიკური, რომლისაც დიდი ტრადიციები აქვს კადრების მოწოდებაში.

უნგრელი ინჟინრები სატელეფონო ქსელების წარმოებაში მომწოდებელი სისტემის სადგურის ახალი კორდინატული სისტემის მოწყობილობით სცვლიან. ასე, ჩვენ დათვალიერეთ „ერაქსონის“ სისტემის ახალი ავტომატური ტელეფონის სადგური, რომელიც შეეცის დიციონში ბუდაპეშტშია დაწესებული და დიდი სიმძლავრით გამოირჩევა.

სადგურის დათვალიერებისას ყურადღება

მიქცია მრიცხველებმა. წამდაუწმი გაისმოდა ელექტრომაგნიტების ხმაური და პატარა ცქრაწებზე ციურები იცვლებოდა.

— რა დანიშნულება აქვთ მრიცხველებს? სადგურის ინჟინერმა გაიღიმა.

— ეს „კონტროლიორები“ გვიჩვენებენ, როგორ აბონენტს როგორ „უწყვარს“ ტელეფონი.

— ...

— დაბ, ნამდვილად ასეა, მრიცხველი არევენებს, რამდენჯერ ისარგებლა ტელეფონით აბონენტმა. შერე ჩვენ ვუწერთ ქვითარს აბონენტს და დაი, ინების, ფული გადაიხადოს.

— ესე იგი ტელეფონით ხარგებლობის დირებულემა განისაზღვრება იმით, რამდენჯერ დასრულა აბონენტმა?

— სწორედ ასეა. და განა ამაში ცუდი რა არის? ძალზე რიგიტურია შეფასება.

საერთოდ იმის ტენდენცია, რომ სატელეფონო ქსელის აბონენტებმა გადაიხადონ დირებულემა იმის მიხედვით როგორ სარგებლობენ აბონენტები ტელეფონით, სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

გარდა გარკვეული ეკონომიური მოხაზრებებისა, ანუ „პოლიტიკას“ მეტად გამართლებული ტენეკური მხარე აქვს. სწორედ ის, რამდე უნგრელი ინჟინერი ამბობდა — მაშინ როცა აბონენტმა იცის, რომ ტელეფონის დაპარაკის მიხედვით ჭიბიდან შეესაბამისი რაოდენობის ფული უნდა ამოიღოს, იგი ცდილობს ძალზე „ეკონომიურად“ ილაპარაკოს. ამის შედეგად კი ავტომატური ტელეფონის სადგურები საგრძნობლად განიტივითებიან, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს ტელეფონების მუშაობის ხარისხს.

გარდა ტელეფონების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა, სატელეფონო ქსელებში იცვლება დატვირთვის გრაფიკები და ახალი ავტომატური ტელეფონის სადგურის დაპირეტებისას მცირდება მოწყობილობათა და სატელეფონო კაბელების რაოდენობა, ესე იგი, მათი დირებულემა. უფრო იაფი ჯდება სატელეფონო ქსელის შემდგომი ვითარობა.

უნგრეთის დედაქალაქში ჭერ შთიანად არ არის დამაყოფილებელი ტელეფონის დამამებზე შესული ვანცხადება. ათასობით მოქალაქე მოკლდის ბინაში ტელეფონის დადგმას და ამიტომ არის, უკველწილურად აფართოებენ სატელეფონო მეურნეობას ქალაქში. ეს სულ უფრო და უფრო იოლი ხდება, მითუიტის თვით ბუღალერებში ამჟამად სრული სიმძლავრით მუშაობენ თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი კავშირგაბმულობის ტენეივის ქარხნები, რომლებაც საექიორეო საზოგადოება „ბუდაპეისში“ არიან გაერთიანებული და რომელთა დათვალერებამ ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე.

* * *

„ბუდაპეისის“ სატელეფონო ქარხნის უნარ-მაზარ სააქროში ჩვენ უფრადლება მოქცევის უსთებმა, რომლებზეც მიმონტაჟები პატარა რადიოდეტალებისაგან აწყობილ პლიტებს ამავრებდნენ და შიგნით წინასწარ გავუანილ სადენებთან აკვშირებდნენ.

— რას წარმოადგენენ ეს უსთები? — ვკითხეთ სააქროს უფროსს გაბორ რევესს.

— ესენი ტელეფონის ხაზის „დამგრძელებლები“ა.

— „დამგრძელებლები“ — ვერ მივუხვდით ინჟინერს.

და მაშინ ძალზე დაწვრილებით აგვისხნა მისი დანიშნულება.

თურმე, მის კილომეტრზე და უფრო მეტ მანძილზე „დამგრძელებლით“ შეიძლება სატელეფონო კავშირი დამყარდეს ორ პუნქტს შორის ისე, რომ სრულებითაც არ არის საჭირო ტელეფონის საყრდენები და მათზე ჩამოკიდებული მავაულება.

— მთიან პარობებში?

— სატელეფონო კავშირი უფრო საიმედოა და 100 კილომეტრამდე შეიძლება დამყარდეს. გაბორ რევესთან საუბარი გავიგრძელებოდა იგი მიხვდა, რომ ასეთი ტელეფონი „დამგრძელებლით“ ძალიან დავინტერესდით და უკვე მის ცალკეულ ნაწილებზეც კი დაწვრილებით გვიამბო. კვება შეიძლება 220 ვოლტი ქსელიდან, ან აკუმლიატორიდან მოხდეს, „დამგრძელებლებს“ არ ნუპირდება მუდმივი მომსახურება, მისი მუშეობით გარდა სატელეფონო კავშირისა შეიძლება სატელეფონო კავშირიც დამყარდეს, 5 კილომეტრის ზევით იგი უფრო ეკონომიურია, ვიდრე ჩვეულებრივი ხაზის გავება და, რაც მთავარია, ვერც ქარი და ვერც თოვლის ზევეები ვერ გამოიყვანს წყობილებიდან.

— უსთები აღნბთ შერეეტიულები?

— რასაკვირველია, როგორი უამინდობაც არ უნდა იყოს ბოქვ დამავრებულ უსთში ვერაფერი შეიღწევის.

მაღალი სიმბატიური უნგრელი ლაპარაკს არ წყვეტს და ჩვენ კი წარმოუადგენთ ტელეფონის „დამგრძელებლებს“ საქართველოში. რამდენი სიყვით შეუძლიათ მოუტანონ ამ მოწყობილობებმა ჩვენს რაიონებს! აი, ასეთი ერთი ხუთასი ცალი რომ გვქონდეს.

ვფიქრობთ და თითქმის უნგრელი ინჟინერი მიგვიხვდა ამას.

— ასეთი „დამგრძელებლები“ დიდი რაოდენობით შეისყიდეს აფრიკის სახელმწიფოებში და კიდევ მოგვდის შეკვეთები.

მივუვითხარი სააქროს და სიამოვნებას გვანიშნებს მიმონტაჟე ქალების სიმარტვე, მათი სწრაფი მოძრაობები, ნაწილების სწრაფად მოკრების უნარი. სააქროს ბოლოში ტელე-

ფონის „დამგრძელებლებს“ გულმოდგინედ ფუთავენ და ვახამგზავრებლად აწვადებენ.

გაბორ რეგევს „დამგრძელებლებს“ პროექტები და მოკლე აღწერალები ვიზოვით და გულმოდგინედ დავეშვიდობეთ.

მიანც ქარხნის კარებამდე გამოგვაცოლა უნგრელმა ინჟინერმა. ზუსტად საში საათისთვის აქ მოვიდა ლაიოშ პონგრაცო.

როგორც კი მანქანაში ჩავსვდით და ბუდაპეშტის ცენტრიკენ ვაეშართეთ, მე ლაიოშს სიტყვა ტელეფონის „დამგრძელებლებზე“ ჩამოვუგდე. დამითანხმა, რომ შაი დაბმარებით ძალზე ხელსაყრელია სატელეფონო ხაზების ორგანიზაცია სასოფლო რაიონებში, განსაკუთრებით სადისპეტჩერო კავშირებისთვის.

სადისპეტჩერო კავშირებისთვის... ახე რომ საჭიროა ახლა ჩვენს რესპუბლიკაში, — ვფიქრობდით ჩვენთვის და ლაიოშს შევითხვებ ვაპრიდით.

— და ვანა მარტო ამ დანიშნულებისთვის გამოდგებან ისინი? „დამგრძელებლები“ შეიძლება ფართოდ იქნან გამოყენებული სასოფლო ავტომატური ტელეფონის სადგურების ურთიერთდაკავშირებისთვისაც. ვანა ეს თქვენთანაც საჭირო არ არის?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიეთ. და როგორ არის მერე საჭირო!

ბუდაპეშტში ყოფნისას „ბუდაპეშტის“ რამდენიმე ქარხანა დავათვალიერეთ. ლაიოშმა, რომ იტყვიან, „შაჰლ დონეზე“ მოაწყო ყველაფერი და აქ შეგვედრებისას ბევრი რამ ხანტატეროს გაარკვა.

თუმცა, დავებარუნდით ტელეფონის ხაზის „დამგრძელებლებს“, რომელმაც ასეთი ყურადღება მიიქცია ბუდაპეშტში.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ძალზე დაწვრილებით განვხილეთ კოლეგებთან ამ მოწყობილობის ეკონომიკური მხარე.

ჩვეულებრივ ტელეფონის საყრდენებით საპარო სატელეფონო ხაზის მშენებლობის ღირებულება 5 კილომეტრზე 6,0 ათასი მანეთია (1 კილომეტრი — 1,2 ათასი მანეთი), ხოლო ამავე მანძილზე სატელეფონო კავშირის დამყარება „დამგრძელებლებით“ საშუალოდ 5,7 ათასი მანეთი დაჭდება. თუ ვავითვალისწინებთ, რომ კომპლექტის გამოყენებით დაიზოგება 100 ტელეფონის საყრდენი, კავშირი უფრო ხაიმედო იქნება უამინდობის პირობებში და აღარ იქნება მომსახურე პერსონალი, უკვე 5 კილომეტრის მანძილზე „დამგრძელებლებით“ სატელეფონო კავშირის განხორციელება უფრო ეკონომიკურია და ტექნიკურად გამართლებული, ვიდრე ჩვეულებრივი საპარო სატელეფონო ხაზით.

აღი 5 კილომეტრზე ზევით ყოველ ერთ კილომეტრზე 1,2 ათასი მანეთი ეკონომიის იძლევა. შევადიოთ, 10 კილომეტრიანი საპარო

ხაზის მშენებლობას 12,0 ათას მანეთი სჭირდება, მაშინ როცა „დამგრძელებლებს“ ღირებულება 5,7 ათასი მანეთია. ამგვარად, 10 კილომეტრისანი სატელეფონო კავშირის დამყარების ღირს „დამგრძელებლებს“ 6,3 ათას მანეთი ეკონომიის იძლევა.

10 კილომეტრი სიგრძის 100 სატელეფონო ხაზის მშენებლობა ჩვეულებრივ პირობებში მოითხოვს 1,2 მილიონ მანეთს და 20,0 ათას ტელეფონის საყრდენს. ასეთი კავშირების დამყარება „დამგრძელებლებით“ კი 0,57 მილიონ მანეთი დაჭდება. ეკონომია შეადგენს 0,63 მილიონ მანეთს. დაიზოგება 20,0 ათასი ხის საყრდენი. ესე აგი 5,0 ათასი კუბური მეტრი ხეცის მასალა.

თუკი 100 სატელეფონო ხაზს საშუალოდ 15 კილომეტრი სიგრძე ექნება „დამგრძელებლებს“ გამოყენებით, მაშინ ეკონომია 1,2 მილიონი მანეთი იქნება და 7,5 ათასი კუბური მეტრი ხის მასალა დაიზოგება.

მაგრამ ვანა მარტო 100 სატელეფონო ხაზი დასჭირდება რესპუბლიკას? მაშინ ხომ ეკონომია მილიონ მანეთითაა უნდა ვანგაგრძელოთ!

და ჩვენს რესპუბლიკაში რომ ფართოდ დამინერგოს სასოფლო ადგილებში ტელეფონის ხაზის „დამგრძელებლები“, უპირველესად საჭიროა ერთი მათგანის შექმნა და რამდენიმე ადგილზე მისი დამონტაჟება — ასეთი ვადაწვეტილება მივიღეთ კოლეგებთან ერთად თბილისში.

სარ კავშირის საგარეო ვაჭრობის წარმოებად გვერდმა საქართველოში, რაფილ ელაგულაშვილმა ვუთხრა მიიტანა ეს საქმე და მისი შეცადინებით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში შექმნილი იქნა ეს ახალი მოწყობილობა.

ტელეფონის „დამგრძელებლებს“ პირველი ნიმუში გორის რაიონში ვაიზავანა გამოსაცდელად.

სწორედ მის დასამონტაჟებლად ჩავედით გორის აგროსამარტო ვაერთიანებაში უნგრელ ინჟინრებთან ერთად.

* * *

გორის აგროსამარტო ვაერთიანების საბჭოს თავმჯდომარეს ვალერი ზუცოშვილის კბინეტში იოვთ შტეტკო და ენდრედი ტიბორი კარგად დარწმუნდნენ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ვაერთიანების ზელმძღვანელებს საიმედო და მაღალხარისხოვანი სადისპეტჩერო-სატელეფონო კავშირების მოწყობას რაიონში. ამიტომაც მოხდა, რომ მათი თხოვნით ბუდაპეშტიდან მივბრუნდი ტელეფონის ხაზის „დამგრძელებლები“ სწორედ გორში იქნა ჩატანილი. თუ „დამგრძელებლები“ კარგად იმუშავებდა, მაშინ რატომ არ შეიძლებოდა რაიონში სადისპეტჩერო კავშირებისთვის ასეთი მოწყობილობების ფართოდ დანერგვა?

ვალერი ზუცოშვილმა მართლაც გაიზარა რომინონ ჩიხლაძის პირი, რომ ახალი მოწყობილობის

ყობილება ტუვიავისა და გორს შორის ყოფილიყო გამოცდილი.

— თუ სატელეფონო კავშირი კარგად იმუშავებს, მაშინ ჩვენს თავმჯდომარეს სხვა წინადადებაც ექნება, — უთხრა ხუციშვილმა უნგრელებს ღიმილით და ჩიხლამის გადახედვა.

ნეტავ რა იყო ჩიხლამის ეს ახალი წინადადება?

უცხათ ვერ მივუხვდით.

ბოლოს, მისი კაბინეტი დატოვებულ და უნგრელი ინჟინრები მანქანაზე საქმის შეუდგენენ. ანტენა შენობაზე დაამატრეს, მოწყობილობა მათთან შეადრთეს და გაერთიანების სადისკეტჩეროში ჩვეულებრივი ტელეფონის აპარატი დადგეს. ეს აპარატი ტუვიავის სატელეფონო სადგურთან უნდა დაკავშირებულიყო „დამგრძელებლით“.

და აი, მალე ტუვიავი ჩავიდით. აქაც კოლმურწინობის შენობაზე პატარა ანტენა დაიდგა და აპარატურა მოწყობიდა.

დაღმა გადაწყვეტა მომენტის. აპარატურას მიუერთეს ტუვიავის ტელეფონის სადგურის ნომერი. ახლა ტუვიავიდან პირდაპირ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი დარეკვა გორის აგროსამრეწველო გაერთიანების სადისკეტჩეროში დაღმარულ ტელეფონთან.

და დარეკვა კიდეც დაიბა, ტუვიავისა და გორს შორის 18 კილომეტრის მანძილზე, უკველგვარი ბოძების და შათზე დაყოფილი ტელეფონის მავთულების გარეშე საიმედო სატელეფონო კავშირი დამყარდა სულ რაღაც 2-3 საათში. რომსონ ჩიხლამე აღერთვანებელი იყო. ეს ერთი შეხედვით უთქმელი კაცი მოუსვენრად ტრიალებდა უნგრულ აპარატურასთან და, ვინც იცის, მერამდენიმე რეკავდა ავტომატურად გორში.

დაახ. ასე. ბუღაპეტიდან ტუვიავი ჩამოტანილია ტელეფონის „დამგრძელებლით“ პირველად დაიწყო მუშაობა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ საბჭოთა კავშირში.

მაშინ თავმჯდომარის კაბინეტში თავი მოაყარეს კოლმურწინობის გამგეობის წევრებმა და უნგრელებმა მათ ინტერესით გამოკითხეს ტუვიავილია საქმიანობის შესახებ.

ბევრი რამ შეეცდებოდა დამატებით ამ ხოფლის გამრეცხ ადამიანების წარმავლებზე, თუნდაც, მეტსაყველეობის დარგზე.

— ჩვენმა კოლმურწინობამ შემოიერთა ამასწინათ სოფელ ბოშორის მურწინობა. აქ ავადგეთ მეტსაყველეობის შენობები, სასუბი მოედნები, ცხვრის ფარებები, მერძველობის და მეფლორობის კომპლექსები. ბოშორის სამოვრებზეც სახორციე პირუტყვის ინტენსიურმა სახელად სუბიამ ხდის საყეთ მოგვიტანა. ერთი ცენტნერი ხორცის წარმოება ნაცვლად 220 მანეთისა 160 მანეთი გვაქვდა. როგორც წესი, სახელმწიფოს ბარდება მძიმე წონის და სასუეთეის კონდიციის პირუტყვი. ასეთ შემ-

თხვევაში ანაზღაურებაც გადაიდებულია. ბოშორში 5000 ცხვარი გამოწამორებს. და აი, იციო, რა? — დეიქრება რომინწონის ჩიხლამე.

მერე კი გულში ნადები ის თავისი „ახალი წინადადება“ ვაგვიზიარა:

— ბოშორი ტუვიავიდან ძალზე შორს არის, გორიდან მოპირდაპირე შტარეს, ატენის ზეობაში. იქნებ როგორც ტელეფონის „დამგრძელებლით“ ტუვიავიდან პირდაპირი კავშირი დავამყაროთ ბოშორთან. ეს ძალზე დიდი ამბავი იქნება ჩვენითვის.

ენდრელი ტბორშია თავის მეგობარს გადახედა და უთხრა:

— ტუვიავი „დამგრძელებლით“ უკვე მუშაობს. ჩვენ ხელზე შეგვქლია მოსკოვი გავფრინდეთ, მაგრამ თავმჯდომარეს საინტერესო წინადადება მქონდა. ახლა მეორე „დამგრძელებლით“ არა ვაქვს და ამიტომ ახალ სატელეფონო კავშირს ვერ განვახორციელებთ. ისე კი შეიძლება ბოშორში წასვლა, წინასწარ ვნახოთ მდებარეობა და განვანაზღვროთ მოსაველი სატელეფონო კავშირის ტრასა.

— საიმედოებით, — მანქანე დეოთანხმა იოყუტ შეტეტა — მე მზადა ვარ, თუნდაც ახლავე.

მეორე დღეს აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან, გვი ახალკთან ერთად ატენის ზეობას ავუყუვეთ.

ბოშორის გარშემო მალაღ მთებზე ახალკთან ერთად ავიდნენ უნგრული ინჟინრები და აღერთვანებული დარჩნენ ვარშოს სილამაში.

— იციო, რას გეტყვით, მეგობრებო? — სუქვა იოყუტმა დეიქრებით — მე შვიცარიაში ვყოფილვარ და პირდაპირ გეტყვით, ეს ადგილები არაფრით ჩამოვარდება იქაურ მშენებლებს.

გულწრფელად ამბობდა ამას უნგრელი ინჟინერი.

კიდევ ერთხელ გვიქონდა შეხვედრა გორში აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებთან, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ რაიონში სადისკეტჩერო კავშირების მოწყობით იმდომ, რომ კარგად ესმით ასეთი კავშირების საყეთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მეშვიდე პლენუმზე სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ამახაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: „მეტი მზარუნელობა გემართებს იმ დარგების განვითარებისათვისაც, რომლებიც ერთი შეხედვით უშუალოდ არ უკავშირდებიან აგროსამრეწველო კომპლექსს. აიღოთ, მაგალითად, კვამრავიშვილობა. როგორც რუსეთის სტრატეგიული ზოგიერთი ოლქის გამოვლდება გვიჩვენებს, მყარი სადისკეტჩერო

კავშირის პირობებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის მწარმოებლობა იზრდება 20-25 პროცენტით. მეცხოველეობის პროდუქტიულობა 5-10 პროცენტით. თითქმის ერთიორად კლებულობს მართვის ხერხის სპეციალისტთა დროის დანახარჯები“.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სადისპეტჩერო კავშირები დიდ საშუალებას მისცემენ სასოფლო რაიონის ხელმძღვანელებს ტელეფონების დახმარებით ჩაატარონ ჭკუფური თათბირები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებთან, რაც ყველა მათგანს დროის საგრძნობლად ეკონომის მისცემს და შეამციარებს სატრანსპორტო ხარჯებს. მართლაც, ასეთი კავშირის გარეშე პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები სასწრაფო მითითებების გადასაცემად ხშირად იძულებულნი არიან რეკვიზიტით გამოიძახონ ტელეფონთან საჭირო პირები და ყოველ მათგანს ერთი და იგივე მითითება მისცენ; ხელს თათბირის, ან ინსტრუქტაჟის ჩატარებლად რაიონის ცენტრში გამოიძახონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, რომლებიც გზაში და თათბირზე ხშირად მთელ დღეებს კარგავენ.

ავილთ, მაგალითად, გორის აგროსამრეწველო გაერთიანების სამმართველო სავსებით ცხადია, რომ გორის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ყოველ კოლმეურნეობასთან, საბჭოთა მეურნეობასთან და სასოფლო-წარმოების ობიექტებთან ამ სამმართველოს საიმიდო სადისპეტჩერო სატელეფონო კავშირი უნდა ჰქონდეს დაყვარებული, რას გულისხმობს ასეთი კავშირი?

აგროსამრეწველო გაერთიანების სამმართველოს სადისპეტჩეროდან (ან ხელმძღვანელების მიერ) შესაძლებელი უნდა იყოს ტყვიავის, მეჭვინის, ბერშუთის, მერეთის, ნაქოზის, ატენის, ხიდისთავის, ფლავის, ახალუნის, ზერტის და სხვა კოლმეურნეობების დისპეტჩერების ტელეფონით გამოძახება. ასევე უნდა ზღვრავდეს კარაღეთის, ქვეშის, ქინფისის, ბერ-

ბუკის, ზვითის, სკრის და სხვა საბჭოთა მეურნეობების დისპეტჩერებთან დაკავშირება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გარდა აგროსამრეწველო გაერთიანების სამმართველოს პირდაპირი სატელეფონო კავშირი უნდა ჰქონდეს გორის რაიონის ტერიტორიაზე დაქვემდებარებულ ობიექტებთან.

ამგვარად, გორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სადისპეტჩერო სატელეფონო სისტემა უნდა მოიცავდეს რაიონის მთელ ტერიტორიას და შესაძლებელი იყოს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ყველა დისპეტჩერის ცალ-ცალკე გამოძახება.

და ასეთი კავშირების ორგანიზაციისათვის ძალზე ზედსაყრდელი უნგრული ტელეფონის „დამგრძელებლები“ გამოყენება.

* * *

გორსა და ტყვიავს შორის ზუღაქვში დამზადებული ტელეფონის „დამგრძელებლები“ წარმატებით გამოცდის ამხავი ახლა მოსკოვში შეიტყვეს. სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ გლინკამ მოწესრიგების აღწერილობა მოითხოვა.

როგორც ახლანა შეიტყვეთ, სსრკ კავშირგაბმულობის სამინისტრო ახლა შეისწავლის საკითხს უნგრეთში ტელეფონის „დამგრძელებლები“ დიდი პარტიის შესყიდვის შესახებ. აღმათ, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება და ზევს რესპუბლიკაში არაერთი ასეთი „გონიერი“ მოწესრიგება გამოჩნდება.

ახლა კი ტყვიავსა და გორს შორის გამართული სატელეფონო საუბრები კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ იმაზე, რომ უნგრელ მეგობრებს არაფერია აქვთ საიდუმლო თუ კი ეს სასარგებლოა ჩვენი რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნისათვის.

სწორედ ასეთ უშუალოებასა და სიაღარეს გულისხმობს სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა და მშური ურთიერთთანამშრომლობა.

მამია ხუსუნი

მამლუქი რუსტამი

სად წაიყვან საღაურსა,
სად აღუფხვრი საღით ძირსა

რუსთაველი

საფრანგეთის იმპერატორის ის ეპოქა, რომელიც უშუალოდ ნაპოლეონ ბონაპარტისთან არის დაკავშირებული, მდიდარია სხვა პირთა სახელებითაც. ეს პირებია, რომელნიც ნაპოლეონს გარს ეხუთვნენ და რომელთა საქმიანობაც იმპერატორის წამოქმედართან, თუ დამოუკიდებლად, ისტორიაში შევიდა. ამ ეპოქამ წარმოშვა მთელი მღვანეა გამოჩენილი მხედართმთავრებისა, დიპლომატებისა, სახელმწიფო მოღვაწეებისა, რომელთაგან ზოგიერთი ამოტფტოვდა და გაქრა ნაპოლეონთან ერთად, ზოგი კი დარჩა პოლიტიკურ სარბაზელზე შემდეგაც, რაც სახელმწიფო მართვა-გამგეობის ასპარეზზე მოღვაწეობას ნაპოლეონი უკვე ჩამოცილებული იყო.

ასეთი იყო, მაგალითად, ეროვნულ ფუშე, ნანტის კოლეჯის უბრალო მასწავლებელი, შემდეგამში საფრანგეთის რევოლუციური კონვენტის წევრი. რესპუბლიკის კომისარი დეპარტამენტებში, საფრანგეთის ტერიტორია და მთავარი, პოლიციის მინისტრი რესპუბლიკისა და იმპერიის დროს, ოტრახტის პერსონაჟი. ფუშე, რომელმაც გადაატანა იმპერიის დამბობის ქართველში და, ბერბონთა რესტავრაციის შემდეგ, დღე XVIII-ის პოლიციის მინისტრი გახდა.

ცნობილია ხანგრძლივი კვილიძე ძველმოსილ იმპერატორსა და მის ძლიერ, ცხიერ პოლიციის მინისტრს შორის. დიდი ავტორიტეტი, რომელიც მოხეტევილი ჰქონდა ფუშეს და ამით გამოწვეული ერთგვარი რიდი ნაპოლეონისა და მისდამი უცვლელად სტოვებდა ფუშეს პოსტზე. მხოლოდ იმპერატორის განსაკუთრებულმა რისხვამ, რაც ფუშემ დაიმსახურა ინგლისთან მალული მოლაპარაკების წარმოებისათვის, გადაწყვიტა

მისი ბედი. 1810 წლის ივნისში ნაპოლეონმა მინისტრთა საბჭოს წინაშე ოფიციალურად დასჯა საკითხი ფუშეს შეცვლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ფუშეს მრავალი მტერი ჰყავდა, მათ შორის მინისტრთა საბჭოს წევრების უმეტესობაც, საკითხის განხილვისას უკვლავ საბტად დარჩა. ვერავინ დაახსებდა ფუშეს შემცვლელი. მხოლოდ ტაღეირანს მიაწერენ, თითქოს იფორით ეთქვას. — «მეც ვაჩვენებ, ფუშე დიდი დანაშაული მიუძღვის, შესაცვლელია, მაგრამ მისი ერთადერთი შემცვლელი არის თვითონ ფუშე».

ფუშე ადრეც ნაპოლეონმა საკუთარი დეკლარაციებით იცოდა, რომ ამ თანამდებობის დაკავების საფარულად კანდიდატებიდან, მიუხედავად თითოეული მათგანის ერთგულებისა, არცერთი არ იყო შესაფერისი, რომ მიეღო პოლიციის სამინისტროს მართვა-გამგეობის სადავეებზე ფუშეს მოქნილი და მტკიცე ხელაღან. მთავარი, რაც მათ აუღდათ, ეს იყო გაბედულება დამოუკიდებელი მოქმედებისა იმპერატორის არყოფნის შემთხვევაში, ხოლო გამუდმებულ ომებში გართული ნაპოლეონი პარად და დაბოხნითაც სტოვებდა ხოლმე პარაზს.

ღუი მადღენი, ავტორი გამოკვლევისა ფუშეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ეს გარემოება უშუალოდ აჩრებუე ხელს საფრანგეთის პოლიციის მინისტრად დანიშნათ რუსტამი.

ვინ იყო ეს რუსტამი, რომლის კანდიდატურა წამოიჭრა სახელგანთქმული ფუშეს შესაცვლელად იმპერიის პოლიციის მინისტრის პოსტზე? ჩვენში ზოგადად არის ცნობილი, რომ ნაპო-

დღონის მარტვი რუსტამი ქართველი იყო, ამდენად ინტერესს მოკლებული არ იქნება სხვა დასხვა წყაროებში მის შესახებ გახვეული ცნობების გადმოცემა.

ლასკუსის მცირე ავლსტრიურულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „რუსტანი — ნაპოლეონ I-ის მარტვი. დაიბადა საქართველოში (1780-1845 წწ.)²

კონსტანი, თავის შემოარბეში ეხება რა ნაპოლეონის ახლო მეგობრს პირებს, რუსტამის შეხებზე მოგვითხრობს:

„რუსტანი, რომელიც ეგზომ ცნობილი იყო იმპერატორის მამულეებს სახელით, იყო კარგო ოჯახის შვილი საქართველოდან. იქცა თუ შვიდი წლის იქნებოდა, როდესაც იგი მოიტაცეს და წაიყვანეს კაპროში. იქ ის იზრდებოდა ახალ-გაზრდა მონათა შორის, რომლებიც ემსახურებოდნენ მამულეებს მანადე, ვაძრე სრულ ასაკს მიაღწევდნენ და თვით ჩაირიცხებოდნენ ამ ომის მოყვარულ მხედრობაში. კაიროს შეხება, ზენერალ ბონაპარტის საუცხოო არაბულია ცხენი მართვა საჩუქრად, ამასთანავე, ვადასა რუსტანი და იზაბეტი, შვირე მარტვი, რომელიც შემდეგში, ადის სახელწოდებით, განწესებული იქნა ფრუფინა ბონაპარტის სამსახურში რუსტანი ვახდა იმპერატორის აუცილებელი თანმხლები ყველგან, სადაც კი ნაპოლეონი გამოჩნდებოდა. რუსტანი იყო ნაპოლეონის ამოღებულ-განუყრელი წევრი ყოველ მის მოგზაურობაში და, რაც განსაკუთრებით მის ღირსებას შეადგენს, ის იყო ყველა მის ომში. ბრწყინვალე შტაბში, რომელიც იმპერატორს მიჰყვებოდა, რუსტანი უფრო მეტად ბრწყინავდა, ვიდრე სხვა ვინმე, თავისი აღმოსავლური ტანსაცმლის-გლავარებით. რუსტანის ვარჯიშობა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მეტადრე მდაბიო ხალხზე, პაროციცაში. დაჩქარებულნი იყვნენ, რომ ის იმპერატორის ძალიან დიდი ნდობით სარგებლობდა. ზოგიერთ მალეგრძემენ პირთა აზრით, ეს მიეწერებოდა იმას, რომ რუსტანმა სიყვდილს ვადაჩინა იმპერატორი იმით, რომ მას და მტრის მოქნიულ სხამს შუა ჩადგა, რომელიც აუცილებლად უნდა მოხვედროდა ნაპოლეონს.

მე ვფიქრობ ეს მცდარი ამბავია. სრულიად განსაკუთრებული კეთილგანწყობა, რომელითაც რუსტანი სარგებლობდა, საქმარისად მოთავსებულ იყო მისი უდიდებულესობის მკურნლობივი გულდგობილობით მის სამსახურში მყოფი ყველა პირის მიმართ, თუმცა კი ეს კეთილგანწყობა არ სცლდებოდა შენაურ ურთიერთობათა წრის ფარგლებს. რუსტანმა ცოლად შეირთო ერთი ახალგაზრდა და ლამაზი ფრანკი ქალი, ვერა და დევიუ, რომლის მამა იმპერატორიცა ფრუფინას კამერფინერი იყო. როდესაც 1814 და 1815 წლებში რამდენიმე გაჯეთმა რუსტანს ერთჯერადი საყვედური უთხრა ამისათვის, რომ ის ბოლომდე არ შერჩა მუდ-

ილხალს კაცისას, რომელსაც (გა) მუდამ უდიდეს ერთგულებას უცხადებდა. მან უპასუხა, რომ მის მიერ დაწყებულ იქნა ოჯახური კავშირი, უკანადაც მას საფრანგეთის მიტოვებას და რომ მას არ ძალუძს არცეადრეა შეიტანოს თავის ზედწერიტ კერაში“³

საყურადღებოა ერთი ამბავიც, რომლის განვითარებაში შეგვხვდება რუსტანი და თვითონვე ვაჰაშობს თავისი ვინაობის შესახებ.

სენ-დენის ეკლესიაში 1827 წლის 20 იანვარს აღნიშნული იქნა წლისთავი დიდი XVI-ის სიყვდილით დასჯილი, რომელიც, როგორც ვიცოთ, მოხდა 1798 წლის 21 იანვარს.

სამეფო გვარეულობის, თავადებისა და სხვა წარჩინებულ პირთა ეკლესიიდან განთავსებისას, ტალიერანს მიუახლოვდა ერთი კაცი და ხილა ვაჰანა იმდენად ძლიერად, რომ ტალიერანში წაიქცა და რამდენიმე დღის განმავლობაში ლოცვინად იყო ჩავარდნილი. თავდაპირველი ექვე დაპატიმრებს. აღმოჩნდა, რომ ის იყო მარკიზი არმან-მარია გერო დე მოზრეი. მან განაცხადა, რომ სრულიად არ ნანობს თავის საქციელს, პირიქით, მის უნდოდა მიეფრთხილებინა კიდევ სახეში ტალიერანისათვის, რომელმაც 1814 წელს მისცა მას სამარცხვინო დავალება — მოეკლა ნაპოლეონი, ფრუფე და ეტრომ ბონაპარტები და გატაცა რომის მეფე“⁴ რისთვისაც მას აღუთქვეს ფული, წარჩინება, მაღალი თანამდებობა.

დე მოზრეი პასუხისმგებია იქნა მოციმული და ამ საქმისთან ერთად განაილული იქნა მის თავის წარდგენილი სხვა ბრალდებაც, სახელდობრ ის, რომ მან 1814 წელს 21 აპრილს გააჩრდა, შარავაზე, პარიზიდან მომავალი ვესტტალიის დედოფალი და ჩამართვა მის 11 სკოტა, რომელიც შეიკვდა დედოფლის და მისი მეუღლის — ეტრომ ბონაპარტის კუთვნილ სამეფო საქაულებს, თავალ-მარგალიტს, 84.000 ფრანკს ოქროთი და სხვა ფაქეულობას, რომლის ნაწილიც თითქმის დე მოზრეიმ მიითვისა.

ამ ბრალდებისაგან თავის განამართლებლად, აგრეთვე ტალიერანის დანაშაულებრივი განხრახვის შესახებ, მის მიერ წამოყენებულ გაჩემოვანთა დასადასტურებლად დე მოზრეიმ 14-მდე მოწმი დაასახელა, მათ შორის რუსტანიც.

„მე-19 საუკუნის განიქმული სისხლის სამართლის საქმეების“ კრებულის შემდგენელნი აღნიშნული პროცესის ჩვენთვის საინტერესო ნაწილს ასე აგვიწერენ:⁵

„დე მოზრეის თხოვნით მოწვეულ მოწმეთა დასაქიბისად საქმე დანიშნული იყო 1827 წლის 16 ივნისისათვის.

ამ დღეს, დღიდანვე, მრავალიცხოვანი და ბრწყინვალე აუდიტორია, რომელიც, უმეტესწილად, შედგებოდა საფრანგეთის პერებს, დიპლომატიური კორპუსის წევრების, მაგისტრატურის, მაღალი ვაჭრობის წრეების წარმომადგენ-

ლებსა და ადვოკატებისაგან, აწვეუებდა სხლო-
ნის დაბანას.

მეორე მოწმე არის რუსტანი, სახელი ნაო-
ლეონის ყოფილი მამლუქისა, სახელი რომელიც
ერთგვარად მონაწილეობს ამ უკანასკნელის დი-
დებაში, იწვევს აუდიტორიაში ცნობისმოყვა-
რების გასპოვებას და მკითხველი უთუოდ
მადლიერი იქნება ჩვენი, მისი ჩვენებების სრუ-
ლად გადმოცემისათვის.

დაკითხული მისი დახადების ადგილის, წლო-
ვანების და პარაფების შესახებ აცხადებს, რომ
ის დაბანა თბილისში, საქართველოში, არის
ორმოცდაათი წლის რანგზე. ის აცხადებს,
აგრეთვე, რომ არასოდეს უნახავს მომხრე და
რომ არ ჰქონია არავითარი ცნობა იმის შესა-
ხებზე, რომ მომხრის მინდობილი ჰქონდა რაიმე
დავალება 1814 წელს.

თავმჯდომარე ეკითხება — ჰქონდა თუ არა
მას ოდესმე მიხარებელი შესანახავად გვარჯი-
ნის აღმასახე.

პასუხი: დიახ, ჰქონდა, 1814 წელს, დაბ-
ლეონით იანჭრის თვის დამლევის, ვიდრე იმპე-
რატორი ნაურანგეისი კაპანიაში გაემგზავრე-
ბოდა.

კითხვა: როგორ მოხდენენ აღმასახე
თქვენს ხელზე?

პასუხი: იმპერატორმა მიხრძანა წავსულ-
იყავი ბატონ და ბუერისთან. ორი სკივრის
წამოსაღებად. ერთ-ერთ სკივრში იყო „რეანი“,⁷
მეორეში... — არ ვიცი, რას შეიცავდა იგი.

კითხვა: რა უყავით თქვენ ამ სკივრებში?

პასუხი: მე ისინი მოვლენენ იმპერატორს
და ჩავხარე მას თავის კაბინეტში. მე არ ვიცი
რა უყო შემდეგ მათ იმპერატორმა.

კითხვა: მიეცით რაიმე ხელწერილი ბა-
ტონ და ბუერის?

პასუხი: ვუიქრობ, რომ მიეცევი ქვითარს,
დაწერილი იმპერატორის მიერ.

კითხვა: ხადეც არ უნდა ყოფილიყო იმპე-
რატორი, იწვეით თუ არა თქვენ საკუთრივ მას
პარტამენტებში.

პასუხი: დიახ, ბატონო, საკუთრივ მივლი-
ან კარის ზღურბლზე.

კითხვა: ხომ არავის მოუღია თქვენთვის
დავალება მოგვიყავს გვარჯიანის აღმასახე?

პასუხი: როდესაც პარიზში ჩავიდა, სამი
თუ ოთხი დღით აღარ, ვიდრე იმპერატორი
გაემგზავრებოდა კუნძულ ელბასზე, მოვიდნენ
ბატონები ვრადე და არტუსაგან, რომლებიც
ამბობდნენ, რომ მისი ადელტანტები არიან
ისინი ბერის მიეცობოდნენ თუ რა იქნა აღმა-
სახე, მე მათ მოვუთხრე ის, რაც მოხდა აღმა-
სახეზე ხელს ხელს იყო ნახევარი ხაზის, იმ
დროის განმავლობაში, რაც საქირი იყო მათ
მოხატანად.

კითხვა: ხომ არ გქონიათ რაიმე ცნობა

ვესტალის დედოფლის აღმასახეს გადატანის
შესახებ?

პასუხი: მხოლოდ მსმენია ვინმისაგან
თიხასზე.

კითხვა: ხომ არ შეუტოვებინებთ თქვენ-
თვის რაიმე ვანზარების შესახებ, რომელსაც მიწ-
ნად ჰქონდა ნაპოლეონის მოკლვა?

პასუხი: არა.

კითხვა: თქვენ, როგორც მის ერთგულ
შეკველს, ხომ უნდა მიგელოთ ამ შემთხვევაში
უფრო ბევრით განაარგულმა.

პასუხი: მე მას ვუსმენდი ყველა ვითა-
რებაში თანაბრად. ზედმეტი შეწუხების გარეშე

კითხვა: მაგრამ ფონტიენებოში, მაგალი-
თად, ნუთუ არ ვიხარებ, რომ ადგილი ჰქონდა
გაზრდილი საშიშროებას?

პასუხი: იგი თავისი გვარდით იყო გარე-
მოკლული.

როგორც წარმოდგინილი მახალიდან ჩანს,
რუსტანი სხამართლო პროცესზე წარსდება 1837
წელს. მისი პირადი განცხადებით იგი ამ დროს
44 წლისა ყოფილა. ამდენად, დახადებულა იგი
თბილისში, 1783 წელს. როგორც კონსტანტინე
მეფარებიდან ირკვევა, იგი 6-7 წლისა გაუტა-
ციით, ე. ი. 1789/90 წწ. ეს ის პერიოდაა ხა-
ქართველოს ისტორიისა, როდესაც, იანწა და
ოსმალეთს შორის მოქცეული საქართველოსა-
თვის უდიდეს უზედურებად არის ქაულთა
„რეციანობა“, „ტყვეის-სუიდა“. ტყვედ გაუი-
ვისაგან თბილისის მცხოვრებნიც არ იყვნენ
დაზღვეულნი. საქართველოს ამ პერიო-
დის ისტორიას ამხანათებს საწარელი სუ-
რათები დედამისი მოწვევებითა ბავშვებისა
გოდებისა, თავის ოჯახებსა და სამშობლოსაგან
მოგლექილ ქალ-ვათა ტრაგედია. უმრავლესო-
ბა იღუპებოდა უცხოელთა ტყვეობაში, ზოგს
სრულიად ან ნაწილობრივ ავიწყებოდა თავისი
წარსული. ზოგნი ტყვეობაში ახალ პირობებს
ივლენოდნენ და ზოგნი, ზღუდაყრელ გარე-
მოცხათა გამო, წარმატებასაც აღწევდნენ.

ექვსი თუ შვიდი წლის რუსტანს გადააიწყე-
და თავისი გვარი და სახელიც კი, რომელიც,
უნდა ვფიქრობოთ, ქართულად როსტონი იქნე-
ბოდა. უცხოელში ეს სახელი, ფრანგულის ვაე-
ლენით, ვადსხვაფერდა, სხვაწარად ადრედ-
კონსტანს და ლუი მადლენს უწერათ Rostan,
რაც გამოთქმის რუსტანად, ახეთივე ფო-
რმითაა შესული იგი ლარუსის ენციკლოპედია-
ში. არის აგრეთვე შემთხვევა ამ სახელის და-
წერისა Rostamm-ად, რაც უფრო მეტად წა-
გავს საქართველოში გავრცელებულ სახელს
როსტომს. სასამართლოს საქმეებში იგივე სა-
ხელი წერია Rostan-ის ფორმით, რაც, ფრან-
გული გამოთქმით, მეტად განსხვავება იძლევა
წინა ვარიანტებთან შედარებით. შემაღებაში ეს
სახელიდა შერჩა ნაპოლეონის მამლუქს და
მასვე ატარებდა გვარ-სახელად ცხოვრებაში.

ასევე შემორჩა იგი მემუარებში, ოფიციალურ დოკუმენტებში.

უბრალო შემთხვევას, მასთან რუსტაშის საჩუქეს, ახრანებას, იარაღის ხმარების დიდ რუსტაშას, აღბათ, კიდევ სხვა პირად ღირსებებს მიეწერება ის გარემოება, რომ ნაპოლეონმა მეტად დაიხალვია რუსტაში. თხოუმეტი წლის განმავლობაში რუსტაში განუყრდად არის ნაპოლეონთან და იმპერატორის მუდმივად ამდევნებს კეთილ განწყობილებას მისდამ. აქ შევხებით ამ კეთილგანწყობილების გამოვლენის მხოლოდ ერთ ფაქტს, რომლის შედეგადაც შეიქმნა რუსტაშის სურათი.

ნაპოლეონის მიერ შექმნილ ინსტიტუტებს, რომლებიც დღევანდლამდე შემორჩა საფრანკეთში, ეკუთვნის საპატიო ლეგიონის ორდენი. ამ ორდენის პირველი დარიცხვა მოხდა ინვალიდთა სასახლეში, 1808 წლის 14 ივლისს. ორდენები დაარსდა პირადად ნაპოლეონმა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ პირველი კონსული იყო. ეს საზეიმო ცერემონიალი ფრანგი მხატვრის დებურეს მიერ დიდ ფერწერულ ტილოზეა ასახული.

ორდენების მისაღებად მოწვეულთა, საერთოდ ცერემონიალის დამსწრე პირთა შორის, სურათის ცენტრში, თავისი ეგზოტიკური აღმოსავლური ჩაცმულობით გამოიარება რუსტაში, რომელსაც მეტადვე უკვე დახეული აქვს საპატიო ლეგიონის ორდენი იმ დროს, როდესაც მეორე პირი, სამხედრო ფორმაში, უახლოვდება ნაპოლეონს ორდენის მისაღებად, დანარჩენები, სათანადო საზეიმო პოზებში, თავიანთ რიგს ელოდებიან.

მხატვრის მიერ ამგვარად ასახული დამოუკიდებლობის ცერემონიალი საფუძველს გვაძლევს ვაფიქროთ, რომ საპატიო ლეგიონის პირველად დარიცხვისას ერთი პირველთაგანი, რომელსაც აღნიშნული ორდენი მიეკუთვნა, იყო რუსტაში.

ამ ორდენს აქვს ხარისხები კავალერის, ოფიც

რის, კომანდორის... რუსტაშს განსაკუთრებული დამსახურებისათვის პირდაპირ საპატიო ლეგიონის ოფიცრის ორდენი უბოძეს ჩაუბრუნებულში. ნაპოლეონის წყალობით, რუსტაშმა მიიღო ზოგადი დონის სწავლა-განათლება, მოიპოვა ახლი მდგომარეობა პირთა შორის სრულიად განსაკუთრებული პრივილეგირებული მდგომარეობა.

რუსეთის საშემულო ომში, 1812 წელს, ნაპოლეონმა სასტიკი მარცხი განიცადა. აქედან დაიწყო მისი დაქანება უფსკრულსაკენ. კონსტანტინოპოლში ნაპოლეონის განდევნის, შემდგომ დაბრუნებასა და კვლავ განდევნის შედეგად, წმინდა ელენეს კონსტანტინოპოლის დროს, ნაპოლეონთან აღარ იყო მისი აღრჩენილი ტრიუმფალური მსვლელობის მონაწილე რუსტაში.

ბუნებრივია, რუსტაშიც ჩრდილში მოექცა. ერთხანს იგი პრავოსლავიაში ცხოვრობდა, პარიზიდან განდევნილია, ზოლოდ შემდეგ ლონდონში გადავიდა. სწორედ იქედან ჩამოვიდა იგი სასამართლოს მოწვევით პროცესში მონაწილეობის მისაღებად და კვლავ გამოჩნდა პარიზის წარჩინებულ საზოგადოებაში, სადაც წლების განმავლობაში ტრიალებდა.


1840 წლის 16 დეკემბერს წმინდა ელენეს კონსტანტინოპოლიდან ნაპოლეონის ნეშტის გადმოსვენებაზე დამსწრე საზოგადოებაში კვლავ საერთო ყურადღების ცენტრში იყო განსაკუთრებული აღმოსავლური მორთულობით შემკული რუსტაში, რომელიც ერთზეულ კიდევ გამოჩნდა საჯაროდ, რათა თავისი უკანასკნელი ვალი მოეხადო განსვენებულის წინაშე.

სენისა და უაზის დეპარტამენტში, პარიზიდან ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით, არის პატარა ქალაქი დურდანი. აქ გარდაიცვალა 1845 წლის 7 დეკემბერს, ევლახან მთავრეული, ერთ დროს ნაპოლეონის ბრწინვადე მამულქა, რუსტაში.

შობენი 885081:

1. Louis Madlin, Fouché, Paris, 1901, ტომი II, გვ. 87, 190.
2. Nouveau Petit Larousse illustre.
3. Constant, Mémoires sur la vie privée de Napoléon, sa Famille et sa cour. Paris. MDCXXX, გვ. 63.
4. ეს ტიტული ზეშვობაშიეე მიენიზა ნაპოლეონის ვაეს.
5. Causes criminelles célèbres du dix-neuviem siècle, rédigés par une societes

- d'avocats. Paris. MDCXXVIII. ტომი III, გვ. 397.
6. ზაზინის მინისტრი.
7. სახელწოდება ძვირფასი აღმასისა, რომელიც დაგირავებული იყო დირექტორის მიერ და გამოსყიდული იქნა ნაპოლეონის დროს. ბრწყინავდა მისი ხმლის ვიდაზე.
8. Musée de Versailles. Premier distribution de Crois de la Legion d'Honneur dans l'Eglise des Invalides, 14 juillet 1803 par Debret.



ივრისპირული ზარების ექო...

ამ რამდენიმე წლის წინ მკითხველმა მიიღო „ქართული სბჰოთა პოეზიის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემული პოეტის ლექსების მონაწილე კრებული (სარედაქციო კოლეგია გ. აბაშიძე, ვ. მაღრაძე, ვ. ჯავახიძე). წიგნი ქრონოლოგიური პრინციპით არის შედგენილი და ავტორის რჩეულ ლირიკულ ნაწარმოებებს მოიცავს.

გ. გიგაურის პოეტურ შემოქმედებას კარგად იცნობს მკითხველიც და ქართული ლიტერატურული კრიტიკაც. მაგრამ რამდენადაც ავტორი ამჟამად თავისი შემოქმედების ძირითადი საგანძურით წარმოსდგა ჩვენს წინაშე, ურიგო არ იქნება მის ავტორგანაზიბაზე ორი-ორჯე სიტყვა ითქვას.

გ. გიგაურის პირველი ლექსი „მელიქიშვილის ქუჩა“ 1950 წლის ზაფხულში „ახალგაზრდა კომუნისტმა“ დაბეჭდა. მას მოჰყვა ლექსების მთელი ციკლი ავარანზე „ლიტერატურულ საქართველოში“ და ამის შემდეგ ავტორს კალამი გვერდზე აღარ გადაუდგია. მისი საკუთარი ხმა და წერის მანერა მკითხველისთვის საცნაური გახდა.

მაგრამ, როგორც სავროთოდ ყველა მწერალს ემართება, ისე გ. გიგაურსაც, ცხადია, შემოქმედებითი წეის მთლიანი პროდუქტა ჯერ კიდევ არ მიუტანია მკითხველამდე. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ლექსში პოეტმა გულსტიკივლით გაგვიზილა:

მინც ტკივილით, სევდით ივრნებ
და მოვუხადო მინდა ზოდანი
ქერ დაუბეჭდავ ლექსის სტრიქონებს,
გამოკეტოლებს მზის მთლიანობას.

მიუხედავად ამისა, გ. გიგაურის პოეტური პროდუქტა საკმაოდ უხვი და ბარაქიანია, მაგრამ პოეზია მინც პოეზიაა და მისი მოცულობა თუ რაოდენობა მისივე ლირიკების კრიტიკიუმად ყოველთვის როდი გამოდგება. კარგი ის არის, როცა ღირსება და სათვალავი მხარდახმარ მიიღოს.

რაც შეეხება სარედაქციო წიგნს, უპირველესად იგი მკითხველის უფრადლებას თვამატური

მრავალფეროვნებით იქცევის. ამავე დროს იგი პრობლემათა აქტუალობითა და იდეური სიღრმითაც გამოირჩევა.

გიორგი გიგაური დღედაღდე შზარდი პოეტია. ეს იგრანობა არა მარტო მის ყოველ ახალ წიგნში, არამედ თითოეულ ახალგამოქვეყნებულ ლექსშიც. ნათქვამი პარადოქსად ნურვის მოეჩვენება და ნურც ისე ვინმე გავეგებებს, თითქოს გ. გიგაური ახლა სწავლობდეს მაღალმხატვრული და ღრმადიდური ლექსების წერას. საქმე ის არის, რომ პოეტს არ ემჩნევა არც თემატიკის შემოძარცვა, არც მოტივთა გაყვეთა-გაღარობება, არც მხატვრულ აქსესუროთა გამოლევა და სხვისთვის თუ საკუთარი თავისთვის დასესხება.

გ. გიგაური ამ პოეტთა რიცხვს ეუთენის პოეტური ცეცხლით რომ იწვიან. „კაცის სიცოცხლე აბა რა არის, ვრთ კარგ ლექსად თუ ვერ გარდაიქმნება“, რომ სამშობლოსა და ხალხს უნდა ვუმღეროთ ხმის დაკარგვამდე“.

პოეტს კარგად ესმის, დიდი მოვლენების, დიდი ძვრების ეპოქაში მცხოვრებ მკონანს, ვალიც დიდი ანდეს და სიმღერაც სხვაგვარი მოვთხოვება. ამიტომაც უთქვამს „და ჩვენც სხვაგვარი სიმღერა გვმართებს, დიდა ვალი შენზე და ჩემზე“. ხოლო უფრო მოგვიანებით კი პოეტმა თავისი რწმენა უფრო ნათლად ჩამოაყალიბა:

დედ სიყვარულზე სიმღერას შევძლებ,
არ მემარტება ეჭვი სრულდად.

გ. გიგაურის პოეტური სტიქია მისაივით მოძრავი და მოუსვენარია:

მე მუდამ ხადაც მიმეჩქარება,
ხადაც ვილაცა მემძახის თითქოს.
მხურს გაეატანო სულის წამება
კელაბატარავით ანთებულ სტრიქონს.

ძნელია უნდაც უბრალოდ ჩამოთვალო ის მდიდარი თემატიკა, რომელსაც პოეტის კალამი შეეხებია. იგი ყველაფერს თავის ხარკს უხდის, თანამდროვე პოეტის თვალთ უცემარის და წრფელი ლექსებითა და ხალხდებით ამკონს ჩვენს ხალხის საამყო წარსულს, სიყვარულით გვიბატავს სხელოვან წინაპართა პორტრეტებს.

გ. გიგაური. „ლექსები“, „სახჰოთა საქართვლი“.

საისტორიო თემატიკა გ. გიგაურის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანთაგანია. მთუხედავად ამისა, პოეტის მთავარი საზრუნავი, მთავარი თემა თანამედროვეობაა. თანამედროვეობა თავისი უღვეველი თემებითა და იდეებით. იგი მთელი ხმით უმდერის ჩვენი სახელოვანი ხალხის თავდადებულ შემოქმედებით შრომას, შენებას, უყუთისისკენ სწრაფვას. ფიქრობს და ოცნებობს ხელმძღვანელ დღეზე, ჩვენსა და ჩვენი შვილების მომავალზე.

ერთ დღეს რომ პოეტი გაუკატორებულ და ორი ძალის ანაბარა დარჩენილ მთის სოფელს, ანდა ლამურებს თავშესაფრად ქვეულ მამა-პაპეულ კოშკს შეჰკვეთის თავის კაეშანს, ზეორე დღეს ენგურის კაშხალზე შემდგარი ზეაწულ ჰამის უმდერის ადამიანის ყოვლისშემძლე მარჯვენას. იგი ხან ფერადიანის შარზე მიმავალ ფეხშიშველა ბავშვს აფიქნება და მეთხველს უმაღ სვედიან ელგეორ განედებში გაახვევს, ხან კი განახლებული სვანეთით მიღებულ სიხარულს გვაზარებს.

გიორგი გიგაურის პოეტი იქ არის, სადაც მისი ხალხი, მისი ადამიანები იმარქვიან, შრომობენ, ცხოვრობენ. სადაც არის მარცხი და წარმატება, წუხილი და სიხარულიც. მისთვის მასობელი და გასაგებია მივენახეთა თუ მეჩაიეთა სულიერი სამყარო. პოეტი შესანიშნავად განგვაუცდევინებს რა სწუხის, ან რა ეამება ზამთარ-ზაფხულს ჯობზე დაკიდებულ მეცხვარეს, რა იდეებით ცხოვრობს ტინის კლდეებთან მებრძოლი გვირაბგაყვანი.

გ. გიგაური მებრძოლი, შემართებული პოეტია და ერთი წუთითაც თვალს არ აშორებს ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურსა თუ კულტურულ პროცესებს. მას არ სჩვეია დიდი პრობლემებისთვის თვალის არიდება და განზე გადგომა, წერტილმანი, სტბიექტური იდეების ქადაგება:

მე ვაქაცობის ვარ მომდერალი,
არ მწამს უღონო კაცის წრიალი.

გ. გიგაურის ასახვის ობიექტი თანამედროვე ადამიანი, თავისი ვნებებითა და ლტოლვებით, მიზნებითა და მისწრაფებებით. მისი პოეტური ქმნილებანი კატორ-კაცობის, ამაღლებული ზნეობისა და სათნოების სავალბლებლია:

დო, კაცურ კაცთა ზარებმა რცოლ,
რცოლს სიწმინდეშ ადამიანს...
რადგან: ადამიანურს თუ არ იწამებ,
ხეულ ფოთოლივით წაიდებს ქარი.
„ჩემს ლექსთა კრებულს ღიმილი ჰქვიაო“
— გვეუბნება პოეტი ერთერთ ლექსში:

სიციხულე იქცა ლექსების გმირად
ამონახუნტი მთის და მდელითსი.
ვწერ და დიმილით ორედება დიდა
დიმილით ხაზე საქართველოში.

აეტორს თავისი მოქალაქეობრივ კრედი
ამგვარად აქვს ჩამოყალბებული

მე მოგჩქარი ღიმილს ვაძენ
ერთი ალალი და მართაღვლელა,
თუ კარავს საღმე კაცურად დავცემ,
მოდი, იქ, ლუკმა გავყოთ ძმურად.

სხვა ლექსში კი პოეტმა საკეთარი სხვე
უფრო სადად და ლაკონიურად წარმოგვიღ-
გინა:

მე ალალი ვარ, ამ მთის შვილი აღმა მავალი,
ვარ გულკეთილი, ხელგაშლილი, აი მთავარის
და ყველაფერ ამის შემდეგ პოეტის სრული
საფუძვლი იქვს გვიტობას:

არ ვარ უცხო და შესაბარლისი,
ყველგან მოლოცვიან, ყველგან მელიან.

სიყვარული გ. გიგაურის პოეტიის უღიდე-
სი ნაწილის ლაბრტოტივია. ისეთი შობაგქლი-
ლება გვრჩება, თითქოს საგნებსა და მოვლენ-
ებს პოეტი მხოლოდ სიყვარულის პრიზმიდან
უქცერის, იგი ჯეროვან ხარკს უხდის წმინდა
სატრფილო პოეტიას:

ტრფობის ვარუე რა მეშველებაშ
რით ვაგაზაროთ, ან რა ვამდერო

სატრფილო მოტივის გ. გიგაურისეული
ეთიქრ-მორალური მრწამსი მიქნერობის ქა-
რთულ ტრადიციულ ჩარჩოშია მოქცეული და
უანგარო, სბეტაი გრძობების პოეტურ გამ-
ხელას წარმოადგენს. ჯანსაღ იდეურობისთან
ერთად ეს ნაწარმოებები, რომლებიც უმეტე-
სად მიმართვებს ან მიძღვნებს წარმოადგენენ,
მხატვრულობითაც გამორჩევიან. საილუსტრა-
ციოდ მოვიტანთ რამდენიმე მხატვრულ-პოე-
ტურ სახეს:

გამონიშნედი თეთრი ხელები,
ხელში კელაპტრად ჩამოვადგენბი.
ან: სიციხეში ჩემთვის მოსულა წვიმაე
და უამათში ვამოღარებაე.
ან კიდევ: ამატორტმანე თერგზე ტივიეთი.
ან კალშახით ანაბარბაცე.

გიორგი გიგაურის პოეტიისათვის დამახას-
ათებელი ტრანსლური მრავალფეროვნება:
მუხლზე გრავალბს უღვისას, უღვისას,
მდინარის დრიალს კლდიან ზევიდან
თითქოს ხმა იყოს ბოკილით ლეწვისა,
თითქოს ხმა იყოს შუბთა მსხვრევისა.

ვუსმენ მუხებში რობრობს მებისას,
ასწლოვან ხეთა აქაბკანებას.
ელვა იფშენება ტყვითან შეხლისას
და იფანტება ირგვლივ კადებად.

ციცხლში ტაკუნებს შოლტი ქარისა,
ხეულ მიწას ღოკავს ენა ციციხლისა,
მოუტანია შუქი მთვარისა.
ნიადვარს მთათა ჩამორეცხვისას.

ხან კი ეს ბოლოქარი, რიტორული ტონი ეცემა და ავტორი სანტიმენტალობაში გადადის:

ზღვის პატარა კენჭებს ვარჩევ, რომელი ზეობს. და ვაგროვებ შენთვის, ჩემო კარგო ბიჭო...

დღეს კენჭების კრეფა ყველა ხაჭუმს მიჯობს, გადვიწყცი ბავშვად შენთვის, ჩემო ბიჭო...

საზოგადოებრივ-სახალხო თემატიაზე შექმნილი გ. გიგაურის ლექსები, ოპტიმისტური, მომწოდებელი და შემტევი. მისთვის უცხაო წუწინი და გოდება, უსაგნო ვიწვევი. თუ სადმე ელევგორობა და სევდიანი კილო შეინიშნება, ეს ისევე მის პირადულ განცდებსა და შთაბეჭდილებებს ეხება. ავტორის პირადული პოეტური „მე“-ს ბუნებრივი ანაბეჭდი ისეთი სტრიქონები, როგორც არს:

რა დღე-უფრე დავებეტები, რა მწელი არის გზების ძიება.

ეს ცხოვრებისეული, მინორული კილოები ამდიდრებენ და ილამაზებენ პოეტის ლირიკას:

დიდხანს ვძებნე ბედი, დიდხანს ვიწაწაფლე. ბევრი ვნახე ტკბილი, ბევრი ვნახე მწარე. მოვდიოდი შენსკენ ხივეარულას გზებით. მოვადვიე, მაგრამ გამითეთრდა თმები.

დიდა მადლი ხალხური სიუნჯისა პოეზიაზე და არც გ. გიგაური დარჩენილა მის მიმართ მწყრალად. მრავალი საგმირთა-სისტორიით თქმულუბა უქცევია პოეტს თავისი ნაწარმოებების მასალად, გაღაუქმეებია და ახალი სული ჩაუღვამის. საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ პოეტი არ ლალატობს სახელოვან წინაპარ ხალხურ მღელქეთა მდიდარ ტრადიციებს

და ხშირად შეგნებულად მიმართავს ამ კილოებისა და სტილის სურნელსაქვეყნული გარდა ბალადებსა და პოეზიის გამომყვანილებული სიტუეტური დეტალებისა, გარდა ლირიკულ ლექსებში გადამშავებული ხალხური სახეებისა, გ. გიგაურის პოეზიაში საკმაო რაოდენობით გვხვდება ხალხურ სტილსა და კილოზე დაწერილი ნაწარმოებები. ზოგიერთი მთგანი კი პირდაპირ ხალხურ საშაირო რიტმსა და საზოპზე არის გაწყობილი. თუნდაც ასეთი ნიმუშები მოვიტანოთ:

ერთი გოგო ხალიანა, შემეფარდა ძალიანა.

ან: ქალო, თვალბეგირიანო შენთან ყოფნის მიშლიანო.

გ. გიგაურის პოეზია მრავალფეროვანია ეერსიულიკაციის თვალსაზრისითაც. პოეტს, იმის მიხედვით, თუ რომელი ფორმა მივსადაგებოდა თემას, გამოყენებული აქვს თითქმის ყველა სტრუქტურა და საზოპს, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე. სტრაფებისთვის დამახასიათებელია ძლიერი, ორიგინალური რითმები.

გ. გიგაურის პოეზია მდიდარია ორიგინალური მხატვრული სახეებით. ავტორს მეტაფორული აზროვნების საუცხოო უნარი აქვს: (ისტორიულ ძეგლს, ადვოცა ცეცხლას კალთა,

ნახმლევეზე აეფარა.

ან: ნამგალა შთაერე ჩემს მკლავზე მიწვა მაგრამ ჩემსავით დეკარგა ძილე.

ან: წყალწითელაში ძვლებს ილბობს ქედი. ან კიდე: შთაერემ ჩრდილები ბეებს

დაკიდა, ღამე მამაჟნი წოლას აპირებს. აპრილის ქარი აღგა ავნიდან და ეფერება ფერის ნაპირებს.

მაძიებელი პოეზიისათვის ყოველთვის ნიშანდობლივი იყო სწრაფვა სრულყოფისაკენ. არც გიორგი გიგაურის ლექსებია ამ მხრივ გამონაკლისი. აპრილის ქარები ფერის ნაპირებს ედევნო მრავალჯერ გაეხმურებინა.

დაპით გომოპური

რედაქციის მიხამართი: თბილისი, რუსთაველის პრისექტი, № 12.

ბალადონები: რედაქციის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-12, 3/3გ, მდივნის და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

საქ. კბ ც-ის გამომცემლობა, 1984.

გადეცა ისაწყობად 4. 1. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 02. 84 წ. ანაწყობის ზომი 71/4X12, ქაღალდის ფორმატო 70X108, უზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. საადრ.-სავამომცემლო თაბახი 16,58.

უე 07836. ტირაჟი 35.000. შეკვ. № 9. საქ. კბ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

80 80 80.

6/45



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ